114
1943

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

4-5

თბილისი
1943

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეოცე

3961 14519

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

4-5

19 — აპრილი — მაისი — 43
სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ალიო მაშაშვილი (პ/მგ. რედაქტორი)
სერგო დონაძე
ირაკლი აგაშიძე
კონსტ. გამსახურდია
ილო მოსაშვილი
დემნა შენგელაია
კარლო კალაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII-43. შეკვ. №1079. უე 2005 ტირაჟი 4.800.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ჟორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელეფ. 3 — 04 — 64.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წლის 1 მაისი

№ 195

ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო, მუშებო, გლეხებო — კაცებო და ქალებო, ინტელიგენტური შრომის ადამიანებო! გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ დროებით მოქცეულო ძმებო და დებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღეს!

სამამულო ომის სასტიკ დღეებში ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ხალხები 1 მაისის დღეს. მათ წითელ არმიას მიანდეს თავისი ბედი და არც შემცდარან თავიანთ იმედებში. საბჭოთა მეომრები მკერდით აღიმართნენ სამშობლოს დასაცავად და აი უკვე თითქმის ორი წელია იცავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

1942/43 წლების ზამთრის კამპანიის პერიოდში წითელმა არმიამ სერიოზული დამარცხებანი მიაყენა ჰიტლერულ ჯარებს, მოსპო მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის უდიდესი რაოდენობა, გარს შემოერტყა და ლიკვიდაცია უყო მტრის ორ არმიას სტალინგრადთან, ტყვედ წამოიყვანა მტრის 300 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და გერმანელთა უღლისაგან გაათავისუფლა ასობით საბჭოთა ქალაქი და ათასობით სოფელი.

ზამთრის კამპანიამ გვიჩვენა, რომ წითელი არმიის შეტევითი ძალა გაიზარდა. ჩვენმა ჯარებმა არათუ განდევნეს გერმანელები მათ მიერ 1942 წლის ზაფხულში დაპყრობილი ტერიტორიიდან, არამედ დაიკავეს მთელი რიგი ქალაქებიც და რაიონებიც, რომლებიც დაახლოებით წელიწად-ნახევარს იყო მტრის ხელში. გერმანელებს არ აღმოაჩნდათ ძალა თავიდან აეცილებინათ წითელი არმიის შეტევა.

ფრონტის ვიწრო უბანზე, ხარკოვის რაიონში კონტრშემოტევისთვისაც კი ჰიტლერული სარდლობა იძულებული აღმოჩნდა სამ ათეულზე მეტი ახალი დივიზია გადმოეყვანა დასავლეთ ევროპიდან. გერმანელები ვარაუდობდნენ გარს შემორტყმოდნენ საბჭოთა ჯარებს ხარკოვის რაიონში და მოეწყოთ ჩვენი ჯარებისათვის „გერმანული სტალინგრადი“. მაგრამ ჰიტლერული სარდლობის ცდა — აეღო რევანში სტალინგრადისათვის — ჩაიშალა.

ამასთან ერთად ჩვენი მოკავშირეების ძლევამოსილმა ჯარებმა დაამარცხეს იტალია-გერმანიის ჯარები ლიბიისა და ტრიპოლიტანიის რაიონში, გასწმინდეს ეს რაიონები მტრებისაგან და ახლა განაგრძობენ მათის შემუსვრას ტუნისის რაიონში, ხოლო ინგლის-ამერიკის სახელოვანი ავიაცია გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს გერმანიის, იტალიის სამხედრო-სამრეწველო

ცენტრებს, რაც ევროპაში იტალიელ-გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ მეორე ფრონტის შექმნის წინამორბედია.

ამრიგად, მტერზე დარტყმა აღმოსავლეთიდან, წითელი არმიის მხრით, ომის განმავლობაში პირველად შეერთდა დარტყმასთან დასავლეთიდან, ჩვენი მოკავშირეების ჯარების მხრით — ერთიან საერთო დარტყმად.

ყველა ამ გარემოებამ, ერთად აღებულმა, ძირფესვიანად შეარყია ჰიტლერული სამხედრო მანქანა, შესცვალა მსოფლიო ომის მსვლელობა და შეჰქმნა აუცილებელი წინაპირობები ჰიტლერულ გერმანიაზე გასამარჯვებლად.

ამის შედეგად მტერი იძულებული აღმოჩნდა ეღიარებინა თავისი მდგომარეობის სერიოზული გაუარესება და დაიწყო გოდება სამხედრო კრიზისის შესახებ. მართალია, მტერი ცდილობს თავისი კრიტიკული მდგომარეობა დაჰფაროს ხმაურით „ტოტალური“ მობილიზაციის შესახებ. მაგრამ არავითარ ხმაურს არ შეუძლია იმ ფაქტის გაბათილება, რომ ფაშისტთა ბანაკი ნამდვილად განიცდის სერიოზულ კრიზისს.

კრიზისი ფაშისტთა ბანაკში გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მტერი იძულებული აღმოჩნდა აშკარად უარეყო თავისი პირვანდელი მიზანდასახულობა ელვისებური ომისა. მტრების ბანაკში ახლა მოდაში აღარ არის ლაპარაკი ელვისებურ ომზე, — მყვირალა ლაყბობა ელვისებურ ომზე შეიცვალა სასოწარკვეთილი მოთქმით გაჭიანურებული ომის გარდუვალობის შესახებ. თუ წინათ გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ტრაბახობდა ელვისებური შეტევის ტაქტიკით, ახლა ეს ტაქტიკა უკუგდებულია, და გერმანელი ფაშისტები უკვე ტრაბახობენ არა იმით, რომ მათ ჩაატარეს ან განზრახული აქვთ ჩაატარონ ელვისებური შეტევა, არამედ იმით, რომ მათ მოახერხეს მარჯვედ დაეძვრინათ თავი ინგლისის ჯარების მხრივ გარემომცველი დარტყმისაგან ჩრდილოეთ აფრიკაში ან საბჭოთა ჯარების მხრივ გარშემორტყმისაგან დემიანსკის რაიონში. ფაშისტური პრესა სავსეა ტრაბახა ცნობებით იმის შესახებ, რომ გერმანიის ჯარებმა მოახერხეს მოეკურცხლათ ფრონტიდან და თავი დაეღწიათ ახალი სტალინგრადისათვის აღმოსავლეთის ან ტუნისის ფრონტის ამა თუ იმ უბანზე. ეტყობა, ჰიტლერელ სტრატეგებს მეტი არაფერი აქვთ სატრაბახო.

მეორე, კრიზისი ფაშისტთა ბანაკში გამოიხატება იმით, რომ ფაშისტები უკვე სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ ზავის შესახებ. თუ უცხოეთის პრესის ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ გერმანელები მსურველნი იქნებოდნენ მიეღწიათ ზავისათვის ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან იმ პირობით, თუ ისინი ჩამოშორდებიან საბჭოთა კავშირს, ან პირიქით, ისინი მსურველნი იქნებოდნენ მიეღწიათ ზავისათვის საბჭოთა კავშირთან იმ პირობით, თუ იგი ჩამოშორდება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. გერმანელ იმპერიალისტებს, რომლებიც თვითონ სულით ხორცამდე ვერაგნი არიან, თავხედობა შესწევთ თავიანთი არშინით ზომონ მოკავშირენი და ფიქრობენ, რომ რომელიმე მოკავშირეთაგანი წამოეგება ამ ანკესზე. ცხადია, რომ კარგი მდგომარეობის გამო როდი ლაყბობენ გერმანელები ზავზე. ზავის შესახებ ლაყბობა ფაშისტთა ბანაკში მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ისინი მძიმე კრიზისს განიცდიან. მაგრამ რა ზავზე შეიძლება ლაპარაკი გერმანელ ფაშისტთა ბანაკის იმპერიალისტ ყაჩაღებთან, რომლებმაც სისხლით მორწყეს ევროპა და სახრჩობელებით მოჰფინეს იგი? განა ცხადი არ არის, რომ ჰიტლერული

არმიების მხოლოდ სრულ განადგურებასა და ჰიტლერული გერმანიის უსიტ-ყვო კაპიტულაციას შეუძლია მშვიდობიანობამდე მიიყვანოს ევროპა? იმი-ტომ ხომ არ ლაყბობენ გერმანელი ფაშისტები ზავის შესახებ, რომ ისინი მომავალი კატასტროფის მოახლოებას გრძნობენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია-იტალიის ფაშისტური ბანაკი მძიმე კრიზისს განიცდის და თავისი კატასტროფის წინაშე დგას.

ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჰიტლერული გერმანიის კატასტროფა უკვე დადგა. არა, არ ნიშნავს. ჰიტლერული გერმანია და მისი არმია შერყეულნი არიან და კრიზისს განიცდიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებულნი. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ კატასტროფა მოვა თავისთავად, თვითდინების წესით. საჭიროა კიდევ ორი-სამი ისეთი მძლავრი დარტყმა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, როგო-რიც განიცადა ჰიტლერულმა არმიამ უკანასკნელი 5—6 თვის განმავლობა-ში, იმისათვის, რომ ჰიტლერული გერმანიის კატასტროფა ფაქტი გახდეს.

ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხებს და მათს წითელ არმიას, ისევე რო-გორც ჩვენს მოკავშირეებსა და მათს არმიებს, კიდევ მოელით სასტიკი და მძიმე ბრძოლა ჰიტლერელ მტარვალებზე სრული გამარჯვებისათვის. ეს ბრძოლა მოსთხოვს მათ დიდ მსხვერპლს, უდიდეს გამძლეობას, რკინისე-ბურ სიმტკიცეს. მათ მობილიზაცია უნდა უყონ მთელ თავიანთ ძალებსა და შესაძლებლობებს იმისათვის, რომ დაამარცხონ მტერი და ამრიგად გზა გაი-კაფონ მშვიდობიანობისაკენ.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი უდიდეს ზრუნვას იჩენს თავისი წითელი არმიისათვის. ის მზად არის მთელი ძალები მოახმაროს საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომ გადიდებას. 4 თვეზე ნაკლები ხნის განმავ-ლობაში საბჭოთა კავშირის ხალხებმა 7 მილიარდ მანეთზე მეტი შეიტანეს წითელი არმიის ფონდში. ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ომი გერმა-ნელთა წინააღმდეგ ნამდვილად საერთო-სახალხო ომია საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხისა. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მტკიცედ და მამაცურად იტანენ ომით გამოწვეულ გაჭირვებას და დაუცხრომლად შრომობენ საწარმოებსა და დაწესებულებებში, ტრანსპორტზე, კოლმეურ-ნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ომი გერმანელ ფაშისტ დამ-პყრობთა წინააღმდეგ მოითხოვს, რათა წითელმა არმიამ მიიღოს კიდევ უფ-რო მეტი ქვემეხები, ტანკები, თვითმფრინავები, ტყვიამფრქვევები, ავტომა-ტები, ნაღმსატყორცნები, საომარი მასალები, საჭურველი, სურსათი. მაშასა-დამე, აუცილებელია, რომ მუშები, კოლმეურნეები, მთელი საბჭოთა ინტე-ლიგენცია გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ფრონტისათვის.

საჭიროა, რომ ზურგში ყველა ჩვენი ადამიანი და ყველა დაწესებულება შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდეს. გავიხსე-ნოთ დიდი ლენინის ანდერძი: **„რაკი ომი გარდუვალი აღმოჩნდა — ყველაფე-რი ომისათვის, და სულ მცირედი თავაშვებულობა და ენერგიის ნაკლებობა ომიანობის დროის კანონის მიხედვით უნდა ისჯებოდეს“.**

თავისი ხალხის ნდობისა და ზრუნვის პასუხად წითელმა არმიამ კიდევ უფრო მაგრად უნდა ურტყას მტერს, ულმობლად ჟლიტოს გერმანელი დამ-პყრობნი, განუწყვეტლივ დევნოს ისინი საბჭოთა მიწა-წყლიდან. წითელმა არმიამ ომის განმავლობაში მდიდარი სამხედრო გამოცდილება შეიძინა. ასეულათასობით მებრძოლი ზედმიწევნით დაეუფლა თავის იარაღს. ბევრმა

მეთაურმა ისწავლა ჯარების მარჯვედ მართვა ბრძოლის ველზე, მაგრამ ამით დამშვიდება გონივრული არ იქნებოდა. მებრძოლებმა უნდა ისწავლონ თავისი იარაღის კარგად ხმარება, მეთაურები ბრძოლის წარმოების ოსტატები უნდა გახდნენ. მაგრამ ესეც ცოტაა. სამხედრო საქმეში, მით უფრო ხალხთ ომში, როგორიც თანამედროვე ომია, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს. სამხედრო საქმეში ერთ ადგილზე გაჩერება იმას ნიშნავს, რომ ჩამორჩ. ჩამორჩენილებს კი, როგორც ცნობილია, სცემენ. ამიტომ ახლა მთავარი ის არის, რომ **მთელმა** წითელმა არმიამ დღითი-დღე აუმჯობესოს თავისი საბრძოლო წრთვნა, **რომ წითელი არმიის ყველა** მეთაურმა და მებრძოლმა შეისწავლოს ომის გამოცდილება, ისწავლოს ბრძოლა ისე, როგორც ამას გამარჯვების საქმე მოითხოვს.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო — კაცებო და ქალებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ რა 1 მაისის დღეს,

ვბრძანებ:

1. ყველა **მებრძოლებმა — ქვეითებმა, ნაღმმტყორცნელებმა**, არტილერისტებმა, ტანკისტებმა, მფრინავებმა, მესანგრეებმა, მეკავშირეებმა, კავალერისტებმა—დაუცხრომლად განაგრძონ თავიანთი საბრძოლო ოსტატობის სრულყოფა, ზუსტად შეასრულონ მეთაურთა ბრძანებანი, წესდებათა და დარიგებათა **მოთხოვნები, წმიდად დაიცვან დისციპლინა**, დაიცვან ორგანიზებულობა და წესრიგი.

2. ყველა გვარეობის ჯარების მეთაურები და **საერთო-საჯარისო** მეთაურები **გახდნენ ჯარების** წინამძღოლობის ოსტატები, ოსტატურად მოაწყონ ყველა გვარეობის ჯარების თანამოქმედება და უხელმძღვანელონ მათ ბრძოლაში. შეისწავლონ მოწინააღმდეგე, გააუმჯობესონ დაზვერვა, — არმიის თვალი და ყური, ახსოვდეთ, რომ უამისოდ არ შეიძლება აუცდენლად ვურტყათ მტერს. აამაღლონ ჯარის შტაბების მუშაობის კულტურა, მიაღწიონ იმას, **რომ წითელი არმიის** ნაწილთა და შენაერთთა შტაბები ჯარების მართვის სანიმუშო ორგანოები გახდნენ. აამაღლონ ჯარების ზურგის მუშაობა იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც თანამედროვე ომი აყენებს, მტკიცედ ახსოვდეთ, რომ ჯარების **საომარი** მასალებით, საჭურვლით, სურსათით სრულ და დროულ მომარაგებაზე დამოკიდებულია საბრძოლო ოპერაციების შედეგი.

3. მთელმა **წითელმა** არმიამ განამტკიცოს და განავითაროს ზამთრის ბრძოლების **წარმატებანი**, არ დაუთმოს მტერს არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყალი, მზად იყოს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. თავდაცვაში გამოიჩინოს ჩვენი არმიის მებრძოლების დამახასიათებელი შეუპოვრობა და სიმტკიცე, შეტევაში — გამბედაობა, ჯარების სწორი თანამოქმედება, გაბედული მანევრი ბრძოლის ველზე, რაც მოწინააღმდეგის გარშემორტყმითა და მოსპობით თავდება.

4. პარტიზანებმა — კაცებმა და ქალებმა — მძლავრად ურტყან მტრის ზურგს, მიმოსვლის გზებს, სამხედრო საწყობებს, შტაბებს და საწარმოებს, ანგრიონ მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობის ხაზები. მტრის მიერ დაპყრობილ რაიონებში საბჭოთა მოსახლეობის ფართო მასები ჩააბან აქტიურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში და ამით იხსნან საბჭოთა მოქალაქენი გერმანელთა მონებად გარეკისაგან და ჰიტლერელი მხეცების მიერ გაჟლეტისაგან.

ულმობლად იძიონ შური გერმანელ დამპყრობლებზე ჩვენი ცოლებისა და ბავშვების, დედებისა და მამების, ძმებისა და დების სისხლისა და ცრემლებისათვის. მთელი ძალ-ღონით დაეხმარონ წითელ არმიას მის ბრძოლაში საზიზღარ ჰიტლერელ დამმონებელთა წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო!

მტერმა უკვე იგემა შემმუსვრელი ძალა ჩვენი ჯარების დარტყმებისა. ახლოვდება დრო, როცა წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ხერხემალს გადაუმტვრევს ფაშისტ მხეცს.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მამაც წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს გულად პარტიზანებს — კაცებსა და ქალებს!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი
ი. სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია სელვინსკი

ბალადა ლენინიზმზე

ბაღში, ზღვისპირად
    იდგა ლენინი,
ბაღს დაჰნათოდა
    ბრინჯაო მისი...
მთელი ქალაქის
მოსახლეობას
    მეგობარივით
ხვდებოდა დღისით.

იდგა აქ მუდამ
    ზეაწვდილ ხელით, —
მოუწოდებდა
    ერთი გზით ყველას!
და ხალხი, უკვე
    თვალახელილი,
აზრთა სინათლით
    ჰპოებდა შველას...

და ესწრაფოდა
    ხალხი სინათლეს,
გრძნობდა: წარსული
ღამის ნისლია!
გრძნობდა:
    ბრძოლაში
რომ გაიმარჯვა,
რომ მომავალი
    მხოლოდ მისია!

მაგრამ, მე მახსოვს
მტვრიანი დილა! —
მტრის მოთარეშე
    დივიზიები,
გაცამტვერებულ
    ქალაქში ზღვიდან
რომ შემოიჭრენ
    შურისძიებით!...

იყო გერმანულ
    თავისქალათი
თვითონ სიკვდილი
    მტრად მოვლენილი...
დახოცა ხალხი,
დასწვა ქალაქი,
და ბაღში უცებ
    ნახა ლენინი!...

ძეგლთან ამართა
    ბოძები სწრაფად,
ძეგლს მოეხვია
    მავთულის გველი!...
და შემზარავად
    დაეცა დაბლა
ზეამართული
    ლენინის ხელი!...

წაიღეს ძეგლი.
    ბრინჯაოსფერი
ბაღს, მიმორბეულს,
    აღარ ანათებს...
დაუჭერიათ
    სადღაც,
    დასმენით.
და პოლიტხელი
მოჰყავთ ჯალათებს!....

აშოიკვნესა ხალხმა...
    ვაქკაცი
უკვე ბოძებთან
    დგას ფერმიხდილი...
ჭროღა თვალებით,
    ხელში მარყუჟით
ეახლოვდება
    უხმოდ სიკვდილი...

„დე, ამ კვარცხლბეკზე“,
ჰფიქრობს ჯალათი, —
„ძეგლი კი არა
გვამი კაცისა,
მოსჩანდეს
ხალხის დასაშინებლად,
ნიშანი მტრობის
და სიმკაცრისა!“

ყრუდ გადახედა
ჯარს პოლიტხელმა
და უფრო მეტად
გაფითრდა ახლა...
მაგრამ, უეცრივ,
საბედისწეროდ
მარჯვენა ხელი
ამართა მაღლა!

ზეაღსდგა თითქოს
ბრინჯაოს ძეგლი,
უტეხი ძალით
აქ დარჩენილი,
და ახლა ისევ
მტრების წინაშე
ხელამართული
სჩანდა ლენინი...

მან აათრთოლა
სისხლის წვეთივით
დამუნჯებული
კაცთა გულები!...

და ჩუმი ფიცით
უმზერდნენ ლენინს
ვერაგ მტრისაგან
შერისხულნი...

ზღვა კი მღელვარედ
ეხეთქებოდა
მტრისგან დარბეულ
ნაპირებს ბაღთან! —
შისი გოდება,
მისი გუგუნი
ხალხის საერთო
გულისთქმა გახდა!...

თოკს მაინც მაღლა
სწევდა ჯალათი,
და იღრჩობოდა
მარყუჟით ყელი...
მაგრამ, ელავდა
როგორც ბრინჯაო
ზეამართული
მარჯვენა ხელი...

დ. პოლიტხელი
უეცარ სიკვდილს
შეხვდა გმირულად
თვალგახელილი...
ის ერთი წამით
ხალხის წინაშე
კვარცხლბეკზე იდგა,
როგორც ლენინი!..

თარგმანი **ქარლო კალაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჟუჩიშვილი

განახლებულ რაჭას

1.

ბედნიერი ვარ,
    გიმზერ და ვსტკბები —
ფასდაუდები
    მშვენებით შენით!
როს შორს ვიქნები —
    ჩემი ფიქრები
შენსკენ იფრენენ
    უსწრაფეს ფრენით!
იქ დავეშვები,
    სად შენი მთები
ჯარად გარტყია
    გარს დიდებულად;
სად შენი ძენი
    დევ-გმირულ ხმებით
სჭექენ:
    „ქვედრულა მოდიდებულა!“

2.

მხარევ! მახარებს,
    რომ შენს მიწაზე
მოგზაურობდა
    აკაკი ჩვენი —
და შოვისაკენ
    მიმავალ გზაზე
ვიდოდა თურმე
    ბელადი ბრძენი!
მხარევ! შევხარი
    შენს განახლებას,
შენს კოლექტიურ
    ხვავიან დოვლათს,
მშრომელი ხალხის
    ერთსულოვნებას
და მესვეურთა
    მხარში მიყოლას!

3.

ვნახეთ ზვარეთი,
    უწერა, გლოლა,
ვინ მოსთვლის,
    სად არ ვაღამებთ დღეებს;
პირველობისთვის
    შეჰქმნიათ ბრძოლა
მკლავ-მაგარ,
    გულ-მხნე კოლმეურნეებს!
რა დარებია!
    ცის კამარაზე
მზე დარაზმულა,
    ვით ოქროს თეფში;
ბარად ბაღების
    გვხიბლავს სინაზე,
მყინვართ შუქი კი
    თოვლიან მთებში!
შორს მოსჩანს
    ქედი კავკასიონის,
ბუბას, ბროლის მთას,
    გააქვს კაშკაში;
რიონის ღუღუნს
    ქალაქი ონი
ჩაუთვლემია
    ღრმა გულისხმაში!
რა წარმტაცია
    ეს რაჭის გული,
ჩასმული ფერად
    ბუნების ყდაში,
ხალხი, ზრდილობით
    სახელგანთქმული,
ქართლურ სიდინჯით
    ქუდს გვიხდის გზაში!

4.

რა ცვლილებაა,
    რას ვხედავ ამას:
ყველა ძმურ გრძნობით
    შედუღებულა
და შრომის ბეჯითს,
    ნიჭიერს,
    თამამს,
მიჰყავს ცხოვრება
    განახლებულად!
რა ხალისია,
    რა ერიამული,
დიდს თუ პატარას
    უცინის სახე,
ტკბილ მესტვირეთა
    შაირი თქმული
ადიდებს ხალხთა
    ბელადის სახელს!

5.

მიგვაფრენს ავტო!
    მთებს თუ ხერხებს
ხან ძირს ვექცევით,
    ხან კენწეროზე!
ვინ დასთმობს
    ამგვარ სანახაობებს,
მაგრამ ლეჩხუმი
    მოგველის დროზე!

6.

რაჭავ!
    მაგ მთათა ტანახოვნება
და შენთა შვილთა
    სიდარბაისლე —
მთელ სიცოცხლეში
    მემახსოვნება
და გადმოვჰყვები
    ფიქრით შენს ნისლებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია მურომეცი

დედამიწაზე ნედლი მუხა არ განართხულა,
არ განფენილან ძირს ფურცელნი ქაღალდისანი:
მამის ფეხთქვეშე განფენილა ძე მოკრძალებით,
ლოცვა-კურთხევას მშობელს თვისსა ემუდარება:
„ჰოი, ძვირფასო ჩემო მამავ, მშობელო ჩემო!
მივემგზავრები სამეუფო ქალაქ კიევსა,
რომ შევავრდომო თავი ჩემი მთავარს ვლადიმირს
და ვემსახურო მას სიმართლით და ერთგულებით“.
იტყვის ივანე ტიმოთეს-ძე, გლეხი მოხუცი:
„კეთილ საქმისთვის მოგანიჭებ კურთხევას ჩემსას,
ავის ქმნისათვის ვინ გამხდარა კურთხევის ღირსი?“
გამოეთხოვა მას ილია მდაბალ სალამით,
მერე მოახტა ბედაურს თვისსა
და მინდორ-ველად დაადგა გზასა.
გამეტებულად სცემდა ბედაურს,
ტყავი სკდებოდა, კუპრისფერად ხორცი ჩნდებოდა,
და ფიცხი ცხენი განრისხებული
ყალხზე ამდგარი სწყდებოდა მიწას,
ხტებოდა ხეთა წვეროებს ზემოთ
და ცაში ღრუბლებს თითქმის სწვდებოდა.
ტორის ერთ დარტყმით მან გალია თხუთმეტი ვერსი,
მეორე დარტყმით ჭასთან შეჩერდა,
და ჭასთან მოსჭრა მუხა ილიამ,
ჭასთან აღმართა მან სამლოცველო,
ზედ მიაწერა თავისი ხელით:
„ამ გზით ვიდოდა ესა და ეს მძლე ბუმბერაზი,
ვინმე ილია მურომეცი, ძე ივანესი“.
მესამე დარტყმით ჩერნიგოვის ქალაქთან გაჩნდა.
მიდის ილია მურომეცი, ძველი კაზაკი,
მახლობლად ქალაქ ჩერნიგოვისა:
სჩანს შავზე შავად ჩერნიგოვთან მტრის ბნელი ძალა,
სჩანს შავზე შავად, ვითა გუნდი შავი ყორნისა.
ლაღად მიუშვა ბედაური ბუმბერაზული
შესამუსრავად უთვალავი ბნელი ძალისა.
ჰგმირავდა შუბით და სთელავდა მტერს ბედაური;
მალე გასთელა და გაჟლიტა მან იგი ძალა
და მიაღწია ქალაქ ჩერნიგოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ მიეგებნენ მაშინ გლეხნი ჩერნიგოველნი,
ჩერნიგოვისა ალაყაფის გაულეს კარი
და მიიწვიეს ვოევოდად ჩერნიგოვისა.
უთხრა ილიამ სიტყვა ამგვარი:
„ჰეი, თქვენ, გლეხნო ჩერნიგოველნო!
მე არ მოვსულვარ ვოევოდად ჩერნიგოვისა,
მხოლოდ მასწავლეთ თქვენ აქედან გზა პირდაპირი,
გზა პირდაპირი სამეუფო კიევისაკენ“.
ეტყვიან გლეხნი ჩერნიგოველნი:
„ჰეი, მამაცო, ახოვანო დიდო ვაჟკაცო,
წმინდა რუსეთის ბუმბერაზო სახელოვანო!
პირდაპირ არის კიევამდე ხუთასი ვერსი,
ხოლო შემოვლით კი იქნება სრული ათასი.
პირდაპირი გზა ჩაწოლილი ტყით ჩახერგილა,
გზა ჩახერგილა და შამბნარით გადაბურულა.
შიგ ვერ გაატანს თვით რუხი მგელი,
ფრთას ვერ გამართავს შავი ყორანი.
ამბობენ, თითქო იმ „შავ ტალახთან“,
თითქო წაწვენილ იმ არყის ხესთან,
იმ სახელგანთქმულ „მოცხარის წყალთან“
ზის მუხის ღრუში ყაჩაღ-ბულბულა,
ყაჩაღ-ბულბულა ოდიხმანტეს-ძე,
და სტვენს ბულბულა, ვითა ბულბული.
დაიღრიალებს ის მუხთალი, ვითა ნადირი,
ულრანნი ტევრნი მიწის პირზე განირთხმებიან
და რაც ხალხია, ენარცხება უსულოდ მიწას“.
მიუშვა თვისი ბედაური ბუმბერაზული,
გზას პირდაპირსა მურომეცი არ დაერიდა.
ხელში აიღო მან მათრახი წნული ყაჭისა,
გადაუჭირა ცხენს მათრახი მსუქან ფერდებზე,
რათა ერბინა მთელი ძალით დაოთხებულსა.
მაშინ გაქანდა ბედაური ბუმბერაზული,
მთებიდან მთების გადამლახველი,
ბორცვიდან ბორცვზე გადამფრენელი,
და მიირბინა იმ „შავ ტალახთან“,
იმ სახელგანთქმულ წაწვენილ არყთან,
იმ სახელგანთქმულ „მოცხარის წყალთან“.
ამ დროს დასტვინა ავაზაკმა ოდიხმანტეს-ძემ,
ვითა ბულბულმა, სტვენა იწყო ყაჩაღ-ბულბულამ,
ვითა ნადირმა, იმ მუხთალმა დაიღრიალა.
და მყის მიწისკენ დაიდრიკნენ ულრანნი ტევრნი,
რაც ხალხი იყო, დაენარცხა უსულოდ მიწას,
წაიფორხილა ბედაურმაც მურომეცისა.
ცხენს იგი სცემდა მსუქან ფერდებზე,
ცხენს იგი სცემდა და თან ამბობდა:
„ჰაი, შე სამგლევ, თივის ტომარავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ აღარ გსურს ან ვერ შესძელ ტარება ჩემი?
ვხედავ, რომ სტვენა ბულბულისა შენ არ გსმენია,
და არც გსმენია შენ მხეცური იგი ღრიალი,
და არც გიგრძვნია შენ მათრახი ბუმბერაზისა?
რად წაფორხილდი ნეტავი, ძაღლო?"
აქ შეაყენა ბედაური ბუმბერაზული
და მარჯვნივ ავჟანდს ჯავარდნისასა
ძნელმოსაზიდი შეახსნა მშვილდი,
მშვილდზე გამართა ისარი მკვეთრი,
მოზიდა ლარი აბრეშუმისა
და ჯიქურ სტყორცნა ყაჩაღ-ბულბულას.
ყვრიმალიანად ამოსთხარა მარჯვენა თვალი
და ხიდან მიწას დაახეთქა ყაჩაღ-ბულბულა.
ძველმა კაზაკმა ილიამ იგი
მყის გამოაბა მარჯვენა ავჟანდს,
მარჯვენა ავჟანდს ჯავარდნისასა,
და ბედაურით ტრიალ მინდორზე
ყაჩაღ-ბულბულას ბუდისკენ მიჰქრის.
ბუდიდან ჰხედავს მას ნევეია,
ყაჩაღ-ბულბულას უფროსი ქალი.
სთქვა ნევეიამ სიტყვა ამგვარი:
„ამხედრებული ბედაურზე ბუმბერაზისა
ტრიალი მინდვრით ჩვენი მამა მოემგზავრება
და გამობმული ჯავარდნის ავჟანდს
მოჰყავს გლეხუჭა, ვინმე სოფლელი".
ხედავს ნენილა, მეორე ქალი,
და სთქვა ნენილამ სიტყვა ამგვარი:
„ამხედრებული ბედაურზე ბუმბერაზისა
ტრიალი მინდვრით ჩვენი მამა მოემგზავრება
და გამობმული ჯავარდნის ავჟანდს
მოჰყავს გლეხუჭა, ვინმე სოფლელი".
გაჰხედა პელამ, უმცროსმა ქალმა,
პელამ წარმოსთქვა სიტყვა ამგვარი:
„მოემგზავრება ტრიალ მინდორზე
ლაღად გლეხუჭა, ვინმე სოფლელი,
და გამობმული ჯავარდნის ავჟანდს
მოჰყავს მამილო, ხელმწიფე ჩვენი.
ჰე, ქმარნო ჩვენნო, უძვირფასესნო,
ხელში აიღეთ თქვენ ოროლნი მხეცთა მმუსვრელნი,
ტრიალ მინდვრისკენ გამალებით გაეშურენით
და ვინმე სოფლელ გლეხუჭას დასცხეთ".
ყაჩაღ-ბულბულას ზედსიძეებმა
სწრაფად მოავლეს ოროლებს ხელი
და გამოცვივდნენ ტრიალ მინდორზე,
რომ ვინმე სოფლელ გლეხუჭას სცემონ.
შორით გასძახებს მათ ყაჩაღი ოდიხმანტეს-ძე:

„ჰე, საყვარელნო სიძენო ჩემნო!
დაბლა დაუშვით თქვენ ოროლნი მხეცთა მშუსვრელნი
და საბულბულე ჩემს ბუდისკენ წაიყვანეთ,
წმინდა რუსეთის ეს ბუმბერაზი:
მიართვით შაქრის ნამცხვარნი ტკბილნი,
და თაფლნარევნი ასვით სასმელნი,
უძვირფასესი უბოძეთ ჯილდო“.
მაგრამ ილია განერიდა ბულბულას ბუდეს
და მიაშურა სამეუფო ქალაქ კიევსა,
ტკბილს და მოწყალე მთავარს ვლადიმირს.
ვლადიმირ მთავრის ვრცელს ეზოში შედის მხედარი,
შუა ეზოში დააყენა მან ჰუნე თვისი
და გაემართა თეთრ ქვით ნაგებ დარბაზისაკენ.
მაშინ მთავარიც გამობრძანდა წმინდა ტაძრიდან
და სუფრის თავში სკამზე დაბრძანდა,
რათა ეჭამა ნამცხვარნი ტკბილნი
და თაფლნარევნი ესვა სასმელნი.
ქვათეთრ დარბაზში ილია შედის
და, ვით სასახლის წესთა მცოდნე, დარბაისლურად
ოთხივე კუთხივ თაყვანსა სცემს მდაბალ სალამით,
გამოჩინებით კი მთავარსა, თვითონ ვლადიმირს.
მას ეკითხება ვლადიმირი, დიდი მთავარი:
„საიდანა ხარ, ახოვანო, დიდო ვაჟკაცო?
ვაჟკაცო, მითხარ, თუ რა არის შენი სახელი
ან ვისი ძე ხარ, რომ ვიცოდე როგორ მოგმართო?“
უთხრა ილიამ:
„მე ვარ ქალაქ მურომიდანა,
ჩემს სახელოვან სოფელს ჰქვიან კარაჩაროვი.
ჩემი სახელი არის ილია,
მე ვარ ილია მურომეცი, ძე ივანესი“.
შეეკითხება ისევ მთავარი:
„რაც გამოსულხარ მურომიდან, დიდი ხანია,
ან რა გზით მოხველ სამეუფო ქალაქ კიევსა?“
უთხრა ილიამ სიტყვა ამგვარი:
„ქალაქ მურომში მოვისმინე მე ცისკრის ლოცვა,
წირვას მოვუსწარ სამეუფო ქალაქ კიევსა.
მხოლოდ ეს არი, გზაში ოდნავ შემაგვიანდა:
პირდაპირ სავალ გზას დავადექ და მოვდიოდი,
გვერდს ჩავუარე სახელგანთქმულ ქალაქ ჩერნიგოვს,
გვერდს ჩავუარე სახელგანთქმულ „მოცხარის წყალსა“.
უთხრა მთავარმა სიტყვა ამგვარი:
„თვალში მიცქერი და თვალნათლივ დამცინი, გლეხო?!
დგას ჩერნიგოვთან ურჯულოთა ურიცხვი ძალა,
„მოცხარის წყალთან“ ყაჩაღია, ოდიხმანტეს-ძე.
და ჰყეფს ბულბულა ბულბულის დარად,
ბილწი ყაჩაღი გაჰღრიალებს, ვითა ნადირი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა ილიამ სიტყვა ამგვარი:
„დიდო მთავარო, სამეუფო კიევისაო!
შენს ეზოშია ახლა იგი ყაჩაღ-ბულბულა,
მყავს გამობმული მარჯვნივ ავეანდს ჯავარდნისაგან,
მაშინ მთავარი სამეუფო ქალაქ კიევის
განცვიფრებული მკვირცხლად ფეხზე წამოიმართა,
ცალ ბეჭზე ფიცხლავ წამოისხა ქურქი კვერნისა,
ცალ ყურზე ქუდი მოიქცია სიასამურის
და, ვრცელს ეზოში რომ გაბრძანდა აჩქარებული,
ყაჩაღ-ბულბულას მიუახლოვდა,
უთხრა ბულბულას სიტყვა ამგვარი:
„ჰეი დასტვინე შენ, ბულბულავ, ვითა ბულბულმა,
ჰეი, ვერაგო, აღრიალდი, ვითა ნადირი!“
მთავარს ვლადიმირს ეტყვის ბულბულა:
„დიდო მთავარო სამეუფო კიევისაო!
მე მეინახედ შენს ტრაპეზზე არ ვარ წვეული,
არც მიფიქრია აღსრულება შენი ბრძანების.
მე ძველ კაზაკთან მურომეცთან ვნადიმობ დღესა,
და სურვილი მაქვს აღვასრულო ბრძანება მისი“.
ეტყვის მურომეცს დიდი მთავარი:
„ეჰა, ილია მურომეცო, ძველო კაზაკო!
ერთი უბრძანე, რომ დაჰყეფოს ბულბულის დარად,
ერთი უბრძანე, აღრიალდეს, ვითა ნადირი!“
ყაჩაღ ბულბულას ეტყვის ილია:
„ჰეი, დასტვინე შენ, ბულბულავ, ბულბულის დარად,
ჰეი, ბულბულავ, ნადირივით მორთე ღრიალი!“
ეტყვის მურომეცს ყაჩაღ-ბულბულა:
„ეჰა, ილია მურომეცო, ძველო კაზაკო!
ღრმად აღმბეჭდვიან ჭრილობები სისხლიანები
და ჩემს ტკბილ ბაგეთ აღარ ძალუძთ ხმის ამოღება,
არ შემიძლიან, რომ ვისტვინო ბულბულის დარად,
არ შემიძლიან ავღრიალდე, ვითა ნადირი“.
მთავარს ვლადიმირს ეტყვის ილია:
„დეე, აღავსეთ თქვენ არაყით ერთი ფიალა,
განა პატარა, — გამოვიდეს კასრნახევარი,
არაყში თაფლი შეაზავეთ თქვენ გოლეული
და მიაწოდეთ ეგ სასმისი ყაჩაღ-ბულბულას.
გაიხსნებიან მაშინ მისნი შაქრის ბაგენი
და მყისვე დაჰყეფს ბულბულის დარად,
ვითა ნადირი აღრიალდება“.
დიდმა მთავარმა სამეუფო კიევისამან
ქვათეთრ დარბაზში აჩქარებით შესვლა ინება,
ქვათეთრ დარბაზში მან აღავსო არაყით სასმისი.
განა პატარა — ჩაეტია კასრნახევარი.
არაყში თაფლი შეაზავა მან გოლეული
და მიაწოდა ყაჩაღ-ბულბულას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაჩაღ-ბულბულამ ოდიხმანტეს-ძემ
სავსე სასმისი ჩამოართვა მას ერთი ხელით,
ერთ სულის მოთქმით გამოსცალა იგი ფიალა.
ყაჩაღ-ბულბულას უთხრა ილიამ:
„მხოლოდ ნახევარ ხმით დასტვინე ბულბულის დარად,
მხოლოდ ნახევარ ხმით მხეცივით დაიღრიალე“.
მაშინ ბულბულამ დაუსტვინა ბულბულის დარად,
ვითა ნადირმა, იმ მუხთალმა დაიღრიალა,
და იმ ხმისაგან, ბულბულისებრ დასტვენისაგან,
და იმ ხმისაგან, ნადირისებრ ღრიალისაგან,
უცებ მიწისკენ დაიდრიკნენ უღრანნი ტევრნი,
კოშკებზე წვერნი გადიგრიხნენ გუმბათისანი,
ბროლის ჩარჩონი სარკმლებისა ჩამოილეწნენ,
რაც ხალხი იყო, დაენარცხა უსულოდ მიწას
და თვით მთავარი სამეუფო ქალაქ კიევის
ქურქში კვერნისა ეხვეოდა გაფითრებული.
არ მოეწონა ეს ამბავი მამაც მურომეცს,
მკვირცხლად მოახტა მურომეცი ბედაურს თვისას,
და რომ გავიდა ტრიალ მინდორზე,
მოსჭრა ბულბულას მშფოთვარე თავი.

თარგმანი **დავით გაჩეჩილაძისა**

Библиотека
Тбилисский Филиал
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)
3961
44519

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფრიდოგია ვნებისა

ვერტერისადმი

ბევრგზის ნაგლოვო, ოი ლანდო, სწორო გულისა,
დღის სინათლეზე გამოჩენას შენ ისევ ბედავ.
ფერად წალკოტში აყვავებულ გაზაფხულისა
შემხვდები ხოლმე და სიამით კვლავ შემომხედავ.
მე მაგონდება რიჟრაჟები ფირუზ ზეცისა,
სადაც გვალხენდა სპეტაკ რთვილით აღსავსე ველი,
და შემდეგ — შრომის სიმძიმეში გალეულ დღისა —
ჩამავალი მზის ელვარება უკანასკნელი.
მე კვლავ აქა ვარ, შენ კი გერგო შავი სამარე.
არ დაგიკარგავს ადრე წასვლით აქ ბევრი რამე.

*

რარიგ წარმტაცად მოსჩანს ხვედრი ადამიანის,
დიდებულია მშვიდი ღამე და დღე მზიანი.
სამოთხისებურ ნეტარების ჟამს გაჩენილნი,
ძლივსღა ვახერხებთ ვიგრძნოთ მზეში სიამე ტკბილი, —
და ბრძოლის ცეცხლი უეცარი ჩვენ გვანთებს ყველას,
ვებრძვით გარემოს და საკუთარ თავს უზოგველად.
ურთერთს ვერასდროს შეავსებენ ისინი, მჯერა,
როს შიგნით ბრწყინავს, მაშინ გარეთ საშინლად ბნელა.
ნათელ გარემოს ვეღარ ხედავს ჩამქრალი მზერა,
და ვერ ვცნობილობთ, როს თავს გვადგას თვით ბედისწერა.

*

ხშირად გვგონია, შევიცანით თითქოს იღბალი,
შეგვიპყრობს ძლიერ სიყვარულით კეკლუცი ქალი.
და აენთება მიჯნურ ჭაბუკს სიამით გული,
შეჰხარის დღეებს გაზაფხულის, თვით გაზაფხული.
ვინ აღძრა მასში საოცარი ეს გრძნობა მწველი?
არეს სჭვრეტს და სწამს — მისი არის ქვეყანა მთელი.
შორ სივრცეებში მისი სული მიილტვის ლხენით,
ვერ ავიწროებს მას კედლები, ვერც სასახლენი.
როგორც ფრინველნი სწრაფად მფრენნი მთასა და ბარად,
საყვარლის ხილვით ხელადქმნილი ის ბორგავს მარად.
სცილდება ეთერს, კვლავ დაეძებს ტრფობით გზნებული,
უნაზეს თვალებს, მისი ეშხით დატყვევებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

მოულოდნელად ფრთებს უბორკავს ვაჟს განსაცდელი,
სამკვიდრებელად ენიჭება საკანი ბნელი.
კვალად სურს შეყრა, განშორების ზარავს ვარამი,
გრძნობს ნეტარებას მასთან ყოფნის ყოველი წამით.
ხილვის ლოდინში წუთებივით მიჰქრიან წელნი,
ბედითად ელის მას:—„მშვიდობით"—უკანასკნელი.

*

შენ იღიმები, მეგობარო, და გრძნობად ღვივი,
შავმა სიკვდილმა შენ შეგმოსა დიდების სხივით.
ზეიმად გვექცა გაყრის წამი, ცრემლებით სველი,
ბედნიერების და ვაების გამომხატველი.
წახველ, დაგვტოვე მაძებარნი იდუმალ გზების,
ლაბირინტებში მოარულნი მაცთური ვნების.

*

და კვალდაბნეულთ ბილიკთ შორის, ნისლიან დილით,
წილად გვხვდა გაყრა და გაყრა ხომ არის სიკვდილი!
ჩანგს აწკრიალებს გულსაკლავად მგოსანი ბრძენი,
სიკვდილისაგან თავდახსნის ჰანგს მარადჟამს მღერის.
ეძიებს ხსნასა, მტანჯველ ფიქრით გარემოცული,
ღმერთმა უშველოს, ათქმევინოს ზრახვანი გულის!

ელეგია

„და თუმცა კაცი წამებაში მუნჯია ხოლმე,
ღმერთმა მომმადლა ჩემი ტანჯვის აღიარება".

კვალად შეხვედრით სანუგეშო რაღა მომელის,
ჩემთვის გაუშლელ ვარდის ხილვა რა ბედი არის?
სულო, იჭვებით დასერილო, გახდი მგლოველი,
ხსნილია შენთვის დილეგის და სამოთხის კარი,
და სიყვარული, აჟღერილი მზის უკვდავებით,
ზეცისკენ გიწვევს, გელოდება გაშლილ მკლავებით.

*

შენ უკვე იყავ სამოთხეში და გწამდა მაშინ,
თითქოს მართლა ხარ მშვენიერი ცხოვრების ღირსი,
იმედი, ზრახვა აღარ დარჩა შენს გულისთქმაში,
ჰპოვე მიზანი უაღრესი და მარადისი.
და იმ ერთადერთ მშვენებისა მჭვრეტელსა თვალებს —
შეაშრნენ ცრემლნი გულისმკვლელნი, მჩქეფარნი ღვარებრ.

*

როგორ არხევდა ფარფატა ფრთებს დიადი ქამი
და მიაფრენდა ნეტარებით ანთებულ წამებს.
საღამოს კოცნა, ერთგულების ნაზი ნიშანი,
მეორე დღისთვის აღგვითქვამდა ახალ სიამეს.
სრბოლაში წუთნი ურთერთს ჰგვანდნენ, ვით ტყუპნი დანი,
თუმც მრავალფერი იყო ეშხით ყველა მათგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელმა კოცნამ — ვიგრძენ მოულოდნელად —
გასწყვიტა ხლართი სანეტარო და ურღვეველი,
და განვეშორე იმა ადგილს, გავიჭერ ველად —
თითქოს მომდევდა ქერუბიმი ცეცხლისმფრქვეველი.
დაბნელებულ გზას დავაკვირდი, შემკრთალმა წყენით
უკან გავხედე — დახშულიყო დარბაზის ბჭენი.

*

დაიხშო გული, ჩაიფერფლა ხსოვნა სათუთი,
თითქოს არასდროს გახსნილიყოს იგი ალერსით,
მის გვერდით როცა ციმციმებდა ნეტარი წუთი,
მაღალი ზეცის ვარსკვლავებზე უბრწყინვალესი.
და სინანულის, სიმძიმილის გახდა მფლობელი,
ხუთავს გარემო, იმედების დამამხობელი.

*

განა სამყარო დავიწროვდა? კლდისა მწვერვალებს
ნუ თუ გვირგვინად თავს არ ადგას წმინდა ლანდები?
ნუთუ პური კვლავ არ მწიფდება და ველებს მწვანეს
არ რწყავს ჩ ნჩქერი და არ ხარობს ია-ვარდები?
განა ცარგვალი არ დაჰყურებს მიდამოს კვალად,
ხან ლრუბლიანი, ხან სპეტაკი ფირუზის დარად?

*

უმსუბუქესი სამოსელის ნელი შრიალით,
ვით სერაფიმი ზეციური, ლამაზ ფრთოსანი,
მწვანე ეთერში მოლივლივე და მოცქრიალე,
ჰაეროვანი ხატება რამ თვალსხივოსანი, —
ის ფარფატებდა ასულთ შორის, მფრქვეველი ეშხის,
ყველაზე მეტად უტურფესი, უსაყვარლესი

*

და წამიერად სულს იტაცებს ჩვენება, ვინაც
თვალს ელანდება, ჰაეროვან ფრთების ცახცახით,
მაგრამ გულში კი ვერასოდეს იპოვის ბინას,
სად უკვე ცხოვრობს საყვარელი ათასგვარ სახით.
იგი, მშვენება ერთადერთი, მარად ფერს იცვლის
და ამით უფრო წარმტაცია სახელი მისი.

*

მახსოვს ჭიშკარი საოცნებო და სანატრელი,
სადაც მრავალჯერ მოვხიბლულვარ მწველი ალერსით,
გამოთხოვების საზარელ წამს უკანასკნელი
მკერდს ჩაკონება და ამბორი უმხურვალესი.
მარად იცოცხლებს გულში მისი იერი ტკბილი,
ცეცხლით ელვარე ასოებით ლრმად აღბეჭდილი,

*

გულში, რომელიც, ვით კედელი ქონგურიანი,
ინახავს მტკიცედ მის სიყვარულს, ყოფნის სიმბოლოდ

იგია მისი სასოების სხივი მზიანი,
სატრფოს თვალებში საკუთარ თავს ცნობილობს მხოლოდ.
და ამ საყვარელ ჩარჩოებში მოთავსებული
მისთვის ფეთქს მარად სიხარულის ალით გზნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ტრფიალის ნიჭი და სანაცვლო გრძნობა ცხოველი
დიდიხანია ობოლ სულში გაჰქრა მთლიანად.
მაგრამ სავსეა სიყვარულით ზრახვა ყოველი
და ძნელ საქმეებს ვეჭიდები იმედიანად.
თუ რა ძალა აქვს მიჯნურ ვაჟკაცს, დაგავს რა ალი —
საკუთარ თავზე გამოვცადე, ღრმად შევიცანი.

*

მისი წყალობით აჰ, ჩემს სხეულს და სულს ნაწვალებს
როგორ ხუთავდა შიშის ელდა, აღსავსე გესლით,
აუტანელი ჩვენებანი მიხშობდნენ თვალებს
და ბატონობდნენ გამოფიტულ გულის სიღრმეში,
მაგრამ იმედმა გაიელვა, გაჰფანტა ჩრდილი, —
და თვით მეწვია სიხარული, სხივით მოსილი.

*

რა შეედრება ტრფობით შობილ მშვიდობას, მართალს,
როს საყვარელის სიახლოვით მოელი ალერსს, —
თვით უფლის მიერ ბოძებული მშვიდობის გარდა,
რაც გონებაზე უფრო მეტად სულს აბრწყინვალებს.
შვებით სძგერს გული, მღელვარება ფიქრს აღარ სერავს,
საყვარლისადმი ერთგულება ნამდვილად სჯერა.

*

ჩემში იზრდება მისწრაფება სულის მფლობელი
მისდამი, რაიც უთქმელია კვლავ დასაბამით.
ვისწრაფი მივწვდე და შევიცნო შეუცნობელი,
მას ვეკუთვნოდე, მისი გავხდე მარტოდენ წამით.
ეს არის თვითონ სათნოება და მთელი გულით
მე მას განვიცდი, როს შევცქერი გახარებული.

*

მისი თვალები, ვითარცა მზე, სხივებით სავსე,
და მისი სუნთქვა გაზაფხულის სიოს სადარი, —
თვითმოთნეობას მყისვე ადნობს და ფერფლად აქცევს,
ბნელ სამარეში ყინვადქცეულს სასტიკი ქარით.
და ჰქრება ტლანქი თვითნებობა, თნების მზრახველი,
ის გამოჩნდება — სამარდება მისი სახელი.

*

და იგი თითქოს ასე ამბობს: „სიცოცხლის გზნებას
მხოლოდ წუთობით გვთავაზობს აქ ბედი მალული,
გუშინდელისგან ჩვენს ხსოვნაში მცირე რამ რჩება,
ხვალინდელი დღის შეცნობა კი გვაქვს აკრძალული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თუ საღამო შიშის ლანდებს შემომისევდა, —
ჩამავალი მზე გულს სიამით მაინც მივსებდა.

*

იყავი ჩემებრ გონიერი, ხალისიანი,
წამიერებას გაუსწორე იმედით თვალი,
ისწრაფე მისკენ, როს გათრთოლებს ცეცხლი ტრფიალის,
გეძახის საქმე და სიამე გფლობს იდუმალი.
ჰხამს იყვე მარად ლაღი ყრმობის სხივთა მფრქვეველი,
ასე გახდები მედგარი და დაუძლეველი!"

*

მე გავიფიქრე: ეს ხომ შენთვის არ არის ძნელი,
წამიერების ნიჭით ღმერთმა ვინც დაგამშვენა,
შენს სიახლოვეს ხორცშესხმული სული ყოველი
ბედნიერია და განიცდის უაღრეს ლხენას.
ოჰ, რარიგ მზარავს განშორების წუთები კრული,
მე ვერ მიშველის ქადაგება ესოდენ ბრძნული.

*

უკვე დაგტოვე და მაწამებს ფიქრი ფრთამალი,
რა ვქნა მე ახლა, რა ვიღონო, ვუხმო რა იმედს?
თუმცა ჩემს ხვედრში მშვენიერი ბევრი რამ არი,
მაგრამ არ ძალმიძს დიდხანს ვზიდო ეგ ტვირთი მძიმე.
მოუთმენელად მაწრიალებს ოცნება მტკნარი,
ხსნა არსაით ჩანს, თვალს ასველებს ცრემლების ღვარი.

*

იდინეთ, ცრემლნო, დაუცხრომლად, აზვირთდით ჩქერად,
მაინც ვერ ჩაჰკლავთ შინაგანი ალმურის ღელვას,
აუტანელი სატანჯველი გულს მძაფრად სერავს,
ებრძვის სიკვდილი ნორჩ სიცოცხლეს დაუზოგველად.
დე განიკურნოს თუნდ სხეული, სევდით დამზრალი,
ვაგლახ, სულში კი ნებისყოფის არ დარჩა კვალი!

*

არ ძალმიძს მივხვდე, ნუთუ ტურფა, აწ სანატრელი,
სამარადისოდ დამეკარგა, არ დაბრუნდება?
საყვარლის სახეს მხოლოდ ფიქრი მოუხმობს, ელის,
იგი გვიანობს, წუთით ჩნდება და მყისვე ჰქრება.
მაგრამ როგორლა მანუგეშებს სიცოცხლის მძრახველს
მარტოდენ ფიქრით დანახული საყვარლის სახე!

*

ო, მეგობარნო, ამ კლდის ძირას დამტოვეთ მარტო,
სად ჭაობია და ვერ ხარობს ყვავილი ველის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაშლილია თქვენს წინაშე მთაბარი ფართო
და დიდებული ცის ტატნობი, თვალუწვდენელი.
განსჭვრიტეთ იგი. დააკვირდით ფხიზელი თვალით,
იდუმალება ბუნებისა გამოიცანით.

*

დავკარგე თავი, განვიძარცვე, ღვთისგან რჩეული,
ვისგანაც ვიყავ სახიფათო ნიჭით ცხებული,
მან მე პანდორა მომივლინა, სული გრძნეული,
სიკეთისა და მაცთურობის ხატება სრული.
მანვე მიმგვარა საყვარელის კურთხეულ ტუჩებს,
და აჰა, ბედთან განშორებით ის მღუპავს უკვე!

შერიგება

ვნებას თან მოაქვს სატანჯველი! ვინ დაამშვიდებს
აღელვებულ გულს, დღეთა სვლაში დამკარგველს ბევრის?
სადღა არიან ის წუთები, უკვე გაფრინდნენ,
ვაგლახ, ამაოდ დამნათოდა მშვენება მწველი.
დამწუხრებულ სულს ალმაფრენის ჩაუქრა ცეცხლი,
ფიქრს არ იტაცებს კვლავ სამყარო უდიადესი.

*

ამ დროს მოისმის, ვით სერაფიმთ ფრთების შრიალი,
უამრავ ჰანგთა მომხიბვლელი ბგერა ციური,
მწუხარე სული იმსჭვალება იდუმალ ძალით
და ეუფლება მას მშვენება მარადიული.
იშვება წუთი და შეიცნობს სოველი თვალი
ღვთაებრივობას ცრემლისა და სიმთა წკრიალის.

*

გულს მოეშვება, სასოების ხდება მფლობელი,
გრძნობს, ისევ ფეთქავს, და ახალი სიცოცხლე სჯერა,
დიად ძღვენისთვის კმაყოფილი და მადლობელი
მზად არის მყისვე გაიწიროს, შესწყვიტოს ძგერა.
ნუმც მოჰკლებოდეს კვლავ ორმაგი სიამე სრული:
ბედნიერება ტკბილ ჰანგების და სიყვარულის.

თარგმანი გერმანულიდან
ხარიტონ ვარდოშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

მე ისევ შევსცქერი მზეს

ფრონტისაკენ მიმავალი რა ხარბად ვაკვირდებოდი ყველაფერს. მსურდა ყველაფერი აღმებეჭდა მეხსიერებაში, ხარბად მესუნთქა ნაძვნარის სუფთა ჰაერი, გულში ჩამეკრა ყვავილების კონები, ნარინჯოვანი ბაღების თვალმზიდი მიდამოები, ჩემი მიწის ხვავი და ბარაქა.

მსურდა მეცქირნა მთების მწვანისთვის და დავმტკბარიყავ ამ მწვანით, მეცქირნა რძის ქაფად ქცეული მდინარეებისა და ნაკადულების შხუილისათვის.

ეხლა, აი ეხლა, ყველაზე მწვავედ განვიცდი სამშობლოს განშორების უფაქიზეს გრძნობებს.

ვშორდებოდი ჩემს მშობლიურ კუთხეს, ჩემს სამშობლოს, მაგრამ განშორების ტკივილებს ფარავდა მხოლოდ ერთი გრძნობა:

ვშორდებოდი სამშობლოს სამშობლოსათვის საბრძოლველად, სამშობლოს მტრების გასანადგურებლად. ეს გრძნობა ძალას, სიმხნევეს, გაბედულებას მმატებდა.

აი ის:

ჩემი ნინო, ჩემი ნინიკო მაშინ გვერდით მედგა და მიყურებდა ჯიუტად. თვალს არ მაშორებდა.

იყო გარინდული, მდუმარე, განშორების გამო მღელვარებისაგან თავშეკავებული, მაგრამ თვალი ხშირად ცრემლით ევსებოდა.

დიაღ, დავაკვირდი და ვნახე, თუ როგორ ევსებოდა თვალის უპეები ცრემლის კრიალა წვეთებით, და თავი დაბლა რომ დახარა, ვნახე, როგორ მოსწყდა წამწამებს ცრემლის წვეთი და ხელზე დამეცა.

— ეს რა არის? არ გრცხვენიან? — მივუალერსე. — ცრემლებით მისტუმრებ? ცოცხალი ვარ და დამტირი? არა, მე ამას შენგან არ მოველოდი! ნუ, ნუ, ჩემო ნინიკო, ნუ, გენაცვალე! შენ უფრო მტკიცე მეგონე!

ამ სიტყვებზე ნინიკომ პირდაპირ შემომხედა და ოდნავ გაიღიმა.

— არა, ჩემო ბონდო, არა! ეს ცრემლები ტირილის ნიშანი როდია? სატირელი აბა შენ რა უნდა გქონდეს? განა მე ის არ ვიცი, რომ ცრემლი აქ უადგილოა. მაგრამ მაინც უნდა გითხრა, სიყვარულმა, დიაღ, შენმა სიყვარულმა, ჩემო ბონდო, ვიდრე ოდესმე, გული დამიღრღნა, უფრო მწვავედ განმაცდევინა ის სიძლიერე, რომელიც თურმე სიყვარულში ზოგჯერ არც ისეა გამოვლინებული.

ვიცი, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ გამშორდები, ჩემთან არ იქნები. შევხვდებით კი ერთმანეთს? ან როდის? სად? ვინ იცის? მეც ხომ ადამიანი ვარ და გრძნობები მაქვს. ვინ დამძრახავს იმისთვის, რომ შენმა განშორებამ ძილგატეხილი ღამეების მწარე ფიქრები დამასიოს?

ვიცი, შენ მარტო მე არ მეკუთვნი. შენი სიცოცხლე მარტო მე არ მეკუთვნის.

განა, მე არ ვიცი ეს?

ჩემს სიყვარულზე უფრო მაღლა დგას სამშობლოს სიყვარული. განა მე არ ვიცი ან არა ვგრძნობ, რომ უპირველეს ყოვლისა სამშობლოს უნდა ვენაცვალოთ, უსამშობლოდ არც ჩვენი ყოფნა, არც ჩვენი სიყვარული არ იქნება ბედნიერი, მაგრამ შენი წასვლის გამო მხარმოტეხილივით ვგრძნობ თავს.

მისაყვედურებ, იცრემლებიო.

მერე რატომ გწყინს ეს? სიკვდილთან საბრძოლველად მიდიხარ და ბედმა რომ არ გიმუხთლოს, არ უნდა ვიფიქრო? თუმცა ჩემი ფიქრი შენ რას გიშველის, მხოლოდ მე მომიოხებს გულს, დიაღ.

ნინო, ჩემი ნინიკო, ამ სიტყვებთან ერთად მხურვალედ მომეკრა.

სადგურზე ზღვა ხალხში იდგა იგი და მოთენთილი, განშორების გამო გონება-აფორიაქებული მისწორებდა თვალებს, თითქოს ცდილობდა ჩემში გაბედულება ჩაენერგა, მაგრამ როდესაც ორთქლმავალმა შეჰკივლა, მატარებელი წასასვლელად გაემზადა, ხალხი შეინძრა, გამომშვიდობების ტკბილი სიტყვებით აივსო არე-მარე...

და:

ბაქანს ნელ-ნელა რომ დავშორდი, ვნახე ნინიკომ თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა.

ცრემლებს იწმენდს? ნუთუ ისევ იმას ფიქრობს, რომ ძნელია ჩემი დაბრუნება, ძნელია ცოცხალი მნახოს?

ეს წუთები დაუვიწყარია ჩემთვის.

მას შემდეგ წელიწადმა და ხუთმა თვემ განვლო.

წელიწადსა და ხუთ თვეს დღე და ღამ ბრძოლის ქარცეცხლში ვიყავი, მაგრამ სიკვდილის არასოდეს არ შემშინებია, არასოდეს არ განმიცდია შიში.

მინდვრად, სანგრებში, წყალსა და თოვლში ღამის ტეხვა, მუდამ ფხიზლად ყოფნა, სიკვდილთან პირისპირ შებრძოლება ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებად იქცა ჩემთვის.

ამ ყოველდღიურობას შევეჩვიე. ჩემი წყნარი და მშვიდი ცხოვრება გააფთრებული ბრძოლების ცხოვრებად შეიცვალა.

და აი:

თითქოს ეს გუშინ, რამდენიმე საათის წინათ მომხდარიყოს, ისე ცოცხლად მიდგას თვალწინ ყველაფერი.

ან რა დამავიწყებს მას, რადგან თვითონ დამასვა მან დაუვიწყარი კვალი.

მთელ დღეს ღელავდა ზღვა.

ჩვენი მებრძოლებიც ამ ზღვასავით ღელავდნენ.

ზღვა, შავი, ნისლიანი, საშიში, დორბლმორეული საშინლად ღრიალებდა საღამომდე. ჩამოშლილ ნისლში შემოწვა ღამის ბინდი.

ამას ველოდით.

ვაკაცურად უნდა შევდგომოდით საბრძოლო დავალების შესრულებას და შევუდექით კიდევაც.

ღამით აღელვებული ზღვის ტალღებზე ვქანაობდით.

დიდხანს მოვუნდით გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემბანის ქვემოთ ველური ხმაურით რომ ღრიალებდნენ დამსხვრეული ტალღები, სიკვდილის შავი აჩრდილების ძრწოლვას გვაგონებდნენ. მაგრამ გულს ერთი წუთითაც არ მიჰკარებია სიკვდილის შიში.

პატარა ხომალდები ცქიმურებივით გაიჭრნენ წინ.

მალე შავი ზღვის შავი სივრციდან ჩვენმა გემებმა ცეცხლი გააჩაღეს.

ხომალდები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ნაპირს, ხოლო მოშორებით კრეისერები კვლავ აყრიდნენ ყუმბარებს გამაგრებულ ნაპირებს.

ზარბაზნების გუგუნი ზღვის ბობოქრობას უერთდებოდა. ზღვა თითქოს ცეცხლოვან თვალებს აბრიალებდა ამ შავად ჩამოწოლილ ბნელ სივრცეში.

აი უკვე გარკვევით გამოჩნდა ნაპირი, ნაგებობათა შავი სილუეტი.

რა აღფრთოვანება, რა საბრძოლო ყიჟინა იყო.

გადავსხედით ნავებზე.

ერთიანად გავიწუწენით, თითქოს სიბნელიდან ვილაც სარიოშით გვასხამდა წყალს.

და აი:

ფეხი მიწაზე დავდგი.

დარჩა უკან ალქატივით მოქანავე ნავი, ზღვის ქაფშერეული ტალღების სრბოლვა.

ნაპირზე ვილაც კვნესოდა.

დავაკვირდი, თითქოს ფილენჯი შეჰყროდეს, ისე მოგრეხილიყო და სიკვდილს ებრძოდა.

სჩანს ჩვენს ტყვიებს უმუშავნიათ.

მე წინ გავიჭერი.

აი აქ იყო მტრის სანაპირო ბატარია, რომელიც განუწყვეტლივ უშენდა ჩვენს ხომალდებს. უნდა მოისპოს იგი.

დრო არ ითმენდა.

მივხოხდი.

ერთხელ კიდევ შევათვალიერე და:

ზედიზედ ვტყორცნე ხელყუმბარები.

შევნიშნე, როგორ აფეთქდა ბატარია, მაგრამ... თვალწინ ალივით აპრიალდა რაღაც, მერე ლურჯად გაბზინდა, სახეზე ხელი ვიტაცე, ვიგრძენი საშინელი ტკივილი...

*
* *

გონს რომ მოვედი, ირგვლივ საშინელი მყუდროება იდგა.

არავითარი ხმაური, არავითარი გაშრიალება.

სამარისებური დუმილი დასადგურებულიყო.

ვერ მივხვდი, სად ვიყავი.

თვალს ვერ ვახელდი.

ბნელოდა. ბნელოდა ისე, როგორც იმ ღამეს შავი ზღვის აბობოქრებულ ტალღებზე.

ვერ მოვითმინე და წამოვიძახე:

— ჰეი! ადამიანი არავინ არის? რატომ არ ისმის ადამიანის ხმა? სად ვარ? ძახილზე შუბლთან ტკივილი ვიგრძენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წუთს შემომესმა ქალის დამამშვიდებელი ხმა:

— ნუ შფოთავთ, ეს განმანაწილებელი პუნქტია: მანქანას ვუცდით და ამ წუთში წაგიყვანთ აქედან.

გამოვერკვიე.

ეხლა პირველად ვიგრძენი, რა უბედურება მომსვლია.

სახეზე სამი ჭრილობა მქონდა, მაგრამ თვალები? თვალები?

მე სიკვდილს ვებრძოდი, ცოცხალი ვარ, მაგრამ ნუთუ მაჯობა სიკვდილმა? სიკვდილი ჩაჯდა ჩემს თვალებში და ღრღნის თვალის სინათლეს.

პირველად, დიაღ, პირველად რომ მოვედი გონს, მხოლოდ მაშინ გავიგონე შფოთვისა და ურვის მომგვრელი სიტყვები:

— საწყალი! იმედი აღარ არის სინათლე დაუბრუნდეს. ეჰ, როგორ დაიტანჯება მთელ თავის სიცოცხლეში!

ამ სიტყვებმა გული დამიკოდეს.

— რაო? რა სთქვით? მითხარით, ვინ არის ასეთი ბოროტი? — ვერ მოვითმინე და წამოვიძახე. — რაო? რა სთქვით? წამოგცდათ, თუ მართალს ამბობთ? მართლა უიმედოა ჩემი საქმე? მითხარით, ვინა ხართ?

მაგრამ...

გაჰქრა მწარე სიტყვების მთქმელი.

ვიღაცამ მაგრა დაუცაცხანა. მე ვიგრძენი ეს, თუმცა ჩურჩულით იყო ნათქვამი.

დიაღ, ეხლაც კი მახსოვს, მაგრამ ჯანდაბას იქით მისი თავი!

ის ხმა აღარ განმეორებულა.

მართალი გითხრათ, მაშინ ვიგრძენი, თუ რას ნიშნავდა უიმედო სიტყვა, თუ რა მძიმე იყო იგი. ალბათ, ასეთივე იქნება იგი ყველასათვის.

გული მტკივნეულად აიტაცებს უიმედო სიტყვებს და გართმევს სიმშვიდეს.

ასე მომივიდა მეც.

*
* *

ბნელა ირგვლივ.

სიბნელის ნისლშია გახვეული ჩემი სამშობლოს მთები, ველები, ნაცნობი სივრცე.

მხოლოდ ნათელი მოგონება, ფრონტისაკენ წასვლის წინ გულდაგულ მიღებული შთაბეჭდილება ჩამრჩა წარმოდგენაში და ის მიხარებს გულს, მიღვივებს იმედის ნაპერწკლებს.

ვნახავ, კვლავ ვნახავ ჩემი სამშობლოს სახეს.

ფუჭი ოცნებაა! — ჩამძახის სული ბოროტი.

სიკვდილის ბნელი ჩრდილები რომ ჩაწვნენ და ჩამიბნელეს თვალები, როგორღა შემიძლიან შევცქეროდე ქვეყანას?

„იმედი აღარ არის სინათლე დაუბრუნდეს. ეჰ, როგორ დაიტანჯება მთელ თავის სიცოცხლეში!“

ერთი წუთითაც არ მასვენებს ამ უიმედო სიტყვების მთქმელის ბოროტი ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც:

რას ჩამციებია ეს ბოროტი სული?

მაინც:

რად არ მცილდება იგი მე?

და მერე იცით, რა შემაძრწუნებლად ხითხითებს იგი ამ სიბნელეში?

— მორჩა, გათავდა! ერთ დროს სივრცეებს სძლევდი, ეხლა კი ადგილიდან ვერ იძვრი. ჰა, ჰა, ჰა! რა ბედენაა!—ჩამძახის გულის გასახეთქად.—თავი უნდა მოიკლა, თავი: სიცოცხლეში სიკვდილზე უარესი არაფერია, შენ ცოცხალი ხარ და სიკვდილმა გძლია!

მინდა დავუყვირო:

— გამცილდი, გამშორდი, სულო ბოროტო!

მინდა ყელში ვწვდე, საკუთარი ხელებით მოვახრჩო, მაგრამ რა ვქნა, მას ვერ ვხედავ, და იგი უფრო ეუფლება ჩემს სულს, ჩემს სხეულს, ქურდულად, სასიკვდილოდ.

და თუ ასეა, მითხარით, არ დამიმალოთ.

ვის ვუნდივარ მე?

*

* *

მინახავს მომაკვდავის ფერმკრთალი და მთრთოლვარე სახე.

ნინიკოსაც ექნება ფერმკრთალი და მთრთოლვარე სახე, მაგრამ არა იმიტომ, რომ სიკვდილის პირზე იყოს მისული, არა!

ჩემის ნახვით იგი შეძრწუნდება და სამუდამოდ შემიძულებს, დიაღ, სამუდამოდ.

სინანული და სიბრალული აათრთოლებს მას.

სამუდამოდ შეძულების გრძნობა მხოლოდ იმ წუთებში ფერმკრთალს გახდის.

ფერმკრთალს გახდის იმიტომ, რომ სიყვარულის გრძნობა გულს მაინც დაუკოდავს, აი ისე, როგორც მე დამიკოდა ასე მტკივნეულად.

მაგრამ...

გაივლიან დღეები და:

და მის მეხსიერებაში მხოლოდ გულცივ მოგონებად თუ დარჩება ჩემი სიყვარული.

ის სხვაგვარი, განახლებული გრძნობებით დაიწყებს ბედნიერების ძებნას.

ახალ სატრფოსადმი შეუცნობელი თაყვანისცემა და ჩემდამი სიძულვილის გრძნობა შეუმჩნევლად შებოჭავენ მას.

მე?

მე კი თვალებჩაღამებული, უსინათლო, მწვალებლურ აზრებში ვიქნები ჩაფლული ცრემლნაღვლიანი და უსიხარულო.

და აი:

მაშინ მეც შემიძლია ერთ-ერთ წიგნში ამოკითხული მწარე სიტყვები ვთქვა, თუმცა დღემდე ასეთ რამეზე არ მიფიქრია, არ მინდოდა მეფიქრა,

მით უფრო არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რა ვქნა, თავს ვერ ვიმორჩილებ, არ შემიძლიან არა ვთქვა, რაც გულში გამიელვებს.

ყოველ შემთხვევაში გულწრფელობას ვარჩევ, ვიდრე საზიზღარ თვალთმაქცობას და ორპირობას.

აი მეც ამ მძიმე წუთებში მაინც განვიცდი ამ აკვიატებული აზრის სიმწვავეს:

„სად არის ისეთი ქალი, რომ ერთი სატრფოს მეტი არა ჰყოლოდეს“.

ეს დაჭრილი გულის მწარე ამოძახებაა.

ნუ გამამტყუნებთ, მეგობრებო!

სხვა დროს ამას არავითარ შემთხვევაში არ ვიტყოდი, მაგრამ ვგრძნობ, რა მდგომარეობაშიც ვარ. რაც უფრო დრო გავა, ყველა შემომეცლება, პირველ რიგში კი — ის.

განა ძნელია იმისი მიხვედრა, თუ როგორ შეიცვლება ის, ვინც მე მიყვარდა და ვისაც სულიერ მეგობრად ვთვლიდი.

აი, ის:

ნინიკო, რომელსაც ჩემს ნინიკოს ვუწოდებ, თავს ისე დაიჭერს, რომ სატრფო თითქოს არასოდეს არა ჰყოლოდეს.

რა თვალთმაქცურად, რა ოსტატურად გაითამაშებს ის გულუბრყვილობას.

ნეტავ ლოყებზე სიწითლე თუ შეეპარება?

მაგრამ ეჰ, რაღა საინტერესოა ეს ჩემთვის!

ჩემი უსინათლო თვალები შეაძულებენ მას ჩემს თავს. განდგება შორს, შორს ჩემგან.

ვგრძნობ, რომ ასე იქნება.

რამდენჯერ მიფიქრია ასე:

შეიგრძნობს კი ის ჩემს განცდებს, ჩემს აზრებს, ჩემს ფიქრებს?

ვერა, ვერ შეიგრძნობს.

ის არ აღმოჩნდება იმდენად კეთილი, იმდენად დიდი ბუნების ადამიანი, რომ მე გამიგოს, განიცადოს ის, რასაც მე განვიცდი, გაიზიაროს ჩემი გულის ტკივილები მხოლოდ იმის გამო, რომ მე თვალში სინათლე არ მაქვს, რომ სიკვდილის განაჩენი ჩარჩა ჩემს თვალებში ჩალაქული.

ეჰ, როგორ ვოცნებობდი ჩემი ოჯახის შექმნაზე.

ყველაფერი მოფიქრებული, ყველაფერი აწონილ-დაწონილი მქონდა, მაგრამ ურჯულკებმა ყველაფერი დამაღუპინეს.

ვინ გაიგებს ჩემს საშინელ განცდებს?

ვინ გაიზიარებს გულდათუთქული ადამიანის მწარე ამოკვნესას?

თუმცა ვინმემ რომ გაიზიაროს, მე რას მიშველის.

მე მხოლოდ სიკვდილი მინდა დავძლიო, სხვა არაფერი, სიკვდილი, რომელიც ათასგვარ, ხშირად არასაჭირო ბოროტ აზრში მაგდებს, და ადამიანს ადამიანურ სულს, კეთილგონიერებას ულრღნის, აჩიავებს, სპობს.

*
* *

გულო ჩემო, რად არ ყუჩდები, რად არ მაძლევ მოსვენებას? ეჰ, ნეტავ შემეძლოს შეგეხო ხელით და შევბოჭო შენი ამგვარი ძგერა.

ან კიდევ:

ნეტავ შენ თვითონ გასკდებოდე და მომასვენებდე სამუდამოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გახარებს?

რა გაფრთოვანებს?

მხოლოდ ოჯახში მოხუც დედიკოსთან მისვლის პირველი დღე, სხვა არაფერი.

ვიცი, მოხუცი, სახე დანაოჭებული დედაჩემი თვალებ-ჩაცრემლიანებული მხურვალედ მომეხვევა.

ისევ წინანდებურად გადამკოცნის, მომეალერსება, ტკბილი და იმედიანი სიტყვებით მცემს ნუგეშს.

ვიცი, გულგატეხილობას არ გამოიჩენს, მწუხარებას გულში ჩაიკლავს და ღრმა ტკივილებს ჩემთან არ გამოამეღავნებს, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამან ჩემზე არ იმოქმედოს.

საწყალი დედაჩემი!

მე ხომ მას ვერ შევხედავ!

მე ხომ მას ვერ შევათვალიერებ, ვერ დავაცქერდები მის ფერმკრთალ, დანაოჭებულ სახეს!

მე ხომ ვერც სიხარულს, ვერც დარდებს, ვერც მწუხარებას ვერ ამოვიკითხავ მის სახეზე.

ყოველივე ეს მე უნდა ვიგრძნო მხოლოდ, მის ხმაში უნდა შევიცნო მხოლოდ.

ის ცალკე, ისე, რომ მე არ გამაგონოს, ლაფაროში დადგება თავისთვის და გულაყუჩებული იტირებს მწარედ.

იტირებს ისე ცხარედ, რომ ნიკაპიც კი აუთრთოლდება, აუკანკალდება.

დასწყევლის მთელი გულით, დასწყევლის ურჯუკებს. ცეცხლსა და ნაცარში ჩაფერფლავს მათ სახელს, მათ ხსენებას.

არა!

მის თვალებს ცრემლი არ შეაშრება, ძილი არ მიეკარება.

მოვლენ ჩემი ამხანაგები, მეგობრები, მეზობლები.

ყველა შეწუხდება.

ყველა გულისტკივილით გაიზიარებს ჩემს მდგომარეობას და თანაც დაუმატებს:

— კიდევ კარგი, რომ გადარჩი!

— ცოცხალს რომ გხედავ, შვილო, კმაყოფილი ვარ, შენ გენაცვალოს დედაშენი! — დაუმატებს დედა, მაგრამ...

გაივლის ყველაფერი.

დამთავრდება ომი.

დაიწყება ახალი ცხოვრება.

სამშობლო კვლავ აღორძინდება. ქალაქები კვლავ აღსდგებიან. ცხოვრება კვლავ ტკბილი და ბედნიერი გახდება, მაგრამ ჩემს გულში მაშინაც დაუცხრომლად იბობოქრებს ის ტკივილი, რომელსაც აი ეხლა, ამ წუთებში განვიცდი.

შეიძლება ყველამ დამივიწყოს ან არადა უფრო ხშირად მოსასვლელად ვერ მოიცალონ, მაგრამ ვიცი, დედა, სანამ იგი ცოცხალი იქნება, არ მომშორდება, ჩემთან ახლოს იქნება, სულ ახლოს, გულთან, ჩემს შეშფოთებულ და დამწუხრებულ სულთან, როგორც ერთადერთი უჭკნობი მშობლიური სიყვარულის ნათელი და მარადიული გრძნობის უსპეტაკესი სახე.

ვიცი, არც სამშობლო დამივიწყებს, მაგრამ გულს მიკლავს ერთი აზრი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ხომ ყველაფერი არ გამიკეთებია, რის გაკეთებაც შემეძლო. ეხლაც მზად ვარ თავი შევწირო დედა-სამშობლოს, მაგრამ რა ვქნა, რომ შებრჭილი ვარ, რა ვქნა, რომ საშუალება არა მაქვს.

აი ეხლა.

რა ვარ მე?

უბრალო კუნძი!

ასევე ვიქნები მაშინაც და რაში გამოვადგები ჩემს სამშობლოს!

რაც დრო გაივლის, მით უფრო შემომეცლებიან მეგობრები და მით უფრო ვიგრძნობ ჩემი ყოფის მტანჯველ აზრებს.

არავისათვის არ ვიქნები საინტერესო.

არავისათვის არ ვიქნები საჭირო.

მნახველიც თანდათან შემცირდება.

დავრჩები მარტო ჩემს დედასთან, მაგრამ დავრჩები მასთან მისი სულის შემაშფოთებლად, შესაწუხებლად, სადარდებლად.

აი ეს მიკლავს გულს, მეგობრებო.

ეს მაგდებს ხშირად მეტად მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში.

ეჰ, რა ძლიერი და თანაც რა სუსტი ყოფილხარ, ადამიანო!

*

* *

მაცნობეს ჰოსპიტალში გადავყევართ.

რამდენიმე წუთი და თვითმფრინავი მზად იქნება გასაფრენად.

სასწრაფოდ გადავყევართ, დიაღ, სასწრაფოდ.

ნეტავ რას ნიშნავს ეს.

იქნებ დაგვიანებულიც არის ოპერაცია, მაგრამ ყოველშემთხვევაში სურთ მიიღონ ყოველი ზომა.

იქნებ სიკვდილი მეუფლება და სურთ შეაჩერონ იგი, სიცოცხლე მაინც შემინარჩუნონ.

როგორ გავიგო ეს?

ვინ მეტყვის მართალს?

რატომ არაფერს არ მეუბნებიან!

მხოლოდ მისი:

მოწყალების დის ტკბილი და სასიამოვნო სიტყვები მესმის.

— ქართველო გმირო, მალე, სულ მალე თვითმფრინავი შენს საყვარელ საქართველოს მთებზე გადაგაფრენს. რომ არ მეთქვა, ალბათ, ამას გული მაინც გიგრძნობდა, დედისეულ მიდამოებში რომ გადაგაფრენდა. ოჰ, ბევრი ტკბილი და ლამაზი წუთი მახსოვს საქართველოში გატარებული.

გატაცებით ლაპარაკობს ქართველ მებრძოლებზე, ქართველ მწერლებზე, საქართველოზე.

ყოველივე ეს გულს მიხარებს, მაგრამ მიკვირს, რატომ მაინც არ მეუბნება, რა მომელის?

თითქოს განგებ იქცევა ასე.

ჩემს მდგომარეობაზე რომ შევეკითხები, პირდაპირ არაფერს მეუბნება და სხვა რამეებზე იწყებს საუბარს.

იქნებ ფიქრობს:

დავივიწყებ ამ უბედურებას. აა, იქნებ სწორედ ასე ფიქრობს

მან რა იცის, რომ ამ უბედურების დავიწყება არ შემიძლიან.

უბრალო საქმეა, თუ?!

მაგრამ რას იზამ. ის მაინც თავისას ცდილობს.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ გულში იმედი თანდათან იღვიძებს.

კარგი ნიშანია, — ვფიქრობ ჩემთვის და მართლაც რატომღაც მეუცნობელი სასიამოვნო გრძნობა მეუფლება.

ერთბაშად გადავწყვიტე მიმეწერა წერილი ნინიკოსათვის.

მოწყალების დას ვთხოვე დაეწერა წერილი ჩემის კარნახით. მაგრამ რა მივწერო?

კვლავ ამეკვიატნენ გულის დამკოდველი ფიქრები.

ბონდო, ეტყობა წერილი შენი ხელით დაწერილი არ არის, — მომწერს ალბათ.

მიმიხვდება, დიაღ, მიმიხვდება.

მაგრამ...

ალბათ, ხელები აქვს დაშავებულიო, — გაიფიქრებს, თორემ როგორ წარმოიდგენს, ორივე თვალში სინათლე რომ მაქვს დაკარგული.

დედას, ჩემს დედიკოს, რომ გავაგებინო ჩემი ამბავი?—ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ უმალ უარვყოფ ამასაც: — დაიტანჯება, ჯავრს გადაჰყვება. სჯობია, არაფერს არ მივწერ, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ მივწერ. ასე აჯობებს, დიაღ, რად მინდა ისიც იტანჯებოდეს. უკეთესია, წერილის მოლოდინში რომ იქნება, უკეთესია იმიტომ, რომ არ ეცოდინება ჩემი უბედურება და იმედიან მოლოდინში მაინც შვებაა. დეე, ყველაფერი მე გადამხდეს, ყველაფერი საკუთარმა გულმა გადაიტანოს, სანამ ამას გაუძლებს.

თვითმფრინავი გუგუნით მიარღვევს სივრცეს.

ალბათ, ეხლა თავს დავტრიალებთ ციტრუსების მწვანეში ჩაკეცილ ლურჯ სივრცეს, ჭადრებისა და ცაცხვების ჩრდილებით დაფუფქულ მიდამოებს.

რატომ არ ამღერდები, გულო ჩემო?

რატომ არ მოზღვავდებით, აღტაცების ზეაღმაფრენო გრძნობებო?

როგორ მწყურია ვუყურებდე და ვეალერსებოდე, სამშობლოვ ჩემო, შენს წალკოტებს, შენს გულზვიად მთებს, შენს ზღვებს და ტბებს, ამ ჩვეულ სივრცეს, სადაც ვშობილვარ, სადაც სიყრმე გამიტარებია, სადაც ჩაუნერგიათ ჩემთვის სამშობლოსადმი სიყვარული და თავგანწირვა.

აღელვებულო ზღვის ლურჯო ტალღებო!

ცას მიბჯენილო გოლიათო მთებო, მზის ცრემლები თოვლის ფიფქებად რომ შეყინულა შენს მწვერვალებზე.

ძოწ-ლალისფერო მიდამოებო, ფირუზის ცის ქვეშ რომ გაშლილხართ ასე გულხვავიანად.

ფიჭვისა და ნაძვის ზურმუხტოვან ხეობებში მოლიკლიკე ხაკადულეაო, ქარაფებიდან გადმოჩეხილი მღვრიე მდინარეები უბეებს რომ გირღვევენ.

ცის ნამით ნაპკურო ჯეჯილებო, ტალღებივით რომ აბიბინდებით ხოლმე.

ყური უგდეთ ჩემს გულის ძგერას.

ნეტავ თუ გრძნობთ, როგორ ღელავს იგი სიხარულისაგან, თქვენთან რომ ვარ და როგორ ბორგავს მწუხარებისაგან, რომ ვერა გხედავთ.

ნუთუ ვერ მოგეალერსებით?

ნუთუ უფრო ახლოს ვერ გავივლი თქვენთან?

ნუთუ აღარ დამატკბობს შენი მწვანეების ჩუმი შრიალი, ბინდი და ნისლი,

ყუჩი დღეები და თეთრი ღამეები, ორღობეებში მოკისკისე ქალაქელების მხიარული ხმები?

არ მინდა, რომ ეს დავიჯერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

ჰოსპიტალში ვწევარ, უკვე.

აი, აქეთ მოეშურებოდა ჩემი თვითმფრინავი.

არავის არ ვიცნობ.

არავინ ხმას არა მცემს.

ან რა უნდა მითხრან?

ნუთუ აქაც ისევ ისე მომექცევიან:

— რა მოგსვლიათ თვალებში? ვერ იხედებით? რამდენი ხანია?

რა საჭიროა ასეთი შეკითხვა.

განა ისედაც ვერ მიხვდება შემკითხველი, თუ რა მომსვლია.

ტყუილ-უბრალოდ ნერვები რად უნდა ამიშალონ.

იქნებ სწორედ ამიტომ არ მეუბნებიან არაფერს, ვინ იცის?

დუმილია ირგვლივ.

დუმილს შევეჩვიე მე.

ასეთ ყოფაში ფიქრების მორევში გადავეშვები ხოლმე და ხელს არავინ შემიშლის საკუთარ თავთან გასასაუბრებლად.

მაგრამ...

ადამიანის დანახვა მენატრება. გასაუბრება მენატრება.

იქნებ ამ ოთახში სხვა დაჭრილი არა წევს? იქნებ მე მარტო ვარ აქ?

მაგრამ...

ხომ შეიძლება ჩემისთანა აქ რამდენიმე იყვეს...

იქნებ სძინავთ მათ.

ნეტავ ვიცოდე, დღეა თუ ღამე.

დავიყვირო?

იქნებ სძინავთ და მოსვენება წავართვა ფრონტის მეგობრებს, მაშინ?

მაგრამ სუნთქვაც რომ არ ისმის.

გულს ვერ ვიმორჩილებ.

— ჰეი, რომელი ხარ აქ! — წამოვიძახე ძალაუნებურად, რაც შემეძლო.

შემომესმა კარების ფრთხილად გაღება.

— არავინ არა ხართ?! — დავიძახე ისევ.

— რა იყო, რა გაწუხებთ? — შემომესმა დამამშვიდებელი ხმა.

— ვინა ბრძანდებით?

— მორიგე ექიმი ვარ, თქვენი ხმა შემომესმა და მოვედი. რა გინდოდათ?

— მითხარით, ამ ოთახში მარტო ვარ?

— დიალ!

— მაშ, საშიშ მდგომარეობაში ვყოფილვარ!

— რატომ, ვინ გითხრათ ეგ?

— გამიგონია, უიმედო ავადმყოფს ცალკე ოთახში გაიყვანენო, ჩვენი ბიჭები მას სასიკვდილოს უწოდებენ, ხოლო თქვენ, ექიმები, რას უწოდებთ, არ ვიცი. მართალი გითხრათ, მაშინებს ეს მდგომარეობა.

— არა, მაგრე არ არის.

— აბა რატომ ვარ აქ? ხომ ხედავთ, ექიმო, ცხოვრებასთან აღარაფერი მაკავშირებს. მინდოდა ადამიანებთან ვყოფილიყავ, მათი სიტყვები გამეგო, ჩემიც მოესმინათ, ეხლა გათიშული ვარ, ცალკე ვარ.

— დაწყნარდით, აი ეხლა მოვა უფროსი ექიმი ეკატერინე ევსტაფიევნა და კონსილიუმი გექნებათ. ხომ გესმით? დამშვიდდით.

*
* *

რა დიდხანს მსინჯეს.

ვგრძნობდი მათ გულთბილ დამოკიდებულებას.

ეს იმედის ნაპერწკლებს მიღვივებდა გულში.

არ ვიცი, რამდენი იყვნენ, მაგრამ სამ სხვადასხვა ხმას კი ვარჩევდი.

მსჯელობდნენ.

ვატყობდი, აზრთა სხვადასხვაობა იყო.

ლათინურ ტერმინებს ხმარობდნენ, მე კი მედიცინის არაფერი ვიცოდი და არ გამეგებოდა, თუ რა უბედურება იყო ჩემს თავზე.

გულის ფანცქალით ველოდი, რას მეტყოდნენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემთვის არაფერი არ უთქვამთ.

ვერ მოვითმინე და თვითონ შევეკითხე:

— როგორაა ჩემი საქმე, კორპუსის უფროსო?

განა ვხედავდი კორპუსის უფროსს, ექიმ ეკატერინე ევსტაფიევნას, მაგრამ, რადგან მის განკარგულებაში არსებულ ჰოსპიტალში ვწევარ, მისი ავადმყოფი ვარ, ის ვახსენე.

— ნუ გეშინია, — მითხრა მან, მხოლოდ სხვა არაფერი.

გულში ტკივილებმა გამკრა.

ალბათ, მართლაც არ არის ჩემი საშველი, — გავიფიქრე ჩემთვის, — მართალი ყოფილა ის, რომელმაც წაილაპარაკა, თვალთ სინათლე აღარ დაუბრუნდებაო.

*
* *

არაფერს არ მეუბნებიან.

ეკატერინე ევსტაფიევნა ხშირად არის ჩემთან, მაგრამ მხოლოდ ერთ რამეს ამბობს ხოლმე:

— ჩემს ბიჭს ჰგავს, ვენაცვალე!

მე მას არ ვიცნობ.

არ მინახავს და ვერც ვხედავ.

მესმის მხოლოდ მისი ალერსიანი სიტყვები.

დაჭრილები დედას ეძახიან.

მართლაც:

მეც, აი სულ რამდენიმე დღეა, რაც ამ ჰოსპიტალში ვწევარ და უკვე ვგრძნობ მის დედობრივ მზრუნველობას.

არც დღე, არც ღამე არა მშორდება.

ხმაზე ვცნობ.

მის სიარულსაც ვარჩევ.

ჩემს ამღვრეულ ხასიათში მას დაწყნარება და სიმშვიდე შეაქვს.

მისი სიტყვები გულში მწვდებიან და მათბობენ, იმედს მაძლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

რა ტკბილად ჭიკჭიკებს ფანჯარაზე შემომჯდარი ჩიტი, აქვე, სულ ახლოს. იქნებ ეს ჭიკჭიკი სიხარულისა და იმედის მაუწყებელია?

მინდა მთელის გულით ვუსმენდე.

მხრები წამოვწიე.

დავძაბე სმენა, მაგრამ...

ვიგრძენი, ჩიტი შეფრთხიალდა და გაფრინდა.

გაფრინდა ჩემგან და სადღაც შორს მილეული ხმით განაგრძო ჭიკჭიკი.

იქნებ ასევე შორს გაფრინდა მოახლოვებული ბედნიერება?

ვინ იცის!

გარეთ, კედლებს იქით, სადაც ჩიტი ჭიკჭიკს განაგრძობს, სიცოცხლის მაუწყებელი ხმები ავსებენ სივრცეს.

იქ ხალხი იბრძვის, საქმიანობს, ერთმანეთს შეჰხარის.

მენატრება ვიყო მათთან, ვხედავდე მათ, ვხედავდე მზეს — სიცოცხლეს.

მინდა ვტკბებოდე მათთან ბრძოლით, შრომითა და გარჯით.

ჩემი ექიმი ეკატერინე უვსტაფიევნა ეხლა ჩემთან არ არის და კედლებს იქით სიცოცხლის ხმაური რომ მესმის, კვლავ გულდაწყვეტილს კვიმატი აზრები შემომერკალნენ.

რამდენჯერ მიფიქრია, რომ არ ვარგა ასე.

არ ვარგა მწარე ფიქრების აყოლა, ურვა, მაგრამ რა ვქნა, თითქოს ძალა უნებურად მომდის ეს.

აი ეხლაც, არ მინდა, რომ გულს მიღრღნიდეს მწვალებლური ფიქრი, მაგრამ მაინც შეიპარა იგი ჩემს სულში და სწეწავს მას.

ისევ მარტო ვარ.

გარეთ:

ჩემი მშობელი ქვეყანა ჩაბმულია შრომისა და ბრძოლის ფერხულში.

ეჰ, რამდენი ტკბილი სიმღერა მითქვამს ჩემი სამშობლოს, ჩემი პირველი სიყვარულის სადიდებლად.

სამშობლოვ ჩემო! ჩემო თვალის სინათლევ!

ვიცი, მხოლოდ შენთან არ დაეანგდება ჩემი კალამი, მხოლოდ შენით არ დამტვერდებიან ჩემი სტრიქონები.

მხოლოდ შენთან, შენს მზესთან, შენს მთებში და შენს აყვავებულ ველებში, თავისუფლებისა და შრომის მოყვარე საბჭოთა ხალხის დიდ ოჯახში ვიცოცხლებ მე.

საკუთარი მკერდით, საკუთარი სისხლით დავიცავ შენს თავისუფლებას ურჯულოებისაგან.

ამ ბრძოლას, შენდამი სიყვარულს უმღერებენ ჩემი სტრიქონები.

მარად შენი ვარ, შენი.

ნეტავ, შემეძლება კვლავ ვიცქირო?

ნეტავ, შემეძლება კვლავ შენს მზეს შევცქეროდე, კვლავ ვატრიალებდე მტრის გულში ქართულ ხმალს?

ამ ფიქრებში ვიყავი გართული და არც გამიგია, როგორ მომიახლოვდა ჩემი ექიმი ეკატერინე ევსტაფიევნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვერკვიე მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ხმა შემომესმა:

— ბონდო! კიდევ ხომ არ სევდიანობ? მწარე ფიქრებს ხომ არ ეძლევი?

— რა ვქნა, ექიმო, სევდა და წუხილი თვითონ არა მშორდება. ან მე უნდა გავუძლო სევდას, ან თვით სევდამ უნდა გამიძლოს მე.

— დარდი სისულელეა! განა შენ თვითონ უკეთ არ იცი: სევდისა და დარდისათვის არც დრო უნდა დაჰკარგო, არც ნერვები უნდა აიშალო. სადარდებელი შენ არაფერი გაქვს, გესმის, წუხილს არავინ მოგიწონებს.

— როგორ, ექიმო, ასეთ მდგომარეობაში რომ ვარ, განა წუხილისათვის ვინმე გამამტყუნებს? რას ქვიან ვინმე, ნუთუ აღმოჩნდება ჩემს მდგომარეობაში მყოფი თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ყოველივე იმას არ იფიქრებდა, რაც მე მიფიქრია, ან კიდევ ცივი გონებით დაიწყებს ჩემს გაკიცხვას, ჩემს გამტყუნებას? ტყუილის თქმა რა საჭიროა. მოჩვენებითი ვაჟკაცობა ვის რად სჭირდება! ვაჟკაცი მე იქ ვიყავი, ფრონტზე, საწოლში ყოფნა რა ვაჟკაცობაა! მე იქ არაფრისა არ მეშინოდა. მტერს ვხედავდი და პირისპირ ვეძგერებოდი ხოლმე და ეს მაფრთოვანებდა.

სუნთქვა შემეკრა, მაგრამ მაინც განვაგრძე:

— და მერე იცით, რა საოცარია ფრონტი? რა საოცრად ეტყობა ყველას და ყველაფერს მხოლოდ ერთი სუნთქვა, ერთი განწყობილება. ყველა ერთს ბედს ქვეშა ვართ. ამ მხრივ გარჩევა არ არის. ის ვერანი ერთი ციცქნა ტყვია საიდღანაც გამოიწივლებს და სულ ერთია მისთვის, ვინც არ უნდა იყოს, განგმირავს, სამუდამოდ მოსპობს... რამდენჯერ მიფიქრია: რაც ფრონტზე ტყვია და ყუმბარა ეცემა, ყველა ადამიანს რომ ხვდებოდეს, ცოცხალი აღარავინ დარჩებოდა, მაგრამ აქაც არის რაღაც თავისებურება. იქ, ფრონტზე მყოფის ფიქრები და ეხლანდელი ჩემი სევდა და წუხილი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან.

კვლავ ამოვისუნთქე.

— ვის შეუძლიან თქვას, რომ ჩემში აი ეხლაც ვაჟკაცობის მაღალი სული არ არის? აბა, ერთი ვინმემ სცადოს, ახლოს მოვიდეს და თითონ გამაგონოს ასეთი სიტყვები. მხოლოდ დამთხვეული თუ წამოაყრანტალებს ამას. მე მხოლოდ სინათლე მენატრება, თვალის სინათლე. მინდა მტერს და მოყვარეს ვუყურებდე და ვარჩევდე. აი რა მინდა მე. დანარჩენი მე თითონ ვიცი, დიაღ, მე თითონ! უკაცრავად, ექიმო, ავღელდი, მაპატიეთ, თუ ჩემი სიტყვებით რამე გაწყენინეთ. ესეც ძალაუნებურად მომივიდა. ალბათ იცით, ეს ფრონტის ავადმყოფობაა. დიაღ, ასე ვთქვათ. ნერვები, ნერვები ამეშალა.

— არაუშავს-რა, ეგ არაფერია, — ტკბილად მომიგო მან, — ნუ ღელავ, საჯავრებელი, გიმეორებ, ბონდო, არაფერი გექნება. გესმის, მოემზადე, საოპერაციო ოთახში უნდა გადაგიყვანო.

სიხარულმა, შეუცნობელმა სიხარულმა ამიტაცა.

საჯავრებელი არაფერი გექნება! მაშ განვიკურნები, მოვრჩები. თქვენ გენაცვალეთ, თქვენი ჭირიმე! მაგრამ... ოჰ, ეს „მაგრამ“, მაინც არა მშორდება.

თუ განვიკურნები, რატომ არ მითხრა უფრო დარწმუნებით, უფრო დასაჯერებლად.

საჯავრებელი არაფერი გექნებაო.

დიაღ, ასე სთქვა მხოლოდ და რატომ მაინცდამაინც ასე თქვა, რატომ პირდაპირ არ მითხრა, თუ კი მართლა ჩემი განკურნების იმედი აქვს? ნუ ჯავრობ, მოგარჩენთ, განიკურნებიო, რატომ არ მითხრა ასე?

არა, ამდენი ფიქრისაგან თავი გამისკდება.

არაფერზე აღარ უნდა ვიფიქრო, რათა ათასგვარი ჯავრით გულს იარა არ გავუჩინო. რაც არის, არის, მორჩა, გათავდა.

გაიარა დრომ და პირველი სიხარული ისევ ჭმუნვამ შესცვალა.

საოპერაციო ოთახში უნდა გადაგიყვანოთო, ასე მითხრა ხომ ჩემმა ექიმმა.

ვფიქრობ, რა იყო ამ სიტყვაში ჩემთვის სასიხარულო, რამ გამახარა ასე ერთბაშად, ასე ნაადრევად, ან რამ შემბოჭა კვლავ?

ისევ ამიტაცა რაღაც შეუცნობელმა ჟრუოლვამ.

შეიძლება ეს შიშია ოპერაციის წინ.

რა დასამალია: ალბათ, სხვასაც გამოუცდია ამ გრძნობის სიმწვავე.

მით უფრო ყველაფერი წარმოვიდგინე:

აი საოპერაციო ოთახი.

წყნარსა და ჩუმ ოთახში კვნესა გაისმის, საშინელი კვნესა, მომაკვდავის შილეული, ამათრთოლებელი ხმა.

სიკვდილის აჩრდილი ფეხაკრეფით დაძრწის.

იგი სულთამხუთავივით დასდგომია თავზე გულაჩუყებულ ადამიანთა საწოლებს.

აი, ერთ საწოლზე გაშხლართულია მძიმედ დაჭრილი. ქირურგის ხელში დანა პრიალებს.

იგი სრულიად დამშვიდებული აკლის მას ბარძაყს. ბარძაყი ნაღმით არის დაფლეთილი და ძვლებს ხორცის ნაფლეთები ჰკიდია.

ის გაბრუებული წევს.

ეჰ, რამდენი დალევს სულს ენაამოუღებლად.

პირველ ხანებში, სანამ ამბავს გაიგებდნენ, მის ცოლშვილს, მის მეგობრებს ეგონებათ, ცოცხალია და თუ წერილს ვერ ღებულობენ, ალბათ, ფოსტის ბრალია.

ეჰ, მწუხარებას ყოველთვის აქვს იმედის თავისებური სარკმელი.

აი კიდევ:

ვიღამაც საშინლად დაიყვირა და იმავე წუთს მოწყალების დამ გარედ გაიტანა მისი ცალი ფეხი.

რამდენი მწუხარება, რამდენი ცრემლი, რამდენი შფოთვაა ამ საოპერაციო ოთახში.

ეს საშინელი გრძნობები მაძრწოლებს...

ამ მწუხარებაში ფრთხილად ვაღებ იმედის სარკმელს და ვფიქრობ:

მე ხომ არც ბარძაყი, არც ფეხი მაქვს მოსაჭრელი. რისი უნდა მეშინოდეს? რატომ ვთრთი ასე?

თვალები? თვალები? — ჩამძახის სული ბოროტი.

და მერე, ხომ იცით, პატარა შეცდომა და სამუდამოდ დაიღუპები. ხომ შეიძლება დანის წვერმა ნაუცბადევად შუაზე გასჭრას თვალის გუგა. ხომ შეიძლება თვითონ ქირურგს სწორედ ოპერაციის დროს აგზნება მოუვიდეს

და ორივე თვალი ამოგიღოს, საოპერაციო დანაზე სიკვდილის სითეთრე, სითეთრე ლაპლაპებს. მოშორდი მას, მოშორდი!

ერთხანს გადავსწყვიტე უარი მეთქვა ოპერაციაზე.

„სინათლე აღარ დაუბრუნდება, დაიტანჯება მთელს სიცოცხლეში“.

ასე ჩამაწვეთა ვიღამაც ეს უიმედო სიტყვები და რა ძლიერად ღვივდებიან ისინი და რა ძლიერად ეუფლებიან ჩემს სულს, ჩემს გონებას.

მართლაც, იქნებ არაფერი გამოვიდეს და რად დავიტანჯო ოპერაციით?

„მოემზადე ოპერაციისათვის, ყველაფერი რიგზე იქნება“.

უიმედობის მორევიდან უფრო და უფრო ძლიერად მესმის ჩემი ექიმის სიტყვები.

იგი ღვივის, როგორც იმედის ნაპერწკალი.

მას, ჩემს ექიმს, უნდა დავუჯერო, დიაღ, როგორც მეტყვის, ისე მოვიქცევი.

— ექიმო, გენაცვალე, ერთი რამ შეიძლება გთხოვოთ? — მორიდებით ვეკითხები ჩემს ექიმს.

მორიდებით ვეკითხები იმიტომ, რომ მინდა არ ვაწყენინო, უსიამოვნება არ მივაყენო, ან ისედაც დაღლილს, ზედმეტი შრომა არ მოვსთხოვო.

— რა იყო, მითხარით.

— აი ექიმო, გული... მერწმუნეთ, გული მაგარი მაქვს.

— მერე?

— არაფრის არ შემეშინდება, სიტყვას გაძლევთ, რომ არაფრისა არ შემეშინდება.

— მერე?

— მე გთხოვთ... ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ...

— კეთილი, მაგრამ მაგ სიტყვებს ისე ამბობ, თითქოს ღელავ კიდევაც.

— არა, არა, ჩემო ექიმო. ეს ისე... სხვათაშორის... დიაღ, სხვათაშორის... მერწმუნეთ, ექიმო, გთხოვთ მერწმუნოთ...

— კარგი, კარგი, მეც მინდა გერწმუნო.

— მე მხოლოდ... ერთი, დიაღ, ერთი სათხოვარი მაქვს...

— სთქვი, სთქვი.

— ვიცი, ოპერაცია მეტად ძნელია, მაგრამ მაინც ავიტან!

— მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ, ჩემო კარგო.

— ამიტომ გთხოვთ, თუ შეიძლება არ დამაძინოთ... ძილი სიკვდილია, დაძინება არ მინდა.

— მერე ვინ გითხრა, რომ დაგაძინებენო?

— რა ვიცი, ექიმო, ოპერაციის წინ, როგორც გამიგია, ბანგს ასმევენ, ეს მე არ მინდა.

ჩემმა ექიმმა ხმა შეიცვალა, უფრო ალერსიანი და სასიამოვნო გახდა.

— შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, ჩემო კარგო?

— მე გული მაგარი მაქვს, ჩემო ექიმო.

— ტყუილად აგიღელვებია თავი. ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა. თვალის ოპერაციის დროს არავის არ ვაძინებთ.

ამ სიტყვებმა ოდნავ დამამშვიდეს, მაგრამ დაწყევლილი აზრები მაინც არ მშორდებიან, კვლავ რაღაც სატანისებურად მესევიან და სწუწნიან გონებას.

— ჰა, ჰა, ჰა! — სიბნელეში ჩემი გულის მოსაკლავად ხითხითებს ვიღაც, — რა უბრალო საკითხზე დარდობდა თურმე, ჰა, ჰა, ჰა! წარმოიდგინეთ, არ დააძინონ, იმაზე ფიქრობს. თუ იცის, ნეტავ, რომ ოპერაცია ფუჭად ჩაუვლის,

რომ სინათლე არ დაუბრუნდება, რომ გაიტანჯება თავის სიცოცხლეში? ჰა, ჰა, ჰა!

რას ჩამაცივდა ეს ბოროტი სული? დიაღ, ბოროტი სული ... ეუწოდებ მე მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდან გაჩნდა იგი, ჩემი სულის შემაშფოთებლად?

რომ შემეძლოს, საკუთარი ფრჩხილებით გამოვლადრავდი ყელს, რათა მისი ხმა არასდროს არ გამეგონა.

დადგა ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო მშფოთვარე წუთი.

უნდა გადასწყდეს ჩემი სიცოცხლის გაშინაარსების, მომავალი ყოფისა და არსებობის საკითხი.

თითქოს რაღაც მიხარიან და თანაც მეტად დაძაბულად ვგრძნობ თავს.

არა, დაძაბულად კი არა, უფრო სხვაგვარად, უფრო შემაძრწუნებლად.

მძიმე განსაცდელის მწვავე გრძნობებს ჯერ არასოდეს არ შევუპყრივარ ასე.

აი, ეს წუთი, სულ მცირე დრო, ერთის შეხედვით თითქოს შეუმჩნეველი, წყვეტს ჩემს ბედს.

კვლავ ბედნიერი ვიქნები, თუ სამუდამოდ უბედური გავხდები?

სად არის ადამიანის საოცრება, მისი ძლევამოსილება?

მას მხოლოდ ეხლა შეუძლიან გამოიჩინოს თავისი თავი.

მხოლოდ ის მიხსნის მე.

მხოლოდ ის, ადამიანის ძალა, ადამიანის ნიჭი და გონება გამოსტაცებს სიკვდილს ჩემს თავს.

ეჰ, ასეთი მძიმე წუთები მე იქ, ფრონტზე, სიკვდილის მთესველ ტყვიების ზუზუნშიაც არ განმიცდია.

რა უსუსურად, განიარაღებულად ვგრძნობ თავს.

•
• •

რა მძიმედ მეჩვენება ეს წუთი.

მოუთმენლად მოველი საოპერაციო ოთახში წაყვანას.

გულის ფანცქალით მოველი ჩემს ექიმს, ჩემს იმედს.

რა თქმა უნდა, მე მას შევეთვისე.

იმედად ის მყავს მიჩნეული და იმიტომ ველი ასე მოუთმენლად.

და აი:

კვლავ მესმის ჩემი ექიმის უცნაური, მოსიყვარულე ხმა. ამ ხმას მივყევარ სიკვდილთან შესაბრძოლებლად.

— ნურაფრისა ნუ გეშინიან, ყველაფერი კარგად ჩაივლის!

პირველად, დიაღ, პირველად ეხლა მითხრა მან ასე და დაწყევლილი ფიქრები ერთბაშად გაიწმინდნენ, გაჰქრნენ.

ეჰ, რა ძლიერნი ყოფილხართ, იმედიანო სიტყვებო!

უკვე საოპერაციო ოთახში ვარ.

ეს ვიცი მხოლოდ.

მესმის საოპერაციო მოწყობილობის ფრთხილი გახმიანება.

ვგრძნობ, მეხება ექიმის ხელი.

ვგრძნობ პირველ ტკივილებს.

— ოჰ! — წამომცდა ძალაუნებურად.

— ეე, ეს არ შეგშვენის! — უმალ მომესმა ჩემი ექიმის ხმა.

ეკატერინე ევსტაფიევნა ჩემთან არის, მაშასადამე, არა მიჭირსრა. სხვა არა იყოს რა, სირცხვილია ტკივილს ვერ გავუძლო, ვერ ავიტანო.

— ისე... ძალაუნებურად მომივიდა, ექიმო, — წავილაპარაკე ჩემთვის, რათა უხერხულ მდგომარეობიდან გამოვსულიყავ და გავინაბე.

*
* *

დიდხანს გაგრძელდა ექიმის ფრთხილი მოქმედება.

ოთახში კვლავ სამარისებური სიჩუმე იდგა, ისეთი სიჩუმე, რომ კარგად მესმოდა ექიმის სუნთქვა.

და აი:

განა ამას მოვიფიქრებდი!

განა ამ წუთებს კიდევ შევესწრებოდი!

ვნატრობდი მხოლოდ, დიაღ, გულითა და სულით ვნატრობდი თვალის ახელვას, მაგრამ ვგრძნობდი, მჯეროდა, რომ ჩემგან შორს იყო ეს ბედნიერება.

თუმცა მწამდა ყოველთვის ადამიანის ძლევამოსილება, მისი ნიჭის სიძლიერე.

ვნატრობდი მეხილა ადამიანის საოცრების, ჯადოქრობის ძალა.

აი ის:

ჩემი ჯავრი, აკვიატებული აზრი, ჩემი შფოთვა და ურვა ერთბაშად გაჰქრა.

და:

დღის ნათელ შუქში ამეხილა თვალი და პირველად ვნახე ჩემი საყვარელი ექიმი, რომლის სახეზედაც, რომლის თვალებშიც დედობრივი ალერსი და ღიმილი კრთოდა.

თვალები, ჩემი თვალები რაც შემეძლო ფართოდ გავახილე.

ჩემო სიხარულო!

ჩემო აღტაცებავ!

კვლავ ვხედავ სივრცეს.

კვლავ შევსცქერი მზეს.

სიკვდილი დავჯაბნეთ! ეხლა მე თითონ შევებრძოლები სიკვდილს, შევებრძოლები პირისპირ, რადგან შემიძლიან პირდაპირ ვუცქირო, თვალები გავუსწორო! თითქოს განვიცადე, რა არის სიკვდილი, მაგრამ თვით სიკვდილმაც განიცადა ჩემი ექიმის ნიჭის ძალა, ადამიანის ძლევამოსილება. მან მომანიჭა მე ბედნიერება:

ჩემო სიხარულო!

ჩემო აღტაცებავ!

ღია და ფართო ფანჯრებიდან უხვად აფრქვევს მზე სხივებს.

ეს ჩემი სამშობლოს მზეა, ასე ცხოველმყოფელად რომ აფრქვევს სხივებს.

ისევ შევსცქერი მზეს, მზის სხივებში გაბრწყინვებული ჩემი ექიმის კმაყოფილ სახეს და ვისმენ მის სიტყვებს:

— აი ეხლა კვლავ შეგიძლიან მებრძოლთა რიგებში ჩადგე. იცი, რას გეტყვი? სიკვდილისა ნურასოდეს ნუ შეგეშინდება... გახსოვდეს სიკვდილამდე ყველა ცოცხლობს, მშიშარაც კი დაფორთხავს მიწაზე, საქმე ის არის, რომ სიკვდილის შემდეგ სცოცხლობდე.

ა. ბელიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა

ნაწილი პირველი

ნაადრევმა გაზაფხულმა უცბად გამოაცოცხლა თბილისი. თოვლი სწრაფად ჩამოდნა ფერდობებზე. როდესაც მტკვარი აიმღვრა და ჭავლთა ძარღვები ლონივრად ჩაგრიხა სეიდაბადის კლდოვან დერეფანში, მეთევზეთა თქმით, მთაშიდაც გაზაფხულდა.

მშვიდი, მზიანი ამინდები დადგა.

კრწანისის, სეიდაბადისა და გარეუბნის ბაღებში თეთრად და ვარდისფრად აბოლდა ხეხილი. დამსკდარი კვირტებიდან გადმოშლილი დაჭმუჭნული ნაზი ფოთლები ნიავის ყოველ ჩამოქროლვაზე თრთოდნენ და თითქო გაუბედავად იშლებოდნენ.

მანამდე მიყრუებულ ქალაქსაც დაეტყო გამოცოცხლება. ყოველ კუთხეში, ყოველ ფერდობზე, საფეხურებივით ჩამოლაგებულ ბანებზე, ვიწრო შუკებში, საყდართა ბჭეებთან, აბანოებთან ისმოდა მხიარული მასლაათი. ზოგი ხალიჩებს ბერტყავდა, ზოგი მაყალს აღვიებდა, ზოგი ხელსაქმით იყო გართული. ქალაქის გამოცოცხლება თითქო ბეღურებსაც უხაროდათ: თავგამეტებით ციოდნენ, მტვრიან ფოლორცებზე ერთის ფათქუნით და ალიაქოთით ქექავდნენ ნაკელს და ყოველი გამვლელის მიახლოებაზე, თითქო თოფის წამალი აფეთქებულიყვეს, ბრიალით მიფრინავდნენ მაღლა.

სასახლის ბაღში შადრევნები ააჩქეფეს, — ერეკლე ბატონის ჩამობრძანებას ელოდნენ. მარმარილოს ლომების დაღებულ პირიდან შხუილით გადაირკალა წყლის ოთხი კამარა დიდ აუზში, სადაც კალათებით ჰყრიდნენ ზამთრის აუზიდან ამოყვანილ ცოცხალ თევზებს წინსაფარიანი მეფის ფარეშები.

ქალაქის მოურავი, მელიქისა და ასასბაშის თანხლებით, მთელ დღეს დადიოდა ქალაქში, ათვალიერებდა შუკებს და სტუქსავდა ასასებს, თუ კი სადმე დაუგველ ან ატალახებულ ქუჩას წააწყდებოდა.

მოურავმა ერთის ხვნეშით და ვაი-ვაგლახით დაიარა რამდენიმე ქუჩა. ნარიყალის ციხეს აბანოებთან გვერდი შეუარა. განჯის კართან ავიდა. ციხის კედლებზე სამასი კალატოზი ეყენა. მონგრეულ და დაშლილ ქონგურებს, კედლის ბზარებს შეკეთება სჭირდებოდა — კალატოზები გაფაციცებით მუშაობდნენ. მათ ერთ კვირაში შემოუარეს ქალაქის კედლებს, სწრაფად შეაკეთეს დაზიანებული ადგილები. სარაიდარისაგან გაიგეს, ერეკლე ბატონს ნაჩქევანიდან მოეწერა ბარათი და ებრძანებინა: „მოურავმან ციხის ზღუდენი: კალისა, მეტეხისა, გარეუბნისა, სტამბოლის კოშკი, მაღალი ციხე, სადაც იყოს შემუსრვილი, ყოველგან აღაშენოს და შეაკეთოს, ხოლო ბჭენი მოჭედოს სალტითა და შუბისთავებითა“. კალატოზები ჩქარობდნენ, უნდოდათ ერეკლესთვის მზად დაეხვედრებინათ შეკეთებული ზღუდეები.

უზბაშს ოსტატებისთვის სადილი აეტანა. როდესაც მოურავი ციხის გალავანზე ავიდა, ყველანი პურის ჭამად ისხდნენ. ზღუდის ძირას ახლად აბიბინებულ მოლზე გაეშალათ სუფრა. სტეფანე სარაიდარი თავში იჯდა, წინ ბოზბაშით სავსე მათლაფა ედგა და გრძელტარიანი ხის კოვზით მადიანად შეექცეოდა. მერიქიფეები ყანწებით ღვინოს დაატარებდნენ და რიგრიგობით მოსადილეებს აწოდებდნენ.

მოურავის დანახვაზე ყველანი ფეხზე წამოიშალნენ, მერიქიფეები და ფარეშები ხელში სავსე ჯამებით შედგნენ და თავი მდაბლად დახარეს. ოსტატები მოურავს მიესალმნენ. სარაიდარმა ხმამაღლა დაიძახა:

— სალამი და დღეგრძელობა ჩვენს მოურავს!

— ღვთისა და ბატონის წყალობა ნუ მოგიშალოთ!.. დასხედით, პურის ჭამას ნუ აშლით.

სარაიდარმა უზბაშს თვალით ანიშნა, და იმ წამსვე მერიქიფეებმა მოურავს, მელიქს და ასასბაშს სავსე ყანწები მიართვეს.

მოურავმა ულვაშებზე ხელი გადაისვა, პირჯვარი გამოისახა და დაილოცა:

— კეთილის ხელით ყოფილიყოს ნაშენი ზღუდენი და ციხენი ტფილისისანი. ბარაქა, მადლი, სიკეთე ნუ მოაკლოს ღმერთმა, ოსტატებო, თქვენს მარჯვენას.

— ამინ... შენსა მადლსა! — უპასუხეს ოსტატებმა.

ყანწის დაცლის დროს მოურავმა მაღალი ციხის ქონგურებზე ორი კაცი შენიშნა. თვალი შორ მანძილზე კარგად უჭრიდა, მაგრამ ისინი მაინც ვერ იცნო. ყანწი დაცალა, ულვაშები ჭრელი ხელსახოცით გადაიწმინდა და სარაიდარს ჰკითხა, ისინი ვინ არიანო.

— დავით ორბელიანი გახლავთ, შენი ჭირიმე, ციხე-ზღუდეებს და ზარბაზნებს ათვალიერებს. სალალაკის ზღუდე ცუდად შეგიკეთებიათო, ისეთი ამბავი დაგვათია, რომ... — შესჩივლა სარაიდარმა მოურავს და თავი გაიქნია. ეგონა, მოურავი გაჯავრდებოდა და გამოესარჩლებოდა ოსტატებს, მაგრამ მან არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ იკითხა:

— ის მეორე ვიღაა?

— ზაქარია ურჯულოს ვაჟი გახლავთ, ბესარიონი.

— მეშტვირე! — დამცინავი ღიმილით წამოიძახა მოურავმა.

ბესარიონმა, სასახლეში ბესიკად წოდებულმა, რამდენიმე საოხუნჯო ლექსი გამოუთქვა მოურავს და ერთ ნადიმზე ერეკლე ბატონის თანადასწრებით წაიკითხა. ისე აცინა დამსწრენი, რომ ყველას ფერდები ასტკივდა მეტის ხარხარით, სხვების შესახედავად მოურავიც იცინოდა, თუმცა სრულიადაც არ ეცინებოდა. იმას ნატრობდა, ნეტავ მაშინ მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო. ეს ამბავი გულში ჩარჩა და ჯავრს მხოლოდ იმით იყრიდა, რომ ბესიკს ყოველთვის მეშტვირეს უწოდებდა.

*
* *

დავითი და ბესიკი დილიდანვე ათვალიერებდნენ ზღუდეებს. დავითი ახალი ჩამოსული იყო პეტერბურგიდან. ხუთი წელი დაჰყო დავითმა რუსეთს, სადაც ჯერ ღენერალ რუმიანცევთან, შემდეგ სუვოროვ-რიმნიკსკისთან საბრძოლო საქმეს სწავლობდა. რამდენიმე ლაშქრობაშიაც მიიღო მონაწილეობა პოლონელთა წინააღმდეგ. მალე, ალბათ, ღენერლის ჩინსაც მიიღებ-

და, მაგრამ ერეკლე ბატონის ბარათი მიიღო და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ერეკლე უთვლიდა საქართველოს გაჭირვებას, ლაშქრის უყოლობას და აჩქარებდა ტფილისში ჩამოსვლას.

ბესიკი დავითის ყრმობის მეგობარი იყო. როდესაც ზაქარია, ბესიკის მამა, ექსორიაქმნილი, ღირსებაახდილი, განძარცული, ქუთაისს გადასახლეს, ბესიკი დავითმა შეიფარა თავისი მამის სასახლეში. ორივენი ერთად სწავლობდნენ ფილოსოფიურ სემინარიაში ლათინთა, ბერძენთა და არაბთა ენებს. დავითი ენებზე ცოტა მწყრალად იყო. თავი გამოლაყებული ჰქონდა უცხოურ ენათა ღრამატიკის სწავლით. ბესიკი, პირიქით, ადვილად ითვისებდა უცხოთა ენებს და ორი წლის შემდეგ თავისუფლად ესაუბრებოდა იტალიელ კაპუცინებსა და ირანელ ელჩებს. სამაგიეროდ დავითს ვერავინ სჯობნიდა ცხენოსნობასა და ხმლის ხმარებაში.

დავითის რუსეთში წასვლის შემდეგ ბესიკი ისევ ორბელიანთა ოჯახში დარჩა. ჯერ კიდევ სამოწყალოდ უხდებოდა ყოფნა, სანამ ერეკლეს დედინაცვალმა ანახანუმ დედოფალმა არ შეიფარა და თავის მდივან-მწიგნობრად არ დანიშნა. თუმცა ერეკლე ბატონი ზაქარიაზე შემომწყრალი იყო, მაგრამ რადგან ყოველ ნიჭიერ ახალგაზრდას დიდად აფასებდა, ბესიკს კიდევაც სწყალობდა.

ერეკლეს ორას-ოთახიან სასახლეში ანახანუმს თოთხმეტი თვალი ეჭირა მეორე სართულზე და ყველაფერი საკუთრად ჰყავდა, ამალაც, ფარეშებიც, სეფე-ქალებიც და მოხელეებიც. ის თავის თავს ქართლის კანონიერ დედოფლად სთვლიდა და არათუ სასახლე, მთელი ქართლი საკუთრებად მიაჩნდა. ერეკლეს ქართლში გაბატონებას ვერ ურიგდებოდა, წამართვა ყველაფერიო, ამბობდა. ამიტომ დიდი პატივისმცემელი იყო ყოველი ადამიანისა, რომელიც ერეკლეზე უკმაყოფილებას გამოსთქვამდა. მფარველობდა ყველას, ვისაც მეფე არა სწყალობდა. ზაქარია გაბაშვილისაგან კი განსაკუთრებულად იყო დავალებული. ამიტომ ბესიკი არა თუ შეიფარა და თანამდებობა მისცა, ცალკე ოთახიც კი მიუჩინა თავის პალატებში.

დავითის დაბრუნების დროს ბესიკი უკვე შინაურ კაცად იყო მიღებული სასახლის კარზე. პირველად, შეხვედრის დროს, ვეღარც კი იცნეს ერთმანეთი, ისე გამოცვლილიყვნენ ორივენი. ახოვან ბესიკს ახლად აყრილი ულვაშები ამშვენებდა, დავითს კი — ის ბევრად უფროსი იყო ბესიკზე — მტკაველი ულვაშები გადასწოლოდა სახეზე.

ორივემ ერთად იქეიფეს წვიმით განბანილ ახლად აყვავებულ კრწანისის ბაღებში. სირაჯმა ჰავაქამ ატმისა და ნუშის აყვავებულ რტოების ქვეშ ზაუშალა სუფრა სასურველ სტუმრებს. მთელ დღეს არ ჩამქრალა საზანდარის საამო ღუღუნი და საქეიფოდ მოსული არიფების ცისკენ აფრენილი სიმღერების კრიალა ხმები.

თითქო უცხოეთიდან მოსული სტუმარი ყოფილიყოს, ისე დაჰყავდა ბესიკს დავითი თავის ქალაქში. უნდოდა ყველაფერი ეჩვენებინა, ყველაფერი ის, რაც ბავშვობის დროს მათთვის აკრძალული იყო, ხოლო ვაჟკაცს არ ეზრახებოდა.

დადიოდნენ ერთად. ყავახანებში უცქეროდნენ ყარაგიოზას ლანდების თეატრის სასეირო წარმოდგენებს, უსმენდნენ აშუღების გაუთავებელ სიმღერებს როსტომზე, ქოროღლიზე, ყარაბოღლიზე, საუბრობდნენ ირანელ სოვდაგრებთან ომარ ჰაიამის რუბაიებზე და საჰადის ხოტბებზე. ადარებდნენ

რუსთველს ირანელ პოეტებს. გრძელწვერა დარბაისელი სოვდაგრები მარტივად სჭრიდნენ საკითხს. თქვენ ერთი რუსთველი გყავთ, ჩვენ კი ხუთიო. ბესიკი სიცილით ეუბნებოდა — სამაგიეროდ თქვენ ათასნი ხართ, ჩვენ კი მხოლოდ ათნიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ საღამოს ბესიკმა საიდუმლოდ უთხრა დავითს, რომ ავთანდილივით მასაც ჰყავდა თავისი ფატმანი, ახალციხელი სოვდაგრის აღა-იბრეიმის მეუღლე გიულნარა, რომელთანაც მიწვეულნი იყვნენ ორივენი. გიულნარას მულს ქვრივ ჯავაირას მოეკრა თვალი დავითისათვის და ტრფობის ალიც მოსდებოდა.

ორივენი იდუმალად ესტუმრენ ტურფა ქალებს, რომელთა ოჯახის უფროსი სტამბოლს იყო წასული და არავინ იცოდა, თუ როდის დაბრუნდებოდა.

მდიდრულად მორთულ დარბაზში მიიღეს სტუმრები რძალ-მულმა. ფეხი იფლობოდა ირანულ ძვირფას ნოხებში. თვალის მომჭრელად ელავდნენ ოქრო-ვერცხლით და მინანქრით მორთული კედლები. ხავერდისა და აბრეშუმის ყუვი ბალიშებით იყო მოფენილი უზარმაზარი რბილი ტახტი, რომლის შუაგულზე გაეშალათ ქალებს სუფრა. მოოქრული ლანგრები თავდადგმულად აევსოთ სტამბოლური ყანდით, თეთრი შაქრით, გილანის ქარვისფერი ქიშმიშით, მოხალული ლაბლაბით, დათაფლული ფინიკით, ნაზამთარი, ცოცხლად შენახული განჯური ყურძნით, ისპაჰანური ნუღლით და ჰალვით. გორაკებად დაეხვავებინათ ქართული ქადა-ნაზუქები, ხავიწები და ხაჭაპურები. ქალებივით ტანწერწეტა სევადიანი სურები შარბათით და კახური ღვინოებით აევსოთ. მინანქრიანი ზანდუკის მაგვარ ვერცხლის კოლოფით ჰაშიშიც კი მოეტანათ.

ორივენი მთელ ღამეს ყეინებივით ბალიშებზე ნახევრად წამოწოლილნი შეექცეოდნენ აღმოსავლურ ტკბილეულს, ჩინური ფაიფურის ფიალებით სვამდნენ ხან ყავას, ხან შარბათს და შესცქეროდნენ ჟინით ალმოდებულ ქალებს, რომელთა აღტაცებას ამ ორი თავაზიანი რაინდის სტუმრობის გამო საზღვარი არა ჰქონდა. ბოლივით თხელი აბრეშუმის კაბებით მორთული და უამრავი თვალმარგალიტით აკინძული ქალები ჰარამხანის მხევლებივით ცეკავდნენ დაირით ხელში ან მღეროდნენ ბროლივით კრიალა ხმებით.

გათენებისას, ცისკარი რომ მეტეხის ჯვარს ასცდა, დასტოვეს რაინდებმა მომჯადოებელი დარბაზი. ჰაშიშითა და ქალთა სხეულის მუშკისა და ჰამბრის ნაზი სურნელებით დამთვრალნი, ბარბაცით მიაბიჯებდნენ ქარვასლისა და დახურული ბაზრის ბნელ დერეფნებში. ორივენი ფრთხილად შეიპარნენ სასახლეში. როდესაც ერთგულმა ფარეშმა ტანთ გახადა და ლოგინზე დაწვინა, კიდევ დიდხანს უწიოდათ ყურებში ბროლივით კამკამა ხმები გედებივით თეთრი, სალუქი ქალებისა.

მეორე დღეს თავის ტკივილი გრილ აბანოში გაინელეს და სანადიროდ დაიწყეს მზადება — თვით მიშკარმაშმა ისურვა მათი თანხლება. მაგრამ საღამოთი შიკრიკი მივიდა და ერეკლე ბატონის ბარათი მიიტანა, სადაც ნაბრძანები იყო, მოურავმან ციხე ქალაქისა შეაკეთოსო, ხოლო, რადგან ჩვენ ესრე გვინებებია, რომ მისი ბრწყინვალება დავით ორბელიანი ქართლ-კახეთის ლაშქრის სარდალი იყოს, ამიტომ ციხის კედლები მისი მეთვალყურეობით შეკეთდესო. დავითმა მაშინვე მიანება თავი სანადიროდ მზადებას და სარაიდარებთან ერთად ციხის შეკეთების გეგმვას შეუდგა. ზღუდეების დაზიანებული

ადგილები კალატოზების საზომი იარაღით დაზომეს, გერმანული ასტროლაბიით გეგმა შეადგინეს და ტყავივით მაგარ ქაღალდზე ქალაქის რუკა დახატეს. ბესიკი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს სარაიდარების მიერ აჭრელებულ გეომეტრიულ ნახაზებს, რომელნიც ირანელ სოვდაგრებთან ნახულ არაბულ პორტოლანებს აგონებდნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბესიკი განუყრელად ახლდა დავითს და იმ დროს, როდესაც ქალაქის მოურავმა ისინი მაღალი ციხის ქონგურებზე შენიშნა, დავითი ზარბაზნებს ათვალიერებდა, მათ სიმძლავრესა და ხარისხს ამოწმებდა.

თითბრის ზარბაზნებს მწვანე ჟანგი გადაჰკროდათ. ზოგიერთ მათგანზე არაბული წარწერები იყო. უმეტესობას კი ერეკლეს ბეჭედი ესვა. ყველანი დაბალ ბორბლებიან ლაფეტებზე იყვნენ დადგმულნი. იქვე ზვინებად ეწყო თუჯის მძიმე ყუმბარები.

— ჩვენ რეღული ლაშქარი გვჭირდება, ისე, როგორც რუსთა ხელმწიფეს ჰყავს, — უთხრა დავითმა ბესიკს, — თორემ აბა ისე რა ფასი აქვს ამ ზარბაზნებს. მთელ ქალაქში ერთი ბომბარდირიც კი არ მოგვეპოვება, რომ ზარბაზნის ყუმბარა ნიშანს მოახვედროს... რუსებს მოსახლე ყმათაგან ათ კაცზე ერთი გაჰყავთ რეღულში და ოცდახუთ წელს ამსახურებენ. ჩვენებურ ლაშქარს კი მათებურად ოპოლჩენიე ჰქვიან. ეეჰ! ისეთი გაწყობილი ლაშქარი გვყავდეს და აბა მაშინ ნახავდი, რა დაუდგებოდა წინ ქართველთ ვაჟკაცობას.

—ასეთ მუდმივ ლაშქარს ბევრი ხარჯი სჭირდება,—შენიშნა ბესიკმა.

— განა ათ კაცზე ერთს ვერ შევინახავთ? აბა, შეხედე, სამი ეჯი აქვს სიგრძე ჩვენი ქალაქის ზღუდეებს და მარტო ბჭეებთან დგანან გუშაგები, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მოურავისთვის დაწესებული ბეგარა გამოართონ ქალაქში შემომსვლელსა. ამოდენა ქალაქს კი ღარნიზონი არა ჰყავს. მტერთ არ უწყიან, თორემ ორის კიბით ორასი კაცი ისე მიეპარვის ქალაქს და აიღებს, რომ ხალხი გონს მოსვლასაც ვერ მოასწრებს.

— მტერი გვჯობნის გონებით, — მწარედ გაეცინა ბესიკს. — მთელი ჩვენი ძალღონე იმას უნდა შევალიოთ, რომ ჩვენივე ციხეებიდან უსჯულონი განვდევნოთ. ისიც ვერ მოგვიხერხებია, ჩვენივე სიმაგრეები ხელთ გვეპყრას.

— შენ ეგა თქვი და! იმერთა მეფემ სოლომონმა ქუთაისის, შორაპნის და ბაღდადის ციხეებიდან ოსმალნი დიდის ჭირგადახდით განდევნა და იმის მაგივრად, რომ თითონ გამაგრებულიყო ციხეებში, მისცა ნაღმი და დააქცივა, თათრებმა აქ ფეხი აღარ მოიკიდონო. თათრებმა ხელახლად აიღეს ის ციხეები, აღაშენეს სოლომონისვე ქვეშევრდომთა ხელით და ისევ საზრუნავად გაუხდა სოლომონს მათი განდევნა ციხეებიდან. მართალია, სოლომონი მხნეა, ჩვენი ერეკლე ბატონიც — დღეგრძელი იყოს! — ესეც ხომ მხნეა და მხნე ფრიად, მაგრამ რას გვიჭს მარტო მხნეობა, როდესაც ომი და ლაშქრობა გვიხდება? მუდამ ცეცხლში გდებით რკინაც კი იწვის. მტერთა შემოსევას და მათ თარეშს ბოლო არ უჩანს. ერეკლე ბატონი რუსთ ხელმწიფეს ეხვეწება მფარველობას. ჯარსა სთხოვს. განა ჩვენ არ შეგვიძლიან რეღული ვიყოლიოთ? განა ერთი გაწვრთნილი მეზარბაზნე არა სჯობიან ასს გაუწვრთნელ მეომარსა? მართალია, სიმხნე და გმირობა კი შეგვრჩა ძველთაგან, მაგრამ იმას კი აღარ ვფიქრობთ, რომ უცხოთა ტომთაგან ქვეყნის მართვა და გამგებლობა ვისწავლოთ ახლისა წესისამებრ.

ბესიკმა მათკენ მიმავალი მოურავი დაინახა თავისი ხელქვეითებით და დაეითს თვალით ანიშნა:

— ბებერი ტურა და მაბეზღარა მოდის, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— მაგისთანა მექრთამე მოხელენი რომ ეყოლება მეფეს, — აბა რა კარგი ღღე დაუდგება ქვეყანას! — ამოიოხრა დავითმა, მერე ჩასაკეცი ჭოგრიტი გამართა და მამა-დავითისაკენ გაიხედა.

კედელში დატანებულ კიბე-დერეფანში მოურავის ქოშინი მოისმა, — უჭირდა ასვლა დაკიდულ საფეხურებზე.

— იხრჩობა! — ჩაიცინა დავითმა.

როგორც კი მოურავმა კიბეები აათავა და კოშკის სხვენზე თავისი თანმხლებლებით ავიდა, მაშინვე ორივემ დინჯი გამომეტყველება მიიღო და მოსულებს თავდაბლა მიესალმა. მართალია, ერეკლე წერილში დავითს სარდლად იხსენებდა, მაგრამ რადგან სიგელით ეს თანამდებობა დამტკიცებული არა ჰქონდა, მოურავის წინაშე მაინც თავდაბლობა უნდა გამოეჩინა.

მოურავს მისალმების თავი აღარ ჰქონდა. ქოშინით ჩამოჯდა ქონგურების შუა და დაცვარული შუბლი ხელსახოცით მოიწმინდა.

— ოსტატებმა შემომჩივლეს, სალალაკის ზღუდეზე წუნი დაგიდევს, — ძძიმე ქშენით უთხრა მოურავმა დავითს.

— თქვენო ბრწყინვალებავ, თუ ის ზღუდე ხელახლად არ აიგო, ერთ თვეზედ თვისით დაიქცევა. თუ ინებებთ, ჭოგრიტით გახედეთ, თქვენის თვალით დაინახავთ.

— კარგი ერთი, — მოურავმა ხელი აიქნია უარის ნიშნად, როდესაც დავითმა ჭოგრიტი გაუწოდა: — მე მაგით, რამდენჯერაც არ ვეცადე, ვერაფერი ვერ დავინახე. მაგ ეშმაკის მანქანებისა არა გამეგება-რა. განა რა აქვს ცუდი იმ ზღუდეს?

— პირდაპირ ნაყარზე დაუწყიათ შენება. იქ კიდევ ფერდობია, ნაყარი ტინზეა, ერთი მაგარი წვიმა და ორმოცდაათი ადლი კედელი ხევში მოადენს ზღართანს. თქვენ უნდა უბრძანოთ, ის კედელი დაშალონ და ბალავარით ამოიყვანონ.

— ვაჰ, ეგ ხომ ოცი თუმანი ზარალი გამოდის! — წამოიძახა გაოცებულმა მოურავმა.

— ეგ იმან ზღოს, ვისი ბრალიც არის, — შენიშნა დავითმა და ბესიკს გადახედა, რომელიც ჩაფიქრებული დასცქეროდა წინ გადაშლილ ქალაქს.

მოურავმა ადგომა დააპირა — მელიქმა და ასასბაშმა ხელი მიაშველეს. ნელინელ წამოიწია, რუმბივით მუცელი ძლივს აითრია და სალალაკისკენ გადაიხედა. მას არ ესიამოვნა ეს ამბავი, რადგან მოიჯარადრეებთან საიდუმლოდ ედო წილი, — მოგების ნახევარი მისი იყო. ახლა კი, თუ ის კედელი დასაქცევი გაუხდებოდა, პირიქით, თავის ჯიბიდან დასჭირდებოდა თანხის გაღება. სხვაგვარად მოიჯარადრეები შარს მოსდებდნენ და მეფესთან უჩივლებდნენ, ქრთამი გამოგვართოო. ერეკლეს კი ხუმრობა არ უყვარდა. კიდევ კარგი, თუ მოურაობის დაკარგვით და ვირზე უკუღმა შესმით გადარჩებოდა. შეიძლება უარესი დღე დასდგომოდა.

ფიქრებში წასული მოურავი დასცქეროდა სალალაკის ზღუდეს. ხელსახოცით რამდენჯერმე მოიწმინდა ჩაკეცილი სქელი კისერი. ვერ ურიგდებოდა ზარალს, გამოსავალს ეძებდა.

სხვენზე კომბლიანი ასასი ამოძვრა, ყველას თავდაბლა სალამი მისცა და მოურავს მოახსენა:

— რამდენი გეძებე, მოურავო. სტამბოლიდან აღა-იბრეიმის ქარავანი ჩა-

მოვიდა ასი აქლემითა. თან კიდენ ერეკლე ბატონის დაბარებული ბერძნები ჩამოიყვანა.

აღა-იბრეიმის ხსენებაზე დავითმა ბესიკს თვალი ჩაუკრა. ორივემ გაიღიმა. მოურავს კი სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა. ყოველი ქარავნის მოსვლა მისთვის დღესასწაული იყო, რადგან თუმანზე შაური ბაჟი, ნოლო საპალნეზე: წონა — სამ-სამი ლიტრა, ზომა — ადლი მოურავისა იყო. უცხო ქვეყნიდან მოსულ მოქალაქეს პირველად მოურავი უნდა ენახა და ფეშქაში მიერთმია. ასეთი იყო დებულება.

— ეგ ძალიან მაამე, შენმა სიცოცხლემ. ეს მინალთუნი შენი იყოს. როგორ გაეხარდება ერეკლე ბატონს ბერძნების ჩამოსვლა! სად არიან?

— ყაბახზე შეჩერდნენ. ქარავანიც იქა დგა. აღა-იბრეიმმა გთხოვა, თქვენი ნახვა მეშურნებაო, იქნება მებაჟეები დროულად მოვიდნენ, ბარემ დაღამებამდე მინდა საქონელი ქარვასლაში შევზიდოო. თანაცაო, ეს ბერძნები აქამდე მომიყვანია, ჩაიბარეთ და უპატრონეთო.

— უჰ, უჰ! ნულარ დავაყოვნებთ, გაიქეც, უთხარი, მოვდივარ-თქო, დაიცა, მოურავმა მოგიკითხა სიყვარულითა-თქო, ასე უთხარ, სანამ მე მოვიდოდე.

ასასი სწრაფად ჩაძვრა ხვრელში, მოურავიც თითქმის მაშინვე დაედევნა, ჰაგრამ კიბედან მიიხედა და დავითს უთხრა:

— რა გაეწყობა, სალალაკის ზღუდეს ხელახლა გავაკეთებინებ, ოღონდ ერეკლე ბატონს ნურაფერს ვეტყვით, ეწყინება.

— იყოს ნება თქვენი! — თავდახრით უპასუხა დავითმა.

ბესიკი ისევ ჩაფიქრებული დასცქეროდა ქალაქს. დაკლაკნილ ქუჩებში და ფოლორცებზე ჭიანჭველებივით ირეოდა ხალხი. ისმოდა ყრუ ხმაური.

— რას ჩაფიქრებულხარ, მგოსანო? — ჰკითხა დავითმა, ჭოგრიტი დაკეცა და თასმით მხარზე ჩამოიკიდა, — წავიდეთ, ჩვენც ვნახოთ ქარავანი.

ბესიკი ფიქრებიდან გამოერკვა.

— ჩვენს ქვეყანაზე ვფიქრობდი, დავით, ნანგრევები ღა ვართ. განა თამარის შემდეგ ამაზე უფრო მეტი დაკნინება ოდესმე გვხვდომია წილად? აბა დახედე ჩვენს ქალაქს: მხოლოდ ტაძრები დარჩომილან წარსულის დიდებისაგან. რამდენი ქალაქია ქვეყნად თბილისზე გვიან დაფუძნებული, მაგრამ რაოდენის სიმდიდრითა და სიკეთით აღსავსე! ჯერ მარტო სულხან-საბა აღწერს თავის თვალით ნახულს რაოდენ ქალაქს. პატრი დომინიკი მეუბნოდა, ტფილისი ულამაზესი ქალაქი არის, მაგრამ ღარიბიო. ან რაით უნდა აღვშენდეთ? ამდენჯერ აოხრების შემდეგ რომ ეს სახე შევინარჩუნეთ, ისიც საკვირველია. ახლა ვფიქრობდი, რა იქნებოდა, ჩვენი ქალაქი დიღმის ველებამდე რომ იყოს გაშენებული, გაღმით კიდევ ღრმა ღელემდე, ისარივით სწორი შუკებით გადასერილი, სწორედ ისეთი, როგორც, შენის სიტყვით, პეტერბურღი არის. მარჯვნივ და მარცხნივ დიდი, ორ ან სამ-სართულიანი სასახლეები, ხეივნები, ბაღები, ქვით მოფენილი ფოლორცები, ცხენ გაბმული ეტლები, კარეტები, დიდი-დიდი თეატრი, შუკებზე ფეხშეწყობით მოსიარულე გაწვრთნილი ლაშქარი, ისეთი, რომ უცხოელთა დესპანებს შიშის ზარსა გვრიდეს. განა იქნება ოდესმე ასეთი თბილისი? იქნებ ასის ან ორასის წლის ან კიდევ ათასი წლის შემდეგ იყოს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, აი ისეთი მოურავის მაგვარ მეურვეთა ხელში ჩვენი ქალაქი სულ აღიგავოს.

დავითი ღიმილით ისმენდა ბესიკის გულუბრყვილო მსჯელობას. ახარებდა ბესიკის გულში აღძრული კეთილშობილი გრძნობები და აღტაცებით

შესცქეროდა ახალგაზრდა მგოსანს. ძალიან ცოტანი იყვნენ ბესიკის მაგვარი აზრებით შეპყრობილი ახალგაზრდები. ბრწყინვალე თავადთა შვილებს, შორის გონება სალი თითო-ოროლა თუ გამოირჩეოდა. საოცარი ის იყო, რომ ბესიკსავით მდაბიოთაგან დაწინაურებულ ახალგაზრდობას [illegible] ეფერებოდა დიადი აზროვნების უნარი, ვიდრე თვით უფლისწულებს. [illegible] თავადებს გვარი ამშვენებდათ და მათთვის ესეც საკმაო იყო. მამულისა და თანამდებობის დაკარგვის შიშით ერისთავნი და თავადნი ხან ყაენთან გარბოდნენ საჩივლელად და მფარველობის მოსაპოებლად, ხან ხონთქართან, ხან რუსეთის იმპერატრიცასთან. რიგრიგობით მოუძღოდნენ ხან ყიზილბაშებს, ხან ურუმებს, ხან ხუნძახის ბატონის მიერ შემოსეულ თარეშებს და აოხრებდნენ საკუთარ ქვეყანას, რომ ჯილდოდ რომელიმე კუთხე მიეღოთ საბატონოდ. თეიმურაზისა და შემდეგ ერეკლეს გაძლიერებამ ოდნავ შეასუსტა მებატონეთა თარეში, მაგრამ სამაგიეროდ ბევრმა მათგანმა ერეკლეს კარზე სახელოს შოვნით მდგომარეობა განიმტკიცა და განცხრომას მიეცა. არც ერთ მათგანს არ უტრიალებდა თავში კეთილშობილი აზრი ერის აღორძინებისა. ყველანი მამულის და თანამდებობის მოპოებაზე ფიქრობდნენ.

— ჩემო ბესარიონ, — ღიმილით მოუთათუნა მხარზე ხელი დავითმა სახესევდიან ბესიკს, — მრავალის ღვაწლით და ჭირ-გადახდით ქვეყანას გინდ აღაშენებ, გინდ დააქცევ. ჩვენს სამეფოს მხოლოდ ერთი კაცი ჰყავს გონიერი, ჩვენი ერეკლე ბატონი, ისიც მხოლოდ გარე მტერთან ბრძოლაში ძლიერი, ხოლო შინაურ მტრებთან მერყეევი. მას მლიქვნელი მეგობრად და ერთგულ ყმად მიაჩნია და არ უწყის, თუ რაოდენი ბოროტებაა ამ მდაბალ ხალხში. პირფერობით ერეკლეს გულს იგებენ და ისედაც გაძვალტყავებულ ქვეყანას ქრთამებით თუ ქურდობით სულს ხდიან. რაოდენი კარგი საქმე დაიწყო და გააკეთა ერეკლემ თვისი მამის, ნეტარხსენებული თეიმურაზის შთაგონებით. აგერ ხედავ, თოფხანა, ზარაფხანა, თოფის წამალხანა, მარილის სახდელი, სტამბა. ახლა კიდევ, ხომ ხედავ, ახტალის მადნებში მაღაროთა გასამართავად სტამბოლიდან ბერძენი ოსტატები დაუბარებია. რაოდენ კეთილ საქმეს იზრახავს ერეკლე ბატონი, მაგრამ ერთის ანდაზისა არ იყოს, მარტოხელა კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო, რა უნდა იღონოს მარტოოდენ მაგან, თუ თავადნი და დიდებულნი მწედ არ ეყოლებიან? ზოგნი შეთქმულებას აწყობენ. ჯერ პაატა ბატონიშვილი უნდოდათ მეფედ, ახლა კიდევ ალექსანდრე ბაქარის-ძეს აგულვებენ, ამბობენ, ქართლი ალექსანდრეს ეკუთვნისო, ერეკლე კახეთს წავიდესო. არასოდეს არ შეიძლება ამაზე უფრო დაკნინება გონებისა. ძლივს ქართლ-კახეთი ერთობლად ვყავით და ნაცვლად იმისა, რომ ამერ-იმერი ერთობილ ვყოთ, უთავო თავადნი თავიანთი განდიდებისათვის მზად არიან ნაკუწ-ნაკუწად დააქციონ ჩვენი ქვეყანა. რუსთა იმპერატორმა პეტრემ თავისი ხელით დაჰკვეთა თავები ქვეყნის ორგულთ სტრელცებს. ურჩ ბოიარებს ძალით დაკრიჭა წვერი, ჩააცვა ფრანციული კაბა-ახალუხი. გემთა საშენ ქარხნებში თავისი ხელით რანდავდა გემის ანძებს. იმან აღაშენა პეტერბურღი ანუ ქართულად პეტრეს ქალაქი. მთლად რუსეთში სამრეკლოებს ზარები მოხსნა, ზარბაზნები ჩამოასხა, ახალ წესზე გამართა ლაშქარი და ისე დაამარცხა შვედთა უძლეველი ჯარი, რომ მას შემდეგ სამუდამოდ ჩაესვენა კარლოს მეთორმეტის ძლევამოსილების მზე.

ბესიკმა მოულოდნელად ანიშნა დავითს, შეჩერდიო, რამდენიმე ნახტომით კიბის ჩასასვლელთან გაჩნდა, სწრაფად დაიხარა და ხვრელიდან ჩამალული

ასასი ქინჩში ხელის ჩავლებით ისე ამოათრია მაღლა, თითქო კურდღელი აეტაცებინოსო. მერე მაგრა შეანჯღრია და ზარბაზნებისაკენ ისროლა. ასასი წაიქცა და თავი ზარბაზნის კოპს მიახალა. დაფეთებული თვალებით შეაცქერდა ორივეს და განძრევა ვერ გაბედა.

— რომელმა მოგგზავნა, — მკაცრად ჰკითხა ბესიკმა, — ასანბაშმა თუ მოურავმა?

— მოურავმა... ასე მითხრა, რომაო, ჩუმად ყური დაუგდე და ყველაფერი მომახსენეო, — ვეღარ გაბედა სიცრუის თქმა ასასმა.

— რა გქვიან?

— გიგოლა მქვიან, შენი ჭირიმე, ბეჟანაანთი გახლავართ. ნუ მომკლავთ, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებთ, ცოლშვილის პატრონი ვარ.

— რომ არ დაგვეჭირე, უნდა გეთქო მოურავისათვის, რაც გაიგონე? — ჰკითხა დავითმა. — ხომ გესმოდა ჩვენი ლაპარაკი?

— რო მესმოდა, შენი კვნესამე, განა ყველაფერი გავიგე, მაგრამ განა მაგასაც კი ვეტყოდი! აჰა, ცოლშვილი ასე დამეხოცოს, თუ ერთი სიტყვა სწორე მეთქოს მოურავისათვის. განა ყოველთვის საჭიროა სწორად მოხსენება. აბაიმე, მართალია, გლეხი კი გახლავართ, მაგრამ ჭკუა ჩვენცა გვაქვს. გუმანით მივხვდი, თქვენ ძიენ კარგ რამეს ბრძანებდით, ჰო-და კარგსა კიდენ ბევრი მტერი და დუშმანი ჰყავს ამ ქვეყანაზედა. თუ ცოცხალს გამიშვებთ, სიკვდილამდე თქვენი ერთგული ყმა ვიქნები. იქნება მეც გამოგადგეთ სადმე.

შეშინებულ თვალებში ეტყობოდა, გულწრფელად ლაპარაკობდა.

— ადექ! — უბრძანა დავითმა.

ასასმა წამოიჩოქა და სასიკვდილოდ განწირულივით მოსხლტა. ტანი ძლივს შეიკავა. მთელი სხეული უთანთახებდა.

— ნუ გეშინიან, არ მოგკლავ, თუმცა ეს იცოდე, რომ შენი ამ კოშკიდან გადაგდება სულ ოცი მინალთუნიც არ დამიჯდება. გენდობი, როგორც ვაჟკაცთ წესია.

ასასი კინაღამ გაგიჟდა სიხარულით. მადლობა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. უცნაურად დაიწყო ბლუკუნი.

— კარგია, გეყოფა, ადექ ზეზე! — ბესიკს არ მოსწონდა ასეთი ლაჩრული დამდაბლება. — ადექ და გახსოვდეს დავითის სიტყვა.

ასასი წამოდგა, კომბალი მოსძებნა, ჩოხის კალთები დაიბერტყა.

— გიახლოთ?

— წადი. რას ეტყვი მოურავსა? — ღიმილით ჰკითხა დავითმა.

— ჰეი, რას ვეტყვი? — დაიღრიჯა ასასი: — იმდენ წელიწადს ჩემმა შვილებმა იცოცხლონ, რამდენი ქება იმას მოვახსენო თქვენის ბრძანებითა. ხარის ბუშტივით გავბერავ. მაგითანების მეტი რა ვიცით ასასებმა. თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს გამჩენმა.

ასასი წავიდა. დავითი და ბესიკი ერთხანს ჩაფიქრებულები იდგნენ. ორივემ რაღაც უცნაური გულისტკივილი იგრძნო ამ პატარა შემთხვევის გამო. თითქო გველს წასწყდომოდნენ, ისეთი ამრეზილი სახე ჰქონდა ორივეს.

— წავიდეთ, ქარავანი ვნახოთ, აღა-იბრეიმს მშვიდობით დაბრუნება მივულოცოთ, — უთხრა დავითმა ბესიკს. — ნუ მივეცემით ჭმუნვას.

— წავიდეთ, — უხალისოდ ჩაილაპარაკა ბესიკმა.

*
* *

ყაბახზე ერთი ალიაქოთი იდგა. დაჩოქილი აქლემები სფინქსებივით გარინდულიყვნენ. მექარავნეებს საპალნეები მოეხსნათ. მებაქანი ყოველ ბუალაგს სათითაოდ ხსნიდნენ, საქონელს ნუსხავდნენ და აღა-იბრეიმის ნოქრებთან საქონლის შეფასებაზე გაუთავებლად დაობდნენ. მებაქეები ძვირად აფასებდნენ, რომ გადასახადი მეტი აეღოთ, ნოქრები სულ უკარგავდნენ ფასს საქონელს, იქნებ ბაჟი ნაკლები გამოსვლოდათ. განსაკუთრებით ერთ ყუთზე იდავეს ისე, რომ ყვირილით ყველას ხმა ჩაუწყდა. ყუთში ოქროსა და ვერცხლის ჯიბის საათები ეწყო, ოცი ცალი, სათვალე — ოცდაათი, რამდენიმე ჭოგრიტი და ყიბლანი. მათი ფასი მებაქეებმა არ იცოდნენ, ნოქრებს კი არ ენდობოდნენ. ბოლოს, ყვირილით რომ ვერაფერი გააწყეს, აღა-იბრეიმის მოსვლამდე გადასდეს შეფასება.

ქალაქიდან დიდძალი ხალხი მიაწყდა ყაბახს. ყველას უნდოდა გაეგო, რა მოეზიდა უცხოეთიდან აღა-იბრეიმს და თავისი თვალით გაესინჯა საქონელი. თეთრი დოლბანდებით ტანშებურვილი, მდიდრულად მორთული სეფექალები, ოქრომკედით ნაქარგი, მაღალქუსლიანი ლამაზი ქოშებით ფაქიზად დააბიჯებდნენ საპალნეებს შორის, სინჯავდნენ ნაირნაირ ქსოვილს, სტავრას და აბრეშუმს, ხავერდს და მაუდს, ლაინს და ატლასს, ჩითს და დარაიას.

მდიდრულად მორთულ ქალებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერეკლე ბატონის დაი ანა ბატონიშვილი, ეშიკასბაშ დიმიტრი ორბელიანის მეუღლე. მას შემდეგ, რაც დიმიტრი დაავადმყოფდა და ლოგინად ჩავარდა, ანა თავის ძმასთან ცხოვრობდა სასახლეში. თხუთმეტი წლის იყო ანა, როდესაც ორმოცდაათი წლის დიმიტრი ორბელიანს მიათხოვეს. თითქმის ოცდაათი წელიწადი გაატარა ქმრის სასახლეში და საოცარი ის იყო, რომ რაც დრო გადიოდა, მით უფრო მშვენდებოდა ანა. ახლაც უკვე ორმოცდახუთ წელს იყო მიღწეული, მაგრამ ისევ სუფთა და კრიალა ჰქონდა სახე, ისეთივე მოქნილი ჰქონდა ლამაზი ტანი, კოჭებამდე დასული შავი ნაწნავები, როგორც თხუთმეტი წლისას. ერთმა დიდმა მწუხარებამ, — როდესაც ახალგაზრდა შვილი გარდაეცვალა, — თითქო შეაკრთო ეს შვენებით აღსავსე ქალი: შუბლზე ოდნავ შესამჩნევმა ნაოჭებმა გადაურბინეს, მაგრამ შვილის-შვილმა, რომელსაც ანამ თავისი სახელი დაარქვა, დარდი გაუნელა. პატარა ანა სწრაფად წამოიზარდა და თორმეტის წლისა უკვე ტანაყრილი ქალი იყო. ყველანი მას დიდ ანას ადარებდნენ და ამიტომ ბებია განსაკუთრების მზრუნველობით უვლიდა შვილის-შვილს. სულ თავისთან ჰყავდა, არ იშორებდა. მხილველნი მათ დებს უწოდებდნენ და უფროსს ანას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მას არასოდეს არა ჰყვარებია თავისი ქმარი, რომელიც ახლა ძვლებით სავსე პარკს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. მთელი თავისი მეტად მოსაწყენი ცხოვრების მანძილზე ანა მხოლოდ ოცნებით ცხოვრობდა — დარახტული ტაიჭით მივარდნილ რაინდზე ოცნებით, რომელიც გაიტაცებდა მას ორბელიანთა ქაჯეთის ციხიდან. მაგრამ რაინდი არსად სჩანდა, ბებერი ქმარი-კი მუდამ კრინავდა და ოხრავდა თავის ციხე-დარბაზის თაღიან პალატებში და არა კვდებოდა. მერე, როდესაც შვილის სიკვდილის გამო დიმიტრი ლოგინად ჩავარდა და ოჯახს მამაკაცი პატრონი აღარა ჰყავდა, ანა თავის ძმასთან ერეკლე ბატონთან ჩამოვიდა სასახლეში, ქმარი ტახტრევანით ჩამოიყვანა და თავზე გერმანელი ექიმი რეინეგსი დააყენა. ექიმი კი უფრო ლამაზ ანას მო-

ვლამ გაიტაცა, ვიდრე ავადმყოფ ქმრისამ. ყოველდღე ამზადებდა ძეკლუც ქალისათვის ათასგვარ ნელსაცხებლებს, ტანის დასაზელ ზეთებს და სახის გასაწმენდ უმარილებს. ასწავლიდა მენუეტს და ევროპულ რიგერანსებს, მაგრამ როდესაც ერთხელ იდუმალად სიყვარული გაუმეღავნა, ანამ მრისხანედ შეჰყარა წარბები და კარებზე მიუთითა. მას არ მოსწონდა ტრაბახა რეინეგსი. მთელი თავისი სიცოცხლე რაინდებზე ოცნებით გაატარა და ახლა ეს საჭურისივით წვერულვაშგაპარსული ეჭმი უპირებდა გამიჯნურებას.

მაგრამ როდესაც ერთხელ დარბაზობაზე ანამ ახალგაზრდა ბესიკი პირველად ნახა, გული უცნაურად აუტოკდა. ბესიკი სეფე-ქალებს ლექსებს უკითხავდა, თარზე საოხუნჯო შაირებს მღეროდა, ლაღობდა, ხოლო აკისკისებული სეფე-ქალები ისე ეხვეოდნენ ჭაბუკ მგოსანს, როგორც ფარვანები ლამპარს. ანა მაშინვე გაბრუნდა თავის პალატში, მოახლე გულვარდისას დიდი სარკის წინ კელაპტრები აანთებინა და მთელი ღამის განმავლობაში თავის თავს შესცქეროდა.

— დავბერდი, გულვარდისავ? — თრთოლვით ეკითხებოდა ანა თავის ერთგულ მოახლეს.

— ნეტამც აგრე ახალგაზრდად მაცხოვრა და ეშმაკსაც კი წავეყვანე.

— მართლა? — სიხარულით აენთო თვალები ანას. — შვილის-შვილის პატრონი ვარ, გულვარდისავ, ბებია ვარ.

— იჰ, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებთ და თქვენს წყალობას ნუ მომაკლებს გამჩენი, ვინც თქვენა გნახულობთ, აგრე ბრძანებს, გაუთხოვარია ნეტავ თუ გათხოვილიო. სპარსეთის ელჩს ებრძანებინა, ანა ბატონიშვილისთანა შვენება თვით დიდებულ ყაენსაც კი არა ჰყავს ცოლადო. ერეკლე ბატონის მზემა, სწორედ ასე ეთქვა. აბა ზოგიერთებმა იკითხონ, რომ ჯერ გათხოვილიც არ არიან და ჩიყვიანებივით თითო ადლი ღაბაბი ჩამოუშვიათ, წელზე ათი ადლი სარტყელი არ შემოსწვდებათ და სახე კიდევ ისე აქვთ დანაოჭებული, რომ იესე მსაჯულის დაწერილ განჩინების ქაღალდს მიუგავთ.

როდესაც დაძინების წინ ტანთ გახდა დაიწყო, ანამ უცბათ მოისურვა თავისი ტანი დაენახა სარკეში. შიშველი ტანი! მოახლეს კარი ჩააკეტინა, ნაწნავები ჩამოიშალა და სარკის წინ დაუწყო თვალიერება თავის თავს. შიშველი უფრო ახალგაზრდა გამოჩნდა. საოცრად თეთრი სხეული მიმზიდველად უბზინავდა. მკერდი ოდნავ დაზიდულიყო ძირს, მაგრამ არც ისე, როგორც ზოგიერთ, უფრო ახალგაზრდა დედაკაცს ჰქონდა. მუცელი სულ არ აჩნდა, წვრილ წელზე ზოლივით შემოჭდობოდა მოჭერილი სარტყელის კვალი.

მოახლემ სიყვარულით დაუსვა ხელი თეძოებზე.

— მგონია, სამოთხეში ასეთი ლამაზი ანგელოზებიც კი არა ჰყავს უფალსა. იჰ, გენაცვალე, ნეტამც ასე მაცქერინა შენთვინა და არც სმა მინდა, არც ჭამა.

ანას გაეცინა. სიცილიც შვენოდა. ოდნავ შესცივდა და შეაკრჭოლა. ზურგზე გადაყრილი თმა ტანზე შემოიფინა და რამდენჯერმე კიდევ შეათვალიერა თავი. მოულოდნელად წარმოიდგინა, ახლა ის რომ ხედავდეს, როგორ აენთებოდა თვალები და ანას უცბათ სირცხვილის ალმურმა აუტკიცა ლოყები. სწრაფად მოსცილდა სარკეს და პერანგი ჩაიცვა. ვნების ერუანტელმა დაურბინა სხეულში და უფრო შერცხვა. ხატების წინ სანთელი აანთო, დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო, უნდოდა განედევნა ცოდვილი აზრები:

— ჰოი მე, რაოდენთა კეთილთაგან დავაკლე ჩემი თავი. ეჰა, ვითარსა შვე-

ბისაგან განვარდი უბადრუკი და სიმდიდრე რომელი მომეღო, განვაბნეე და გარდავხედ მცნებასა. ვაიმე საწყალობელო სულო, რამეთუ მწარედ დასჯად ვართ ცეცხლსა მას შინა საუკუნესა. აწ უკვე პირველ სიკვდილისა ხმობ უფლისა მიმართ და უღაღადებ ცრემლით და სულთქმით: ვითარცა უმრავლესი იგი შვილი შემიწყნარე აწ, მამაო სახიერო, და შემიწყალე მე.

უნდოდა გაეყუჩებინა გულის უცნაური ტკივილი, ამ უაზრო ლოცვით უნდოდა დაეთრგუნა თავისი თავი. ისახავდა პირჯვარს, აკეთებდა მეტანიას, მაგრამ ამაღელვებელი ფიქრები არ შორდებოდნენ, დაშლილი თმა ხელს უშლიდა, სრიალით ეყრებოდა მხრებზე და ჭავლებიან ჩანჩქერივით იშლებოდა ხალიჩაზე.

ანა შესცქეროდა ღვთისმშობლის უზარმაზარ კარედ ხატს. ნაქედი ვერცხლი და ჩასმული ალმასები თითქო ღვთიური ცეცხლით იყვნენ ანთებულნი, ისე ბზინავდნენ სანთლის შუქზე, მაგრამ ძველთა-ძველს, ფერადი ცვილით ნახატ ღვთისმშობლის ხატს მარცხენა თვალი დაზიანებული ჰქონდა და ელამივით იცქირებოდა. ანა ეევედრებოდა სახე-დანაოჭებულ ელამ ღვთისმშობელს, ინანიებდა ცოდვილ აზრებს. მაგდალინელივით გაეშალა ვნებით აცეკვებული თმა მის წინ და ლოცულობდა. გულმხურვალედ ლოცულობდა:

„რამეთუ მე გვემად განმზადებული ვარ, და სალმობა ჩემი ჩემს წინაშე არს მარად“.

„ლოცვამან ანნა წინასწარმეტყველისამან, რაჟამს იგი დამდაბლდა წინაშე ღვთისა, განხსნა საკრველნი ბერწისა მის მუცლისა, და მოსპო ყვედრება სულისა თვისისა, მუცლად ღებისა კაცისა მის თვისათა“.

„ყოვლად წმინდაო დედოფალო, ღვთის მშობელო, მეოხ გვეყავ ჩვენ ცოდვილთა და შემინდევ მე ბიწიერებანი ჩემნი“.

ასე ეევედრებოდა ანა ღვთისმშობელს. შემდეგ მთელი კვირა იმარხულა და სიონის ტაძარში წმინდა ზიარება მიიღო. თითქო სიმშვიდე მოიპოვა. გამუდმებით თავზე ადგა მომაკვდავ ქმარს, უვლიდა, ეფერებოდა, აბრეშუმის ხელსახოცით სწმენდდა ჩაცვივნულ წირპლიან თვალებს. თითქო ღვთაებრივი ძალა მართლა დაგროვდა ამ ქალში. მაგრამ როდესაც კვლავ მეორედ შეხვდა ბესიკს დარეჯან დედოფლის სასახლეში, გული კინაღამ ბუდიდან ამოუვარდა. იგრძნო, რომ მისი ყოველი ცდა ამაო იყო. ტანში ისევ იმ ცოდვის ჟრუანტელმა დაურბინა, რამაც მას სარკის წინ თავი გააშიშვლებინა, და ივრძნო ანამ, რომ უკანასკნელად იფეთქა მის სხეულში სიყვარულის ალმა. მაღალი აივნის ჩუქურთმიან სვეტზე მიყრდნობილი გასცქეროდა ანა ტფილისს. დარეჯანის სასახლე „საჩინო“ ქალაქს დასცქეროდა: ქვევით მოსჩანდა ანჩისხატი, გიორგი უფლისწულის პალატები, როსტომისეული საჯინიბოები და ერეკლე ბატონის ოთხსართულიანი სრა-სასახლე. სიონს მაღლა აეტყორცნა გუმბათი, მეფის ქარვასლის ფერადი ფანჯრები ნაირ-ნაირად ანათებდნენ. ზარაფხანის ვერცხლის სადნობ ღუმელში სატანასავით ტრიალებდა წითელი ალი. ანა გასცქეროდა ბინდში ჩაძირულ ქალაქს და ათრთოლებული ტუჩებით ჩურჩულებდა:

— დედაბერი ხარ, ანავ, რა ვუყოთ, რომ სიყვარული არასოდეს არა სწვევია შენს გულს, რა ვუყოთ, რომ ასეთი ბედი გქონია, ბნელად გაგეტარებინა შენი სიცოცხლე, მხოლოდ ერთი, განუმეორებელი სიცოცხლე... სასუფეველში მოიპოვება... ეჰ, ვინ იცის, სად არის სასუფეველი, ვინ ნახა სასუფეველი? არ არის სასუფეველი... არ არის... არ არის...

იმ საღამოს გადასწყვიტა ანამ, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, დაუფლებოდა ბესიკს. საოცარი სიფრთხილე სჭირდებოდა, რადგან მას შემდეგ, რაც დარეჯანმა, გერების სიძულვილის გამო, საკუთარი სასახლე „საჩინო“ აიშენა და იქ გადასახლდა, მეფის სასახლის ყოველ კუნჭულში ჯაშუშები გაიჩინა. დარეჯანს სძულდა არა მარტო გერები, არამედ ქმრის ყოველი ხათესავი, სძულდა თვით ანაც და ამიტომ მეფის შთამომავლობის ყოველ წევრს მსტოვარი და აეშაგი მიუჩინა.

ანამ იცოდა ეს და მეტად თავდაჭერილად იყო. მიუხედავად იმისა, რომ მის სახეს ნაზი და ბავშვური გამომეტყველება შერჩა, ისეთი გამომეტყველება, რომ მისი ერთი გაღიმება სინათლის სხივებს აფრქვევდა ადამიანის სულში, ბესიკთან შეხვედრის დროს ყოველთვის ცივად ჰკრავდა წარბებს და ერთხელაც არ შეარხევდა სახის კუნთებს. გული კი ისე მაგრა უცემდა, რომ ეშინოდა, სხვებსაც არ გაეგონათ.

მოთმინებით ელოდა ანა ხელსაყრელ დროს. რეინეგსი ოდნავი ღიმილით შეირიგა და ფრანგული ნელსაცხებლებით ისევ აავსო ვერცხლით შემოსალტული ზანდუკი. ახალი კაბები შეიკერა, ნაირ-ნაირი სამკაულები შეიძინა. უფრო ვითომ თავის შვილი-შვილისთვის, პატარა ანასთვის ზრუნავდა, მზითევს უმზადებდა, ნამდვილად კი თავისთვის ფუსფუსებდა. როდესაც მკერავებს შვილიშვილისათვის კაბას უკვეთავდა, თითქო სხვათა შორის დასძენდა:

— ბარემ მეც შემიკერეთ ამგვარი კაბა.

და როდესაც მკერავები პირფერობით კი არა, სრულიად გულწრფელად ეუბნებოდნენ, რომ სახით ხომ ერთმანეთს ჰგავხართ, ერთნაირი ტანსაცმელით შეიძლება ვეღარც კი გავიგოთ, რომელი იქნებით ბებია და რომელი შვილი-შვილიო, ანას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

გაიგო თუ არა აღა-იბრეიმის ქარავანის ჩამოსვლა, მაშინვე ყაბახზე წავიდა პატარა ანასთან ერთად. თან სეფე-ქალები იახლა.

ისინი წყვილ-წყვილად მიდიოდნენ ყაბახისაკენ.

დიდი ანა, რტომაგარი გაშლილი ვარდი, პატარა ანა, ტანაყრილი გაუშლელი ვარდის კოკობი სუსტრტოიანი.

დიდ ანას მარგალიტის სამი ყელსაბამი ეკიდა. პატარა ანას ერთი.

დიდ ანას ოქროს სარტყელი ამშვენებდა ლალისა და ზურმუხტის თვლებიანი. პატარა ანას — ვერცხლისა, ფირუზისა და ამეტვისტონის თვლებიანი.

სეფე-ქალები უფრო სადად იყვნენ ჩაცმულნი. მთელ ტანზე წამოხურული თეთრი დოლბანდები ოქროს ჯიღებით ჰქონდათ თავზე დამაგრებული.

ანჩისხატთან ანა შედგა, პირჯვარი გამოისახა და ალაყაფის ნიშში შედგმულ ხატს ემთხვია. მას პატარა ანამ და სეფე-ქალებმაც მიბაძეს. შემდეგ ყველანი ისევე წყვილ-წყვილად გაემართნენ წყლის კარისაკენ და ყაბახზე გავიდნენ.

აღა-იბრეიმის უფროსი ნოქარი შორიდან მიეგება ერეკლე ბატონის დას, დაიჩოქა, სტავრის სარტყელის ბოლოზე ემთხვია და გაუძღვა წინ გუალაგებისაკენ, რომელნიც მებაღეებს უკვე გაესინჯათ და ახლა მექარავნეები ისევ ჰკრავდნენ საპალნეებად.

ანას ქსოვილები უფრო სურდა ენახა, თუმცა ყველაფერს გულისყურით ათვალიერებდა. რა სახის ქსოვილები არ გადმოუშალა წინ ნოქარმა. ინგლისური ფერადი მაუდები, ვენეციური აბრეშუმი, სტამბოლური ხაერდი, ზარბაბი, დიბა, დარაიბაბთა, ყალამქარები და ათასი ამგვარი ძვირფასი ფარჩა.

ანა სინჯავდა ქსოვილებს, პატარა ანას გულზე აფენდა, ათვალიერებდა, თუ როგორ შვენოდა მის შვილი-შვილს ძვირფასი საკაბეები, ხოლო ცამეტი წლის გოგონას სახე, სხვადასხვა ფერის ნაჭრების გულზე აფენით, ხან წითლად ენთებოდა, ხან იისფრად, ხან ოქროსფრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ანას უხაროდა, პატარა ანას ყოველი ფერის საკაბე შვენოდა. პატარა ანა თითქო სარკე იყო და დიდი ანა უფრო თავის თავს ათვალიერებდა ამ სარკეში, ვიდრე შვილი-შვილს.

მოულოდნელად პატარა ანას წითლად აელეწა სახე და რაღაც უცნაურად ათრთოლდა. გრძელი წამწამები ძირს დახარა და გახსნილ გუალაგში ჩაყრილ ქსოვილის დასტებს უაზროდ დაუწყო ცქერა.

დიდმა ანამ უნებურად მიიხედა.

დავითი და ბესიკი მიდიოდნენ მათკენ.

დიდმა ანამ ისევ შეხედა შვილი-შვილს და გულზე თითქო რაღაცამ უკბინა. ტკივილი იგრძნო. ახალი დაბრკოლება ელობებოდა წინ. მართალია, მისი შვილი-შვილის ბედი მის ხელთ იყო, მაგრამ იდუმალმა ხმამ ისევ ჩასძახა ყურში, რომ მისი მიჯნურობის ჟამი გარდასული იყო, და შეშინდა.

არა, არ არის გარდასული.

ანამ დოლბანდი შეისწორა. მოსულებს ღიმილით შეეგება. პირველად დავითს გაუწოდა ხელი ამბორისათვის, შემდეგ ბესიკს — თითქო სხვათაშორის, მაგრამ როდესაც ბესიკის ტუჩები მის ხელს შეეხო, სხეულში ჟრჟოლამ დაურბინა. დავითი მოიკითხა და ოდნავ დატუქსა. რამდენიმე დღეა თვალით არა სჩნდა დავითი სასახლეში. ჩამოსვლისას შეჰპირდა ანას, ეამბნა დაწვრილებით პეტერბურღის ამბები და ახლა თითქო განგებ მიიმალა.

დავითმა საქმეები მოიმიზეზა და ბესიკი იმოწმა.

— აბა ერთი ის იყოს ჩამოსული თელავიდან, მაშინ ხომ ვერც კი მოგიშორებდით, — ღიმილით უთხრა ანამ დავითს.

დავითმა ულვაშებზე ხელი გადისვა, განზე გაიხედა. ანა თამარ ბატონიშვილს გულისხმობდა, ერეკლეს ასულს. პეტერბურღში მიიღო წერილი დავითმა თავისი დისაგან, რომ ერეკლე ბატონმა დასტური ჰყო თქვენს შეუღლებას, როდესაც თქვენი მიჯნურობის ამბავი გაიგოო. უფრო ის ახარებდა დავითის ნათესავებს, რომ ერეკლემ ახალციხის ფაშასაც უარი შეუთვალა და ხუნძახის ბატონსაც, რომელნიც თამარის შერთვით ერეკლესთან დამოყვრებას ლამობდნენ. ერეკლეს შვილებში ორნი ერჩეოდნენ გარეგნობით და ნიჭით — თამარი და ლევანი. ორივენი თავდავიწყებამდე უყვარდა ერეკლეს. თამარი ხომ აოცებდა ხალხს არა თუ თავისი გარეგნობით, არამედ ცოდნით და გამჭრიახობით. საუცხოოდ იცოდა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. მხოლოდ იმან შესძლო თავის დებსა და ძმებს შორის რუსულისა და გერმანული ენების შესწავლა. იცოდა სპარსულიც და სომხურიც. მართლაც სადედოფლოდ იყო აღზრდილი, მაგრამ ერეკლემ უცხო ქვეყანაში დასაკარგავად ვერ გაიმეტა და ისევ ახლობელის ჩასიძება ირჩია, თუმცა ეს არჩევანი შემდეგ ძალიან ძვირად დაუჯდა: საბოლოოდ გადაიმტერა ახალციხის ფაშაც და ხუნძახის ბატონიც.

ამის გამო იყო, რომ ანა, თითონ ორბელიანთა გვარის მეუღლე, შინაურულად ეპყრობოდა დავითს და ასე თავისუფლად საუბრობდა მასთან. ხანდახან ალმაცერად გადახედავდა ხოლმე ბესიკს. ის თითქო სულ სხვა ფიქრებს გაეტაცა. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არც სეფე-ქალებს და არც პატა-

რა ანას, რომელიც გაბუტულივით აჰკვროდა ქედხუდ ფირალასშვილის მეუღლეს.

— რამ დაგაღონა, ბესიკ, რატომ მუნასიბებს არ ეტყვი ქალებს? — დაბინდული თვალები შეანათა ბესიკს ანამ. გუნებაში უხაროდა, ბესიკს არ შეუმჩნევია მისი შვილი-შვილი. მაშ არც გამიჯნურებული ყოფილა.

ბესიკმა უცბად შეხედა ბატონიშვილს და შეკრთა. ანას თვალებმა შეაკრთო. ასეთი თვალებით ხშირად უცქეროდნენ მას ქალები. ასეთი თვალებით ხვდებოდა მას გიულნარა.

ბესიკი დაიბნა. უხერხულად გაიღიმა. სეფე-ქალებს გადახედა და საპასუხოდ მოემზადა, მაგრამ ანამ უცბად ჩააქრო თავის თვალთა უცნაური ცქერა და ისევ დავითს მიუბრუნდა:

— ბერძნების ნახვა მსურს. ბევრი რამ გამიგია მათ წარსულ დიდებაზე.

— ჩვენც მათ სანახავად წამოვედით, ბატონიშვილო, — უპასუხა დავითმა — გეახლებით, თუ თქვენი ნებაც იქნება.

— თქვენზე უკეთესს ვისღა ვიახლებ.

ყველანი მტკვრის პირად დაბანაკებულ ბერძნებისაკენ გაემართნენ. წინ ანა ბატონიშვილი მიდიოდა, შემდეგ — დავითი და ბესიკი. სეფე-ქალებს პატარა ანა მიუძღოდა.

ბერძნებს კარვები გაეშალათ, წყლისპირად ცეცხლი დაენთოთ. დედაკაცები სადილის თადარიგს შესდგომოდნენ, მამაკაცები კარვის ჩრდილში წამოწოლილიყვნენ. რამდენიმე მათგანი ჩიბუხს ეწეოდა. არც ერთი არ აქცევდა ყურადღებას ცნობისმოყვარე მოქალაქეებს, რომელნიც შემოსეოდნენ კარვებს და ხმამაღლა ყაყანებდნენ. ბერძნებს თურქული, კანჭებზე შემოჭიმული შარვლები უკან ნაოჭებად ჰქონდათ შეყრილი და უზარმაზარი დუმებივით ეკიდათ. ქალებს გრძელი, კოჭებამდე დასული შარვლები ეცვათ. თავზე რაღაც უცნაური, კოჭობის მაგვარი ჩიქილები დაედგათ.

ცნობილმა მოკრივემ და მომღერალმა დარჩია ფეიქარმა ხელები ქალაქურად გაშალა და ყაზარა დაბალს გვერდში მუჯლუგუნი წაჰკრა:

— ვა, ხედავ, კაცო, ყასაბ მელქო აქ არის, ერთიც ვნახოთ და ეს ბერძნები დუმიანები ჰრ ეგონოს, ისემეები არ დააჭრას.

— დახე, ჯვარი ჰკიდია გულზე. ქრისტიანები ყოფილან, ჭო!

— შენც იტყვი რაღა... ქრისტიანები არიან, მაშა. თითონ ქრისტე ბერძენი არ იყო?

— ბერძენი კი არა და... რაებს ლაპარაკობ! ქრისტე ბერძენი კი არა, ურია იყო.

— კარგი ერთი, შენი სიდედრის ცხონებამ. ეგ რაღა მაიგონე? ურია თუ იყო, მაშ რაღას ვერჩით ურიებსა?

— ქრისტე რომ აწამეს.

— ვა, ახლა რომ მე ჩემს შაგირდსა ვცემო, ვის რა საქმე აქვს? ურია უწამებიათ, ქრისტიანი ხომ არა?

ყაზარამ ხელი ჩაიქნია, ვითომ შენისთანა ტუტუცებს რა უნდა ველაპარაკოო და არ უპასუხა.

ბავშვები განაპირა კარავთან ერთ ქოსა ბერძენს შემოსეოდნენ, რომელსაც მხარზე პატარა მაიმუნი დაესვა. მაიმუნი შეშინებული აცეცებდა თვალებს და პაწაწინა თითებით თავის პატრონს თავს უხილავდა.

ერთმა პეშვით ჩამიჩი მიაწოდა ბერძენს და თვალით მაიმუნზე ანიშნა, აქამეო.

— აი იახში, ჩოხ იახში! — თათრულად უპასუხა ბერძენმა და ხელისგულზე დაყრილი ჩამიჩი მაიმუნს მიაწოდა.

ბავშვებში მხიარული ჟრიამული ატყდა. მაიმუნის ყოველი [illegible] სიცილს იწვევდა. ყველაზე მეტს უცნაურად მაღალი დოყლაპია გიგა იცინოდა, უფრო ყროყინებდა.

— ეგ რა ვნახე, კაცო, ჰიი-იყ!

— გაგიკვირდა, ჭინკას რო ხედავ?

— ჭინკა კი არა და, მაიმუნია!

— იცანი შენი ძმა?

გიგას გული მოუვიდა. ვიღაცას მუქარით უკუღმა მოუქნია ხელი.

— ადე... შენი, იმისთანა დაგადო, რო!

— ჩემთან რა გინდა, მე ხომ არ მითქვამს? — გაისმა შეშინებული ბავშვის ხმა.

მაიმუნმა სწრაფად აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქო ჩოჩქოლმა შეაკრთოო და გიგასავით პატრონს უკუღმა მოუქნია ხელი. უცბად სიცილმა იფეთქა. ბავშვების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. გიგასაც სწრაფად დაავიწყდა გულის მოსვლა და ისევ მხიარულად აყროყინდა:

— ჰიი-იყ! ეგ რა იონები სცოდნია...

ხმაურსა და სიცილში ვერავინ ვერ შეამჩნია, როგორ აჩოჩქოლდნენ ბერძნები. ბანაკი სწრაფად ამოძრავდა. მამასახლისი ფეთიანივით გამოვარდა კარვიდან და ხმამაღლა გასძახა ბერძნებს, რომ კარვების წინ შეგროვილიყვნენ. მაიმუნის გარშემო შეჯგუფულმა ცნობისმოყვარეებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს ბერძნების ამოძრავება, როდესაც ბეგზე მომავალი ანა ბატონიშვილი და მისი ამალა დაინახეს.

მამასახლისმა ყველანი შეაგროვა. ქალებმა თავიანთი სარეცხი მიატოვეს, კაბის კალთები დაიბერტყეს და კარვების წინ მარცხენა მხარე დაიჭირეს. მარჯვნივ მამაკაცები დადგნენ. წინა რიგში უხუცესნი ჩამწკრივდნენ. ახალგაზრდები უკანა რიგებში მოთავსდნენ. როდესაც ანა ბატონიშვილმა დალმართი ჩაიარა და შესაგებებლად მომზადებულ ბერძნებს დაუახლოვდა, მამასახლისი წინ წადგა და დაიჩოქა. ყველამ მამასახლისს მიბაძა და ყველამ მუხლი მოიყარა.

ანამ გაიღიმა. მძიმედ აზიდა ხელი მაღლა, ანიშნა ბერძნებს, რომ ამდგარიყვნენ.

— ქრისტე ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! — ბერძნულად წარმოსთქვა ანამ.

მამასახლისის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. არ მოელოდა თურქეთში აღზრდილი ბერძენი, რომ სადღაც გეორგიანთა დედა-ქალაქში მას ბერძნულ ენაზე მიესალმებოდნენ. სიხარულით სახე გაუბრწყინდა. რამდენჯერმე შეეხო შუბლით მიწას უაღრესი პატივისცემის და მორჩილების ნიშნად, შემდეგ ადგა და მასთან ერთად ყველანი წამოიშალნენ.

ანამ ქალებს ჩაუარა. რამდენიმე მათგანს მოეფერა, ხოლო ბავშვებს თავის ქისიდან თეთრი დაურიგა. შემდეგ კარვებს გადახედა და დავითს მიუბრუნდა:

— ღარიბნი ყოფილან უბედურნი.

— ოდესღაც ყველაზე მდიდარნი ელინნი იყვნენ, ბატონიშვილო, მაგრამ დღეს ხონთქარის მონებს რაიღა ექნებათ.

ანა გამოეთხოვა ბერძნებს და როდესაც ქაშვეთისაკენ მიმავალ ბილიკს გაუსწორდნენ, სეფე-ქალები დაითხოვა, თავის მესაიდუმლე მაიას გარდა. თავაზიანის ნარნარა ხმით სთხოვა დავითს, წასულიყვნენ, ვინაგან უფლისწულის წალკოტში. ბესიკისათვის არ მიუმართავს თხოვნით, მაგრამ მაინც დატოვება გულისხმობდა, რომ ისიც უნდა ხლებოდა.

ოთხივენი ნელის ნაბიჯით შეჰყვნენ ალმართს.

სეფე-ქალებში შერეული პატარა ანა გულდაწყვეტილი ბრუნდებოდა უკან და ცრემლმორეული ხანდახან ქურდულად იცქირებოდა ქაშვეთის ალმართზე მიმავალ ჯგუფისაკენ.

*
* *

კარგა დალამებული იყო, როდესაც შავ წამოსასხამში გახვეული ქალი ასასის თანხლებით გავიდა ავლაბრის ხიდზე, მეტეხის ალმართით საჩინოს გალავანს ბოლოდან მოუარა და რკინით მოსალტულ კარებს მიადგა. ბნელში რიყის ქვა მონახა, კარებზე დააკაკუნა და როდესაც შიგნიდან დაიძახეს, ვინა ხარო, ასასს მიუბრუნდა და წყნარად უთხრა:

— შენ წადი ახლა, სამჭედლოში დამიცადე.

ასასი მაშინვე გაბრუნდა და სიბნელეში მიიმალა.

ქალი კი კარებს მიეკრა, მან საიდუმლო, ფრთხილი ხმით წარმოსთქვა:

— გააღე, მე ვარ.

— ვინ შენ?

— შინაური.

დარაჯი დიდხანს ეჯაჯგურა კარებს, როგორც იქნა, ურდული გაუგდო და კარი ოდნავ შეაღო. ქალი მაშინვე გველივით შეცურდა რიკლეში, კარი თითონვე მოხურა და დარაჯს დააკვირდა:

— ბეჟანიანთ გიგოლა ხარ?

— ჰო, შენ ვინა ხარ, ამ ბნელაში ვერ გიცანი.

— შენი საქმე არ არის.

ქალს შავი წამოსასხამით პირიც აფუთვნილი ჰქონდა და ამიტომ ხმითაც კი ძნელი იყო მისი ცნობა.

— დედოფალი შინა ბრძანდება? — ჰკითხა ქალმა.

— შინ არის.

— არა სძინავს?

— არა, მორთულია. ერეკლე ბატონი როდის მოვა, არ ვიცით, განა ადვილად მოასწრებს ჩაცმასა. მაგის კაბების ჩაცმას კარგი ორი დღე სჭირდება.

ქალს უცბად გული მოუვიდა და ასასს მწყრალად შეუტია:

— რას ატარტარებ მაგ ენას! რომელ ოთახშია?

— დარბაზშია, ოსეფასთან ნარდსა თამაშობს.

— ი შენ კი მამიკვდი! — გულიანად მიაწყევლა ქალმა და გალავანში დატანებულ საიდუმლო გვირაბში ღამურასავით უხმაუროდ მიიმალა.

„ი, თქვენი ჯილაგი კი გაწყდა, თქვენი! — გაიფიქრა გიგოლამ, — მაგ გვირაბში, კაცი ვარ და მე მეშინიან შესვლა, მაგ გასატიალებელს სანთელიც რო არ უნდა, ისე მიდის. ნეტა ვინ იყო ეგ თათრის სათრევი, ალბათ, საიდუმლო ამბები მიაქვს დედოფალთან, ერთი გამაგებინა, ნეტავ რა უნდა უთხრას“.

გიგოლამ თავი გადიქნია და თავის სადარაჯო გომურში შეძვრა. თან იმის ფიქრში იყო, როგორ გაეგო საიდუმლოება.

ქალმა ბნელი გვირაბი გაიარა. ხანდახან ხელით კედლებს ეხებოდა, რომ არაფერს დასჯახებოდა. მალე დახვეულ კიბეს მიადგა, რომლის ბოლოს შემდეგაც ფარდაგ-ჩამოფარებულ კარებთან გაჩნდა. ფარდაგი ფრთხილად გადასწია და ოთახში შეიხედა.

პატარა ოთახში ფარეშს მოახლე გოგო შეეტყუებინა და გადახვეოდა. შავად მორთული ქალის გამოჩენაზე მოახლემ წამოიკივლა და მეორე ოთახში გავარდა. ფარეში კი დარცხვენილი აიტუზა კარებთან და დაბნეულმა ჩოხის სწორება დაიწყო.

ქალს არც შეუმჩნევია ეს ამბავი და ტახტზე ჩამოჯდა.

— წადი, დედოფალს მოახსენე, კოშკის ოთახში გელოდებიან-თქო. ეგ სანთელი აქ იყოს. ბნელაში ხომ არ ვიქნები.

ფარეშმა სანთლისკენ გაწვდილი ხელი უკანვე წაიღო და დაბალ კარში თავდახრილი გავიდა.

ქალი კი ისევ ისე იჯდა ტახტზე, სახე შეფუთვნილი, თითქო ჰარამხანის მხევალი ყოფილიყოს და მხოლოდ მაშინ ჩამოიხსნა პირბადე, როდესაც ოთახში დედოფალი შევიდა:

— მაიავ, შენა? რა ამბები მოიტანე ახალი?

დარეჯანს მეგრული კილო მაინც დასდევდა ლაპარაკის დროს. ეს რამდენიმე დღეა ქმრის მოლოდინში სულ საგანგებოდ მორთული იყო და ტანზე ის სადარბაზო სტავრის კაბა ეცვა, რომელზედაც ოციათასი ხოშორის მარგალიტი და სამიათასი ალმასის თვალი იყო აკინძული.

— ეიჰ, რა ამბები არ გავიგე, რა ამბები, დედოფალო, სულმა აღარ მომითმინა...

— მიამბე, მიამბე, ჩემო მაიავ. აქ რომ მოდიოდი, ხომ არავის დაუნახავხარ? დაიცა, ყურს ხომ არავინ გვიგდებს, — ჩუმად საიდუმლო ხმით ჩაილაპარაკა დედოფალმა, სანთელი აიღო და უხმო ნაბიჯით კარებთან მივიდა. იქითა ოთახში გაიხედა და კარები მაგრა გამოიხურა. შემდეგ დააპირა შანდლის შედგმა თაროზე, მაგრამ გვირაბში ჩასასვლელის დათვალიერებაც მოაგონდა და ფარდაგი ფრთხილად გადასწია. შიშით ისე შეკრთა, რომ შანდალი კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ვიღაც სწრაფად წამოხტა დაფეთებული, აპირებდა გვირაბში ჩაძრომას, მაგრამ ჩრდილი ხვრელად მიიჩნია და მთელი ძალღონით კედელს მიაწყდა. გულგახეთქილმა მიიხედა და ხაფანგში გაბმული თაგვივით უცნაურად დაკუსული უძრავი თვალებით დედოფალს შეაცქერდა.

გულშეღონებულ დარეჯანს მაია მიეშველა, წელზე ხელი მოხვია, შანდალი ხელიდან გამოართვა და მაღლა ასწია, რომ უკეთ გაერჩია ის, ვინც ასე დააფრთხო დედოფალი.

— გიგოლა, შენა ხარ, შე სასიკვდილე? შემოეთრიე შიგნით. უი, შენი სინსილა-კი აღარ იყოს, შენი! სიცოცხლე მოგბეზრდა?

დარეჯანს შიშისა და სიბრაზისაგან სახე მთლად გაუთეთრდა. გრძელი კაბის კალთები აიკრიფა და ტახტზე ჩამოჯდა. მკერდი მძლავრად აუდ-ჩაუდიოდა და სული ეხუთებოდა. ბოლოს, როგორც იყო, შიშინით წამოიძახა:

— შემოეთრიე, შე ჯალათის კერძო. ჯოჯოხეთში ვერ გაწამებენ ისე, ამაღამ რომ გაწამებ. შემოდი-მეთქი, შე...

გიგოლა ადგილიდან არ იძროდა.

უეცრად მაიამ გადააფურთხა და ცხვირზე ხელი წაივლო. დარეჯანიც აიმრიზა, უბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და ზეზე წამოვარდა.

— ფუი, დაიკარგე აქედან ახლავე, შე უნამუსო! მოგვწამლავ ... ეშმაკის კერძმა.

ცხვირსახოცი აიფარა და მეორე ოთახში გავარდა.

— მაია, გაუშვი ეგ სასიკვდილე და აქ გამოდი, — უკვე სიცილ-ნარევი ხმით გასძახა მეორე ოთახიდან დარეჯანმა და კარები მიხურა.

მაიამ ერთი-ორი მუჯლუგუნი წაარტყა გიგოლას, რომელიც კიდევ ვერ ახერხებდა ადგილიდან დაძვრას.

— წადი, შე მიწა-გასახეთქო. შენმა თავსლაფის დასხმამ გიშველა. გადარჩი წამებას, წადი!

გიგოლა, როგორც იყო, გამოერკვა და ისეთის სისწრაფით ჩაიმალა ხვრელში, თითქო უფსკრულში ჩავარდნილიყვეს.

მაიამ ხვრელის კარს ფარდაგი ჩამოაფარა, ერთი ორჯერ კიდევ დაიძახა ფუ, ფუო, უფრო დარეჯანის გასამხიარულებლად, და როდესაც მეორე ოთახში შევიდა, ორივეს სიცილი აუტყდა.

— ჩვენ კი შეგვაშინა, მაგრამ თითონ რო უარესი დაემართა! — ღიმილით სთქვა დარეჯანმა. — აბა, აქ მო, ჩემო მაია, აგერ დავსხდეთ. დაიცა ერთი, ცოტა სურნელი ვიცხოთ. ფარეშს დამიძახე, ფრანციცული ვარდის წყალი მოიტანოს ან ზამბახისა.

როდესაც მოახლემ მაღალყელიან შუშებით სურნელი მიართვა და ორივემ საკმაოდ იპკურეს, დარეჯანი სმენად მოემზადა, მოახლეს კი უბრძანა კოშკის ოთახში მჯდარიყო ხვრელთან.

მაიამ ჩურჩულით, მაგრამ სხაპა-სხუპით დაიწყო ნახულისა და გაგონილის გადაცემა,—როგორ დაათვალიერეს ალა-იბრეიმის საქონელი, როგორ ეწვივნენ ბერძნებს და, შემდეგ, როგორ წავიდნენ გიორგი უფლისწულის ბაღში.

— თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, ისე იქცეოდა ანა, რომ აშკარად შევატყე... ჯერ ჩემთვის არა გაუმხელია-რა, მაგრამ, როდესაც მე და ბესიკი ცალკე ვიდექით, სულ ჩვენსკენ იცქირებოდა.

— დავითთან როგორ იყო?

— სულ თავს ევლებოდა.

— არ ეღირსებათ, არ ეღირსებათ! — ვეღარ მოითმინა დარეჯანმა. — თამარი კახეთის დედოფლად უნდათ, ეს ნეზვი გიორგი ქართლის მეფედ და ჩემი შვილები მათხოვრად უნდა აწანწალონ. დაიცა, ჯერ ჯვარი დაიწეროს დავითმა თამარზე, თელავიდან აქ ჩამოიყვანოს და მერე როგორ წაბრძანდება კახეთში, იმასაც ვნახავ... მერე, მერე, მიამბე, სიტყვა შეგაწყვეტინე.

— მერე თქვენის მამამთილის ამბები უამბო დავითმა ანას. მეც იქვე აი ასე ვიდექი. თქვენს მამამთილს ის რუსის მზეთუნახავი რომ შეჰყვარებია...

— ვიცი, ჰო, სულ იმაზე არა აქვს ლექსები ნაწერი, ბარბარე ბუტურლინის ქალი.

— ჰო, ისა, თხუთმეტი წლისა ყოფილა. აბა რა თქვენი მამამთილის სარგო იყო! სამოცდა ხუთისა ხომ იქნებოდა? ის ქალი კიდევ ერთ დიდებულს ჰყვარებია. გაუგია ეს ამბავი და თქვენი მამამთილი მოუწამვლინებია.

— აკი ვთქვი, აგრე იქნებოდა-მეთქი. სატკივარი იმას არა ჰქონებია-რა. აქ კი ეს ამბავი არ გაამხილეს. ვითომ მეფე თეიმურაზი რუსეთს მფარვე-

ლობის სათხოვრად წაბრძანდაო. იქ კი თურმე რაებს სჩადიოდა, ჯერ აქ მთელი ქალაქი ნაბიჭვრებით აავსო. იქაც აღარ დაიშალა. ის ხანუმა ხომ ქვეყანას ეუბნებოდა (ერეკლეს დედინაცვალს ანახანუმს დარეჯანი ხანუმას უწოდებდა), ჩემი თეიმურაზი ერეკლემ დამიღუპაო, ქართლის ტახტი ხელში ჩაიგდოო...

— იჰ! ნათრევი დედაკაცი რომ გადედოფლდება, რა გასაკვირველია იმისაგან მირონცხებული მეფის ასე უპატიურად მოხსენება. ჯერ სანამ გათხოვდებოდა, საბარათიანოში სახელგატეხილი ქალი მარტო ანა იყო. ასე მოგახსენებენ, რომ როცა ციციშვილზე გათხოვდა, იმ ღამესვე გაუგია ქმარს მაგის უნამუსობა. ცხადია, რა დაიფარებოდა, მოკვლას უპირებდა თურმე, მაგრამ ბარათაშვილები მტრად ველარ მოიკიდა და გაჩუმდა. მერე თითონ მაგან მოწამლა ის უბედური ქმარი და ზაქარია გაბაშვილის ოსტატობით მეფე თეიმურაზს თავი შეართვევინა.

— იმიტომაც თავს ევლება ბესიკს, დედოფლად რომ დასვა ზაქარიამ ეგ თათრებში ნათრევი, ეგა. ახლაც რომ არ იშლის!

— ღმერთო მომკალი, რაც თავი ამბავი იყო, ის კინაღამ სულ დამავიწყდა! — იტკიცა ლოყაზე ხელი მაიამ. — პირველად ის უნდა მომეხსენებინა და, სულელი, რაებს მოვყევი.

— აბა, აბა, ჩემო მაიავ, თუ გსურს კარგი ჯილდო მიიღო, — მოუთმენლად მიუგო დარეჯანმა, უფრო მოხერხებულად დაჯდა, კაბის კალთები შეისწორა და სმენად მოემზადა.

მაიამ უფრო დაუწია ხმას და ნიავივით ოდნავ გასაგონად დაიწყო ჩურჩული:

— ზაქარია მღვდელი რუსეთში წასულა საჩივლელად, ეს ხომ იცი, დედოფალო? ახლა იმას ერთი წიგნი მოუწერია თავის ვაჟის ბესარიონისათვის საიდუმლოდ. ბესიკს კიდენ ის ბარათი ანახანუმისთვის წაუკითხავს, მაგრამ რა სწერია იმ ქაღალდში, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის. ორივეს თითქოს პირი წყლითა ჰქონდეთ სავსე, ხმას არ იღებენ. ამ საღამოს ბესარიონსა ვკითხე, მამის თქვენისაგან გავიგე უსტარი მიგიღია-მეთქი. ერთ ადლზე შეხტა, აბა რას ამბობ. მე მამა ჩემთან რა მესაქმებაო.

— შენ საიდან გაიგე ეგ ამბავი?

— იარანალ ტოტლებენის შიკრიკი რომ გეახლათ, იმისმა მსახურმა იკითხა თურმე, ბესარიონ გაბაონი რომელია, ანახანუმის შვილობილიო, იმასთან ბარათი გვაქვსო. მერე ჩემმა დამ თეკლემ მიამბო ყოველივე, რაც ენახა. ბესიკს ის ბარათი ღამე წაეკითხა ანასთვის საიდუმლოდ. არავინ გაგვიგოსო და ჩინურ ოთახში ჩაკეტილიყვნენ. თეკლეს აივნის სარკმლიდან დაენახა ყოველივე.

დარეჯანი ძალზე დააფიქრა ამ ცნობამ. თუმცა ის სრულიად არ ერეოდა იმ დავაში, რომელიც ანტონ კათალიკოსსა და ზაქარიას შორის ატყდა, მაგრამ რადგან ზაქარია თეიმურაზის დიდი წყალობით სარგებლობდა და თავის დროზე ანტონი რუსეთშიაც კი განადევნინა, შეიძლება ახლა ერეკლეზე გაგულისებულმა რაიმე განიზრახა. მართალია, ზაქარიას ეშსორია ანტონმა უყო, მაგრამ განა ერეკლემ არ დაიბარა რუსეთიდან თეიმურაზის მიერ შერისხული ანტონ კათალიკოსი?

დარეჯანმა მაშინვე დაასკვნა, რომ იმ ბარათში რაღაც დიდი საიდუმლოება უნდა ყოფილიყო დაფარული, თუკი რუსეთიდან მოსულ ზაქარიას წე-

რილს ანახანუმს უკითხავდნენ. ეს კი უცილობლად ერეკლე ბატონსაც შეეხებოდა.

— მაიავ, — რაღაც განსაკუთრებული მუდარით დაიწყო დარეჯანმა, — თუ შენ იმ ბარათს მიშოვი და წამაკითხავ, სამუდამოდ აგაშენებ.

— აბა როგორ? — დაფიქრდა მაია. — ეგ შეუძლებელია.

— როგორმე ეგ ბარათი საჩქაროდ უნდა მიშოვო. ქალი ხარ და მოახერხებ. ბესიკს შენთან ვერ დაიბარებ? თითონ არ ამბობდი, სატრფიალოდ მეზიდებოდაო?

— განა ბარათი მერე თან ექნება? — ხმის კანკალით იკითხა მაიამ, თითქო მარტო ეს მიზეზი წარმოადგენდა დიდ დაბრკოლებას. ის ააღელვა ამ წინადადებამ. უფლისწულის ბაღში საუბრის დროს შეამჩნია, როგორის თვალთა ელვარებით უცქეროდა მას ბესიკი. რამდენიმე ისეთი სააშიკო ლექსი უთხრა მუნასიბად, რომ გული საამოდ აუჩქროლა.

— თან თუ არ ექნება, მოატანინე.

— განა ,მანდატურს რომ უბრძანო, ვერ წაართმევს? — გაუბედავად შეეკითხა მაია, მაგრამ დარეჯანმა იუარა:

— ძალით როგორ იქნება, დაფიცავს. მერე ანახანუმი ქვეყანას შესძრავს, ჩემს კანონიერ საბრძანებელშიაც აღარ მაყენებენო. ჩემო მაიავ, შენი სიმარჯვის ამბავი ვიცი...

კიდევ ცოტახანს ისაუბრეს, შემდეგ მაია დაჰპირდა დედოფალს, ვეცდები ის ბარათი ვიშოვნოო და ისევ გვირაბით დაბრუნდა უკან. მოხერხებულად გაძვრა შუკაში. გიგოლას არც კი დაუნახავს. მხოლოდ ქუჩიდან გაიგო მაიას ხმა:

— გიგოლა, კარი გადარაზე...

გიგოლამ ერთი-ორჯერ შეაგინა — თქვენი ასე და ისეო, გულმოსული იყო თავის შერცხვენით, კარს ურდულები გაუგდო და მეძებარივით მოყნოსა ჰაერი. მაიამ ფრანგული სურნელების კვალი დასტოვა კარიბჭესთან.

*
* *

შუალამე გადასული იყო, ქალაქს უკვე ეძინა, როდესაც სეიდაბადის სადარაჯო კოშკის მეციხოვნემ აშკარად გაიგონა ცხენების თქარათქური კრწანისის მინდვრებზე. ჯერ კარგად ვერ გაერკვია, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ცხენოსნები, მტრები თუ მოყვრები, მაგრამ როდესაც მოლაშქრეების მხრიდან ოცდაერთჯერ დაიჭექა დამბაჩამ, მეციხოვნემ მაშინვე აანთო მაშხალა და საპასუხოდ ცხრაჯერ დააქუხა კოშკის ქონგურებზე გადმოდგმული ზარბაზნები.

ერეკლე ბატონი მობრძანდებოდა ქალაქში.

შუკებში მაშინვე გამოჩნდნენ ნამძინარევი მოქალაქენი — ქეთხუდები და ხელოსნები. ყოველ მათგანს ნავთის ჩირაღდანი აენთო და თავისი შეგირდების დახმარებით, ხალიჩებს და ნოხებს აფენდა იმ შუკაში, სადაც ერეკლე ბატონს უნდა გაევლო. თაბორის კოშკიდან სასახლის ბჭეებამდე მთელი ქუჩა სწრაფად მოჰფინეს ნოხებით და ფარდაგებით. აივნები და ბანები ხალხით აივსო. ყველას სასწრაფოდ ჩაეცვა. ზოგი შაშიებს ისწორებდა. ქალებს თეთრი დოლბანდები წამოეხურათ და ბანებზე გადმომდგარნი მოუთმენლად იცქირებოდნენ თაბორის კოშკისაკენ.

სეიდაბადის მძიმე კარს მაჯის სიმსხო რკინის ურდულები გაუგდეს და ჭრიალით გააღეს.

ლაშქარს ლევან ბატონიშვილი მოუძღოდა. მისი ყარაბაღული ბედაური ყალყზე შედგა: უამრავი ჩირაღდნის შუქმა შეაკრთო. ლევანმა საფავე ძლავრად დაზიდა და ცხენი ისე გამოახტუნა ალაყაფში, თითქო საცეკვაოდ გამოჰყავსო. მხედრები თქარათქურით მიჰყვნენ ლევანს და თითქო დიდი აუზის რაბი გაეხსნათ, ნიაღვარივით იწყო დენა ქალაქში ერეკლეს ლაშქარმა.

ქეთხუდებმა ჩირაღდნები მაღლა ასწიეს. ყველას უნდოდა ერეკლე ბატონის დანახვა. მისი გარჩევა ყოველთვის ძნელი იყო მეომრებში. ლაშქრობის დროს ერეკლეს ჩვეულებრივი მეომარივით ეცვა, რადგან ბრძოლაში ყოველთვის იღებდა მონაწილეობას. ამით ის მტერს უხვევდა თვალებს, თავის ლაშქარს კი ამხნევებდა. ძველმა სარდალმა კარგად იცოდა ლაშქრის ბავშვური ზნეობანი.

მეომრებს დაღლილი სახეები ჰქონდათ. ჩირაღდნების შუქზე ყველანი უფერულნი მოსჩანდნენ. თმა, წარბები, წამწამები მტვრით ჰქონდათ დაფარული. ზოგი კიდევაც სთვლემდა უნაგირზე. მხოლოდ ლევანის მოწინავე რაზმი იყო ფხიზლად და კიდევაც მკვირცხლად გაატარეს ცხენები შუკაში. დანარჩენები მდორედ მოდიოდნენ. ცხენებს ბურნუთივით მწვავე, ოფლის სუნი სდიოდათ. განუწყვეტელ და მიყრუებულ ფეხის ხმაში აქა-იქ ისმოდა ხმამაღალი ფრუტუნი. აბრიალებული ჩირაღდნების ალზე მხედართა ჩრდილები ზღაპრული ღამურებივით დახტოდნენ აქეთ-იქით, ხან კედლებზე მიძვრებოდნენ, ხან აივანზე გადმომდგარ დოლბანდიან ქალებს გაუქროლებდნენ, ხან უკან გამორბოდნენ და შუკებში იკარგებოდნენ.

ლაშქარს დასასრული არ უჩანდა. ნაბდისქუდიან მთიელთა და კახთა მოწინავე რაზმებს ჩერქეზთა დაქირავებული ასეულები მოჰყვნენ, რომელთაც უცნაური გრძელკალთებიანი რუხი ჩოხები ეცვათ. ნაბდის ბუდეებში გახვეული გრძელი ხირიმები ყველას ერთნაირად ეკიდა ზურგზე: კონდახით მაღლა. ჩერქეზებს შემდეგ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბორჩალოელ თათართა მხედრები თავიანთი ლურჯი ჩოხებით და მაღალი, ზვინის მაგვარი შავი ქუდებით. გრძელი ჯაზაირები მარჯვენა ხელში ეჭირათ შუბებივით.

ყველაზე ბოლოს გამოჩნდა ხევსურთა ასეული. მათი ახლად მოკალული ჯაჭვის პერანგები, ირანული ჩაჩქანები და დაკრიალებული მოსევადებული ფარები ისე აელვარდნენ ჩირაღდნების შუქზე, თითქო ფოლადის ადამიანები მსხდარიყვნენ ცხენებზე. წვერდაპარსულებს, ცერის სიმსხო ულვაშები გადასწოლოდათ სახეზე. დინჯი გამომეტყველება ამძღავნებდა მათი მაჯისა და მახვილის ძალას.

გაიარეს ხევსურებმაც და ცოტა მოგვიანებით, ჰაამოს ძახილით და ჭრიალით გამოჩნდნენ ხარ-კამეჩ გაბმული ზარბაზნები. მეხრეები უღლებზე უკუღმა იყვნენ ჩამომსხდარნი და ისე ერეკებოდნენ კამეჩებს. თითო ზარბაზანს სამი ცხენოსანი მეზარბაზნე და ყუმბარებით დატვირთული ურმები მოდევდა. ცხრა სხვადასხვა ზომის ზარბაზანი დაითვალეს მეჩირაღდნეებმა. ერთი ძალიან მოკლე იყო, მაგრამ ფართო-ტუჩიანი, რომელსაც ჯოჯოს უწოდებდნენ, ორი ზარბაზანი ციხის თოფს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზარბაზანს. ისინი ატმისოდენა ყუმბარებს ისროდნენ შორს მანძილზე. ყველაზე კარგი მეცხრე იყო, რომელიც მაღალ ბორბლებიან ლაფეტზე იდგა და ნამდვილ ვეშაპსა ჰგავდა. ეს ზარბაზანი იმპერატორ ფრიდრიხ დიდის გამოგზავნილმა შვაბმა

ოსტატმა ჩამოუსხა და გაუწყო ერეკლე ბატონს თავის თოფხანაში. ქალაქელებმა კარგად იცოდნენ ამ იარაღის ხმა და ძალა. მახათის მთიდან ერეზე დასცა ყუმბარა, როდესაც პირველად საცდელად გაისროლეს.

მთელი ლაშქარი სასახლის წინ გაჭიმულ ფართო მოედანზე დაეწყო მწკრივებად. მთელი მიდამო ისე იყო განათებული ჩირაღდნებით, რომ კაცს ნემსის პოვნა არ გაუჭირდებოდა. მარჯვენა მხარეზე და წინ ქართველები დადგნენ. მარცხნივ ბორჩალოელები და ჩერქეზები. კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა და ქართველ მხედრებს აიაზმა ასხურა. მუსულმანები მუშტეიდმა დალოცა. ხალხმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია ერეკლე, როდესაც ის ჯერ კათალიკოსს ეახლა და ჯვარს ემთხვია, შემდეგ მუშტეიდს და ყურანს ეამბორა. სადა, ქილებიანი ჩოხა ეცვა. წვერში ზოლებად ჩამოურბოდა ჭაღარა. შაჰნადირის ნაჩუქარი ოქროს ხმალი მოოქრულ თასმებით ეკიდა ქამარზე. მსუბუქი ნაბიჯით ჩაუარა ერეკლემ მხედრებს, სარდლებისა და სარქარდარების თანხლებით, შემდეგ მოედნის შუაგულზე გამოვიდა, მინბაშებს უბრძანა, რომ ლაშქარი დაებანაკებინათ. მინბაშებმა მარჯვენა ხელი გულზე მიიდეს და მძიმედ დაუკრეს თავი. ერეკლემაც ასეთივე თავის დაკვრით უპასუხა და მხოლოდ ამის შემდეგ იბრუნა პირი სასახლისაკენ.

კარის გარიგების თანახმად მთელი სასახლის შემადგენლობა ჩარდახის მარმარილოს სვეტებთან ეგებებოდა მეფეს. ეს ჩარდახი მოედანს დასცქეროდა. ეზოს მოძღვარს უმცროს-უფროსობის მიხედვით უნდა მიეჩინა ადგილი ყველასათვის.

სულ წინ დარეჯან დედოფალი იდგა, მარჯვნივ ანა ბატონიშვილი თავის შვილი-შვილით, გიორგი უფლისწული. ამის შემდეგ ორბელიანთა გვარის დიდებულები.

მარცხნივ ანახანუმ დედოფალი და შემდეგ ერთი-ერთმანეთის მომდევნო პატარა ბატონიშვილები: იულონ, ვახტანგ, თეიმურაზ და მირიანი, ხოლო ამათ შემდეგ ამილახვართა და ციციშვილთა გვარეულობის დიდებულები. სამხრეთით დესპანები და ფრანგთა მისიონერები იდგნენ.

ერეკლემ, ლევანთან ერთად, სარდლებისა და სარქარდარების თანხლებით, მარდად აიარა მოედნიდან ამავალი საფეხურები და სასახლის ჯალაბს დაბლად დაუკრა თავი. შემდეგ სათითაოდ გადაეხვია შვილებს. ყველაზე უმცროსი მირიანი, რომელსაც ძილისაგან თვალები ებლიტებოდა, ხელში აიყვანა და სასახლეში შევიდა. ყველანი თან მიჰყვნენ.

სატახტო დარბაზი განათებული იყო მაჯის სიმსხო კელაპტრებით. ერეკლე ტახტთან მივიდა და დარბაზის ყოველი კუნჭული ისე შეათვალიერა, თითქო უნდოდა გაეგო, ხომ ყველაფერი რიგზე დამხვდაო.

შემოსულებმა თავთავიანთი მიჩენილი ადგილი დაიჭირეს და დაიწყეს ლოდინი როდის დაბრძანდებოდა მეფე, რომ თითონაც დამსხდარიყვნენ. ერეკლემ სიცილით მიმართა ყველას:

— დასხედით, თორემ მე თუ მიცქირეთ, სულ ფეხზე დგომა დაგჭირდებათ. შვიდი თვეა სულ უნაგირზე ვზივარ.

შემდეგ თავის მკერდზე ჩამოძინებული პატარა მირიანი დარეჯანს ჩაუსვა კალთაში და ისევ დარბაზის ერს მიუბრუნდა.

— ამჯერად დიდხანს აღარ დაგაყოვნებთ, — უბიდან საათი ამოიღო, ალმასისთვალიანი სახურავი ახადა, დახედა: — სადაცაა გათენდება. დილის ოთხი საათია დაწყებული. ეზოს მოძღვარო, დარბაზობა ხვალ წირვის შემ-

დეგ გავმართოთ. მადლობა უფალს, რომ ყველანი კეთილად დამხვდით. სახლთუხუცესო, სარდლებსა და სარქარდარებს შენ გაბარებ. დაღლილნი არიან.

კიდევ დახარა თავი ერეკლემ და ამით ამცნო ყველას, რომ დარბაზობა დამთავრებული იყო. ყველანი დაიშალნენ. ერეკლე სახლთუხუცესთან და შინაურებთან ერთად პალატებში გავიდა.

დარბაზი ნელ-ნელა დაიცალა. ყველაზე პირველად ქალები წავიდნენ. მამაკაცები კიდევ იდგნენ აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად. ბევრნი უკმაყოფილონი იყვნენ ერეკლეს ამგვარი შეხვედრით. თითქო უგუნებოდ იყო მეფე. არც ერთი არ მოიკითხა, არც საჩუქრები დაარიგა.

დავითიც გაოცებული იყო. ის სხვაგვარ შეხვედრას მოელოდა. ეგონა, ერეკლე განსაკუთრებით გამოარჩევდა მას ამდენ ხალხში, აღტაცებით გადაეხვეოდა, ლაშქრის წინ დააყენებდა და სარდლად გამოცხადებას ამცნობდა ყველას. არც კი შეუმჩნევია.

მალე სათითაოდ ყველანი გაიკრიბნენ დარბაზიდან. დავითიც მოემზადა წასასვლელად, რადგან ფარეშებმა შანდლებს ჩამოუარეს და კელაპტრებს პატარა ხუფებით ქრობა დაუწყეს.

საოცარი მარტოობა იგრძნო დავითმა. თავდახრილი გაემართა გასასვლელისაკენ:

— დავით!

მიხედა. ბესიკი უხმობდა. ჩარდახში გასასვლელ კართან იდგა.

— სად მიხვალ, აქ მო.

დავითი შედგა.

— აქ მო მეთქი, — მიუახლოვდა ბესიკი დავითს, მკლავში ხელი წაატანა და თაღებიან აივანზე გაიყვანა.

აივანი მტკვარს გადასცქეროდა. ისმოდა მდინარის წყნარი დუდუნი. ნიშში შედგმული სანთელი აივნის მხოლოდ ერთ კუთხეს ანათებდა, სადაც მუთაქებით და ყუვი ბალიშებით მოფენილი ტახტი და რამდენიმე საკვარცხული იდგა. ერთ-ერთ საკვარცხულზე პირტიტველა, მაგრამ ახოვანი ლევან ბატონიშვილი იჯდა.

— მობრძანდი, დავით, — მიეგება ლევანი. — რატომ აგრე დაღვრემილი ხარ? მამა-ბატონი აბანოში წაბრძანდა. დავითი არ გაუშვათო, მიბრძანა. თქვენთან ყოფნა ვალად დამდო, სანამ თვით მობრძანდებოდეს. გახსოვს, დავით, მხარზე რომ შემისვამდი და ისე მათამაშებდი?

ლევანს დაღლილსა და ჩამქრალ ხმაზე ეტყობოდა, რომ ძილმორეულს ხუმრობისა და ლაღობის ხალისი წართმეული ჰქონდა.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, — ღიმილით მიუგო დავითმა და გვერდით საკვარცხულზე ჩამოჯდა.

ბესიკი ტახტზე დაჯდა და მუთაქებზე დადებულ, სადაფით მოოქვილ თარს გადასწვდა. სიმებს მიზრაფი წყნარად ჩამოჰკრა და ხმა გაუსინჯა.

— დავით, ხომ არ გაგიკვირდა, რომ მამა-ბატონი არც მოგეგება და არც ხმა გაგცა? — ღიმილით ჰკითხა ლევანმა, მერე უცბათ, თითქო რალაც მოაგონდაო, ადგა და ფარეში იხმო. ჩუმად უბრძანა, რომ პატარა სუფრა გაეწყო აივანზე. შემდეგ ისევ საკარცხულზე დაჯდა და დავითს შეაცქერდა: — გაგიკვირდა?

— ძალიან, ბატონის მზემ! — უპასუხა დავითმა და მაშინვე იგრძნო, რომ აქ რაღაც სხვა ამბავი იყო.

— იქნებ გეწყინა კიდეც?

— ბატონის რისხვა ვის არ ეწყინება. თუმცა ღმერთმა მაშორის ბატონ-რისხვა.

— ჰა! ჰა! ჰა! ჩემო დავით, მაშ როგორ გეგონა, აგრე რუს ბარონალის ტანსაცმელში რომ მორთულხარ და ისე ეახლე ერეკლე ბატონსა! ლამაზი სამოსი კია.

— განა ტანსაცმელის გამო...

— არა, დაიცა მოგახსენო. რუსეთის იმპერატრიცა თურქებთან ომობს, ეს ხომ იცი?

— ვიცი...

— მერე, აქ რომ ორი უბრალოდ მორთული თურქი ჩამოვიდა ამას წინად, ფეხტი-ბეგ და თახსიმ-ბეგ, განა არ გაგიგია? ჩვენ უკვე, ლორეს რომ ვიდექით, იქ ვიცოდით ეს ამბავი. ახალციხიდან მოვიდა მსტოვარი და იმან გვაცნობა. ფეხტი-ბეგ და თახსიმ-ბეგ ჩუმად შემოიპარნენ თბილისში და გვითვალთვალებენ, რუსთა ხელმწიფესთან ხომ არა გვაქვს კავშირი. ახლა დარბაზშიაც კი შემოძვრნენ. უბეში მათ დესპანობის სიგელი უდევთ და, ალბათ, ამის გამო შემოუშვა სახლთუხუცესმა სასახლეში. შენ კიდევ რუსად მორთულხარ და თუმცა მამა-ბატონი ძალზე ისწრაფოდა შენს ნახვას, ახლა იძულებული იყო, სხვაგვარად დაგხვედროდა შენცა და შენი გულისათვის ყველას.

— დახე რა უყვია ჩემს ტანსაცმელს?! — გაიკვირვა დავითმა. — წავიდე, ახლავე გავიძრო.

— არა, დაიცა, — შეაჩერა ლევანმა: — ახლა საჭირო აღარ არის. ბესიკ, დაუკარ რაიმე. კარგა ხანია შენი ხმა აღარ მსმენია.

ბესიკმა ჩამოჰკრა მიზრაფი და სიმებზე მოხდენილად აათამაშა თითები.

*
* *

კარის აბანოს დაბალ თაღებში ორთქლის ბუღი იდგა. ლურჯად მოკამკამე გოგირდიანი ცხელი წყალი ლიკლიკით გადმორბოდა მინანქრიანი ფართო მილიდან მარმარილოს დიდ აუზში.

მექისე ჰასანამ გოვზაკი აავსო და მარმარილოს ტახტზე დახვავებულ საპნის ქაფის გორაკს გადაასხა. ქაფი დაიფუქა და ტახტზე ჩამომჯდარმა ერეკლემ ნელნელა მიიღო ადამიანის სახე.

— უუფ, გიშველა ღმერთმა! — სიამოვნებით წამოიძახა ერეკლემ, წვერებზე ხელი ჩამოისვა, თვალები ამოიწმინდა და ადგა.

ჰასანამ კიდევ გადაასხა თავზე რამდენიმე გოვზაკი წყალი. ერეკლემ ტანზედაც დაისვა ხელი — ფოლადივით კუნთები კანქვეშ მუშტისოდენა მარგულებივით დაუხტოდნენ. აუზში ჩავიდა და ფაჩუნით ჯვარედინად დაფარული მკერდი აორთქლილ კამარას მიუშვირა.

— აბა, ეს არის, აი ცხოვნება! — ნეტარებდა ერეკლე და წამდაუწუმ ქშუოდა, თითქო ცხელი წყლის განელებას ცდილობსო, — იახში სუ, ჰასან!

— ჩოხ, იახში, ჩოხ!

— მერე, ჰასან, მერე? — ჰკითხა ერეკლემ და აუზში გაწვა. ჰასანთან ის თათრულად ლაპარაკობდა: — რა სთქვეს?

— შორიდან დამიწყეს საუბარი, დიდო მეფევ. ჯერ მკითხეს, შაიტი ვარ თუ სუნიტი. მე ვუთხარი — მართლმორწმუნე ვარ და ყურანი მწამს-მეთქი. არაფერიაო, მითხრეს, თუ ყურანი გწამს, შენ მაინც ჩვენი ხარ და გულახდილად გვითხარი, ერეკლე ბატონი რუსებთან ხომ არ აბაშს საქმეზისო. მე ვუთხარი, ერთი საწყალი მექისე ვარ, აბა მე რა გამეგება სახელმწიფოს საქმეებისა მეთქი. მაინც აქ რომ რუსები არიან, ისინი თუ იყვნენ ერეკლე ბატონთან, გეცოდინება, ან ის რუსი რომ დადის სასახლეში, ვინ არისო. დავით ყაფლანიშვილზე მეკითხებოდნენ: მე ვუთხარი, ის რუსი არ არის-მეთქი.

— მაგას სულ აბანოში გეკითხებოდნენ? — რაღაც ძილმორეული ხმით შეეკითხა ერეკლე. თითქო სთვლემდა.

— დიაღ, დავითზე არ დამიჯერეს, სანამ რამდენჯერმე არ დავიფიცეტანი რომ დაიბანეს და ჩაცმა დაიწყეს, ერთმა ოქროთი სავსე ქისა ამოიღო და მითხრა, თუ გამიგებ ერეკლე ბატონი ვის მხარეს დაიჭერს, ამ ქისას გაჩუქებო.

— შენ რა უთხარ? — ერეკლემ ადგილი შეიცვალა, რომ თვლემა დაეძლია და ისევ ზურგზე გაწვა.

— ჰმ! — ჩაიცინა ჰასანამ: — მე ვუთხარ, ეგ ამბავი რომ გავიგო, სამი მაგოდენა თითონ მე უნდა დავხარჯო-მეთქი.

— ჰა! ჰა! ჰა!—გულიანად გაეცინა ერეკლეს და უცბათ გამოცოცხლდა:— მოგცეს?

— ჯერ მთელი ჟამა ითათბირეს, ეხტიბრიანი ვიყავ თუ არა. თახსიმ-ბეგი ურჩევდა, მივსცეთო. ფეხტი-ბეგი უარზე იყო. მერე მუშტეიდთან წამიყვანეს და ყურანზე დამაფიცეს. ბოლოს გაბედეს და ოცდაათი თუმანი ჩამიწყეს ქისაში.

— გამდიდრებულხარ, ჰასან! — ოდნავი ღიმილით უთხრა ისევ თვლემაში წასულმა ერეკლემ.

— მხოლოდ თქვენის წყალობით, მეფევ. ისეთი რამ უნდა მათქმევინოთ იმ გაიძვერებისათვის, რომ დაიჯერონ, თორემ ფიცის ქვეშ ქისა ისევ უნდა დავუბრუნო.

ერეკლეს თვალები ელულებოდა. თბილმა აბაზანამ დაღლა აგრძნობინა და ძილი მორია. ჰასანა ქისასა და სველ ზეწარს სწურავდა.

— უთქვენოდ ვერას ვეტყვი, მეფეო. აი გუშინ ვერაფრის ყიდვა ვერ გავბედე. აუარება საქონელი ჩამოიტანა აღა-იბრეიმმა თავისი ქარავნით.

ერეკლე ისე სწრაფად წამოიჭრა აუზიდან, რომ შემკრთალ ჰასანას ქისა ხელიდან გაუვარდა.

— აღა-იბრეიმი ჩამოვიდა? როდის ჩამოვიდა?

— დიაღ, გიახლათ, სწორეთ გუშინ.

— ჩქარა ზეწარი და პირსახოცი, — აფუსფუსდა ერეკლე, — ეზოს მოძღვარს დამიძახე, ახლავე იხმოს აღა-იბრეიმი.

დგაფუნით ამოაბიჯა აუზიდან. თმა და წვერზე ხელი ჩამოისვა და ზეწარში გახვეულმა დაიწყო ტანის გამშრალება. ფარეშებმა ტანსაცმელი მიართვეს.

ეზოს მოძღვარმა აბანოს კარში მორიდებულად შემოიჭყიტა. ერეკლემ ხელი დაუქნია, შემოდიო.

— ახლავე აღა-იბრეიმი მომგვარე. მიკვირს, რად არ შემეგება, თუმცა, — ჩაიცინა ერეკლემ, — ალბათ, თავის ლამაზ ცოლს ვეღარ მოსცილდა.

ეზოს მოძღვარმა წასვლა დააპირა, ერეკლემ შეაჩერა:

— მოიცა, ალბათ, მაგრა სძინავს. ცხრა ზარბაზანი დაუცალეს ყურის ძირში და თუ კიდევ ვერ გაიღვიძა, ძალზე დაღლილი ყოფილა. დაიღლებოდა, ამოდენა გზა და შინ კიდევ კავებიანი მზეთუნახავი! რაღაც ამ დაგიჯდეს, გააღვიძე. თუნდაც მძინარის ზურგზე აკიდება დაგჭირდეს, უიმისოდ არ მოხვიდე. სანამ ჩავიცვამდე, აქ გაჩნდით.

ეზოს მოძღვარი წავიდა. ერეკლემ სწრაფად ჩაიცვა და თმების ვარცხნით გაიარა აბანოს თაღიანი დერეფნები. ფარეშები და მექისე ჰასანა მოკრძალებით მიაცილებდნენ. დარბაზში ასასვლელ კიბესთან ერეკლემ ფარეშები დაითხოვა და ჰასანას უთხრა:

— იმათ ასე მოახსენე, რომ ჩვენს მეფეს ალი-ჰუსეინისათვის ბარათი მიუწერია, მაგრამ შიგ რა სწერია, არ ვიცი-თქო. ალი-ჰუსეინს რომ უხსენებ, დაგიჯერებენ და გულიც საგულეს ექნებათ.

ჰასანამ მორჩილად დაუკრა თავი მეფეს და საფარეშოსაკენ გაუხვია. ერეკლემ აიარა კიბე და მარჯვენა მხარეს გაიხედა. უკვე თენდებოდა. ფანჯრების ფერადი მინები თითქო ათასფრად ანთებულიყვნენ. მოედანი დაცლილიყო და მხოლოდ ათიოდე ასასი მოსჩანდა. ისინი მოედანს ჰგვიდნენ.

სანამ თავის საიდუმლო ოთახში წავიდოდა, ერეკლემ საწოლ დარბაზისაკენ შეუხვია, სადაც მეუღლე ეგულებოდა. დარეჯანი მართლაც იქ დაუხვდა. კელაპტრის შუქზე რაღაც ბარათს კითხულობდა. ერეკლემ ლოგინს გადახედა. ფარჩის საბნები და მოქარგული ბალიშები ხელუხლებელი იყო.

— რად არ მოისვენე, დედოფალო? არც ტანთ გაგიხდია, — უთხრა ერეკლემ: — განა არ მელოდი?

დარეჯანმა ბარათი დაკეცა და მალაქიტის ყუთში ჩასდო.

— შენი ამბავი ვიცოდი. აი ახლაც უკვე სადარბაზოდ ჩაგიცვამს. თუ ძილი გნებავდა, აგრე რაღად ირთვებოდი, შვიდი თვეა შინ არ ყოფილხარ.

— ეჰ, ჩემო დარეჯან, განა არ იცი, რომ წელიწადი უნდა ვიფხიზლოთ, რათა ერთის ღამით მოვისვენოთ. მტერიც და მოყვარეც ერთგვარად სულ იმას ნატრობს, ნეტავ ბატონი თავს ძილს მისცემდესო. ბარემ მეც ვნატრობ, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩემი ხვედრი უნაგირზე ძილი ყოფილა. საღამოს საჩინოში შენი სტუმარი ვარ. ახლა კი ცისკრის ლოცვაზე წავიდეთ.

ორივენი კარის ეკლესიაში წავიდნენ, საიდანაც უკვე ისმოდა არქიმანდრიტ ელეფთერის საამო ღაღადი. სიონიდან, ანჩისხატიდან და ვანქიდანაც ისმოდა ზარების რეკვა.

თენდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

დავით სულიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევდორეს მაღლობი

I

ჯერ კიდევ გუშინ სოფელ კველთას ცხოვრება ჩვეულებრივად მიიმართებოდა, — ორღობეში ურემი მიჭრიალებდა, მეურმე ურმულს დამღეროდა, ბავშვები წრელახტს თამაშობდნენ, — სიცოცხლით ავსებდა სოფელს მათი მხიარული ჟრიამული, მეზობელი მეზობელს გაძახებდა, გულისხმიერად ეხმაურებოდნენ ერთიმეორეს. დღეს კი დუმილია მის მიდამოში, სრული დუმილი. ძაღლების ყეფაც აღარ ისმის.

ფერდობზე დაფენილი ერდოიანი სახლები თითქო მთლიანად მიწაში ჩამალულან, საბძლები და ბოსლები გვერდზე გადახრილან. დაჩრდილული ორღობეები, კაკლის ხეები, ბაღჩები და ვენახები ნიავისაგან არ შრიალებენ. სოფლის ბოლოში, ბოგირთან, ერთთვალიანი წისქვილი ხრიალებს და შხეფების სრბოლით ძიგძიგებს...

გაგრძელებული ჩრდილები ბილიკებსა და შარაგზას შავ ზოლებად მიყვება. ბანებზე გაფანტული კვამლი ზლაზვნით გარემოს ეფინება, ხოლო ჭანდრების წვერზე სანთლის შუქივით ციალებენ გამსჭვირვალე სხივები ჩამავალი მზისა...

სოფელს დაუკარგავს მისთვის ჩვეული ელფერი და აღარ უცემს გულმკერდი.

სოფლიდან მოშორებით, მაღლობზე, წელში მოხრილი მოხუცი გადმომდგარა. შეუცნობ ფიქრებით დატვირთული სოფელს გაჰყურებს დასავლეთისკენ, თითქოს იქითა მხრიდან მწუხარე რამე ამბავს ელოდეს. შორეულ შარაგზას აკვირდება, სხეული უთრთის.

ფიქრისა და ნაღველის გამომხატველი, წარბსა და წარბს შუა შეკრული შუბლის ნაოჭი მოღუშული აქვს და სიღრმეში წასული ჭროღა თვალები ისე ციმციმებენ, როგორც ეკლესიაში დანთებული წყვილი სანთელი. გაბარდული თეთრი წვერი და გრძელი თმა მის სახეს ისე შემოსევია, რომ მხოლოდ წითელი ლოყა და ცხვირიღა უჩანს.

დაჟინებული ფიქრი არ ასვენებს მას.

მაღლობი გადირბინა და ის იყო დაღმართზე დაეშვა, რომ უცბათ სოფლის მეორე მხრიდან უცნაური ხმაური, აჩქარებული ფეხის ხმა, ყვირილი და ძახილი შემოესმა. შეკრთა. ერთ ადგილს შედგა. მთელი სხეულით ათრთოლდა და ისეთმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში, თითქო ჭიანჭველების ორმოში ჩაგდესო.

როგორც მოკრიალებულ ცაზე შავი ღრუბლების უცაბედი გაჩენა, მოულოდნელად ატეხილი ჭექა-ქუხილი, რაც ბუნებასაც სიმშვიდეს უკარგავს, —

ხის ტოტები მოიზნიქებიან, აშრიალდებიან და საქონელი იწყებს ბღავილს, ცხოველები თავიანთ ბუნაგს მიეტანებიან, ფრინველებიც აშრიალდებიან, — ისე გახშირდა სოფელში ძახილი, ხმაური და ყვირილი. გაისმა ცხენების თქარათქური და ჭიხვინი. ორღობეში გამალებით გაქანდა მაღლა ეშვერილი შუბები, — მეორე, მესამე, მეხუთე... ერთი უბნიდან მეორეში ნიაღვარივით შეიჭრა ტკაცა-ტკუცი და ჭახანი, — თითქო ამტვრევდნენ კარებებს, ანგრევდნენ კედლებს... ერთ ადგილას ჭიაკოკონასავით აბრიალდა ალის ენები. ალი გაძლიერდა. სხვაგანაც მოედო და სოფელი კვამლსა და ცეცხლში გაეხვია.

გულშემზარად გაისმა ბავშვების წივილი და დედაკაცების კივილი. აირია ერთმანეთში მოხუცთა ყვირილი და საქონლის ბღავილი, ჭიხვინი და ღმუილი, ძაღლების წნავილი და აწიოკებულ ადამიანთა წყევლა და კრულვა.

მოხუცი მიხვდა, მიხვდა რა უბედურებაც ეწვია მის სოფელს. შორით გაიხედა და ანთებული საგუშაგოები შეამჩნია.

უცბათ ადგილს მოსწყდა და დაღმართზე დაექანა. მირბოდა...

მაგრამ ეს რაღაა? რამ გაუკავა მკლავები? უმწეოდ იწევს. უნდა განთავისუფლდეს, ფეხი გადადგას, მაგრამ არ ძალუძს. სუნთქვა რაღამ შეუკავა? საკინძეში მარწუხებივით ჩარჭობილ თითებს იგრძნობს და მიღმა რომ გაიხედავს, ელდა ეცემა, — ეხლაღა შეამჩნევს ლახტმომარჯვებულ ორ წითელჩალმიანს.

არც არაფერს ეკითხებიან, არც არაფერს ეუბნებიან. ლახტის ცემით მოატრიალებენ და ძალით მიჰყავთ. მოხუცმა არ იცის რისთვის გააკავეს ის, რას მოსთხოვენ მას. სუნთქვა შეხუთული აქვს და, ძალით რომ მიათრევენ,—მუხლები ეკეცება. დაბნეულსა და გაგუდულს, ტომარასავით ერთ ადგილს მიაგდებენ. ახლაღა ამოისუნთქავს, მძლავრად საკინძეს მოსწევს, წამოიჩოქებს და ირგვლივ რომ გაიხედავს — წითელჩალმიანების მრისხანე სახეებსა და შემოსეულ თათრების ჯარს დაინახავს...

ისე იგრძნობს, თითქოს ანთებულ თონეში ჩააგდესო. ცხენზე მჯდარი, ბუზმენტებით მორთული თათარი მაღლა აშვერილი ლახტით მიუბრუნდება მას და შეუტევს, —

— შენ ეი, ქოფაკო! კარგად გეცოდინება ცხირეთში გადასასვლელი გზა!

ის სდუმს. გონს ვერ მოსულა. ვერ გაუგია რა უნდათ მისგან.

— რას დადუმებულხარ! არ გესმის? თქვენი მეფე ხომ იქ არის?

ახლაღა გაასწორებს მოხუცი მოხრილ ტანს. თვალის გუგა გაუფართოვდება. განცვიფრებით შეხედავს მას.

— იქ არის მეთქი? გეკითხები!

— არ ვიცი!

— არ იცი? აბა, ერთი ათიოდე ლახტი მაგას და მაშინ ეცოდინება!

მის მოხრილ ზურგზე ათამაშდება ლახტის თასმები. ზურგი თანდათან იხრება. თითქმის მთლიანად მიწას ენართხება. ბრუნავს, ტრიალებს, მაგრამ ტკივილები მაინც არ სცხრება. შეკავებული კვნესა და ოხვრა ისმის მის მომუწულ პირიდან.

ისევ წამოაჩოქებენ, მხრებში ხელს მოჰკიდებენ, რომ არ დაეცეს.

— აბა, ახლაც არ იტყვი?

— არ ვიცი და რა გითხრათ!

— სტყუი! — შეღრიალებს ჩალმიანი, — მაშ სად არის არ იცი? აბა, კიდევ ლახტები მაგას!

მოდუნებულ ზურგზე კვლავ თასმები აიხლართება. სამოსი ნაფლეთებად ეფინება მხრებზე.

— იტყვი თუ არა?

— მგონი იქ არის, ბატონო! — წაილუღლუღებს.

— შე ქოფაკო! განა ჩვენც არ ვიცით, რომ იქ არის? ცხირეთში გადასასვლელი გზა ხომ იცი!

— ვიცი!

— აბა, გასწი! გაგვიძეხ წინ, თუ მოკლე გზით მალე მიგვიყვან, — ჯილდოს მიიღებ! თუ არა და ხომ იცი!.. აბა, მოჰკიდეთ ხელი!

ორი წითელჩალმიანი მას თოკით ხელებს გაუკრავს. ტკივილებით სავსესა და დაბნეულ მოხუცს წინ გაიგდებენ...

II

ჭანდრის წვეროებზე მზის სხივები აღარ ციალებენ. აღარც ჩრდილები გაგძელებულან. შავი ნაბდებით იმურება ხშირი ტყე. აურზაური და ყვირილიც შეწყდა. აღარც ალის ენები ეტანებიან სივრცეს. ტრუსის სუნი და მხრჩოლავი ბოლი ეფინება აწიოკებულ სოფელს...

წართმეული ნადავლით, — ნივთებითა და საქონლით დატვირთული თათარხანის ჯარი გროვდება და უკანა რიგებს ემატება. კამეჩებით შებმულ ურმებზე ალაგებენ ხალიჩებსა და ფარდაგებს, ფქვილითა და ხორბლით სავსე ტომრებს, ლოგინით გატენილ მაფრაშებს, ხურჯინებს, უნაგირებს. მიერეკებიან უბელო ცხენებს, კვიცებს, ძროხებს, ცხვრებს... ჭიხვინით, ბღავილით და ღრიალით ერთმანეთში ირევა საქონელი. ბილიკა გზებზე, ჩირგვნარებზე და ეკლნარებზე სახრეებით მიერეკებიან მათ.

ნახევარმთვარითა და ცხენის ძუებით მორთულ შუბებით მიემართებიან ცხენოსნები. არეული რიგებით, ხმაურით, ჩხრიალით და ხრიალით მიდის სიბნელით მოცულ ტყეში თავზეხელაღებული და თავხედი ჯარი. ოღროჩოღრო გზებით, ეკლიანი ბილიკებით მიარღვევს იგი უცნობ სივრცეს იმედებით სავსე, რომ ხვალაც ახალი ნადავლით დაიტვირთება.

მიდის და წინ მიუძღვის ფიქრებით სავსე წელში მოხრილი მოხუცი... მან იცის, როგორი ტკივილებითა და ტანჯვებით არის შეზავებული თათარხანის ჯარის შესევა საქართველოში, რომ მისგან განადგურებული ქართლის სოფლები ფეხზე ვერ წამოდგებიან და ცეცხლით მოისპობიან. დაინგრევიან ციხე-კოშკები და გატიალდება სამშობლო...

ისიც იცის, რომ ახალგაზრდა მეფე მცირე ამალით ცხოვრობს თავშეფარებული. მას არ ჰყავს ჯარი და ელის თავდაცვას. თათარხანის ჯარი კი სწრაფი და მოულოდნელი შეტევით მოადგა ქართლს, შუაგულ ქართლში შემოიჭრა და ჰლამობს ხელში ჩაიგდოს მეფე.

მას ვერ შველიან მისი თავადები. უეცარი შემოსევით დამონებულნი, ისინი თავიანთ კოშკებში გამაგრებულან და მთლიან სამშობლოს დაცვისათვის არა სძგერს მათი გული. მხოლოდ გიორგი სააკაძე არ სტოვებს ბრძოლებში გამოუცდელ მეფეს და თავს დასტრიალებს მას.

მაგრამ რას გახდება გიორგი სააკაძე ამ ლაშქართან უმრავლეს ზღვისა ქვიშათა. — ფიქრობს მოხუცი.

მიდის მოდუნებული, ტკივილებით სავსე და ყურში კიდევ ესმის ეს წივილი, კივილი და ბღავილი, მის სოფელში რომ შეიჭრა მოულოდნელად.

იქ მოხუცი ცოლი დარჩა მას. მისი ქალიშვილი სხვა სოფელშია გათხოვილი და ბიჭი კი მეფის კარზე მსახურობს. ალბათ გაანადგურეს მისი ოჯახი... მაგრამ ეს არ ანაღვლებს ახლა მას.

„არავინ დავრჩებით უკვდავი, ვინც რომ დედითგან ვიშვით!..“ დაჟინებით გაუელვებს ეს აზრი თავში. ამით გამხნევებული ნაბიჯს უმატებს.

„იქნებ გადარჩეს მეფე? იქნებ ასცდეს საქართველოს აოხრება?...“

მიდის შეუსვენებლად აღმართ-დაღმართით, ოღრო-ჩოღრო გზებით და ეკლიანი ბილიკებით. მიდის და ჰფიქრობს თავის ოჯახზე. — მისი ცოლი დღეს პურის გამოსაცხობად თონეს ახურებდა. მოასწრო კი? თუ თბილი და რბილი პურები ხურჯინებში ჩააწყეს ვერაგებმა?... — გამომცხვარი პურის სუნი თითქო იყნოსა მან და ისეთი მადა გაეღვიძა, რომ კარგად შეამჩნია, მის გასატეხად თოკით შეკრული ხელები როგორ შეანძრია.

წყვდიადით მოცულ ტოტებში უეცრად მკრთალი, გამსჭვირვალე სინათლე შემოიჭრა. თანდათან მოედო იგი ტყეს და თეთრი ლეჩაქის მსგავსად მოეფინა ბილიკებსა და ბუჩქებს.

გზა ახლა უფრო იოლი სასვლელია და მოხუციც ნაბიჯს უმატებს. ჩრდილით გაორებული, მოღუნული და ხელებშეკრული მიდის, მიემართება...

აბნეულ ჩრდილებში უეცრად მოძრავი ჩრდილი გზას გადასჭრის, ბუჩქებს გადაახტება, გაირბენს მანძილს და სწრაფად დაღმართზე დაეშვება, ჩრდილებში აიბნევა და მიიმალება.

მოხუცის თავში უეცრად გაიელვებს, — „ეს ხომ მეფანდურე შიო იყო?... ის იყო ნამდვილად! სხვა ვინ ატარებს ნაბადს ზამთარ-ზაფხულ იმის მეტი? მერე სად ყოფილა? საით მიდის!?..

იქნებ გადარჩეს საქართველო? იქნებ იდღეგრძელოს მეფემ?..“

შავ ზოლებად ბილიკებსა და აღმართ-დაღმართიან გზას მოდებული თათარხანის ჯარი ნელი, დაღლილი. ნაბიჯით გადადის მთებსა და გორაკებზე, ღელეებსა და რიყეებზე, ჩატეხილ ხიდებსა და ბოგირებზე. ნიღვარივით გაფანტულ ტოტებით, ხრიალით, ფრუტუნით და ჭრიალით მიარღვევს კლდიანსა და ეკლნარით შეზღუდულ გზებს.

წინ მიუძღვის წელში მოღუნული, ხელებგაკრული მოხუცი...

III

ნაბდიანმა ხოხვით დაღმართი ჩაიარა. ამოკარწახებული ჩოხით ღელეს გადაახტა და მეორე მხარეს აღმართს შეუდგა. ნაბდის ქუდი კისერზე მოიგდო. იღლიაში ამოდებული ფანდური ქამარში გაირჭო და ისეთი სიჩქარით ავარდა მთის წვერზე, თითქო ქარისაგან ავარდნილი ბუმბული ყოფილიყვეს. მთის წვეროდან მის კალთებს ალმაცერად გაჰყვა. მდელოზე გავიდა.

მიდიოდა აჩქარებული და აღარ ახსოვდა აღარც წელში გარჭობილი ფანდური და არც რაიმე გულში ჩარჩენილი ფიქრი და ბოღმა. ერთი აზრით მოცული, გასწრაფებით მიდიოდა და არ ინდობდა არც ქალამნებს, არც მუხლებს და არც ეკლისაგან გაკაწრულ ხელებს. არ ერიდებოდა არც ოღრო-ჩოღროიან გზებს, არც ვიწრო ღელეებს, არც კლდიან ნაპირებს და არც ეკლიან ბილიკებს.

მთვარიანი ღამე გზას უნათებდა და როცა გაივაკებდა, ნაბდის ტოტებს ხელს უშვებდა. მაშინ ჩრდილი ფართოვდებოდა და ნაბდის კალთები არწივის ფრთებივით ხან იშლებოდა, ხან იკეცებოდა.

აფარფატებული მოძრავი ჩრდილი თავს ევლებოდა მთვარის შუქით აციალებულ რიყის ქვებს, გადადიოდა ვიწრო ხიდებს, ღელეებს, ბილიკებს და მიექანებოდა, როგორც მიექანება ცის ტატნობზე ქარისაგან მოგლეჯილი ღრუბელი.

გული გამალებით უცემდა.

იქნებ გადარჩეს მეფე? იქნებ ასცდეს საქართველოს აოხრება?

მაშ, ჩქარა მეფესთან!

მიჰქრის ნაბდის ჩრდილი. მირბის მეფანდურე შიო.

აგერ ცხირეთის კოშკიც! იქ მეფეა სასოწარკვეთით განადგურების მომლოდინე. იქ მეფის მცირე ამალაა დაბანაკებული. იქ ძრწოლა და შიშია თათარხანის მოულოდნელ შემოსევისაგან გამოწვეული და განწირვის მოლოდინშია ჩაფლული ქართლი. გმინავს იგი, სულგანაბულია და გამოსავალს ვერ ხედავს.

მირბის შიო და უკან რჩება გორაკის კალთები, ჩირგვნარები და აბიბინებული ყანები.

კოშკის გალავანიც გამოჩნდა. მწვანე ხავერდივით დაფენილ მინდორზე მირბის ახლა შიო. აგერ ძაღლებმაც ასტეხეს ყეფა. შესასვლელ კართან დარაჯები წამოიშალნენ, თოფები მოიმარჯვეს და მომავალ ნაბდიანს შესძახეს, —

— ეი! ვინა ხარ მანდ!

— შინაური, მოკეთე და მეზობელი! ვერ მიცანით, ვინცა ვარ?

დარაჯები ახლო მისულს დააკვირდნენ და თითქმის ერთხმად შესძახეს, —

— შიო? მეფანდურე, შიო! აქ რამ მოგიყვანა ამ შუაღამისას?

— ჯერ მეფე მიჩვენეთ დ მერე გაიგებთ ყველაფერს! ნუღარ აგვიანებთ! მალე გამიშვით მეფესთან.

— ეი! შენ რა ძალიან აპილპილებული ხარ! მოიცა, განა ეგრე ადვილია მეფესთან მისვლა!

— მითხარით, ხომ არ სძინავს მას?

— რა დროს ძილია! საცაა მტერი დაგვესხმის თავს! ვერ გაიგე, რომ თათარხანის ჯარი მოდის?

— მერე, მეფე რას შვრება?

— რა უნდა ჰქნას! არავინ მოდის მაშველი! თავადები ყველა თავიანთ ციხე-კოშკებში შეიხიზნა და მეფის დაღუპვას არ დაგიდევენ!

— მერე, მისი დაღუპვა ხომ საქართველოს დაღუპვაც არი!

— მაგაზე როდი ჰფიქრობენ ჩვენი თავადები!

— მაშ, რას აპირებს მეფე?

— მეფეს თან ახლავს მისი ერთგული, დიდი მებრძოლი და გამჭრიახი გიორგი საკაძე.

— საკაძე მასთან არის?

— მაგრამ რა უნდა ჰქნას მარტო საკაძემ! ახლა უკვე გვიანია! საცაა მტერი კარს მოგვადგება! მას კი ჯარი არა ჰყავს!..

— არ არის გვიან! გესმით! გამიშვით მეფესთან!..—შესძახა შიომ,—გამიშვით მეფესთან! მე სათქმელი მაქვს და იქნებ გადარჩეს მეფე. იქნებ აღარ აოხრდეს სამშობლო!..

ჩოჩქოლი და ლაპარაკი სასახლეშიც შენიშნეს. შესასვლელ კართან სახლთუხუცესი ჩამოვიდა. ამბავი გამოიკითხა. შიო მიჰგვარეს.

სასახლეში შიოს კარგად იცნობდნენ და სახლთუხუცესიც ნდობით მიეგება მას. ცალკე ოთახში შეიყვანა და გვიან მისვლის მიზეზი გამოკითხა.

— დიდო ბატონო! ეს არის ახლა თათარხანის ჯარი შემხვდა! — მღელვარებით სთქვა მეფანდურემ.

— სად? როგორ?! — შეეკითხა სახლთუხუცესი.

— წინ ვიღაც მოხუცი მიუძღოდა!

— მერე საით მიდიოდნენ?

— არ ვიცი, შენი კვნესამე! მე ქვენადგურიდან მოვდიოდი, ნათლიმამასთან ვიყავი. ბევრი მეხვეწა დარჩიო, მაგრამ რადგანაც ნათელი ღამე იყო, აღარ დავრჩი! მოვდივარ და აკი რაღაც ხმაური შემომესმა! უცბათ წინ წავაწყდი იმათ და მაშინვე მივხვდი. მივხვდი და მეორე მხარეს გადავხტი. მოკლე გზებით ვიარე და აგერ თქვენთან მოველი ამ ამბის შესატყობინებლად.

— ახლა სად იქნებიან ისინი?

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე!

— ვინ უძღოდა წინ, ვერ იცანი?

— ვერა, შენი კვნესამე! ვერ ვიცანი!

— იქნებ... მერე აქნამდის?.. — თავისთვის გაიფიქრა სახლთუხუცესმა. — მალე, მეფეს და სააკაძეს უნდა ვაცნობოთ ეს ამბავი... შენ ამბობ ქვენადგურისაკენ მიდიოდნენო?

— რა მოგახსენო, შენი ჭირიმე!

— აბა, წამომყე მეფესთან! — უთხრა სახლთუხუცესმა და მეფესთან მიიყვანა.

იქნებ გადარჩეს მეფე? იქნებ ასცდეს საქართველოს აოხრება?

IV

იმ ღამესვე ნაბდისქუდიანი ახალგაზრდა ბიჭები დაგეშილი ცხენებით, მოკლე ბილიკიანი გზებით ქვენადგურისკენ გაგზავნეს. აქაფებული ცხენებით ისინი მალე დაეწიენ იქით მიმავალ თათარხანის ჯარს და რაკიღა დარწმუნდნენ, რომ მტერი სხვა გზით მიდიოდა, მყისვე უკან დაბრუნდნენ და მეფეს ამცნეს თათრების დაშორებული გზით სიარული.

მცირე თათბირის შემდეგ გადაწყდა: ეხლავე გაეგზავნათ სოფლებში შიკრიკები ჯარის შესაგროვებლად. ლაშქრისათვის მთავარსარდლობა გიორგი სააკაძეს დაკისრებოდა. კოშკებში შეხიზნულ თავადებისათვის წერილი მიეწერათ, საომრად მომზადებულიყვნენ და თავიანთი ჯარით მთავარსარდლის განკარგულებაში მზათ ყოფილიყვნენ.

დილაადრიან ორლობეებით და მოკლე გზებით შიკრიკები აქაფებული ცხენებით მიჰქროდნენ ერთი სოფლიდან მეორეში და ყველას ატყობინებდნენ, რომ გიორგი სააკაძე ლაშქარს აგროვებს თათარხანის გასანადგურებლად. საჭიროა ქუდზე კაცის გამოსვლა, რათა გადარჩეს ქართლი აოხრებას, რომ იდღეგრძელოს მეფემ და თავისუფალი დარჩეს საქართველო!..

თათბირის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი, აღფრთოვანებული და გახარებუ-

ლი გიორგი აივანზე დაიარებოდა. სახე უღიმოდა. ხელებს შლიდა, ხმირად მარჯვენა ხელით ხანჯლის ვადას შეეხებოდა. შედგებოდა. ერთ წუთს ჩაფიქრდებოდა და ისევ სიარულს განაგრძობდა.

თათბირის დროს მეფე ლუარსაბი ჭოჭმანებდა, — დიდი ლაშქრის შედგენას არ ელოდა და ამბობდა, —

— ჩვენი ჯარი მაინც მცირე იქნება თათარხანის ლაშქართან შედარებით და ვაი თუ მიზანს ვერ მივაღწიოთ და საქართველო უფრო დავღუპოთ? რომ დავმარცხდეთ, შუაგულ ქართლში შემოჭრილი თათარხანის ჯარი ხომ ქვას ქვაზე აღარ დასტოვებს და მთლად ააოხრებს აქაურობას? — სთქვა ეს ლუარსაბმა და თავის გამზრდელს, ჭაღარით მოსილ შადიმანს შეხედა.

შადიმანმა ერთი ფეხი წინ წარსდგა, თითქო სალაპარაკოდაც მოემზადა, მაგრამ ვერაფერი სთქვა. ეტყობოდა ეძნელებოდა რჩევის მიცემა ომის დაწყებისათვის, მაგრამ არც უომროდ დატოვება უნდოდა ამ ლაშქრისა, რომელიც საქართველოს მაინც არ დაინდობდა და ააოხრებდა.

მაშინ მეფემ სააკაძეს გადახედა. მის წინაშე წარსდგა ბრგე ვაჟკაცი, რომლის ანთებულ თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა. ათრთოლებული ხელი ხანჯლის ვადაზე დაედო და მომხიბვლელად მეფეს თვალებში უმზერდა. აღფრთოვანებული და საბრძოლველად აღგზნებული მეფის წინაშე ხაზავდა ის გეგმას, რომლითაც ხელში ჩაიგდებდა თათარხანის ჯარს. ლაპარაკობდა ისეთი რიხით და ენერგიით, რომ ძნელი იყო მის წინააღმდეგ რაიმის თქმა. მას რწმენა ჰქონდა თავისთავის და ერთხელვე გადაწყვეტილ აზრს მთელი თავისი გამჭრიახობით და გატაცებით იცავდა.

— ჩვენ მუდამ ასე გვჭირს, მეფეო, — ეუბნებოდა პირმცინარე, კოკობი ულვაშებით დამშვენებულ ახალგაზრდა ლუარსაბს, — გული გვაქვს და მცირე ძალა! მაგრამ, მეფეო, გული ხომ უმთავრესია! სადაც გულია, იქ ყველაფერი ძლიერია! სადაც გულია, — იქ სიყვარულია, აღფრთოვანება, გატაცება, თავგანწირვა და გამარჯვება... — ის ლაპარაკობდა აღფრთოვანებით. ლაპარაკობდა დამაჯერებლად და ყველა მსმენელს არწმუნებდა თავის სიმართლეში.

— ჩვენ ხშირად გამოვსულვართ უსწორო ბრძოლიდან გამარჯვებული! ამჟამად კი, თათარხანის ჯარს მტკვრის აქეთა მხარისკენ მოვიქცევთ და როდესაც ის იძულებული იქნება ტაშისკარის ვიწრო ხევში მოემწყვდეს, მაშინ ჩვენ თავს დავესხმით, გადავუჭრით გზას და ამ მოულოდნელ შეტაკებაში დავამარცხებთ. — დაასკვნა სააკაძემ.

ის ლაპარაკობდა ისეთი დაჟინებით, თითქო რაც უფრო მეტი იყო მტრის ძალა, მით უფრო მძლავრი ხდებოდა მისი გამჭრიახობა, მოსაზრება და გამბედაობა. ლაპარაკობდა გულწრფელობით და ისე ხიბლავდა ახალგაზრდა მეფეს, რომ ის ვერც ამჩნევდა როგორ შეუმჩნევლად იხრებოდა გიორგისკენ, როგორ გატაცებით შესცქეროდა მას და თვალები უბზინდებოდა.

როცა სააკაძემ თავისი სიტყვა დაასრულა, მეფეს თავი დაუკრა. ლუარსაბმა ერთხელ კიდევ შეხედა შადიმანს. მერე უცბათ ფეხზე წამოდგა და განაცხადა, —

— კურთხეულ იყავი გიორგი და მუდამ გამარჯვებული! შენთვის მომინდვია ამჟამად ქართლის ბედი და ჩემი ბედიც! განიჭებ უმაღლეს სარდლის უფლებას და მეც, შენი მეფე და მეფე ქართლისა, გაძლევ სიტყვას ხელი მოგიმართო და იქ წამოგყვე, სადაც შენ მიხმობ.

ამით დამთავრდა მცირე თათბირი.

იმ დილასვე გიორგიმ მიატოვა ცხირეთის კოშკი და მეფის მიერ ნაბოძები თანამდებობით წახალისებული, ცეცხლოვანი თვალებით მოახტა თავის არაბულ ცხენს და ნოსტეში მიაჭენა. მონახა თავისი მეგობრები და დარიგება მისცა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქიდან აქაფებული ცხენით კავთისხევში მიიჭრა.

ერთი აზრით, ერთი ფიქრით გატაცებული დადიოდა სოფლებში და ყველას ამხნევებდა.

დადიოდა და ყველას მოუხმობდა სამშობლოს დაცვის იმ დიადი მოვალეობისაკენ, ვაჟკაცს რომ აღაფრთოვანებს, უძლურს რომ გაამძლავრებს, სუსტს რომ გაამაგრებს, გმირს რომ თავს განაწირვინებს და ახალგაზრდას რომ გულში კოცონს დაუნთებს...

მეფის დავალებით და თავის თანამდებობის ძალით ის სწერდა წერილებს დიდებულ პირთ, რომ მიშველებოდნენ მას თავიანთი ჯარებით. ის სწერდა ბარათაანთ, ნუგზარ ერისთავს, ქსნის ერისთავებს, ამილახვრებს, მუხრან ბატონებს, ციციშვილებს. ისინიც უმალვე მიისწრაფოდნენ სალაშქროდ და მის განკარგულებას უცდიდნენ.

მიდამო ჯერ კიდევ გრძელი ჩრდილებით იყო დაფენილი. შარაგზაზე გამოდიოდა ხალხი. აღფრთოვანებულნი და ბრძოლის ყიჟინით გატაცებულნი, ერთმანეთს ხვდებოდნენ და ეკითხებოდნენ, —

— მოდიხარ თუ არა ლაშქრობაში?

— მაშ! სამშობლო გვიხმობს და არ წავიდე?

— სააკაძე წინამძღოლობს და უკან დავიხევ?

— ის მძლავრი მეომარია!

— გაბედულია! ჩვენ თავადებს კი არა ჰგავს!

— იმისი მარჯვენის ჭირიმე!..

სალაშქროდ ემზადებიან მოხუცნიც. თოხნას თავს ანებებდნენ და რაზმებში ეწერებოდნენ. მიწურებიდან გამოდიოდნენ, ერდოებზე იკრიბებოდნენ და თათარხანის შემოსევის ამბავზე ლაპარაკობდნენ.

— თურმე სულ აუოხრებიათ და აუკლიათ კველთაი!

— მაშ! მაშ! ჰოდა, ერთი ვიღაცა მოხუცი შეუპყრიათ, ხელები შეუკრავთ და წინ გაუძღოლებიათ!

— მერე, საითკენ გაჰყოლია ის მოხუცი?

— აბა რა ვიცი! ეგ ჯერ არავინ იცის!

— არც ის იციან, ვინ არის?

— არა! აბა საიდან ეცოდინებათ!

— ამბობენ მეფანდურე შიოაო!

— ამპა! მეფანდურე შიოი მე თვითონ დავინახე ამ დილასა!

— ეეეი! ეგება ვინ იცის, რა უდევს გულში იმ მოხუცსა!

— ეს კია, რომა ჩვენი სააკაძე გააფთრებული დარბის და ჯარს აგროვებს.

— იმის გამჩენის ჭირიმე! ის თუ ამოგვყრის თათარხანის ჯავრს!.

— ამბობენ, თავადებიც თავს ანებებენ თავიანთ კოშკებს და სააკაძეს უერთდებიანო.

ლაპარაკობდნენ გლეხები. დედაკაცები კი თონეს ახურებდნენ და ომისათვის პურსა და სანოვაგეს ამზადებდნენ.

ამოძრავდა სოფელი. ჯარასავით დატრიალდა პატარა ქართლი.

შარაგზებზე მოდიოდნენ ახალგაზრდათა რაზმები და მოიმღეროდნენ, —

ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მისვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...

ყიჟინით, სიმღერით, ხანჯლების და ხმლების ჩხარაჩხურით... მოდიოდნენ მეომრები, რომ გიორგი სააკაძის რაზმში ჩამდგარიყვნენ. მოდიოდნენ ქართლის ყველა სოფლიდან.

V

შუა ზოლებად გაბნეული, როგორც მოვარდნილი მდინარის ნაკადები, მიდიოდა ტყის ბილიკებზე გაფანტული თათარხანის ჯარი. მიდიოდა ჩხრიალით, ჭრიალით და არღვევდა ღამის მყუდროებას. მიდიოდა და ემუქრებოდა მთის ძირში გაფანტულ ძილს მიცემულ ქართლის სოფლებს.

წინ მიუძღოდა წელში მოხრილი, ტანმორჩილი მოხუცი. ენა გამშრალი, თითქო ამქვეყნიურ სინამდვილეს მოცილებული, ფიქრებში ჩაფლული ველარას ხედავდა და მიდიოდა გამალებული.

უკვე შორს დარჩა მისი სოფელი, ველარ იხილავს მას! ველარც თავის ცოლშვილს ინახულებს, და ტკივილებს გრძნობს იგი, იკუმშება მისი გული და უთრთის სხეული.

როგორი დღე გაუთენდება ხვალ საქართველოს? რა მოელის მას? კიდევ რამდენი დარჩა ცხოვრების წუთები? კიდევ რამდენჯერ იფეთქებს გული?

„გათავდეს ამქვეყნიური ცხოვრება, ოღონდ იცოცხლოს სამშობლომ, ოღონდ გადარჩეს აოხრებას ქართლი!..“

მიდის მოხუცი და უეცრად მის გულს შეუცნობი რამ ტკბილი, მაამებელი სითხე გარს შემოუვლის. უთრთის სხეული და ნელი ხმით ღაღადებს, — „მომიხსენე მე უფალო სასუფეველსა შენსა, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!.. უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე“...

და თითქოს აღარ გრძნობდეს აღარც ტკივილებს, აღარც თოკით შეკრულსა და დაჭიმულ კუნთებს, აღარც ეკლიან აღმართს, მიდის და ჩვეული სიტყვებით პანაშვიდს უხდის თავის თავს...

„წმინდათანა განუსვენე ქრისტე სულსა მონისა შენისა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი!...“

ანდერძის სიტყვები მოდის ისეთი სიცხოვლით და ისეთი შეუკავებელი ნაკადით, რომ მოხუცს გული უჩუყდება, ყელში ბურთი ეცობა და სხეული ეკუმშება. მრავალგზის მოსმენილი კურთხევანი ახლა გაცხოველდა, სიტყვებმა ხორცი შეისხეს. თითქოს ხედავდეს მოწყალე ღმერთს, მის სულის ჩასაბარებლად რომ ანგელოზებს გზავნის, თითქო ხედავდეს იმ ქვეყნიურ სასუფეველს, სადაც ის სამარადისოდ დაემკვიდრება.

მისი გული ტოკავს, პირი კი ღაღადებს, — „კურთხეულ ხარ შენ უფალო, მასწავე მე სიმართლენი შენნი!..“ „გზათა წამებათა შენთასა, განვსცხრებოდე, ვითარცა ყოვლითა სიმდიდრითა!..“ „შემიწყალე უფალო, შემიწყალე!..“ ლოცულობს ის და სწამს, რომ წამება იგი მოახლოვებული, — მას სასუფეველსა შინა დაამკვიდრებს, რომ ეს იქნება მონაპოვარი ყოველ მიწიერ სიმდიდრეზე

უმეტესი და მარადისი... „უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე!“ ევედრებოდა ღმერთს და თითქო სხვა არარა ყოფილიყვეს ამ ქვეყნად გარეშე მოლოდინისა, როცა უფალი ღმერთი მიიღებს მის ცოდვიან სულს და ისიც შესთხოვს მას, — „მომაგე მონასა შენსა ... და დავიმარხნე სიტყვანი შენნი!..“ „გიახლა სული ჩემი მიწასა, ... სიტყვისამებრ შენისა!“ უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე!-ო — ღაღადებს მოხუცი და ეჩვენება — კელეპტრებით გაჩირაღდნებულ ეკლესიაში მღვდელთა კრებული შავი ფილონებით, სანთლებით და საცეცხლურით გარს უვლიან მის კუბოს, საკმეველს უკმევენ მას და მისი სულის საცხონებლად გალობენ წმინდასა საგალობელსა, — „განუსვენე ღმერთო მონასა შენსა მიცვალებულთანა და დააწესე იგი სამოთხესა სამშვიდობელისასა, სადა არიან კრებული წმინდათანი და მართალნი ბრწყინავენ ვითარცა მნათობნი, რომელ შეიწყალენ სახიერ და ახოცენ ცოდვანი მისნი!..“ — ლოცულობენ მღვდლები მისთვის, და ისიც შესთხოვს უფალს, — უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე, უფალო შემიწყალე!

ხედავს ღრუბლებით მოცულ ცის თაღში წმინდანები და მართალნი რომ ბრწყინავენ, ვითარცა მნათობნი და ისიც მათ შორის მუხლმოდრეკილი ევედრება მაცხოვარს, — „მოიძიე მონა შენი მაცხოვარ და შემიწყალე მე!“

გაკრულ ხელებს უნებლიედ შეანძრევს, სამ თითს მომუწავს, გონების თვალით სამგზის გადიწერს პირჯვარს და შესთხოვს მაცხოვარს, — „მალე უფალო, მალე მიიღე სული მონისა შენისა“.. და ისეთი სიჩქარით მიაბიჯებს, თითქო ეშურებოდეს მალე გასცილდეს ამ ქვეყანას და მალე წარსდგეს წინაშე კრებულისა უფლისა მისისა...

მიდიოდა, როგორც მიდიან მთვარეულები. ვერ ხედავდა ვერცა ღელეებს, ვერცა ჩატეხილ ხიდებს, ვერცა ჩირგვებს და ვერც ეკლნარებს. მიდიოდა და გონების თვალით ხედავდა ფიანდაზებით დაფენილ გზას, მაცხოვარი რომ მიუთითებდა და ანგელოზნი რომ უცდიდნენ მას სულის მისაღებად. მიდიოდა ლოცვებით და სასოებით სავსე.

...„რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება ჩვენი ქრისტე ღმერთო და შენდა დიდებასა აღვავლენთ თანადაუსაბამოდ მამით შენით და ცხოველმყოფელი სულით შენითურთ აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე... ამინ...“ დაასრულა მოხუცმა პანაშვიდი.

მან ვერც კი შენიშნა როგორ გადაიარეს ამ ხნის განმავლობაში ვიწრო ხევები, განზე დატოვეს ერთაწმინდა, აიალმართეს გოსთიბის მთები, გაიარეს აფთართა ჭალებიანი ადგილები და ქვენადგურის გზას გაუდგნენ.

მიუძღოდა წინ თევდორე თათარხანის ჯარს და შეუმჩნევლად სცვიოდა მის ღაწვებზე ცრემლის ნაკადი. ხოლო ეს ცრემლი არ იყო ტკივილებით ან სინანულით გამოწვეული. რაღაც სიტკბოება და თბილი მაამებელი წვეთები შვებას აძლევდა მას, თითქო უღიმოდა სახე და სიღრმეში წასული თვალებით ხედავდა სულ სხვა ქვეყანას — აყვავებულს და მზის სხივებით სავსეს.

VI

ჩირგვნარში მთვარის შუქი შეკრთა, გაინაბა. ერთი წუთიც და გაფითრდა. ტყის ფოთლები სულ სხვა ფერით შეიღება. ტოტებს ნიავმა ჩაუქროლა. სადღაც შაშვი გადაფრინდა. კიდევ წუთები და ტყეს თითქოს ალი მოედო, გიზ-

გიზით აბრიალდა იგი...

თათარხანის მიძინებული მხედრობაც შეკრთა, ისინი თითქო უკვე ცხირეთში უნდა ყოფილიყვნენ... ეს მოხუცი კი მიდის, სულ მიდის... არაფერს ამბობს... რას ნიშნავს ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამძღოლიც შეიშმუშნა. გზას გახედა და იცნო. იცნო და გაფითრდა, — ეს ხომ ქვენადგურის გზა იყო და ცხირეთზე ძალზე დაშორებული! განა შესაძლებელია?.. მაშ!?! და კბილები დააკრაჭუნა, აღვირს მოსწია. ცხენი შეაჩერა და მოხუცის მოყვანა უბრძანა.

— შეენ?!? ეს რომელი გზაა? — ლახტის მაღლა აწევით შეეკითხა მას.

ხელშეკრული მოხუცი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო თავის ლოცვებიდან და ამიტომ დიდხანს ვერაფერი გაიგო. ვიდრე სინამდვილეს დაუბრუნდებოდა, თვალმიშტერებული შესცქეროდა გრძელწვერა წითელჩალმიანს.

— არ გესმის, შე ქოფაკო! — კიდევ შეღრიალა ლახტმოღერებულმა და ცხენი ზედ გულზე მიაგდო. მოხუცი მიწაზე დაეცა. ხელებშეკრული ერთხანს უმწეოდ ღოღავდა რიყით მოფენილ მდელოზე და წამოდგომას ვერ ახერხებდა, სანამ ხელი არ მოჰკიდეს და ფეხზე არ დააყენეს.

— ეს ხომ ქვენადგურის გზაა? სთქვი ხომ ასეა? — შეეკითხა ცხენოსანი.

— მართალია! — ახლა კი თითქო შთაგონებული და გამხნევებული ლაპარაკობდა იგი.

— მერე?

— მერე ის რომ, — რატომ არ იცოდი, ჩემს ხალხს არ ვუღალატებდი! სანამ შენ უკან დაბრუნდებოდე, ქართლი აღდგება, ჯარი შეიკრიბება და დადგება შენი განწირვის დღეც! მე კი აი, მზათა ვარ წარვდგე წინაშე უფლისა ჩემისა და განვუტევო ამქვეყნიური ცხოვრება!..

— ქოფაკო! რაებსა ბოდავ! ეს რა ჩაიდინე!

— ჩავიდინე ის, რის მოვალეც ვიყავ! პირმცინარი წავდგები ჩემი წინაპრების წინაშე და წმინდანებთან ერთად დავიმკვიდრებ სამუდამო საცხოვრებელს...

— ხმა იკმინდე, შე უწმინდურო! დაწყევლილო გიაურო!..—შეღრიალა წინამძღოლმა.

შეჩერებულ წინა რიგებს თანდათან მოადგა უკანა რიგები და შეტბორებულ მდინარესავით შედგა, შედედდა, გაფართოვდა და ერთმანეთში აირია ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცნი. მოხუცის ღალატი ყველამ გაიგო და იწყეს ყვირილი, —

— მოჰკალით ეგ შეჩვენებული!

— ხეზე ჩამოახრჩეთ!

— აწამეთ!

— დასწვით!

— თავი მოჰკვეთეთ!..

იძახოდნენ წითელჩალმიანები და წინ მოიწევდნენ ყიჟინით და ხმლების პრიალით, დამნაშავეს ეძებდნენ და ვიწრო გზაზე მსხვილგავიანი ცხენებით ერთმანეთში იჭედებოდნენ...

გზააბნეული ჯარი, მოულოდნელ ამბისაგან შემკრთალი, დიდხანს ერთ ადგილს ტკეპნიდა. აღარ იცოდნენ როგორ ემოქმედნათ, — გზა განეგრძოთ, თუ უკან დაბრუნებულიყვნენ. თითქო კარგად მიდიოდა ყველაფერი — მიზანი მიღწეული იყო. ჰფიქრობდნენ მხოლოდ დარბევაზე. ახლა კი რაღაც მოხ-

და ისეთი, რამაც ხელი შეუშალა მათ თარეშს. თითქო დამბლა დაეცა ხეულს. მოდუნებული, სიმხნევეს მოკლებული და თავგზადაკარგული, — დიდხანს უცდიდნენ განკარგულებას.

წინამძღოლმა უკან დაბრუნება ბრძანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰკრეს თურქული დოლი. აახმაურეს იარაღი. მოაბრუნეს საქონელი, ააშრიალეს ბუჩქები და მაღლა აშვერილი ნახევარმთვარიანი თუღებით არეული რიგებით, ცხენების ჭიხვინით და ურმის ჭრიალით შავ ზოლებად გაჰყვნენ გაფანტულ ბილიკებს.

უკან ბრუნდებოდა თათარხანის ჯარი. ხოლო ახლა მას წინ აღარ მიუძღოდა წელში მოხრილი მოხუცი...

მიტოვებულ ალაგზე მოხუცის სამოსს ნიავი არხევდა. ტოტებში გამოპარული მზის სხივები თმით დაფარულ ღია თვალებში ციალებდნენ დ იქვე სისხლის გუბეზე ბზინავდნენ...

VII

სააკაძის მიერ გამხნევებული მეომრები მოდიოდნენ მთებიდან, ველებიდან, მტკვრის სანაპიროებიდან, სოფლებიდან და ერთის დაკვრით ჰლამობდნენ თათარხანის ჯარის მოსპობას. კოშკებში თავშეფარებულმა თავადებმაც წაივლეს ხმალზე ხელი და თავიანთი რაზმებით მთავარსარდლის ლაშქარს შეუერთდნენ.

მეფე ლუარსაბი, დიდებულებით გარშემორტყმული, სააკაძესთან ერთად დადიოდა, ამხნევებდა და ანაწილებდა მოსულ ჯარს. უკვე შემუშავებული გეგმით, მათ განზრახვა ჰქონდათ მტრის ჯარი ისეთ ადგილში მოემწყვდიათ, სადაც მას არ ექნებოდა შეძლება გაშლილიყო. სწორედ აქეთ მიდიოდა თათარხანის ჯარიც.

ტაშისკართან გიორგი სააკაძე თავისი მეომრებით, ციციშვილების და ბარათაანთ ჯარით ადიდებულ მტკვარში გავიდა და წინ გადაეღობა მტრის ჯარს.

ქვიშხეთისა და მტკვრის შუა, სურამის მხრიდან ჩაუყენა ახლად მოშველებული ჯარი მუხრან-ბატონისა, ამილახვრისა, ნუგზარ ერისთავისა და სხვებისა. მეფე ლუარსაბმა მარჯვენა ფრთის სარდლობა იკისრა და აღფრთოვანებული გაუძღვა თავის რაზმს.

თათარხანის ჯარი მახეში გაება.

აღფრთოვანებული და აღტაცებული მიდიოდა ბრძოლის ველზე ხალხური ლაშქარი. ყველას გამარჯვების იმედი უღვიოდა გულში, სხვადასხვა მხრიდან მოსულნი ერთმანეთს ღიმილით ხვდებოდნენ, გამარჯვებას უსურვებდნენ. აბზინებული თვალებით ნაცნობნი ერთმანეთს მოიკითხავდნენ, გულადობდნენ და ამაყობდნენ, რომ დღეს თავგანწირვით იბრძოლებდნენ და დედას უტირებდნენ თათარხანის ჯარს.

ხალხურ ლაშქარს გამამხნევებელი სიტყვით მიმართა გიორგი სააკაძემ. მოლაშქრენი აღფრთოვანებულნი შეხვდნენ სარდლის სიტყვებს და როცა ცხენზე მჯდარი მეფე ლუარსაბი წაბლისფერ ულვაშებითა და მოღიმარი სახით მათკენ მიმავალი დაინახეს, — ყიჟინით მიეგებნენ მას და ვაშას ძახილით ჰაერი შეანძრიეს.

თათრები უკვე გამაგრებულიყვნენ თავიანთ სიმაგრეებში, თხრილებში და ორმოებში. სააკაძემ ომის დაწყებისთანავე შესანიშნავი ხერხი იხმარა. მან

კარგად იცოდა ქვიშხეთის ბუნება, იცოდა, რომ ადგილობრივი ქარი (თერხვი) ტაშისკარიდან რომ ბრუნავდა, — დილით ამოვარდებოდა ხოლმე. ამ დროისთვის მან უბრძანა თოფები დაეცალათ. დროზე მოსწრებულმა თერხვმა კვამლი სწორედ თათრებისაკენ წაიღო. მაშინ ქართველები შეტევაზე გადავიდნენ და სანგრებიდან ამოჰყარეს მიმალული თათრები.

ბიბლიოთეკა

დაიწყო მწვავე და სასტიკი ბრძოლა. ქართველებმა დაიკარწახეს ჩოხის კალთები, დასცხეს ყიჟინა, ააპრიალეს ხმლები და შეესიენ მტრის რიგებს.

როგორც დევ-გმირი, თავისი დაგეშილი არაბული ცხენით, რომელსაც ჯავშნიანი თევზის ქერცლივით ულაპლაპებდა ზურგი, თათრების გუნდში შეიჭრებოდა გიორგი საკაძე, მარჯვნივ და მარცხნივ მარჯვედ და ძალუმად ატრიალებდა ხმალს, ყიჟინას დასცხებდა, ხან ერთ ალაგას გააპობდა მტრის გუნდს, ხან მეორე ალაგას.

ბრძოლისავე დროს განკარგულებას იძლეოდა, — მაშველ რაზმებს ჰგზავნიდა ერთი ადგილიდან მეორეზე, უკან მისდევდა მტერს და სადაც აპრიალდებოდა მისი ხმალი, — გარშემო გუნდი დნებოდა. ყვირილითა და თვალებიდან ცეცხლის ფრქვევით მისდევდა აბნეულ თათრის ჯარს და აყენებდა სისხლის ღვარს...

სრესდა, ჰკვეთდა, აპობდა, ჟლეტდა...

შორით გულშესაზარად გუგუნებდა თათრული დოლი. ჰაერს აპობდა ზურნის ჭყიპინი. ყაყაჩოსავით გაფანტულ წითელჩალმიანებში შხუილით და ჩხრიალით შეიჭრებოდა ჩოხაამოკარწახებული ქართველ მეომართა რაზმები და შეიქნებოდა ხმლების ჩახუნი.

გუნდი გუნდს შეესეოდა და ისმოდა გაძახილი, — აბა ბიჭებო, მიდით! ზედ მიდით!.. დასცხე! გააპე! დაარტყი!.. დაჰკა! არ გაუშვა! მიდი!.. — და სისხლი თქრიალით და ნაკადით იღვრებოდა მიწაზე, მაგრამ მაინც არ სცხრებოდა გუგუნი და ერიამული ერთმანეთში არეული მეომრებისა.

პაპანაქება მოდებულ სივრცეში გაისმოდა ხმლისა და ლახტის ჩახუნი, ხვნეშა, ჭიხვინი, ყიჟინა, გმინვა, კვნესა და გოდება... შუბი, ისარი, ჯიღა, ლახტი, ხანჯალი, თოფი, — ერთმანეთში ირეოდა.

კბილებდაღრეჯილი ცხენი ჯერ ყალყზე შედგებოდა, უმწეოდ ჰაერში თავს გააქნევდა და სქელი გავით უცბად დაჭრილ მუხლებზე დაეცემოდა. იყო კბილთა ღრჭენა და ვაი დედას ძახილი.

ერთმანეთში ირეოდა დაჭრილი და მკვდარი, ცხენი და მეომარი, ხმალი და ხანჯალი, ოფლი და სისხლი.

მუზარადითა და ჯავშნით ცხენზე აზიდული მხარბეჭიანი გიორგი საკაძე მხედველობიდან არ უშვებდა ბრძოლის არეს, თავისი დაგეშილი ცხენით იქ მიიჭრებოდა, სადაც სუსტდებოდა ქართველთა გუნდი. ყიჟინას დასცხებდა, ხმალს დაატრიალებდა, მტრის გუნდს გააპობდა და მისდევდა მათ.

იგი იმავე დროს თვალს არ აშორებდა ახალგაზრდა მეფის — ლუარსაბის ბრძოლას და როგორც კი შეამჩნევდა, რომ მას მტერი მიეძალებოდა, მყისვე თავის გაოფლიანებული ცხენით მასთან მიიჭრებოდა და საფრთხისაგან იხსნიდა მას.

უკან გარბოდნენ მაღლა ამართული ნახევარმთვარითა და ცხენის ძაფით მორთული თუღები. ყიჟინით მაღლა აშვერილი ხმლებით მისდევდნენ ქართველი მეომრები თათრის ჯარს.

დამარცხდა თათარხანის ჯარი.

ოხრებას ასცდა ქართლი.

— ვაშა! ვაშა მეფე ლუარსაბს!

— ვაშა და გამარჯვება გიორგი სააკაძეს!...

იძახოდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ გამარჯვებული მეომრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების ყიჟინითა და ვაშას ძახილით ეგებებოდნენ მეფეს და მთავარსარდალს ქართლის სოფლები.

*
* *

ზეიმობდნენ შურისძიებით დამტკბარი ქართველები.

ზეიმის დროს გაიხსენეს ის მოხუციც, მტრის ჯარს რომ ხელშეკრული წინ უძღოდა. მეფემ მოისურვა გაეგო მისი ბედი და ვინაობა.

ტყვედ ჩავარდნილ თათართა შორის დაიარებოდა შიო მეფანდურე. მას ყველაზე მეტად აწუხებდა მოხუცის ამბავი და ყველას მის შესახებ ეკითხებოდა. მას უკვე მომზადებული ჰქონდა ლექსი, გმირებს რომ დამღერდა. გრძნობდა მოხუცის გმირობას და მისი სახელის გაგებას ცდილობდა. ხოლო არავინ იცოდა ვინ იყო ის. იცოდნენ კი, რომ, თუ ის მოხუცი არა, თათრის ჯარი იმ დილასვე ცხირეთში მივიდოდა და მეფეს დაესხმოდა თავს. მოხუცმა კი ისინი მოატყუა. ოღრო-ჩოღრო გზებით ატარა და ცხირეთის მაგიერ ქვენადგურისაკენ წაიყვანა.

— მერე, რა ბედი ეწია მას? — იკითხა შიომ.

— როგორც კი წინამძღოლმა ღალატი გაუგო, მაშინვე თავი მოაკვეთინა.

— მერე, სად დატოვეს ის?

— გოსთიბის მაღლობზე!

ეს ამბავი მეფეს აცნობეს.

— შეჰკარით რაზმი. ახლავე წავიდნენ მაღლობზე. იპოვონ მოხუცის გვამი და გაიგონ მისი ვინაობა! — ბრძანა მეფემ.

ახალგაზრდა ბიჭებისაგან შეკრული რაზმი არაბული ცხენებით იმ წუთსვე წავიდა მაღლობზე. მათ თან გაჰყვა მეფანდურე შიო.

შორიდანვე შეამჩნიეს შავ სამოსში გახვეული მოხუცის გვამი. ახლო რომ მივიდნენ, კარგად გაარჩიეს, ნიავი რომ აქანებდა — ანაფორის კალთები იყო. შიომ ღია თვალებში ჩახედა მიცვალებულს და მყისვე იცნო თევდორე მღვდელი.

— თევდორე! საცოდავი თევდორე! — შესძახა მან. — კარგად ვიცნობდი! თანშეზრდილი იყო ჩემი. მეფის კურთხევაში მიიღო მონაწილეობა და როგორ უღალატებდა მას?...

მეფესთან შიკრიკი აფრინეს და იქიდან ბრძანება მიიღეს, — თევდორე მღვდელი იქვე გოსთიბის მაღლობზე დაესაფლავებინათ, ნიში აეგოთ და კარებზე წაეწერათ, — „წარმავალ ცხოვრებაში არ გავცვლი სამარადისო ცხოვრებას, არ გავხდები მეფისა და სამშობლოს მოღალატე“...

გოსთიბის მაღლობს თევდორეს მაღლობი უწოდეს.

ბოკრის ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიახვის პირას[1]

(კარი მეორე)

ნასადილევს გიგო ჩარექაშვილი სათიხრიდან დაბრუნდა. გზად ერთხელაც აღარ გამოლაპარაკებია მეეტლეს, რომელსაც სამი ფუთი ხორბალი, ორი ჯინი ვაშლი ეყიდნა, კოფოზე, ფეხებ ქვეშ, დაედო და თავგამეტებულად მიერეკებოდა ცხენებს.

საღამოს სუსხი ახლოვდებოდა. საზურგულს მიწოლილი გიგო მძიმედ ირხეოდა. იგი გაეტაცნა ფიქრებს: როგორ მოეპყრობოდა დეკანოზს, მის ხელთ რომ აღმოჩენილიყო ერთ მშვენიერ დღეს მღვდლის ბედი.

„თავდაპირველად გავაძრობ იმ ანაფორას, გავკრეჭავ, ვალში საჯარო ვაჭრობით გავუყიდი მამულს. მერე სულ თავიდან მოვიცილებ, გადავასახლებ სოლოვეცის მონასტერში. თუშელაშვილს ძაღლივით ჩავაკვლევინებ გზაშარაზე, სამათხოვროდ გავუხდი საქმეს გოგოსაშვილს“.

ხანდახან ამართლებდა თავისებურად მტრებს: „გუშინ მე ვიყავ, დღეს ის არის. ასეთია ცხოვრება, კაცი კაცის მტერია. თუ კი ვიწროში მომასწრებს, რად დამზოგავს, რად არ გამაძრობს ოთხ ტყავს? იმიტომ ხომ არ შემიცოდებს, რომ ხვალ მივუბრუნდე და ოთხის მაგივრად ათი გავაძრო? განა მეც ასე არ მოვექცეოდი მათ?“

ყინვის არშიებ ჩაცმულ, მტუტე მეჯუდას ამილახვრის ხიდთან ბინდისას მიადგა ეტლი.

— საით, ბატონო, დუქნისკენ ხომ არა? — ჰკითხა მეეტლემ.

— მოვედით? — იკითხა გიგომ, გამოიხედა, ჯვარი გამოისახა. — მადლობა ღმერთს! — ჩაიბუტბუტა და უბრძანა: — შინისაკენ!

გიგოს მამაპაპეული ბინა ციხის უბანში იდგა. პირქუშად გამოიყურებოდა აივან-შერყეული ჯუჯგი სახლი.

ეზოში ნაგვისა და ნარეცხის პირღია ორმოს სუნი ტრიალებდა. გიგომ ნესტოებზე ცხვირსახოცი მიიფარა, ერთი წითელი თუმნიანი მიუგდო მეეტლეს, გაისტუმრა, მომაკითხე, ხვალ იქნებ დამჭირდეო. მძიმე ნაბიჯით შეჰყვა სახელურებ მოგლეჯილ, ჭრიალა კიბეს.

შინ მარტო დედა დაუხვდა. თბილებში ჩაფუთვნილი, სახე ახვეული მოხუცი, ბუმბულ გაბურძგვნილი ინდაურივით იჯდა ხალიჩაზე, ჩამჭრალ თუჯის ღუმელის გვერდით. თვალმოხუჭული ამუშავებდა წინდის ჩხირებს.

— მოხვედი, შვილო? — გაიგონა დედის ტკბილი ხმა გიგომ.

---

[1]) დასაწყისი იხ. „მნათობი“ 1942 წ. № 2, 3 და 4.

მაგრამ შვილს იმისკენ არც კი მიუხედნია. ხვნეშით გაიძრო კალოშები, საწოლ ქვეშ შეჰყარა, სიცივისაგან დაბლაგვებული ხელები მოიფშვნიტა და პალტო გაუხდელი წამოწვა დივანზე.

— ვახ, რა მოგსვლია, შვილო, ჩემო თვალის სინათლევ? — მიმართა დედამ, შიშით შეცივებულმა.

გიგომ ხმა არ გასცა, მხოლოდ კედლისაკენ მიბრუნებულმა თავი დედისაკენ მოღრიცა, უბიდან ფულის კონები ამოიღო, სათითაოდ მიაწოდა და პირი ისევ იბრუნა დამშვიდებულმა, ამ მოლარის ხელში ფულს არა უშავსრაო.

დედამ, რიმსიმემ, ფულის კონები გამოართვა, თუჯის სქელკედლებიანი სალარო ვაი-ვაგლახით ასწია, ფული შიგ დაუთვლელად ჩასდო, დახურა, დაჰკეტა, მერე ისევ გიგოს მიუბრუნდა:

— რად არას მეტყვი, შვილო, გული ნუ გამიხეთქეი, შენს სიცოცხლესა!

— მაცადოს, მაცადოს იმ წვერძაღლმა! მე გიგო მქვიან, აგრე ადვილად არ შევარჩენ მაგ ჰარამზადობას. — ჩაილუღლუღა წამოწოლილმა გიგომ.

— ვაი ჩემს გაჩენასა! — შემოიკრა თავში ხელები დედაბერმა. მერე აივანზე გაფარფატდა და ჩილიკის მოთამაშე ბავშვს უთხრა: — გასწი დოსითე მღვდლიანთსა, სუსანას უთხარ, ეხლავ აქ მოვიდეს!

სუსანა, გიგოს ცოლი, შუადღემდე შინ ფათურობდა, სადილზე დედამთილთან შელაპარაკება მოუვიდა, როგორც ყოველთვის, როცა ქმარი შინ არ იყო, მილანძღ-მოლანძღეს ერთმანეთი, მერე ბავშვებს ჩააცვა, გასწია მღვდელ დოსითესას, რომელსაც იმ საღამოსათვის თავისი ფარდი დედაკაცები ჰყავდა მიპატიჟებული ლოტოს სათამაშოდ.

რიმსიმე შეეცადა შვილის გულის ვარამის გაგებას, მაგრამ ამაოდ. გიგო ერთთავად იმეორებდა, დედი, თუ ღმერთი გწამს, დამეხსენ, ეგ შენი საქმე არ არისო. შვილის გულგაუხსნელობით და ადრევე რძალზე გაჯავრებული დედა წყევა-კრულვას უგზავნიდა შვილის მტრებს და ორგულებს.

— დაერიოთ ჭირი, ამოწყდნენ ყველანი, მეხი დაეყაროთ თავზე, ღმერთმა გაზაფხულამდეც არ მიატანებინოთ, რაც ჩემისთანა ავადმყოფს კიდევ გულის გადმოტრიალება აღარ ესაჭიროებოდეს! — ილანძღებოდა ის.

— ექიმები რას გეუბნებიან, დედი?

— ჭირი იმათა და გაწყვეტა! ყველას ფულზე აქვს თვალი გამოჭყეტილი. გამოსწერენ რაღაცა წამლებსა და ეგ არის მაგათი ექიმობაი. ახლა კიდევ ვიღაც გომართელი გამოჩენილა. მე აღარავისი არა მჯერა.

— დედი, ხომ არ გინდა ინახულო ეგ ექიმი?

— რაო, ვინახულო? რა ვიცი, ღმერთმანი! აგერ მგონია, სუსანა მოდის ბავშვებითა, — სთქვა მოხუცმა და კარი გააღო, გაეგება.

კიბის ძირას დახვდა სუსანას. ბავშვები ქვედა სართულის პალატაში შერეკა, საღაც თითონ ეძინა ხოლმე. ხვეწნა-მუდარის კილოთი უთხრა რძალს:

— შედი, დაამშვიდეი, კაცი თავის თავს აღარ არის.

— უი, დამიდგეს თვალები, რა წაეკიდა? — წამოიძახა სუსანამ და კიბისაკენ გაიწია, მაგრამ რიმსიმემ შეაჩერა, გესლიანად ჩაიბუზღუნა:

— აჰ, მითომ ძლიერ წუხარ, მაშ სტუმრად რაღად გარბოდი, შინ ვერ ეგდეი?

— ძაღლებმა შეგიჭამონ ეგ ენა! — არ ჩამორჩა არც სუსანა.

— ძაღლმაც შეგიჭამოს და სამარის მატლმაცა ეგ დაფუყებული სხეუ-

ლი! — შეუღრინა დედამთილმა, ფაფხურით დაეწია სუსანას, ხმელი, ძარღვებიანი თითებით სწვდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა უჩქმიტა.

გულშეღონებულმა რძალმა კიბეზე ჩაიკეცა და თავი მამაკაცივით მოაჯირს მიაყრდნო, რამაც დედამთილი უფრო გააკაპასა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაი, შენ კი ჩაკვდი და გააცხე სული მართლაცა! მე შენი გულის წასვლა რად მინდა, ასემც უქნია, მთლად ჩაგწყვეტია შიგნივ ეგ სამაწე მურგვი. შედი მეთქი, უჩქარე, დაამშვიდე ვაჟკაცი, ლოგინი გაუთბეი, შენ კი გული მიგდის. აი, მიწა კი დაგეყაროს, შე ჩასახეთქო, შე გასაქრობო!

და რძალი ძალით წამოაგდო ზეზე რიმსიმემ, უჯიკავა, ზემოთ, კიბეზე შეაგდო.

კვნესა-წრიალით შევიდა შინ სუსანა. გიგო პალტოიანად წამოწოლილი დაუხვდა. უი, უი, დამიდგეს თვალების ძახილით მიუახლოვდა, მკრთალ სინათლეზე სახეში ჩახედა და უმალვე მიხვდა, გაჯავრებულია, სხვა არაფერიო. პალტო გაიძრო, მიაგდო და ლოგინის შლას შეუდგა.

— დედაკაცო, ეს რა სიცივეა ბინაში? ბიჭი, ერასტი სად არის, იმას მაინც ვერ გაათბობინეთ?

— ერასტი აკი დილით საწყობში გაგზავნე ყუთებზე სამუშაოდ, — უკმეხად ესროლა სუსანამ.

— შეშის ღუმელში შედებას რა დიდი ლარი და ხაზი უნდოდა, თქვენ ვერ მოახერხებდით?

— ეგა ქაჯ დედაშენსა ჰკითხეი, იმან იცის: გუდურები სარაიაში შეჰყარა, კლიტე დაადო, გასაღები ციხის დარაჯივით წელზე ჰკიდია.

გიგომ ხარივით შეუბღვირა ცოლს, რომელსაც ვერ გაეგო დედის ასეთ ქცევაში ქონების დაზოგვის, დოვლათის შეძენის აზრი.

ოთახს მკრთალად ანათებდა ნავთის ლამპის შუქი. გიგო გაუნძრევლად იდო მდივანზე. იქედან თვალს ადევნებდა სუსანას სრულ თეძოებს, სავსე გულმკერდს, ღაბაბს, კედელზე ჩამოპროწიალებულ სურათებს, თან ფიქრობდა: გამჭრიახობა გაკლია, მაგრამ ეგ არაფერია, კარგი ხარ, ამიტომაც ყველაფერი მიპატიებია, თორემ დედიჩემის ავად ხსენებას როგორ გაგაბედინებდიო.

სუსანამ ხელმარჯვედ გაშალა ლოგინი, დედამთილს გასაღები გამოართვა, შეშა ამოიტანა, ღუმელში შეუკეთა, ცეცხლი ააბრიალა. მერე ქმარს ხელი მოავლო, წამოაყენა, აი, გათბიო, და ნელის ხმით ჩაულაპარაკა:

— სადილიდან მორჩენილი კერძი შეგინახეთ, ხომ არ გშიან?

— მშიან კი არა, მგონი, თავს რამე აუტეხო.

— შვიდეულს ხომ არ შეჰპირდი? — გაეხუმრა ცოლი.

— ნეტავი შენა, დედაკაცო, თავში რომ ერთი მისხალი ჭკუა არ მოგეპოებათ ქალებსა.

— მითომ რატომაო, ნეტავი? რა ხეირი მაყრია, ქაჯ დედიშენის ხელში ჩავარდნილს! იმას უფლება აქვს ყველაფერი მკადროს, მე კი პირში ბურთი მჩრია. მაშ ამ მდგომარეობაში მე ბედნიერი ვარ? მეტი ნუ გაუხარია ჩემს მტერსა!

— დედაჩემი რას გიშავებს, ქალო, განა ჩვენთვის არა ზრუნავს? განა ჩვენც არ მოვხუცდებით? ჩვენი შვილებიც ხომ გათხოვდებიან და ითხოვენ? მართლა, ბავშვები როგორ არიან, ისინიც სიცივეში აკავკავეთ?

— მეორე დედამთილიც ეგ ინგლისურის და მუსიკის მასწავლებელი გა-

მიხდა, — შესჩივლა ქალბატონ სტრონგზედაც სუსანამ, — ბავშვებისათვის ვითმენ ჩემს სახლში ჩემს ამოდენა დამცირებასა, თორემ თავს არ ვიცოცხლებდი.

— კარგი, კარგი, გეყოფა საყვედურები. შენ მე მიყურე, ჩვენ ბევრ ჩვენი შვილებისა და მშობლების შუაში ვდგევართ. ყველამ ჩვენით უნდა მოინახოს თავისი გზა და ბედნიერებიც იყვნენ. ამიტომაც მშობლებთან მოთმენა გვმართებს, შვილებისა კი წვრთნა.

„ამასობაში კი მე ჩემი გადამწყდება, ეს ახალგაზრდობა გაივლის უგემურად, გაუხარებლად!“ — უხმოდ უპასუხა ქმარს თავის გულში სუსანამ, ამოიხვნეშა, გული ამოაყოლა.

— დაივიწყე სადარდელი, სხვამ რაღა ჰქნას, ვისაც ლუკმაც კი გაწყვეტილი აქვს? — აიმედა გიგომ ლოგინში ჩამთბარმა.

*
* *

იმავე საღამოს კარგა შეგვიანებით ცოლ-ქმარმა ტანთ ჩაიცვეს. ქუჩაზე გავიდნენ. დოსითე მღვდლისას ლოტოს თამაში გათენებამდე გრძელდებოდა. გიგო დაეთანხმა სუსანას წინადადებას წასულიყვნენ იქ. ცოტაოდენი საქმეც ჰქონდა მღვდელთან, გაერთობოდა კიდევაც, თუმცა ლოტოს თამაში არ უყვარდა.

— მკვდარი თამაშია, — უთქვამს ხშირად სუსანასათვის.

ნათლიღების აქეთ გიგოს თავისი მოძღვარი აღარ ენახა სალაპარაკოდ, მას შემდეგ, რაც დოსითემ მნათითურთ შინ შეუარა, სახლი მოუსხურა ნაკურთხი წყლით, თან საჩუქარი, ყოველწლიური ღალა მიიღო.

მღვდელი ციხის ძირად სცხოვრობდა ასი წლის წინად გარდაცვლილ სოვდაგრის მიერ ეკლესიისათვის ნაანდერძევ სახლში.

ლოტოს თამაში დიდ ოთახში სწარმოებდა. ოცდოდე მოხუცი და ახალგაზრდა ეჯდა დიდ მაგიდას. ხელები ლობიოს მარცვლებით ჰქონდათ სავსე, ნომრებს დასჩერებოდნენ, ამომკითხავს უსმენდნენ. გიგოს შესვლა შენიშნეს მოთამაშეებმა. არ იცოდნენ, ზეზე წამოსდგომოდნენ თუ თამაში განეგრძოთ. ისინი სუსანამ დაამშვიდა, ისხედით, ემას თავის საქმე აქვს მღვდელთანაო, უთხრა და მოთამაშეებს შეუერთდა. ჰაი-არათი გამოეგება გიგოს დოსითე მღვდელი.

— მობრძანდი აქ, ჩემთან, ოთახში. — ამ სიტყვებით ხელი მოხვია გიგოს, თავის ოთახში შეიყვანა და სავარძელი შესთავაზა.

მერე პატარა ხნით მიატოვა სტუმარი, რომელმაც თვალი მიმოავლო მღვდლის ოთახს. პატარა მაგიდაზე ეწყო სქელტანიანი სამღვთო წერილის წიგნები, სიძველისაგან ყუა-გაცვეთილი და მიხაკისფერ-გადაკრული. მაგიდასთან იდგა მეორე რბილი დასაჯდომიც, რასაც აღარ ეტყობოდა თავისი პირვანდელი სახე. კედლებზე ეკიდა ბიბლიური შინაარსის ლიტოგრაფიული სურათები.

— გიგო, შენ ჩემთან უბრალოდ არ შემოხვიდოდი, — უთხრა დაბრუნებულმა დოსითე მღვდელმა სტუმარს, ქოშინით სავარძელში ჩაჯდა, მკლავებით მუხლებს დაეყრდნო და ნიკაპი ხელებში ჩამალა, რათა ამგვარად უფრო გულდასმით მოესმინა მრევლის ყველაზე შეძლებული სტუმრის სიტყვები.

— არც ჰო, არც არა, მამაო დოსითე. ისე, მოჭრით, საქმე მართლაც არა მაქვს, მაგრამ შენთან საუბარი მომენატრა. მღვდელი ხარ, გულის დარდი გაგემხილება, შემინახავ კიდევაც საიდუმლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც საფლავი!

— თუმცა ახლა რალა მღვდელი და რალა ერის კაცი! ეგ არის, შენ გამონაკლისი ხარ, შენთან ნათქვამი კაცს წინ არ დახვდება. გაჭირდა, დოსითე, ცხოვრება, წახდა ჩვენი გორი, ხელი აღარავის მოეკიდება, გაფუჭდა ხალხი. ჩემს ვაჭრობაში ხეირი აღარა ჰყრია, გველის ხვრელში უნდა გაძვრე რაღაც ორიოდე კაპეიკის მოგებისათვის. ამ თხუთმეტიოდე წლის წინად სხვა იყო, საითაც გინდოდა, იქით უზამდი პირს ადამიანებსა. ჭკუა კი მაგდენი არა მქონდა. ახლა, როცა ეს ჭკუა გამოჩნდა, გამოცდილებაც მომეცა, ხალხი სხვანაირი გახდა. ერთი თათრის ჩივილისა არ იყოს, ალაჰმა მწვადი მომცა შამფურით, ოცი მშიერის ხელითაო.

— მამულის ყიდვისა რა ქენი? — შეეკითხა მღვდელი.

— მეც მაგას ვჩივი. ვიფიქრე, ვაჭრობიდან აღარა გამოვა-რა მეთქი, გადავწყვიტე მამულის შეძენა, დავატრიალე ხალხი და იცი, რა გამოვიდა? პირდაპირ დანა გამომისვეს ყელში.

— მაშ გამოდის, დეკანოზმა თომა ჩუთაშვილმა პირი გიქცია.

— შენ რა იცი?

— მე კი არა, ქვეყანამ იცის, რომ შენ მაგ საქმეში დეკანოზი თომა გეხმარებოდა.

— მაგ სახელს ნუღა მიხსენებ. ნუ ჰქნას ღმერთმა ეგეთი ხალხის გამრავლება, თორემ სოფლის მამულს ვინ ჩივის, აქ გორის საკუთრებაზე აგვაღებინებენ ხელს.

— მაშ მე ჭკვიანი კაცი ვყოფილვარ, თომასთან რომ არავითარი საქმე არა მაქვს. სალამს არ ვუკავებ მხოლოდ, ისე კი შორსა და მშვიდობით ჩემგან. შენ ერთი ეს მითხარი, იქნება ფული დაინანე?

— ფული დავინანე რასა ჰქვია!

— მაინც არაფერია საშიში, აგერ ჩემი სამსახურისა არ იყოს, ვაჭრობა უპუროდ არ დაგაგდებს.

— არც უპურობას ვუშინდები. რა დაგეფიცება, იმდენი კიდევა მაქვს, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეში არაფერიც გავაკეთო, შემინახავს, ბალღებსაც გზაკვალზე დამიყენებს. მე შენ გეუბნები იმ საქმეზე, რაც მიყვარს, რაც ათადან-ბაბადან ჩემს წინაპართ უწარმოებიათ.

— ჩანს, ჩოთქი და სასწორი, არშინი და გირვანქიანი ღრმად შესობია ჩვენს ხალხსა სტომაქში, რახან შენ აგრე შეუფიქრიანებიხარ.

— გითქომს და აგრე! აგერ ბერბუკელებმა, რუისელებმა, ხელთუბნელებმა რა ჩაიდინეს: ვაჭარი რას მიქვიანო, ხილი ყვავილში აღარ დააბევეს, შეინახეს შემოდგომამდე, შეჰკრეს რაღაც ამხანაგობები, მოწესრიგდნენ და ხილი ვაგონებით გაზიდეს, ვინ იცის, საით. აქ კიდევ კოოპერატივებიო. ასე გასინჯე, იარაღსა და ჭურჭლეულსაც ჩემი დუქნიდან აღარ ყიდულობენ. გაგიგონია ასეთი რამე აქამდე? ერთიც ვნახოთ, ასე გაგრძელდეს, ფულს გემო გაუგონ, როგორც მოშინაურებულმა ბოკვერმა ხორცსა. რაღა მეშველება, ხომ წახდა ჩემი საქმე, დავიღუპები!

— შენც ადექი და საწარმოო გახსენი, რამე ქარხანა. ფული მქონდა,

თორემ იქნებ ეს სამსახურიც არ ამერჩია. მივდივარ ქუჩაში, მესმის, ჰა მღვდელო, შე სულის მტეროო.

გიგომ გადაიხარხარა.

— წარმოება ბარემ კარგია, მაგრამ მაგას ვაჭრობაზე მეტი თავისტეხა სჭირდება, ცოდნაც ხელში უნდა გქონდეს, თორემ გაკოტრდები. საქმე სამათხოვროდ გაგიხდება. ჩემი საქმე ვაჭრობაა. მზა იყიდე, მიიტანე ადგილზე, ნაღდი ფული ჯიბეში ჩაიჩხრიალე.

— აბა მაშინ ვაჭრობაში სხვა რამ უნდა მოიგონო, — უთხრა დოსითემ.

— მეც მანდა ვარ, მამაო დოსითე, მაგისთვის გიახელი. ნიჟნი-ნოვგოროდს გადავწყვიტე წასვლა, ახლა იქ ბაზრობა იმართება. სანამ მამულების ყიდვა მედო გულში და იმედიც არა მქონდა დაკარგული, მანამდე ვფიქრობდი საცალო ვაჭრობასთან ერთად საბითუმოც დამეწყო. ამ აზრზე ვადგევარ ახლა, თორემ მარტო ხილით, თბილისიდან მოტანილი ჯამ-ჭურჭლით, ბარითა და ცელით შორს ვერ წავალ. ჩემი ადრევე გადანაწყვეტი და მონაფიქრი სისრულეში უნდა მოვიყვანო. დიდი ბაზრები უნდა ვინახულო, საბითუმო ვაჭრობა გავაჩაღო. ხილიც ძირითად სავაჭრო საგნად დამრჩება. ამაში კონკურენტი არა მყავს.

დოსითე ზეზე წამოდგა, ჯვარი გადასახა, დალოცა:

— გწყალობდეს უფალი!

უფლის ხსენებაზე გიგოც ზეზე წამოდგა.

— და კიდევ სათხოვარი მაქვს, მამაო: ჩემს ოჯახს გიტოვებ, გეპიროს თვალი, ნუ მოაკლებ შენს შთამაგონებელ სიტყვას, იმათი მოძღვარიც იყავი. მოხუცი დედა, ახალგაზრდა ცოლი და ბავშვები. ვინ იცის, რა ცუდ აზრს ააცილებ და დაიცავ ჩემს სახელს. ვალში არ დაგრჩები, როგორც ყოველთვის. მე ვიცოდე და შენ.

— იქონიე იმედი და დანდობა! — დაჰპირდა მღვდელი.

— ახლა მე წავალ! — აჩქარდა გიგო.

— ბრძანდებოდე, ვახშამს მოგვართმევენ, ნელა შევექცეთ, ამასობაში დროც გავა, სუსანაც მოიჯერებს ლოტოს თამაშით გულს.

— შენთან, მამაო, პურის ჭამა სასიამოვნოა, — შეაქო გიგომ, ისევ დაჯდა.

დიდ ოთახში განუწყვეტლად ისმოდა ლოტოს მოთამაშეთა ხმაურობა.

გაბმულად აცხადებდა რიცხვებს კოჭების ამომკითხავი. ხანდახან ყვიროდა რიგის შემვსები:

— შესრულდა!

ჭირხლიან განთიადზე დასრულდა ლოტოს თამაში. გიგო და დოსითეც იქნამდე იყოლიებდნენ თავს ღვინით.

გიგო ცოლითურთ უკანასკნელი წავიდა. შინამდე მიაცილა სუსანა, ეზოს ჭიშკართან გაბრუნდა, შუაბაზრისკენ ჩაუხვია. მეორე დღე იყო, ხილის საწყობი და დუქანი არ ენახა. ქუციკო მეხაშესთანაც უნდა შეევლო. ნაღვინებზე უყვარდა ნივრიანი მწვნის შეხვრეპა, წებო-წყლად ქცეულ ცხვრის ფეხების ჭამა. ქუციკოსთან სიტყვაც ჰქონდა სათქმელი. ერასტი დვალმა, მოსამსახურემ, კარგა ხანია სთხოვა პატრონს, ერთი სიტყვა დამაწიე ქუციკოსთან, თავისი ქალი მომათხოვოსო.

ამ საქმესაც მოვიშორებო, იფიქრა, მაგრამ იქავ გადაიფიქრა, ნიჟნი-ნოვგოროდიდან დავბრუნდები, მაშინ აჯობებსო.

სახაშეში საკმაოდ ადრიანად ჩავიდა.

— შენთან ერთი სიტყვა მაქვს, ქუციკო, მაგრამ საჩქარო არა არის-რა, მერეც გეტყვი, — უთხრა მეხაშეს გიგომ და ყვითელ გაროიანი ოთხკუთხიანი ქაშანური გამოართვა.

— მიბრძანე, შენი ხმალი, ჩემი კისერი.

— მემრისისთვის, ახლა ერთი არაყიც მოაყოლე ხაშსა და ბლომად ხორცი ფინჯნითა. ცივა, ხომ ხედავ?

— ჰო, ჰო, ჰო, კაპოეტი დილაა! — ჩაილაპარაკა ქუციკომ და თაროს მიაშურა.

*
* *

სუსანა, გიგოს მეუღლე, გორში დაიბადა, იქვე აღიზარდა, გორს იქით ფეხიც არსად გადაედგა ჯერ. მხოლოდ ერთხელ ჩაიყვანა იგი დედამ თბილისში საქორწინოდ შესამზადებლად. სუსანამ სამი დღე დაჰყო თბილისში დედის ნათესავის ბინაზე. არც თეატრში ყოფილა, არც მუშტაიდის ბაღში, არც ცირკში, სულ ოქრომჭედლების მაღაზიებში დაიარებოდა, არჩევდა, ყიდულობდა სამზითვო ნივთეულებს და სამკაულებს.

დაბრუნდა თბილისიდან მდიდარი მზითვით გახარებული და თბილისის საანახაობათა უნახაობით გულდაწყვეტილი. მერე ეხვეწებოდა ქმარს, როცა ღიდ ქალაქებში წახვიდე, თან წამიყვანეო. ხვეწნა ხვეწნად რჩებოდა. არ იქნა, არ მოეწყო ქმართან ერთად გამგზავრება. გიგოს ეს გულს უწვავდა — მართლა რა გახდა, ასეთი უბრალო სურვილი ცოლს ვერ შევუსრულეო. ახლა კი გადასწყვიტა, ერთი ათად გაეხარებინა საყვარელი ცოლის გული: წაეყვანა იგი, შემოეტარებინა რუსეთი მატარებლით, გემით, ეტლით, ეჩვენებინა ნიჟნი-ნოვგოროდი და მოსკოვი, იქნება პეტერბურგიც.

ზედ გამგზავრების წინ გიგომ ეს გადაწყვეტილება დედას, რიმსიმეს, გაუმხილა. შორს დაიჭირა მოხუცმა.

— მეხი კი დავაყარე იმ მეტიჩარა თავშია! — აყვირდა მოხუცი, — მითომ ქალი არა ვარ, მთელი ჩემი სიცოცხლე სახლს ვყარაულობ, საძირკველზე ვერ ვაბიჯებ, ოჯახს არა დაუშავდეს რა მეთქი. გორიჯვარი რაა, იქაც არა ვყოფილვარ. არა, ბავშვების მოვლის თავი მე არა მაქვს, ჩემი წილი შვილი გაჰიზრდია, დამივაჟკაცებია, ახლა მაგისასაც მე ვდიო. ერთსაც აღარ იკითხავთ, რიმსიმეს რა სჭირს? ჩემი ავადმყოფობის პატრონი შინ უპატრონოდ უნდა დამაგდოთ? ვერა, ფეხსაც ვერ გასდგამს გორს იქით.

ისე, ჩვეულებისამებრ, ჰკითხა ეს დედას გიგომ. სხვა რიგ პასუხსაც არ მოელოდა. მაინც ჰკითხა. გიგოს არც ბავშვები აბრკოლებდნენ: ინგლისელი აღმზრდელი ქალი, ქალბატონი სტრონგი იმათ არას მოაკლებდა.

დარჩა მხოლოდ ის, რომ ცოლისთვის წინადადება მიეცა შემზადებულიყო. მაგრამ რუსეთში ჯერ თვითონაც არ ემგზავრნა. მარშრუტი არ იცოდა, ამიტომაც ცნობების საკითხავად გასწია სამსახურიდან გასულ პოლკოვნიკ ფავლენიშვილთან, მამის ყოფილ დებიტორთან.

პოლკოვნიკ ფავლენიშვილს მრავალჯერ ჰქონდა შემოვლილი მთელი რუსეთი და იქაურ გზა-კვალს თავის საბატონო სოფლის მიჯნა-სამნებზე უკეთ იცნობდა.

— მარტო აპირებთ? — ჰკითხა ფავლენიშვილმა.

— ცოლი და მსახური მიმყავს თან, — იყო პასუხი.

— მსახური აუცილებლად საჭიროა, ცოლი კი... ჰა-ჰა-ჰა!

— რაო, რად იცინით?

— თქვენი გამოუცდელობის გამო.

— ჩემი? — გიგომ თითი დაიბაკუნა გულის ფიცარზე.

— დიაღ, თქვენი, ცოლი ფეხებში გამოგებლანდებათ, ამასთან ეგ ცუდი ტონიც იქნება. იქ განა ქალები ცოტაა? — ისევ სიცილით განუმარტა ფავლენიშვილმა.

გიგო გაწითლდა, აილეწა. ეს როგორ ვერ მოვიფიქრე, მართლაც, რას გამიკეთებს მგზავრობაში ცოლი, გარდა საზრუნავისა, ქალები კი, თუ გაჭირდა...

და გასწია შინისკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ არ წაეყვანა სუსანა რუსეთში, რითაც ძალზე გაახარა დედის გული.

— აგრე, იყოს შინ! — დასცა დასტური შვილის სიტყვას რიმსიმემ.

თითქოს მზად იყო ყველაფერი. წასვლა-ღა აკლდა. გიგო უკანასკნელ განკარგულებებს იძლეოდა. უბარებდა ნოქრებს, როგორ გაეყიდათ დარჩენილი საქონელი, ვისგან მიეტანათ დაკლების შემთხვევაში და სად გაეზიდათ საწყობებში დარჩენილი ხილი.

უკანასკნელ დღეებს შინიდან იშვიათად გამოდიოდა. გამგზავრების წინ ყველაფერს ისაზრებდა. ინიშნავდა უბის წიგნაკში დასახსომებლად.

ამ დროს უეცრად მის ბინას მიადგა ეტლი, საიდანაც გადმოვიდნენ ბარძიმ თუშელიშვილი და ერთიც სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი ახოვანი ტანის ყმაწვილი. გიგო მიხვდა, ეს უცხო, ასე რომ ჰგავდა ბარძიმს, იმისი ძმა უნდა ყოფილიყო, რომლის შესახებაც ბარძიმი ელაპარაკა გიგოს ჯერ კიდევ შემოდგომაზე.

იმ დღეს, სათიხარში, გიგო მზად იყო, ბარძიმ თუშელიშვილი ასო-ასოდ დაეკუწა. ახლა, დაინახა თუ არა, ეს გრძნობა გაუქრა. ესიამოვნა კიდეეაც ბარძიმ თუშელიშვილის დანახვა. გაუელვა თავში: კიდევ კარგი ხალხი ყოფილან, თავნი დაუბრუნეს. ხომ შეეძლოთ ვექსილები აეგლიჯათ, ცარიელზე დაესვათ: ხელში ჰყავდათ ჩაგდებული ხაფანგში გაბმულ თაგვივით. ამიტომაც სახის მხიარული გამომეტყველებით მიაძახა:

— ბარძიმ, აღარ მეშვები? მაშ რახან აგრეა, ამო!

ბარძიმს პატიჟი არ სჭირდებოდა. კიბეს შეჰყვა. უგულითადესად მიესალმნენ ერთმანეთს. ბარძიმმა წარუდგინა მასპინძელს თავისი უმცროსი ძმა, ეკონომიური ფაკულტეტის მსმენელი იოკიმე თუშელიშვილი.

— კარგი და პატიოსანი, — მიიპატიჟა ისინი მასპინძელმა ოთახში.

სუსანას სახლი დალაგებული ჰქონდა. მოოთოული იყო შინაურულად. შვილების აღმზრდელ, ქალბატონ სტრონგის ოთახიდან მაშინ გამოვიდა, როცა ქმარი და სტუმრები სხდებოდნენ მაგიდის გარშემო, სკამებზე. გიგომ ცოლს სტუმრები გააცნო. დასხდნენ. გამოირკვა, სუსანას წინადაც ენახა ერთხელ ერთ ოჯახში ბარძიმი. ხასას კი თურმე ქალი პირადად იცნობდა საკმაოდ ახლოს. სუსანამ ქმრის მახლობლად მიიდგა სკამი. ჩამოჯდა.

— გამგზავრების წინ მინახულეთ, თუ რამე საქმეზე გარჯილხართ, ბარძიმ? — ჰკითხა სტუმარს გიგომ და პირდაპირ შეხედა, აცა რას მეტყვის, რა უნდაო.

ბანჯლის ტარზე ხელებ-დადებული ბარძიმი ელოდა ამ კითხვას. იოკიმე კი, თითქოს აქ არავინ არისო, მოურიდებლად ჩასცივებოდა თვალებით სუ-

სანას, რომელიც მის პირდაპირ სკამზე იჯდა და სავსე სხეული მოხდენილად ეჭირა.

— რა თქმა უნდა, საქმეზე გესტუმრეთ, აი ამ ყმაწვილის თაობაზე. ეკონომიური ფაკულტეტის უკანასკნელ კურსს ასრულებს ეს ჩემი სახლისკაცი, მაგრამ, მოგეხსენება, გროშად არა ღირს არავითარი ცოდნა, თუ ცხოვრებაში შეძენილი გამოცდილებით არ გაამდიდრე იგი. როგორც შარშან გთხოვე და თანახმაც გამიხდი მაშინ, აგერ ჩემი ძმა და ახლა შენ იცი. დაჰყოს შენთან რამდენიმე ხანს, ასწავლეთ ძარცვა თქვენებურად.

— მე, მე ვასწავლო ძარცვა? შენ სადღა ხარ? — გადიხარხარა გიგომ. გაიცინა ბარძიმმაც.

— ჰო, დიაღ, შენა! გასამრჯელოზე როგორც გენებოს, თითონ იცი, არაფერს დავიშურებ. მე რა ძარცვას ვასწავლი? ისეთი ძარცვა, როგორიც მე ვიცი, თავათაც ნაკლებად მარგია. ჭკუა მინდა ისწავლოს, ვაჭრობა, მრეწველობა.

გიგო წამით დაფიქრდა. წამოდგა, გაიარ-გამოიარა ოთახში. საშიშარ თუშელიშვილის მიერ მისი გონების უპირატესობის ასე აშკარად აღიარებამ სიხარულით აუვსო გული.

— შენ საიდუმლოება ასწავლე, როგორ აგროვებთ ფულს, როგორ იძენთ, ასაღებთ საქონელს, — კვლავ დაუმატა თუშელიშვილმა.

— ვაჭარმა ერთი რამ უნდა ხატივით იწამოს: პირველი—დღე მოგებით დაათაოს, მეორე—მონაგების მესამედზე მეტი არამც და არამც არ დახარჯოს, ენდოს მდიდარს და შეძლებულს, ნაღდზე ივაჭროს შეუძლოსა და ღარიბთან, არჩიოს სავაჭროდ ყველაზე უფრო საქვეყნოდ აუცილებელი საქონელი. ახლა ეგ თქვენი სახლისკაცი მიბრძანდეს ჩემს დუქანსა და საწყობებში. მე არ ვიცი მაგის ჩამამავლობისა არაფერი. არც მაგის სტუდენტობას აქვს ჩემთვის მნიშვნელობა. სასწვრიდან დაიწყებს, ეგ არის. სასყიდელი არ მინდა, ოღონდ თავისი სასმელ-საჭმელი და ხარჯი ჰქონდეს. დაუკვირდეს, დაებადოს საქმისადმი სიყვარული და ინტერესი, მერე საქმე თავის თავად მოეწყობა, თუ დაუკვირდება ცხოვრებას.

— დაჰკა ხელი! — უთხრა უეცრივ ბარძიმმა და ხელი გაუწოდა გიგოს.

— ჰა, სიტყვა მითქვამს ვაჭრისა! — დაუდასტურა გიგომ და გაბედულად დაუკრა თუშელიშვილს თავისი ხელი.

*
* *

ოკრიბელ ერასტი დვალს არაფერი ისე არ გახარებია, როგორც პატრონის გამგზავრება რუსეთში და მისი თან გაყოლება. ხილის საწყობებსა და ოჯახში მომქანცველ სამუშაოს კარგახნით მოსცილდებოდა. ელირსებოდა ნანატრ დასვენებას.

იზიდავდა ამ მგზავრობაში სხვა რამეც. ერასტიმ ოთხი წელიწადი დაჰყო ჯარისკაცად. მოიხადა სამხედრო სამსახურის ბეგარა. მკვირცხლი, ხელმარჯვე ბიჭი იყო. ამ თვისებამ იგი ერთ რუს ოფიცერთან მოახვედრა „დენშჩიკად“. ოფიცერთან ჩაიზე თუ სასმელზე თავს იყრიდნენ ტოლ-ამხანაგი ოფიცრები. ნასწავლი რუსის ეს აზნაურისშვილები ლაპარაკობდნენ თითქმის ყველა მოწინავე ევროპულ ენაზე. ამრიგად მან თითო-ოროლა სიტყვა შეისწავლა ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად. რაც შეეხება რუ-

სულს, ერასტისთვის რომ ეკითხნათ, ნამდვილი რუსივით ლაპარაკობდა თუ უკეთ არა.

გორში ამ ცოდნით იგი თავს იწონებდა ხოლმე ნოქრებსა და ქარგლებში. ახლა უხაროდა იმავე ადგილებში სამოქალაქო ტანისამოსით გავლა, სადაც იგი ჯარისკაცის ტანისამოსით იყო ნასიარულევი და ყოველ წუთს ეძინოდა ყოველი უფროსი ჩინიანი მხედრისა.

ამიტომ ერასტი გვერდიდან არა ცილდებოდა სუსანას. ქალი გულმოდგინედ აწყობდა ჩანთებში ზედა პერანგებს, ჰალსტუხებს, სხვადასხვა წვრილმანს. აფრთხილებდა ერასტის, სად და როგორ ეწყო. ერასტის კი ეს არა სჭირდებოდა. „ნადენშჩიკარმა“ სუსანაზე უკეთ იცოდა, როგორ მოეწყო და ჩაელაგებინა ბარგი-ბარხანა.

კვირას საღამოს უნდა გამგზავრებულიყვნენ.

საღამოობით ერასტი ქუჩებში გამოდიოდა, თავის რუხ ჩოხასა, აბრეშუმის წითელ ახალუხსა, ბუხრის ქუდსა და წუღა-მესტებში გამოწყობილი. უფრო ხშირად-კი აეყუდებოდა მეხაშე ქუციკო არუცაშვილის ბინის მახლობლად, რომლის გოგოს შერთვასაც ხილის საწყობის ნოქრები ურჩევდნენ და ეს იმდენად ჭკუაში მოსდიოდა ერასტის, რომ თავი შეყვარებული ეგონა, ქალიც თავისად მიაჩნდა და ქუჩაში ყველგან წინ უხვდებოდა. დალაპარაკებაც კი მოახერხა ერთხელ.

— ქალი კი არა, ანგელოზი, მზე ხარ, ჩემო ასტღიკ!

— ვისთვის ანგელოზიც ვარ, მზეც, შენთვის კი ყვავი და შუაღამე!—მიუგო ამ ქათინაურზე ახოს ჯირკივით შავმა ასტღიკმა, თან ზურგი უჩვენა რაჭველს.

ერთი საალერსო სიტყვაც არ აღირსა შეყვარებულს.

ერასტი იმედს მაინც არა ჰკარგავდა. თუ ცოცხალი ვყოფილვარ, თუ ეს ულვაში ცხენის ძუა არ არის, თუ ვაჟკაცი ვარ, მაგ გოგოს დავითრევ ან ტყუილით ან მართალით, ეკლესიაში შევათრევ, დავიწერ ჯვარს, მერე რა ღმერთი გაუწყრება, არ შემიყვაროსო.

ახლა, როცა ნიჟნი-ნოვგოროდსა, მოსკოვს, იქნებ პეტერბურგსაც კი მიჰყვებოდა პატრონს და ეს გორის ნოქარ-ქარგლობამ გაიგო, გაიგო უთუოდ ასტღიკმაც. ერასტის უნდოდა მგზავრობის წინ შეხვედროდა საყვარელ არსებას, დალაპარაკებოდა, ბელგასავით რამე სიტყვა დაეგდო და დამშვიდებული გასდგომოდა გზას.

გიგომ შუამავლობა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ გადაუდვა ერასტის. მანამდე რა ეშმაკი მომაცდევინებს, კაცი ვარ თუ კაცუნა? — ფიქრობდა ერასტი. ტყუილა გაისაჯა. ასტღიკს ვერ შეხვდა. ქალი თხუნელასავით იყო შემძვრალი თავის სახლში, ციხესავით უშიშრად გრძნობდა შიგ თავს. უკანასკნელ დღეს მიმართა მხოლოდ თავზე-ხელაღებულ ზომებს ერასტიმ. ერთ მაჭანკლობით განთქმულ ქალთან მივიდა, ჯორის ნალისოდენა ვერცხლის მანეთიანი ჩაუდო ხელში, შეეხვეწა: შეხედე შენს გამჩენს, მიყვარს და ისე ნუ გამიშვებ რუსეთში, ორი სიტყვა მაინც არ ვუთხრაო. თან დააბარა: „ასტღიკ, სად წამიხვალ, კნიაზს ხომ ვერ გაჰყვები ცოლად, სადაც იქნები, მოგძებნი, მოგიკლავ ქმარს, დაგაქვრივებ, ცრემლით აგივსებ მაგ ჩემს დამხრაკავ ჟუჟუნა თვალს“.

მუქარამ, ვერცხლის მანეთიანის ძალამ თუ წითელმა ახალუხმა ზემოქმედება იქონია.

მაჭანკალმა ერასტი დვალი თავისთან მიიხმო, ნახევრად სარდაფიან ოთახში შეიყვანა და დასტოვა იქ მარტოდ-მარტო. მაგრამ მალე ისევ დაბრუნდა მაჭანკალი, ასტღიკი შეიყვანა და მარტონი დასტოვა.

ერასტი დაამუნჯა სიხარულმა: ენა ჩაუვარდა, ვეღარც ამბობდა: ქალს და ვეღარც კარგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი წახდებოდა, რომ ისევ ქალს არ გაეტეხნა სიჩუმისა და დუმილის ბოქლომი.

— ახში მოტაცება დაგიპირებია? — ჰკითხა ასტღიკმა ერასტის და უკანუკან დაწევაში კედელს მიეხალა. გაჩერდა.

ერასტიმ პასუხი ვერ გასცა.

— უპატრონო ვინმე თუ გგონივარ... — აუწია ხმას ქალმა.

— უპატრონო რადა მგონიხარ, განა უპატრონო ერქმევა ჩემს ცოლს. რაღად მინდა თავი ცოცხალი, აი დედასა!

— უი, მეხი კი დაეყარა თავში შენისთანა ქმარსა და პატრონსა!

— მე კი მიყვარხარ და რა ვიცი! — ჩაიბურტყუნა ასე უკმეხად შეხვედრით საქციელ-მოშლილმა ერასტიმ.

— უი, უი, შენ გიყვარვარ ჩემი მზითევის პატრონი, შე კუდამდის გატყაულო ბოგანოვ!

გაბრაზდა ასტღიკ, გაბედულად გადასდგა ნაბიჯი წინ, სახე დამანჭა, შავი წარბები მშვილდებივით მოსჭიმა, აიბურძგნა ზღარბის ბუძგივით.

აბა, ერასტი, მარჯვედ იყავ, აჩვენე შენი ვაჟკაცობა,—ჩასძახა რაღაც ხმამ დვალს და მეწყერივით წამოსული ქალის წინაშე უკან არ დაიხია. მიმოიხედა. უეცრად ულვაშები გაისწორა, მკლავებში იგდო ქალი, გადაჰკოცნა, ჩაიხუტა და საძრაობა აღარ მისცა, მიყვარხარ, მიყვარხარ, აბა რა ვქნა, ღმერთი არა გწამსო, — ჩასძახოდა.

— გამიშვი, გამიშვი, დაგვინახავენ, აი შე წყეულო!

— დაგვინახონ, მაინც ჩემი ხარ! — ეუბნებოდა ერასტი, მკლავებს უფრო უჭერდა, იმორჩილებდა. მერე აიტაცა.

— გამიშვი, გამიშვი, ვიტირებ, ვიტირებ, — იმუქრებოდა ხმა მიმქრალი ასტღიკი.

— მორჩა, ჩემი ხარ. შენს თავს ღმერთიც ვეღარ გამომგლეჯს ხელიდან.

— თუ აგრეა, იქ სად ეშმაკში მიდიხარ ხაზეინთანა? — ჰკითხა ქალმა.

— იქიდან განა არ დავბრუნდები? — ეუბნებოდა ერასტი.

— უი, ჩემს დამდგარს თვალებსა! — წაიშინა თავში ხელები უკვე გვიან შემოსულმა მაჭანკალმა. — ამას რას სჩადიხართ, თქვე გასაწყვეტლებო? უი დამიდგეს თვალები!

ერასტიმ საჩქაროდ კარი გაიხურა, შინისკენ გასწია.

*
* *

გიგო მიიჩქაროდა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, რის გახსნასაც თვენახევარი ეკლდა. ეს დრო მან გადასწყვიტა გამოეყენებინა რუსეთის ვაჭრობის გასაცნობად. ყველაფერს აპატიებდა თავს იგი, ვაჭრობის საქმეში ხამად აღმოჩენას კი არა.

ნიჟნი-ნოვგოროდში ბაზრობის გახსნის გამო მოსკოვში დიდი აურზაური დაუხვდა. ვაჭრები და ფირმები, ფაბრიკები და ქარხნები საქონელსა და სა-

ვაჭრო წარმომადგენლებს ჰგზავნიდნენ იქ. მთავრობაც დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ამ ბაზრობას.

გაზეთებმა პირველ ადგილზე გამოაქვეყნეს ცნობა, რომ ბაზრობის სამეთვალყურეოდ ვაჭრობის მინისტრი გაემგზავრაო ნიჟნი-ნოვგოროდში.

გიგომაც ბევრი აღარ დააყოვნა. გაჰყვა უკან ფირმების აგენტებს. ერთი ღამე გაათენა მხოლოდ მდგმურებით გაჭედილ სასტუმროში, მერე კი ბინა დაიქირავა მდინარე ოკას პირას, ბორნის მახლობლად, ერთი რუსი ჩინოსნის სახლში.

ღამეებს ათენებდა საბირჟო ბიულეტენების კითხვაში, დღეებს-კი აღამებდა საბაზრო მოედნებზე, ნაძვის სუნიან ფარდულებთან. ეცნობოდა ფირმების წარმომადგენლებს, რომლებიც აქ იმპერიის ყოველი კუთხიდან მოგროვილიყვნენ, საჩქაროდ აშენებდნენ ფარდულებს, აწყობდნენ შიგ საქონელს და ბეჭდავდნენ პრეისკურანტებს.

გორელი ვაჭარი ჩქარა დარწმუნდა, რომ იგი სხვაზე მდიდარი მხოლოდ გორში იყო. ნიჟნი-ნოვგოროდში კი ბაზრობაზე თავმოყრილ მოსკოველ მრეწველებთან, ურალელ მელითონეებთან, ჩრდილოეთელ ბეწვეულის ვაჭრებთან, ვოლგის მხრის მეფქვილეებთან, ფაიფურის ჭურჭლის მექარხნეებთან და პეტერბურგელ მეტყავეებთან შედარებით ერთ მიუსაფარ ლატაკად მოსჩანდა.

ამის გრძნობამ და შეგნებამ გიგო ერთი ათად გაახელა და გაამწარა.

გიგოს მოწიწებით ეპყრობოდნენ. ეს კავკასიელი დაკვირვებით ათვალიერებდა ფაიფურის ჭურჭელს, ურალიდან ჩამოტანილ ბარებს, წერაქვებს, ნიჩბებს, თუჯის ქვაბებს, პეტერბურგულ ხრომს, მოსკოვურ ქსოვილებს და ინგლისიდან ჩამოტანილ საკვირველებას — ბენზინზე მომუშავე მანქანა-ავტომობილს.

გიგომ გადასწყვიტა შთაბეჭდილება მოეხდინა. ბაზრობის გახსნის წინა დღეებში ინახულა ფაიფურის დამამზადებელი ფირმა, გაეცნო, აუხსნა, რომ იგი ვაჭრობდა გორში მათი ფირმის საქონლით. გამოირჩია საქონლის ახალი მარკები და აქცეპტირებული ჩეკით ხელზედ გადაუხადა ოცი ათასი მანეთი, გამოჰგზავნა საქონელი დიდის სიჩქარით გორის სადგურზე.

ამასთანავე დასდო პირობა იმავ ფირმასთან წლიურად გაესაღებინა სამოცი ათასი მანეთის ჭურჭელი.

ფირმებს აინტერესებდათ გიგოს ზნეობრივი მხარეც. ბაზრობის გახსნის რამდენიმე დღის შემდეგ თითქმის ყველა სავაჭრო აგენტმა იცოდა, რომ თბილისის გუბერნიის გორელი ვაჭარი მეტად დინჯი და საქმიანი კომერსანტი იყო.

გიგო ბაზრობის საინტერესო კაცად გადაიქცა. ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე წარმოდგენილ ფირმებს იმედი დაებადათ, ხელში მოეგდოთ ამიერკავკასიის ბაზარი.

გიგო ბაზრობის მეთაურმა სასაუბროდ მიიწვია. ფირმების სახელით შესთავაზა ყველა იმ საქონელზე ხუთი პროცენტის დაკლება, რასაც გიგო შესასყიდად ისურვებდა, ხოლო თუ ამ გასაღებაში იგი კავკასიის სხვა ვაჭრების ჩაბმასაც იკისრებდა, ამაშიც გადაუხდიდნენ გასაღებული საქონლის ღირებულების ნახევარ პროცენტს საკომისიო გასამრჯელოდ.

— ვეცდები, დაპირებას არ გაძლევთ, ეს ახალი საქმე იქნება ჩემთვის, ნიადაგს მოვსინჯავ, — ჰპირდებოდა იგი მათ.

ოკას პირად, სადაც გიგო სცხოვრობდა, ეტლით მოულოდნელად მიბრძანდა ფირმის პატრონი, რომლისაგანაც მან ოცი ათასი მანეთის საქონელი შეიძინა და სამოცი ათასი მანეთის გასაღებაც იკისრა წლიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსმა მწარმოებელმა გიგო თავისთან სტუმრად მიიწვია.

— გახდით ჩვენი ოჯახის მეგობარი, — უთხრა მან და წაიყვანა თან ში.

მასპინძელი, ფაიფურის მწარმოებელი ეფიმოვი, სცხოვრობდა ნიჟნი-ნოვგოროდის კრემლის შიგნით, უნივერსიტეტის მახლობლად. მთელ რუსეთში იყო განთქმული ეფიმოვის ფირმა, იგი დაეარსებიათ ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს.

ეფიმოვის შვილი, პავლე პავლეს-ძე, ციმბირის ბეწვეულით მოვაჭრე კომერსანტი, ლონდონიდან ჩამოსულიყო ბაზრობაზე. როგორც ეფიმოვმა-მამამ გადასცა გიგოს, შვილს-ეფიმოვს უკვე მოესწრო ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულების ბეწვეულის დაბევება.

— სად წაიღებს ამ საქონელს? — მოუთმენლად ჰკითხა გიგომ.

— რა თქმა უნდა, ინგლისში.

ინგლისი დიდი ხანია აინტერესებდა გიგოს. მაგრამ იქ გასაზიდად მას შარტო რუისული - თურაშაული, ცხინვალური კეხურა, მერეთული ბრტყელი კალვილი, კარალეთური შაფრანი და ტყვიაური ფრანგული რენეტი მოეპოვებოდა.

ამ ხილეულს გიგო ჰგზავნიდა კიდევაც საზღვარგარეთ, ინგლისში, მცირე რაოდენობით. ამიტომაც ლაპარაკი ჩამოუგდო შვილს-ეფიმოვს, როგორ შეიძლებოდა ექსპორტის გაფართოება.

— მაგისი არა ვიცი რა. ხილთან არასოდეს საქმე არა მქონია, — მოუჭრა მან მოკლედ.

გიგო აღარ ჩააცივდა, თავის ფიქრებს მიეცა. დარბაზში შემოდიოდნენ სულ უცხო და უცხო სტუმრები, ჩასუქებული ვაჭრები და დიდი თანამდებობის პირები.

მამა-ეფიმოვი აცნობდა მათ გიგოს.

*

* *

ბაზრობა დიდის ზეიმით გაიხსნა ერთ კვირა დღეს. დილიდანვე ამ შემთხვევის გამო განუწყვეტლად გუგუნებდნენ ნიჟნი-ნოვგოროდის საყდრების და მონასტრების ზარები. ქალაქი დაგვილი და დასუფთავებული იყო. ათასფრად აჭრელებული ვიტრინები თვალს სჭრიდნენ მნახველებს.

ბაზრის გახსნას დაესწრო და საზეიმო სვლაში მონაწილეობა მიიღო მეფის ახლო ნათესავმა უფლისწულმა.

ყველა სასტუმრო, ბაკი და სახლი სავსე იყო იმპერიის სხვადასხვა ადგილიდან ბედის საძებნელად მისული საქმოსნებით.

გიგოს ყურადღებას ბაზრობაზე იქცევდა ინგლისური პავილიონი. ინგლისელებს აეგოთ ხის ხალვათი შენობა, შეეღებათ და მოერთოთ არც თუ უგემოვნოდ. გამოფენილი იყო სხვადასხვა ხარისხის რკინა და ფოლადი, მანქანა და ხელსაწყო, შეკერილი ტანსაცმელი და შუშეულობა. ეზოში მოზრდილ კალოს მაგვარად მოწყობილ მოედანზე იდგა თვითმავალი, ოთხ-ბორბლიანი მანქანა. ბორბლებზე რკინის სალტეების მაგივრად რეზინები ჰქონდა წამოცმული. შიდაწვით მუშაობდა მოტორი. მექანიკოსი დრო და დრო მანქანას

ქოქავდა, გააქანებდა, თავბრუდამხვევ სიჩქარით უვლიდა წრეს. მაყურებლები შიშით აქეთ-იქით გარბოდნენ. ამ დროს მექანიკოსი უეცრად აჩერებდა მანქანას, ძირს გადმოდიოდა, ხალხს ღიმილით ქუდს უხდიდა. ცოტა არ იყოს, ცირკის თამაშობას ჰგავდა სანახაობა.

გიგომ ინახულა ინგლისური პავილიონის სავაჭრო აგენტი. გიგომ, რომ მანქანას ავტომობილი ერქვა. დაწვრილებით გამოჰკითხა, რამდენი მანძილის გავლა შეეძლო მანქანას, რამდენ ტვირთს ეზიდებოდა, როგორი გამძლეობა ჰქონდა.

— ერთი ამისთანა მანქანა მეურმეების ყაყანსა და ქირას გადაგარჩენს, ბატონო, — უთხრა ერასტი დვალმა, მანქანით მოხიბლულმა.

გიგომ შეხედა მსახურს, გაუღიმა, თავი დაუქნია, დაუკვირდიო, — უთხრა. მერე სადღაც გაჰქრა ინგლისელი სავაჭრო აგენტითურთ. კარგა ხანს აღარ დაბრუნებულა.

მანქანასთან ერასტი დვალი დარჩა, მექანიკოსთან მივიდა, „დენწმჩიკობის“ დროს დახსომებული ინგლისური სიტყვებით მანქანაზე დაჯდომა სთხოვა. მექანიკოსმა სურვილი შეუსრულა. ერასტიმ დაიკაპიწა ჩოხა-ახალუხის კალთები, დაუჯდა მექანიკოსს გვერდით, თავი ჩაღუნა, პედალებს მიაჩერდა. მანქანამ მყრალი ბოლი გაუშვა, დაიხრიალა, შეხტა და გაქანდა.

ძირს ჩამოსვლისას მექანიკოსს გამოართვა მანქანის სურათი, გულის ჯიბეში ჩაიდო.

— ეს ჩემს ასტღიკას საჩუქრადა, — ჩაილაპარაკა კმაყოფილად.

შესყიდული და დიდი სისწრაფით გამოგზავნილი საქონელი სექტემბრის დამლევისათვის იქნებოდა გორის რკინიგზის სადგურზე. ამ ხნისათვის კალოობაც გათავებული იქნებოდა და ხილიც მოწეული. გიგოს საკმაოდ ჰყავდა გორში სანდობი ნოქრები, რომლებიც საქონელს უმისოდაც მოუვლიდნენ, გადაატრიალებდნენ, არ გააჩერებდნენ საწყობში და ფულად აქცევდნენ. ამრიგად, შინ არ მიეჩქარებოდა, ბაზრობაზე კი საქმე აღარა ჰქონდა.

ამიტომ ერთი აზრი აეკვიატა. საზღვარგარეთი არ ენახა და ბარემღა ეს დრო გამოეყენებინა ამ მიზნისათვის. ერთხელ, როცა ერასტი ჩვეულებრივად ავტომობილს უკირკიტებდა, გიგომ სიტყვა გაუგორა:

— ერთი ასეთი მანქანა რომ გაშოვნინა, რას იზამდი, ბიჭო?

— მაგას განა ეღირსება კაცი! — ღიმილით სთქვა სიხარულისაგან აღფრთოვანებულმა ერასტიმ.

— მოცემით აბა ტყვილად ვინ რას მოგვცემს, მაგრამ თუ ეცდები, მაგის შეძენა არც ისე ძნელი საქმეა! — უთხრა გიგომ და დაუმატა: — დაუკვირდი კარგად მანქანას, თუ შეთვისებას მოახერხებ, ვიყიდი, წავიღოთ გორში, ხელზე მოსამსახურეობას ეგ არ აჯობებს? ატარე და ხეირი ნახე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— მაგას ხომ სიზმარშიაც ვერ ვინატრებდი! — ჩაილაპარაკა სახე-გაბრწყინებულმა ერასტიმ და გაბედულად მივიდა ინგლისელ მექანიკოსთან. დამტვრეული სასაცილო ინგლისურით აცნობა, მანქანას ჩემი პატრონი ყიდულობსო.

ერასტი ბარტყივით ჭყლოპინებდა. ერთი კვირა ძირს აღარ გადმოსულა მანქანიდან.

გიგომ ორი მანქანა შეუკვეთა ინგლისელს. ერთი სამგზავრო, მეორე სატვირთო. გახარებულმა ინგლისელმა სამაგიეროდ შესთავაზა ფირმის ხარჯზე

ერასტი დვალი გაეგზავნა მანქანის დამამზადებელ ქარხანაში სარემონტო სამუშაოს შესასწავლად.

ასე გადასწყდა ერასტის ბედი. ხელზე მოსამსახურეობიდან თავი ამოჰყო გლაზგოს ერთ ვეებერთელა ქარხანაში ავტომობილის რემონტის და მექანიკის შესასწავლად.

ხელობის შესწავლა ზეინკლობიდან დააწყებინეს. გლაზგოელ ინგლისელ მუშებს ანცვიფრებდათ ერასტის დაკვირვება, ხელის სისწრაფე და მიხვედრილობა.

— უკვე შესჭამა მანქანა! — ამბობდნენ ინგლისელი მუშები.

მართლაც, რაღაც ორიოდე თვეში ერასტი არც ერთ მექანიკოსს არ ჩამორჩებოდა.

ოკრიბელ დვალს ოთახი დაქირავებული ჰქონდა ცამდე აყუდებულ სახლის მანსარდში. სხვა რომ არა იყოს-რა, ჩავალ სამშობლოში, სალაპარაკოდ მექნება, მეათე სართულზე მიცხოვრია-მეთქი ინგლისში, კიბეზე ასვლა სულაც არა მჭირდებოდა, ლიფტით დავრიხინობდიო.

ერასტი გარეგნულადაც გამოიცვალა. ჩოხა-ახალუხი მეორე დღესვე გაიხადა. დამეგობრებულ მუშას, ვისკით გამასპინძლების შემდეგ სთხოვა, ერთი აქაურად გამოწყობა მასწავლეო. როგორც სხვა საქმე, ხელობა და ავტომობილის მექანიკა, ჰალსტუხის გამოსკვნაც სწრაფად შეისწავლა. წვერ-ულვაში გაიპარსა. ქერა ოკრიბელმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ გიგო ჩარექაშვილმა მოსამსახურის კილოთი დალაპარაკება ვეღარ შეჰკადრა.

გიგოც არ იყო უსაქმოდ. მან მოიარა ლონდონი, დუბლინი, მანჩესტერი და პლიმუტი. მოინახულა იქ თავისი ხილეულის ექსპორტის მისამართები, მთელი კვირაობით დაბორიალებდა სიტში. აკვირდებოდა, იხსომებდა, რა საქონლით იყო დაინტერესებული დიდი ბრიტანეთი და კვლავ დაბრუნდა გლაზგოში, სადაც ბათომიდან მისული ნავთის მზიდავი გემები დგებოდნენ და ისევ ბათომში ბრუნდებოდნენ.

ავტომანქანები ადრევე გამოგზავნა საქართველოში. ახლა ერასტი დვალს გაუარა, რომ დაერწმუნებინა ბიჭი, გაჰყოლოდა ისევე სამშობლოში, რადგან ერასტი თუთიყუშივით გაიძახოდა, მუშის სამშობლო იქ არის, სადაც მას სამუშაო და პური აქვსო. როგორც მოსალოდნელი იყო, გიგომ მტკიცე უარი მიიღო.

— რა მინდა საქართველოში? აქ არა სჯობია? სანამ ხელობას არ ვისწავლი, მე იქ წამომსვლელი არა ვარ.

ეს იყო ერასტის უკანასკნელი სიტყვა. გააცილა პატრონი ნავთსადგურამდე, მოუცადა ტრაპის აკრეფას და ნაპირიდან კოხტად მოუხადა ქუდი სამუდამოდ.

რა გაეწყობა: ეს ერთი სამადლო საქმე მაინც ვქენი, ოკრიბელი ბიჭი კაცად გამოვიყვანეო, — დაიმშვიდა გული გიგომ და კაიუტაში მოეწყო.

აგვისტოს დამლევს გემმა სამხრეთის კურსი აღმოსავლეთისაკენ შეაბრუნა და ხმელთაშუა ზღვაში შეცურდა. რამდენიმე დღით მალტასთან შეჩერდა და ორი კვირის შემდეგ საქართველოს სანაპიროებს მოადგა.

*
* *

ქალბატონი სტრონგი ყველაზე უფრო მოუთმენლად მოელოდა გიგოს დაბრუნებას საზღვარგარეთის მგზავრობიდან. იმის გარდა, რომ მისი ჩამოსვლა

ბოლოს მოუღებდა დავიდარაბას რძალ-დედამთილს შორის, რაც მას ეაქმეს და სიცოცხლეს უჭირვებდა, თავის შორეულ სამშობლოს ამბავსაც მოისმენდა.

გაიგულეს თუ არა გიგო შორს რძალ-დედამთილმა, ინგლისელ ქალს უფლება დაუტოვეს მხოლოდ გაკვეთილები მიეცა ბავშვებისათვის, ეცოტავებოდა სტრონგს. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო [illegible] ზე: გორელ გიგო ჩარეჟიშვილის შვილები ქალბატონ სტრონგს ნამდვილ ინგლისელებად უნდა აღეზარდა.

ბრძოლისათვის ემზადებოდა სუსანა. კარგად იცნობდა დედამთილის ხასიათს. იგი არ დაუფიცავდა შვილს ცოლის საქციელს, რაც გორში სალაპარაკოდ გაეხადნათ და საეჭვოდ აღარ მიაჩნდათ.

სუსანამ საყვარელი გაიჩინა. როგორ, რა პირობებში მოხდა ეს, ამას მნიშვნელობა აღარა ჰქონდა. ქალს საყვარელი ჰყავდა და, მაშასადამე, დამნაშავე იყო. მერე ვინ ჰყვარობდა სუსანას?

იაკიმე თუშელიშვილი. დაუცხრომლად ამტკიცებდნენ გორელები, ეს თუშელიშვილი გიგოს ფულს გემოს შეატანსო.

გულწრფელად ახარებდა გიგოს დაბრუნება მოხუც დედას, რომლის მწარე ხვედრიც იყო, შვილისთვის დაეხვედრებინა მეტად არასასიამოვნო ცნობები ცოლზე. ყველაზე მეტად მამის დაბრუნება შვილებს ახარებდათ. მათ ეჭვიც არ ებადებოდათ დედის უდანაშაულობაში და ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ გიგომ და სუსანამ ისინი იპოვნეს ვაშლით დატვირთულ ურემზე ლიახვის პირად, შარაზე, და გორიჯვრის ბუჩქნარში.

მიუხედავად ამისა, ყველანი ერთად შეხვდნენ გიგოს სადგურზე. გადაჰკოცნეს და კმაყოფილი იყვნენ თავიანთი ბედით — წასულის მშვიდობით დაბრუნებით.

მარტო ქალბატონი სტრონგი იყო შეშფოთებული. იგი ვერას გზით ვერ ურიგდებოდა ერასტის გლაზგოში დარჩენის აზრს.

— ასე გასინჯეთ, ბინაცა აქვს, სამუშაოც, — ამბობდა ის, — მე კი, ნამდვილ ინგლისელ ქალს, გაკვეთილებზე სირბილი მჭირდება. უყურეთ ერასტის, შორს გაიწევს ის ბიჭი. ისე მწამს ეს, როგორც დილით გათენება და საღამოთი მზის ჩასვლა.

თავი II

უმიწაწყლო გლეხი შიო აგაშენაშვილი ადრევე, მამის სიცოცხლეშივე მიეკედლა დეკანოზ თომა ჩუთაშვილს. ემსახურებოდა მთელ ოჯახს შინ და გარეგ. შიომ მებაღეობაც იცოდა. ერთხელვე ერთგულებაში დანაცად მსახურს დეკანოზი შინიდან არ იცილებდა.

ერთადერთი შვილი, რომელიც შიოს გაეზარდა, ჯარში წაიყვანეს. ოთხი წელიწადი დაჰყო იქ შვილმა. დაბრუნდა, რუსი ქალი ჩამოიყვანა თან ცოლად. შიოს ქორწილის გადახდა არ დასჭირებია. შვილს ჯვარი ჯარისკაცობიდან განთავისუფლების მეორე დღეს დაეწერა პოლკის საყდარში პოლკის მღვდლით.

შიოს მოსამსახურეობაში შეგროვილი და ხანდაკში გაყიდული სახლ-კარისაგან რამდენიმე ათეული თუმანი ჰქონდა შენახული. ამ ფულით ნახევარ დესეტინა მიწას იყიდდა ურწყავში. ნათხოვნი ჰქონდა დეკანოზისთვის,

ალმოეჩინა მისთვის ეს ნახევარი დესეტინა. მაგრამ თომა აჩერებდა, აცდევინებდა, იქნებ სარწყავი მოგიხერხოო. ამ ცდასა და მოთმინებაში სვიმონი ცოლითურთ კარს მიადგა მამას.

შიომ შეუკეთა თომას, რას შვრები, აგერ შვილი ჩამომივიდა და სად დავასახლოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომამ დაუფიცავად, მიუკიბ-მოუკიბავად სტკიცა უარი. შენი შვილი სოფლის მუშად არ გამოდგება, ქალი მე რუსი მეგონა, ნამდვილად პოლონელი ყოფილა, მეც აღარაფერში წამადგებიან და საქმეს სხვა რიგად მოგიწყობო.

— მირჩიე, შენი ჭირიმე! — შეეხვეწა შიო.

— ერთი კარგი ძღვენი გაამზადე რკინიგზის თბილისის სადგურის უფროსისათვის და სხვა მე ვიცი, — უთხრა თომამ.

— ღმერთმა გიშველოს! — ქუდმოხდით ჩაილაპარაკა შიომ და ძღვნის შემზადებას შეუდგა. გაეხარდა კიდევაც თომას ნარჩევი: ბუდეც აღარ ამენგრევა ხელმეორედ, შვილიც ახლო მეყოლებაო.

ერთ ოთხშაბათს დეკანოზმა სვიმონის მაგიერ თხოვნა დასწერა, სადგურის უფროსს დაუტოვა და გააფრთხილა, შაბათს თითონ მთხოვნელები გინახულებენ საკუთარ ბინაზეო. ეს ამბავი თომამ შიოს აცნობა, თან მრავალმნიშვნელოვნად უთხრა:

— შიო, ძველი ხარ, აბა შენ იცი, ახლა ურმის წაყვანა შენზეა დამოკიდებული, წაუსვი რაც შეიძლება უხვად საპონი.

იმ დღესვე, დიდ ხუთშაბათს, ჩაირბინა შიომ ხანდაკში. ესტუმრა განაყოფ ბიძაშვილის ცოლს, გამოაცხობინა ორი თონე თავთუხის შოთი, მეორე ბიძის შვილს ამოაღებინა ერთი კოკა ჭაჭაზე დაყენებული რქა-წითელი, იყიდა სამი ყველული, ერთი ძუძუს ბატკანი, ხილეული—ფშატი, ერთი გიდელა თურაშაული და ხანდაკურა, ერთი ხელკალათა კვერცხი ენდროში შეაღებინა, ოციოდე ცალი მტკაველნახევრიანი ჭანარი ცოცხლად ჩააყრევინა მებადურებს მაღაზეზე კასრში, დაუდო ყველაფერი ტივზე და წამოვიდა თბილისში. ტივი მუშტაიდის ბაღის ბოლოს გააჩერებინა, იქ სვიმონი დაუხვდა, გადმოტვირთეს და მამა-შვილი ამ ძღვენით ერთად მივიდნენ მიხეილის პროსპექტის გვერდით ბაქოს ქუჩაზე, სადგურის უფროსის ბინაზე.

მამა-შვილს დიდხანს არ დასჭირებიათ თხოვნის პასუხის ცდა. კვირაცხოვლობას სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ შიოს შინ დახვდა ქალაქ თბილისის რკინიგზის სადგურის უფროსის ქალალდი, რომელშიაც ეწერა:

„სვიმონ შიოს-ძე აგაშენაშვილს

უფალმა კავკასიის რკინიგზების უფროსმა დააკმაყოფილა თქვენი თხოვნა, რკინიგზის ექსპლოატაციაში თქვენი მიღების შესახებ, რისთვისაც გაცნობებთ, გამოცხადდეთ ქალაქ თბილისის სადგურის უფროსთან სამსახურში დასანიშნავად“.

ამ ცნობას ქვემოთ მისდევდა ჩამოთვლა საბუთებისა, რაც სვიმონს უნდა წარედგინა გამოცხადებისთანავე. სადგურის უფროსმა სვიმონ აგაშენაშვილი ნავთლუღის სადგურში გაამწესა მეისრედ. პირობაც დაუდო, ერთი წლის შემდეგ, თუ მაღარიჩი იქნება და სამსახურში თავს გამოიჩენ, სადგურ თბილისში გადმოგიყვან, გადამბმელად დაგაწინაურებო. სვიმონი ამასაც არ მოელოდა. ამიტომ სიამოვნებით და სიხარულით გასწია ნავთლუღში ადგილზე გამოსაცხადებლად.

შიომ შეგროვილი ფული გულის ჯიბეში ჩაიდო და ოქრომჭედლების რიგებს ჩაუარა. ორ-ლიტრიანი ვერცხლის ქამარი იყიდა. შინ დაბრუნდა. სამსახურიდან დაბრუნებულ შვილსა და რძალს გაუზიარა:

— ეს ქამარი სამკვდროდ შევიძინე. დავიბადე და სიკვდილამდე ამ მზის ქვეშ ქვეყანაში. ძალლივით თუ არ გადამათრევთ, ისეც თქვენი იყოს. მე რა მინდა? ერთი ხუთადლიანი კუბო, სამი პანაშვიდი, ორმოცის წირვა და ერთი მძიმე ლოდი წარწერით: „აქ განისვენებს მონა ღვთისა შიო აგაშენაშვილი. წამკითხველო შენდობა მითხარი“.

დანარჩენი ფულით, რა კი ღა მიწა ვერ უყიდა შვილს, სხვა საშვილიშვილო საქმის გაკეთება გადასწყვიტა.

მამუკას სოფელში ცოლის ძმის მძახალი ეგულებოდა. იქ ჩავიდა შაბათ ნაშუადღევს. მოელაპარაკა, როგორ სჯობდა ამ ფულის მოხმარება და პატარა თათბირზე, ორ თუნგ მანავურ ღვინოზე, მოკეთის რჩევა მიიღო.

დაუქირავა შვილსა და რძალს ორმოცდაცხრა წლის ვადით ორ-ოთახიანი და პატარა აივან-ეზოიანი ბინა. ქირაც იქვე გადაუხადა სახლის მესაკუთრე პატრონს, პირობა ნოტარიუსთან შეჰკრეს და ისევ თომასას მიბრუნდა.

მეორე დღეს შვილი და რძალი, რომლებიც შიოსთან იყვნენ დროებით მისთვის თომასაგან საცხოვრებლად მიჩენილ ნესტიან სარდაფში, ახლად დაქირავებულ ბინაში გადაასახლა, მამუკას სოფელში, ნავთლუღის სადგურის, სამსახურის ადგილის მახლობლად.

თავისი საკუთრება — ავეჯი, თეფშები, სპილენძის ლანგარი, ქაფქირი, საშილაფლავე ქვაბი და რკინის საწოლი მათ დაულოცა, „ლინეიკით“ ჩაუტანა მამუკას სოფელში.

გაზაფხულის გიორგობას შვილთან ნაცნობ-ნათესავები მიიპატიჟა და ქეიფი გადაიხადა. ერთ დღესა და ღამეს განუწყვეტლად ასვა და ამღერა მოწვეულნი ახალსახლობის მაღარიჩად.

გამომშვიდობებისას კათოლიკე რძლის მიერ ყურეში ჩამოკიდებულ ჯვარცმასთან შვილი და ორსული რძალი ერთად დააყენა, დალოცა და გამოეცალა სამუდამოდ. ეზოში ერთხელ კიდევ გააფრთხილა შვილი და რძალი:

— ძალლივით ნუ გადამათრევთ, კუბოში ჩამდეთ, თავი წაუქციეთ ღვინით სავსე ჭიქას საფლავზე და ღმერთმა ეს ქამარიც თქვენ მოგახმაროთ.

წავიდა თომასას და მიიყრუა ყური. შვილსა და რძალს აღარც აგონებდა, რომ ცოცხალი იყო. ნოემბრის დამლევამდე ნავთლუღისაკენ აღარც კი გაუხედნია, თუმცა გული და სული მამუკას სოფელში ჰქონდა. ერთხელ სრულებით მოულოდნელად შეხვდა შვილს კუკიის ხიდის ყურში. ჩინელისაგან ფერადი ქაღალდების ყვავილებს ყიდულობდა სვიმონი.

— ვაჟი მყავს, — ახარა მამას შვილმა და იქავე უსაყვედურა: — ბალღს რად არ ნახავ?

სიხარულისაგან შიოს ბრუალა ნაჭამივით უსუსტა სხეულში. მიტრიალდა, „კონკაც“ არ გახსენებია, ფეხით გასწია მამუკას სოფელში.

მზიანი, წყნარი დღე იყო. წითელ საბან-გადაფარებული აკვანი აივანზე ქანაობდა.

მძიმე ქშენით შევიდა შინ შიო. აკვანს ხელი მოხვია, ნელად გადახადა საბნის პირი. დახედა თოთო ბავშვს. ხელები შემოიკრა თავში. მხოლოდ ახლა გაახსენდა სიხარულისაგან აღტაცებულს, რომ არც შვილისშვილისათვის

და არც რძალისათვის არაფერი საჩუქარი არ წამოეღო. ქარებიანი ფეხები კი საკმაოდ მოდუნებოდა. უჭირდა ადგილიდან დაძვრაც-კი.

— გამოვყრუვდი, გამოვყრუვდი! — წამოიძახა და ისევ ქუჩაში გავიდა.

ცოლის ძმის მძახლისას შევიდა. მიდგა-მოდგა მეზობლებში. [illegible] მერძევე აღმოაჩინა. გადაუხადა წინდაწინ ერთი თუმანი [illegible], ყოველ დღე მომავალ სექტემბრამდე ორ-ორი ბოთლი რძე მიეტანა შვილისშვილისთვის. მერე დუქნებს ჩაუარა, სამი ხელადა ღვინო და ცხრა გირვანქა ბურვაკის ხორცი გამოიძღვანა რძლისთვის მისახალისებლად. ისევ შევიდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეეხვეწა რძალს:

— შენ ოღონდ გამიზარდეი ეგა და შენი პატივისცემა ჩემზედ იყოს. რაღა ერთსა, ბარემ ორს კიდევ მომასწარი მაგისთანას.

იმ დღის შემდეგ ყოველ პარასკევს ჩადიოდა შვილისშვილთან და რძალთან. მეტეხის ძირად თერძს ოსური შალის ჩოხა შეაკერინა, ბავშვმა ცუდად არ შემხედოსო, პაპა კარგი შესახედაობის დაახსომდესო. ძველი თუშური ქუდი და ყალიონიც გამოიცვალა.

მაისსა და ივნისში მეორე ბედნიერებაც ეწია. აშკარად შეატყო რძალს ორსულობა და ბერიკაცი სულ მოლბა ბედნიერებისაგან, სახე გაუნათლდა. გამოცოცხლდა, თითქოს მეორე ახალგაზრდობაში შესდგა ფეხიო. ავადმყოფობა გაუქრა.

პარასკევ ნაშუადღევს, შვილისშვილთან წასვლის დღეს, კვიცივით ხტოდა.

*

* *

ივნისის ერთ ხვატიან დღეს შიო აგაშენაშვილი ეზოს ბაღს რწყავდა. ბაზარშიც იყო. დავარების დანავალები საქმეები ადრევე მოათავა. ჩოხა-ახალუხი გადაიცვა შვილისშვილთან წასასვლელად მამუკას სოფელში.

ჭისკართან ორი ეტლი გაჩერდა. წინა მეეტლემ კარი დააბრაჭუნა.

— ვინ ეშმაკია და რა უნდა? — ჩაიბურტყუნა შიომ.

წელის თრევით გაეგება. ჭისკარი გააღო. განცვიფრდა: ეტლებით მისულიყვნენ აგარაკიდან გამობრუნებული თომა დეკანოზი თავისი ბარგი-ბარხანით და რუსუდანით. მამა-შვილი ფერზე არ იყვნენ. ღამე ნათევი და ნამგზავრი ბევრჯერ ენახა ისინი შიოს. მაგრამ ახლა მათი უფერულობის მიზეზი დაღლა აღარ უნდა ყოფილიყო. მამა-შვილი ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. აშკარა იყო, რაღაც განსაცდელი გადახდოდათ. ამაში შიო მით უმეტეს დარწმუნდა, რომ საგარაკოდ წასულებს ბარგი-ბარხანით უკან სექტემბრამდე აღარ მოელოდა. დროებით ჩამობრუნებული შინაბერა დებიც რამდენიმე დღეში ისევ სურამს უნდა წასულიყვნენ.

აქ კი დეკანოზი შვილიანად დაბრუნდა აგარაკიდან. აგარაკის ქირა დეკანოზმა მაისშივე გადაიხადა. მაშ რა მიზეზმა ჩამოიყვანა ისინი თბილისში, რა გაუჭირდათ ამისი ფასი?

რუსუდანის დაკვირვებამ შიო მთლად დააჯერა თავის მოსაზრებაში. ქალს სახეზე ლურჯი ლაქები აჩნდა, თითქოს მუშტით არის ნაცემიო.

— ზაფხულს აქ დარჩებიან ქალები! — უთხრა დეკანოზმა შიოს და შინ შესვლის უმალ თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტა.

შიომ ჭისკარი მიხურა, მეთულუხჩეებს ბოჭკები აავსებინა, და მამუკას სოფელში წავიდა. შაბათ დილამდე იქიდან აღარ დაბრუნებულა. დეკანო-

ზი შინ არ დახვედრია. დავარები, თითქოს კაბაზე ცეცხლი უკიდიათო, აივანსა და ოთახებს კარებთან იდგნენ და მორიგეობდნენ, როგორც მეცხოვნეები.

დაწვრილებითი ცნობები, თუ რა მოხდა, შიომ ვერ გაიგო. ეტყობოდა, ქალიან ყველაფერი სცოდნოდა. რუსუდანი შვილივით უყვარდა. ცალკე შეხვედრაც ვერ მოხერხდა. დავარები ქალს ერთთავად არ სცილდებოდნენ. არც ქუჩაში უშვებდნენ, არც ეზოში. იქნებ თითონაც არ იწევდა გარეთ რუსუდანი. ლურჯები სახეზე ორი კვირის შემდეგ ძლივს გაუქრა და კანი გადასძვრა.

ერთხელ მხოლოდ რამდენიმე წუთით გადაეყარა ტვიის ბუჩქებთან. რუსუდანს რაღაც წიგნი ეჭირა ხელთ, კითხულობდა. შიოს დანახვისთანავე დახურა და გამოელაპარაკა:

— პაპა შიო, შენ მაინც არ გეცოდები?

— მაღალი ღმერთი ხედავს, გული სიბრალულით მევსება. იქნებ გჭირს რამე? — მიუგო შიომ და ყური მიუგდო.

— მჭირს და მეტიც.

— რა, შვილო, მითხარი?

— ნეტავ ვაჟკაცად დავბადებულიყავი! — ცეცხლწაკიდებულივით აენთო ქალი.

— აგერ ჩვენ ვაჟებად დავიბადეთ, მაგრამ ბევრი რამ არც ამაში ჰყრია. ქვეყანას არ ვაბრუნებთ.

— მე კი ვაჟად რომ დავბადებულიყავი, თუ ქვეყნიერებას თავდაყირა არ დავაყენებდი, ერთ ასიოდე ბოროტს მოვუღებდი ბოლოს და მერმე მეც ზედ დავაკლავდი თავსა.

სთქვა რუსუდანმა, როგორც რაღაც ამბის მოყოლის წინასიტყვაობა, და უმალვე პირი მოკუმა. შინაბერები სარეკ-გაკეთებულ ნადირებივით საცანდალოების ორივე მხრიდან გამოჩნდნენ, მისკენ გასწიეს. რადგან რუსუდანთან წასაჩხუბებელი ვერა იპოვეს-რა, ერთმანეთს აუტეხეს ალიაქოთი. კარგა ხანს იჩხავლეს და, როგორც კი რუსუდანი ჩაერია დასამშვიდებლად, ახლა მას მისდგენ, როგორც ავი ჩხიკვები უძლურ ბეღურას.

ეს კი ვეღარ მოითმინა შიომ, ჩაერია და ომახიანად დასძახა:

— რა გინდათ ე გოგოსაგან? გაუშვით, მაასვენეთ, თავი თავს თითონ მოერიოს!

— შენ ვილასი ტიკი-ტომარა ხარ? — შეუტია შიოს უმცროსმა დავარმა და თითქოს ფრჩხილებით ყანყრატო უნდა გამოჰგლიჯოსო, წინ წაუდგა.

— იქით გაიწით, თორემა! დედა მაგისი ხომ ამოჭამეთ, ახლა მაგას მისდექით, ჰა! ე გოგოს არა მოუვიდეს რა, თორემა, გაძლება აქვს შიოსა, გაგისწორდეთ თქვენა! — გაბედულად დაემუქრა შიო, თან ქალების შუაში მოქცეული ცოცხ-მომარჯვებული შეტრიალდა. მამიდები მირეკ-მორეკა...

— მოგსპობთ ჩვენი სახლიდან, მოგსპობთ! — აყვირდნენ შინაბერები, თან უკანუკან იხევდნენ.

შიომ რუსუდანს შეხედა. ის იცინოდა, ხელებს ასავსავებდა. ამან მოხუცი გაამხნევა, იფიქრა, როცა რუსუდანს უხარია რამ და ამის მიზეზი მე ვარ, არა მიშავს-რაო და ისევ შეუტია შინაბერებს:

— მომსპობთ კი არა, ამ ყურებზე ხახვი არ გადამაჭრათ! ჩემს ამაგსა ამ სახლში რა უნდა დააკლოთ, თქვე უნაყოფო ადამიანებო. ე მანდა გოგოსა,

საცაა დედაკაცს, არაფერი აუტეხოთ, თორემა თქვენ ვისი მომსპობი ხართ?— და რუსუდანისაკენ მიიწია, ჩაუჩურჩულა: — მაგრა დახვდი, შვილო, ძაგრა! ე მაგათ რომ ჭკვა ჰქონოდათ, ქმრებს იქნებოდნენ ჩაბარებული. შენა შენი ჰქმენ, — თან, სხვა რომ არა მოჰყვა რა ხელთ, წყლით სავსე ბარჩის ნარწყავი თუნუქი დაუდგა ფეხებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანმა ხელები წყალში ჩაჰყო, დაისველა, გახურებული შუბლი და კეფა გაიგრილა. მერე გიჟივით წამოიჭრა, პაპა შიოს კისერზე ჩამოეკიდა, ლოყები, შუბლი დაუკოცნა და ცრემლების ფრქვევით უთხრა:

— პაპა შიო, შენი ჭირიმე შენი, სიმართლე რომ უთხარი.

ამასობაში გააფთრებულმა დავარებმა გონება მოიკრიბეს. ძერებივით შემოუარეს შიოს და რუსუდანს. უფროსმა დავარმა შიოს ხელი უჯიკავა, ყვავილის კვალში გადააბორძიკა, უმცროსმა თუშური ქუდი მოჰგლიჯა თავიდან, ფეხქვეშ ჩაიგდო, მოთელა. ეს კი ვეღარ მოითმინა შიომ, ერთი გაიღიმეა, დაიღრიალა დაჭრილი დათვივით, უმცროს დავარს ხელი ჰკრა, ქუდი აიღო, კეფაზე მოიგდო. მერე ცოცხის ფიჭვის ტარი შუბივით დაატრიალა. შინაბერები, ძუ კატებივით, კნავილით გაიქცნენ, პალატში დაიმალნენ.

— ჰაი თქვენი რჯული და სალავათი, თქვენი! შეხედეთ, ამ დროულ კაცსა ქუდი რა დღეში ჩამიგდეს! ეშმაკები, ქაჯები!

სიცილისაგან გულშეღონებული რუსუდანი სკამზე გაიშხლართა. შიომ წამოაყენა, დასვა და მიუალერსა:

— აგრე, შვილო, აგრე. შენა ისეთი ალალი დედის შვილი ხარ, რომა... ძლიერ ეცადე, თავი არ შეაჭმევინო მაგ უნაყოფო აშლაპებსა, კუდიანებსა.

იმავე დღეს, საღამოთი, შიო, არც თუ მადლიერი თავისი გაბედულებისა, დამნაშავესავით იდგა შინაბერების წინაშე, შენდობას ითხოვდა:

— მაპატიეთ, ისევ თქვენი ოჯახის ერთგულებით მომივიდა. ღმერთი, ხატი, სალოცავი, ყველანი მომიცია თავდებად, ხმა აღარ ამოვიღოო.

ორი კვირის შემდეგ გაიგო შიომ რუსუდანის თავსგადანახედი. გაიგო, რომ ქალი ცხენმა დაამტვრია. სიკვდილს ბეწვით გადარჩა, რომ ყველაფერი გოგოსაშვილმა ატეხა და რომ მიზეზი ბარძიმ თუშელიშვილი იყო. გაიგო და ისედაც ათვალწუნებული ბარძიმი უფრო შეზიზღდა, შეჯავრდა. მუშაობდა ბაღში თუ ეფერებოდა შვილისშვილებს, ხელების შლით მთვარეულივით ბუზღუნებდა:

— შეხე, რა მოუნდომებია მაგ უწმინდურსა! მანამ არა ჭამოს-რა! უწინ ღმერთი დამეხავს, ქვესკნელს გაარბევინებს.

თანაც გულის ფრიალით მოელოდა თომას დაბრუნებას სათიხრიდან. ძმისთვის წერილი გაეგზავნათ დავარებს. შეეჩივლათ შიოს შესახებ. მას საპასუხო წერილი გამოეტანებინა. იგი. შიოს მზარეულმა გადაუკითხა, რომელიც, ეზოში წაჩხუბების შემდეგ, დავარების მესაიდუმლედ, პირველ სანდობ მსახურად შეიქნა დეკანოზის შინაურობაში.

„გადაეცით ჩემს მაგივრად მაგ ბებერ ნაგაზს,—სწერდა დეკანოზი დებს,— მიფრთხილდეს, თორემ მე მაგის ჭაღარას არად ჩავაგდებ. ისე გავუხდი საქმეს, ლუკმა პური ენატრებოდეს“.

შიოს დიდად არ შეშინებია ამ მუქარისა, რას მიზამსო, ანგარიშობდა თავისთვის. შვილი, ღვთის მადლით, დავასახლე. სამსახურიც აქვს, ბინიდან ორმოცდაცხრა წელიწადს კაკი ვერ გამომისახლებს. მე ისე როგორ წავხდები, მეეზოვის ადგილი ქალაქში ვერ ვიშოვოო. მიუხედავად ასეთი გეგ-

მებისა, წერილმა მაინც მოსწვა გული. ნუთუ ამ ოჯახზე იმდენი ბაგი ვერ გავსწიე, თომას ჩემთვის ბებერი ნაგაზი არ ეწოდებინაო, და ყველას ეინზე უფრო მეტად დაუმეგობრდა რუსუდანს. ცუხცუხით მიარბენინებდა ფოსტაში ბაღში ჩუმად გადმოყრილ წერილებს. ორჯერ დახურული კონვერტები შვილსა და რძალს აჩვენა. წერილები ეგზავნებოდნენ ელიზბარის სოფელში გიტა მეზვრიშვილს. მამამ და შვილმა საუბარი ჩამოაგდეს, რას უნდა ნიშნავდეს ეს მიწერ-მოწერაო, რაზედაც რძალმა ავტორიტეტულად განაცხადა:

— ახალგაზრდა ქალსა და ვაჟს შორის მიწერ-მოწერის საგანი სიყვარულია.

— სიყვარულია, სიყვარული! — გაიმეორა ხმამაღლა შიომ. — ღმერთმა ხელი მოუმართოს, თუმცა, ამ საქმიდან არაფერი გამოვა, დეკანოზი უმალ გაიკრიჭება, ხანამ თავის ქალს პავლიას ბიჭს მისცემს. რაა? სულელია თუ? ნამესტნიკის კანცელარიის ხალხი ეხვეწება. არა, ე მაგიდან, ჩემმა მზემ, არა გამოვა-რა.

ხანში შესული კაცი რომ არ ყოფილიყო, ბარძიმ თუშელიშვილიც კი უკეთეს საქმროდ მიაჩნდა შიოს რუსუდანისათვის, ვიდრე გიტა, პავლიას ბიჭი. ამ მოსაზრებებს შიოსთვის ხელი არ შეუშლია, ეზიდნა წერილები ფოსტაში და უკან იდუმალად. შინაბერებსაც შეურიგდა შიო. რას არ შესძლებდა მისი თავმიცემული, ერთგული სამსახურის სიამე და თაფლივით ტკბილი ენა.

ქალებს შორის ერთხანს სიწყნარე ჩამოვარდა. რუსუდანი შინ იჯდა მუდამ. ქალაქში არ გადიოდა, გარეულ არ იწევდა. სახის კანი თანდათან გაუსუფთავდა. ლურჯები უქრებოდა, თვალები დაუამდა, დაუცხრა. თითქოს გათხოვილი, დარბაისელი ქალიაო, დადინჯდა. შიო შესცქეროდა და ბრაზობდა. ღმერთს უსაყვედურებდა, რა იქნებოდა ერთი ქალი ჩემთვისაც მოგეცაო. ხანდახან ქალის სიმშვიდე აეჭვებდა. ის აგონებდა მზიან, მოკრიალებულ, წყნარ და საამო ზაფხულის დღეს ქართლში, ერთი რომ წამოუჭენებს ბრუტსაბძლიდან და ისეთ ქარიშხალს დაატრიალებს, რომ ნერგებს ძირიანად სთხრის, ხეებს ლეწავს, პურს აწვენს, ხოლო ორბებსა და კაჭკაჭებს ისე მიაფრიალებს, როგორც ქარისაგან ატაცებულ ქაღალდის ფარატინას.

შეჰყურებდა შიო ძმისწულ-მამიდებს, უცდიდა, მოელოდა ქარიშხალს.

მამიდები ასასებივით ადგნენ თავზე ქალს. ერთი ბაღში დასდევდა, მეორე შინ დაძინებამდე არ ეშვებოდა. ქარიშხალი მაინც არა სჩანდა. ბოლოს საქმე იქნამდე მივიდა, რომ მამიდებ-ძმისწული ქალაქში გავიდნენ ეტლით რაღაც სასყიდელზე. რუსუდანი ამ მგზავრობიდან უფრო მომხიარულებული დაბრუნდა. აბა, რა იცოდა შიომ, თუ რუსუდანი ამ მორჩილებით მამიდების სიფრთხილეს აძინებდა, ადუნებდა.

ქალების ქალაქში გასეირნების მეორე დღეს, საღამოთი, შიო ადრე დაწვა. აზრად ჰქონდა, დილით ადრე წამომდგარიყო, მოერწყო ბაღი, დაეგავა ეზო და ქუჩა, გაეხურებინა თონე, მოეზიდინებინა წყალი მეთულუხჩისათვის და დამშვიდებული წასულიყო შვილისშვილებთან.

როგორც მოხუცებს სჩვევიათ, ცოტაოდნად ჩაიძინა, მაგრამ რაღაც ფაჩუნზე ისევ დააჭყიტა თვალები და ზეზე წამოდგა. შემოესმა კარის ფრთხილი კაკუნი.

ჩუმად წამოდგა. ფეხაკრეფით მივიდა. გულმა უთხრა, უსათუოდ რუსუდანი არისო. კარის ურდულს გასწია. გააღო.

მთვარის ალმაცერად კარებში შემოჭრილ შუქზე რუსუდანი გამოჩნდა.

ტუჩებზე ხელების მიდებით — გაჩუმდი, არავინ გაგვიგონოს! — კარი ფრთხილად დახურა, შინ შევიდა. შიო გამშრალი იყო. აგერ ხუთიოდე წელიწადი გავიდა, რაც რუსუდანი ბავშვობის ნიშნის კანიდან ამოძვრა და აქ მასთან აღარ ჩამოსულა, აღარ მოუსმენია მისი ზღაპრები ცხოვანებზე, დევებზე, წიქარაზე, ირემზე და აღარ უღვრია ცრემლები.

— რა გაგჭირვებია, შვილო? — ჰკითხა მოხუცმა და სკამი მიუდგა ტახტის მახლობლად.

— ხმადაბლა, ბაბუა, თორემ მამიდებს გაეღვიძებათ, მომძებნიან,—უთხრა ქალმა და სკამზე ფოსტლებში ფეხებგაყრილი ჩამოჯდა. ნიკაპი აკოლიკებულ მუხლებზე ჩამოიდო, მკლავები კი წვივებზე შემოიხვია.

— ჰო, შვილო, ხმადაბლა, — ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა.

— პაპა შიო, ხომ გახსოვს, კარგად გახსოვს დედაჩემი?

— აი იმ ცის მნათობივით და ისე კარგად, როგორც, აგერა, მე და შენა!

— მითხარი, პაპა შიო, კარგი იყო დედაჩემი?

— მტრედივით უწყინარი, სათნო, მშვენიერი და ღვთისნიერი.

— მართლა?

— მართლა ის სულნათელდამდგარი.

— სიკვდილის წინ ხომ არ გინახავს?

— ნუღა მაგონებ... მინახავს. ჰაი, ჰაი, როგორი ტანჯვით მიაბარა მიქელ გაბრიელს ის უმანკო სული. ღმერთსაც იმისთანა უნდა თურმე.

— მაშ იტანჯებოდა?

— ვაჰ, იტანჯებოდა ის განათლებული.

— და მოჰკვდა იმიტომ, რომ ეს ტანჯვა თვითონ მოეხსნა ზურგიდამ და აკვანშივე ჩემთვის მოეკიდნა? — ნაღვლიანად სთქვა რუსუდანმა.

— რას ამბობ, შვილო, უფალს რად სცოდავ? — შეირყა შიო. — თავისი ულუფა ტანჯვა ყოველ ადამიანს მოჰკიდა ზურგზე უფალმა. დედა შენს აბა შენი ტანჯვა რად ენდომებოდა? ოღონდ შესძლებოდა, თორემ შენსასაც თან წაიღებდა.

— მაშ უფალმა დაუწესა აგრე ადამიანს, ყოველ ადამიანს, რომ თავისი წილი ტანჯვა თან სდევდეს?

— ეგრე, უფალმა, ყოველ კაცს, ყოველ სულდგმულს.

— მაშ ის უფალი ვედრებისა და დიდების ღირსი არა ყოფილა! — წამოიძახა რუსუდანმა ნერვიულად. წამოდგა, კარს მიაშურა.

— მოიცა, — შეაჩერა შიომ. — ეგრე ღვთის მგმობელი სად მიხვალ, ხელი როგორღა მოგემართება? პირჯვარი გამოისახე, მიაფურთხე ეშმაკსა. იმავე უფალმა ადამიანის გულს ჩაუნერგა იმედი და ხალისი. როცა ტანჯვა ძალიან დააწვება კაცს, ის გრძნობა, იმედი და ხალისი ასწევს ხოლმე გულში თავსა. ტვირთიც შემსუბუქებას იწყებს.

— გამიშვი, პაპა შიო. უბრალოდ ირჯები, ჩემს გულში იმედის ნასახი არ არის.

— დაჯექი, შვილო, ერთი გუნებიერად მოვსინჯოთ ეგ შენი გულის სიღრმეი. რა იცი, იქნება იმედი მიძინებულია ნაღვერდალში ჩაფლულ ნაკვერჩხალივით, გადავსწიოთ, ვიპოვოთ. მომისმინე, სიტყვას გეტყვი. შენ დარდს ხმელი, ხამი ტყავივით გამხმარს დავნამავ, მოვალბობ და ის დალოცვილი გრძნობა, იმედი, როგორც პურის მარცვალი მზისაგან გამთბარ ნაზამთრ ხნულში, გაბუეუნდება. პირდაპირ მითხარ, რად მოსულხარ?

— მაშ გითხრა, პაპა შიო? გეტყვი! შენ ეშმაკი ახსენე. მე, პაპა შიო, ეს ცხოვრება, რასაც შენ უყურებ, შემზიზღდა. უნდა მოვცილდე. თუ ფეთეს ვერ მივაგნებ, ეშმაკებს გადავყვები, გადავარდები, დავიწვები, გავნაცარტუტდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფუი ეშმაკს! რას ამბობ, შვილო, ეშმაკთან რა გინდა?

— თუ ეგ არა, მონაზვნობა გადამიწყვეტია. მცხეთაში მივდივარ, მივიპარები. თავი შემზიზღებია.

— მონაზვნად? არა მჯერა.

— რატომ?

— აგერ ამ წუთში ჰგმე უფალი და ამ წუთში მის მსახურად სდებ თავსა. აქ სულ სხვა სურვილებს და მიზეზებს ვხედავ ჩემი ბებერი და ნაცადი ჭკუით.

„ღმერთო, ძალა მომეცი, არ გამომტეხოს, ისე ახლოს მომიდგა, თითქოს ქოჩრით ვეჭირო", — გაიფიქრა გულში ქალმა და ხმამაღლა სთქვა:

— ვგმე და მაინც წავალ მონაზვნად. არ მეწამება, არ მეჯერება მისი დიდებისა და მაინც მას ვემსახურები.

„დროა გაათხოვონ, პატრონი ჩააგდებს ჭკუაში", — გაიფიქრა ახლა შიომ.

— ჰო, პაპა შიო, მივალ მონასტერში, აგერ გიტყდები დაუნანებლად, მივეშურები, იქ შენთვისაც ვილოცებ.

— ნუ მაგდებ, შვილო, ცეცხლში, მე შენ ვერ გაგცემ, არა და მონასტერში წასვლა, გაქცევა ახალგაზრდა ქალითვინ ცოცხლივ სამარეში ჩასვენებაა.

— მაშ აბა რას მირჩევ? შენი სიტყვის მადლს დავიჯერებ, ოღონდ მითხარი, დამანახვე, რა წყალს მივცე ეს გული და ეს უტვინო თავი? — გამწარდა რუსუდანი.

— შენი მონასტერი ქმრის ჭერია, სახარება — ბავშვი და აკვანი, ცხონება კი — ხალხსა და ერში გამოსვლა, გარევა, დატრიალება. სულზე ფიქრი, საუკუნო დუმილზე ზრუნვა კი აგერ ჩემითანა ბებრის საქმეა.

რუსუდანი მობრუნდა, ისევ დაჯდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადაიმეორა შიოს ნათქვამი.

— ქმრის ჭერი, ბავშვები, აკვანი, ერში გარევა, დატრიალება...

— ჰო, აგრე, შენი კვნესამე, აგრე, ეგ არის ის, რაც შენ დაგშვენდება და არა შავი კაბა-კუბები. ის რა ცხოვრებაა, საიქიო, სადაც წასული ბევრი გვინახავს, დაბრუნებული კი არც ერთი. თავის დროს თავისით მოვა. შენ რად უნდა გარბოდე იქით?

მცირე დუმილი ჩამოვარდა.

თითონვე მოეწონა შიოს თავისი ნათქვამი. რუსუდანი ახალგაზრდა იყო და მისი მოხიბლვა, დაჯერება შეეძლო მხოლოდ მოძრავ, ცოცხალ, ნამდვილ ლონისძიებას. საჭირო იყო ღმერთიც და ეშმაკიც ერთის ხელის მოსმით ამოშლილიყვნენ ქალის გონებიდან. ეს კი ქადაგით, დარიგებით არ გამოვიდოდა, არ მოხდებოდა.

რუსუდანი ისევ წამოდგა წასასვლელად. შიოს გონება დაძაბულად მუშაობდა. ახლა, ამ წუთს უნდა გაეკეთებია ისეთი რამ, რაც თავის თავს, კეთილ გონიერებას დაუბრუნებდა რუსუდანს.

ადამიანის სიცოცხლე თუ შემდეგი ცხოვრების სვლა, როცა იგი გზაჯვარედინზე დგას, ერთ ნაბიჯზეა დამოკიდებული. საით გადასდგამს ამ ნაბიჯს:

უფსკრულისაკენ თუ სიცოცხლისაკენ, მთისკენ თუ ველისკენ, დუნე უმოქმედობისაკენ თუ დაუნდობელად ბრძოლისაკენ?!

კაცი კაცით არისო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. თუ იმ გზაჯვარედინზე შემდგარ დაეჭვებულს გულშემატკივარი შეხვდა, მოყვარული, სამშვიდობოსკენ უზამს პირს თუნდაც განწირულს.

— რუსუდან, შვილო, — დაარღვია სიჩუმე შიომ, — მომისმინე, აგერ რამდენი ხანია სათხოვარი მაქვს.

ქალი ისევ შეჩერდა, თვალები, ყური მიაპყრო.

— ის მინდოდა მეთხოვნა, ჩემს სვიმონს ბავშვი ჰყავს მოსანათლი, მეწვიეთ შაბათ საღამოთი მამუკას სოფელში. მირონს ნუ დაგვიჭერ, გვაცხე წმინდა ზეთი. მერე, ღვთის მადლითა, რასაც შევიძლებთ, შენი მსახური ვიქნებით მამაცა და შვილიცა. გადავიხადოთ ნათლობაი, იქაც ხალხი იქნება, ქვეყანა. მართალია იგეთი განათლებული კი არა, როგორც თქვენ მოგდევთ, მაგრამ მაინც ხალხი, ჩვენი ქართველი ხალხი, ჩვენი მამაპაპის გულითა და სულით და შენს დღევანდელ საწუხარსაც ნამხიარულევ გულზე გავცეთ პასუხი. ვინ იცის, ღმერთმა მანამდე რა ჩაგვაგონოს კიდევ.

— გმადლობ, პაპა შიო, მირონს როგორ დაგიჭერ, ღმერთმა გაგიზარდოს ის ერთი და სხვა მრავალიც მოგცეს. თუ კი მამიდები გამომიშვებენ.

— ახა კიდევ მამიდები, რა უფლება აქვთ ქრისტიანს მამიდებმა მირონის ცხება დაუშალონ? ეგ არ მომხდარა! — წამოიძახა შიომ.

— მე კი მომკლეს, შემჭამეს, სული ამომიღეს.

— ჰაი ეგ ვერაგები, ეგა! შაბათამდე იქნება დეკანოზიც გაჩნდეს. მე მოვახსენებ თავიდან ბოლომდე, რასაცა ვხედავ, რაც გულს მაძევს ლოდივითა. ვინ შენა და ვინ შინაბერების ხელში ჩავარდნა, საიდან სადაო?

— მამა? ის არის, თორემ მე ეგენი რას გამიბედავდნენ. აკი იცი, ასე მყვანდნენ ხელში! — რუსუდანმა მუჭა უჩვენა, — ასე. ახლა კისერზე შემასხდნენ ორთავენი. შემსხდნენ და ლამის მიწაში ჩამფლან. პაპა შიო, მამა აღარ არის ჩემი მფარველი, მომფერებელი და მწყალობელი.

— მოიცა, შვილო, მოიცა ამ შაბათამდე. შენ ოღონდ მოდი ნათლობაში და სხვა ჩემზედ იყოს.

გადაწყვეტილად უთხრა შიომ, თან სანახევროდ მოჭუტა ცალი ქორია თვალი, ხმადაბლა ჩაიცინა.

— როგორ, რა გაცინებს?

— არაფერი. აგრე, შენ იქ მოდი, სხვა მე ვიცი, ისე გასიამოვნო, მთელ შენ სიცოცხლეში გეყოს მოსაგონად, საამოდ, სალხენად. ეშმაკიცა და მონასტერიც ორივე წყალს წაუღია! აგრე კი ნუ მიყურებ, ბავშვიც ვიყავ, ვაქკაციცა, აგერ მოხუცი ვდგევარ შენი თვალის წინ, გელი შაბათისთვის.

— გიტა ხომ არ იქნება იქ? — გაუელვა კითხვამ გონებაში რუსუდანს. „სხვა აბა რას გაამებს შიო იმისთანას?“ უთხრა რაღაც შინაგანმა ხმამ. უთხრა და ტანში შეაკრეჭილა. ნიავისაგან აკრულ ფთილასავით შეტრიალდა ქუსლებზე. თან გულმკერდი გაიკავა საკუთარი მკლავებით, კისერი მხრებში ჩაიძვრინა, შეიხმუჭნა, თითქოს ვიღამაც გოლიათის ხელები დახვია და ცხვირსახოცივით უბეში უნდა ჩაიტენოს, გააქროსო.

— ღამე ნებისა, პაპავ! — გამოესალმა, გავიდა კატის სიფრთხილით. როცა შიომ კვლავ მიიხედა სკამისაკენ, ღიად დარჩენილი კარი დაინახა მხოლოდ.

— ქოფაკი, ქოფაკი, ეგ ერთი შვილი გააჩნია და მაგასაც უმწარებს სი-

ცოცხლეს! გაუმაძღარი ღორი! აბა მაგასაც ღვთის კაცი ჰქვია, აბა მაგასაც სწამს სახარება, სჯული და სამება.

კარგა ხანს ბუტბუტებდა თავისთვის შიო, საკმაოდ მოღლილი ამ იდუმალი სტუმრობით, მამისაგან შვილის გაუტანლობით, კაეშნიანი

ბიბლიოთეკა

*
* *

„უთუოდ გიტა იქნება დაპატიჟებული ნათლობაში, — ფიქრობდა იმ ღამეს რუსუდანი, ძთვარიანში ძილგატეხილი. — რაღა თქმა უნდა, იქნება“, ირწმუნა. ასეთია ადამიანის ბუნება, ადვილად ირწმუნებს იმის ახდომას, რაც გულითა და სულით სურს.

ნათლობის დღემდე მხოლოდ ერთხელ გავიდა ქალაქში მამიდებითურთ. ადრევე შემონახული ფულით იყიდა ვერცხლის ძეწკვზე შებმული პეპლის მსგავსი ოქროს ჯვარი, რვა არშინი ღვინისფერი ხავერდი და ნახევარი თოფი მიტკალი, შეახვევინა ნოქარს თეთრ ქალალდში, შეაკვრევინა ლურჯი წკვერტით, სალაროში ფული გადაუთვალა და კარისაკენ გაემართნენ, რომ ამ დროს თაროებს შორის გამოჭრილ დაბალ კარში, სანოქროში, სიმსუქნისაგან თორმეტგოჯა ნაწლავის მძეხვივით დარგვალებული სავაჭროს პატრონი გამოგორდა. ჩაუარა ფარჩეულობით სავსე გრძელ დაზგას და რუსუდანს მიაშურა.

— თქვენ თომა დეკანოზის ქალი ხომ არა ბრძანდებით? — მიაწვდინა შორიდანვე ხმა სავაჭროს პატრონმა შეჩერებულ რუსუდანს და უკითხავად, უბოდიშოდ დაუჭირა ხელი.

— გახლავართ.

— კეთილი, ძლივს კი გიცანით, ამ ორი წლის წინად გნახეთ. როგორ გაზრდილხართ, როგორ დამშვენებულხართ! ამ შემთხვევის აღსანიშნავად აგრე იოლად ვერ გაგიშვებთ. ეს არის რკინიგზიდამ ახალი საქონელი მიმიღია, უნდა გაჩვენოთ, იქნება რამეს მოიწონებთ, მობრძანდით საწყობში.

რუსუდანმა მამიდებს გადახედა.

— მობრძანდით, ყველანი მობრძანდით, ამათაც ვიცნობ, თქვენს მამიდებსა, თქვენ მხოლოდ ამოირჩიეთ რამე. ერთი ნაჭერი მაინც ისეთია, ისეთი, აფსუს, ქალი არა ვარ!

აყბედდა სავაჭროს პატრონი, ლასტებივით გაშალა მხარ-მკლავები, ქალებს გზა გადაუღობა და ხვიხვინით შეიყვანა თაროებში გამოჭრილ კარით უკან, საწყობში. ახალი ფართლისა და ნავტალინის ნარევი სუნი იდგა საწყობში.

სავაჭროს პატრონმა ფართლეულის ნაკეცები ამოალაგა და ფართო მაგიდაზე გაშალა. ქალებიც ხარბად დაეხვივნენ, რბილავდნენ, სინათლეზე გასჩერებოდნენ.

ერთის გასინჯვას ვერ ასწრებდნენ, ვაჭარი მეორეს უშლიდა.

რუსუდანმა ბაცი ვარდისფერ-სახიანი ბატისტი გაინაპირა, გაშალა და ტანზე მიიფარა.

— მოგწონთ? — ჰკითხა ვაჭარმა.

— დიაღ, მომწონს! — დაემოწმა რუსუდანი.

— ფეშქაში, ფეშქაში, შენს გაზრდას, ოლონდაც, როგორც კოხტად ჩაცმა არ იცით, დედის სულის განათლებას, ისე შეიკერეთ და ჩაიცვით. მოხვ-

დებით თქვენს წრეში და სთქვით, რომ ფართლეულის ეს ნაჭერი ტიგრან მატიევის სავაჭრო სახლში გიყიდნიათ. ფეშქაში, დიახ, ფეშქაში.

ამ სიტყვებით ტიგრანამ ფართლეული გამოართვა, შვიდი ადლი გაზომა, გადასჭრა და რუსუდანს მიაწოდა ამ სიტყვებით: — მშვიდობამ, ბრავალის ათასის გაცვეთაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალაროსთან ერთხელ კიდევ გადაუდგა წინ ტიგრანა რუსუდანს.

— ნუ ინებებთ, ქალბატონო, ფულის გადახდას. ფეშქაშად მიირთვით. აგეთ ქალზე ჰალალია, რაც ქვეყნად ძვირფასი თვალი და ბრილიანტია.

*

* *

კვირამდის, მამუკას სოფელში გამგზავრებამდის, რუსუდანს შინიდან გასვლა აღარ უცდია. ემზადებოდა მოუსვენრად. მამიდების დაჟინებით მკერავი ქალი შინ მოსდიოდა, ლამბავდა და არღვევდა ტანსაცმელს. დღეში ათჯერ აზმანებდა.

„ის იქნება ნათლობაში“ — უტრიალებდა ქალს თავში აკვიატებული აზრი და ასჯერ იშლიდა და კვლავ იკეთებდა თმას. ათვალიერებდა ფეხსაცმელს, წინდებს, სამაჯურებს, ქინძისთავებს.

მამიდებმა არ იცოდნენ, რისთვის ემზადებოდა ძმისწული. ფიქრობდნენ კაბის კერვაში ერთობაო და კმაყოფილნი იყვნენ.

შიოსთან ღამით საუბარმა უბრალოდ არ ჩაიარა. რუსუდანმა გული მოიცა. გახალისდა. როგორც არ უნდა შეეტიათ მამიდებს, გული არ მოსდიოდა. ხანდახან აუღელვებლად პირიქით უტევდა. ერთხელ ოთახიდან გაექცა, ორივენი შიგ ჩაჰკეტა და მანამ არ გამოუშვა, სანამ ხვეწნით ლონე არ გამოულია და გადაქცევამდე არ მივიდნენ შინაბერები.

კვირას ნაშუადღევს ტანსაცმელი მზად იყო. უკანასკნელი არშია თუ ფურჩალა მიაკერა მკერავმა. ერთხელ კიდევ გადააცვა, გასინჯა, ერთხელ კიდევ შეატრიალა სარკის წინ და შეუბერა უთოს.

ტანსაცმელი თანდაყოლილივით მოადგა ტანს. ამან ქალი უფრო გაახალისა, დარბოდა ოთახიდან ოთახში, ეზოში, ემასლაათებოდა ყველას, ხალისობდა და იცინოდა ყოვლად უმიზეზოდ, ნეკის ჩვენებაზედაც-კი.

— ნეტავ რა გრევს, რა გიძევს გულში? — ჰკითხა უფროსმა მამიდამ, მიხვედრილმა, რომ ეს სამზადისი მარტო კაბის გამოცვლის სიხარული არ იყო.

რუსუდანმა ამ სიტყვებზე არც აცია, არც აცხელა, მივარდა უფროს მამიდას, ჩახვია ხელები, მიიკრა გულზე. უმარულით გაპოხილი ცივი ლოყები ათჯერ გადაუკოცნა. მეტი აღარ შემიძლიან, მომკლაო, — იძახდა მამიდა და თან თითებს ითათუნებდა სიამოვნებით თუ ტკივილისაგან შეწითლებულ ლოყებზე.

მკერავმა-ქალმა ტანსაცმელი გააუთოვა. რუსუდანმა სარკესთან მოამზადა ყველაფერი. მერე გარედ გავარდა, მსახურს დაუყვირა, გასწიე, ექვსი საათისათვის ქურანებში შებმული ეტლი მომიყვანეო. ხმაურობაზე შიო გავიდა თავის ოთახიდან მზა-მზარეული. ჩოხა-ახალუხი ეცვა. ახლად მოპარსულ თავზე გვერდელად მოქცეული თუშური, შავი, ნაბდის ქუდი ეხურა.

— სად მიდიხარ? — გამოუვარდა უფროსი მამიდა აივანზე.

— ტარიელთან! — დაუყვირა რუსუდანმა და შინ შევარდა.

მამიდა კარამდი მიჰყვა. იქ გაჩერდა და უთხრა:

— ვინ გაგიშვებს, ჩვენ ხომ არა? გამოდის, დაუმსახურებლად გვეძახი, დავარებს, ვერსადაც ვერ გაადგამ ფეხს. ამის ნებას არ მოგცემთ.

— მაგის ნებას არ მომცემთ?

— არა! — გადაწყვეტით სთქვა მამიდამ და საწოლის მარჯვენა ბოლოზე გადაკიდულ ტანსაცმელს ხელი დახვია.

— ამას ხელი უშვი! — იყვირა რუსუდანმა. მიტრიალ-მოტრიალდა, სხვა რომ ვერაფერი იპოვა, დაიღუნა, საწოლს ქვემოდან შუასამართი რკინის ჯოხი გამოიღო, მაღლა ასწია და კვლავ დაუყვირა, — ხელი მეთქი, ცოდო არ შემამთხვიო.

— წყალსაც წაულიხარ! არა ვჩივი, ეგ არის, მამაშენს ვერ გადავურჩებით, თორემ შენ თუნდაც ახლავე წაულიხარ მეწყერსა! — გამოტეხილი სიძულვილის გესლით უთხრა უფროსმა შინაბერამ და მისაშველებლად უმცროს მინაბერას დაუძახა. ისიც გაჩნდა. კარებში ჩადგა. რუსუდანმა რკინის ჯოხი საწოლზე დააგდო და ზედ თითონაც დაეშვა პირქუში.

— ვთქვათ, მართლა ტარიელთან მივდივარ, ნუთუ თქვენ აგრე მომექცეოდით?

— მაშ აბა სად მიხვალ?

— მამუკას სოფელში, ნათლობაში. პაპა შიოს შვილისშვილს ვუნათლავ, მთხოვა მირონი, მე, ქრისტიანი, ქრისტიანს მირონზე უარს ვერ ვეტყვი. თქვენ თუ ჩემს მაგივრად ეტყვით უარს, ჰადე შიო და უთხარით. ცოდოც თქვენი იყოს. აჰა სად მივალ. ახლა თუ გინდათ, ორივემ ჩაიცვით და წავიდეთ ერთად.

— მეც ძალიან გთხოვთ, ქალბატონებო. ჩემი ღონე თქვენ სამსახურში დამილევნია, ამის გულისათვის ნუ მეტყვით უარს, სხვას არას გთხოვთ, — შეეხვეწა აყალ-მაყალის დროს აივანზე შეუმჩნევლად ასული შიო.

— მერე ეგ რა დასამალავი იყო? — გაწიწმატდა უფროსი მამიდა და უბრძანა უმცროსს: — გაჰყევი, მარტოს ნუ გაუშვებ!

— ღმერთმა და იესო ქრისტემ ნათელი და სასუფეველი ნუ მოაკლოს თქვენი მშობლების სულს! — ხელებ-აპყრობით დალოცა ისინი შიომ.

ეტლში ჩასხდნენ მამიდა-ძმისწული. მათ პირდაპირ სკამზე მოეწყო თავისი მცირე შეხვეულებით შიო.

მოწმენდილი ცა იყო. თბილისის მშვენიერი, საღამოს სიოთი შეგრილებული დაისი. საფარველიან ღია ეტლს ნიავივით მიაქროლებდა წყვილი ქურანა. ნალების კვესით ჩაირბინეს დალმართი, გაჰყვნენ წყნეთის ქუჩას, გოლოვინის პროსპექტს. დაუხვიეს ალექსანდრეს ბაღის მარცხნივ და შევიდნენ მადათოვის კუნძულზე. ნოქრობა დუქნების წინ ქვაფენილზე გამოფენილიყო. მწვრის გუნდივით ირეოდა ხალხი ვიწრო ქუჩაში. ღრიალ-წკრიალი იდგა. შუაზე „კონკა“ გაჩხირულიყო. ეტლიც გაეჩხირა ურიკასა და „კონკის“ შუა.

— აბა, მწვანილი, მწვანილი! ვაჰ რა მწვანილი! ასეთ ქორფა რამეში კაცმა სპილენძის გროში დაიშუროს? — გაჰკიოდა კინტუა, აბურთავებდა ხელში ქორფა წიწმატის კონებს.

რუსუდანმა გადაიხედა. კინტუას თვალებით შეეფეთა.

— აბა, მწვანილი, მწვანილი! ვარდიც აქ არის, აბა შახედეთ!

და მართლაც ნოქრები, გამვლელნი და გამომვლელნი იხედებოდნენ ვარდისკენ, კინტუა რომ ხელს იშვერდა, იმ მხარეს. ეს ვარდი რუსუდანი იყო.

თითქოს ურიკას გვერდით გასაწევად კინტუამ ეჟვნებიან სახედარს წინ მოუარა, ავშარაში ხელი მოავლო. რუსუდანის პირდაპირ აღმოჩნდა, თვალებში დააცქერდა გაუტეხლად.

— გაგვატარეთ, — უთხრა რუსუდანმა. კინტუასაც ეს უნდოდა.

— მაშ ამისთანა ბემურაზების შვილია ეს ვარდი? არა, ჩემმა ძმეო, არა.— მერე უეცრად ავშარს გასწია, ურიკა გვერდით მიაყენა. ისევ გაიცინა: — გაიარე, მშვიდობა მოგცეთ შენც და იმასაც, ვის გასახარებლადაც მიდიხარ.

— ღმერთო, რა უტიფრები არიან! გაუჯავრდი, გაუჯავრდი, მოგვაშორე აქაურობას! — გაბრაზდა უმცროსი მამიდა.

როგორც იქნა, გაძვრა ეტლი.

— გაიხარე, ვარდო ჯან, გაიხარე! — ესმოდათ მიმავალთ ხიდამდე, სანამ მტკვრის შხუილმა ყველა სხვა ხმაური არ გაგუდა.

ავლაბრის აღმართზე ეტლი ერთხელ კიდევ გაეჩხირა და ბოლოს მშვიდობით გავიდა ავლაბარში, ხოლო იქიდან მამუკას სოფლისაკენ გასწია.

ღამდებოდა. მზე უეცრად ჩაეფარა. ცაზე გაჩნდნენ ვარსკვლავები. სვიმონ აგაშენაშვილის ორმოცდა ცხრა წლით ნაქირავებ ბინის წინ ალუბლებ ქვეშ ნათლობაზე მისული სტუმრები იდგნენ. თუთუნს აბოლებდნენ. ოთახები განათებული იყო ნავთის ლამპებით.

რუსუდანმა ადგილიდან წამოიწია, გადახედა ეზოს. ეზოს ბოლოში დაინახა მარტოდ გაჩერებული შავნაბადისკენ მომზირალი, ჟილეტში ცერებ ჩაყოფილი ქერა ყმაწვილი. ის იყო ვიტა მეზვრიშვილი. მერე შიოს გადახედა, ინატრა, ნეტავ შენ ყოფილიყავი მამა ჩემიო, ზიზღით დახედა ტანისამოსს, რისი ჩაცმაც აგრე ახარებდა და ახალისებდა მთელ კვირას.

ქურდულად შეხედა შიომ ქორია თვალის ჭუტვით სიხარულით გაფითრებულ რუსუდანს. ტუჩებიც ააცმაცუნა, თითქოს ხმამაღლა უთხრა: მე ვიცი შენი მონასტერი, აგერ შენი ბარძიმ-ფეშხუმი, სავსეა, აიღე, დასცალე და გაიხარეო.

ამ წუთში რუსუდანს არავინ ისე არ უყვარდა ქვეყანაზე, როგორც შიო. მამიდა გააფრთხილა:

— მამიდა, გეხვეწები, აქ მოსპე შენებური კირკიტი!

მამიდა უკვე გაბერილიყო, რუსუდანზე ადრე მოესწრო ქერა ყმაწვილის, ვიტა მეზვრიშვილის დანახვა და ბრაზით ტუჩებს იკვნეტდა.

რუსუდანმა პირველად პოლონელი კათოლიკე ქალი, ნათლიდედა მოიკითხა. გადაჰკოცნა. გაუხსნელად მიართვა ნათლულს საჩუქარი, როგორც იგი შეუკრეს ტიგრანა მატიევის სავაჭრო სახლში. შინაურივით ჩამოართვა ხელი სვიმონს. ასეც იყო. რუსუდანი შარვალ-წინდა ქალამანში ჩატანებულს იცნობდა. ახლა სვიმონს ეცვა კოხტად შეკერილი, მაუდის ჩაშვებული შარვალი, შტიბლეტები და ნაცრისფერი, ბრჭყვიალა, თითბრის ფოლაქებიანი კიტელი. ფოლაქებზე გარდიგარდმო, ჯვარედინად, ბარელიეფებივით მკვეთრად მოსჩანდა კვერი და ღუზა.

ნათლიმამისა და ნათლიდედის შემდეგ რუსუდანმა პატარა საწოლთან მიირბინა. გაკრიალებულ თეთრეულში გახვეული, ცეცხლისფერ ხვართქლას ყვავილივით მოკიაფე ნათლული აიყვანა. დედისებურად მარჯვენა მკლავით დაიჭირა, მკერდზე მიიხუტა, შემოტრიალდა, გაჩერდა, თვალებში ჩააცქერდა.

— ღუ... ღუ... ღუ! — ღუღუნებდა ბავშვი, თოთო, ბამბასავით რბილ თითებს ატოტინებდა, დედისკენ იწევდა.

ბედნიერებისაგან გაოგნებული შიო ოთახის ყურეში იდგა, თვალს ადევნებდა ამ სანახაობას, თითქოს შვილისშვილს გადაგდებას უპირებენო, ანაზდად ხელებს აფათურებდა დასაჭერად.

— გშვენის, შვილო, მკლავზე ბავშვი, ღმერთმა შეგასწროს და მოგცეს, რამდენსაც შენი გული გთხოვდეს, — მოუწონა ამავე სურათით ძოხიბლულმა სიმონის ძალუამ რუსუდანს. ახლოს მივიდა და ბავშვი რომ დედამ გამოართვა ხელიდან, გადაჰკოცნა. თომა მოიკითხა, მერე აწუწუნდა: — ვაი იმ სიკვდილს დაუდგეს ორივე თვალი! მოსწრებოდა უბედური დედამენი შენს დაქალებასა და ქმარშვილსა. ან იმ ღმერთს რა ჯავრი ჰქონდა იმისი? ვის რა დაუშავა, რომ შენი აგეთის ხილვა გამოსწირა, აღარ აცალა!

სვიმონის ძალუას წუწუნს ცალი ყურით უსმენდა რუსუდანი. მისი გონება გარედ, ეზოს პირად იყო, გიტას გარშემო ტრიალებდა. აქედან თავის დახსნის დრო კი არა დგებოდა. სტუმრები გააცნეს — პატიოსანი, მოსახათრებელი, ოჯახის მოყვარენი, მეგობრები. ზოგიერთებს რუსუდანი იცნობდა კიდეც. ნაცნობი იყო სვიმონის ორი ბიძა, ხანდაკელები. სხვები კი, მეისრე, გადამბმელი, შემდგენელი, კანტორის მოსამსახურე, მორიგე აგენტობის კანდიდატი, ერთი მემანქანე და მეზობელი რუსი დურგალი, ვეებერთელა ულვაშებიანი ციდა კაცი პირველად ნახა.

ბოლოს დიაკვანსაც წარუდგინეს იგი. შიოს შორებელი ნათესავი, ხშირწვერა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დიაკვანი ნათლობას ამზადებდა.

— გამოცდა ჩაბარა, მარიამობის მარხვაში მღვდლად ეკურთხება, — ჩასჩურჩულა დიაკვნის შესახებ სვიმონის ძალუამ რუსუდანს.

დიაკვანმა რუსუდანს ფთილასავით ჩამოართვა ხელი და გულმოდგინედ განაგრძო თავისი საქმე. დადგა ტაბურეტზე ემბაზი. ემბაზში ჩასასხმელი გამთბარი წყალი ხელით გასინჯა. ხან ცივს უმატებდა, ხან თბილს. ანელებდა.

მღვდელი ჯერ არ მოსულიყო. რუსუდანმა ყველას გაცნობის შემდეგ ეზოს მიაშურა.

ციდან ჩამოვარდნილი საჩუქარივით გაუკვირდა გიტას მისი დანახვა და გამოქანებული ქალი ორივე იდაყვით დაიჭირა.

რამდენიმე ნაბიჯზე მათ მახლობლად გაჩერდა უმცროსი მამიდაც. გაჩერდა და შებრუნდა. გულ-გადამჟავებული შინაბერა რაღაც ძალამ შეიპყრო და ამავე ძალამ ჩასძახა ყურში—დაეხსენ, მოსცილდი, აქ, ამათთან, შენ საჭირო არა ხარ, აქ ის ორია და ეს სრულიად საკმაოა იმ დიდი საიდუმლოებისათვის, რაც ადამიანს ბუნებამ ჩაუნერგა და სახელად სიყვარული დაარქვა.

ნელ-ნელა გაიპარა მამიდა. აივანზე შეგროვილთ შორის უხერხულად გაჩერდა. იქ კი თავისი ყურით ნათლად ესმოდა გადალაპარაკება:

— ეგ ჩვენი დეკანოზის ქალია.

— ეგა?

— ეგა კი ჩვენებურ მეზვრიშვილიანთ პავლეს ვაჟია, თავად ელიზბარის აგრანომი.

— იჰ, კინაღამ შეასკდნენ ერთმანეთსა.

— მართლა ბავშვობიდანვე მოსწონებიათ და ჰყვარებიათ ერთმანეთი? — ჰკითხა ვიღაც ქალმა სვიმონის ძალუას.

— იჰ, ქა, რა ვიცი მენა! — ჩაიბურტყუნა ძალუამ, სიხარბით ავსილმა, რომ ასეთი რამ ამბავი თუ თავგადასავალი, სახელად სიყვარული, ახალგაზრდობაში გამოეპარა. — მარტო ის ვიცი, ცოლქმრობას ეგეთი შეღერე-

ბული ქალი და ვაჟკაცი შვენის. სიყვარულისა კი არა გამეგება რა, ი ჩემმა კაცმა და მე იმ დღესა ვნახეთ ერთმანეთი, გვირგვინი რომ გვიკურთხეს.

— ნეტავი ვინ არიან ნათლიები? — იკითხა ერთმა რკინიგზელმა.

— ეგენი, ორთავენი, — უჩვენეს მას გიტასა და რუსუდანზე, რომლებიც არა ჩქარობდნენ არც მღვდლის მოსვლას, არც ნათვლას და არც [illegible].

— აგერ მღვდელიც მობრძანდა! — სთქვა ვიღაცამ.

სტუმრებმა ჭისკრისკენ მიიხედეს. რკინიგზელმა შარვლის ჯიბიდან თალგამის ოდენა საათი ამოაძვრინა, დიაკვანს მიუტანა, აჩვენა და უთხრა:

— თუ ღმერთი გწამთ, დაუჩქარეთ, თორმეტზე ცვლაში ვარ გასასვლელი.

— მე ყველაფერი მზადა მაქვს, — მიუგო დიაკვანმა.

შინ ფაცი-ფუცი ატყდა. მიმრქმელები არა სჩანდნენ. ბავშვს ჩასძინებოდა. წყალი გრილი გამოდგა. თეთრწვერა ახმახი მღვდელი ემბაზს მიუახლოვდა. შეიმოსა, თვალი გადაავლო შეკრებილთ და მიმრქმელები მოითხოვა. ხალხი წრესავით შემოეხვია გარს ილიონს. შიომ წრე გაარღვია, შეიყვანა და მღვდელს წარუდგინა გიტა და რუსუდანი.

— ნათვლა გვექნება თუ ჯვრისწერა? — იხუმრა მღვდელმა.

— ჩვენ ორივეზე თანახმანი ვართ, მხოლოდ ამაღამ აქ, ხვალ მაგათსა ვახშმად, — იხუმრა საათიანმა რკინიგზელმაც და გაიხედა მეორე ოთახისაკენ, საიდანაც შემწვარ-მოხრაკულის სუნი გამოდიოდა.

დიაკვანმა გიტას და რუსუდანს ხელები წინ გამოაშვერინა, გრძელი, სახამებლით გაქერქეშებული მიტკალი გადააფარა, დედას ბავშვი გამოართვა და ზედ დაუდო. ღუ... ღუ! — იძახდა ბავშვი. უეცრად სიცილ-ხარხარი ასტყდა. ყველამ მიმრქმელებს შეხედა. ბავშვს ფეხები აეწია. ემბაზში ჭიკჭიკით ჩადიოდა ჩაისფერი წყლის რკალი. მიმრქმელები კი გამოშტერებულნი ერთმანეთს მისჩერებოდნენ, ბავშვის გაწევა ვერ მოეხერხებიათ.

— წყალი გამოვცვალოთ, — დაიჟინა დიაკვანმა.

მღვდელი ხმას არა ცემდა, თითქოს ვერ ამჩნევსო, რა ხდება.

— მაშ არ გამოვცვალოთ წყალი? — კიდევ იკითხა დიაკვანმა.

— რადაო, წყალს გამოცვლა რად უნდა, დიდი კი არ·არის, ანგელოზია! — შეუტია მას სვიმონის ძალუამ.

მღვდელმა არც ამაზე სთქვა რამე. აშკარა იყო, დაეთანხმა სვიმონის ძალუას და ნათლობას შეუდგა.

სამჯერ შემოატარეს მიმრქმელები ბავშვითურთ ემბაზს გარშემო. გადახლართულ ხელებზე დადებული ეჭირათ ბავშვი გიტას და რუსუდანს. მხრებითაც ეხებოდნენ ერთმანეთს.

ცხრაჯერ ხმამაღლა მკაფიოდ ახსენა მღვდელმა ყრმისათვის მინიჭებული სახელი. მონას ღვთისას ამ დღიდან ეწოდა „მონა ღვთისა შიო“.

ოჯახის ახლად შეძენილი მოკეთეები, მიმრქმელები გიტა და რუსუდანი ვახშმადაც ერთად დასვეს მაგიდასთან. დაიცალა სასმისები და გამხიარულდნენ სტუმრები.

მარტო ერთი — უმცროსი შინაბერა არა მხიარულებდა. უბღვეროდა შიოს, სწყევლიდა ყრმას. ფიქრობდა განუწყვეტლივ.

— ეს რომ მოწყობილია, ამას თქმა არ უნდა. რას მეტყვის დეკანოზი? ვაი ჩემი ბრალი! — მწარედ ჩასდიოდა ყელში საჭმელი. თვალით ხვრეტდა რუსუდანს.

შემთვრალ სტუმრებს გათენება საჭარმა ამცნო. სუფრა ეზოში გაიტანეს

ახალი პურისთვის. აიშალ-დაიშალნენ. ამ არევ-დარევაში რუსუდანი გაინაპირა უმცროსმა შინაბერამ, გაინაპირა და მისდგა:

— რას იტყვის მამაშენი? აი თურმე რა ნათლობა გქონია!

— დაე გაიგოს, ისიც ვიცი, პირველს შენ არ დაგადგება ... — ... ეტყვი. აგრე ჰქენ. მე კი სიცოცხლე მინდა და ქვეყანა, — ... წინ? გამიმწარებ წუთისოფელს? ისეთს რას მიზამ, — ერთი ათად არ გადაგიხადო! მთელი ქონება ჩემს ხელში იქნება. მამაჩემს მამაპაპეული იმდენი არა ჰქონია-რა, ყველაფერი თითონ შეიძინა, მემკვიდრეც მე გახლავარ. ჩემი ნებით გავთხოვდები — ნეტავი თქვენა, თქვენი ნებით გავთხოვდები — ვაი თქვენა.

შინაბერამ ენა ჩაიგდო მუცელში. პირველად ამ ნათლობაში შენიშნა ძმისწულს ორი იმ თვისების შეერთება, რაც მას ძმისა და რძლისა სძულდა და აშინებდა. რძლისა — სილამაზე და კდემამოსილება, ძმისა — დაუნდობლობა და უჯიათობა.

— რუსუდან, — უთხრა გიტამ დაცილების წინ. — მე თქვენ სურამში მეგულოდით, სათიხარში მოგელოდით. თვალი და გული გზისკენ და კარისკენ მქონდა.

— ჰო, ვერ მომიხერხდა აგრე. მე თავისუფალი ვარ მხოლოდ სურვილების გამოხატვაში. მათ შესრულებას კი ხშირად ვერ ვახერხებ. ხედავ, ქალი ვარ! — დაღვრემით იმართლა თავი რუსუდანმა.

მამიდა ჭისკართან იდგა უკვე, ღამე-ნათევ თვალებით, კუშტად შეკრული წარბებით აჩქარებდა, წავიდეთ შინისკენო.

ეტლში მამიდის მრავალ მომაბეზრებელ კითხვებს შინამდე დუმილით უპასუხებდა. დაუსრულებლად ისვრიდა მამიდა საყვედურის ყუმბარებს. რუსუდანი კი ფიქრობდა გიტაზე, რომლისთვისაც სულით და გულით უნდოდა გაემხილა მთელი თავისი ტანჯვა, მაგრამ ვერ გაებედნა. ამაყი იყო რუსუდანი!

ზოგიერთი რამ ქალის შინაგან განცდების შესახებ და პირადი თავგადასავალი მამაკაცმა არ უნდა იცოდეს, მით უმეტეს ეს არ უნდა სცოდნოდა გიტას, კაცს, რომელსაც თავისად შესცქეროდა ქალი და თუ მისთხოვდებოდა, თუ თავის სიცოცხლეს სამუდამოდ მის სიცოცხლეს დაუკავშირებდა, მისი თავგადასავალი ქმარს არ უნდა სცოდნოდა.

და აი, რა მოჰყვა ამ გულჩახვეულობას:

დასცილდნენ ისინი ერთმანეთს უპირობოდ, სიტყვის დაუდებლად, როდის შეხვდებოდნენ კვლავ. მხოლოდ შორიდან ანიშნა რუსუდანმა, წერილები ისევ შიოს სახელზე ჰგზავნეო. წერილებში კი რუსუდანს შეეძლო მხოლოდ გრძნობებზე წერა, ფიქრებზე კი არა. ერთრიგად იგი საშიშადაც მიაჩნდა.

ეტლი სახლს მიუახლოვდა. დაკვირვებამ თავის თავზე და ნაფიქრების მკაცრად განსჯამ რუსუდანს ეჭვი ჩაუნერგა — ხომ არა ვდგევარ ყალბ გზაზედო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემილ ზოლა

წისქვილის დარბევა

I

ზაფხულის იმ მშვენიერ საღამოს მამა მერლიეს წისქვილში დიდი დღესასწაული იყო. ეზოში ერთმანეთზე მიდგმული სამი მაგიდა სტუმრებს ელოდა. მთელმა კუთხემ იცოდა, რომ იმ დღეს მამა მერლიეს ქალიშვილი ფრანსუაზი დომინიკს უნდა დაენიშნა. თუმცა სასიძოს უსაქმურის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ქალები სამი ლიეს მანძილზე გარშემო მას თვალს ვერ აშორებდნენ, ისეთი წარმოსადეგი კაცი იყო.

მამა მერლიეს წისქვილი მხიარულების ნამდვილი ბუდე იყო. წისქვილი როკრეზის სწორედ შუა ადგილას იდგა, იქ, სადაც შარაგზა უხვევს. სოფელს მხოლოდ ერთი ქუჩა სჭრიდა, რომელსაც ორივე მხარეს პატარა სახლები მიჰყვებოდნენ. მოსახვევში მდელო იყო გადაშლილი. მდინარე მორელის ნაპირს დაყოლებული უზარმაზარი ხეები ბარს დიდებული ჩრდილებით ჰფარავდნენ.

მთელ ლორენში ამაზე მომხიბლველ კუთხეს ვერ ნახავთ. მარჯვნივ და მარცხნივ ფერდობებზე ხშირი ტყეა შეფენილი. აშოლტილან მრავალწლიანი ხეები. ზღვა სიმწვანე ჰორიზონტს ავსებს. სამხრეთით კი საუცხოვო ნაყოფიერი ველი იშლება. ბოლო არ უჩანს ხერგულით დაყოფილ მის ნაკვეთებს. მაგრამ როკრეზი ამ სიმწვანის გულიდან მობიბინე სიგრილით განსაკუთრებით მომხიბლველია ივლისისა და აგვისტოს მცხუნვარე დღეებში. მორელს სათავე განიის ტყეებში აქვს და სიგრილეს იგი თითქოს ამ ტყის ფოთლებს ართმევს, რომლების ქვეშაც მრავალი ლიეს მანძილზე მოედინება. მორელი მოდუდუნებს და თან ცივი, ჩაფიქრებული ჩრდილები მოაქვს. მარტო მდინარე როდი ავრცელებს სიგრილეს: მორაკრაკე ნაკადებიც მღერიან ხეების ძირში. ყოველ ნაბიჯზე წყარო ამოჩუხჩუხებს. როცა ვიწრო ბილიკებს მიჰყვები, გრძნობ ქვენიადაგურ ტბებს, რომლებიც ხავსში გამოჟონავენ. ისინი შეუმჩნეველ ხვრელებს იყენებენ ხეების ძირში და კლდეებს შორის, რომ ანკარა წყაროდ გადმოიღვარონ. ამ ნაკადულების ჩუხჩუხი ისე მრავალხმოვანია და ძლიერი, რომ გულწითელა ჩიტების ხმაურს ჰფარავს. კაცს თავი წარმტაც ბაღში ეგონება, სადაც ჩანჩქერები ჩხრიალებენ.

ქვემოთ გაშლილ ველს წყალი შესდგომია. უზარმაზარი წაბლის ხეები შავ ჩრდილებს ჰფენენ. კორდების ნაპირს არშიად შემოვლებიან ჭადრების გრძელი ფარდები. ორი ფართო ხეივანი მინდვრებს სჭრის და ახლა ნანგრევებად ქცეულ განიის ძველ სასახლისკენ მიდის. ამ მიწაზე, რომელიც მუდმივად ირწყვება, ბალახი უზომოდ დიდი იზრდება. ეს კუთხე თითქოს ორ ბორცვს შორის მოქცეულ ბაღნარს წააგავს, მაგრამ ბუნებრივ ბაღნარს, რომლის ვე-

ლებიც გაზონებს წარმოადგენენ, ხოლო გოლიათი ხეები — უზარმაზარ ყვავილნარებს. შუადღისას, როდესაც მზე მწვავედ აცხუნებს, ჩრდილები მტრედისფერს ღებულობენ, ხოლო განათებული ბალახი მზის გულზე სთვლემს.

იქ მამა მერლიეს წისქვილის ხმაურობა გაგიქებული სიმწვანის ფონზე ამ-ხიარულებდა. ფარდახტისა და ფიცრის ნაგებობა ისევე ძველი მოსჩანდა, როგორც თვით ქვეყანა. წისქვილის შენობა ნახევრად ჩაყურყუმელავებული იყო მორელის მიერ შექმნილ გამჭვირვალე აუზში. იქ საგუბარი მოეწყოთ. იქიდან მიშვებული წყალი წისქვილის ბორბალს რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან ეცემოდა, და ბორბალიც კრუსუნით ტრიალებდა. მას ხველება აუტყდებოდა, როგორც ოჯახში დაბერებულ ერთგულ მსახურს. როდესაც მამა მერლიეს ურჩევდნენ, ბორბალი გამოცვალეო, იგი თავს გაიქნევდა და იტყოდა, ახალგაზრდა ბორბალი უფრო ზარმაცი იქნება და ასე კარგად ვეღარ იმუშავებსო. მამა მერლიე შეაკეთებდა ხოლმე ამ ძველ ბორბალს იმით, რაც ხელში მოხვდებოდა — კასრის ტკეჩებით, ჟანგიანი რკინით, თუთიათი და ტყვიით. ბალახით და ხავსით შექოჩრილი ბორბალი ამ უცნაური მორთულობით უფრო მხიარული ხდებოდა. როდესაც წყალი თავისი ვერცხლის ტალღით სცემდა, იგი მარგალიტის მარცვლებით იფარებოდა. სადაფის მანიაკების თვალისმომჭრელ სამკაულ ქვეშ მისი მორგვი მოსჩანდა.

წისქვილის ის ნაწილი, რომელიც მორელში იყო ჩამდგარი, დანგრეულ ბარბაროსულ ხიდს ჰგავდა. საცხოვრებელი შენობის მეტი ნაწილი ხიმინჯებზე იყო დაშენებული. წყალი იატაკ ქვეშ შედიოდა. აქ იყო ამ კუთხეში კარგად ცნობილი ჩაღრმავებულები, სადაც უზარმაზარ გველთევზებსა და კიბოებს იჭერდნენ. ჩანჩქერის ქვედა აუზი სარკესავით კრიალა იყო და როდესაც ბორბალი თავისი ქაფით არ ამღვრევდა, შიგ დიდი თევზები მოსჩანდნენ, რომლებიც ესკადრის სიდინჯით დაცურავდნენ. იმ ხიმინჯის მახლობლად, რომელზედაც ნავი იყო მიბმული, მდინარეში გატეხილი კიბე ეშვებოდა. ბორბალს ზემოთ ხის ტალანი იყო, სადაც უსწორ-მასწოროდ გამოჭრილი ფანჯრები გამოდიოდნენ. ეს შენობა წარმოადგენდა კუნჭულების, პატარა ტიხრების, მინაშენების, კოჭებისა და სახურავების აღრევას, რაც წისქვილს ძველი დანგრეული ციხე-სიმაგრის ელფერს აძლევდა. მაგრამ შენობას სურო მოსდებოდა და მისი პირდაღებული გვერდები დაეფარა, ძველ სახლს თითქოს მწვანე ნაბადი მოუსხამსო. აქ მოსეირნე ქალიშვილები თავიანთ ალბომებში მამა მერლიეს წისქვილს ხატავდნენ.

გზის მხარეს სახლი უფრო მკვიდრი იყო. მთავარი კარი დიდ ეზოში გადიოდა. ეზოს მარჯვნივ და მარცხნივ ფარდულები და საჯინიბოები ჰქონდა შემოვლებული. ჭის მახლობლად აღმართული უზარმაზარი თელა თავისი ჩრდილით ნახევარ ეზოს ჰფარავდა. სიღრმეში იდგა სახლი, რომლის მეორე სართულს ოთხი ფანჯარა ჰქონდა, ზემოთ კი სამტრედე იყო მოწყობილი.

მამა მერლიეს ერთადერთი კოხტაობა ის იყო, რომ ათ წელიწადში ერთხელ თავისი წისქვილის ფასადს ღებავდა. ახლად შეთეთრებული წისქვილი, როდესაც მას შუადღის მზე მიანათებდა, მთელ სოფელს თვალს სჭრიდა.

ოცი წელიწადია, რაც მამა მერლიე როკრეზის მერად არის. მას პატივს სცემდნენ სიმდიდრის გამო. ამბობდნენ, ოთხმოცი ათასი ფრანკი ექნებაო, სულ წვრილ-წვრილად დაგროვებულიო. როცა მადლენა გიარი ცოლად შეირთო, მამა მერლიეს ორი ხელის მეტი არაფერი გააჩნდა. ცოლს მზითვად წისქვილი მოჰყვა. მაგრამ მადლენა თავის ბედს არასოდეს დამდურებია,

ისეთი ფხა გამოიჩინა ქმარმა ოჯახურ საქმეებში. მამა მერლიეს ცოლი გარდაეცვალა და დაქვრივებულს ქალიშვილი ფრანსუაზი დარჩა. რასაკვირველია, მამა მერლიეს შეეძლო დაესვენებინა, წისქვილის ბორბლისთვისაც ხავსში ძილი დაენებებინა, მაგრამ ეს მეტად მოსაწყენი იქნებოდა. სახლი მკვდრად მოეჩვენებოდა. იგი მხოლოდ სიამოვნებისათვის მუშაობდა.

მამა მერლიე მაღალი მოხუცი იყო, მოგრძო, მშვიდი სახე ჰქონდა, გაუცინარი. მაგრამ ბუნებით იგი მაინც მხიარული კაცი იყო. მამა მერლიე მერად აირჩიეს სიმდიდრის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ კარგად იცოდა თავის დაჭერა, როდესაც ვინმეს აქორწინებდა.

ფრანსუაზ მერლიეს თვრამეტი წელიწადი შეუსრულდა. იგი თავისი სისუსტის გამო ამ კუთხის მშვენიერ ასულთა შორის არ იხსენიებოდა. თხუთმეტ წლამდე ფრანსუაზი უშნოც კი იყო. როკრეზში ვერ გაეგოთ, ჯანმაგარი დედ-მამის შვილი ასეთი უშნო და ასეთი საცოდავი როგორ იზრდებოდა. თხუთმეტი წლის ფრანსუაზი ჯერ კიდევ სუსტი იყო, მაგრამ მალე იგი ულამაზესი ქალი დადგა. შავი თმა, შავი თვალები და იმავე დროს ვარდისფერი სახე ჰქონდა. ტუჩები სულ უცინოდა, ლოყები ეკუჭებოდა. ნათელ შუბლზე თითქოს მზის გვირგვინი ედგა. თუმცა იმ კუთხისათვის ფრანსუაზი სუსტ არსებად ითვლებოდა, მაგრამ იგი სრულიადაც არ იყო გამხდარი. ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ფრანსუაზი ხორბლიან ტომარს ვერ ასწევსო. მაგრამ ქალიშვილი თანდათან მშვენდებოდა, ბოლოს იგი მწყერივით დარგვალებული და სანუკვარი უნდა გამხდარიყო. მამის მუდმივმა მდუმარებამ ფრანსუაზი ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაადინჯა. თუ ქალიშვილი მუდამ იცინოდა, სჩადიოდა ამას მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებისთვის ესიამოვნებინა. ბუნებით კი ძალიან დინჯი იყო.

გასაგებია, რომ მთელი ის კუთხე ფრანსუაზს ეარშიყებოდა უფრო ფულის, ვიდრე სილამაზის გამო. მაგრამ ფრანსუაზმა ისეთი ვაჟი აირჩია, რომ მთელი კუთხე აღაშფოთა. მორელის მეორე ნაპირას ერთი ახალგაზრდა ვაჟი სცხოვრობდა, რომელსაც დომინიკ პანკეს ეძახდნენ. იგი როკრეზელი არ იყო. ათი წლის წინათ ბელგიიდან ჩამოვიდა თავისი ბიძის სამკვიდროს მისაღებად. მის ბიძას პატარა მამული ჰქონდა განიის ტყის პირას, სწორედ წისქვილის პირდაპირ, თოფის რამოდენიმე გასროლის მანძილზე. როგორც ამბობდნენ, ჩამოვიდა იმისათვის, რომ მამული გაეყიდა და ისევ გაბრუნებულიყო. ეტყობოდა, ახალი მხარე მოეწონა, რადგან წასვლა აღარ უფიქრია. ამუშავებდა მიწის პატარა ნაკვეთს, მოჰყავდა ცოტაოდენი ბოსტნეული და ამით იკვებებოდა, თანაც თევზაობდა და ნადირობდა. ტყის მცველებმა რამდენჯერმე კინაღამ დაიჭირეს და ოქმი შეუყენეს. ამ თავისუფალმა არსებობამ, რაც გლეხებისათვის გაუგებარი იყო, პანკეს ცუდი სახელი გაუთქვა. ბრაკონიერადაც კი სთვლიდნენ. ყოველ შემთხვევაში პანკე ზარმაცი იყო, რადგან მას ხშირად ბალახში ჩაძინებულს ხედავდნენ მაშინ, როცა სოფლად გახურებული მუშაობა იყო. იმ ქოხსაც, სადაც ის სცხოვრობდა, ტყის პირად, ხეებს ქვეშ, სრულიად არ ეტყობოდა, რომ იგი პატიოსან ვაჟკაცს ეკუთვნოდა. დედაბრებს ისიც არ გაუკვირდებოდათ, რომ დომინიკს განიის ციხის ნანგრევების მგლებთან ჰქონოდა ურთიერთობა. ზოგჯერ ახალგაზრდა ქალიშვილები გაბედავდნენ და გამოესარჩლებოდნენ ხოლმე პანკეს, რადგან ეს საეჭვო ადამიანი საუცხოვო ვაჟკაცი იყო, ალვისხესავით მოხდენილი, მაღალი, კანთეთრა და ქერა. თმა და წვერ-ულვაში მზეზე ოქროსფრად უბრწყინავდა.

და აი ერთ მშვენიერ დილას ფრანსუაზმა მამა მერლიეს განუცხადა, დომინიკი მიყვარს და სხვას არავის მივსთხოვდებიო.

წარმოსადგენია, რა თავზარი დაეცემოდა იმ დღეს მამა მერლიეს. ჩვეულებისამებრ არაფერი უთქვამს. ჩაფიქრებული იყო, შინაგანი ბრძოლებით თვალები აღარ უბრწყინავდნენ. ერთი კვირის განმავლობაში ეჭვიანად იყვნენ. ფრანსუაზი ძალიან დადინჯდა. მამა მერლიეს ის აწუხებდა, იმ საძაგელმა ბრაკონიერმა როგორ მოახერხა ჩემი ქალიშვილის მოჯადოვებაო. არასოდეს დომინიკს წისქვილში ფეხი არ შეუდგამს. მეწისქვილემ უთვალთვალა და გაღმა ნაპირზე შენიშნა ბალახში ჩაწოლილი მიჯნური. თავი მოემძინარებინა. ფრანსუაზს მისი დანახვა თავისი ოთახიდან შეეძლო. ყველაფერი ნათელი იყო. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ წისქვილის ბორბალს ზემოთ თვალთა ნაზი გასაუბრებით.

ამასობაში რვა დღემ გაიარა. ფრანსუაზი უფრო და უფრო დინჯდებოდა. მამა მერლიე თავის მხრივ მუდამ სდუმდა. ერთ საღამოს მამა მერლიემ დომინიკი თავათ მიიყვანა სახლში. ფრანსუაზი იმ დროს სუფრას შლიდა. ქალიშვილს არ გაჰკვირებია, მხოლოდ სუფრას ჭურჭელი მიუმატა. ლოყები ისევ ჩაეკუჭა და მისი სიცილი კვლავ გაისმა. დილით მამა მერლიე დომინიკს საკუთარ ქოხში ეწვია, ტყის პირად. იქ მამაკაცებმა სამ საათს ისაუბრეს. ფანჯრები და კარები ჩაკეტილი ჰქონდათ. არავის გაუგია, რა ილაპარაკეს. ის-კი ნამდვილი იყო, რომ მამა მერლიე დომინიკს ქოხის დატოვების შემდეგ შვილივით ეპყრობოდა. ეჭვი არ არის, იმ ზარმაცში, რომელიც ბალახში გორაობდა და ქალიშვილებს თავს აყვარებდა, მოხუცმა ჰპოვა ისეთი ვაჟკაცი, როგორსაც დაეძებდა: კარგი ვაჟკაცი.

მთელი როკრეზი ალაპარაკდა. კარების წინ ჩამომსხდარი ქალები გულს ვერ იჯერებდნენ მამა მერლიეს სიგიჟეზე ლაპარაკით. ეს რა უსაქმური შეჰყავს ოჯახშიო. მეწისქვილე ამ მითქმა-მოთქმას ყურადღებას არ აქცევდა. იქნებ საკუთარ დაქორწინებას იგონებდა. მასაც არაფერი გააჩნდა, როდესაც მადლენა შეირთო და მზითვად წისქვილი მიიღო. მაგრამ ამით ხელი არ შეშლია, რომ კარგი ქმარი გამხდარიყო.

დომინიკი მუშაობას ისე თავგამოდებით შეუდგა, რომ ჭორებს უცბად ბოლო მოუღო, მთელი კუთხე გააკვირვა. სწორედ ამ დროს წისქვილის მუშას კენჭი ერგო, და დომინიკმა არ მოისურვა, რომ სხვა ვინმე დაექირავებინათ: ტომრებს ეზიდებოდა, ურიკას დაჰყვებოდა, ძველ ბორბალს ებრძოდა, როდესაც მას დასატრიალებლად ხვეწნა სჭირდებოდა. ყველაფერს ისე ბეჯითად აკეთებდა, რომ მის საცქერად სიამოვნებით მიდიოდნენ. მამა მერლიე ხშირად იცინოდა. თავი მოსწონდა, რომ ამ ბიჭში არ მოსტყუვდა. ახალგაზრდობას ისე არაფერი ამხნევებს, როგორც სიყვარული. ამ მძიმე მუშაობაში გართული ფრანსუაზი და დომინიკი ერთმანეთს აღმერთებდნენ. ისინი ლაპარაკით არ ერთობოდნენ, მაგრამ ნაზი ღიმილით ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ.

აქამდე მამა მერლიეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია დაქორწინების შესახებ, და მოხუცის ნება-სურვილის მოლოდინში ამ ლუმილს ორივე ახალგაზრდა პატივით ეპყრობოდა. ბოლოს, ერთ დღეს, ივლისის შუა რიცხვებში, მამა მერლიემ თავის ეზოში, დიდი თელის ძირში, სამი მაგიდა დაადგმევინა და საღამოსათვის თავისი როკრეზელი მეგობრები მიიპატიჟა, რომ მათთან ერთად თითო ჭიქა ღვინო გადაეკრათ. როდესაც ეზო ხალხით გაივსო, და

ყველას ხელში ჭიქა ეჭირა, შამა მერლიემ თავისი ჭიქა მაღლა ასწია და სთქვა:

— ამით მინდა გაუწყოთ ჩვენი სიხარული, გაუწყოთ, რომ ერთ თვეში, წმინდა ლუის დღეს, ფრანსუაზი აი ამ ვაჟკაცს მისთხოვდებ.

მაშინ ხმაურობით დაიწყეს ჭიქის ჭიქაზე მიკაკუნება. ყველა ადგა, მამა მერლიემ ხმა აიმაღლა და კიდევ სთქვა:

— დომინიკ, აკოცე შენს დანიშნულს. ასეთია წესი.

და სტუმრების სიცილ-ხარხარში მთლად გაწითლებულებმა ერთმანეთს აკოცეს. ნამდვილი დღესასწაული იყო. პატარა კასრი დასცალეს. მერე, როდესაც მხოლოდ მახლობელი მეგობრები დარჩნენ, მშვიდი საუბარი გააბეს.

დაღამდა. ვარსკვლავებიანი, ძალიან ნათელი ღამე იყო. დომინიკი და ფრანსუაზი, რომელნიც გვერდი-გვერდ ისხდნენ, არაფერს ამბობდნენ. ერთი მოხუცი გლეხი ლაპარაკობდა ომზე, რომელიც იმპერატორმა პრუსიას გამოუცხადა. სოფლის ყველა ვაჟი წინა დღეს გაუდგა გზას. აქ კიდევ ჯარმა გაიარა. ძალიან მაგარი შეტაკება იქნება.

— აბა! — სთქვა მამა მერლიემ ბედნიერი კაცის ეგოიზმით, — დომინიკი უცხოელია, ის არ წავა... და თუ პრუსიელები მოვლენ, ის აქ დახვდება მათ თავისი ცოლის დასაცავად.

ის აზრი, რომ პრუსიელები აქ მოსვლას შესძლებდნენ, კარგ ხუმრობად მიიღეს. ერთი ლაზათიანად მოსცხებენ მათ და ყველაფერი მალე გათავდება.

— მე ისინი უკვე ვნახე, დიაღ, უკვე ვნახე, — გაიმეორა ყრუ ხმით მოხუცმა გლეხმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ერთხელ კიდევ მიაკაკუნეს ჭიქები. ფრანსუაზსა და დომინიკს არაფერი გაუგონიათ. სკამს უკან, სხვების შეუმჩნევლად, ერთმანეთს ნაზად ხელი ხელს მოჰკიდეს და ისე საამოდ მოეჩვენათ ეს, რომ ასე დარჩნენ, სიბნელეში თვალმიპყრობილნი.

რა თბილი და საუცხოო ღამე იყო! თეთრი გზის ორივე მხარეს ბავშვური სიმშვიდით იძინებდა სოფელი. მხოლოდ აქა-იქ ნაადრევად გაღვიძებული მამლების ყივილი ისმოდა. დიდი ტყეებიდან ხანდახან წყნარი ნიავი გამოიქროლებდა და სახურავებს გადაევლებოდა, თითქოს ეალერსებაო. შავი ჩრდილებით მოფენილმა ველებმა იდუმალი და თავშეკავებული სიდიადე მიიღეს. ამ დროს სიბნელეში მორაკრაკე წყაროები და ნაკადულები ადამიანს ჩაძინებული სოფლის ანკარა და რიტმულ სუნთქვად ეჩვენებოდა. დროგამოშვებით წისქვილის ძველი, ძილმორეული ბორბალი, თითქოს სიზმარს ხედავსო, ძილში მყეფარე ნაგაზივით მორელის ჩანჩქერით დარწეული ჭრიჭინებდა, თავის თავს ესაუბრებოდა. წყლის ზედაპირი ბორბლის ხმაურს ორღანის ხმის მუსიკალობასა და გაბმულობას აძლევდა. ქვეყნის ამ უბედნიერეს კუთხეს არასოდეს ამაზე უდიდესი სიმშვიდე არ მოჰფენია.

II

ერთი თვის შემდეგ, სწორედ წმინდა ლუის წინა დღეს, როკრეზი დიდ მღელვარებას მოეცვა. პრუსიელებმა იმპერატორის ჯარი გაანადგურეს და სწრაფად მიიწევდნენ სოფლისაკენ. ერთი კვირაა, რაც გზაზე გამვლელებს პრუსიელების ამბავი მოაქვთ: ისინი ლორმიერში არიან, ისინი ნოველში

არიანო. როდესაც როკრეზელებმა გაიგეს, რომ პრუსიელები მათკენ მიისწრაფოდნენ, ყოველ დილას განიის ტყეებიდან შესევა ელანდებოდათ. ისინიკი ჯერ არსად სჩანდნენ. ეს უფრო მეტ შიშს იწვევდა. სოფელს, ალბათ, ღამით დაეცემოდნენ და ყველას ამოსწყვეტდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა ღამეს, განთიადის წინ, განგაში ატყდა, მცხოვრებლები გზაზე ატეხილმა დიდმა ხმაურობამ გააღვიძა. როდესაც ფრთხილად ფანჯრებიდან გაიხედეს და წითელი შარვლები იცნეს, ქალები მუხლებზე დაეცნენ და პირჯვრის წერას შეუდგნენ. ეს ფრანგთა რაზმი იყო. კაპიტანმა მაშინვე ამ კუთხის მერი მოიკითხა და მამა მერლიესთან მოლაპარაკების შემდეგ წისქვილში დარჩა.

იმ დღეს მზე მხიარულად ამოვიდა. შუადღისას სიცხემ დააჭირა. ტყეებს ზემოთ მოყვითალო სინათლე დასცურავდა, ხოლო ბარში ველებს თეთრი ორთქლი ასდიოდათ. სოფელი, გაკრიალებული და მხიარული, სიგრილეში ოღვიძებდა. და ეს მიდამო თავისი მდინარითა და წყაროებით დანამულ თაიგულსა ჰგავდა. მაგრამ მშვენიერი დღე მხიარულებას აღარ იწვევდა. ხედავდნენ, კაპიტანი რომ წისქვილს უტრიალებდა, მახლობელ სახლებს ათვალიერებდა, მორელის გალმა გადადიოდა და იქიდან დურბინდით ამ მხარეს სწავლობდა. მამა მერლიე, რომელიც მას დაჰყვებოდა, ეტყობოდა, ახსნა-განმარტებას აძლევდა. მერე კაპიტანმა ჯარისკაცები კედლების, ხეების უკან, ორმოებში მოათავსა. რაზმის მთავარი ნაწილი წისქვილის ეზოში დაბანაკდა. ნუთუ ბრძოლა გაიმართება? როდესაც მამა მერლიე დაბრუნდა, შეეკითხნენ. მანაც თავის ნელი დაქნევით, უსიტყვოდ დაუდასტურა, დიაღ, ბრძოლა გაიმართებაო.

იქვე, ეზოში, იყვნენ ფრანსუაზი და დომინიკი. მამას შესცქეროდნენ. ბოლოს მან პირიდან ჩიბუხი გამოიღო და უბრალოდ სთქვა:

— ეჰ, ჩემო პატარებო, ხვალ ველარ დაგაქორწინებთ.

პირმოკუმული. სიბრაზისაგან შუბლშეჭმუხვნილი დომინიკი დროგამოშვებით მაღლა აიწეოდა და თვალს განიის ტყეებს მიაპყრობდა, თითქოს პრუსიელების დანახვა სურსო. გაფითრებული, დადინჯებული ფრანსუაზი მიდიმოდიოდა, ჯარისკაცებს აწვდიდა ყველაფერს, რასაც საჭიროებდნენ. ისინი ეზოს ერთ კუთხეში საჭმელს ამზადებდნენ და მის მოლოდინში თავს იქცევდნენ.

კაპიტანი აღტაცებული იყო. მან დაათვალიერა წისქვილი, მდინარის მხარეს მდებარე ყველა ოთახი და დიდი დარბაზი. ახლა ჭასთან იჯდა და მამა მერლიეს ესაუბრებოდა.

— თქვენ აქ ნამდვილი სიმაგრე გაქვთ, — სთქვა მან, — საღამომდე ადვილად გავუმაგრდებით... ყაჩაღები იგვიანებენ. უკვე აქ უნდა ყოფილიყვნენ.

მეწისქვილე დაღვრემილი იყო. მას უკვე ეჩვენებოდა ჩირაღდანივით ცეცხლმოდებული თავისი წისქვილი. მაგრამ არა სჩიოდა, რადგან ეს ამაოდ მიაჩნდა. პირი მხოლოდ ამის სათქმელად გააღო:

— ნავი ბორბლის უკან უნდა დაგემალათ. იქ ღრუა, სადაც იგი მოთავსდება... შეიძლება კვლავაც გამოგვადგეს.

კაპიტანმა ბრძანება გასცა. იგი საუცხოო ვაჟკაცი იყო, მაღალი, ორმოცდაოდე წლისა, სასიამოვნო სახე ჰქონდა. ფრანსუაზის და დომინიკის ნახვა, როგორც ეტყობოდა, ახარებდა. მათ ყურადღებას აქცევდა, თითქოს მოსალოდნელი ბრძოლა დაავიწყდაო. ფრანსუაზს თვალს გააყოლებდა. მისი სახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომეტყველება ცხადჰყოფდა, რომ ქალიშვილი მოსწონდა. ერთხელ დომინიკს მიუბრუნდა და უეცრად ჰკითხა:

— რატომ ჯარში არა ხართ, ჩემო ვაჟკაცო?

— უცხოელი ვარ, — უპასუხა ახალგაზრდამ.

კაპიტანს ეს პასუხი მაინცდამაინც არ მოეწონა. თვალი ჩაუკრა და გაუღიმა. ფრანსუაზთან ყოფნა უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ზარბაზანთან. დომინიკმა მისი ღიმილი რომ შენიშნა, დაუმატა:

— მე უცხოელი ვარ, მაგრამ ტყვიას ხუთასი მეტრის მანძილიდან ვახვედრებ ვაშლს. აგერ ჩემი სანადირო თოფი თქვენს უკან არის.

— შეიძლება გამოგადგეთ, — უბრალოდ უთხრა კაპიტანმა.

მათ ფრანსუაზი მიუახლოვდა. იგი ოდნავ თრთოდა. დანიშნულს ხელები გაუწოდა, თითქოს ეუბნებოდა, შენი მფარველობის იმედი მაქვსო. დომინიკი თავის გარშემო მყოფთ არ მორიდებია, გამოწვდილ ხელებს ხელები მაგრად ჩასჭიდა. კაპიტანმა კვლავ გაიღიმა. მაგრამ ხმა არ ამოუღია. იჯდა, მუხლებს შუა ხმალი ჩაედო და სივრცეს გასცქეროდა, თითქოს ოცნებობსო.

უკვე ათი საათი იყო. ძალზე ჩამოცხა. ჯარისკაცები ეზოში მოეწყვნენ, ფარდულების ჩრდილში, წვენის საჭმელად. სოფელში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მცხოვრებლებმა თავიანთი სახლების კარები და ფანჯრები ჩახერგეს. გზაზე მარტოდ დარჩენილი ძაღლი ყმუოდა. სიცხით მოდუნებულ ტყეებიდან და ველებიდან შორეული, გაბმული ხმა მოდიოდა, რასაც ოდნავ შესამჩნევი ნიავის ქროლვა იწვევდა. გუგული გუგუს იძახოდა. მერე სიჩუმე უფრო გაღრმავდა.

და მიძინებულ ჰაერში უეცრად თოფის სროლა გაისმა. კაპიტანი სწრაფად წამოიჭრა, ჯარისკაცებმა ჭამა მიატოვეს. რამდენსამე წამში ყველამ თავისი საბრძოლო ადგილი დაიჭირა. თავიდან ბოლომდე წისქვილი დაკავებული იყო. გზაზე გასულმა კაპიტანმა ვერაფერი დაინახა. მარჯვნივ და მარცხნივ ცარიელი და თეთრი გზა იშლებოდა. მეორედ გაისმა სროლის ხმა და კვლავ არაფერი, ოდნავი ჩრდილიც არ გამოჩენილა. მაგრამ განიის მხარეს რომ მიბრუნდა, მეთაურმა ორ ხეს შუა მსუბუქი ბოლი შენიშნა. ტყე ისევ დაბურული და მშვიდი იყო.

— საძაგლებმა თავი ტყეს შეაფარეს, — ჩაიჩურჩულა მან, — იციან, რომ აქა ვართ.

წისქვილის გარშემო მოთავსებულ ფრანგ ჯარისკაცებსა და ხეებს მოფარებულ პრუსიელებს შორის სროლა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ტყვიები მორელს წივილით გადაუვლიდნენ, მაგრამ მსხვერპლი არც ერთი მხრიდან არ იყო. არეულ-დარეულად ისროდნენ, ისროდნენ ყოველი ბუჩქიდან. მხოლოდ ქარისაგან მსუბუქად დარხეული ბოლის პატარა ნაფლეთები მოსჩანდნენ.

ორ საათს გაგრძელდა სროლა. ოფიცერი გულგრილად ღიღინებდა. ეზოში დარჩენილი ფრანსუაზი და დომინიკი ზევით აიწეოდნენ და დაბალი კედლიდან გადაიხედავდნენ. ისინი განსაკუთრებით ადევნებდნენ თვალს მორელის ნაპირთან ძველ ნავს მოფარებულ პატარა ჯარისკაცს; იგი, პირდაღმა გაწოლილი, გაიხედავდა და თოფს გაისროდა, მერე ცოტა უკან დაიხევდა და თხრილში ჩასრიალდებოდა თოფის დასატენად. მისი მოძრაობა იმდენად სასაცილო, მოხერხებული და მოხდენილი იყო, რომ მაცქერალი ღიმილისაგან თავს ვერ შეიკავებდა. მან, ალბათ, პრუსიელის თავი შენიშნა, რადგან წამო-

დგა და თოფი დაუმიზნა, მაგრამ სანამ გაისროდა, ყვირილი აღმოხდა, დაკოტრიალდა და თხრილში ჩაცურდა, სადაც ერთ წამს დაკლული ქათმივით ფართხალებდა. პატარა ჯარისკაცს ტყვია შიგ მკერდში მოხვდა. იგი პირველი მოკლული იყო. ანგარიშმიუცემლად ფრანსუაზმა დომინიკს ხელი ხელზე სტაცა და ნერვიულად მოუჭირა.

— აქ ნუ დგეხართ, — სთქვა კაპიტანმა, — ტყვიები აქამდე აღწევენ.

მართლაც, ძველ თელაზე ხმელი ტკაცანი გაისმა და ქანაობით ჩამოვარდა ტოტის ნატეხი. მაგრამ საშინელი სანახაობით ერთ ადგილას დალურსმულ ორ ახალგაზრდას ფეხი არ მოუცვლია. ტყიდან ანაზდად ხეს მოფარებული პრუსიელი გამოვიდა, ხელები დაიქნია და პირაღმა დაეცა. ყველაფერი მიწყნარდა. ამ ორ მოკლულს თითქოს მზეზე ეძინა. დამძიმებულ ველზე კვლავ არავინ სჩანდა. სროლის ტკაცანიც შესწყდა. მხოლოდ მორელის დაუსრულებელი დუდუნი ისმოდა.

მამა მერლიემ კაპიტანს გაკვირვებული სახით შეხედა, თითქოს კითხვა უნდოდა, ყველაფერი გათავდაო.

— ბაოქი იქნება, — ჩაიჩურჩულა კაპიტანმა. — თავს გაუფრთხილდით, მანდ ნუ დგეხართ!

სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ საშინელი სროლის ხმა გაისმა. დიდი თელა თითქოს მოსცელესო. ჰაერში ფოთლები მიმოიფანტნენ. პრუსიელებმა საბედნიეროდ ძალიან მაღლა ისროლეს. დომინიკმა თითქმის ხელში აიტაცა ფრანსუაზი, მამა მერლიე მათ უკან მისდევდა და ყვიროდა:

— პატარა სარდაფში ჩადით, მაგარი კედლები აქვს.

მაგრამ ახალგაზრდებმა არ დაუჯერეს, დიდ დარბაზში შევიდნენ, სადაც თორმეტიოდე ჯარისკაცი იყო ჩუმად, მოლოდინში. ჩაკეტილი დარაბების ჭუჭრუტანებიდან იცქირებოდნენ. კაპიტანი ეზოში მარტო დარჩა, პატარა კედელს მოფარებული. სროლა კი გრძელდებოდა. გარეთ ჩასაფრებული ფრანგი ჯარისკაცები ყოველ მტკაველ მიწას თავდადებულად იცავდნენ, მაგრამ როდესაც პრუსიელებმა საფარიდან ფრანგების აყრა შესძლეს, ისინი ხოხვით ეზოში შევიდნენ. ფრანგებს ევალებოდათ დრო მოეგოთ, არ გამოჩენილიყვნენ, რათა პრუსიელებს არ გაეგოთ, წინ რა ძალა დაუხვდათ. ერთი საათი კიდევ გავიდა. როდესაც სერჟანტი მივიდა და სთქვა, გარეთ მხოლოდ ორი თუ სამი ჯარისკაცი დარჩაო, ოფიცერმა საათი ამოიღო და ჩაილაპარაკა:

— სამის ნახევარია... ოთხი საათი კიდევ უნდა გავუძაგრდეთ.

ალაყაფის კარები ჩააკეტინა და ყველაფერი მოამზადა შეუპოვარი წინააღმდეგობის გასაწევად. რადგან პრუსიელები მორელის გალმა იყვნენ, უეცარი იერიშის საფრთხე არ მოელოდათ. ორი კილომეტრის მანძილზე ხიდი იყო, მაგრამ მისი არსებობის შესახებ პრუსიელებმა, რასაკვირველია, არაფერი იცოდნენ. საეჭვო იყო, რომ ისინი ფონით მდინარის გადასვლას ცდილიყვნენ. ოფიცერი დაკმაყოფილდა იმით, რომ გზისთვის ეთვალთვალა. მთელი ძალა მინდვრებისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული.

სროლა ისევ შესწყდა. ცხრათვალა მზის ქვეშ წისქვილი თითქოს ჩამკვდარიყო. არც ერთი დარაბა ღია არ იყო. გარეთ არავითარი ხმაურობა არ გადიოდა. ამასობაში განიის ტყის ნაპირას პრუსიელები გამოჩნდნენ. ისინი ჯერ თავს გამოჰყოფდნენ ხოლმე, მერე გათამამდნენ. წისქვილში ბევრმა ჯარისკაცმა უკვე თოფის დამიზნება დაიწყო, მაგრამ კაპიტანმა დაუყვირა:

— არა, არა, დაიცადეთ... აცალეთ, მოგვიახლოვდნენ.

პრუსიელები დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ. წისქვილს უნდობლად უცქეროდნენ. ეს ძველი სახლი, მდუმარე და დაღვრემილი, სუროს ფარდებიანი, მათში შიშს იწვევდა. როდესაც ორმოცდაათამდე პრუსიელი [illegible] გამოვიდა, წისქვილის პირდაპირ, ოფიცერმა მხოლოდ ერთი [illegible]

— დასცხეთ!

გაისმა ბათქი. მას ცალკეული სროლა მოჰყვა. აღელვებულმა, აკანკალებულმა ფრანსუაზმა უნებურად ხელებით ყურები დაიფარა. ჯარისკაცებს უკან დომინიკი იდგა, როცა ბოლი ოდნავ გაიფანტა, კორდის შუა ადგილას ზურგზე გაჭიმული სამი პრუსიელი შენიშნა. სხვები ტირიფებსა და ალვის ხეებს მოეფარნენ. ალყის შემორტყმა დაიწყო.

ერთი საათის განმავლობაში უშენდნენ წისქვილს ტყვიას. ძველ კედლებს თითქოს სეტყვამ დააყარაო. ტყვიები რომ ქვას ხვდებოდნენ, ისმოდა, როგორ ეტყეპებოდნენ ზედ და როგორ სცვივოდნენ წყალში. ხეს ყრუ ხმაურით ჩაესობოდნენ ხოლმე. ზოგჯერ ტკაცანი აუწყებდათ, რომ ტყვია ბორბალს მოხვდა. წისქვილში მყოფი ჯარისკაცები ტყვიებს უფრთხილდებოდნენ. ფრანგები მხოლოდ მაშინ ისროდნენ, როდესაც დამიზნება შეეძლოთ. ხანგამოშვებით კაპიტანი საათს დახედავდა. როდესაც ერთმა ტყვიამ დარაბას გაუარა და ჭერში ჩაესო, ოფიცერმა ჩაილაპარაკა:

— ოთხი საათია. ამდენ ხანს ვერ გავუმაგრდებით.

მართლაც, გრიგალისებური სროლა ძველ წისქვილს თანდათან ანგრევდა. ბაფთასავით დაცხრილული ერთი დარაბა წყალში ჩავარდა და იგი ლეიბით უნდა შეეცვალათ. მამა მერლიე ყოველ წამს წისქვილის ძველ ბორბალს დახედავდა ხოლმე, რომ გაეგო, რამდენად დაზიანდა იგი. მისი ტკაცანისაგან გული ეკუმშებოდა. ამჯერად მას არაფერი ეშველებოდა, იგი ვეღარ შეკეთდებოდა. დომინიკი ფრანსუაზს ეველრებოდა, აქედან წადიო, მაგრამ ქალიშვილს მასთან ყოფნა უნდოდა. იჯდა იგი ხის დიდი კარვის უკან, რომელსაც საფრად იყენებდა. ერთი ტყვია კარადას მოხვდა. მისმა კედლებმა ყრუდ დაიგუგუნეს. მაშინ დომინიკი ფრანსუაზს წინ დაუდგა. მას ჯერ კიდევ თოფი არ გაესროლა, თუმცა ხელში ეჭირა იგი. ფანჯრებთან მისვლას ვერ ახერხებდა, ის ადგილი ჯარისკაცებს ეკავათ. ყოველი ბათქის დროს იატაკი ზანზარებდა.

— ყურადღება, ყურადღება! — წამოიძახა უეცრად კაპიტანმა.

მან შენიშნა, რომ ტყიდან პრუსიელთა მუქი გროვა გამოვიდა. ატყდა საზარელი სროლა. წისქვილზე თითქოს გრიგალმა გადაიარაო. ჩამოვარდა მეორე დარაბაც. და პირდაღებული ფანჯრიდან ტყვიები შემოიჭრნენ. ორი ჯარისკაცი იატაკზე გაგორდა. ერთი უკვე აღარ იძვროდა. იგი კედლისკენ მისწიეს, რათა მოძრაობისათვის ხელი არ შეეშალა. მეორე, სულთმობრძავი, იხვეწებოდა, ბოლო მომიღეთო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, ტყვია განუწყვეტლად ცვივოდა. ყოველი ჯარისკაცი ცდილობდა რამეს მოჰფარებოდა, სათოფური მოეძებნა და იქიდან ესროლა. დაიჭრა მესამე ჯარისკაცი. ხმა არ ამოუღია, მაგიდის კუთხეს დაემხო გაშტერებული, დაბნეული თვალებით. ამ დახოცილთა მხილველმა, შიშით შეპყრობილმა ფრანსუაზმა უაზროდ სკამი განზე მიაგდო და კედელთან ჩაჯდა. ფიქრობდა, აქ მიკრუნჩხული უფრო უშიშრად ვიქნებიო. ამასობაში ლეიბებით ფანჯარა ამოავსეს.

დარბაზი ნამსხვრევებით, დამტვრეული იარაღით, გამოშიგნული ავეჯით გაივსო.

— ხუთი საათია, — სთქვა კაპიტანმა, — გამაგრდით! ისინი წყალზე გადმოსვლას შეეცდებიან...

ამ დროს ფრანსუაზმა დაიკივლა: სადღაც ასხლეტილმა ტყვიამ მუცელი გაუკაწრა, რამდენიმე წვეთი სისხლი დაედინა. დომინიკმა შეხედა, ფანჯარას მიუახლოვდა, პირველი ტყვია გაისროლა და მერე აღარ გაჩერებულა. იგი თოფს სტენიდა, ისროდა და ყურადღებას არ აქცევდა, რა ხდებოდა გარეშემო. დროგამოშვებით, მხოლოდ ერთი წამით, ფრანსუაზს გადახედავდა. დომინიკი არა ჩქარობდა, გულმოდგინედ უმიზნებდა. პრუსიელები ჭადრებს მოჰყვებოდნენ და მორელზე გადმოსვლას ცდილობდნენ, როგორც კაპიტანმა გათვალისწინა. მაგრამ, როგორც კი ვინმე მათგანი წინ წამოწევას გაბედავდა, დომინიკის ტყვია თავში ხვდებოდა და უსულოდ ეცემოდა. ოფიცერი, რომელიც ამას თვალს ვერ აშორებდა, აღტაცებული იყო. ახალგაზრდას აქებდა, ეუბნებოდა, ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შენისთანა კარგი მსროლელი ბევრი მყავდესო. დომინიკს მისი სიტყვები არ ესმოდა. ერთმა ტყვიამ მხარი გაუკაწრა, მეორემ უჭრობოდ ხელი დაუზიანა. ის კი გამუდმებით ისროდა.

ორი ჯარისკაცი კიდევ მოჰკლეს, დაფლეთილი ლეიბები ფანჯრებს ველარ ჰფარავდნენ. აშკარა იყო, უკანასკნელი ბათქის შემდეგ წისქვილისაგან არაფერი დარჩებოდა. მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. ოფიცერი კი იმეორებდა:

— გაუძელით, გაუძელით... კიდევ ნახევარი საათი.

ახლა მხოლოდ წუთებს ითვლიდა. უფროსებს აღუთქვა, მტერს საღამომდე შევაჩერებო და ფეხის მოცვლას არა ფიქრობდა, სანამ უკან დასახევად დანიშნული საათი არ დადგებოდა. კმაყოფილი სახე ჰქონდა და ფრანსუაზს გასამხნევებლად უღიმოდა. მოკლული ჯარისკაცის თოფი აიღო და თვითონაც სროლა დაიწყო.

დარბაზში ორიოდე ჯარისკაცი-ღა დარჩა. მორელის გალმა ნაპირზე მრავლად გამოჩნდნენ პრუსიელები. ცხადი იყო, რომ მდინარეს გადმოლახავდნენ. კაპიტანი გაჯიუტდა, უკან დახევის ბრძანებას არ იძლეოდა. ამ დროს სერჟანტმა მიირბინა და უთხრა:

— ისინი გზაზე არიან, ზურგიდან შემოგვივლიან.

პრუსიელებს, ალბათ, ხიდისთვის მიეგნოთ. ოფიცერმა საათი ამოიღო.

— კიდევ ხუთი წუთი, — სთქვა მან, — ხუთ წუთში ისინი ჩვენამდე ვერ მოაღწევენ.

მერე სრულ ექვს საათზე ოფიცერმა ნება მისცა თავის ჯარისკაცებს პატარა ჭიშკრით შესახვევში გასულიყვნენ. იქიდან თხრილში ჩახტნენ და სოვალის ტყეს თავი შეაფარეს. წასვლისას მეთაური მეტად თავაზიანად და ბოდიშით გამოეთხოვა მამა მერლიეს:

— შეიყოლიეთ ისინი... ჩვენ დავბრუნდებით...

დომინიკი მარტო დარჩა დარბაზში. იგი სულ ისროდა. არაფერი ესმოდა, არაფერი გაეგებოდა. მხოლოდ ერთ სურვილს შეეპყრო, ფრანსუაზი დაეცვა. ფრანგი ჯარისკაცები წავიდნენ, რის შესახებაც მას ეჭვიც არ შეპარვია. იგი უმიზნებდა და ყოველ სროლაზე თითო პრუსიელს აწვენდა. უეცრად ხმაურობა გაისმა. პრუსიელებმა ზურგიდან ეზო აიღეს. დომინიკმა უკანასკნე-

ლად გაისროლა, — ისინი თავს წაადგნენ, მის თოფს ჯერ კიდევ ასდიოდა ბოლი.

ოთხ პრუსიელს გაქაჩული ეჭირა. სხვები საშინელ ენაზე ლრიალებდნენ. კინაღამ დააღრჩვეს. ფრანსუაზი მუდარით მიიჭრა მათთან. ამ დროს შესულმა ოფიცერმა ტყვე მოითხოვა. თავის ჯარისკაცებს გერმანულად ბრძანებაც უთხრა. მერე კარგი ფრანგულით დომინიკს მიუბრუნდა:

— ორ საათში თქვენ დახვრეტილი იქნებით.

III

გერმანელთა მთავარ შტაბს ასეთი განკარგულება ჰქონდა გაცემული: დაეხვრიტათ რეგულარულ ჯარში არმყოფი ყოველი ფრანგი, თუ მას იარაღიანს დაიჭერდნენ. მოხალისეთა ასეულებსაც მებრძოლ მხარედ არა სცნობდნენ. ასე სასტიკად სჯიდნენ საკუთარი კერის დამცველ გლეხებს. ამით გერმანელებს სურდათ ხელი შეეშალათ საერთო ამხედრებისათვის, რისაც ძალიან ეშინოდათ.

მაღალმა და ხმელმა ოფიცერმა, რომელიც ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, დომინიკი მოკლედ დაჰკითხა. თუმცა ფრანგულად ძალიან წმინდად ლაპარაკობდა, პრუსიული უხეშობა მაინც ეტყობოდა.

— აქაური ხართ?

— არა, ბელგიელი ვარ.

— იარაღი რატომ აიღეთ? თქვენ ბრძოლაში არ უნდა ჩარეულიყავით.

დომინიკმა პასუხი არ გასცა. ამ დროს ოფიცერმა იქვე მდგომი გაფითრებული ფრანსუაზი დაინახა, რომელიც მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა. თეთრ შუბლზე მსუბუქი ჭრილობა წითელ ზოლად შემოვლებოდა. ოფიცერმა ჯერ ერთ, მერე მეორე ახალგაზრდას შეხედა, თითქოს ყველაფერს მიხვდაო, და დაკმაყოფილდა იმით, რომ დაუმატა:

— არ უარყოფთ, რომ ისროდით?

— რამდენიც შევიძელ, იმდენჯერ ვისროლე, — მშვიდად მიუგო დომინიკმა.

ეს აღიარება საჭირო არ იყო, რადგან თოფის წამლისაგან გაშავებული და თანაც გაოფლიანებული იყო. განაკაწრიდან გამონაყონი სისხლის წვეთები აჩნდა მხარზე.

— კეთილი, — გაიმეორა ოფიცერმა, — ორ საათში დახვრეტილი იქნებით.

ფრანსუაზს არ უკივლია. ხელი ხელს ჩასჭიდა და მაღლა ასწია. თავისი სასოწარკვეთილება ასე მუნჯად გამოხატა.

ოფიცერმა ეს მოძრაობა შენიშნა. ორმა ჯარისკაცმა დომინიკი მეზობელ ოთახში შეიყვანა, სადაც მისთვის უნდა ედარაჯნათ. ფეხებმოკვეთილი ახალგაზრდა ქალიშვილი სკამზე დაეცა. ტირილი არ შეეძლო, სული ეხუთებოდა. ამ დროს ოფიცერი მას თვალს არ აშორებდა, ბოლოს ჰკითხა:

— ის ბიჭი თქვენი ძმაა?

ფრანსუაზმა თავით ანიშნა, არაო. ოფიცერი უძრავად იდგა. მცირე დუმილის შემდეგ კვლავ ჰკითხა:

— დიდი ხანია, რაც აქა სცხოვრობს?

დიაღო, კვლავ ანიშნა ქალიშვილმა.

— მაშასადამე, ამ ტყეებს ძალიან კარგად უნდა იცნობდეს?

ახლა-კი ფრანსუაზმა ხმა ამოიღო.

— დიაღ, ბატონო, — უპასუხა და რაღაც გაკვირვებით შეხედა.

ოფიცერს აღარაფერი უთქვამს. მიტრიალდა და მოითხოვა, რომ ნოფლის მერი მიეყვანათ. ფრანსუაზი წამოდგა, სახე ოდნავ შეუწითლდა, ეგონა, მივხვდიო ოფიცრის კითხვების აზრს და იმედი მიეცა. მამის მოსანახად თვითონ გაიქცა.

როგორც კი თოფის სროლა შესწყდა, მამა მერლიე ხის ტალანით სწრაფად ბორბლის დასახედად დაეშვა. მოხუცი თავის ქალიშვილს აღმერთებდა, დომინიკისადმი დიდი მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ წისქვილის ბორბალსაც მის გულში დიდი ადგილი ეჭირა. რადგან პატარები, როგორც იგი ახალგაზრდებს ეძახდა, ამ არევ-დარევას უვნებლად გადარჩნენ, გაიხსენა სიყვარულის მეორე საგანი, რომელიც განსაკუთრებით დაიჩაგრა. ბორბლის ხის დიდ მორგვზე თავდახრილი, სახეშეწუხებული მოხუცი ჭრილობებს აკვირდებოდა. ხუთი ფრთა დასჩეჩქვოდა, მორგვიც მთლად დაცხრილული იყო. ნატყვიარებში თითებს უყოფდა სიღრმის გასაზომად და ფიქრობდა, როგორ მოეშუშებინა ეს დაზიანებული ადგილები. ფრანსუაზი რომ მასთან მივიდა, მეწისქვილე ნახვრეტებს ნაფოტებითა და ხავსით ჩურთავდა.

— მამა, გკითხულობენ, — უთხრა ქალიშვილმა.

და ატირდა. უამბო მამას ყველაფერი, რაც გაიგონა. მამა მერლიემ თავი გაიქნია. ადამიანებს ასე არა ხვრეტენ. უნდა გამოერკვიათ. მშვიდი და წყნარი სახით მოხუცი წისქვილში შევიდა. როდესაც ოფიცერმა თავისი ჯარისკაცებისათვის საკვები მოსთხოვა, მეწისქვილემ უპასუხა, როკრეზელები ჩვეულნი არ არიან უხეშ მოპყრობას და ძალმომრეობით მათგან ვერაფერს ვერ მიიღებთო. თვითონ იკისრა ყველაფერი, მაგრამ იმ პირობით, რომ მარტოდმარტო იმოქმედებდა. ამ მშვიდმა კილომ ოფიცერი, ცოტა არ იყოს, გააბრაზა, მაგრამ მერე დაეთანხმა მოხუცის სწორ მოსაზრებებს. შემდეგ ჰკითხა:

— აი იმ ტყეს, პირდაპირ, რას ეძახიან?

— სოვალის ტყეს.

— დიდი სივრცე უკავია?

მოხუცმა თვალები მიაპყრო და უპასუხა:

— არ ვიცი.

მეწისქვილე წავიდა. ერთი საათის შემდეგ ოფიცრის მიერ მოთხოვნილი კონტრიბუცია — საკვები და ფული — წისქვილის ეზოში იყო. ღამდებოდა. ფრანსუაზი შიშით ადევნებდა თვალს ჯარისკაცების მოძრაობას. არ შორდებოდა იმ ოთახს, სადაც დომინიკი დაამწყვდიეს. დაახლოებით შვიდ საათზე აუტანელი შიში განიცადა. დაინახა, როგორ შევიდა დატყვევებულთან ოფიცერი. თხუთმეტ წუთს მათი ხმააწეული ლაპარაკი ესმოდა. ერთ წამს ოფიცერი კარებში გამოჩნდა, რომ გერმანულ ენაზე ბრძანება გაეცა. მისი ნათქვამი ფრანსუაზმა ვერ გაიგო. მაგრამ როდესაც თორმეტი თოფიანი ჯარისკაცი ეზოში დაეწყო, ისეთმა კანკალმა აიტანა, ეგონა, ვკვდებიო. მაშასადამე, ყველაფერი გათავდა, დასჯიან: თორმეტი ჯარისკაცი ათ წუთს იღგა ასე. დომინიკის ხმამაღალ ლაპარაკში სასტიკი უარი ისმოდა. ბოლოს ოფიცერი გამოვიდა, კარი უხეშად მიაჯახა და სთქვა:

— მოიფიქრეთ, ხვალ დილამდე ვადას გაძლევთ!

თორმეტ ჯარისკაცს ოფიცერმა ხელით ანიშნა დაშლილიყვნენ.

ფრანსუაზი დაბნეული იდგა. მამა მერლიე, რომელიც კვლავ ჩიბუხს აბოლებდა და ოცეულს უბრალო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, ქალიშვილს მიუახლოვდა და მამობრივი სინაზით მკლავში ხელი მოჰკიდა. თავის ოთახში წაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავი დაიმშვიდე, — უთხრა მან. — ეცადე დაიძინო... ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს.

წასვლისას სიფრთხილის გამო ოთახში ჩაჰკეტა. მოხუცის შეხედულებით ქალები გამოსადეგნი არ არიან, ისინი ყველაფერს აფუჭებენ, როდესაც სერიოზულ საქმეში ჩაერევიან. ფრანსუაზი არ დაწოლილა. დიდხანს იყო თავის საწოლზე ჩამომჯდარი. ესმოდა სახლის ყრუ ხმაურობა. ეზოში დაბანაკებული გერმანელი ჯარისკაცები მღეროდნენ და იცინოდნენ. როგორც ეტყობოდა, ისინი თერთმეტ საათამდე სჭამდნენ და სვამდნენ, რადგან ერთ წამსაც ხმაურობა არ შეწყვეტილა. ხანდახან მძიმე ნაბიჯების ხმა წისქვილშიაც ისმოდა. ალბათ, გუშაგები იცვლებოდნენ. მაგრამ განსაკუთრებით მას აინტერესებდა იმ ოთახიდან გამოსული ხმის გაგონება, რომელიც მისი ოთახის ქვეშ იყო. ბევრჯერ გაწვა იატაკზე, ყური დაადო იატაკს. სწორედ იმ ოთახში დაამწყვდიეს დომინიკი. იგი, ალბათ, კედლიდან ფანჯრამდე დადიოდა, რადგან ფრანსუაზს დიდხანს ესმოდა მისი ნაბიჯების რიტმული ხმა. მერე სიჩუმე ჩამოვარდა. დომინიკი, ალბათ, დაჯდა. ყოველგვარი ხმაურობაც შესწყდა. ყველა ძილს ეძლეოდა. როდესაც ქალიშვილს მოეჩვენა, რომ მთელ სახლს ჩაეძინა, ძალიან წყნარად ფანჯარა გააღო და რაფას დაეყრდნო.

გარეთ ნათელი, თბილი ღამე იყო. სოვალის ტყის უკან ჩამავალი ახალი მთვარე ღამის ნათურასავით ანათებდა არე-მარეს. მაღალი ხეების გაგრძელებული ჩრდილები შავად მოჰფენოდნენ ველებს. განათებულ ადგილებში ბალახი მომწვანო ხავერდის ნაზ ფერს იღებდა. მაგრამ ფრანსუაზს ღამის მშვენიერებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. აკვირდებოდა გარემოს, დაეძებდა გუშაგებს, რომლებიც, ალბათ, გერმანელებმა გარშემო დააყენეს. ფრანსუაზი კარგად ხედავდა, როგორ მიჰყვებოდნენ მათი ჩრდილები მორელის ნაპირებს. მხოლოდ ერთი გუშაგი იდგა წისქვილის პირდაპირ, მდინარის მეორე ნაპირზე, ტირიფის მახლობლად, რომლის ტოტებიც წყალში ეშვებოდნენ, მას ფრანსუაზი ცხადად არჩევდა. მაღალი ვაჟკაცი იყო, უძრავად იდგა, სახე ცისაკენ მიეპყრო, მეოცნებე მწყემსის სახის გამომეტყველება ჰქონდა.

როდესაც ფრანსუაზმა ეს ადგილები კარგად დაათვალიერა, გაბრუნდა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა. ასე ერთ საათს დაჰყო, ღრმად ჩაფიქრებულმა. მერე ხელახლა დააყურა: სახლში სუნთქვაც აღარ ისმოდა. ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა. მაგრამ, ალბათ, მთვარე, რომელიც ხეებს უკან ჯერ კიდევ მოსჩანდა, მას ხელისშემშლელად მოეჩვენა და კვლავ განაგრძო ლოდინი. ბოლოს, მისი აზრით, დადგა სასურველი დრო. უკუნეთი ღამე გამეფდა. პირდაპირ გუშაგს ვეღარ ხედავდა, ველი მელნის გუბესავით იშლებოდა.

ერთ წამს სმენად გადაიქცა და გადასწყვიტა, რა უნდა ჩაედინა. იქ, ფანჯრის მახლობლად, რკინის კიბე იყო, კედელში ჩასმული საფეხურებით. იგი ბორბლიდან სხვენზე ადიოდა. ოდესღაც მას მეწისქვილეები წისქვილის თვლების დასათვალიერებლად იყენებდნენ. მერე შეცვლილ იქნა მექანიზმით. დიდი ხანია, რაც კიბე ჩაიშალა სქელ სუროში, რომელიც წისქვილის ამ გვერდს ჰფარავდა.

ფრანსუაზი გაბედულად გავიდა ფანჯარაში, ერთ-ერთ რკინის საფეხურს ხელი შეავლო და ჩასვლა დაიწყო. კაბა ხელს უშლიდა. უეცრად კედელს ქვა მოსძვრა და მორელში ჩავარდა, წყლის ჩხრიალი გაისმა. ქალიშვილი შეჩერდა, აკანკალდა, გაიყინა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ წისქვილის ბერბალზე წყლის შხუილი, გაუთავებელი გუგუნი ნთქავდა მის მიერ გამოწვეულ ყოველგვარ ხმაურობას. და იგი უფრო უშიშრად დაეშვა, უფრო გაბედულად იწყო ფეხით სუროს მოსინჯვა საფეხურების მოსაძებნად. როდესაც იმ ოთახის სიმაღლეს გაუსწორდა, რომელიც დომინიკს საპატიმროდ მიუჩინეს, ფრანსუაზი შედგა. ერთმა გაუთვალისწინებელმა სიძნელემ კინაღამ მთელი გულადობა გაუქარწყლა: ქვედა ოთახის ფანჯარა არ იყო სწორედ ფრანსუაზის ოთახის ფანჯრის ქვეშ მოთავსებული. კიბიდან გადაიხარა და როდესაც ხელით მოსინჯა, ფანჯრის მაგიერ კედელი დახვდა. ნუთუ ზევით ასვლა მოუხდებოდა და თავის განზრახვას ბოლომდე ვერ მიიყვანდა? ხელებში ძალა ელეოდა, ქვემოდან მორელის დუდუნი ისმოდა, რაც თავბრუს ახვევდა. მაშინ კედელს კირის პატარა ნაფლეთები მოაცილა და დომინიკის ფანჯარას ესროლა. ვაჟს არ გაუგონია. იქნებ ეძინა. ქალიშვილმა კედელი კიდევ მოფხაჭნა, ხელები გადაიხეხა. უკვე ძალა ელეოდა, გრძნობდა, რომ ზურგით გადავარდებოდა. ამ დროს დომინიკმა ფანჯარა ჩუმად გააღო.

— მე ვარ, — ჩაიბუტბუტა ქალიშვილმა, — დამიჭირე, ვვარდები.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ შენობით დაელაპარაკა. ვაჟი გადაიხარა, ხელი წაავლო და თავის ოთახში გადაიყვანა. იქ ქალიშვილი ცრემლად დაიღვარა. ქვითინს იკავებდა, რომ არ გაეგონათ. მერე თავს ძალა დაატანა და დამშვიდდა.

— გდარაჯობენ? — ჰკითხა ხმადაბლა ქალიშვილმა.

დომინიკი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, თავის გვერდით ფრანსუაზს რომ ხედავდა, და მხოლოდ ხელით ანიშნა, კარზე მიუთითა. კარს იქით ხვრინვა ისმოდა. ძილმორეული გუშაგი, ალბათ, იატაკზე გაწვა კართან, გაიფიქრა, ამნაირად ტყვე ვერსად წამივაო.

— უნდა გაიქცე, — დაიწყო ქალიშვილმა ცოცხლად, — იმიტომ მოვედი, რომ გაქცევა მეთხოვნა და გამოგთხოვებოდი.

მაგრამ დომინიკს მისი ლაპარაკი თითქოს არ ესმოდა, იმეორებდა:

— როგორ, ნუთუ თქვენა ხართ, თქვენ? ოჰ! როგორ შემაშინეთ, შეიძლება დაღუპულიყავით.

ხელებზე ხელი მოჰკიდა და დაუკოცნა.

— ფრანსუაზ, როგორ მიყვარხართ! თქვენ იმდენადვე გაბედული ხართ, რამდენადაც კეთილი. მე მხოლოდ იმის შიში მქონდა, შენს უნახავად არ მოვმკვდარიყავი... მაგრამ თქვენ აქა ხართ და დეე დამხვრიტონ ახლა. თქვენთან გატარებული თხუთმეტი წუთის შემდეგ მზად ვიქნები.

თანდათან ქალიშვილი თავისკენ მიიზიდა და მის მხარზე თავი დასდო. საფრთხე უახლოვდებოდათ, ერთმანეთს ჩახუტებულებს ყველაფერი დავიწყდათ.

— ოჰ, ფრანსუაზ! — დაიწყო კვლავ დომინიკმა ალერსიანი ხმით, — დღეს არის სენ-ლუი, ჩვენი დაქორწინების დღე, რომელსაც ასე დიდხანს ველოდით. ჩვენი განშორება ვერაფერმა ვერ შესძლო, რადგან ჩვენ მაინც ერთად ვართ, ჩვენს პაემანს არ ვუღალატეთ... ახლა ხომ ჩვენი ქორწინების დილაა?

— დიაღ, დიაღ, ჩვენი ქორწინების დილაა, — იმეორებდა ქალი.

თრთოლვით ერთმანეთს აკოცეს, მაგრამ უეცრად ქალიშვილმა თავი გაინთავისუფლა, მის წინ მთელი საშინელება გადაიშალა.

— უნდა გაიქცე, უნდა გაიქცე! — ბუტბუტებდა იგი, — ერთი წუთიც არ უნდა დავკარგოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როდესაც სიბნელეში ვაჟმა ხელის მოსაკიდებლად ... ქალიშვილი კვლავ შენობით დაელაპარაკა:

— ოჰ, გთხოვ, მომისმინო... თუ შენ მოკვდები, არც მე ვიცოცხლებ. ერთ საათში გათენდება. მინდა, რომ ახლავე წახვიდე.

სწრაფად გააცნო თავისი გეგმა. რკინის კიბე ბორბლამდე ჩადიოდა. იქ შეეძლო ბორბლის ფრთებზე გადასულიყო ღრუში შენახულ ნავში ჩასაჯდომად. მერე მდინარეს ადვილად გადავიღოდა და თავს გადაირჩენდა.

— იქ ხომ გუშაგები იქნება? — იკითხა ვაჟმა.

— ერთი მხოლოდ, პირდაპირ, პირველი ტირიფის ქვეშ.

— გუშაგმა რომ შემნიშნოს და ყვირილი მორთოს?

ფრანსუაზი კანკალმა აიტანა. დომინიკს ხელში თავის ოთახიდან წამოღებული დანა ჩაუდო. სიჩუმე ჩამოვარდა.

— მამა თქვენი, თქვენ? — სთქვა დომინიკმა. — არა, მე გაქცევა არ შემიძლიან... როდესაც აქ აღარ ვიქნები, ჯარისკაცებმა შეიძლება თქვენ ამოგწყვიტონ. თქვენ მათ არ იცნობთ. წინადადება მომცეს, სოვალის ტყეში თუ მეგზურობას გაგვიწევ, შეგიწყალებთო. როდესაც აქ ვერ მიპოვნიან, ისინი ყველაფერს ჩაიდენენ.

ქალიშვილს დავა არ დაუწყია, დომინიკის მიერ მოყვანილ ყველა მოსაზრებას უბრალოდ უპასუხა:

— თუ გიყვარვართ, გაიქეცით... თუ გიყვარვართ, დომინიკ, აქ ერთ წუთსაც აღარ დარჩეთ.

მერე აღუთქვა, რომ თავის ოთახში ავიდოდა. ვერავინ გაიგებდა, რომ დაეხმარა. ბოლოს დომინიკის დასარწმუნებლად უჩვეულო ვნებური გატაცებით ხელები შემოხვია, კოცნა დაუწყო. ვაჟი დანებდა. მხოლოდ ერთი კითხვა მისცა:

— შემომფიცეთ, რომ მამა თქვენმა ეს თქვენი განზრახვა იცის და რომ ისიც გაქცევას მირჩევს!

— სწორედ მამაჩემმა გამომგზავნა, — უპასუხა მტკიცედ ფრანსუაზმა.

ქალიშვილი სტყუოდა. ამ წუთს მხოლოდ ერთ დიდ სურვილს შეეპყრო — სცოდნოდა, რომ დომინიკი გადარჩენილია, და თავიდან მოეშორებინა ის აუტანელი ფიქრი, რომ მზის ამოსვლა დომინიკის სიკვდილს მოასწავებდა. როდესაც იგი შორს იქნებოდა, ფრანსუაზი მზად იყო, ყველა უბედურება თვითონ გადაეტანა. მისთვის უდიდესი სიამოვნება იქნებოდა, თუ დომინიკს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. მისი სიყვარული მოითხოვდა, რომ უწინარეს ყოვლისა დომინიკი ცოცხალი ყოფილიყო.

— კარგი, — სთქვა დომინიკმა, — იყოს თქვენი ნება.

მერე აღარ ულაპარაკნიათ. დომინიკმა ფანჯარა გააღო. უეცარმა ხმაურობამ ერთ ადგილას გაჰყინა ისინი. კარი შეინძრა. მათ ეგონათ, იღებაო. ალბათ, გუშაგმა მათი ხმა გაიგონა. ერთ ადგილას გაშეშდნენ, ერთმანეთს მიკრულნი, გამოუთქმელ ტანჯვაში იცდიდნენ, კარი ხელახლა შეინძრა, მაგრამ არ გაღებულა. ორივემ თავშეკავებულად ამოიხვნეშა. ეს, ალბათ, კართან გა-

წოლილი ჯარისკაცი იყო, რომელმაც გვერდი გამოიცვალაო. მართლაც, სიჩუმე ჩამოვარდა, კვლავ ხვრინვა გაისმა.

დომინიკმა გადაჭრით მოისურვა, რომ ჯერ ფრანსუაზი ასულიყო თავის ოთახში. ხელი მოხვია და უსიტყვოდ გამოეთხოვა. მერე [illegible] ალეაში დაეხმარა და თვითონაც კიბის საფეხურს ჩაავლო ხელი. მაგრამ [illegible] ფეხიც არ მოუცვლია, სანამ არ დარწმუნდა, რომ ფრანსუაზი თავის ოთახშიაო. როგორც კი ქალიშვილი ზევით ავიდა, დომინიკს ნიავივით მსუბუქი ხმით ჩამოსძახა:

— ნახვამდის, მიყვარხარ!

ფრანსუაზი ფანჯარას გადაეყრდნო და ცდილობდა დომინიკისთვის თვალი ვაედევნებია. ღამე კვლავ კუპრივით შავი იყო. ფრანსუაზმა გუშაგს ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერ დაინახა. სიბნელეში მარტო ტირიფის მკრთალი ლანდი მოსჩანდა. ერთ წამს ქალიშვილს მოესმა, დომინიკის სხეული რომ სუროს მოედო. მერე ბორბალი გაჭრაჭუნდა, წყლის მსუბუქი ტლაშუნი გაიგონა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვაემა ნავს მიაგნო. მართლაც, ერთი წუთის შემდეგ მორელის რუხ ზედაპირზე ნავის ბნელი მოხაზულობა შენიშნა. მაშინ საშინელმა შიშმა სული შეუხუთა. ყოველ წამს თითქოს გუშაგის მიერ ატეხილი განგაშის ხმა ესმოდა. სიბნელეში გაბნეული სულ პატარა ახმიანება ჯარისკაცების აჩქარებულ ნაბიჯად, იარაღის რაწკუნად, თოფების დატენის ხმაურობად ეჩვენებოდა. წამები მიჰქროდნენ, არე-მარე თავის მეფურ სიმშვიდეს მისცემოდა.

დომინიკი მეორე ნაპირზე უნდა ყოფილიყო გასული. ფრანსუაზი ვერაფერს ხედავდა. მერე გაიგონა ფეხის ხმა, ხრინწიანი ძახილი, სხეულის დავარდნის ყრუ ზღართანი, და უფრო ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ ფრანსუაზმა თითქოს სიკვდილის ჩავლა იგრძნო. იდგა ერთიანად გაყინული უკუნეთი ღამის წინაშე.

IV

როგორც კი გარიჟრაჟდა, ყვირილმა, ძახილმა წისქვილი შესძრა. მამა მერლიე ფრანსუაზთან ავიდა და კარი გაუღო. ქალიშვილი ეზოში ჩავიდა, ფერმკრთალი და ძალიან მშვიდი. მაგრამ იქ, ჭის მახლობლად, ფარაჯაზე დასვენებული პრუსიელი ჯარისკაცის გვამის წინაშე თრთოლვა ვერ შეიკავა.

ცხედრის გარშემო ჯარისკაცები ხელს იქნევდნენ, განრისხებულნი ყვიროდნენ. ბევრი მათგანი სოფელს მუშტებით ემუქრებოდა. ამასობაში ოფიცერმა მამა მერლიე მოაყვანინა, როგორც თემის მერი.

— აი, — უთხრა მას სიბრაზისაგან ხმაწართმეულმა, — ერთი ჩვენი ჯარისკაცი მდინარის ნაპირას ნახეს მოკლული. დამნაშავე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. იმედი მაქვს, მკვლელის აღმოჩენაში დაგვეხმარებით.

— როგორც ინებებთ, — უპასუხა მეწისქვილემ თავისი ჩვეულებრივი სიმშვიდით. — მხოლოდ ეგ უხერხული იქნება.

ოფიცერი დაიხარა გვამის სახეზე დაფარებული ფარაჯის კალთის ასაწევად. შესაზარი ჭრილობა გამოჩნდა. გუშაგი ყელში დაეჭრათ და იარაღი შიგვე ჩაეტოვებინათ. იგი სამზარეულოს შავტარიანი დანა იყო.

— გასინჯეთ დანა, — უთხრა ოფიცერმა მამა მერლიეს, — შეიძლება ის მკვლელის მოძებნაში დაგვეხმაროს.

მოხუცს შეაკრთოლა. მაგრამ თავი შეიკავა, სახე ოდნავადაც არ შესცვლია, ისე უპასუხა:

— ასეთი დანა ჩვენს სოფელში ყველასა აქვს... იქნებ თქვენს ჯარისკაცს ომმა თავი მოაძულა და თავის თავს თვითონ გაუსწორდა. ასეც ხდება ხოლმე.

— ხმა გაიკმინდეთ! — დაუყვირა გაცოფებულმა ოფიცერმა, — არ ვიცი, რა მაკავებს, რომ სოფელს ოთხივე მხრიდან ცეცხლი გავუჩინო.

საბედნიეროდ გაბრაზებამ ხელი შეუშალა შეენიშნა ფრანსუაზის სახის ღრმა ცვლილება. ქალიშვილი იძულებული გახდა ქვის სკამზე ჩამომჯდარიყო, ჭასთან. იგი უნებურად თვალს ვერ აშორებდა მის ფეხთან მიწაზე გაშხლართულ ცხედარს. ეს იყო მაღალი და მშვენიერი ვაჟკაცი, თავისი ქერა თმით და ლურჯი თვალებით დომინიკს ჰგავდა. ამ მსგავსებამ გული გადაუტრიალა. ფრანსუაზი ფიქრობდა, მოკლულმა იქ, გერმანიაში, შეიძლება სატრფო დასტოვა, რომელიც ახლა ატირდება. და ქალიშვილმა იცნო მოკლულის ყელში ჩარჩენილი თავისი დანა. ფრანსუაზმა მოჰკლა ის.

როცა ოფიცერი ამბობდა, როკრეზს საშინლად დავსჯიო, ჯარისკაცებმა მიირბინეს: დომინიკის გაქცევა მხოლოდ ახლა შენიშნეს, რამაც უდიდესი აღელვება გამოიწვია. ოფიცერი დომინიკის საპატიმროს სანახავად წავიდა. ღია ფანჯრიდან გადაიხედა, ყველაფერს მიხვდა და ძალზე გაბრაზებული დაბრუნდა.

მამა მერლიე, როგორც ეტყობოდა, დომინიკის გაქცევით ძალიან ნაწყენი დარჩა.

— სულელი! — ჩაილაპარაკა, — ყველაფერი გააფუჭა.

ამის გამგონე ფრანსუაზი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მის თანამონაწილეობაში მამა მერლიეს ეჭვიც კი არ აღძვრია. თავი გააქანა და ხმადაბლა უთხრა შვილს:

— ახლა კი ჭირს გადავეკიდეთ!

— იმ საზიზღარის მოკლულია! — ყვიროდა ოფიცერი. — იგი ტყეში შეგვასწრებს... მაგრამ უნდა მოგვინახონ ან მის მაგიერ სოფელი აგებს პასუხს.

მეწისქვილეს მიმართა:

— აბა, თქვენ უნდა იცოდეთ, სად იმალება იგი.

მამა მერლიემ თავისებურად წყნარად ჩაიცინა და ტყით დაფარულ გორაკებზე მიუთითა:

— როგორ უნდა იპოვოთ იქ ადამიანი? — სთქვა მან.

— იქ ორმოები იქნება, თქვენ, ალბათ, იცით ის ორმოები. ათ ჯარისკაცს მოგცემთ. გზას თქვენ უჩვენებთ.

— ადიდის სიამოვნებით. მხოლოდ რვა დღე დაგვჭირდება, ირგვლივ მთელი ტყეები რომ დავიაროთ.

მოხუცის სიმშვიდე ოფიცერს აცოფებდა, მიხვდა, რომ, მართლაც, სასაცილო იქნებოდა ტყის ჩხრეკა. მაშინ შენიშნა სკამზე ფერდაკარგული და აკანკალებული ფრანსუაზი. მისმა შეწუხებულმა სახემ გააკვირვა. ოფიცერი ერთ წამს დადუმდა. შესცქეროდა ხან მეწისქვილეს, ხან ფრანსუაზს.

— ის კაცი თქვენი ქალიშვილის საყვარელი ხომ არ არის? — უხეშად ჰკითხა მოხუცს ოფიცერმა.

მამა მერლიე გაფითრდა. თავი შეიკავა, არაფერი უპასუხა. ფრანსუაზმა სახე ხელებით დაიფარა.

— დიაღ, ასეა, — განაგრძო პრუსიელმა, — თქვენ ან თქვენი ქალიშვილი დაეხმარეთ მას გაქცევაში. მისი თანამონაწილენი ხართ... უკანასკნელად გეკითხებით, მოგვიყვანთ თუ არა?

მეწისქვილემ არაფერი უპასუხა. მან პირი იბრუნა და გულგრილად გაჰხედა არე-მარეს, თითქოს ოფიცერი მას არ მიმართავსო. ამან ოფიცერი გააშმაგა.

— თუ აგრეა, — გამოუცხადა მათ ოფიცერმა, — მის მაგიერ თქვენ დაგხვრეტავთ.

და ერთხელ კიდევ გასცა ბრძანება ოცეულის გამოსაყვანად. მამა მერლიეს თავი ისევ გულგრილად ეჭირა. მან ოდნავ მხრები აიჩეჩა. მთელი ეს დრამა უგემურ საქმედ მოეჩვენა: რასაკვირველია, იგი არ მოელოდა, რომ ადამიანს ასე იოლად დახვრეტდნენ. მერე, როდესაც ოცეული მიიყვანეს, მან დინჯად სთქვა:

— მაშ მართლა განიზრახეთ დახვრეტა? მაგრე იყოს... თუ აუცილებლად გინდათ ვინმე დახვრიტოთ, მე არაფრით სხვას არ ჩამოვუვარდები.

მაგრამ მაშინ გაგიჟებული ფრანსუაზი წამოიჭრა და ჩაილუღლუღა:

— აპატიეთ, ბატონო, მამაჩემი არ დასაჯოთ. აქვე გამათავეთ, გაქცევაში დომინიკს მე დავეხმარე. მარტო მე ვარ დამნაშავე.

— გაჩუმდი, გოგონავ, — წამოიძახა მამა მერლიემ, — რატომ სტყუი? ეს მთელ ღამეს, ბატონო, ჩაკეტილი მყავდა თავის ოთახში. გარწმუნებთ, სტყუის.

— არა, არა ვსტყუი, — ცხარედ დაიწყო ქალიშვილმა: — მე ფანჯრიდან ჩავედი და დომინიკი ვაიძულე გაქცეულიყო... ეს სიმართლეა, ჭეშმარიტებაა.

მოხუცს ფერი ეცვალა. ქალიშვილის თვალებში კითხულობდა, რომ იგი არა სტყუოდა და ეს ამბავი თავზარს სცემდა. ოჰ, ეს ბავშვები, გულის ამყოლნი, როგორ აფუჭებენ ყველაფერს. გული მოუვიდა.

— გიჟია, ნუ უგდებთ ყურს, სისულელეს ამბობს...

ფრანსუაზს რაღაც საწინააღმდეგო კიდევ უნდოდა ეთქვა, დაიჩოქა, გულზე ხელები დაიკრიბა. ამ აუტანელ ბრძოლას ოფიცერი მშვიდად შესცქეროდა.

— ღმერთო ჩემო, — სთქვა მან ბოლოს: — მამა თქვენი მიმყავს, რადგან ის მეორე ხელთ ვერ ჩავიგდე, შეეცადეთ, მომინახოთ ის და მამა თქვენი თავისუფალი იქნება.

ერთ წამს ქალიშვილმა ოფიცერს შეხედა. ამ წინადადების საშინელებამ თვალები გაუფართოვა.

— საზარელია! — ჩაიბუტბუტა. — სად უნდა ვიპოვნოთ? წავიდა, მეტი არაფერი ვიცი.

— ამოირჩიეთ: ის ან მამა თქვენი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! განა ამორჩევა შემიძლიან? დომინიკი სად არის? რომ ვიცოდე, მაშინაც ვერ ამოვირჩევდი... გულს შუაზე მიპობთ. ახლავე სიკვდილს ვამჯობინებ. დიაღ. ეს უფრო ადვილი იქნება. მომკალით, გემუდარებით, მე მომკალით.

ამ სასოწარკვეთილებამ და ცრემლებმა ოფიცერი მოთმინებიდან გამოიყვანა. მან წამოიძახა:

— კმარა! მინდა კეთილი კაცი ვიყო, თანახმა ვარ. ორ საათს კიდევ გადროვოთ... თუ ორ საათში თქვენი შეყვარებული აქ არ იქნება, მაშინ მის მაგიერ მამა თქვენი აგებს პასუხს.

და მამა მერლიე იმ ოთახში წააყვანინა, რომელიც დომინიკის საპატიმროდ გამოიყენეს. მოხუცმა თამბაქო მოითხოვა და წევა დაიწყო. [illegible] ასეზე არავითარი გრძნობა არ ეხატებოდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მარტო დარჩა და თამბაქოს ეწეოდა, მის თვალებს ორი მსხვილი ცრემლი მოსწყდა და ლოყებზე ნელა დაგორდა. როგორ იტანჯებოდა მისი საბრალო და საყვარელი შვილი.

ფრანსუაზი შუა ეზოში დარჩა. პრუსიელმა ჯარისკაცებმა სიცილით ჩაუარეს. ზოგმა სიტყვა ესროლა, გაეხუმრა, რასაც იგი ვერა ხვდებოდა. ქალიშვილმა იმ კარს შეხედა, რომელშიაც ის-ის იყო მამა მისი გაჰქრა. ფრანსუაზმა ზანტად ხელი შუბლთან მიიტანა, თითქოს იმიტომ, რომ არ გახეთქოდა. ოფიცერი ქალიშვილისკენ მიბრუნდა, გაუმეორა:

— თქვენ ორი საათი გაქვთ ვადა, ეცადეთ გამოიყენოთ.

ორი საათი ვადა ჰქონდა. ამ წინადადებას მის თავში გუგუნი გაჰქონდა. ანგარიშმიუცემლად ეზოდან გავიდა. საით წავიდეს? რა გააკეთოს? არ შეეცადა მიეღო რაიმე გადაწყვეტილება, რადგან გრძნობდა თავის ღონისძიებათა ამაოებას. დომინიკის ნახვა მაინც უნდოდა. ისინი ერთმანეთისას გაიგებდნენ, იქნებ რაიმე გამოსავალი ეპოვათ. და ამ არეული ფიქრებით შეპყრობილი მორელის ნაპირებისკენ დაეშვა, საგუბართან გადავიდა, იმ ადგილას, სადაც დიდი ქვები ეყარა. ფეხებმა ქალიშვილი პირველ ტირიფთან მიიყვანეს, ველის განაპირას. როდესაც დაიხარა, სისხლის გუბე შენიშნა და გაფითრდა. დიაღ, აქ მოხდა მკვლელობა, და იგი დომინიკის კვალს გაჰყვა გათელილ ბალახზე. როგორც ეტყობა, ურბენია, დიდი ნაბიჯების ხაზი ველს ირიბად სჭრიდა. მერე ფრანსუაზს კვალი დაეკარგა. მახლობელ კორდზე თითქოს ისევ წააწყდა კვალს. ამნაირად ტყის პირამდე მივიდა, სადაც ყოველგვარი ნიშანი წაიშალა. ფრანსუაზი ტყეში შევიდა.

მარტოობამ გული შეუმსუბუქა. ერთი წუთით ჩამოჯდა. მერე, როცა გახსენდა, რომ დრო მიდიოდა, ფეხზე წამოიჭრა. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც წისქვილი მიატოვა? ხუთი წუთი? ნახევარი საათი? დროს გაგების უნარი აღარ ჰქონდა. დომინიკი შეიძლება იმ ნაყარ ტყეში დაიმალა, სადაც ერთხელ ნაშუადღევს გარეულ თხილს სჭამდნენ. ფრანსუაზი იქით წავიდა, ის ტყე მოინახულა. მხოლოდ შაშვი აფრინდა, მოისმა მისი ნაზი და სევდიანი სტვენა. მერე ქალიშვილმა გაიფიქრა, დომინიკი კლდის ნაპრალში ხომ არ მიიმალაო, სადაც ზოგჯერ მას დალოდებია. მაგრამ კლდის ნაპრალიც ცარიელი დახვდა. სადღა ეძებოს? მაინც ვერ იპოვნის, მისი პოვნის სურვილი-კი უფრო და უფრო იპყრობდა. ნაბიჯს აუჩქარა. უეცრად თავში გაუელვა, იქნებ ხეზე ავიდაო. ამის შემდეგ მიმავალი ფრანსუაზი ზევით იცქირებოდა. თხუთმეტ-ოც ნაბიჯს გაივლიდა თუ არა, დომინიკს უხმობდა. იქნება გავაგონო და პასუხი გამცესო. ხმას მხოლოდ გუგული აძლევდა. ხის ტოტებში შრიალი რომ გაისმოდა, ეგონა, იქ არის და ძირს ჩამოდისო. ერთხელ თითქოს კიდეც დაინახა. შესდგა, სული შეეხუთა. გაქცევა უნდოდა. რა ეთქვა? იმისთვის მოვიდა, რომ წაიყვანოს და დაახვრეტინოს? ოჰ, არა, ამაზე ლაპარაკსაც არ დაუწყებს. ეტყვის, თავს უშველოს, ახლო-მახლო არ დარ-

ჩეს. მერე გაახსენდა მამა, რომელიც ელოდებოდა. ამ ფიქრმა მწვავე ტკივილი მიაყენა. ბალახზე დაეცა ტირილით, ხმამაღლა იმეორებდა:

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! აქ რა მინდა? აქ რამ მომიყვანა?

შიშით შეპყრობილი გაიქცა ტყიდან გასასვლელად. სამჯერ [illegible] გზა, ეგონა, წისქვილს ვეღარ მივაგნებო. ბოლოს ველზე გავიდა, [illegible] ეზის პირდაპირ. როგორც კი სოფელი დაინახა, შეჩერდა. ნუთუ მარტო დაბრუნდება?

ერთ ადგილას იდგა, როდესაც ნაზი ძახილი შეესმა:

— ფრანსუაზ! ფრანსუაზ!

და ქალიშვილმა დაინახა დომინიკი, რომელმაც თხრილიდან თავი ამოჰყო. ღმერთო დიდებულო, იპოვნა! მაშ ზეცამ ინება მისი სიკვდილი? ყვირილი შეეკავა და თხრილში ჩასრიალდა.

— მეძებდი? — ჰკითხა ვაჟმა.

— ჰო, — უპასუხა ქალიშვილმა, თავს გუგუნი გაჰქონდა, არ იცოდა, რას ამბობდა.

— რა მოხდა?

თვალები დახარა, ჩაილუღლუღა:

— არაფერი... ვწუხდი, შენი ნახვა მომენატრა.

მაშინ დამშვიდებულმა ვაჟმა აუხსნა, არ მინდოდა დაგშორებოდით, ვშიშობდი, არაფერი მოგსვლოდათო. იმ საზიზღარ პრუსიელებს სინდისი არ დაუშლით, რომ შური ქალებსა და მოხუცებზე იძიონო. ბოლოს, რაკი ყველაფერი კარგად მიდიოდა, მან სიცილით დაუმატა:

— რვა დღეში ვიქორწინებთ, მორჩა და გათავდა!

ფრანსუაზი კვლავ აღელვებული იყო, ხოლო დომინიკმა მოიწყინა:

— რა მოგდის? რაღაცას მიმალავ.

— არა, გეფიცები. მოვრბოდი, შენთან რომ მოვსულიყავი.

ვაჟმა მკერდში ჩაიკრა ქალიშვილი და უთხრა, ორივესთვის საშიში იქნება, აქ რომ ლაპარაკი გავაბათო. თხრილიდან ამოსვლა დააპირა, რომ ტყეში შესულიყვნენ. ქალიშვილმა შეაჩერა. კანკალებდა.

— გამიგონე, იქნებ უმჯობესია, აქ დარჩე... არავინ დაგეძებს, ნუ გეშინიან...

— ფრანსუაზ, რაღაცას მიმალავ, — გაუმეორა ვაჟმა.

ქალიშვილმა კვლავ შეჰფიცა, არაფერს გიმალავო. მხოლოდ მირჩევნია, მახლობლად მეგულებოდეო, და კიდევ რაღაც მოსაზრება ჩაილუღლუღა. ვაჟს ფრანსუაზი ისე უცნაური მოეჩვენა, რომ ახლა თვითონ სთქვა უარი დაშორებაზე. ამასთან დომინიკი დარწმუნებული იყო, რომ ფრანგები დაბრუნდებოდნენ. სოვალის მხარეს ვიღაცას ჯარი დაუნახავს.

— ოჰ, რომ აჩქარდებოდნენ, რაც შეიძლება მალე მოვიდოდნენ! — ჩაიბუტბუტა აღგზნებულმა ფრანსუაზმა.

ამ დროს როკრეზის სამრეკლოზე თერთმეტი საათი დარეკეს. ზარის ხმა მკაფიოდ ისმოდა. ქალიშვილი შეშინებული წამოდგა, ორი საათი გავიდა, რაც წისქვილი მიატოვა.

— გამიგონე, — სთქვა მან სწრაფად, — თუ დაგჭირდები, ჩემს ოთახში ავალ და ცხვირსახოცს დაგიქნევ.

და ფრანსუაზი სირბილით წავიდა. ამ დროს დომინიკი, ძალზე შეშფოთებული, თხრილის ნაპირზე გაწვა, წისქვილისათვის რომ თვალი ედევნებინა.

როდესაც ქალიშვილი როკრეზში შედიოდა, მოხუცი მათხოვარი, მამა ბონტანი შეხვდა, რომელიც მთელ კუთხეს იცნობდა. ფრანსუაზს მიესალმა. მათხოვარს ის-ის იყო პრუსიელთა მიერ გარშემორტყმული მეწისქვილე ენახა. მერე მათხოვარმა პირჯვარი გადაისახა, რაღაც გაურკვევლად ჩაიბუტბუტა და თავის გზას გაუდგა.

ბიბლიოთეკა

— ორი საათი გავიდა, — სთქვა ოფიცერმა, როცა ფრანსუაზი მივიდა.

მამა მერლიე იქ იყო, სკამზე იჯდა ჭასთან. კვლავ თამბაქოს აბოლებდა. ქალიშვილი ისევ შეეგებრა ოფიცერს, ატირდა, მუხლებზე დაეცა, დროის მოგება უნდოდა. მისი გული იმედს ვეღარ იტევდა, — ფიქრობდა დაბრუნებულ ფრანგებს დაინახავდა. ფრანსუაზი ქვითინებდა და თან თითქოს შორიდან ჯარის ფეხის ხმა ესმოდა. ოჰ, რომ გამოჩნდნენ, რომ ყველანი გაანთავისუფლონ...

— მოითმინეთ, ბატონო, კიდევ ერთ საათს, კიდევ ერთ საათს...

მაგრამ ოფიცერი ყურსაც არ ათხოვებდა, მან ორ ჯარისკაცს უბრძანა, ქალიშვილი დაეჭირათ და წაეყვანათ, რომ მოხუცი მშვიდად დაეხვრიტათ. ფრანსუაზის გულში საშინელი ბრძოლა გაიმართა. მას არ შეეძლო ასე გაეწირა მამა სასიკვდილოდ. არა, არა. აჯობებს დომინიკთან ერთად თვითონ მოკვდეს, და ფრანსუაზი თავის ოთახისკენ გაიჭრა. ამ დროს დომინიკი თვითონ შევიდა ეზოში.

ოფიცერმა და ჯარისკაცებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს. ის კი, თითქოს ფრანსუაზს გარდა იქ არავინ ყოფილიყოს, მასთან მივიდა და მშვიდი, ოდნავ მკაცრი სახით უთხრა:

— ცუდად მოიქეცით, რატომ არ წამომიყვანეთ... მამა ბონტანს რომ არ ეთქვა ჩემთვის ამბავი... ერთი სიტყვით, აქა ვარ.

V

სამი საათი იყო, ქარიშხლისაგან მოდენილმა შავმა უზარმაზარმა ღრუბლებმა თანდათან დაჰფარეს ცა. ყვითელმა ცამ და ღრუბლების სპილენძის ფერმა ნაფლეთებმა როკრეზის მხიარული ველი საეჭვო ჩრდილებით მოფენილ ყაჩაღების ბუნაგად გადააქციეს.

პრუსიელი ოფიცერი დომინიკის დაპატიმრებით დაკმაყოფილდა. სიტყვა არ დასცდენია იმაზე, თუ რა ბედს უქადდა მას. შუადღიდან ფრანსუაზს აუტანელ ტანჯვაში გული ელეოდა. მიუხედავად მამის დაჟინებისა, ქალიშვილს ეზოდან წასვლა არ უნდოდა. ფრანგებს მოელოდა. მაგრამ საათები მიდიოდა, მალე დაღამდებოდა. ფრანსუაზი მით უფრო იტანჯებოდა, რომ ეს მოგებული დრო, როგორც სჩანდა, საშინელ ბოლოს ვეღარ შესცვლიდა.

დაახლოებით სამ საათზე პრუსიელები წასასვლელად მზადებას შეუდგნენ. რამდენიმე წუთს, როგორც წინა დღეს, ოფიცერმა დომინიკთან ერთად კარი ჩაიკეტა. ფრანსუაზი მიხვდა, რომ ახალგაზრდა კაცის ბედი სწყდებოდა. მაშინ გულზე ხელები დაიკრიბა და ლოცვას შეუდგა. მის გვერდით მამა მერლიე იდგა მდუმარედ და უძრავად, როგორც მოხუცი გლეხი, რომელიც ბედის გარდუვალობას არ ებრძვის.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — ბუტბუტებდა ფრანსუაზი, — მოჰკლავენ!..

მეწისქვილემ ქალიშვილი თავისკენ მიიზიდა და ბავშვივით მუხლებზე დაისვა.

ამ დროს ოფიცერი სახლიდან გამოვიდა, მის უკან ორ ჯარისკაცს დომინიკი მოჰყავდა.

— არასოდეს, არასოდეს! — ყვიროდა ახალგაზრდა.—მზად ვარ მოვკვდე-

— კარგად დაფიქრდით, — უთხრა ოფიცერმა: — იმ სამსახურს, რომელზედაც თქვენ უარს გვეუბნებით, სხვა გაგვიწევს. სიცოცხლეს გთავაზობთ, დიდსულოვნად ვიქცევი. უბრალო საქმეა, ტყეებში გაგვატაროთ და მონრედონში მიგვიყვანოთ. იქ ბილიკები იქნება.

დომინიკი პასუხს აღარ აძლევდა.

— მაშ, ჯიუტობთ!

— მომკალით და გაათავეთ! — უპასუხა მან.

გულხელდაკრებილი ფრანსუაზი შორიდან ემუდარებოდა: ყველაფერი დაავიწყდა, შეეძლო სიმხდალე ერჩია მისთვის. მამა მერლიემ ქალიშვილს ხელები დაუჭირა, რათა პრუსიელებს გაგიჟებული ქალის ქცევა არ შეენიშნათ.

— დომინიკი მართალია, — ჩაიჩურჩულა მოხუცმა: — სიკვდილი სჯობს.

ოცეული იქვე იდგა ბრძანების სისრულეში მოსაყვანად. ოფიცერი ელოდებოდა დომინიკის გატეხას. კვლავ ჰქონდა იმედი, რომ დაითანხმებდა. სიჩუმე ჩამოვარდა. შორიდან გაცოფებული ქუხილი ისმოდა. სოფელს აუტანელი სიცხე დასწოლოდა, და ამ სიჩუმეში ძახილი შემოიჭრა:

— ფრანგები! ფრანგები!

მართლაც, ისინი იყვნენ. სოვალის გზაზე, ტყის პირად წითელი შარვლების ზოლი გამოჩნდა. წისქვილი დიდმა მღელვარებამ მოიცვა. პრუსიელი ჯარისკაცები დარბოდნენ, ისმოდა მათი ყვირილი, მაგრამ თოფი ჯერ კიდევ ერთხელაც არ გაუსროლიათ.

— ფრანგები! ფრანგები! — ტაშისცემით ყვიროდა ფრანსუაზი.

გიჟივით იქცეოდა. მამას ხელიდან გაუსხლტა, იცინოდა, ხელებს შლიდა. ფრანგები ბოლოს ხომ მაინც მოვიდნენ, დროზე მოვიდნენ, რადგან დომინიკი ჯერ კიდევ აქ არის, ჯერ კიდევ ფეხზე დგას.

გაისმა ოცეულის საშინელი ბათქი, რაც ფრანსუაზის ყურს მეხის დაცემასავით მოხვდა და იგი მიატრიალა. ერთი წამის წინ ოფიცერმა ჩაილაპარაკა:

— უწინარეს ყოვლისა, მოვაწესრიგოთ ეს საქმე!

და ფარდულის კედლისაკენ თავათ ჰკრა ხელი დომინიკს, თან უბრძანა ჯარისკაცებს — ესროლათ. ფრანსუაზი რომ მიტრიალდა, დომინიკი მიწაზე ეგდო, თორმეტი ტყვიით მკერდგანგმირული.

ქალიშვილი არ ატირებულა. იდგა გამოთაყვანებული, გამოშტერებული. მერე ფარდულის ქვეშ დაჯდა, მკვდარს რამოდენიმე ნაბიჯით დაშორებული. დასცქეროდა მას, ხანდახან გაურკვევლად და ბავშვურად ხელს იქნევდა. მამა მერლიე პრუსიელებმა მძევლად წაიყვანეს.

დიდი ბრძოლა გაიმართა. ოფიცერმა თავის ჯარისკაცებს სწრაფად საომარი ადგილი მიუჩინა. კარგად ესმოდა, რომ უკან დახევა თავის განადგურებას ნიშნავდა. სჯობდა, სიცოცხლე რაც შეიძლება ძვირად შეეწირა. ახლა წისქვილს პრუსიელები იცავდნენ, ფრანგები კი უტევდნენ. სასტიკი, გაუგონარი სროლა გაჩაღდა. ნახევარ საათს არ შეწყვეტილა. მერე ყრუ აფეთქება გაისმა და ყუმბარამ ასწლოვან თელას მთავარი ტოტი მოსტეხა. ფრანგებს

ზარბაზნები ჰქონდათ. სწორედ იმ თხრილთან დადგმული ბატარია, სადაც დომინიკი იმალებოდა, როკრეზის შარაგზას უშენდა.

საბრალო წისქვილი: აქა-იქ მის სხეულში ყუმბარები იჭრებოდნენ, ნახევარი სახურავი მოჰგლიჯეს, ორი კედელი ჩაუნგრიეს. განსაკუთრებით ცაზარელი მოსჩანდა წისქვილი შორიდან. შერყეული კედლებიდან მოგლეჯილი სურო ძონძებივით ეკიდა. მდინარეს ნამსხვრევები და ნაფლეთები მიჰქონდა. პირდაღებულ კედელში მოსჩანდა ფრანსუაზის ოთახი, მისი საწოლი. ძველ ბორბალს ზედიზედ ორი ყუმბარა მოჰხვდა. უკანასკნელი კვნესა აღმოხდა: მისი ფრთები მდინარემ გაიტაცა, მორგვი დაელეწა. ასე განშორდა მხიარულ წისქვილს სული.

მერე ფრანგებმა იერიში მიიტანეს. აუწერელი ხელჩართულ ბრძოლა გაიმართა. ჟანგისფერ ცის ქვეშ ეს არე-მარე გვამებით ივსებოდა. ვრცელი საძოვრები, აქა-იქ აღმართული უზარმაზარი ხეები, ჭადრები, რომლების ჩრდილიც მინდვრებს ლაქებად დასდებოდა, გამძვინვარებულნი მოსჩანდნენ. მარჯვნივ და მარცხნივ აღმართული ტყეები ცირკის კედლებივით ირგვლივ შემოვლებოდნენ მებრძოლთ. წყაროები, ნაკადულები და ღელეები ქვითინით მიჩხრიალებდნენ ამ შეშფოთებულ მიდამოში.

ფარდულქვეშ დომინიკის გვამის პირდაპირ ჩამჯდარი ფრანსუაზი არ განძრეულა. მამა მერლიე ტყვიამ განგმირა. როდესაც პრუსიელები მოსპობილ იქნენ და წისქვილი იწვოდა, ეზოში ფრანგი კაპიტანი შევიდა. ომის დაწყებიდან მის მიერ მოპოებული ეს პირველი გამარჯვება იყო. ძალზე აღგზნებული, ატაცებული, წელგამართული იცინოდა, მშვენიერი მხედრის სანდომიანი სახით. როდესაც წისქვილის აკვამლებულ ნანგრევებში დომინიკსა და მამა მერლიეს გვამებს შორის შეშლილი ფრანსუაზი შენიშნა, თავიხი ხმლით თავაზიანად მიესალმა მას და წამოიძახა:

— გამარჯვება! გამარჯვება!

თარგმანი ფრანგულიდან **ირაკლი ქავჭარაძისა.**

ლევან გოთუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლე

დრამა 4 მოქმ. 7 სურათად

I მოქმედება: განგაში,
II მოქმედება: 1-ლი სურათი — ვერაგული შეთქმა,
მე-2 სურათი — სევდის ბაღი,
მე-3 სურათი — გატეხილი საზი,
III მოქმედება: 1-ლი სურათი — დაღვრილი სადღეგრძელო,
მე-2 სურათი — გმირის ცრემლი,
IV მოქმედება — შიშველი ხმალი.
მოქმედება სწარმოებს 1760—69 წლებში, საქართველოში.

მოქმედნი პირნი:

1. ერეკლე II—მეფე ქართლ-კახეთისა, შუა ტანის, მკვრივი, შავგვრემანი, მკვეთრად ნატვიფარი სახისა, 45 წლ.
2. ლევან — ბატონიშვილი, მისი შვილი, 24 წლისა, მარჯვე, მედგარი, თვალტანადი.
3. თეკლა — ბატონიშვილი, ერეკლეს ქალი, 16—17 წლისა, მარჯვე, ლამაზი, რიხიანი მებრძოლი, ხშირად ვაჟურ სამოსში გამოწყობილი და იარაღ-ასხმული.
4. პაატა — ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ის შვილი, ერეკლეს ბიძა, ევროპულად განათლებული, 50 წლისა.
5. ანა — მისი ქალი, 17 წლისა, საოცარი სილამაზისა, მეტად ნაზი.
6. ბესიკი — (ბესარიონ გაბაშვილი), ახალგაზრდა მგოსანი, თმახუჭუჭა, ტან-კენარი, სახე-ნახატი, მარჯვე მებრძოლი. ანას გატაცებული მოტრფიალე.
7. სოლომონ ლეონიძე — მსაჯული. დარბაისელი, ხანში შესული, ჭარმაგი ჭაღარა. ფართო შუბლი და მტკიცედ ნაკვეთი ტუჩები ამჟღავნებენ ნათელ გონებას და ურყევ ნებისყოფას.
8. დავით სარდალი — ერეკლეს სიძე, ახალგაზრდა, თავდადებული მეომარი.
9. ბერუჩა წავკისელი — მედროშე, მხარბეჭიანი მოხუცი, თავდადებული და ალალ-მართალი.
10. დიმიტრი ამილახვარი — სახლთუხუცესი, მეფის მძახალი, მოხუცი, ამაყი და პატივმოყვარე.
11. ელიზბარ თაქთაქიშვილი — საამილახვროს თავადიშვილი, ფლიდი, ვერაგი, ერეკლეს ფარული მტერი.

12. გლახა ციციშვილი — სპარსეთის მომხრე, შეთქმული ერეკლეს წინააღმდეგ.
13. დიასამიძე — შეთქმის მონაწილე.
14. საიათნოვა — განთქმული აშუღი, ყარაჩოღელი, ხელოსანი, ბაკუამა-ხვილი, მკვრივად ტანსრული, 48 — 50 წლისა.
15. დათუნა ფეიქარი — ხელოსანი, 30 წლისა.
16. პატრი ნიკოლა — კაპუცინელი მისიონერი, გამხდარი, მაღალი, პაატა ბატონიშვილის მოძღვარი, ანას მასწავლებელი.
17. ანტონ კათოლიკოსი, — მცირე ტანისა, ჭაღარა, მკაცრი, ასკეტი.
18. აზატ-ხანი — ისპაჰანის მფლობელი, ირანის ტახტის მაძიებელი, შუა-ხნის ბრგე მებრძოლი.
19. დაუდ-ბაში — აზატხანის სარდალი.
20. პაპუნა ორბელიანი — ისტორიკოსი, მწიგნობარი.
21. სეხნია ჩხეიძე — დიდებული.
22. იბრაგიმ-ბეგი — შუშის მფლობელი, ერეკლე მეფის ერთგული და მოკავშირე.
23. ყარა-ხოჯა — აზატ-ხანის მოლა და ემისარი.
24. ყოჩ-აშუღი — აზატ-ხანის აშუღი, საჯაშუშოდ მოგზავნილი, მაღალი, გამხდარი, გრძელ-კისერა, ხმა გამყივანი.
25. გიგია — გლეხი, შემდგომ შიკრიკი.
26. ციხისთავი.

1-ლი გლეხი.
მე-2 გლეხი.
მე-3 გლეხი.
მე-4 გლეხი.
გლეხი ქალი.
გლეხები: ქალები, კაცები.
მეფე ერეკლეს და აზატ-ხანის მეომრები.
რუსი მეზარბაზნე (3-4 კაცი).
თავადები, მოქალაქეები, ხელოსნები.

მოქმედება პირველი

განგაში

ქართლი. პაატა ბატონიშვილის კოშკი. შიდა ხედი. ქვის კიბე. მარჯვნივ დიდი ალაყაფი, მარცხნივ მცირე დარკინული კარი. გალავანი. კოშკი. ბანზე ზარი.

ფარდის ახდისას ზარს უმოწყალოდ არისხებენ. შემორბიან სოფლელები.

ხმები — ლეკები! ლეკები! ყიზილბაშები, არიქა! ლეკების თარეში! ციხეში შემოდით, ციხეში!
(შემორბიან გლეხები ნამგლებით, ცელებით, ზოგს უღელი აქვს გადებული მხარზე. ქალებს დოქები და სამხრის ჭურჭელი უჭირავთ. აქა-იქ გავარდება თოფი).

ციხისთავი — აბა, ბიჭებო, იარაღი გამოიტანეთ! ჰა, ალაყაფთან ფრთხილად. აბა მალე, მალე შემოდით! გამოჭეტეთ, არ შემოგვისწრონ.

1-ლი გლეხი — ვაი ჩვენს ბედსა, ეს მეხუთედ გვეცემიან ამ კვირეა, მერე რა დროსა!

გლეხი ქალი — დედა-შვილობასა, აგვიკლეს, აგვაწიოკეს, ცოდო-ბრალი დაატრიალეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 გლეხი — ყანების მომკა მაინც დაგვცლოდა.

მე-3 გლეხი — ვინ დაგვაცდის! სულ არ აგვიკლეს ამ წყეულებმა!

მე-4 გლეხი — არც ჩვენი ბატონიშვილია შინა. ქალაქს წასულა, ერეკლე მეფის სასახლეშია.

ციხისთავი — მეფე ერეკლე და პაატა ბატონიშვილი ერთად მოვლენ. მაცნე დილა-ადრიანად გამიგზავნია.

1-ლი გლეხი — მეფე ერეკლეს სახელსა და მკლავს ვენაცვალე, ხელად აქ გაჩნდება. მდევარსაც მოიყვანს...

ციხისთავი — აბა, ყველანი შემოვიდნენ? არავინ არ დაგვრჩა ციხისგარეთ? ჩარაზეთ ალაყაფი. გუშაგები ადგილებზე! (ჩარაზავენ).

მე-2 გლეხი — კაცო, არ აგვიკლეს სულ ერთიანად?! რას გვერჩიან ეს ურჯულონი? (დარბაზიდან გამოდიან: ანა და პატრი ნიკოლა).

ანა — ისევ ლეკები, ისევ ომი, ისევ ზარის ხმა! როდის, როდის მოგვასვენებენ?

პატრი ნიკოლა — დაწყნარდით, ბატონიშვილო, ყველაფერი უზენაესის ნებით მალე დაშოშმინდება. მამათქვენიც მალე მობრძანდება, მაშველიც მოვა. (გალავანზე გუშაგების მოძრაობა და შეძახილი, ხალხიც მიიწევს).

ხმები — არიქა, გამოიარე, გამოიარე! დააგდე ტვირთი! მოგწვდნენ სადაცაა!

გლეხის ქალი — ვაი გულო! ვაი გულო! ვაი გულო!

ციხისთავი — ვინ არის? დარჩა ვინმე?

მე-3 გლეხი — წავკისელი ბერუჩაა. ჩემს მახლობლად მკიდა. ოჯახში პური დაჰკლებია, აქ ჩამოსულა საშოვნელად.

1-ლი გლეხი — რაზე ჩამორჩა? ტყვედ არ ჩავარდეს, ლეკები მოსდევენ ფეხ-და-ფეხ.

ანა — არიქა, ჩაეშველეთ! (გლეხები მოზიდავენ თოფებს).

ციხისთავი — არ ესროლოთ, ბერუჩას არ მოარტყათ. მაგას ვიცნობ, ძველი მებრძოლია. სატევარი თან ექნება, თავად მოაღწევს ციხეს.

მე-3 გლეხი — არიქა, დააგდე ეგ ტვირთი, აიდგი ფეხი, კაცო!

ანა — აჰ! ლეკები ეწევიან, მისწვდნენ!

ციხისთავი — აბა შეემზადენით კართან.

ხმები — (გალავანზე) ჰო, შენ გაგახარა ღმერთმა!

მე-4 გლეხი — არ გააქცია ორივე!

ციხისთავი — გაუღეთ! (კარს გააღებენ, შემოდის ბერუჩა წავკისელი. ზურგზე მოკიდებული აქვს ტომარა და მოზრდილი ძნა. ერთ ხელში ნამგალი უჭირავს, მეორეში სატევარი. დინჯად ჩააგებს სატევარს, მოიხსნის ტვირთს, წელში გაიჩრის ნამგალს).

ბერუჩა — გამარჯობათ, ხალხნო! ბატონიშვილს ვახლავარ!

ხმები — გაგიმარჯოს! გიშველა ღმერთმა!

ციხისთავი — შე კაი კაცო, ძნები რომ აგიკიდია და მოათრევ, არ გესმის ზარის ხმა? ყურს ხომ არ დაგაკლდა, ბერუჩავ? ლეკებია, კაცო, ლეკები!

ბ ე რ უ ჩ ა — რათა, შვილოსა, სატევარი თან მქონდა, განა, ჰო-და, აბა ამ ჩემ ოფლის მონაგარსა აგრე ხომ არ დავაგდებდი, თავთავი ხელით მომიფშვნია, მერე, შე კაი კაცო, შეხე, რა თავთუხია, ავ თვალს არ დაენახვება. ამას დააგდებს კაცი? მე იმას ვნანობ, რომ მეტი ვერ [illegible] — რასაც ლეკებს გადაარჩენ, ყველაფერი ხეირია.

ა ნ ა — მერე, ტყვედ რომ ჩავარდნილიყავ, ოჯახზე არ გიფიქრია?

ბ ე რ უ ჩ ა — ეჰ, სწორედ რომ მიფიქრია, ბატონიშვილო, ამიტომ ჩამოვსულვარ, ოჯახში პური დამაკლდა. მაგრამ არც ვაქკაცობა დამვიწყნია: მე მეფე ერეკლეს მედროშედ ვხლებივარ, ხმალ-ხანჯალი დაფერილი შემინახია.

მ ე-2 გ ლ ე ხ ი — კაცო, მაინც რას გვერჩიან ეს უღვთონი? ყველა რომ ჩვენს წინაალმდეგ ამხედრებულა, ესა და... ლეკებია, ირან-თურანი, ყეენი და ხონთქარი, ახალციხის ფაშა. ახლა აზატ-ხანზედაც ამბობენ. ეს ლეკები სწორედ იმან მოგვისიაო.

ბ ე რ უ ჩ ა — აბა, მე რა ვიცი. ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა-გულსაო. სიტყვაცა და საქმეცა. ი დალოცვილ შოთას უთქვამს. მეც სწორეთ კვერი დამიკრავს.

მ ე-3 გ ლ ე ხ ი — აგერ პატრ ნიკოლასა ვკითხოთ, ნასწავლი კაცია. უცხო ამბები ეცოდინება.

ხ მ ე ბ ი — ჰო-და, სწორედ გვითხარი, მამაო...

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — მიზეზი ბევრია, მტერიც ურიცხვი ჰყავთ ქრისტეს მოსავთ...

ბ ე რ უ ჩ ა — შენ გიშველა ღმერთმა, სწორი სიტყვაა: მეფე ერეკლესაგანაც აგრე გამიგია. დაილოცოს მისი აზრი და მარჯვენა!

მ ე-4 გ ლ ე ხ ი — ჰო-და, მაინც უმთავრესი რა იქნება, ჰა?

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — მეფე ერეკლე რუსეთის მეგობრობას აპირებს, ამისი ეშინიან მთელ აღმოსავლეთს, ამიტომ გაწიოკებენ. მეფე ერეკლე თავის აზრზე დგას მაინც. სახიფათო გზა აურჩევია.

1-ლ ი გ ლ ე ხ ი — ეჰ, ამ ურჯულოთ რუსეთის მეგობრობა ბარემ სჯობია, ქრისტიანები მაინც არიან.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — ქრისტიანები სხვაგანაც მოიპოვებიან, იქნებ უფრო წესიერნიც... (მიუბრუნდება ანას).

ბ ე რ უ ჩ ა — (ხმადაბლა) კაცო, ვინ არის ეგ მოძღვარი? რაღაც ჩვენი არა სჩანს.

1-ლ ი გ ლ ე ხ ი — არც ჩვენია, არც სხვისია, ეშმაკმა იცის, ვისია! ფრანგს ამბობენ, კათოლიკეაო. პაატა ბატონიშვილს ჩამოჰყოლია, სტამბოლს იქით რომ ქვეყანაა, აი იქიდანა.

ბ ე რ უ ჩ ა — ჰეი, ჰეი, შორეული ყოფილა, არ მომდის როგორღაც. მისი აზრიც აქაურს არ წააგავს. (პატრ ნიკოლას) მაშ გამოდის, ურჯულონი ერეკლე მეფის გამო გვარბევენ, არა?

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — იქნებ მაგრეცაა. (მცირე კარიდან კაკუნი მოისმის).

1-ლ ი გ ლ ე ხ ი — სსუ! ჩუმად!

მ ე-2 გ ლ ე ხ ი — მცირე კარს აკაკუნებენ.

მ ე-3 გ ლ ე ხ ი — საიდუმლო გვირაბით ვიღაც მოსულა.

მ ე-4 გ ლ ე ხ ი — მტერი არ იყოს...

ციხისთავი — მოემზადენით! (მივა) ვინა ხარ? მტერი თუ მოყვარე? სიტყვა?

ხმა კარს უკანიდან — სამკალი! მე ვარ, გიგია. მახარობელიც მომიყვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმები — სამკალიო. ვიღაც ჩვენია.

გლეხი ქალი — გიგიაა, ხმაზე ვიცანი, შენ გაგახაროს ღმერთმა!

ციხისთავი — სწორია, გიგიაა. კარი გაუღეთ! (უღებენ, შემოდიან გიგია და ნაბდოსანი მოხუცი).

ნაბდოსანი და გიგია — აქა მშვიდობა და გამარჯვება!

ხმები — გაცოცხლოთ ღმერთმა! ხომ მშვიდობით მოხვედით!

ანა — გიგია, შენა ხარ?

გიგია — მე გახლავარ, ბატონიშვილო.

ანა — მამისაგან რა ამბავი მოგიტანია?

გიგია — მშვიდობა, ბატონიშვილო, მოდის მაშველი, მოდის. თავათ მეფეს ვეახელ, მეფე ერეკლეს, მამათქვენმა, ბატონიშვილმა, წამიყვანა. საცაა მოვლენ!

ხმები — გიშველა ღმერთმა, მაშველი მოვა!

გიგია — დავით სარდალმა ეს მოხუცი გამომაყოლა, თან ბრძანება გამოატანა ციხისთავთანა.

ციხისთავი — აბა სად არის ბრძანება! (ნაბდოსანი გადასცემს ბრძანებას, ციხისთავი უკითხავს ანას და პატრ ნიკოლას).

გიგია — ეს მოხუცი სწორედ ვეფხი ყოფილა, ვერც მუხლში მოვყევ და ვერც მკლავში ვაჯობე. გზაში ლეკები შემოგვხვდნენ. მე ერთს დავუხვდი, მაგან სამი გაინაპირა. მიზანი კი ისეთი სკოდნია, ძია ბერუჩაც ვერ შეედრება.

ხმები — ჰეი-ჰეი! მეჩანგე რამე ჩანს. ქორბუდა წარბებს შეხედე. წვერიც დიდად საპატიო აქვს.

ბერუჩა — არც ისეთი მოხუცი უნდა იყოს, როგორც აჩენს წვერის ჭალარა. (მიმართავს ნაბდოსანს) მოდი, მოხუცო, აქ ჩამოჯექ, დაიღლებოდი.

ნაბდოსანი — არა, ბერუჩავ, უფრო მეტი გზაც გამივლია.

ბერუჩა — ბერუჩაო! შენ რა იცი ჩემი სახელი?

ნაბდოსანი — ვინ არ იცნობს წავკისელ მედროშეს, მეფე ერეკლეს შეძახილზე მტერს რომ ჩაუხტება თავის ვეფხებით?

ბერუჩა — ეჰე, დაილოცა მეფე ერეკლეს სახელი! შენ კი ვინა ხარ? (ანა და ციხისთავი ქვევით ჩადიან).

ნაბდოსანი — მწირი, ყარიბი...

ანა — ყარიბი? სიტყვა მეცნობა, თითქოს ხმაც. უთუოდ კეთილი კაცი ხარ და კარგი ამბის მახარობელი.

ციხისთავი — დავით სარდალს შემოუთვლია, ჩემს მოსვლამდე ციხეში გამაგრდიო. თვით მეფე მოვა მდევრად.

ხმები — თვით მეფე? მეფე ერეკლე?

ნაბდოსანი — და ოდეს მეფე ერეკლე, ჩვენი მხსნელი, ჩვენი იმედი, დაჭრავს ყიჟინას, ჩვენც ამ ციხიდან ჩვენებურად ჩავეხმარებით, არა, ბერუჩავ?

ბერუჩა — ჰაი დედასა, ჩავეხმარებით! შიშსაც მივცემთ ლეკების ჭივჭავს!

ციხისთავი — ამ ჭალარას ჯერ რა ფიცხი გული ჰქონია.

ანა — კიდევ რას გვეტყვი? საამო ხმით რამე გვაუწყე.

ნაბდოსანი — თქვენ სიცოცხლეს, თქვენს გამარჯვებას! ოო, ბევრი ტკბილის თქმა ძალმიძს, და ღირსიც იყვე, მშვენების ხატო. ოოოად როცა ველზე მტერი თარეშობს, ჩემი სიტყვა ან ხმალია ან ... — ... (შეისწორებს ნაბადს, გამოუჩნდება ხმალ-ხანჯალი და ...).

ბერუჩა — ეჰე! ბერიკაცო, შენ უცნაური ჩვევა გქონია, ჩანგსაც ატარებ, ხმალსაც...

ნაბდოსანი — ისე, როგორც შენ, ჩემო ბერუჩავ: ნამგალსაც ატარებ და სატევარსაც.

ხმები — სიტყვა კოხტად მოუჭრია. ჰაი, ჰაი. მართალია.

ნაბდოსანი — ასეთია ყველას ბედი საქართველოში.

ანა — ყველას ბედი საქართველოში... მოხუცო, მწიროო-ყარიბო, იქნებ სთქვა რამე? გაგვამხნევე სევდიანები.

ბერუჩა — მართალია, ბერიკაცო, ჩანგის ხმა გულს ანუგეშებს, ხმალს ლესავს ხოლმე. ანა ბატონიშვილსაც ნუ აწყენინებ, ღვთისნიერი ადამიანია და მწირების დიდი მოწყალე.

ნაბდოსანი — ჩანგი ხმალს ლესავს? ლექსს გააჩნია. ხანდახან გულს ალხვობს მხოლოდ. ეჰ, მომიტეოს, ვის წინაშეც დამნაშავე ვარ. (ჩანგს მომართავს, ჩამოჰკრავს, წარმოსთქვამს)

... ვფიცავ, მე არვინ მიხილავს,
რომ არს მშვენებით ანაო...
მთვარესა ეზრახებოდა:
„შენ ვერ ხარ ჩემისთანაო“.
ვარსკვლავნი მისდა სამონოდ
გარს უდგენ — თანის-თანაო,
მხილველნო, დამემოწმენით:
კარგი ყოფილა განაო?

ციხისთავი — (გაჰხედავს გალავნიდან). ხევის პირზე გუნდ-გუნდათ იკრიბებიან, უვლიან ციხეს. რაღაცას გვიპირებენ. აბა შევემზადოთ! (ყველანი მიჰყვებიან, გარდა ანა ბატონიშვილის, პატრ ნიკოლასი და ნაბდოსანისა).

პატრი ნიკოლა — ჩვენც წავიდეთ, შვილო ანა. (ანა ბატონიშვილი ყურს არ უგდებს, ნაბდოსანს შეჰყურებს ათრთოლებული) ბატონიშვილო, დროა ვილოცოთ.

(ანა უნებურად მიჰყვება მოძღვარს. ნაბდოსანი ჩანგს ააყღერებს).

ანა — (შედგება. პატრს) თქვენ წაბრძანდით, მეც მალე მოვალ.

(პატრი გადის)

ნაბდოსანი — (განაგრძობს)

ცნობა მიმიღო და გული,
ხედვით შემზღუდა ანამან;
კვლავ მომკლა მისმა ციალმან
და წელთა მიმოტანამან,
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან
აპკურა ცრემლი, ანამა,
ჯობს რომ არ ჰყავდეს მიჯნური
ან მოკლას ამისთანამან.

ანა — (ტოკავს) ბესიკ, შენა?

ბესიკი — (გადაიგდებს ნაბადს, ჩამოიცლის წვერს) დიახ, მე ვარ, ჩემო მზეო-სასურო.

ანა — ჩემო მწირო, ჩემო ყარიბო... მერე, ასე რად?

ბესიკი — საჭირო იყო, ყველა ამიმხედრდა. ჩვენი ტრფობა-ბევრიაწუხებს. მეფესაც, მამათქვენსაც, ამ პატრსაც, თქვენთან რომ ფარულ მაცნედ შემოჩენილა. გავიგე, რომ აქეთ თარეშია, საფრთხე მოგელის და შენი ბესიკ, რა თქმა უნდა, გეახლებოდა. დავით სარდალი დამეხმარა. გიგიას გამომაყოლა. (ციხის სარკმელიდან პატრი ნიკოლა გამოიხედავს).

პატრი ნიკოლა — ჰა, აი მოხუცი ვინა ყოფილა! ისევ ბესიკი! (შორიდან ყიჟინი ისმის).

ბესიკი — ბრძოლის ხმაა, იქ ხმალი მიხმობს (გადაეხვევა, მერე ისევ მოიგდებს მხრებზე ნაბადს, ჩამოიშვებს წვერს და აირბენს გალავანზე. კიბეზე ჩამოდის პატრი ნიკოლა).

პატრი ნიკოლა — ეს „ბერიკაცი". მეტად ფიცხი ვინმე ყოფილა, თან, მომხიბლველი ლექსებიც უხვად სცოდნია.

ანა — ეგ „ბერიკაცი" მარადჟამის ახალგაზრდაა. (გადის. გალავანზე და საფარებში ჩოჩქოლია. გლეხები სათოფურებთან საბრძოლველად ემზადებიან).

ციხისთავი — ის ვინღაა, ასე ახლო რომ უვლის ციხეს, ასე უშიშრად?

ბერუჩა — ხოჯასა ჰგავს, ვერა ჰხედავ, ჩალმა აქვს, თეთრი.

გიგია — თან იარაღიც. თითქოს რაღაც ნიშანს იძლევა.

1-ლი გლეხი — დახეთ იმ ღმერთძაღლს, ჩემ ძნას ცეცხლი მოუკიდა. ვაი ჩემო ჭირნახულო!

ხმები — რა ჰქნა წყეულმა!

ბესიკი — მაცალოს მაგან. გიგია, აბა აქ მომეც! (გამოართმევს თოფს, დაუმიზნებს)

ბერუჩა — მეტად შორს არის, ვერ მოარტყამ. (ბესიკი ესვრის).

ციხისთავი — მოხვდა! (დარბაზიდან ანა გამოვარდება)

ბერუჩა — შენი მარჯვენის ჭირიმე! აბა, ბიჭებო, ჩაუხდეთ ერთი!

ციხისთავი — შორს არ წახვიდეთ. (გაუღებენ ალაყაფის კარს, გავარდებიან ბერუჩა, გიგია და სხვანი. დარჩენილნი თვალს ადევნებენ გალავნიდან). ვაშა, ბერუჩავ!

(შემორბიან ბერუჩა, გიგია და სხვები. შემოჰყავთ ხელებშეკრული, მსუბუქად დაჭრილი ყარა-ხოჯა).

ციხისთავი — დაგვრჩი, შე ურჯულო! ვინა ხარ?

გიგია — რად მოსულხარ ამ ჩვენს მხარეში? (ტყვე სდუმს)

ციხისთავი — შენი სახელი? (მიიწევს)

ყარა-ხოჯა — ყარა-ხოჯა.

1-ლი გლეხი — რა გინდოდა, ძნას რად მიწვავდი, შე ურჯულოვ?

მე-2 გლეხი — ოჯახი არა გყავს? ჭირნახულზე არ გიშრომია?

გიგია — ეგ ხომ ხოჯაა, სამუშაოდ სხვა ეყოლება.

ციხისთავი — (მუქარით) რას უვლიდი ციხეს გარშემო?

ყარა-ხოჯა — გამომგზავნეს, აბა, რა მექნა!

ციხისთავი — ვინ გამოგგზავნა?

ყარა-ხოჯა — მზეზე მაღალმა.

პატრი ნიკოლა — (შეკრთება) მზეზე მაღალმა?

ბერუჩა — დაგიბნელდეს, ვგონებ, ეგ შენი მზეცა! (მიეჭრება)

ანა — ხელი არ ახლო, ტყვეა! უხმეთ დოსტაქარს!

გიგია — დამარცხებული მტერი უკვე სტუმარია, ვუხმობ დოსტაქარს.

პატრი ნიკოლა — მე მაცალეთ, მე ვუწამლებ მაგას.

ციხისთავი — აბა, გალავანზე! არ შემოგვეპარონ. (გადიან ყველანი, გარდა ყარა-ხოჯასი, პატრ ნიკოლასი, ანასი და ბესიკისა).

ანა — (ბესიკს) მომყევ, ყარიბო, მალამოს გამოგატან დაჭრილისათვის. (ბესიკი გაჰყვება. ორივენი შევლენ კოშკის დარბაზში, პატრი ნიკოლა და ყარა-ხოჯა მარტონი დარჩებიან).

პატრი ნიკოლა — ყარა-ხოჯა, ვისთან მოსულხარ? რა „სხივი"... მოგაქვს?

ყარა-ხოჯა — (აკვირდება) „მთვარესთან" „აისის სხივი"... პატრო ნიკოლავ.

პატრი ნიკოლა — დიახ, მე ვარ. ჩუმად... გელოდებოდი, შეგავვიანდა. აბა, მომეც, დაუჩქარე. (შეუხსნის ხელებს)

ყარა-ხოჯა — (ამოიღებს წალის ყელიდან) ეს აზატ-ხანის ფირმანია პაატა ბატონიშვილთან, ესეც ბეჭედი „სასწაულისა", მთავარმა მისიონმა გამოგიგზავნა, ესეც მისი ბარათი. (გადასცემს).

პატრი ნიკოლა — აჰა, ბეჭედი „სასწაულისა" (იკეთებს თითზე).

ყარა-ხოჯა — ჩემს მფარველთან გექნებოდა რამე, მაგრამ რას იზამ, ეცალ-ლაჰ! ჩემი ბედი შენ გაბარია.

პატრი ნიკოლა — ფიქრი ნუ გაქვს. (შემოხსნის თოკს და გალავანზე ააგდებს) ესეც სიგელი, აზატხანს მიართმევ, მზეზე მაღალს, ახლა იჩქარე, ჭრილობა სადა გაქვს?

ყარა-ხოჯა — უბრალოა, თეძოს თავში გამკაწრა ტყვიამ. ვივლი. მხოლოდ როგორ გავიდე?

პატრი ნიკოლა — მომყევი, აბა, მარჯვედ. თოკი გალავანზე იყვეს, თითქოს გადახტი. (კიბეზე გადმოდგებიან: ანა და ბესიკი, პატრი ნიკოლა გაალებს მცირე კარს) გზა მშვიდობისა! (ყარა-ხოჯა გარბის, პატრი ნიკოლა მიხურავს კარს).

ბესიკი — ეგ რა ჰქენ, პატრო ნიკოლავ?

პატრი ნიკოლა — (შეკრთება, მაგრამ არ დაიბნევა) ღვთიური საქმე....

ბესიკი — ღვთიური? მაგ სამოსის ქვეშ რა გული ჰფეთქავს? ღვთის საწელს უკან რა იმალება?

პატრი ნიკოლა — იქნებ მაგ ნაბდის ქვეშაც სულ სხვა ვინმეა. ეგ ლექსებიც იქნება სხვა რამეს ჰფარავენ. დავდუმდეთ.

ბესიკი — (შესძახებს) პატრო ნიკოლავ, ტყვე სადაა? სად გაუშვი? (შემორბიან ციხისთავი და სხვები)

ხმები — ტყვე რა იქნა? გაიქცა? როგორ გაიქცა?

პატრი ნიკოლა — (ბესიკს) ბერიკაცო, რა გაყვირებს, საეჭვოდ ხომ არა ხარ შემოჩენილი? ციხისთავო, იქნებ გავჩხრიკოთ?

ანა — (შეკრთება, ჩაერევა) მაცალეთ! ტყვე მე გავუშვი, დაჭრილი იყო, ძლივს გაფორთხდა, შვილები მყავს, პატარებიო. შემაცდინესო, აწ არაოდეს აღარ მოვალო. თქვენ ღმერთს ვილოცავო, უკუნითი უკუნისამდე. ამის მოწმეა ღვთის მოსავი პატრი ნიკოლა. და თუ მე აქ ტყუილი მითქვამს, აღსარების დროს შემახსენოს ჩემმა მოძღვარმა!

პატრი ნიკოლა — სათნო სიტყვაა. საღვთო წიგნშიაც ასე სწერია: „ნუ მიაგებ ბოროტისა წილ ბოროტსა“.
(შორიდან ისმის რაღაც გაურკვეველი ხმაური და საქონლის ბღავილი. ყველანი გალავანს მივარდებიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი გლეხი — ოჰ, დედასა, ჩვენი ნახირი მოურეკიათ!

გლეხი ქალი — ვაიმე, ჩემო ფურ-კამეჩო, ეხლა-კი ერთბაშად ავწიოკ-დით, შიმშილით გავწყდებით.

მე-2 გლეხი — შეხეთ, რას ჩადიან: ყანებში შერეკეს საქონელი. ყანებს ჯეკნიან.

მე-3 გლეხი — აქეთ შეხედეთ, თიბავენ ყანებს, აოხრებენ.

მე-4 გლეხი — ვენახებს ჭაფვენ.

გიგია — ჰოი, ბოროტებავ, ვით აგიზღოთ სამაგიერო?

1-ლი გლეხი — ეს რაღაა? წაიღე, დაგვარბიე, ეგ მონაგარი გაიტაცე და მოიხმარე — კიდევ ჰო. მაგრამ პურის გათიბვა, გადაჯეკნა, ვენახის გაკაფვა? არც მე, არც პატრონსაო. ხალხნო, ღმერთი არ არის?! პურის, ჭირნახულის, ოფლის, ამაგის ასე წარყვნა?

მე-2 გლეხი — ყელსა გვჭრიან. ვაი ჩემო ყანაო, მოწეულო, ტკბილო თავ-თავო, ნაოფლო ლუკმავ!

ბერუჩა — ეჰ, ამის მზერას სიკვდილი მიჯობს. ციხისთავო, გარეთ გამიშვი იმ ჭირნახულთან, ან დავაკლა მტერი, ან თავათ დავწვე. გაგონილა ყანის თიბვა, მოწეული ყანისა!

ხმები — გაგვიშვი, შევაკვდეთ იმ მუხანათებს! კარი, კარი გაგვიღე! (დაავლებენ ხელს ზოგი იარაღს, ზოგი ორთითს, ცელს, ნამგალს, კეტს და მიიწევენ ალაყაფისაკენ. ციხისთავი წინ გადაუდგებათ).

ციხისთავი — ხალხნო, სად მიიწევთ, აი ბრძანება, საცაა მოვლენ!

ბერუჩა — მეფე ერეკლემ მასწავლა ბრძოლის ყიჟინა. აქ ხმალი მერტყას და თვალწინ ყანას მიმკიდნენ, უხმლოდა მკლავდნენ მეც, ოჯახსაც! მე რომ გავჩერდე, ეს შრომისაგან დახეთქილი ხელები ყივილს ასტეხენ, წამახრჩობენ!

ციხისთავი — მახე არ იყვეს, თანაც ბინდდება უკვე.

ბესიკი — ამაზე მეტი მახე და ვერაგობა რაღა იქნება? ვერ დააკავებ სულ ერთია, კარი გააღე! (მივარდებიან, გააღებენ ალაყაფის კარს).

ბერუჩა — ხმალი მტარვალებს! (გავარდებიან ყიჟინით, გაჰყვებიან ქალებიც. ციხეში რჩებიან ანა და პატრი ნიკოლა).

ანა — პატრო ნიკოლავ! ჩემო მოძღვარო, რა ვქნა, შევცოდავ: ამ საქმეში სად არის ღვთიური ხელი? გარს ერტყმიან, ერთი მუჭაა, რას გახდებიან ამ ურდოებთან? ვინ არის მათი დამხსნელი? არ შემიძლიან, აღარ შემიძლიან. ამ ცოდო-ბრალს მე ვეღარ ვუმზერ! (დაემხობა გალავანის კიდეზე. უეცრივ შორით მოისმის დაფდაფის ხმა. მერე ყიჟინა).

პატრი ნიკოლა — მეფის დაფდაფი!

ანა — მეფე ერეკლეს დაფდაფი! მაშველი მოდის, მოუსწრეს, გადაარჩენენ, მამაც იქ არის ალბათ! (ბრძოლის ხმა ძლიერდება) ბინდი ჩამოწვა, აღარა სჩანს-რა. პატრო ნიკოლავ, რა ხდება, მითხარ?

პატრი ნიკოლა — მცირე თამაში იმასთან შედარებით, რაც წინ მოგველის. (შემოვარდება ციხისთავი).

ციხისთავი — მეფე ერეკლე მობრძანდება, შეფე ერეკლე, გამარჯვებული! (შემორბიან გლეხები: ბერუჩა, გიგია, სხვები).

გიგია — ბერუჩამ ზედ დააკლა იმ ყანას მათი ბელადი.

ბერუჩა — მეფე ერეკლემ სულზე მოგვისწრო, თორემ ვერც ყოთი ვერ გადავრჩებოდით.

მე-2 გლეხი — ჰაი-ჰაი მართალია. აბა, შევხვდეთ, აქ მობრძანდება.

ციხისთავი — აბა, ხალები, ფარდაგები! პაატა ბატონიშვილიც ახლავს, სხვა დიდებულნიც. პირდაპირ თათბირიდან წამოსულან ჩვენ საშველად. (გამოაქვთ ნოხები, შლიან. პატრი ნიკოლა გადის).

ანა — მაშ მამაც მოდის. ბერუჩავ, მწირი ყარიბი სადღაა, რაღაც ვერ ვხედავ.

ბერუჩა — ჰეი, რა ყოფილა: საითაც გაექანა, სუ მილეწა იქაურობა.

ანა — სად არის მერე?

ბერუჩა — ცხენიდან რომ დაითრია ლეკთა მოთავე, სულ ვალა-ვალა აძახებინა.

ანა — (ღელავს) სადაა-მეთქი?

ბერუჩა — მეფის ყიჟინა რომ შემოესმა, იქით მიიქცა. ისე გაჰქრა, ველარა გავიგე-რა. ბევრი კი ვძებნე.

ანა — იქნებ...

ხმები — მეფე მოდის. ვაშა, ვაშაა!

(შემოდიან: მეფე ერეკლე, პაატა ბატონიშვილი, ლევან ბატონიშვილი, სოლომონ ლეონიძე, თეკლა ბატონიშვილი ვაჟურ სამოსში, იარაღასხმული, დავით სარდალი და სხვა დიდებულნი).

მეფე ერეკლე — მშვიდობა თქვენდა! გამარჯვება მოგვიტანია! დიდად ხომ არ დაგაზარალეს იმ წუნკლებმა?

ციხისთავი — არ დასცალდათ, დიდო მეფევ.

ბერუჩა — ჩვენო მეფევ, მეტად დროზე მოგვისწარ.

მეფე ერეკლე — ბერუჩავ, შენა ხარ? შორიდან შეგავლე თვალი, ბრძოლის ილეთი მომეწონა, მაშ შენ ყოფილხარ?

ბერუჩა — შენი ჭირიმე, შენ მასწავლე ეგ ბრძოლაი, ხმლის მოქნევა...

მეფე ერეკლე — ო, ჩემო ანო, მოდი აქ, ხომ არ შეშინდი? (აკოცებს შუბლზე), არა, ქართველი ქალიც მედგრობდეს უნდა. სხვა გზა არ არის. აი თეკლას შეხედე. ნება დავრთე, იარაღით დამყვება მუდამ, ვაჟური სამოსით. ხმალი და მარჯვენა არ შეურცხვენია. მიდი მამასთან (მიიყვანს პაატასთან).

პაატა ბატონიშვილი — (გადაეხვევა) ჩემო შვილო, ხომ კარგადა ხარ?

ანა — კარგად, მამა.

(კიბეზე ჩამოდის პატრი ნიკოლა).

პატრი ნიკოლა — მშვიდობით მობრძანება, დიდო მეფევ. ღვთის განგებით გამარჯვებას მოგილოცავთ.

მეფე ერეკლე — პატრი ნიკოლაც აქ ყოფილა, სალამი მითქვამს. არ მოგვასვენეს, აღარ იქნა მათი ალაგმვა. სპარსნი და ოსმალნი აქეზებენ, იარაღით უხვად სჭურვენ. ცოტაც მაცალონ, თხილს მიგორებენ, მაგრამ ჩრდილოეთით კაკალს ვუმზადებ. შვილო ლევან, შენი გუნდით გადი, მოჰხილე ზედა სოფლები, იქნებ სადმე კიდევ არის მტრის თარეში, სდიე, სანამდე ხმალი და გული კმარას გეტყოდეს.

ლევან — მივალ, მამა მეფეო. აბა ჩემთანა! (გადის, გაჰყვება რამდენიმე მხლებელი).

ბერუჩა — დიდო მეფევ, ლევან ბატონიშვილი ფიცხი მებრძოლი დადგა. ჰაი, მამის ხმლის ნიჭი გამოჰყვა თანა!

მეფე ერეკლე — ეჰ, ბერუჩავ, ჩვენს სამშობლოს მარტო ხმლის ნიჭი ველარ იხსნის. სარდალო, ჩემო დავით, ჯარი დაასვენე, დააბანაკე. გუშაგები — როგორც შეჰფერის. ხვალ ადრე ისევ ქალაქისაკენ უნდა გავბრუნდეთ.

დავით სარდალი — ბრძანება თქვენი! (გადის)

პაატა — შვილო ანო, პატივცემული სტუმრები მიიპატიჟე.

ანა — წამობრძანდით, დიდო მეფევ, დარბაისელნო.

მეფე ერეკლე — სოლომონ, ჩემო მსაჯულო, ლეკთა დაგდებულ ალაფს დარბეულებს დაუბრუნებდე, საქმის ვითარებას უყონებლივ მომახსენებდე.

სოლომონ მსაჯული — ბრძანება თქვენი! (გადის)

მეფე ერეკლე — აბა, ჩემო ანა, მოვდივართ. ეჰე, უკვე დაღამდა. (ყველანი შედიან დარბაზში, გარდა პაატა ბატონიშვილისა, რომელსაც პატრი ნიკოლა შეაჩერებს).

პატრი ნიკოლა — ბატონიშვილო.

პაატა — რა? არის რამე, პატრო ნიკოლავ?

პატრი ნიკოლა — ბევრი რამეა (მიმოიხედავს). ფირმანი აზატ-ხანისგან.

პაატა ბატონიშვილი — (შეკრთება, გამოართმევს) აზატ-ხანისგან? ღამე გამოვალ, ნავახშმევს, მოვითათბიროთ.

(გადიან. გაირბენენ შინა მოსამსახურენი, მერე შემოდიან სოლომონ მსაჯული და ბესიკი. იგი ისევ ნაბადშია, მხოლოდ უწვერო).

სოლომონ მსაჯული — ბესიკ, ხომ იცი, მე შენთვის ყველა კარგი მწადს. ხელი შეუშვი ასეთ ტრფიალს. გვარიშვილობა ამაო და დიდი ზღუდეა, მე და შენ კი ამით, ჩემო ბესიკ, ვერ დავიქადით. არის კიდევ სხვა მიზეზი: პაატა ბატონიშვილი ათას რამე ხიფათს აგკიდებს. მეფე ერეკლეც გაწყრება, კვლავ რომ გაიგოს.

ბესიკი — რად არ მესმის? მე იგი მიყვარს და იგიც მწყალობს ზეციური მაღალი გრძნობით. ვის რაღა უნდა? გული მოვისპო, როგორ ვიცოცხლო?

სოლომონ — აბა, რა გითხრა, ვით დაგარწმუნო? წადი აქედან. დღეს მაინც ნუ გამოჩნდები. ის უცხო ხუცი მაინც სუნს იკრავს. შეგასმენს, იმას უფრთხილდი.

ბესიკი — პატრ ნიკოლას? დღეს იმან მართლაც კინაღამ უნებურად გამომამჟღავნა.

სოლომონ — აკი გითხარი. მაინც რა იყო?

ბესიკი — ტყვე გააქცია, ყარა-ხოჯა...

სოლომონ — ყარა-ხოჯა! როგორ? საიდან? მაშ ყარა-ხოჯა ისევ გამოჩნდა?

ბესიკი — იცნობ განა?

სოლომონ — სოლომონ ბევრ ვისმეს იცნობს, ბევრიც ისე გაუგონია და უფიქრია... (ისმის ფეხის ხმა).

ბესიკი — ვიღაც მოდის.

სოლომონ — აბა, მე წავალ, შენ კი ბანაკში გადი. მელოდე, მოვალ, ყარაბოჯას შესახებ წვრილად უნდა მიამბო. მერე კი წადი, ამაღამვე წადი ქალაქს.

ბესიკი — კეთილი, მაგრამ... როგორ? აღარ ვნახო, ისე წავიდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ნუ თუმცა ნახო ვარდი მცინარე,
ეს შენათვალი მიუწინარე:
გარდმოუტევე თვალთა მდინარე,
პირველად ჩემგან გულმომდინარე...
სალამი ჰკადრე არ საწყინარე!

(სოლომონ შედის დარბაზში, შემოდის ბერუჩა).

ბერუჩა — ოჰ, ბერიკაცო, შენ დაგეძებ, სად დამეკარგე? (ბესიკი შეკრთება, ნაბადში გაეხვევა და ოდნავ ზურგ-შექცეული დადგება) გაგონილი, მე ხევებში დაგეძებდი, ხომ არ დასჭრეს-მეთქი დაღლილი ბერიკა. ჰეი-ჰეი, მადლიანი ხმალი გქონია, ერეკლესეულ ილეთსა ვგრძნობდი მოქნევაშია, მე და ჩემმა გამჩენმა ღმერთმა. რას დაჩუმდი, დავჯდეთ, ერთიორიც ვთქვათ ძველებურად, ბერიკაცულად. შენ რომ სიტყვები გამოსთქვა, პირდაპირ გულზე მომხვდა, გონებიანი ვინმე ყოფილხარ. (ჩიბუხს გააბოლებს, ბესიკს მიაწოდებს სათუთუნე ქისას. ბესიკი არ ართმევს) ჰო-და... (შეხედავს ბესიკს) რა ვქნა, ხომ არ მემდური? (დაკვირვებით) ბერიკაცო, წვერი რა გექნა?

ბესიკი — ომში დავკარგე, ვერც გავიგე...

ბერუჩა — დაჰკარგე? წვერი? (მივა, ხელს დაუჭერს და ისე ჩახედავს) შენ ის... ყარიბი, ბერიკაცი? ბესიკ გაბაშვილო, ყოვლად წმინდამ შეგაჩვენოს! შვილო, საიდან? ეს სამოსი? ხომ ბესიკი ხარ, თუ ეშმაკსავით კიდევ შეიცვლი სახეს?

ბესიკი — სსუ, ჩუმად! ბესიკი ვარ, ჩემო ბერუჩავ, უნებურად ტყუილი გამომივიდა. მაპატიე. ასე იყო საჭირო, მეტი ვერა ვიღონე-რა.

ბერუჩა — ეჰ, შვილო, შენ იმდენი სიმართლე მითხარ, ერთი ტყუილი გეპატიება. მერე ასე ბერიკაცულად? შენ სააშიკოდ რამედ იქნები? რამე ხიფათს არ გადაეყარო, შვილო. კარგი, მაგრამ აქ ვინ? (შემოიკრავს შუბლზე ხელს) ჰო, გავტუტუცდი ეს ბერიკაცი... სულ რეგვენი ვარ... შენისთანაო, ამისთანაო, იმისთანაო, თანისთანაო... მივხვდი, განაო?! წამო, წამო. შე უგნურო, ცეცხლთან თამაშობ, ბატონიშვილი არ გაპატიებს. მეფესაც ეწყინება. ბადე მაღლა გადაგიგდია. აბა, წავიდეთ, თორემ ვინმე შემოვა (მოახურავს ნაბადს და მიჰყავს. დარბაზიდან გამოდის პაატა ბატონიშვილი).

პაატა — ჰეი, მანდ ვინ არის?

ბერუჩა — მე გახლავარ, ბატონიშვილო. (ბესიკი გარბის)

პაატა — ბერუჩა, შენა ხარ? ალაყაფში არავინ შემოუშვა.

ბერუჩა — ბრძანება თქვენი! (გადის. დარბაზიდან გამოდის პატრი ნიკოლა).

პაატა — კიდევ რას მაუწყებ?

პატრი ნიკოლა — ბესიკი აქ იყო, მოხუცის სამოსელში. გაიპარა.

პაატა — კიდევ ბესიკი! მაგის დროც მოვა. წერას აუტანია. მისიონმა რაღა მოგწერა?

პატრი ნიკოლა — მალე მოვა ერთი კაპუცინი და მამათმთავრის, რომის პაპის სიგელს მოიტანს.

პაატა — მეფისათვის?

პატრი ნიკოლა — დიახ, მეფისათვის. იმ დროისათვის ბრძოლიგან უნდა დავიწყოთ.

პაატა — აზატ-ხანიც დაჩქარებას მთხოვს, მაგრამ ამ საქმეში აჩქარება არ შეიძლება. ვშიშობ, აზატ-ხანმა უბრალო კამათლად არ გამაგოროს და მერე რიყეზე არ გამტყორცნოს, როგორც ცუდი ნიჟარა. ვერც სამშობლოს გამოვადგე, ვერც მე ვირგო რამ.

პატრი ნიკოლა — ამის თავდებია რომის პაპი და მთელი დასავლეთი.

პაატა — ერთიც შორსაა და მეორეც.

პატრი ნიკოლა — ინდოეთს ვინ ეპატრონა? კალკუტის გზით ირანისაკენ ვინ მოაბიჯებს? დასავლეთი!

პაატა — ვიცი.

პატრი ნიკოლა — სტამბოლის გზით, ოსმალეთით, ვინ მოაბიჯებს? ისევ იგი დასავლეთი, ყოვლად ძლიერი: რომის ეკლესია და მთელი ევროპა.

პაატა — ვიცი, ყველაფერი ვიცი. ვნახე ჩემის თვალითა. აღმოსავლეთიდანაც დასავლეთი მოდის ბოლოს და ბოლოს, სამხრეთიდანაც, ჩრდილოეთიდანაც.

პატრი ნიკოლა — არა, ჩრდილოეთიდან ერეკლე მეფეს უნდა ვინმე მოვიდეს. იგი არც დასავლეთია და არც აღმოსავლეთი.

პაატა — ათასჯერ მიფიქრია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აშკარა ღალატია მაინც საჭირო.

პატრი ნიკოლა — სიტყვას წინასწარი აზრი არ გააჩნია, შედეგი აძლევს ყოველ სიტყვას თავის შინაარსს.

პაატა — თუ კი შედეგი სამშობლოსათვის ნათელი დარჩა... და რომ მოვტყუვდე? მერე მატიანეს სარკის წინაშე რა პირით წავდგე? ეს მე, პაატა, მეფე ბრძენის ვახტანგის შვილი, განათლებული, სამშობლოსათვის თავდადებული, აზატ-ხანთან საქმეს ვაბამ...

პატრი ნიკოლა — უკვე გააბი.

პაატა — მართალია, უკვე გავაბი... მეფის წინააღმდეგ...

პატრი ნიკოლა — მეფის, ტახტის მიმტაცებლისა.

პაატა — თუნდაც ეგ მართალია, მეფე ერეკლეს არ ეკუთვნის ქართლის ტახტი. იგი ჩემი უფროა, ვახტანგ მეექვსის ძისა...

პატრი ნიკოლა — ან ალექსანდრე ბაქარის ძისა, აზატ-ხანმა ეგეც კი იცის.

პაატა — ბაქარის ძისა?

პატრი ნიკოლა — იქნებ მასთანაც გაჰგზავნოს ცნობა, თუ კი თქვენგან, ბატონიშვილო, გარკვეულ საქმეს ვერ ნახავს.

პაატა — ეგეც მიფიქრია, აქ ყოველ აზრს ათასი გესლი თან ახლავს, ათიათასი. მაგრამ აქ, სადღაც სიღრმეში, რაღაცა მღრღნის, მეთანაღრება... ერთი რამ არის, მხოლოდ ერთი, დღეზე ნათელი: სანამ ჩრდილოეთი შეიძლებს აქ ჩვენთან მოსვლას, აღმოსავლეთი ამ ჩრდილოეთის შიშით აგვაცამტვერებს. და მე ხომ ერის ხსნა მწადს. ასეა არა? ხომ ასეა? ასეა მეთქი...

პატრი ნიკოლა — სწორედ მაგრეა, ერის ხსნა თქვენა გხვდათ წილად.

პ ა ა ტ ა — და მეც თავი უნდა გავწირო.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — ჩრდილოეთმა გადიყოლია ჯერ მამათქვენი, ბერე თეიმურაზი, ერეკლეს მამა, არც ერეკლეს მოელის უკეთესი დღე, თუ საქართველოს სწადს ჰპოვოს საშველი — პირი იბრუნოს აღმოსავლეთით — დასავლეთისაკენ!

პ ა ა ტ ა — აღმოსავლეთით — დასავლეთისაკენ. ჰო-ჰო, რა შორი გზაა!

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — გზის სიგრძე-სიმოკლე განსჭვრეტაზეა. თუ ახლო იჭვრეტ, აგერ ტახტი, აზატ-ხან, ურთიერთშველა: ის გაგამეფებს, მას გააშაჰებ. და თუ შორს იჭვრეტ: იქით ერის მომავალია, რომის პაპის ნათელი ტახტი, კათოლიკე მისიონთა მზა-განათლება. იქიდანვე მოდის დიდი დასავლეთი: ინდოს-კალკუტის გზით—აზატ-ხანის ხმლით!

პ ა ა ტ ა — კმარა. თავად ვიცი, თავად ვნახე, თავად მეტი ვიანგარიშე, მაგრამ თუ შევცდი?

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა—გეპატიებათ. მიზნის მადლით უსათუოდ გაგამართლებენ.

პ ა ა ტ ა — რას მიქვია გამართლება? მთელმა ქვეყანამ რომ მაპატიოს, მე, მე ჩემს თავს როგორღა ვაპატიებ? მე ხომ სისხლი უნდა დავღვარო, სისხლი იმ პირთა, რომელთაც შესაძლოა ჩემზე მეტად უყვართ სამშობლო, ჩემზე მეტად. აჰ, ვითომ ეგრეა? თუმცა მაეჭვებს.

(გამოდის მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე. მას შორი-ახლოს მოჰყვება ს ო ლ ო მ ო ნ ლ ე ო ნ ი ძ ე. პატრი ნიკოლა უკან დაიწევს და მაღლიდან ვერაგულად უთვალთვალებს).

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ბატონიშვილო, რაზე ჰფიქრობ აგრე ჩათხრობით?

პ ა ა ტ ა — (ყრუდ) სამშობლოს სიყვარულზე.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — სამშობლოს სიყვარულზე? ჩემო პაატავ, ახლა ღამეა, უჩვეულო სიწყნარე სუფევს, თითქოს სძინავს მოღლილ სამშობლოს, არა, არ სძინავს, უნებურად მიყუჩებულა. თოფ-იარაღს ჩაჰხუტებია: ყოველ წუთს ყიჟინას ელის. სადმე ხევებში, ბუნაგებში, ალბათ, დაძრწის ლეკთა თარეში. ახალციხეში, სამცხეს, ტრაპიზონს, სტამბოლს, თეირანს ავი ზრახვები მზადდება ჩვენს წინააღმდეგ. იქნებ აქაც, საქართველოშიც... (პაატა შეკრთება) ერს, სამშობლოს კი ცხოვრება უნდა, ცხოვრების გზა... გზა უნდა მისცე, მომავალი და არა მარტო მეფობის ქორონიკონი, ერთი ლუკმა და ცალკეული წარჩინება-გამარჯვებანი. სამშობლოზე ფიქრობ, ჩემო პაატავ. ვინ არ ფიქრობს სამშობლოზე საქართველოში? გააჩნია ვინ როგორ ჰფიქრობს? ვინ რა გზას მისდევს? რომელი გზაა უმჯობესი?

პ ა ა ტ ა — რომელი გზაა უმჯობესი?

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — მე ჩემ გულში ეგ გზა უკვე გადმიწყვეტია.

პ ა ა ტ ა — ჩრდილოეთისკენ, რუსთ მფარველობა?

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — დიახ, ასეთია ჩვენი ხვედრის შეუვალობა და ქართლის ბედის შებრუნებას ვეღარ შესძლებს ვერც ერთი მეფე.

ს ო ლ ო მ ო ნ მ ს ა ჯ უ ლ ი — დიდო მეფევ, ვინ უწყის მერე, რომ რუსთ ხელში ჩვენ აღვჩნდებით უფრო ბედნიერნი?

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ეგ არვინ უწყის. ბედნიერება თავათ ერმა უნდა გასჭედოს. ოღონდ ჩვენ მას სიცოცხლე უნდა მივცეთ და მზის ქვეშე მყუდრო კუთხე შევუნარჩუნოთ, თითო-ოროლა აგურიც ჩავდოთ მომავლისა. იქნებ სხვა გზაა, მიჩვენეთ, მითათბირეთ, თუნდაც მისაყვედურეთ.

პაატა — არის სხვა გზა, ანტონ კათოლიკოსის, საბა-სულხანის — დასავლეთისკენ. იქ არის ხსნა, სწავლა-განათლება, დოვლათი და რომის პაპის ჭეშმარიტად ბრწყინვალე ტახტი.

მეფე ერეკლე — ვიცი, პაატავ, ბიძაჩემო, იმ დასავლეთში, დიდი სწავლა მიგიღია და ნახულით მოხიბლული ხარ. სამშობლოს ბედ-იღბალიც მეტად გაწუხებს. მაგრამ ანტონ კათოლიკოსი დარწმუნდა თვის შეცდომაში, რუსეთს რომ დაჰყო, და მობრუნდა ახლა სხვა ფიქრზე, კათოლიკობა უკუაგდო, ამ აზრშიაც მე მეთანხმება, ხოლო საბა-სულხან ორბელიანმა სად დაჰლია შემდგომ სიცოცხლე? მოსკოვს. იქ იძია მან დახმარება და საფარი მამათქვენთან, დიდ ვახტანგთან ერთად.

პაატა — მერე იპოვა? ან საბამ, ან მამაჩემმა? ან თუნდაც მამათქვენმა, თეიმურაზმა?

მეფე ერეკლე — ჯერ ადრე იყო, ორბი მხოლოდ ფრთებს ისხამდა. როცა შეისხამს, აღმოსავლეთის მზე ჩაესვენება.

პაატა — სანამ შეისხამს, ჩვენ ჩვენსას გვიზამს აღმოსავლეთი ამ ორბის შიშით, რათა მას აქ საბუდარი არ გავუჩინოთ.

მეფე ერეკლე — ეგ მართალია, აი აქ გვმართებს მეტი ერთობა, ბრძოლა, მხარდამხარ დგომა, თავგანწირვა სამშობლოსათვის, მართალი გზისათვის.

სოლომონ მსაჯული — ეგ ბოლო აზრი, ჩვენო მეფევ, ყოველ ეჭვს გარეშე, ჭეშმარიტია, ხოლო იქნებ რაიმე სხვა ძალაც ვნახოთ, რომ სახელმწიფო ზედ დავაყრდნოთ და არ მივცეთ უცხო ტომთა, იქნება იგი აღმოსავლეთ-დასავლეთით თუ ჩრდილოეთით?

მეფე ერეკლე — განა მე კი უარს ვყოფ მაგას, მაგრამ არ არის ძალა.

სოლომონ — კვალამც მითქვამს სათათბიროდ, მომიტევებდეთ: უნდა შეიკრას სრულიად საქართველო, ამერ-იმერი. სახელმწიფოც ახლად მოეწყოს, უნდა მოისპოს ერისთავობა, დიდგვარობა, ქალაქებში მოძლიერდეს ხელოსნობა, აღებ-მიცემა და მაშინ ნახავთ, საქართველო დიდი ძალაა!

პაატა — მოისპოს დიდგვარობა, ერისთავობა?

მეფე ერეკლე — აქაც თანახმა...

პაატა — თანახმა?

მეფე ერეკლე — მაგრამ მაგასაც ხომ ძალა უნდა. ერისთავებს ვბოქავ, აღვკვეთავ, მერე... ვიღაც სხვა უნდა დავსვა, გავადიდკაცო ან საუფლისწულო დავურიგო ჩემს მრავალ ძეთა, თუ არა ისე ჩემი ტახტი ვის ღა დავაყრდნო. ჰმ, ქალაქს? არა, ჯერ არა. იქნებ ოდესმე. ჯერ კი ქალაქი მხოლოდ მცირე საწვრიმალია. იმერ-ამერთ შეერთება? დიდი საქმეა, მაგრამ ქართლ-კახეთი რომ შევაერთე, რამდენი მყავს მტერი, მეტოქე, გარეთ თუ შინა... ჰოდა, მაშინ რაღა იქნება! იქ, რუსთ მფარველობის ქვეშ კი, იმერეთ-ამერეთიც ერთად მოდგება. უნდა გადაწყდეს, ორთა შუა დგომა არ გვარგებს. ამან თითქმის დაგვასამარა. აღმოსავლეთი ვერაგია, ბნელი, მთრგუნავი, დასავლეთი — თუმც დიდნასწავლი, ვერაგობა არც მას აკლია, თან შორია, მიუწვდომელი. ვერც შველას მოგვცემს, გარდა მარტო მისიონისა. ჩვენში მუდამ ასე ყოფილა: რყევა აღმოსავლეთ-დასავლეთს შუა. ასე აღარ იქნება: არც აღმოსავლეთი, არც დასავლეთი — ჩრდილოეთი. აი ძახილი! და ვინც ამას დღეს არ იზიარებს, მას

სამშობლოზე კარგა რიგად ვერ უფიქრია, ან კიდევ აგრე რიგად არ ჰყვარებია. (დგანან სამივენი, ღრმად ჩაფიქრებულნი: პაატა და სოლომონ თავ-ჩაქინდრულნი, ხოლო მეფე ერეკლე ჩალამებულ ცას გაჰყურებს. კიბის ზემოთ მოკრუნჩხულა პატრი ნიკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

ვერაგული შეთქმა

პაატა ბატონიშვილის სასახლე ტფილისში. აღმოსავლურ გეგმაზე ნაგები თაღოვანი და ხატოვანი დარბაზი, ხოლო ავეჯი დასავლურ ყაიდისა. დარბაზში: პ ა ა ტ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (მომაღლოდ), იქვე პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა (როგორც პაატას შავი ჩრდილი), გ ლ ა ხ ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ე ლ ი ზ ბ ა რ თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი და დ ი ა ს ა მ ი ძ ე.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — ბატონიშვილო! (პაატა ოდნავ შეკრთება)

პ ა ა ტ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — დარბაისელნო, დედოფალი დარეჯანი თავის ამალით აგარაკად არის გასული. ტახტის მემკვიდრე გიორგი ლეკებზე ლაშქრობს. ხელსაყრელი ჟამია, დაყოვნება უკვე სავალალოა, უნდა ვიმოქმედოთ.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — სწორი ბრძანებაა, დარბაისელნო. საქმეს სიჩქარე უყვარს.

პ ა ა ტ ა — დიმიტრი ამილახვარი აგვიანებს, ხომ არ განგვიდგა?

ე ლ ი ზ ბ ა რ თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი — ბატონიშვილო, მოგეხსენებათ, სახლთ-უხუცესს რამე დააბრკოლებდა, მაგრამ უთუოდ მოვა. იგი მეფემ საჩქაროდ იხმო. რაღაც ჭორები დადის... და თუ გამართლდა, ჩვენი საერთო საქმე წუთით-წუთზე გამტკიცდება და გადაწყდება.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — (გაიხედავს სარკმელში) აი, ვგონებ, მოდის. დიახ, იგია.

პ ა ა ტ ა — (ტაშს შემოჰკრავს. შემოდის კ ა რ ი ს კ ა ც ი) თავადი ამილახვარი გამოატარეთ, მეტი არვინ მიიღოთ, ვინც უნდა იყოს. სასახლეში სადარბაზოდ ემზადებიანთქო.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — ოღონდ დათუნა ფეიქარი რომ მოვიდეს, არ გაუშვა. შემატყობინე. (კარისკაცი გავა და ამილახვარს შემოუძღვება).

დ ი მ ი ტ რ ი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (აღელვებული) ბატონიშვილო, დიდებულნო, დარბაისელნო! ეს რა შემემთხვა, ჰოი, რას მოვესწარი: ასეთი შეურაცყოფა, საქვეყნოდ თავის მოჭრა, თავსლაფის დასხმა!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — რა იყო, თავადო, რაა ასეთი? დაწყნარდით, გვამცნეთ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ეს მე, ამილახვრიანთ გვარის უხუცესს, ბრწყინვალე თავადს ასეთი შეურაცყოფა! ენა მებმის სიბრაზისაგან, ვერ გამომითქვამს.

პ ა ა ტ ა — გვამცნეთ, თავადო, ვინ შეგბედათ ბრწყინვალე თავადს, სახლთ-უხუცესს, ერეკლე მეფის მძახალს?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — აი სწორედ მეფე ერეკლემ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მეფე ერეკლემ? ხომ არ გაიგო რამე?... ჩვენი ჩუმი ბაასი, უამოდ ყოფნა... ფარული ზრახვა?

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — მას მოშხრეები ბლომადა ჰყავს, გვითვალთვალებენ.

ამილახვარი — არა, არაფერი გაუგია, ოღონდ ერისთავებს, დიდ თავადებს უფლებას გვისპობს, გასაქანს აღარ გვაძლევს, არვის გვენდობს. ახლა მეც მომწვდა, მძახლობაზე უარი მითხრა.

ხმები — ნუთუ? გაჰბედა?

ამილახვარი — ჩემი პირმშოს გიორგის და თავისი [illegible] ქორწილი ანტონ კათოლიკოსს დააშლევინა.

ხმები — მიზეზი?

ამილახვარი — ნუღარ მკითხავთ; თავი მომჭრა ოჯახითურთ, დამასამარა. მამაკაცური უძლურება შესწამა ჩემს შვილს.

ხმები — უძლურება?

ამილახვარი — იცის ღმერთმა, ვერ დავთმობ ამ შერცხვენას ასე უბრალოდ.

პატრიარ. ნიკოლა — სახლთუხუცესად ხომ დაგტოვა? ხელი ხომ არ აგაღებინა?

ამილახვარი — არა, ეგ არა. უწინდებურად გულმოდგინედ მემსახურეო... ალბათ, დამცინის. რაღად მინდა მაგის უხუცესობა, თუ არ ვიქნები ქართლ-კახეთის მეფის მძახალი! საამილახვრო ციხეებსაც მალე მომთხოვს.

პატრიარ ნიკოლა — (წასჩურჩულებს პაატა ბატონიშვილს) სადაც ხმალი არა სჭრის, იქ საჭიროა ქალით შემომტკიცება.

პაატა — თავადო, გულს ნუ გაიტეხთ, იქნებ მაინც გახდეთ მეფის მძახალი. ჩვენ ვისაქმოთ, მიზანი დავაგვირგვინოთ და შენ შვილს ჩემს ანას შევრთავ.

ამილახვარი — ბატონიშვილო! პაატა ბატონიშვილო!

პატრიარ ნიკოლა — მეფე ქართლისა პაატა!

გლახა ციციშვილი — შესაძლოა კახეთისაც, დიდ თავადთა დახმარებით, ლოცვა-კურთხევით.

ელიზბარ თაქთაქიშვილი — და ბრწყინვალე თავადი დიმიტრი ამილახვარი მისი სახლთუხუცესი და მძახალი! ხომ აგრეა, მეფევ?

პაატა — დიახ, აგრეა. წინასწარი დასტური მითქვამს.

ამილახვარი — იმსახურეთ ეს ჩემი ხმალი, ჩვენი საქმე უფრო შეიკრა.

პაატა — მაშ საქმე ფიცხლად. აი პასუხი, აზატ-ხანის მონაწერი, დიდ საიდუმლოდ.

ხმები — რა შემოსთვალა?

პაატა — მეფე ერეკლე ჩრდილოეთისაკენ იცქირებაო. ამით საშიშროებას გვიქადისო მთელ აღმოსავლეთს. ჯარი შეუკრავს, სალაშქროდ გამზადებულა. გახსენებია დიდ აზატ-ხანს, რომ ქართლის ტახტი მეფე ერეკლემ და თეიმურაზმა ვითარ ეშმაკობით ხელთ ჩაიგდეს, მითვლის მე, ვახტანგ მეექვსის შვილს, ტახტს ვეპატრონო. უკეთუ მეგობრობას აღვუთქვამ, დიდ დახმარებას მპირდება. აჰა მისი ბეჭედი (აჩვენებს. სიგელი ხელიდან-ხელში გადადის).

პატრიარ ნიკოლა — აზატ-ხანი უკვე დაძრულა ერევნისაკენ. იქ ჩვენ პასუხს დაელოდება.

ამილახვარი — ეს ხომ ჩვენს განზრახვას ემთხვევა სრულად. უნდა აღიკვეთოს ქართლის ტახტის მიმტაცებელი, დიდ გვარიშვილთ დამთრგუნველი. დიდი აზატ-ხანის მონაწერიც სწორედ დროზეა.

პაატა — მაშ სიტყვა ყველამ! (ასწევს ხელს, ყველანი ასწევენ).

დიასამიძე — დარბაისელნო, მარტო სიტყვა აქ არა კმარა.

ამილახვარი — ღამე გარეუბნის საფარში საამილახვროს ათასი ყმა მეყოლება.

ციციშვილი — მე ლეკთ ბელადებს შევუთანხმდი, ისნის მახლობლად იქნებიან ნიშნის მოლოდინში. მაშინ ნახეთ მათი თარეში!

დიასამიძე — დარბაისელნო, დიდთავადნო! მარტო ჯარის იმედით ყოფნა საჭუმანოა. მეფე ერეკლე ბრძოლის ველზე საშიშარია. კიდევ რამე უნდა ვიღონოთ.

პატრინიკოლა — ღვთის შეწევნით რამეს ვიღონებთ, ოღონდ ჯარი აქ უნდა იყოს.

პაატა — მაშ აზატ-ხანისათვის თანხმობა მიმიწერია. (აიღებს მეორე სიგელს, ხელს მოაწერს, ბეჭედს დაასვამს და დიმიტრი ამილახვარს გადასცემს). ყველამ ხელი მოაწერეთ, რომ უფრო მტკიცე იყოს და უღალატო, აზატ-ხანმაც უფრო ირწმუნოს.

ამილახვარი — ხელს კი მოვაწერ, ამილახვრიანთ ბეჭედსაც დავასვამ, ოღონდ თავადი დიასამიძე მართალია, ერეკლეს ხმალს უნდა ვერიდოთ, მეტად ბასრია.

პატრინიკოლა — ოო, ღვთის ძალა რაიმე სასწაულს მოიმოქმედებს და იგი მეფე დაითრგუნება, ვით დათრგუნა მან ქართლში კათოლიკობა.

ციციშვილი — მაინც არ მესმის, რა ძალა, რა სასწაული? ღვთის ძალა კი მწამს, მაგრამ რაიმე ხერხი ხომ საჭიროა.

პაატა — ეს ცხადია, სანამ მეფე ერეკლე ცოცხალია, იგი ჩვენ ტახტს არ დაგვანებებს და არც გეზს შესცვლის, რუსთ შეუდგება, დიდ თავადთაც სულ ამოჭკვეთს.

პატრინიკოლა — სანამ მეფე ერეკლე ცოცხალია, მაგრამ ჩვენ ხომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ღვთის განგებითა.

თაქთაქიშვილი — ოღონდაც, მაგრამ ღვთის განგების ვარაუდებს — შეგეწიოთ მისი მადლი — ჩვენ ვერ ავიმცნობთ.

პატრინიკოლა — ღვთის მოციქული ამ ქვეყნად რომის პაპია: უწმინდესი, უნეტარესი, დღეს სადარბაზოდ ვარ წვეული ქართლ-კახეთის მეფესთან.

ამილახვარი — დიახ, დღეს თქვენი დარბაზობაა. პაპი კლიმენტის საჩუქრები უნდა გადასცეთ მეფეს.

პატრინიკოლა — დიახ, უწმინდესი პაპის თხოვნაც: კათოლიკე მისიონები კვლავ დააბრუნოს ქართლ-კახეთში. დიდებულნო, სახლთუხუცესო, დარბაზობა რომ მოეწყოს მცირე სუფრაზე...

ამილახვარი — ეგ შესაძლოა, მერე?

პატრინიკოლა — და თუ მეფე ერეკლემ პაპის თხოვნა უარჰყო, თქვენ სასწაულს, ალბათ, იხილავთ...

ციციშვილი — რომ არ უარჰყოს?

პატრინიკოლა — „სასწაული" მაინც მოხდება.

ამილახვარი — მაშ დანარჩენი ჩემს ხმალზე იყოს. დარბაზობა მცირე სუფრაზე, უსათუოდ ეგრე იქნება. იქ მე კიდევ ყოვლად შემძლე სახლთუხუცესი ვარ, სასახლის გარეთ კი დიდი ამილახვარი.

თაქთაქიშვილი — იმ „სასწაულის" ნიშანი რამე იქნება?

პატრი ნიკოლა — სადღეგრძელო, რომელსაც მეფე ერეკლე ბნებებს ჩვენს საპასუხოდ.

ამილახვარი — დრო მეტად ხელსაყრელია: არც დედოფალი, არც ტახტის მემკვიდრე აქ არ არიან, მორიგეს დიდი ნაწილი მდევრადა შორით გასული. ოღონდ ლევან ბატონიშვილს, სოლომონ ლეონიძეს და დავით სარდალს უნდა ვუფრთხილდეთ. მაგრამ მოვდრეკთ. რა მალე ახდა ჟამი შურისძიებისა (მოაწერს ხელს აზატ-ხანთან გასაგზავნ სიგელს, დაასვამს ბეჭედს და გადასცემს შემდეგს. სიგელი ხელიდან ხელში გადადის, ყველანი მოაწერენ და პატრ ნიკოლას გადასცემენ). ღამე მშვიდობისა, მოწყალეო მეფევ პაატა! სასახლისაკენ მივეჩქარები, თადარიგს უნდა შევუდგე. მცირედ სუფრის დარბაზობაა. დარბაისელნო, თქვენც იქ იქნებით, სახლთუხუცესის მოწვევითა... პატივს დაგვდებთ. პატრო ნიკოლავ, თქვენის ბაგით დღეს რომის პაპი იღალადებს — გისურვებთ მრავალს! არ ვიყო ღირსი ამილახვრიანთ გვარისა, უკეთუ ჩემი მოყვარე ქართლის ტახტზე ვერ გავამეფო.

ხმები — მეფე პაატას დღეგრძელობა! (ემშვიდობებიან).

პაატა — მეფის სამსახური არაოდეს დაიკარგება. და მეფის გვირგვინს მხოლოდ დიდ თავადთა ხელიდან ვიღებ. ამაღამ ბევრი რამე უნდა გამოიცვალოს და ერის ბედი ახალ ვარსკვლავს აეკიდება. (ტაშს შემოჰკრავს, შემოდის კარისკაცი). გააცილეთ მცირედ კარიდან. უხმეთ ანა ბატონიშვილს.

პატრი ნიკოლა — (კარისკაცს) დათუნა ფეიქარი არ მოსულა?

კარისკაცი — იქ გელოდებათ.

პატრი ნიკოლა — კარგი, მელოდოს. (კარისკაცი გადის. მიაცილებს თავადებს. რჩებიან პაატა ბატონიშვილი და პატრი ნიკოლა).

პაატა — ფრთხილად, მეტად ფრთხილად, პატრო ნიკოლავ! ერეკლე მეფეს მე კარგად ვიცნობ — ბევრის შემძლეა. ეს ჩემი თავი ამჟამად შესაძლოა ქოჩრად არა ჰღირს. მაგრამ ვინც კამათელი ჰყარა, უნდა დაჰხედოს კიდეც, თუნდ შესაძლოა იაგანი მზაკვრულად შემოეყაროს. სადღაც სიღრმეში მჯიჯგნის იჭვი რამ: ხომ შესაძლოა ვცდებოდე, იქნებ ვღალატობ ჩემს ერს, ჩემს სამშობლოს, გვარს, მოდგმას, შთამომავლობას და მოღალატის სახელით მოვინათლები. ოჰ, პატრო ნიკოლავ, შენ ღვთის კაცი ხარ, მაგრამ უცხო, სულ სხვა გვარ-ტომის, შენთვის ყოველივე ეს მხოლოდ საქმეა, ჩემთვის-კი გულღვიძლია, გესმის, გულღვიძლი!

პატრი ნიკოლა — მეფევ, არ შეგშვენით ეგ ყოყმანი. გაიხსენეთ დიდი, ბრძენი მაკიაველი.

პაატა — მეფეო. ოო, ეგ სიტყვა რამდენს მავალებს! დიახ, მართალი ჩვენი გზაა და არა ერეკლესი. შორს ყოველგვარი სისუსტე და ორჭოფობა! დიახ, მართალი... ხომ აგრეა? აგრეა განა?!

პატრი ნიკოლა — მაგრე გახლავთ. მართალი გზაა და პირადად თქვენი ოჯახისთვის თან სასარგებლოც.

პაატა — სასარგებლო? ო, ეგ არა, მე მაგაზე არ მიფიქრია, არა, დიახ, არა. არა-მეთქი!

(შემოდის ანა).

ანა — მამა, გატყობ გულის ფორიაქს, რამ დაგირღვია მყუდროება? რაზე ჰფიქრობ ასე ჭმუნვითა?

პაატა — შენს ბედზე, შვილო.

ანა — ჩემს ბედზე? განა იგი აგრე რიგად სავალალოა, რომ ტირილს იწვევს?

პაატა — არა, შვილო. რასა ვრომავ! ჩემო ერთავ, ჩემო ნუგეშო, ულოდნელ დაობლებას კაცი მუდამ უნდა ელოდეს.

ანა — ულოდნელ დაობლებას? ეგ რა სთქვი, მამა? რაზედა სთქვი? რა ხდება ირგვლივ? (პაატა სდუმს) პატრო ნიკოლავ, თქვენ მაინც შემიცხადეთ, რა გვჭირს ასეთი? რა მოგველის?

პატრი ნიკოლა — კეთილდღეობა და სვებედი, ბატონიშვილო. მამათქვენი თქვენი ქორწინების განზრახვას შეუპყრია და აუცდენელ დაშორებას მამის გული წინასწარ ჰგლოვობს.

ანა — ჩემს ქორწინებას? ასეა, მამა?

პაატა — დიახ, შვილო, დრო მოვიდა, ქმარს შეგირჩევ, შესაფერს გვარიშვილობით, მოდგმით, მდგომარეობით.

ანა — ქმარს შემირჩევ, მამავ, მაგრამ გულმა სხვა რომ ირჩიოს?!

პაატა — შვილო, გულის თქმას ბატონიშვილი ხომ ვერ აჰყვება? აქ ტახტისა და სახელმწიფოს საკითხებია და არა უბრალო მოკვდავთა შეუღლების წილადობილა. ხანდახან მსხვერპლიც არის საჭირო. ბევრ ჩვენ დედოფალს ქორწინება სასჯელად ერგო.

ანა — ტახტის, სახელმწიფოს საკითხებია? დედოფლის ქორწინება? ამ სიტყვებით სხვა აზრს შევიმცნობ.

პატრი ნიკოლა — ბატონიშვილო, მამის სიტყვა ღვთის სიტყვაა. გულის მდაბიო გატაცება უკვე დროა უარჰყო. ასეთია ღვთისა და სახელმწიფოს დიდი კანონი.

ანა — მაშ მაუწყეთ ჩემი სასჯელი.

პაატა — არა, შვილო, დიდი ბედი! ჩემს განზრახვაში შენი ბედიც ფრიად გზნებით დამიფიქრია.

ანა — მაუწყეთ ვინა?

პაატა — დიმიტრი ამილახვრის შვილი გიორგი.

ანა — მეფე ერეკლეს სიძე? რას ამბობ, მამა?

პაატა — არა, იგი ალარ არის მეფის სიძე, განქორწინდა. ასეა საჭირო, შვილო. ყველას ბედის სვლას ასე სჭირია. მერე შეიტყობ, ყველაფერში დამეთანხმები. წამოდი, წამო... იშოშმინე... (გაჰყავს. პატრი ნიკოლა კარამდე გააცილებს მათ. მერე გასძახებს).

პატრი ნიკოლა — დათუნა ფეიქარს დამიძახეთ. (დაახვევს სიგელს, ჩასდებს მცირე ყულაბაში და დალუქავს. შემოდის დათუნა ფეიქარი). დათუნავ, სალაყბოში ხომ არ ყოფილხარ?

დათუნა — გახლდით, მამაო.

პატრი ნიკოლა — ყოჩ-აშუღი არ გინახავს?

დათუნა — იქ არის, საიათნოვასთან პაექრობს — მარაქაშია.

პატრი ნიკოლა — ყოჩ-აშუღი მახვილ ლექსთა მთქმელია, აჯობებს საიათნოვას.

დათუნა — ჯერ კი საიათნოვამ დასჯაბნა, დღეს ბოლო დღეა. ვნახოთ, ვინ იცის...

პატრი ნიკოლა — დასჯაბნა? ოჰ, მაშ აქ ვერ მოვა ყოჩ-აშუღი, დაირცხვენს, ალბათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათუნა — ვერა, მამაო.

პატრინიკოლა — არც მე მცალიან. მაშ, ამას გადასცემ ყორ-აშულს (გადასცემს მცირე ყულაბას). ცოტა რამ ნობათია, პაატა ბატონიშვილი უგზავნის, გუშინწინ რომ მოგვალხინა, იმის ფასია.

დათუნა — ეხლავ გადავცემ (წასვლას აპირებს).

პატრინიკოლა — ჰო, კიდევ, დათუნ, ისე, ცალკე გადაეც, მოხერხებულად. მაინც და მაინც არ მინდა, რომ ხალხმა დაინახოს. იტყვიან, საიათნოვას ჯიბრზე სჩადიანო.

დათუნა — არა, ბატონო. ცალკე გადავცემ, არც ვის გავაგებინებ.

პატრინიკოლა — აქ მოვიწვევდი, მაგრამ წასასვლელი ვარ. ჰო, კიდევ, რომ ჩააბარო, ნიშანი რამ ამომიტანე, მოგცემს იგი. ეს აშუღები გულ ჯავრიანი ხალხია. მერე იტყვის, უსაჩუქროდ გამისტუმრესო.

დათუნა — აგრე, ბატონო (გადის).

პატრინიკოლა — ჰოი უფალო, როდის დაიწყობა ეს ცხოვრება ისე, რომ ვილოცოთ მხოლოდ და აღარ დაგვჭირდეს ესოდენი გარჯა ქვეყნისათვის და მეფეთათვის. შენი სახელით ვიწყებთ ამ მართალ საქმეს.

სურათი მეოთხე

სევდის ბაღი

ბაღის ერთი კუთხე, მცირე ჭიშკარი. დარბაზის ნაწილი. იქვე ფართო კიბე და მოჩრდილული აივანი. ბინდბუნდია. სადღაც ღრუბლებში იგრძნობა მთვარე. კიბის თავზე შავად მოსილი ანა ბატონიშვილი. მოისმის ჩანგის შორეული ეღერა, თან ლექსი.

ბესიკი — სევდის ბაღს შეველ შენაღონები,
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავმომწონები,
ისარი მტყორცნა დასამონები.
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები,
სურვილის ცეცხლი მომეკიდება!

(მცირე ჭიშკარში ბესიკის ლანდი ჩამოწვება, ლექსს განაგრძობს)

სად მდრკების მზე, სად უჩინარობს?

ანა — ...სად უჩინარობს?

ბესიკი — სად სთოვს ნათელი, სად მონარნარობს?

ანა — ...სად მონარნარობს?

ბესიკი — სად იშლების ვარდი, სად მოცინარობს?

ანა — ...სად მოცინარობს?

ბესიკი — სად ნექტარებს წყარო, სად მომდინარობს?

ანა — ...სად მომდინარობს?

ბესიკი — სად მნათობს მნათობი, სად გაბრწყინდება?

ანა — ...სად გაბრწყინდება?

ბესიკი — (მიეჭრება კიბეს და შეჰღაღადებს)

მე ტკბილის გულით შემოგყურებ, შენ მემალები,
გინდა რომ მოვჰკვდე შეუყრელი, არ გებრალები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენის რიგით ცეცხლით დამწვი, მით მჭირს ძალები,
შენსა მიჯნურსა შენი მოჰკლავს ცეცხლის ალები.
ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსა.

(ანა ჩაირბენს კიბეზე და მოეხვევა ბესიკს)

ბ ე ს ი კ ი — ჩემო ნუგეშო, შავს სამოსში რად შემეყარე?

ა ნ ა — გული შავად მაქვს, ბესიკ, ჩემო ბესიკ, გული და გრძნობა.

ბ ე ს ი კ ი — გული შავად, ჰგლოვობ თუ რამეს?

ა ნ ა — რამეს ვგლოვობ და ამ რამეს ვერ ჩავწვდომივარ.

ბ ე ს ი კ ი — მითხარ, ჩემო, გადამიხსენ ეგ სევდის ბალი, ერთად ვფურცლოთ სევდა, გულთა შორის გავინაწილოთ.

ა ნ ა — ვერ გამოვთქვამ, გული კრთება, აუგს ვალალობს.

ბ ე ს ი კ ი — აუგს? ხომ უნდა მითხრა, რომ მალამო წავცხო უმალვე.

ა ნ ა — თუ თავად მოიშხამო, როგორც ეს გული.

ბ ე ს ი კ ი — ან ეგრე იყვეს. შენსა მიჯნურსა შენი მომკლავს ცეცხლის ალი...

ა ნ ა — კარგად თავადაც ვერ შემიგნია... რაღაც დიდი უბედურება შემოგვტრიალებს.

ბ ე ს ი კ ი — დიდი უბედურება? ანა, ჩემო ანა, უნდა მითხრა და უსათუოდ ეხლა, ეხლავე, გაფიცებ ყველას, ჩვენს სიყვარულს, ჩვენს სასოებას, ამ ბალში გაშლილ უმჭნარ ტრფიალსა. ოო, უნდა მითხრა, ლამის გული თავად აყვირდეს, ნუთუ იგია, რასაც გული ასე გაუფრთხის?

ა ნ ა — იგიც და მეტიც, იქნებ განუზომელად მეტიც.

ბ ე ს ი კ ი — იგიც და მეტიც? მამამ ვისმეზე გათხოვება ხომ არ მოგთხოვა?

ა ნ ა — ჰოი, უბედურო ჩემო თავო! მაგრამ შენს გარდა მე არავინ მინდა, არავის ვანდო... არ ვარგუნო ჩემი ალერსი!

ბ ე ს ი კ ი — ჩემო ნაფიქრო სასოებავ, ნუღარას იტყვი, თითო სიტყვამ სასიცოცხლო ძალა ამართვა. (უეცარი აღტყინებით) ოო, ეგ არ მოხდეს! ბესიკმა ბრძოლაც იცის, ჩემი ტყვია მიზანს არაოდეს ასცილებია. ვინ არის იგი?

ა ნ ა — ოჰ, ნუ მკითხავ!

ბ ე ს ი კ ი — არა, უნდა გკითხო, ვალდებული ვარ და შენც უსათუოდ უნდა გამცე პასუხი. ვინ არის იგი?

ა ნ ა — არ შემიძლიან.

ბ ე ს ი კ ი — არ შეგიძლიან? ანა, ჩემო ანა, ნაზ ფიქრებიდან აძერწვილო ზესასოებავ!

თვით შენმა გულმა კარგად იცის, ვარ შენით მკვდარი:
შენმა სურვილმან ჩამოლია გული კლდე-მყარი.
პირველ შაქრისა გემო იყავ, ახლა ხარ მწარი:
სამართლიანი გზა დააგდე, დამიხშევ კარი.
ვინც რომ ამ ჭირში დამინახავს, დამიტირებსა.

ა ნ ა — ოჰ, ღმერთო, შენი მადლი გადმომაფარე! წავიდა ერთიანად სული და ძალა! აჰა აღსრულდეს: დიმიტრი ამილახვრის შვილი გიორგი.

ბ ე ს ი კ ი — გიორგი? მეფე ერეკლეს ნასიძარი?

ა ნ ა — სირცხვილით ვიწვი, ჭმუნვით ვიწვი, შიში მაფეთებს!

ბ ე ს ი კ ი — ჰოი, პაატა ბატონიშვილს ამილახვართ ოჯახთან სურს დამოყვრება? აქ სხვაა, ანო, აქ სხვაა უბედურება. აქ დიდი ამბავია ჩამოქსოვილი. პაატა ბატონიშვილი, მეფე ერეკლე...

ანა — ბესიკ, ბესიკ, არ იფიქრო ამაზე, არ იფიქრო. აქ მოდი, ჩემო მწირო, ჩემო ყარიბო, ერთად-ერთო! გასწყვიტე ფიქრი, საშიშია, მეტად საშიში. (ისმის ფეხის ხმა).

ბესიკი — ვიღაც მოდის.

ანა — აჰ, არ დაგვინახონ, აქეთ მოდი, გეაჯები. დავიმალეთ, თორ მოგვეჭრება! (მიიფარებიან მიბინდულ აივნის სილრმეში).

(შემოდიან პაატა ბატონიშვილი და პატრინიკოლა, სადარბაზოდ გამოწყობილნი, თან ახლავთ შეიარაღებული ამალა).

პაატა — ასე გადით, მცირე ჭიშკრიდან. მანდ დაგველოდეთ. სახლთუხუცესს გაუგზავნეთ ერთი შიკრიკი — მოვალთ-თქო. (მცველები გადიან) ამ საიდუმლო კარს იქით, ვინ იცის, რა სავალია, რა მოსავალი? პატრონიკოლავ, მძიმე ხვედრს ვთავობ, მეტად მძიმეს და თუ გამართლდა...

პატრინიკოლა — ღვთის შეწევნით და თქვენის ცდით უნდა გამართლდეს.

პაატა — მაშ „სასწაული“ უსათუოდ ამაღამ მოხდება.

პატრინიკოლა — დიახ, ამ ბეჭედზე (ასწევს ხელს. ბეჭდის თვალი ავად აკიაფდება) ეს ლალი აიხსნება და აქ წამალი მცირე შხამი საკმაოა, რომ დაამხოს თვით დიდი მეფეც.

პაატა — თვით დიდი მეფე...

ანა — (შეშფოთდება) ბესიკ, ყურს ნუ უგდებ, არ უსმინო, ჩემს თავს გაფიცებ! (ბესიკი სდგას შეძრწუნებული).

პატრინიკოლა — თვით დიდი მეფეც, რომ მის ნაცვლად სხვა გაამეფოს. მეფეო, მიბრძანეთ, სასწაული თქვენ იმსახურეთ!

პაატა — მაშ აღსრულდეს, სხვა გზა არ არის!

პატრინიკოლა — ოდეს ტახტის მიმტაცებელს მეფე ერეკლეს რომის პაპის მოძღვნილ ნობათს მივართმევ, სახლთუხუცესი დიდი თავადი დიმიტრი ამილახვარი სასმისს მანიშნებს, რომლიდანაც მეფე საპასუხო სადღეგრძელოს ინებებს. უმალ ამ სასმისს ავავსებ და ამ „სასწაულს“ შიგ შევურევ შეუმჩნევლად. მეფე ერეკლეს სადღეგრძელო — ეს იქნება უკანასკნელი.

ბესიკი — (დახშული ხმით) მეფე ერეკლეს...

ანა — აჰ! (უნებლიედ შეჰკივლეს, რომ დაჰფაროს ბესიკის წართქმა. პაატა და პატრი შეკრთებიან, პაატა ხმალს იშიშვლებს).

პაატა — ვინ არის აქ? ჰეი, მცველებო, შეჰკარით გზები! (მცველები შემოცვივდებიან) ვინც გაიქცეს, უმალ მოჰკალით!

ანა — (ხმადაბლა) ვაიმე, ბესიკ! (ანა გამოდის საფარიდან) მე ვარ, მამა.

პაატა — შვილო, მარტო?

ანა — მარტო ვარ, მარტო. ბაღში გამოველ, ძილი გამიფრთხა.

პაატა — მერე რამ შეგაშინა? მცველებო, აღარა ხართ საჭირო. (მცველები გადიან). ჩვენს საუბარს თუ მოჰკარ ყური?

ანა — გავიგე, მამა, ჩემო მამა... რა ვქნა, დამნაშავე ვარ, თვით განგებამ, ალბათ, ასე ინება.

პატრინიკოლა — ხომ მარტო იყავ, ბატონიშვილო? მამათქვენის და თქვენი ბედი ბეწვზე ჰკიდია... სულ მარტო, არა? ხმა რომ გავიდეს, მაშინ ყველას სიკვდილი მოგველის.

ანა — მარტო ვიყავ, სულ მარტო. თუ ტყუილს ვიტყვი, თავად ვეზიზღავ საკუთარ თავს სამაგიეროს.

პატრი ნიკოლა — მაშინ წავიდეთ, მეფევ, იქ ტახტი გელით! თქვენ კი, მეფის ასულო, ილოცეთ ჩვენთვის და თქვენი საქმის წარსამართებლად.

პაატა — შვილო, წადი, ილოცე შენი უბედური სამშობლოსათვის და იმ ცოდვათათვის, რომელთაც მამაშენი აწ ჩაიდენს. (მოეხვევა. პაატა და პატრი გადიან).

ანა — მამა! წავიდა, სად წავიდა?

ბესიკი — (გამოდის შეშფოთებული) სადარბაზოდ, მეფესთან, სასახლეში! რად არ დამევსო ეს ყურები ამოსაშანთი? ანო, ხომ გაიგე, რა ვერაგი, საზარი საქმე ჰსურთ იმოქმედონ? ჰსურთ-მეთქი? მამაშენს სურს, მამაშენს... ოო, ცნებაზე გადამაცდენს ყურთა სმენა. ეხლაც მიზეის იმ გველის სიტყვა — სასწაულიო. უნდა გავიქცე, რამე უნდა მოვიმოქმედო... (ლამობს გაქცევას).

ანა — ბესიკ, სად მიხვალ? (ბესიკი შედგება)

ბესიკი — ჰო, ანო, რად არ უთხარ, რომ მარტო არ ხარ? რად სთქვი ტყუილი? რად დამფარე? უმჯობესი არ იქნებოდა: აქვე მომკლავდნენ და ამ ტანჯვას, სულის ქეჯნას ამაცილებდნენ. ან მე თავათ რამ გამაშეშა, რად არ გამოველ, არ ვამჟღავნე ჩემი აქ ყოფნა? ნუ თუ უბრალო პირადულმა ჩემში დასძლია? ოჰ, ანო, ანო, შენი სახელი დავინდე იქნებ, შენი ტყუილი დავფარე და გავამართლე... ანო, ჩემო ანო, ჩემო ბედო და ჩემო საშინელო უბედურებავ! გავიქცე, განვაცხადო და მეფე ვიხსნა, მამაშენი დავლუპო, შენცა, არა და მეფე ერეკლე... ერეკლე დღეს ხომ საქართველოა, სამშობლო, მისი ხმალი, მისი დიდება, მისი აწმყო და მომავალი!

ანა — ბესიკ, მე არა გბორკავ, არას გეტყვი, მე ვერაფერს ვერ შევაჩერებ... ვერას შევცვლი. ეს უძლური ხელი რის მაქნისია, როცა ერის, ტახტის ბედი ტრიალებს. მაგრამ ჯერ მე მომკალ, ჩამქოლე, აქ ჩამაქვავე, სანამ მამიჩემის უბედობას მოვესწრებოდე. (ეხვევა). მერე ვისი ხელით, ბესიკ? ამ ხელებით, რომელიც ესოდენ ალერსით იყვნენ ჩემსკენ ნაზიდნი. ამ გულით და გრძნობით, რომელნიც მე თავად ვიხსენ, და ჩემი უნებური ტყუილით სინდისი სიყვარულით შევინაცვლე... მომკალ, მე მომკალ, ჯერ მე, მერე ისე მოიქეცი, როგორც სამშობლოს სიყვარული გიკარნახებდეს.

ბესიკი — აღარა მითხრა. სიტყვა არ დასძრა! ასეთი ბედით ნაკვანძს რკინის გულიც ვერ გაუძლებს. ნეტავ შემეძლოს ამ ყურების შანთით ამოწვა! სასწაულიო! ამ ენის ამოგლეჯა ძირფესვიანად, უცბად მოსხლეტა ამ გონებისა, სამშობლოსათვის რომ უფიქრია. ან გულის სისხლისაგან წვეთ-წვეთად დაცლა. და თუ ეს არა, უდიდეს ბოროტებას შენი სიყვარულის წინაშე მოვიმოქმედებ...

ანა — ჩემი ბედი მამიჩემის ბედია, იცი, იგი ჩემი სიყვარულის გრძნობისათვის მიმინდვია... ახლა შენ იცი, ჩემო ბესიკ, ჩემო ყარიბო, ერთადერთო სიცოცხლეში და სიკვდილშიაც!

ბესიკი — გადაწყდა, ანო, მორჩა, გათავდა, და ასევე უნდა აღსრულდეს! და როცა ქამთა გრგვინვა გადივლის, დაშოშმინდება... ჩემო ანო, შენი ბესიკი... შენი ყარიბი... შენთვის მკვდარი მოიგონე და თითო ცრემლის

მარგალიტი ჩამოაგორე მაგ შენ ლაწვზე... ვერა, ვერ გაგცემ, ვერც მამაშენს უშუალო ზიანს ვუმზადებ... მაგრამ მეფე ერეკლე, მეფე უნდა დავიხსნა. თუ საჭიროა მსხვერპლი, მე ვიყო იგი, სამშობლოსათვის. ასე უმჯობესია. ეგ იქნება ჩემი სიჩუმის უჩვეულო საწინააღმდეგოდ[illegible]ის სასჯელიც, რომელიც ამ ქცევით, ვიცი, მეკუთვნის. [illegible] თავად გამომაქვს. სასტიკი მსჯავრი დამიდვია: იმ სადღეგრძელოს მე შევსვამ, გადავყვები და ჩემი უკანასკნელი ფიქრი შენზე იქნება. (მოეხვევა, აკოცებს, მერე მოსხლტება და გაიქცევა).

ანა — (შეშფოთებული) ბესიკ! მამა! ვაი შენ ჩემო თავო უბედურო. (მოსთქვამს. მერე ხელებს აღაპყრობს). არა, არც ბესიკს, არც მამას, არც მეფე ერეკლეს, არც ჩემს უბედურს თავსა და სიყვარულს აღარ გავედრებ. სამშობლოს, მარტო სამშობლოს! ყოვლად ძლიერო! სუსტის გონებით ვერ განვსჭვრიტე მართალი მხარე. გული კი გაიყო, დაქუცმაცდა, დაიბნა გული... უდიდეს წამებას ეზიარა და უნებურად იუდას ცოდვებს. მე ყველასთან სათითაოდ მტყუანი და დამნაშავე ვარ. მეუფეო, შეისმინე დიდად ცოდვილის ლოცვა უკანასკნელი, არა, შენდობას აღარ გვედრებ, ღირსი [illegible]ა ვარ. სამშობლოს, ოღონდ სამშობლოს გავედრებ მარად!

სურათი მესამე

გატეხილი საზი

სალაყბო. სვეტებიანი და თახჩებიანი დარბაზი, ფართო კიბე. დაბალი ტახტები და სკამები, ნოხები. ერთგან დახლი, ზედ — ლამბაქები, ფიალები, სასმელები. სალაყბოში არიან მოქალაქენი — ვაჭრები, ხელოსნები, საიათნოვა თავისი დასით, ყოჩ-აშუღი და სხვები. ფარდის ახდისას: საერთო ხარხარი და ჟრიამული. ყოჩ-აშუღი კიბეზე არბის, ყველანი უკან მისდევენ, სიცილით, ძახილით. რჩებიან: საიათნოვა, მისი დასი და თითო-ოროლა მოქალაქე.

ხმები — გაიქცა! არ გაუშვათ! საღოლ საიათნოვა! ეს რა უთხრა, კაცო, ვახ-ვახ-ვახ! სიტყვაც ეგეთი ჯიგრიანი უნდა. არ ჩაუთქა. არიქა, წაგვიდა!

საიათნოვა — (უკრავს საზს)

სადაც რამ სთქვა საიათნოვას მარაქის,
სადაც სხვა სთქვა — ქებაც ტფილის ქალაქის.

დააბრუნეთ, არ გაუშვათ. იშტაზე მოველ, კიდევ სხვას ვეტყვი. (დანარჩენებიც გარბიან). ან მისი საზი ჩამომიტანეთ, ასეა წესი!

(საიათნოვა მარტო რჩება, შემოდის სოლომონ ლეონიძე).

სოლომონ — რა ამბავში ხარ, საიათნოვა? კიდევ გააქციე? ეს მეორედ.

საიათნოვა — ღორი ხეზე როგორ უნდა ავიდეს.

ავი კაცი ამ ქვეყნიდან გავიდეს,
საიათნოვა მეჯლისებში შავიდეს,
ეგ წავიდეს ხონთქართან, ყეენთანა.

სოლომონ — ოღონდ ფრთხილად, ხომ იცი, ყოჩ-აშუღი აზატ-ხანის ჯაშუშია, არაფერი წამოგცდეს.

საიათნოვა — ისე ვუთხრა, იგრძნოს და ვერ გაიგოს,
ენიშნოს კი — ვერაფერი წაიღოს.

მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აიღოს?
საიათნოვა სიტყვის ფეიქარია.
(სალაყბოს შესავალში ხმაური და ერიამულია).

სოლომონ — ვგონებ, ბრუნდებიან. აბა შენ იცი. დათუნა ფეიქარი მოსვ-
ლისთანავე გამომიგზავნე, ხომ იცი, აქ დიდი საქმეა.

საიათნოვა — თავათ პატრმა ნიკოლამ დაიბარა. მეტად ენდობა. რახან
კათოლიკეა დათუნა, ღალატს ჩაადენინებს, ჰგონია. არა, შვილოსან,
ჰამქარია, თავადი არ ეგონოს! (სოლომონი გადის).

ხმები — (შემოსავალთან და კიბეზე). მოდის, მოდის, ბრუნდება. იქადნე-
ბა. აბა, საიათნოვა, ჯავრზეა მოსული, ყათლამი არ გიყოს, დახვდი ბურ-
ჯადა!

საიათნოვა — ხალხის ნოქარს ერთიღა მწადს—ხალხს საამოდ ვემსახურო,
მოვიდეს და რაც წაიღოს, მე დავხვდები სიტყვის ხურო,
ცეცხლში სითბო არ ვანახო, წყალში დავწვა, მოვაწყურო,
მრუდ შემას თუ ვერ ასწორებ, ვაი დურგალო საიათნოვა!
(ყოჩ-აშული შემოდის. უკან მოქალაქენი მოჰყვებიან).

ყოჩ-აშული — (უკრავს საზს)
ორი გამოცანა გითხრა ანითა,
მერე ლექსიც დაგასეტყვო ბანითა,
არ იფიქრო, რომ დამჯაბნო განითა,
ყოჩ-აშულმა პატივი გცეს დანითა.

ხმები — აბა, გამოცანები! საიათნოვა, რას იტყვი? აბა, გვასახელე.

საიათნოვა — რა გიხდება ტყავი ფერად წვირისა...
და ყურებიც სიგრძე გასაკვირისა...
სილამაზე ბაგის თუ ჩიჩვირისა...
ყოჩ-აშულო, კუდი გიჩანს ძვირისა.
ისე რამეთ გათამაშო, როგორც თოკზე ქანდირბაზი.

ხმები — უჩანს, კუდი უჩანს ძვირისა. ყურებიც, ჰა, ჰა, ჰა! დაილოცა შე-
ნი საზი, არ გახეთქა ჭიპზე და ჭიჭინაზე. აცალეთ, აცალეთ, გამოცანა
სთქვას.

ყოჩ-აშული — ციდან ძაფად ჩამოვძვერი — რა არის?
შიგ გავგორდი ოქროს კვერი — რა არის?
სულ ნორჩი ვარ და თან ძველი — რა არის?
იცან, ისიც, ის სარტყელი რა არის?

ხმები — ეჰე, ეს კარგისაა, რა უნდა იყოს? ჩაიჩის უთხარ! (ყოჩ-აშული
ჩუმად ეტყვის ჩაიჩის).

საიათნოვა — მზე, წვიმა და ცისარტყელა (ჩაიჩი გამოცნობის ნიშნად
ზაყამს დაჰკრავს პირქვე დამხობილ ქვაბს).

ხმები — გამოიცნო, გამოიცნო, მართალია!

ყოჩ-აშული — გამოიცან. აბა, ერთიც ვთქვათ:
სულ ერთია ზაფხული თუ გაზაფხული — ამიცან!
ხელით-ხელში გადავდივარ თვალ აკრული — ამიცან!
მადლიცა მაქვს და გულიც მაქვს დალახვრული — ამიცან!
მეც მჭამენ და მეც სხვას შევჭამ დაწაფული — ამიცან!

ხმები — ეჰე, ეს კი ძნელისა სთქვა! აბა, საიათნოვა!

ყოჩ-აშული — ჰა, საიათნოვა, ჭკუას წიხლი დააჭირე! (ყოჩ-აშული მივა ჩაიჩისთან და ჩაუჩურჩულებს ახსნას. საიათნოვა ჩაფიქრდება) აბა, თითი მოჰკაკვე, ახალი ლექსი მოვიდა.

ხმები — სსუთ, საიათნოვა ჰფიქრობს, ვარაუდშია!

საიათნოვა — (უეცრად ჯიბეზე გაიკრავს ხელს, წამრიმახებს) ფული! (ჩაიჩი მაყაშს დაჰკრავს).

ხმები — გამოიცნო! აი გიდი, საიათნოვა, ტაში! ტაში! (საიათნოვა უვლის)

საიათნოვა — აბა ეხლა ჩემი რიგის პურია:

არც მშია და ჭამას მაიძულებენ,
წყალს მასხამენ, თუმცა არა მწყურია,
არ მიშვებენ, ჩაქუჩს მიკაკუნებენ
და სულ ვცეკვავ ასე გაქვავებული,
ვერ გამიძღა ვერც კუჭი და ვერც გული...
გიცნივარ?

ხმები — ვახ, როგორისა სთქვა! მაგას რა გამოიცნობს?

ყოჩ-აშული — არამც გამძღარხარ! უთხარ ჩაიჩის, უთხარ, მერე არ გადასთქვა.

საიათნოვა — (ჩაიჩის ჩაუჩურჩულებს) ჰა, ყოჩ-აშულ, ხეირი ნახე, სხვა მოვიდა.

ყოჩ-აშული — ცომი.

საიათნოვა — ოლოლე! ბიშტი შენ!

ხმები — გაქვავებული ცომი ვის გაუგია? ჰა, ჰა, ჰა!

ყოჩ-აშული — ხორბალი.

საიათნოვა — ორი ბიშტი. შენ დაუკა. (უკრავენ, საიათნოვა უვლის).

ყვავს არ ძალუძს ბულბულობა არადა.
იქნებ მიხვდე, გითხრა სულ სხვა გვარადა:
მივგორავ და ადგილზე კი ვტრიალებ,
მუნჯი ვარ და დღე და ღამე ვღრიალებ,
ფრთა მაბია და ფრინველი არა ვარ.
სტვირი მიდგას და საკრავი არა ვარ.
არც მათოვს და თეთრად კი ვიფარები,
არც სახლი ვარ და მაბია კარები.
გიცნივარ?

ხმები — რა ჩუქურთმა რამეა, ელეთ-მელეთი მოუვიდა, თითი, ყოჩ-აშულ, თითი მოკაკვე. ჰა, გაცივდა! (ყარაჩოღელნი ფეხს მოირთხმენ ყოჩ-აშულის წინ და ელიან) ჰა, მოვხუცდი კაცი, ჩამეძინა, ხოო... (ხვრინავს) გავიყინე, დამაბერე, ღმერთი არა გწამს?!

ყოჩ-აშული — გამოვიცან. სულ ეგაა? არა... ის არ არის... გამოცნობაზე ხელი ამიღია, მაინც რა ჯანდაბაა?

საიათნოვა — წისქვილი.

ხმები — დახე! მართლაც! პიტნა ყოჩ-აშულს! პრასის გვირგვინი!

ყოჩ-აშული — გამოცანის გამოთქმაში შენი ენა ჭარტალია — დამაცა!
ლექსებშიაც ცხვირი გიძევს, თუმცა ცუდი ფართალია — დამაცა!
ვისი ბედის კრუხი შენ ხარ, რომ კაკანებ — დამაცალე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც გურჯი ხარ, არც სომეხი, არც თათარი — დამაცალე!
გატლეკილი ენა გდიხარ, ვინც აჯობოს — დამაცალე!

ხმები — აბა, აბა, ეგეები არ იყოს, თორემ ხუთთითიანი ლექსი მოვიდა, აი! სსუ! წესრიგი, ამქარო, წესი!

საიათნოვა — შენ სულ სხვა ხარ, მე კიდევ სხვა გვარი ვარ.
საქართველოს მეფის საზანდარი ვარ.
ბულბული ვარ, ჭივჭავობა არ მინდა.
შენ საქებრად საწერელად ზღვა მინდა:
ხანის აზატ ფირუზი ხარ,
მას კუდის ჩრდილში უზიხარ,
კრაზანის თაფლის ბუზი ხარ,
ამ დედამიწის კუზი ხარ!

ხმები — ჰა, ჰა, ჰა! კუდის ჩრდილშიო, სწორეა! კრაზანის თაფლის ბუზი! კუზი! ყათლამია! უჯობნია! ფას ასეთი ლექსი! შენ გაიხარე, ლექსის ოსტატო. კუდის ჩრდილიაო. ჰა-ჰა!

ყოჩ-აშუღი — ... სადმე შეგხვდე, არა სალაყბოშია, ისმინე!
გაწრუწუნო, გაყრევინო ქოშია, ისმინე!
ბრძოლა იქნეს თუ იყვე ვიწროშია, ისმინე!
ყოჩ-აშუღმა რომ მოიკლას ხოშია, ისმინე!
შენი ღდინი ამოვაგდე, შე ბებერო თუთიყუშო!

ხმები — ჰა-ჰა-ჰა! გაბრაზდა, გაბრაზდა! გაქცევაზეა. იბერება. პა-პა-პა! იბერება, არ გასკდეს. დახე, დახე! ქამარი უჭერს. აიბურთა, აიბურთა! ვახ! ვახ! ვახ!

საიათნოვა — მაცალე, ამქარო. სტუმარია, პატივი დასდეთ.

ხმები — მერე ასე რას ილანძღება, ლექსი სთქვას, იქილიკოს... თუ არა, ღდინის ლანძღვა რა უზურია! ჯაფარასაც კი შეუძლიან.

საიათნოვა — მიკიტანი ბაზაზობას ვერ იზამს,
სოვდაგარი ყაზაზობას ვერ იზამს,
ეს რეგვენი აშუღობას ვერ იზამს.
თუ დაგლახდი, გაიპარე, თორემ ლექსი კიდევ მოვა,
მოახსენე შენს ბატონსა, ასე მღერის საიათნოვა:
კარგი აშუღი შევიდეს ბრძოლაში — მაშარა!
თოფი რომ დასცალოს, ხმალი მოისწროს — მაშარა!
იმდენი ყასტი ჰქნას სწორ ამხანაგში — მაშარა!
მტერი მარჯვედ მოჰკლას, სხვამ არ დაასწროს — მაშარა!

ხმები — შენ გენაცვალე სიტყვის კილოში! ვახ, რა ღრმად ჩაჰკრა! მანულუმ. ფას მაგასთან! შენმა მზემ, ჩემმა მზემ, სწორედ ქისტიმში მოარტყა! ოთხში ამოიღო და უპოლორჭიკოდ გაბერა. (ყოჩ-აშუღი ხურჯინს აიკიდებს, წასასვლელად ემზადება).

ყოჩ-აშუღი — არაკის გვარ სიტყვას ვაგდებ — ასეთი რამ რა იყოს!
მე ვიხარო, შენ იგლოვო — საიათნოვამ გაიგოს!
ეს იკოდე, გულის ჯავრი ყოჩ-აშუღმა აიღოს,
დღეს შენია ჩემი საზი — ხვალე სულ სხვამ წაიღოს!

(გაუწოდებს თავის საზს, საიათნოვა გამოართმევს და მიაგდებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიათნოვა — აქლემს ხურჯინი გკიდია,
დასინჯე, ციხე-ხიდია,
მეფე ერეკლე დიდია.
შენი მუქარა ფლიდია.
გულო ამღვრეულო ვერ გვაზიანო! ჰოლოლე!

ზმები — ჰოლოლე, ჰოლოლე! გარბის. მესამედ გარბის. დაიჭირეთ, არ გაუშვათ! (შეაჩერებენ) მოიცა, გზა მაინც დაგილოცოთ, მშვიდობა გითხრათ. პროშტი, პროშტი! (ეზიდებიან საიათნოვასკენ. ჩაიჩი საიათნოვას ყელზე მოჰხვევს დარაიას ბაღდადს. ყოჩ-აშული გაუსხლტება ამქრებს ხელიდან და გარბის) გარბის კუდ-მომწვარი! (ყველანი გაჰყვებიან. შემოდის სოლომონი).

სოლომონი — მომილოცავს, ჩემო საიათნოვა, შენს ყბაში ჩემი მტერი ჩავარდეს.

საიათნოვა — გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა,
რა გინდ მაღლა თახჩაზე დაიწყოს.

სოლომონ — ეგ კეთილი, მაგრამ დათუნა ფეიქარის დაგვიანება მეტად მაწუხებს. სასახლეში მალე დარბაზობა დაიწყება. დიდთავადები, მათი პარპაშის აღკვეთის გამო, მეფის წინააღმდეგნი არიან. მეტად ვშიშობ, რაიმე მახე არ დაუგონ იმ ვერაგებმა. (საიათნოვა გაიხედავს გასავლისაკენ).

საიათნოვა — აგერ მორბის! (უქნევს ხელს) აქეთ, დათუნ! აქაა, აქ გელოდება! (შემორბის დათუნა ფეიქარი).

სოლომონ — აბა, ჩემო დათუნა, როგორაა საქმე?

დათუნა — ცუდად, ჩემო ბატონო. თქვენი ეჭვი მართლდება. რაღაც ფარული თავშეყრილობა ჰქონდათ, სარკმლიდან შევნიშნე, მცირე კარით გავიდნენ.

სოლომონ — ვინ იყვნენ?

დათუნა — სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, გლახა ციციშვილი, დიასამიძე.

სოლომონ — პატრმა ნიკოლამ რად დაგიბარა? ყოჩ-აშულის გადასაცემად გამოგატანა რამე?

დათუნა — ბატონო ჩემო, თქვენ ესეც წინასწარ იცით? გულთამხილავი ყოფილხართ, ჩემს სიყრმეს ვფიცავ!

სოლომონ — ეჰ, ჩემო დათუნ, ჩვენ დიდებულთა ავი ზნენი მე კარგად ვუწყი...

დათუნა — (მიმოიხედავს) დიახ. გამომატანა, აი! (გადასცემს)

სოლომონ — პაატა ბატონიშვილის ბეჭედი. თვალი გეჭიროს, არავინ შემოვიდეს (დათუნა უთვალთვალებს, სოლომონი გასტეხავს ბეჭედს, ამოიღებს და გაშლის წერილს). „აღმოსავლეთის ამომავალ მზეს დიდ აზატ-ხანს“. (ჩუმად კითხულობს) ღალატი, აი ღალატი, სამშობლოს სისხლით ვაჭრობა. ვინ მერე? ხელს აწერენ... ჰაი ვერაგობავ! პაატა, მეფე ქართლისა! ადრე მოგსვლია მირონცხება!

საიათნოვა — ჰაი, პაატა ბატონიშვილი, ასეთი დინჯი, საზრიანი, განათლებული. ვით ერევა აგეთ საქმეში? სამშობლოს ცოდვაში როგორა დგება?

სოლომონ — დიდთავადებო, უგუნურებო, არ გესმით, რომ შეიძლება ერეკლეს გზა არ გაიზიაროთ, მაგრამ აზატ-ხანთან კავშირის გაბმა! იმას კი ვერ გადახვალთ, რომ მეფე ერეკლე დღეს ერთად-ერთი ძალაა, ერთი ალამი, რომლის ირგვლივაც შესაძლოა ჩვენი დაქსაქსული სამშობლო შემოიკრიბოს. ჩვენი საქმე და სიამაყე სიმართლეა და მეფე ერეკლეს სიმრთელე.

დათუნა — რა ყოფაში არიან: ყოჩ-აშული უკულმა შეუსვამთ აქლემზე.

საიათნოვა — დავიჭიროთ, ყოჩ-აშულს ნულარ გავუშვებთ. მისი ჯაშუშობა ყველას ვამცნოთ.

სოლომონ — არა, პირიქით, მას წერილი უნდა გადავცეთ, მაგრამ არაეს, სხვა.

საიათნოვა — სხვა წერილი?

სოლომონ — სულ ერთია, ოღონდ წერილი იყოს. პატრ ნიკოლას რამე ნიშანი ექნება შეთქმული ყოჩ-აშულთან, კარგად ვიცნობ იმ გველს. კარგა ხანია ვუთვალთვალებ. არავითარი ეჭვი არ უნდა აიღოს.

დათუნა — მართალია, აგრე მითხრა, ნიშანს რამეს გამოგატანსო.

საიათნოვა — მაშ მე დავწერ ბარათს.

სოლომონ — როგორც გინდა, დასწერე, მალე-კი. აჰა ქაღალდი. თუნდ ისე გაატანე, დაუწერავად, დაბეჭდე ოღონდ.

საიათნოვა — მაგისათვის ესეც ჰარამია. აბა საწერი! (დათუნა მიუტანს საწერ-კალამს, საიათნოვა სწერს).

სოლომონ — აბა, დათუნ, შენ იცი, ეხლავე ნიშანი აუტანე პატრ ნიკოლას, მერე ჩემთან გაჩნდი სასახლეში. (სოლომონი გადის).

საიათნოვა — (კითხულობს):

ყოჩ-აშულო, მოწყალება გაიღე,
აზატ-ხანთან ჩვენი სიტყვა წაიღე:
აშულობით მოგვეპარე შენ განა...
გაგაცრუეთ, დაგაგლახეთ ვალალი.
და თუ ესეც არ იკმარეთ ჩვენგანა,
მოდით, ჩვენი ხმალიც ნახეთ ალალი!

დათუნა — (სანთლის ლუქს ასხამს) ბეჭედი?

საიათნოვა — ეჰ, შენც, ერთი გახვრეტილი გროში მიგდია ჯიბეში, აჰანდე! (დააფურთხებს და დაადებს) ყოჩ-აშულს ახლა მაგის თავი არა აქვს. ჰა, გაფრინდი! (გადასცემს. დათუნა გარბის. საიათნოვა მარტო).

საიათნოვა — (აიღებს ყოჩ-აშულის საზს, თავისი საზიც ხელში აქვს) დიდთავადები, ვერაგები, ორგულები!

მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
საიათნოვას ორი საზი არ მინდა,
ისე გატყდეს, როგორც ქვეყნის გამცემი!

(დაჰკრავს ყოჩ-აშულის საზს და გასტეხავს).

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღვრილი სადღეგრძელო

მეფის დარბაზი. სტუმრები, დიდებულნი. მცირე ნადიმი — დარბაზობა. დარბაზში არიან მეფე ერეკლე, პაატა ბატონიშვილი, ლევან ბატონიშვილი, დიმიტრი ამილახვარი, ანტონ კათოლიკოსი, დავით სარდალი, გლახა ციციშვილი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, დიასამიძე, პატრი ნიკოლა და სხვანი, გარდა სოლომონ მსაჯულისა.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — დიდო მეფეო ქართლ-კახეთისა ერეკლე მეორევ თეიმურაზის ძეო, თქვენ მამათმთავარო, ყოვლის საქართველოის მაკურთხებელო, კათოლიკოსო ანტონ, თქვენ ბატონიშვილნო, დიდო თავადნო, დიდებულნო, დარბაისელნო, ჩემი პატივი თავმდაბალი და სასოება. ახლახან მოგვივიდა რომიდან კაპუცინი, რომელმაც მოგვიტანა ყოვლად უწმიდესისა და უნეტარესის რომის პაპის კლიმენტი მეცამეტის რწმუნება და საჩუქრები, დიდო მეფეო, თქვენს წინაშე წარმოსადგენად, ევერიელთა ძველებურ წესისამებრ ამას წარმოგიდგენთ ნადიმსა ზედა, ოდეს გული ადამიანისა ხსნილ არს, ხელგაშლილი და უფრო სათნო.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — დასტური მითქვამს. (პატრი ნიკოლა ანიშნებს, შემოაქვთ საჩუქრები).

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — ოქრო-ვარაყის საათია. დეე, იგი იყოს აღმრიცხველი თქვენ მრავალ ჟამთა, მამულისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. ესეც სასმისი უცხო ფაიფურისა, მოოქვილი, ოქრო-ცურვილი, ნადიმსა ზედა პირბაგესა შეგიფერებდეს.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — მრავალგზისი მადლობა გვითქვამს.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — და ეს სიგელი, უწმინდესი პაპის კლიმენტი მეცამეტის წმიდა ხელით სახული, თქვენ დიდ სახელზე მობოძებული...

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — წაკითხვა გვითქვამს, თარგმანება გვიბრძანებია.

პ ა ტ რ ი ნ ი კ ო ლ ა — (ჰკითხულობს) „ბრწყინვალეო და უძლიერესო ერეკლე, საქართველოს მეფევ და კახეთის მთავარო, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი თქვენდა! თქვენ ფიცი გითქვამთ — აღარ შეუშვათ სამეფოში მისიონნი კაპუცინთა, რაის გამო დიდად შეცწუხდით. ფიცი კეთილის აღსასრულებლად იქმნება და არა რამე ბოროტისათვის. ამის გამო არც ვალდებული ხართ დაიცვათ იგი ფიცი, რამეთუ მისი საგანი ჭეშმარიტების წინააღმდეგია. აწ გთხოვთ ინებოთ — დააბრუნოთ ეგ მისიონნი. სიკეთის მომნიჭებელ ღმერთსა ვთხოვ, რათა დაგიცვათ უვნებელად და საქმენი თქვენნი ყოველნი ააღორძინოს“. (მიაწოდებს, მეფე არ გამოართმევს).

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — გარჯისათვის მადლობა გვითქვამს. ჩაიბარეთ. (ანიშნებს ამალას, სიგელს გამოართმევენ).

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი — შესმას უცხო სასმისით ინებებთ, დიდო მეფეო?

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — არა, ქართული სასმისით (სახლთუხუცესი ჩადის კიბეზე, ჩამოხსნის კედლიდან მოოქვილ მცირე აზარფეშას).

პატრი ნიკოლა — დიდო მეფეო, პატივი დამდეთ, არსებულ წესისაებრ, ყოვლად უწმიდეს პაპის საპასუხო სმურს მე თავათ შეგივსებთ. ესე წესი ქრისტეს საიდუმლო სერობიდან მომდინარეობს.

მეფე ერეკლე — ინებეთ, მამაო. (პატრი გამოართმევს მერქიფეს სურას და ღვინოს ასხამს აზარფეშაში, ავსებს. სასმისი სახლთუხუცესს უჭირავს. ჩურჩულებენ).

სახლთუხუცესი — (ჩუმად) აქაც უარი.

პატრი ნიკოლა — „სასწაული“ ყველას მიუზღავს! (შეუმჩნევლად, თითიდან მოუხსნელად, ბეჭდის თვალიდან ჩაჰყრის საწამლავს, ბეჭედს სურაზე დააკაკუნებს). უკვე მზადაა.

სახლთუხუცესი — (ჩუმად) ჩვენც ყველანი მზად ვართ. (ხმამაღლა) მადლობა მეფის სახელით. მიართვით მეფეს.

(შეთქმულთ შორის ოდნავი მოძრაობა და დაძაბული მოლოდინი).

პატრი ნიკოლა — დიდო მეფეო, მომირთმევია, შეგერგოთ, ვით ტკბილია თქვენი სიტყვა და საქმე.

მეფე ერეკლე — (ჩამოართმევს აზარფეშას) მიგვიღია უნეტარეს რომის პაპის დიდი კურთხევა. მიგვიღია მათი ნობათიც. სახლთუხუცესო, პატრი ნიკოლა ღვაწლისათვის უხვად დაასაჩუქრე. წმიდა პაპსაც განუმზადეთ ძღვენი საჩინო, ოღონდ ესეც უნდა ითქვას, სიტყვა მისი ოდნავ გვაკვირვებს. ღვთის მსახურება არაოდეს არავისთვის არ დაგვიშლია, მხოლოდ სამშობლოს სამსახურს ყველასაგან მეტად მოვითხოვთ. თუ კაპუცინთა მისიონი სამშობლოს თავდაცვაში ხელს მოგვიმართავს, ჩვენი ფიცდება მასზე არ გავრცელდება, ხოლო ვუწყი მე, რომ ბოლო დროს თითქოს საქმე ღვთიურ ლოცვას ოდნავ გადასცდა. თუ ეს ასეა, ჩემი ფიცი მტკიცეა, როგორც ჩემი მახვილი. ფიცი კეთილის აღსასრულებლად იქნება მაშინ. მამათმთავარო, ბატონიშვილნო და თქვენ, ჩემო დიდებულნო, ამ სიტყვაზე, ვფიქრობ, მედგრად ვდგევართ ერთობლივ ჩვენა. და ვინც სამშობლოს ბედიღბალსა თავისაზე მაღლა აყენებს, დეე ეს სმურიც იყვეს მისი გამარჯვებისა!

ხმები — ვაშა დიდ მეფეს, ამინ და ამინ!

(მეფე შესმას აპირებს. ქვევით, შემოსავალში, ბესიკი შემოიჭრება).

ბესიკი — დიდო მეფეო! (მეფეს არ ესმის, კარისკაცები გადაეღობებიან ბესიკს და წინ არ უშვებენ. მეფე აზარფეშას ასწევს, ბესიკი ხედავს — გვიანაა). ვეღარ მივუსწრებ! (შეებრძოლება კარისკაცთ, გასხლტება განზე, იძრობს დამბაჩას, დაუმიზნებს და ესვრის: აზარფეშა ხელში შეატყდება მეფეს. ბესიკს გააკავებენ, იარაღს ჩამოართმევენ. საერთო შეშფოთება. ლევან ბატონიშვილი და დავით სარდალი ხმალამოწვდილნი წინ აეფარებიან მეფეს).

ლევან ბატონიშვილი — მამა, მეფეო, როგორა ხარ? უვნებლად?

მეფე ერეკლე — მხოლოდ აზარფეშა ჩამატყდა ხელში. სადღეგრძელო დამიღვარა ამ უგნურმა.

ანტონ კათოლიკოსი — ჰო, მადლი უფალს, სასწაულმოქმედს!

ხმები — ბესიკმა ესროლა, ბესიკმა!

მეფე ერეკლე — ბესიკ, შენა? შენ, ბესიკ? (მიუახლოვდება) ან იქნებ თვალი მატყუებს. ფუი, შეგარცხვინე, მეომარო, ვერაფერი სროლა გცოდნია! ან რას მერჩოდი, ბესიკ, ჩემო გაზრდილო, ერთგულო ჩემო? თუ

გამიმეტე, ბარემლა გულში მოგერტყა? (პატრი ნიკოლა თანდათან უახლოვდება გასავალს, სარგებლობს საერთო დაბნეულობით და გაიპარება. შემოვარდება სოლომონ მსაჯული დარაჯებითურთ. მათ შორის დათუნა ფეიქარიც).

სოლომონ — ალაყაფი დაჰკეტეთ, უმალ დააბშეთ ყოველი გასავალი, კარი ჩარაზეთ! უჩემოდ არავინ გაუშვათ! დიდო მეფეო... ბესიკ, შენც მათთან?

მეფე ერეკლე — სოლომონ მსაჯულო, ოდეს მე აქ ვარ უვნებელი, ვინა ჰბედავს განკარგულებას?

სოლომონ — ჩვენო მეფეო, მეფის თავდაცვა უკეთ იცის მისმა ერთგულმა. უფლებას ვითხოვ შეთქმულნი დავაპატიმრო!

მეფე ერეკლე — შეთქმულნი? უფლებას გაძლევ, ოღონდ საბუთი უტყუარი. პასუხს აგებ.

სოლომონ—ასჯერ გამიზომია. მაშ აღსრულდეს ნაბრძანები აქვე, ეხლავე.

მეფე ერეკლე — აქვე? ეხლავე? (ყველას სათითაოდ უმზერს).

ანტონ კათოლიკოსი — დიდება უფალს, ამას რას შევესწარ! დარბაისელნო, ნუთუ აქ, ჩვენ შორის?

მეფე ერეკლე — პაატავ! (მეფე შეაჩერდება პაატას, იგი თავს დაჰხრის)

სოლომონ — დიახ, მეფეო, პაატა ბატონიშვილი, სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი (დარაჯები აპატიმრებენ და იარაღს ჰყრიან), ელიზბარ თაქთაქიშვილი, გლახა ციციშვილი, დიასამიძე, პატრი ნიკოლა... რა იქნა? გაიპარა? აბა, მდევარი. დათუნავ, შენ იცი. (დათუნა და რამდენიმე დარაჯი გარბიან).

მეფე ერეკლე — საბუთი!

სოლომონ — აჰა, მეფეო! (მიაწოდებს პაატას სიგელს)

მეფე ერეკლე — (ჩაიკითხავს) აზატ-ხანს? ქართლის მეფე პაატა, დიდებულები. შენც, პაატავ, ბიძაჩემო, დიდგანსწავლულო, სამშობლოს მოამაგევ? ჰოი, ბესიკ, ბრმა იარაღო, ეგ ტყვია მოგერტყა ბარემ, ამ ვერაგობას, დაკნინებას მე მაინც ვეღარ ვიხილავდი, გადავრჩებოდი...

მსაჯული — მაგრამ სამშობლო?

მეფე ერეკლე — შენ მართალი ხარ, მსაჯულო, დიახ, სამშობლო. სამშობლო მეთქი? რა პასუხს მაძლევთ? თუ მე მიმტრობდით, მამულს რალას ერჩოდით, რას ემართლებოდით, იმეტებდით აზატ-ხანის საჯიჯგნელად? რას დადუმდით, თავნი დაჰხარეთ? უბე, უბე დამანახვეთ: მაშ თითო-თითო ქვა თქვენც დაგაქვთ, რომ თქვენს სამშობლოს ზურგში ჩაჰკრათ მუხანათურად!

ანტონ კათოლიკოსი—წყეულიმც იყავით, შეჩვენდით, შეირისხენით!

დათუნა ფეიქარი — (შემორბის). პატრი ნიკოლა გაქცეულა, ვეღარ ვიპოვნეთ, ქალაქიდან გადახვეწილა.

სოლომონ — კიდევ დამისხლტა ის გველი, აზატ-ხანს მიაშურებს, რალა თქმა უნდა...

მეფე ერეკლე — აბა, შეჰკარით, ყველანი გააცალკევეთ, სათითაოდ ჩასვით საკნებში. ვიყვეთ ულმობელნი და მართალნი, რა რიგადაც საქმე მოითხოვს. (ყველას შეუკრავენ ხელებს. ბესიკიც მათშია). მსაჯულო, მამათმთავარო, სარდალო, ერთგულნო დიდებულებო! მოგიწოდებთ სასწრაფოდ და სრულად გამოიძიოთ, რას მოქმედებდნენ ბატონიშვილი

პაატა და ეს შეთქმულნი სამშობლოსა და ჩემს წინააღმდეგ, რაცა დარჩეს იგი აღწერილი მატიანეში და უწყიდეს მოღალატეთა ქმედებანი ჩვენმა შთამომავლებმა, იქნებ ჩვენზე ბედნიერებმა. მსჯავრიც დასდეთ, სამშობლოს მსჯავრი, ვით შეჰფერით მოღალატეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი მეოთხე

გმირის ცრემლი

მეფე ერეკლეს სამუშაო ოთახი. ტახტი, ზედ ოქროს ჩარდახი. გვერდზე, ირიბად გასული, შუშაბანდი, რომელიც ოთახისაგან ფარდით ისაზღვრება, იქვე დაბალი ფართო სავარძელი. ფარდა ახდილია. ორი კარი: ერთი ზემოთ, მეორე ქვემოთ, ფართო კიბის ბოლოში. მეფე ერეკლე. კარისკაცი.

მეფე ერეკლე — შემოიყვანეთ! (შემოიყვანენ ხელშეკრულ პაატას) გაუხსენით! (შეუხსნიან ხელებს). არავინ შემოუშვათ (კარისკაცები გადიან. ერეკლე და პაატა მარტონი). ხომ მოისმინე განაჩენი, ერთხმად დებული?

პაატა ბატონიშვილი — დიახ, მოვისმინე.

მეფე ერეკლე — რას იტყვი? იქნებ უარჰყო? ან სხვა რამ განაცხადო ბოლო წუთებში?

პაატა — ვერაფერს ვიტყვი. და არაფერს... განაჩენი, სჩანს, ყოფილა სამართლიანი.

მეფე ერეკლე — მაშ აგრე. თუ პირფერობ სიკვდილის ჟამსაც?

პაატა — ნუ ინებებ, მეფეო. პირფერი რომ არა ვარ, ეგ კარგად უწყი.

მეფე ერეკლე — აგრე მეგონა. სჩანს შევმცდარვარ. ღალატს შენგან არ მოველოდი. განსწავლული ხარ, სიბრძნით მოსილი, მოგივლია მთელი ქვეყანა, გინახავს შედეგები გამცემლობისა. ანგარება არ გემჩნეოდა, არც პატივმოყვარე იყავ თითქოს. ტახტის გულისათვის ვერაგობას არ ჩაიდენდი. ჰოი, პაატავ, იცი, რა რიგ შემაძრწუნა შენმა შეთქმამ, კი არ შემაშინა, შემაძრწუნა... ჩემო პაატავ!

პაატა — ვიცი, მეფეო.

მეფე ერეკლე — ეხლა მე შენ როგორც მეფე არ გეუბნები, არამედ როგორც ქართველი, ნათესავი, შენი დისწული, გვარის კაცი, ადამიანი, რომელსაც გული სტკივა საქართველოსთვის.

პაატა — მე ვიცი ეგეც. ამიტომ უყვედრებლად ვიღებ განაჩენს.

მეფე ერეკლე — იღებ განაჩენს? მაშ, ალბათ, ჰნანობ? მითხარ მალე. იქნებ შეგინდო, გაპატიო, თუ გზა მოვნახე. იქნებ აღსარებას ეტყვი ვინმეს, თუმც შენ კათოლიკე ხარ და აქ არა გყავს პატრი ნიკოლა.

პაატა — არა, მეფევ ჩემო და ნათესავო. ეს ამბავი შემთხვევით ხომ არ მომსვლია. შენ ჩრდილოს გზით მიხვალ. მე ჯერ აღმოსავლეთით, მერე კი დასავლეთის შორეული კეთილდღეობა. კათოლიკობა მიმიღია, მიწამებია: ეს ღმერთი ყველაზე უფრო სასარგებლოა საქართველოსთვის, სამშობლო გზაჯვარედინზეა. ან აქეთ, ან იქით. შენც ხომ განსაჯე და ჰფიქრობ, რომ მართალი ხარ. მე კი სხვაფრივ გამიჭვრეტია. გზაჯვარედინზე ერთის თავი უნდა დაგორდეს...

მეფე ერეკლე — სამშობლოს უსათუოდ ასე სჭირია.

პაატა — გეთანხმები, ასე სჭირია. ეს მარტო ჩემი და შენი თავის საქმე როდია.

მეფე ერეკლე — მე რომ ვიცოდე, სამშობლოს ბედს ჩემზე უკეთ შენ გადასწყვეტდი, ტახტს დაგითმობდი. რაა იგი? — უშნო სკვი, რომელსაც მუდამ რომელიმე ფეხი აკლია! და მასზე ჯდომა მეტად ძნიმ, ავი ხვედრია, თუ კი მეფე ხარ და არა უბრალოდ ტახტზე მჯდომელი.

პაატა — ტახტი არც მე მწადს. მე ხომ ბედი მაწუხებს, სამშობლოს ბედისწერა აუტანელი. მცირე ერის მომავალი... ჩვენ ხომ ყველანი ბეწვის ხიდზე გაკიდულნი ვართ. მე თავსაც დავდებ, მაგრამ აზრს ხომ ათასი თავი აბია?

მეფე ერეკლე — ათასივე უნდა დაგორდეს!

პაატა — თითო თავის მოკვეთამ ნაყარი იცის უცნაური, აურაცხელი.

მეფე ერეკლე — სამშობლოსათვის ბრძოლა ლმობიერებას ვერ ეგუება.

პაატა — ეგ ვიცი. მეც მაგრე მოვიქცეოდი. შენც ხომ გაგწირე, თუმც იცის ღმერთმა, უდიდეს გმირად გრაცხავ. დიდო მეფეო, გმირო მებრძოლო, თავდადებულო, დამკარ, მაგრად დამკარ, მაგრამ დამკარ სიმართლის რწმენით! ესეც იცოდე, იქნებ ინანო. ოღონდ მაშინ პაატას მოკვეთილ თავს მოიგონებდე.

მეფე ერეკლე — ჩემი აზრი სწორია და შენ შეცდომას უნდა გადაჰყვე, თუმც მენანები: ლმობიერება სამშობლოს ხარჯზე უდიდესი ბოროტებაა.

პაატა — რაა ეს თავი? იგი ზედმეტია, დეე, მოიკვეთოს, თუ სამშობლოსათვის კეთილი რამ ვერ უფიქრია. დამკარ, მაგრად დამკარ, მაგრამ დამკარ სიმართლის რწმენით! და თუ შენი გზა ჩემსაზე სწორი აღმოჩნდა, ესეც იცოდე, ჩემი სისხლი შენდობილია, და სამშობლოსთვის ჩემი თავი ალალი იყვეს. ეს ჩემი სიტყვაა, მეფეო, უკანასკნელი. დიდხანს იცოცხლე... მეფეო, იცოცხლე დიდხანს, თუ კი სამშობლოს მოუპოვებ ბედნიერებას, თუ არა და სულ ერთია, კიდევ მოვა ასი პაატა.

მეფე ერეკლე — მეფედ ნუ მრაცხავ, სად არის მეფე? მე მონა ვარ ჩემი სამშობლოსი, მისი მსახური. რა მეფე ვარ, ხელისუფალი, თუ კი ოდნავი უფლება არ გამაჩნია ნათესავის მიმართ ლმობიერ ვიყო? ჰეი! ბესიკი შემომიყვანეთ! (შემოჰკრავს სარეკს).

პაატა — მეფეო, ერთიც, სანამ ჯალათის ხელში გადავიდოდე, საამქვეყნო საქმეები მწადს მოვათავო. მე ხომ მამა ვარ, შვილის მიმართ რამ ვალი მაწევს. ჩემი შვილი ანო შენთვის მიშვილებია, ნუ აგრძნობინებ ამ ქვეყნად მწარე ობლობას, ნუ დაგრჩება განუკითხავი. ბესიკის საქციელი შენს წინააღმდეგ ვერაფრით ვერ ამიხსნია. მაგრამ ამ საქმეში ანოს არაფერი ბრალი მიუძღვის. ამას, მე ვფიქრობ, თვით ბესიკიც დაგიდასტურებს. ანოს შენს წინააღმდეგ არ მიუძღვის დანაშაული. მამას თუ ართმევ, თავათ გაუწიე ობოლს მამობა...

მეფე ერეკლე — ჰოი, სიტყვას გაძლევ, ერეკლეს სიტყვას, ჩემს შვილებში არ გავარჩიო, იგი უკვე ჩემს ოჯახშია. აქვეა... ახლავ გაახლებ, თუ ინებებ შენი შვილის ნახვას?

პაატა — აჰ, არა! მაგას, ვგონებ, ველარ ავიტან. ჩემი სიცოცხლე თავიდანვე უშნოდ ვიდოდა, ხოლო წასვლა სიცოცხლიდან შნოიანად მწადს. (მიდის გასავლისაკენ) აჰა, ჯალათო, ჩემი ლეში, შენი ხვედრი ვარ!

მეფე ერეკლე — მე, ადამიანს, ერეკლეს, შენს დისწულს — შემინდვიხარ. ესოდენ რიგ შემბრალებიხარ... მაგრამ მე, მეფეს, ერის გამგებელს, მაქვს კი უფლება რომ გაპატიო? დეე, აღსრულდეს! (პაატა გაჰყავთ). მძიმეა, რა რიგ მძიმე ერის სვე-ბედის ძღოლა, პასუხისმგებლობა! მე მართალი ვარ, მაშასადამე, ვალდებული, ვიყვე შეუდრეკელი, გულქვა. მძიმეა ხმალი სახელმწიფო მართლმსაჯულებისა! (შემოჰყავთ ხელებ-შეკრული ბესიკი). (დიდხანს უმზერს) ბესიკ, მოდი აქ, ახლოს მოდი. (ბესიკი არ იძვრის. ერეკლე თავათ მივა, შეუხსნის ჯაჭვს. რეჩხს გაიღებს ჯაჭვი). შენ გგონია გააცდინე აღებულ მიზანს?

ბესიკი — არა, მეფეო!

მეფე ერეკლე — დიახ, არა. ეგ შენი ტყვია აქ მომხვდა, აქ მიგორავს, გულის სისხლში ევლება... ისეთი რა ვქმენ, რომ ჩემმა გაზრდილმა, საამაყო მგოსანმა, ადამიანის გულთა მესაიდუმლემ მევე გამწირა?

ბესიკი — ნურას მკითხავ, დიდო მეფეო!

მეფე ერეკლე — ნურას გკითხავ? მაშ თავათ სთქვი, მიამბე, გული გადმიხსენ... სიკვდილის ლანდი მოგვდგომია. მსაჯულებმა ვერაფერი ვერ გათქმევინეს, შენს მეფეს, მამად მიჩნეულს, აღსარება მაინც მითხარი. ეკლესიისა კი, ვიცი, არა გწამდა რა.

ბესიკი — ოჰ, არა, არა, არ შემიძლიან სიტყვა დავძრა. რვალი მიძევს თითქოს ხახაში, კრიჭა შემეკრა!

მეფე ერეკლე — ანას გაფიცებ. მე ხომ ვიცი შენი ტრფიალი. ამ ტრფიალს არ ვუთანაგრძნობდი, იმ თავითვე წინააღმდეგი ვიყავ. მართალი გამოვდექი, ხომ ხედავ, სად მიგიყვანა?

ბესიკი — ოჰ, არა, არა! ანა აქ არაფერს შუაშია. ის არ არის დამნაშავე, ის უმწიკვლოა, უცოდველი. ჩემი თავი იყოს მის სანაცვლოდ. ჩემი სიკვდილი მის სიცოცხლეს იქნებ ათასჯერ სჯობდეს.

მეფე ერეკლე — ვერაფერი ვერ გამიგია, აქ რალაცაა, ვერ ჩავხვდი ოლონდ, ვერ გავარკვიე. მითხარი, ბესიკ, ბიჭო, ჩემო ხუჭუჭა ბიჭო, ჩემო გაზრდილო (ეხვევა), განა არ გახსოვს შენს ბალღობაში, შენს ოჯახისთვის, პირადათ შენთვის ამ ხელებს რაოდენი ნუგბარი და ალერსი მოუტანიათ? იქნებ მამიშენის გულისათვის გამიხდი მტრად? მაგრამ მისი განდევნის მიზეზი შენ კარგად უწყი, ანტონ კათოლიკოსის შერიგების პირობა იყო. მითხარ, ბესიკ, გული გადმიხსენ. საშინელებას ნუ ჩამადენინებ, უეცარ ცოდვას ნუ გადამკიდებ! (ბესიკი ხელზე აკოცებს. ერეკლე გამოსტაცებს ხელს) და ახლა ამავ ხელებმა სასიკვდილოდ უნდა გაგწირონ! მითხარ, ბესიკ, რამ გაიძულა?

ბესიკი — ნუღარ მტანჯავ, დიდო მეფეო!

მეფე ერეკლე — (გაწყრება) მე გტანჯავ? მეე? განა თავათ რომ ვიტანჯები, მე ვიღა მკითხავს? მე ვიღას ვეტყვი? ნუღარ მტანჯავო. შენ მარტო შენს თავზე ჰფიქრობ, შენი თავის ტანჯვას ატარებ, მე კი შენსასაც, ჩემსაც და მთელ სამშობლოს ტანჯულ ბედ-იღბალს! (შემოჰკრავს სარეკს. შემოდის კარისკაცი). გამომიხმეთ ანა ბატონიშვილი. თეკლასთან იქნება, ალბათ. (კარისკაცი გადის). ნუღარ მტანჯავო. კარგი, აღსრულდეს! ჰეი, გაიყვანეთ... მახვილი მართლმსაჯულებისა. (შემოდიან კარისკაცნი).

ბესიკი — მამა, მეფეო, იცოდე, ანა ბატონიშვილს არ მიუძღვის დანაშაული! (გაჰყავთ)

მეფე ერეკლე — ანა ბატონიშვილს არ მიუძღვისო დანაშაული. (შემოდის ანა ბატონიშვილი. შეშფოთებულია).

ანა ბატონიშვილი — დიდო მეფეო, მაქვს პატივი გეახლოთ. სასოებით შემოგყურებ. ირგვლივ რაღაც უჩვეულო მითქმა-მოთქმაა.

მეფე ერეკლე — უჩვეულო მითქმა-მოთქმა? (სარკმლიდან შორეული ჩოჩქოლი შემოისმის).

ანა — იქაც ჩოჩქოლი, მოედანზე... დიდო მეფეო, მამაჩემი, მამა სად არის? (მიიწევს სარკმლისაკენ).

მეფე ერეკლე — (შეაჩერებს) არა, შვილო, ნუ გაიხედავ, კარგს ვერაფერს დაინახავ. ჩემო შვილო, ობოლო შვილო!

ანა — ობოლო? მამა, ჩემი მამა?

მეფე ერეკლე — მე ვარ მამაშენი, მე, მე გაგიწევ მამობას, შევეცდები, რომ გაგიწიო. მამაშენმა შენი თავი მე ჩამაბარა.

ანა — ვაი მამა! მითხარი, მეფევ, ყველაფერი მითხარ, ნურას დაჰფარავ.

მეფე ერეკლე — (მოეხვევა). მოდი, შვილო, იყუჩე, შვილო. თუ შესაძლოა, უნდა იყუჩო. ან იტირე. ჩემს მაგივრადაც. მე ხომ ტირილი არ შემიძლიან. ორიოდე წვეთი გამოჟონავს, მხოლოდ ორიოდე... დაიტირე. მამაც, ბესიკიც...

ანა — მამაც? ბესიკიც? (გახევდება).

მეფე ერეკლე — ასე, შვილო, ბესიკიც, სხვებიც... არ მინდოდა, მაგრამ ასე მოხდა. ასე იყო საჭირო. შენ ვერ გამიგებ. იქნებ ვერც მაპატიო. ასე იყო-მეთქი საჭირო. ჩვენს მომავალს ასე სჭიროდა. ჩვენი შორეული ბადიშები დააფასებენ.

ანა — ასე იყო საჭირო? ჩვენს მომავალს ასე სჭირია? მამაც, ბესიკიც.. (უეცრივ აიმართება) ამით მამულს თუ კი უწევ ნამდვილ მამობას... მეც შეგინდობ, ცდომილი შვილი, უსასო ობოლი, რომელმაც თავისი დღენი თავათ დავთვალე და ჩემი მამისა, მეფისა და ერის წინაშე წარვსდეგ პირშავად.

მეფე ერეკლე — მამაშენმაც, ბესიკმაც აგრე მოუწყეს — ანას არ მიუძღვისო ამ საქმეში დანაშაული.

ანა — არ მიუძღვისო დანაშაული? მამა იტყოდა?

მეფე ერეკლე — ბესიკმაც სთქვა, უფრო მტკიცედ, უფრო სარწმუნოდ.

ანა — ბესიკმაც სთქვა... რომელიც მევე დავღუპე! (შემოვარდება მეტად აღელვებული თეკლა).

თეკლა — მამავ, მეფეო, მამიკო! (ერეკლე შეკრთება, ხელს შეუშვებს ანოს და თეკლასთან მიიჭრება).

მეფე ერეკლე — რა იყო, შვილო, თეკლა? კიდევ რამე აუგი?

ანა — (განზე დარჩენილი მივარდება, გააღებს სარკმელს) მამა! ბესიკ! ოაღად მინდა სიცოცხლე, მეც თქვენთან, მეც! (იძრობს დანას, თეკლა დაინახავს, შეჰკივლებს).

თეკლა — აჰ! მამა, უშველე! (მიუთითებს ანოზე, ორივენი მივარდებიან. გვიანლაა: ანო მკერდში დაიცემს დანას და ერეკლეს გაწვდილ მკლავებზე გადაესვენება. ერეკლე აიტაცებს და დაბალ ტახტზე დაასვენებს).

მეფე ერეკლე — რა ჰქმენ, შვილო ჩემო?

ანა — თქვენ ვერ გამიგებთ, ასე იყო-მეთქი საჭირო... ცხოვრებაში სასიცოცხლო აღარა შემრჩა.

თეკლა — ანო! მამა! ექიმი, დოსტაქარი!

მეფე ერეკლე — (შეუსწორებს მკლავებს) გვიანღაა, ეხლაც აბრულდა, (თეკლა ჩუმად ქვითინებს). ჰოი, მაცხოვარო! შენ იცოდე, რა რიგ ვიტანჯები! ჰოი, შეგცოდებ, ასეთ ტანჯვას თვით ქრისტე ვერ აიტანდა, მაკმარე ხვედრი!

თეკლა — მამა, სოლომონ მსაჯულმა შენი სასმისიდან დაღვრილი ღვინო შენს მწევარს ძალით აალოკვინა. მაშინვე დავარდა იგი. კრუნჩხვით ამოხდა სული.

მეფე ერეკლე — სოლომონ მსაჯულმა? ჩემ სასმისიდან დაღვრილი ღვინო? ბესიკის ტყვიამ ხელში რომ შემატეხა, აღარ შემასვა?! აჰ, დაბრუნეთ! (შეჰკივლებს შემზარავის ხმით) აჰა, ბეჭედი, მოედნიდან დაბრუნეთ, იქნებ მიუსწროთ! (გადასცემს ბეჭედს, თეკლა გარბის შემოვარდნილ კარისკაცებთან ერთად).

მეფე ერეკლე — (მარტო) მძიმე ხვედრი მარგუნა ჟამმა: მეფედ მყო ბედგანწირულ საქართველოში, გული-კი მომცა ლმობიერი ადამიანის. ერის მომავალს ასე ნათლივ რომ არ ვსახავდე, იქნებ მეფობა გამეწია უფრო შოშმინით. სისხლიანი მატიანე აქამდე კბილით მოგვითრევია. ახლი მიგვჩიხა ჟამმა. თუ მომავლის სწორი გეზი არ დავისახე, გათავდა. ელერა, ქართული სიტყვა ჩაიძირა აღმოსავლეთში. ამ დახნულ გულში რაც მორევი—ბოღმა ტრიალებს, იგი რომ მეთქვა, მთელ მსოფლიოს შეაშფოთებდა. მაგრამ ვის ვუთხრა, ვის შევჩივლო ჩემი ვარამი? ნუგეშს, პირიქით, ჩემგან ელიან. ხომ მე ვარ ამ ბედკრული ქვეყნის საბოლოო ჭირისუფალი. ყველა მე მიმზერს, შემომყურებს, ზოგი სასოებით, ზოგი შურით, ზოგნი კრულვითაც, ალბათ. მეფეს ჰხედავენ, ადამიანი კი არვის დაუნახავს. არ მახსოვს საქმე — ჩემი გული არ მეწილადა. არ მახსოვს წუთი — სიტკბოება მეგრძნო ქვეყნისა. არ მახსოვს წამი — მიმელულა თვალი მოღლილი. არ მახსოვს ვადა — ხმალისათვის ხელი შემეშვას. მაგრამ ამას კიდევ ავიტან. გაკერპდა გული. ვალდებული ვარ ავიტანო. მე ეს მაწვალებს, დღეს მივალალებს: ურთიერთ შუღლს, თავბრძოლას უფრო მეტს დროსა და სისხლს ვანდომებთ, ვიდრე თავდაცვას... ყოველი საქმე თვითმკვლელობას უფრო წააგავს, აი აქ არის ბედკრულობა საქართველოსი! რომ არ ვიფიქრო, არ შემიძლიან და როცა ვფიქრობ, ტკივილია და წამება განუქარველი. მაგრამ ხვედრია. როცა ვითავე, უნდა ავზიდო. რომ არ მეთავა, არ იქნებოდა (შემოდიან თეკლა და სოლომონ მსაჯული. შემოჰყავთ ბესიკი) ბესიკ!

ბესიკი—მეფეო, რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლიან, გამიშვი, მომკლან...

მეფე ერეკლე — ვისაც სჭიროდა შენი მსხვერპლი, აღარ სჭირია.

ბესიკ — აღარ სჭირია? (თეკლა მივარდება და დასტირის ანას... ბესიკი მიიწევს. შემკრთალი მიუახლოვდება). აღარ სჭირია... დიდო მეფეო, მამა მეფეო... ანა.. ბატონიშვილი...

თეკლა — თავი მოიკლა უბედურმა...

ბესიკი — თავი მოიკლა? ჩემო ანავ, ჩემო სულო, ჩემო სიცოცხლევ და სიკვდილზე უნეტარესო!

მეფე ერეკლე — ბესიკ, გამაგრდი, ვაჟკაცი ხარ... გული ამოჯდა.

ბ ე ს ი კ — (ჩასჩურჩულებს ანას) მე არა მითქვამს-რა, იცოდე, არა მითქვამს-რა! იცის გულმა, აღარ მინდა მეტი სიცოცხლე. (აღარა სტირის, არც მოსთქვამს. ეალერსება, ნელა, ნაზად და გულამომჯდარი წარსთქვამს. ყოველი სიტყვა ტკივილია და სისხლიანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანო ტატანო, გულ-წამტანო, უცხოდ მარებო,
ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მოსათვალნო, შემაზარებო!
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ წამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარეო.
ბაგე მდუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო.
თვალთა ჰსურიან ხილვა შენი, კეკელა მარდო.
გულსა სწყურიან დამაშვრალსა, რას შეგაფარდო?
თუმცა შენ დაგთმო, ვინღა ვჰპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არვისი მსურს შევიზარებო.

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულ მთვარეს:
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს.
ვაჲ სიცოცხლეო, უკულმართო, დანაკარებო!

(თეკლა მოსთქვამს. სოლომონ მსაჯული სდგას შეძრწუნებული. მეფე ერეკლე განზე გამდგარა, მის ღაწვებზეც წვეთ-წვეთად მოგორავს ცრემლი).

ს ო ლ ო მ ო ნ — ბესიკ, ბესიკ, დაჩუმდი, მეფე სტირს, ერეკლე სტირს, გმირი სტირს! ვის დასტირის ნეტავი მეფე?
(შემორბის ლევან ბატონიშვილი, კიბის ქვედა თავშია, ერეკლეს მეტს ვერავის ხედავს).

ლ ე ვ ა ნ — მამა მეფეო, დესპანები, სასწრაფო ცნობა ერევნიდან, ომის ამბავი!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — (წელში გაიმართება, ძალას მოიკრებს) დესპანები? ერევნიდან? ომის ამბავი? აზატ-ხან! მოველოდი, დაიძრებოდა. ეხლავე აქ მომგვარეთ დიდებულნი. დესპანს მივიღებ. სწრაფი თათბირი მითქვამს! (ლევან ბატონიშვილი გადის, მეფე მიუახლოვდება სოლომონს) სოლომონ, მეფე როცა სტირს, რაღა უნდა ჰქნას მისმა ერთგულმა ქვეშევრდომმა?

ს ო ლ ო მ ო ნ — გაამხნევოს, შეახსენოს მტრის შემოსევა...

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — მართალი ხარ! ჰოი, რომ მყვანდნენ მეტი სოლომონები, მაგრამ მე უფრო მეტი პაატები მყვანან!
(სოლომონი გაშლის ფარდას, რომელიც დაჰფარავს ოთახის იმ ნაწილს, სადაც ანას ცხედარია. იქ დარჩებიან თეკლა და ბესიკი. შემოდიან: ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი, ი ბ რ ა გ ი მ, ხ ა ნ ი შ უ შ ი ს ა, სხვა დიდებულნი და დესპანნი ერევნის სახანოდან).

დესპანი — მეფეთ-მეფეო, ჩვენო მფარველო, დიდო ერეკლეო, ერევნის ხანისგან და მელიქებისგან მდაბალი სალამი და სურვილები დღეგრძელ ყოფნისა ჩვენდა მფარველად და მტრის ურდოთა შესამუსრავად! მდაბლად საჩუქრები მოგვირთმევია. (მიართმევს ბალიშზე ...ბალს და დიდ გასაღებს, იქვე სიგელი).

მეფე ერეკლე — მადლობა მითქვამს. მცირე თათბირი მიბრძანებია.

დესპანი — მეფეთ-მეფეო, დიდი ხანი ერევნისა, თქვენი მორჩილი ქვეშევრდომი და მოკავშირე, დიდის აჯებით თხოვნას მოგართმევს.

მეფე ერეკლე — წაკითხვა მითქვამს.

დესპანი — „აღმოსავლეთის ლომი, ავი აზატ-ხანი, ჩვენს წინააღმდეგ კვლავ ამძვინვარდა, 20.000 მებრძოლით თავს დაგვესხა, მორჩილებას გვთხოვს. დავკავშირდეთო, გურჯისტანის ვეფხს ერეკლეს ვეომებიო. ერევნის ხანმა, მელიქებმა და მთელმა ხალხმა არ ვინდომეთ თქვენგან განდგომა. აზატ-ხან გვარბევს, ერევნის ციხეს ალყა დაადო. ჰა, მეფეო, ჩვენო მფარველო: ამ გასაღებს ეს ხმალი ახლავს. თუ შველას მოგვცემ, ეს ხმალი გამოგადგება და თუ გაგვწირავ, ეს გასაღები ჩვენი ციხისა, ვისაც გენებოს მას უნობათე“.

მეფე ერეკლე — (დაავლებს ხელს ხმალს) მხნეობა მითქვამს, კვლავ გამარჯვება მიბრძანებია. ომი აზატ-ხანს, აი ჩვენი თათბირი. ეს გასაღები კი დაუბრუნეთ ჩემს ქვეშევრდომს და მოკავშირეს. ასე უბრძანეთ: ქალაქი დაჰკეტოს მაგრა, ხალხს გაუფრთხილდეს, იცოდეს, გურჯისტანი მოდის მაშველად. დავით სარდალო, შიკრიკები აფრინე ყველგან. სადროშეები შეემზადონ. ქუდზე კაცი! აზატ-ხან იქვე ერევანთან უნდა დავთრგუნოთ, თუ არა და სულ ერთია აქ ამოგვივა. დარბაისელნო, რას მითათბირებთ?

დავით სარდალი — რისხვა აზატ-ხანს!

ლევან ბატონიშვილი — მამა მეფეო, მტერს შორსავე დავკრათ. იქვე, იქვე მივუხტეთ.

სოლომონ მსაჯული — ერევანი უნდა დავიხსნათ.

პაპუნა ორბელიანი — ბრძენო მეფეო, შენის პირით ერი ჰლაღადებს.

იბრაგიმ-ბეგ — მეც თქვენთანა ვარ, მეფევ და ჩემო მფარველო. თქვენი მტერი ჩემი მტერია. შუშის სახანოს გასაღებიც აქ იღება და იკეტება.

მეფე ერეკლე — ეს იცოდეთ, წინდაწინვე ითვალისწინეთ, ბრძოლა მძიმე გვექნება. თადარიგი რამ დავიჭიროთ. სურსათი ჯარისათვის, ერევნელთათვის — იქ მიფიქრია: უკვე შიმშილია გამეფებული. აუწყეთ ტფილისის მოქალაქეთა, მუხრან-ბატონს, გარსევან ჭავჭავაძეს, ბორჩალოელთა, კახეთს, სწრაფმავალი ჯარი უნდა შევყაროთ. თუ კი ანაზდად ვეკვეთებით, მცირე ჯარითაც ბევრს გავხდებით და რისხვას დავცემთ (ადგება). თათბირის სასრული მითქვამს. თადარიგი ყველასათვის მიბრძანებია. დილით სათითაოდ მომახსენებდეთ.

დესპანი — დიდხანს იცოცხლე ზეცის მადლით, დიდო მეფეო, მოყვარეთა სასახელოდ, მტრის საფალალოდ.

(მდაბლად თავს დაუკრავს, ყველანი გავლენ. ერეკლე მარტო დარჩება. ფარდის უკან ისმის ბესიკის წართქმა).

ბესიკი — „მე შენი მგონე ჭირს შემკონე, დამწვი მალ ალო,
ზილფო ნაშალო, შემაშალო, მკვლელო დალალო,
მთიებო პირო, მიჯნურთ მჭირო, ბროლო დალალო,
კეკლუცო ნაზო, შენ ლამაზო, ბროლ-ფიქალალ!
მე შენსა ყარიბს და მიჯნურსა მაქვს სავალალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლე — ბესიკ, აქ მოდი! (ფარდის უკანიდან გამოდის ბესიკი) სხვა ჰანგია ახლა საჭირო: გლოვა გათავდეს უნდა, სხვას მოითხოვს ახლა სამშობლო. უდროო და უადგილო გულჩვილობა საძრახისზე უარესია. აჰა, დაიბრუნე შენი დამბაჩა. ნიშანი ჩინებული გცოდნია, მტერსაც გაარჩევ. მოდის აზატ-ხან! (ბესიკი გამოართმევს დამბაჩას. მეფე გადაეხვევა ბესიკს).

მოქმედება მეოთხე

შიშველი ხმალი

შორით არარატის ხედი. მახლობლად გორაკი. ქვემოთ ქვის თაღიანი ხიდი. დამშრალი ღელე. გორაკის თავზე სანახევროდ მოსჩანს ციხე და მეჩეთის მინარეტი, დილა, ბინდი. აქა-იქ ქართველთა სანგრები, საფარები. მეფე ერეკლე, დავით სარდალი, სოლომონ მსაჯული, ბესიკი, ვაჟურად გამოწყობილი თეკლა და სხვა დიდებულნი. ციხე შემორტყმულია ქართველთა მიერ.

დავით სარდალი — დიდო მეფეო! ჯარი მზად არის, ნიშანს ელის მხოლოდ. ეს-ესაა გვამცნო მზვერავმა: აზატ-ხანის ჯარი მოშლია ერევნის ციხეს და აქეთ მოდისო დიდის სიჩქარით.

მეფე ერეკლე — თავად აქ არის აზატ-ხანი, ამ ციხეშია, ეს არის მთავარი. განთიადისას ეს ციხე უეჭველად უნდა ავიღოთ. მაშინ ის ჯარიც ველარას გვიზამს.

სოლომონ მსაჯული — თუ ვერ ავიღეთ?

მეფე ერეკლე — ორ ცეცხლშუა გვიწევს ბრძოლა, სახიფათოა. უნდა ავიღოთ.

სოლომონ — სიტყვა მაქვს, მეფეო, ნებას ვითხოვ.

მეფე ერეკლე — ბრძანე, სოლომონ. ვიცი, დინჯ რამეს იტყვი.

სოლომონ — ერევანი უკვე ვიხსენით, ალყა მოშლილია. აზატ-ხანიც ამ ციხეშია. ბრძოლას ვერა ჰბედავს. თან ესეც ვიცით, დიდი ჯარი და ძალა ახლავს, ხოლო აშინებს ჯარის ორად დაქსაქსვა და თქვენი ხმლის ქება, თქვენი სახელი. თავად უწყი, ჯარი მცირე გვყავს... იქნებ, მეფეო, აღარ ღირდეს ზედმეტი ბრძოლა? სადაც მიზნის მეტ ნაწილს უსისხლოდ მივაღწიეთ, იქ სისხლის დაღვრა არ მიმაჩნია მეტი საჭიროდ. იქნებ აზატ-ხან აღმოჩნდეს თაფლის სანთელი: ცეცხლს იკიდებს და თანაც ლბება...

მეფე ერეკლე — დიდად ბრძნულია ეგ თათბირი, ჩემო სოლომონ, მაგრამ ნაშიშვლი ხმალი აგრე რიგად ვერ ჩაიგება. მტრის ძალაც ვიცი, ხერხიც, მის განზრახვასაც კარგად ვჰვრეტ. ჰმ! ერევანი გადავარჩინეთ? მარტო ეგ როდი იყო ჩვენი მიზანი: ის, ვინც ერევანს მოვიდა და არ შეიმუსრა, იგი ტფილისშიც მოვა. აქ ჩვენ აზატ-ხანს თითქოს ყელი ვუშოვნეთ, ციხეში გვყავს შემწყვდეული, მთავარ ლაშქარს მოწყვეტილი.

ამ დილით თუ შევძელით ციხის აღება, ამათაც მოვსპობთ და ამ ლაშქარსაც. თუ გავეცალეთ, ესენი ჩვენთან ამოვლენ. მაშინ მარცხი ჩვენის უფრო უცილობელი. აქ კი რომც ვერა ვძლიოთ, იქ ამოსვლის მადას წავუხდენთ. ჩვენც დრო გვექნება, კვლავ ახალი ძალით შევეხვედეთ. ლევან ბატონიშვილი მაშველი ჯარისთვის გამიგზავნია, გარსევან ჭავჭავაძისათვის საგანგებო დავალებანი მიმიცია. საცაა მაშველი ჯარი მოვა. ეს ციხე უნდა ავიღოთ!

(შემორბის შიკრიკი გიგია)

გ ი გ ი ა — დიდო მეფეო!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — აბა რას გვეტყვი?

გ ი გ ი ა — ერევნიდან ალყა-მოხსნილი ჯარი გვიახლოვდება, გათენდება და ისინიც თავს დაესხმიან ჩვენს საფარებს.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — სულ ეგაა? კიდევ ველი მტრის სხვა ნაბიჯებს.

გ ი გ ი ა — საიდუმლოდ შემოგვითვალეს: იგი ჯარი გაიყო თურმე, ნაწილი აქეთ მოდის აზატ-ხანის დასახმარებლად, ნაწილი კი ყარატაფის გზით პირდაპირ ტფილისისაკენ მიეშურება.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — გესმის, სოლომონ? ხომ გაიგეთ, დარბაისელნო? ამასაც ვეჭვრეტდი. ახლა ცხადია, რომ ბრძოლა აქვე უნდა მივიღოთ. დილაადრიან ეს ციხე უნდა დაეცეს, ან არა და ჩვენს სამშობლოს ავი დილა გაუთენდება.

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — თადარიგს შევუდგები, უხმეთ გუნდის თავებს. (გუშაგები და შიკრიკები გადიან. შემოდიან გუნდის თავები).

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — დილის რიჟრაჟზე მზად გქონდეთ კიბეები, პატნეზები, ზამბულაკები. ოთხთავე კარის ოთხპირი იერიში! ეს სამზადისი სრულ სიჩუმეში და ბინდ-ბუნდში უნდა ჩაატაროთ. იქიდან ხომ გვითვალთვალებენ, კოშკის სიჩუმე ვერაგულად განზრახულია. ჰო, მე ნათლივ ვგრძნობ, რა რიგ ავად ელმავენ თვალებს. გზის პირს შეჰქმენით რამ მოძრაობა — ურმები ააჭრიალეთ, თითქოს მივდივართ. იქ იციან, რომ გავიგეთ ერევნის ალყის მოხსნა, რომ თავზარს დაგვცემს ტფილისისაკენ მათი თარეშის წასვლა, დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ მათ დავედევნებით. მათაც ეს უნდათ, რომ ზურგიდან და მხრებიდან მოგვწვდნენ, გვიხელთონ. სცდები, აზატ-ხან! იქ მოგივალ, სადაც არ მელი! დილის ბრძოლა მწვავე იქნება. მტერი გვჭარბობს, მაგრამ ბრძოლა მარტო სიმრავლეს არასოდეს გარდუწყვეტია. ნიშანს მე მოგცემთ: ჩემი თოფის ხმა, მერე დაფდაფი. ძმებო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, აბა სახელს და საქმეს ნუ მოვაყივნებთ!

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — მომყევით! (გუნდის თავები გაჰყვებიან. რჩებიან მხოლოდ მეფე ერეკლე, სოლომონ მსაჯული, ბესიკი და თეკლა).

თ ე კ ლ ა — მამა მეფეო. წამობრძანდი კარავში, ცოტა დაისვენე.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — არა, შვილო, რა დამასვენებს, არც უფლება მაქვს. ჭირისუფლის სევდით ნალესს ამ მტკიცე ფოლადს რომ შეეძლოს განცდილის თხრობა, მარტო მისი ზარი ათ აზატ-ხანს დაამარცხებდა. ძნელია, შვილო, ძნელი მეფობა საქართველოში. მაგრამ რას იზამ: როცა ვითავე, უნდა ავზიდო, რომ არ მეთავა, არ იქნებოდა.

ბ ე ს ი კ ი — (ფიქრებში წასული) როცა ვითავე, უნდა ავზიდო, რომ არ მეთავა, არ იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლე — არა, მსაჯულო?

სოლომონ — მკვეთრი სიტყვაა, მეფეო, გულმართალი.

მეფე ერეკლე — ვიცი, ჩემ თათბირზე გული შეგტკივა, შენ სხვანაირად გიფიქრია, მაგრამ იცოდე, არჩევანი არ არის.

სოლომონ — მძიმე დღე მოგველის, არ გადაგვთელონ. მე სამშობლოს ბედ-ილბალი მალაპარაკებს და არა შიში. აქ მისი ბედი სასწორზეა, ისევ სასწორზე!

მეფე ერეკლე — ვიცი, მსაჯულო, შენ დიდ გულში სამშობლოა—არა სხვა გრძნობა, ამად გაფასებ. დიახ, ისევ სასწორზე. ოდითგანვე ზურგიდან ეგ სასწორი არ ჩამოგვხსნია. და რომ გავცლოდით აზატ-ხანს?

სოლომონ — ელჩები მიგვეგზავნა, მათიც მიგვეღო. სანამ შიში აქვს, სანთელივით მოიღვენთება. ახალი გზაც რამ გამოჩნდებოდა.

მეფე ერეკლე — ახალი გზა ჩემთვის უკვე გარკვეულია. გარსევან ჭავჭავაძემ შემომითვალა, რუსეთის ელჩები კვლავ მოსულან დედა-ქალაქში, საჩუქრები მოურთმევიათ. აზატ-ხანს იქნებ არც იამოს ის საჩუქრები.

სოლომონ — ჩრდილოეთის ელჩების წონასწორობას აღმოსავლეთის ელჩებიც ათანაბრებდნენ.

მეფე ერეკლე — არა, სოლომონ, უნდა გათავდეს: ან აქეთ, როგორც პაატა, ან იქით. სხვა გზა არ არის, ის მესამე გზა, შენ რომ ფიქრობ, დღეს უძლურია. ქალაქების გამრავლება, გაძლიერება, ვაჭრობის გაშლა, ხელოსნობა, აღებ-მიცემა, ეს მხოლოდ შორეულ ნაყოფად დამისახია. მე კი ძალას ვეძებ, ხელდახელ ძალას, წყალწაღებული რომ ეკიდება.

სოლომონ — დიდი სარდალი როცა ომს იწყებს, თავის ბრძოლას წინასწარ დამარცხებულად ვარაუდობს საანგარიშოდ. რა მოგველის, თუ დავმარცხდით? ხომ შესაძლოა?

მეფე ერეკლე — მე უკვე ვივარაუდე. თუ დავმარცხდით, ჩრდილოეთის დაახლოვება უფრო დაჩქარდება, თუ გავიმარჯვეთ, ჩრდილოეთის ელჩებთან სათათბირო სწორი გვექნება. კარგად განსჭვრიტე?

სოლომონ მსაჯული — აღარა მეთქმის-რა. აქ გონებით ვერრას განსჭვრეტ. ბინდი გაიყრება და გადაწყდება.

ბესიკი — განთიადის ბურუსი რაღას გვიმზადებს...

სოლომონ — დიდო მეფეო, ერთ რამეს გეაჯები მუხლმოდრეკით. ვიცი სიფიცხე და ქველობა თქვენი ხმლისა. სამშობლოსათვის თავდადება დაგნატრებია. თავს გაუფრთხილდი, ჩვენთვის, სამშობლოსათვის. თორემ ამ ხანად მას პატრონი ვერ გაუჩნდება და ვერვინ იქმს ერეკლობასა.

თეკლა — წამო, მამი, დაისვენე. ამდენი უძილო ღამეები ფოლადსაც მოღლის.

მეფე ერეკლე — შენ წადი, შვილო. (სოლომონს) მე ეგ მაწუხებს: ერთი გამარჯვება, თუნდაც ხუთი, არა არის-რა. ერს მომავალი უნდა მისცე, გახსნილი შარა. დამშვიდდებოდე — ალალ-ბედზე თავს არ გავწირავ. ბესარიონ, შენ რაღას გვეტყვი? მძიმედ მოგიწყენია. „ვეფხის-ტყაოსანი“ ხომ არ წამოგიღია?!

ბესიკი — თან დამაქვს მარად.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — გადაშალე, სადაც გერჩიოს. მაგის სმენაში გულს მუდროება ეფინება და რწმენა, რწმენა საქართველოს მომავალისა. (ბესიკი გამოიღებს უბიდან, გაშლის ნუსხას და კითხულობს)

ბ ე ს ი კ ი — ახლოს მოველ შემომხედეს, შმაგიაო, ასე თქვეს.

მუნ მივმართე მკლავ-მაგარმა, სად უფროსი ჯარი დგესა,
კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხვდეს მზესა.
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ — ვაქებ, ხმალო, ვინცა გლესა.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ვაქებ, ხმალო, ვინცა გლესა!

(კოშკის მინარეტზე გადმოდგება ყ ა რ ა-ხ ო ჯ ა და დაიწყებს ლილის ნამაზს).

ყ ა რ ა-ხ ო ჯ ა — ლლ-ილლა ილალლაჰ მაჰმადუნ რაჰსულ ალლაჰ!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ისევ ეს, გამყივანი ხმა განთიადისას. ღმერთის, ალლაჰის სახელით ქვეყანას მუსრავს ავი ძალა. რამდენჯერ მსმენია იგი შორს, ცხელ ჰამადანში, ინდოს მხარეს, დამწვარ მუღანს, თეირანს... და აქაც, ჩემს სამშობლოს შემკულ კორდებზე. თავიანთი ღმერთის სახელით ჩვენ მუსრს გვავლებენ, გვსპობენ...

ყ ა რ ა-ხ ო ჯ ა — (გაჰყივის) ისლამ ყისმი-ვაიზა გიალ!

ბ ე ს ი კ ი — ჩვენ ყველას ღმერთი გვანადგურებს: ქრისტემ ჩვენ ჯვარზე გვაცვა, ხოლო მაჰმადმა ნახევარ მთვარეზე...

ს ო ლ ო მ ო ნ — აღმოსავლეთი ჩვენში დასავლეთს ჰკლავს.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — დასავლეთი კი აღმოსავლეთს. ამ ზღვარზე ყოფნამ ყოველ ქართველს ორი გული გამოუკვეთა.

ბ ე ს ი კ ი — ჰოი, ყარა-ხოჯა, ჩემი ძველი ნაცნობი, პატრმა ნიკოლამ ტყვეობიდან რომ გააპარა.

ყ ა რ ა-ხ ო ჯ ა — (გაჰყივის) დუშმან ვურუზ, ალლაჰ იჩუნ! ალლაჰ იჩუნ! ალლაჰ მექპერ! ალლაჰ მექპერ!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — აჰ, ლოცვას გადასცდა. აჰა, მივხვდი, ნიშანია, ნიშანს აძლევს მომავალ ჯარს, ლოცვის სახით. ვერაგულად საიერიშო ბრძანებას წარსთქვამს. ნადირ-შაჰთან ყოფნის დროს მათი ხერხი გამირკვევია. ჰეი, დააჩუმეთ! იერიშის დროცაა უკვე.

ბ ე ს ი კ ი — დიდო მეფეო, ნება მიბოძეთ!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ჰა, ჩემი თოფი! ნიშანში ამოღება კარგად გცოდნია.

ბ ე ს ი კ ი — (გამოართმევს თოფს) ღვთის სამსახურში მე ღვთიური ვერა ვნახე-რა. თითქოს ლეშის სუნს გრძნობენ, და ჩამოფრინდნენ ყველა ყორნები. ზოგნი ამ კოშკიდან ალლაჰის სახელით დაგეჩხავიან, ზოგნი მოშხამულ სადღეგრძელოს „წმიდად“ ავლენენ. ო, ყორნები, ყორნები, ყველგან ყორნები, გასაწყვეტი ყორნები. (უმიზნებს)

ყ ა რ ა-ხ ო ჯ ა — ალლაჰ მექპერ, ალლაჰ მექპერ!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — დააჩუმე! (თოფი იჭექებს, ყარა-ხოჯა ჩაემხობა, ლოცვა გაწყდება. შემორბიან: დავით სარდალი, იბრაგიმ-ბეგი, სხვა მეომრები, გუნდისთავები, ბერუჩა დროშით, საიათნოვა თავისი დასით).

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — სიკვდილის შვილი მოგმართავთ სიკვდილის შვილებს. თქვენი ერეკლე გეუბნებათ, მწოლი თქვენსავით უნაგირზე და მძინარე ცხენსა ზედა ხმალ შეუხსნელად: მამებო, ძმებო, შვილებო! რა ვუთხრათ დედებს, დებს, ცოლებს? ვაგლახათ შინ მიბრუნებას, გვიჯობდეს მიტანა ნამუსიანად გულგანგმირულთა. ორი დღის სიცოცხლისათვის

წინაპრებს ნუ მივაყივნებთ, შთამომავლობას ნუ გავაწბუნებთ! აღვმართოთ ხმლები, ვადიდოთ დროშა დავითისა და თამარისა, ვეკვეთოთ მტერს! მედგრად, მამულიშვილნო! ეს არის დღე ვაჟკაცობისა! ჩვენი ხმლის მონაქნევი, სჩანს, დავიწყნიათ. შევახსენებდეთ!

ყ ვ ე ლ ა — სიცოცხლე მეფეს!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — მეფეს სიცოცხლე არ სჭირდება, თუ დამარცხდება. სამშობლოს ხსნა — აი ძახილი. აბა გაფრინდით!

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — რისხვა აზატ-ხანს!

ყ ვ ე ლ ა — რისხვა აზატ-ხანს!

(დავით სარდალი იძრობს ხმალს და გაექანება, სხვებიც მიჰყვებიან „ვაშას“ ძახილით. ისმის თოფის სროლა. გაირბენენ მეომრები. მიაქვთ კიბეები, პატნეზები. რჩებიან მეფე ერეკლე, თეკლა, ბესიკი, სოლომონ, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ბერუჩა, საიათნოვა და სხვები).

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — (გორაკიდან უთვალთვალებს) აცნობეთ მუხრან-ბატონს — მარცხნივ დაეშვას, იბრაგიმ-ხანს — ფრთა დაუფაროს (შიკრიკი გარბის). გორაკებთან რა ამბავია? აბა, გაფრინდი, პაპუნავ, აღნიშნე ქორონიკონი, გულდაგული ბრძოლა დაიწყო. მერამდენე, ვინ მოსთვლის, იანგარიშოს? მუდამ ასე: გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ, მასზეგ... „ქართლის ცხოვრება“ არც ყოფილა, იყო მხოლოდ ქართლის სისხლისღვრა. ჯანყი, ბრძოლა — გაუთავები.

გ ი გ ი ა — (შემორბის) დიდო მეფეო, დავით სარდალი გითვლით — ერევნის მხრიდან მოსული ჯარი ჩვენ სანგრებს დაესხა უკვე.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — უკვე? კარგად უვლიათ. ცუდად მოგვისწრეს. ციხის აღება გაჭირდება. აბა, სეხნიავ, ბესიკ! გადაუხტით მტრის ლაშქარსა და შეაჩერეთ, მუხრან-ბატონს საფრებში ჩაეშველებით, მტერი ზურგში არ შემოგვიშვათ.

ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე — ჯერ ჩვენ გავწყდებით. აბა, ხმალდახმალ! (გასძახებენ) ჰეი, მოგვყევით! (გარბიან).

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ბრძოლა მწვავდება. ზოგგან სჭირს უკვე. აბა, დაფდაფი, საზანდარი! საიათნოვა აქ მომგვარეთ.

ს ა ი ა თ ნ ო ვ ა — აქ ვარ, მეფეო.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — დაჰკა დაფდაფებს! ზურნა იყვეს, ბუკი, ნაღარა! ციხეს უვლიდე გარშემო, ერთი წუთით არ დააჩუმო.

ს ა ი ა თ ნ ო ვ ა — თქვენი ბრძანება, ჩემი გული. აბა დაუკარ!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ბერუჩავ, მოხუცო, დროშა გაშალე! უფრთხილდი დროშას!

ბ ე რ უ ჩ ა — შენი ჭირიმე, ხმალი ხელში მაქვს!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — (ჩაიკეცავს ჩოხის კალთებს) ეჰ, დედამიწავ, როდის გაძღე სისხლის დაღვრითა? (იძრობს ხმალს) დაჰკა მაგათა!

(მეფე გადის. ყველანი გაჰყვებიან. შორიდან ზურნის ხმა ისმის. გრგვინვა, გუგუნი. მეორე მხრიდან შემოიპარება მტრის მცირე რაზმი ყოჩ-აშულის მეთაურობით).

ყ ო ჩ-ა შ უ ლ ი — ეს დაფდაფის ხმა და კილო რაღაც მეცნობა. ჩუმად მივეპაროთ, ზურგიდან მივიდეთ. (ერთ-ერთ მეომარს). აბა, გაფრინდი და აცნობე დაუდ-ბაშს, აქედან კარგად დაუვლიან (მეომარი გარბის). სსუ! მოდიან... აბა საფარი... (ჩასაფრდებიან. შემოდის საიათნოვა თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასით, უკრავს). ჰა, საიათნოვა! (გამოუხტება) სად ჩაგიხელთე. როგორ ახდა ჩემი მუქარა:

მე ვიხარო, შენ იგლოვო — საიათნოვამ გაიგოს.
ეს იცოდე, გულის ჯავრი ყოჩ-აშულმა აიღოს!

აბა, ხმალი!

საიათნოვა — (განაგრძობს დაფდაფის დაკვრას) ჰა, ყოჩ-აშულო, შენა ხარ?

კარგი აშული შავიდეს ბრძოლაში, მაშ არა!
თოფი რომ დასცალოს, ხმალი მოისწროს, მაშარა!

(დაფდაფს მოიგდებს გვერდზე, მარცხენა ხელით მაინც უკრავს. მარჯვენით ხმალს იძრობს) თქვენ დაუკათ. მეფე ერეკლემ ბრძანა, არ გასწყვიტოთო.

(ერკინებიან. საიათნოვა მაინც ასწრებს დაფდაფის დაკვრას) ყოჩ-აშულო, სანამ უკუნეთში გაგაგზავნიდე, ეს მაინც მითხარ, შეასრულე ის ჩემი თხოვნა: ხომ მიართვი აზატ-ხანს ჩემი ბარათი, ჰა-ჰა-ჰა!

ყოჩ-აშული — ო, ძაღლის პირო, ენა შხამო! ყველაფერს გიზღავ. ფეხის გულები დამისივდა, იმდენი მირტყეს. მერე ჯარში გამამწესეს. აქ კი ბედმა მომხედა, შენი თავი ხელში ჩამიგდო! (მედგრად მოუქნევს) ოჰ, აიცდინე, ყურუმსაღო!

საიათნოვა — შენ ყეფა უფრო გეხერხება, ვიდრე კბილის გაკვრა. დამხვდი მედგრად. აჰა, მიიღე! (მარჯვედ მოუქნევს და დასცემს. დანარჩენები გაიქცევიან).

შენ სულ სხვა ხარ, მე კიდევ სხვა გვარი ვარ,
საქართველოს მეფის საზანდარი ვარ.
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს,
ხმალს მოვიქნევ, მტერი მტერზე წაიწყოს.

შენ დაუკა! (დაფდაფს უფრო გაახმიანებს. საიათნოვა გადის თავის დასთან ერთად. ბრძოლის რიხი მატულობს, ქართველები ბრძოლით იხევენ უკან-უკან. მოიწევს ბერუჩა დროშითურთ. მეომრები შემოეცლებიან. ეცემიან დაჭრილები).

ბერუჩა — არიქა, მაშველი! დროშა გასაჭირშია, დროშა!

(უკანასკნელი მეომარიც გარბის მაშველის მოსაყვანად. დაჭრილი ბერუჩა მარტო რჩება. ავარდება გორაკზე და ცალ მუხლზე დაჩოქილი გაშმაგებით იგერიებს დაუდ-ბაშის ჯგუფს. იცავს დროშას) აჰა, ეგეც შენ!

დაუდ-ბაში — (მეომარს), თავს დაუარე, ზურგიდან. მე აქედან შევუტევ! (უტევენ, მეომარი დაუვლის თავს და გორაკის ზემოთ ამოხოხდება. ბერუჩას ლახვარს ჩასცემს ზურგიდან. ბერუჩა დაეცემა).

ბერუჩა — დროშას უშველეთ! (დროშას ხელს სტაცებს მტრის მეომარი. ამ დროს შემოვარდებიან თეკლა, ბესიკი და სხვა მეომრები. იელვებს თეკლას ხმალი და მტრის მეომარი დაგორდება. თეკლა აიტაცებს დროშას, თავიდან მუზარადი გადაუვარდება და თმა ჩამოეშლება).

დაუდ-ბაში — (შეკრთება) ოჰ, შაითან-ყიზი, შაითან! (გარბის, თან გაჰყვებიან თავისი მეომრები. შემორბიან ერეკლე მეფე, თავში დაჭრილი დავით სარდალი, ხელში დაჭრილი სოლომონ მსაჯული, პაპუნა ორბელიანი, გიგია, დათუნა ფეხქარი, მოქალაქენი და სხვა მებრძოლები).

სეხნია ჩხეიძე — (შემორბის) მუხრან-ბატონი მოჰკლეს, თავს დაგვიარეს, ჯარი იხევს. სიმრავლემ გვძლია! დავწინაურდი გაგაფრთხილოთ. დასახევ გზას გვიჭრიან!

დავით სარდალი — მეფეო, ციხის აღება არ ხერხდება, ოთხგზის უკუგვაგდეს. ვერ შევლეწეთ ვერც ერთი კარი. აღმოსავლის კარს მივალიეთ მთელი ძალა, მაგრამ ამაოდ.

იბრაგიმ-ბეგი — (შემორბის დაჭრილი) ჩემო მფარველო, თავს ვუშველოთ, გზას გვიჭრიან.

(მძიმე პაუზა. დიდის დაძაბვით წამოიწევა და ტანს აზიდავს ბერუჩა. თეკლა შეეშველება).

ბერუჩა — შენი ჭირიმე, თეკლავ, მარჯვენაშია.. მეფევ, გენაცვალოს შენი მედროშე! სიკვდილში მივალ... ერთიც მითქვამს, აზატ-ხანი არ გაახარო! (მოსქდება და დაეცემა).

მეფე ერეკლე — ჩემო ბერუჩავ! (მივა და შუბლზე აკოცებს).

სოლომონ მსაჯული — დიდო მეფეო, მომაკვდავმა მართალი წარსთქვა: აზატ-ხანი არ გაახარო. უნდა წახვიდე. გავარღვიოთ უკანა გზა, ყველანი დავწვეთ, ოღონდ შენ, მეფევ, სრულიად საქართველოს მეფევ, აქედან უნდა გახვიდე და იქ სამშობლოს უპატრონო!

მეფე ერეკლე — როგორ მიბედავ? თუნდაც ეხლა, როცა ვმარცხდები, გავქუსლო და თქვენ აქ დაგყაროთ შესამუსრავად, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ტყავი გადავარჩინო? არა, გავმაგრდეთ, ერთიც კიდევ დავკრათ ყიჟინა! უნდა შევარღვიოთ აღმოსავლეთის კარი ციხისა, აზატ-ხანი კარს გამოვაგდოთ. მერე ჩვენი იქნება. ლევან ბატონიშვილი მაშველი ჯარით საცაა მოვა, იქნებ ბედი კიდევ შემოტრიალდეს!

სოლომონ — ამაოა! სასწაულია საჭირო, ბატონიშვილი კი სასწაულს აქ ვერ მოგვივლენს.

მეფე ერეკლე — იქნებ მოავლინოს! ერთი კიდევ ვცადოთ, და თუ ვერას გავხდით, განიწიროს ჩვენი მართალი საქმე. პაატას აჩრდილო, გაიგონე: ყველანი გავწყდებით, დავაკვდებით დროშას, როგორც აი ჩვენი ბერუჩა. მეფე გიჩვენებთ, როგორ უნდა თავის დადება!

(ბერუჩას ნაბადზე დაასვენებენ და გაიტანენ).

სოლომონ — აზატ-ხანი არ გაახარო! თავის დადება ადვილია. ახლა, ამჟამად, საქმე სიცოცხლეა, რომ დაიხსნა იქ საქართველო. მხოლოდ ერეკლეს შეუძლიან თავის დაცვა. მეფევ, მომიტევე, შენის სიკვდილით ნუ ახარებ ჩვენ მრავალ მტერთა... შენი სიკვდილი დამხობაა დიდი საქმისა. ჩვენ შევაკვდებით, თითო ჩვენგანი მხოლოდ თითოა! შენ კი ყველა ხარ. აქ არა, იქ წაბრძანდით, ტფილისის კართან. აქ კი უფლება არა გაქვს სიკვდილისა, უფლება არ გაქვს!

დავით სარდალი — სოლომონ მართალია, დიდო მეფეო! გზას გაგიკაფავთ!

ხმები — მიჰხედე იქ საქართველოს, გადაარჩინე!

ი ბ რ ა გ ი მ-ბ ე გ — მსაჯული მართალია, ჩვენო მფარველო, კერას მივხედოთ!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — აბა რას მირჩევთ? ხმლის ღალატს?

ს ო ლ ო მ ო ნ — ხმალი ხანდახან ტყდება კიდევაც. სააკაძემ, დიდმა გმირმა, თავათ გასტეხა...

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ხმალი გავტეხო? მე, ერეკლემ, გავტეხო ხმალი? ხმალი, ხელსა და გულს რომ შეზრდია?

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — მეფეო, რკალი იკვრის, იწურება. ჩვენი ჯარი უკან იხევს. წუთიც და გაკაფვა გვიან იქნება.

მ ს ა ჯ უ ლ ი — ხმალი გასტეხე, აქ, ეხლა, რომ იქ საქართველოს ხერხემალი გადაარჩინო.

ბ ე ს ი კ ი — დიდო მეფეო, ვიწრო ხევთან მტრის ჯარი შესდგა, ჰაი, მზეს ვფიცავ. მოარღვევენ ცხენოსნები! (ყველანი მისცვივდებიან, გასცქერიან).

თ ე კ ლ ა — ო, ძმასა ვცნობ, ლევანს. წინ იგია!

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — ლევან ბატონიშვილი, რკალი გაარღვია, მისი ხმალი ვიცან.

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — მაშველი ძალა! აზატ-ხან, ჯერ კიდევ ვნახოთ!

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — აღმოსავლის კარი რომ შეგვეტეხა, დიდო მეფეო, ამ ციხის კარი აღმოსავლისა.

(შემოიჭრება ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი მებრძოლებითურთ. რამდენიმე რუსი ჯარისკაცი შემოაგორებს ზარბაზანს, რომელსაც გორაკზე დასდგამენ).

ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მამა მეფეო, აღვასრულე თქვენი ბრძანება, მაშველი ჯარით მოველ. ვგონებ დროზე მოგისწარ, ჩამოსულ ელჩებს დიდ რუსეთისგან საჩუქრად ეს ზარბაზანი მოურთმევიათ!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ჰოი, მეტად დროზე! სოლომონ, თითქოს სასწაულია. ახლა დამაგრდნენ! რუსის ზარბაზნით მე შევანგრევ აღმოსავლის კარს! (მივარდება ზარბაზანს, უმიზნებს. რუსი მეზარბაზნე მიაწოდებს ანთებულ პატრუქს) მოემზადებით! (ზარბაზანი დაიგრიალებს) აჰა, შეინგრა!

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — აღმოსავლეთის კარი ჩაილეწა!

ს ო ლ ო მ ო ნ — თითქოს სასწაულია!

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — აბა! ჰკა მაგას!

(ლევან ბატონიშვილი, დავით სარდალი, ბესიკი და სხვანი ხმალ-ამოწვდილნი მიისწრაფიან საიერიშოდ).

ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (გორაკიდან) იერიში ხმალ და ხმალ!

(გარბიან, ჩააგორებენ ზარბაზანს. ყველანი გაჰყვებიან, გარდა მეფე ერეკლესი, თეკლა ბატონიშვილისა — დროშით, სოლომონ მსაჯულისა, რამდენიმე დიდებულისა და მეომრისა. ისმის ზურნის მოძლიერებული ხმა და ზარბაზნის გუგუნი).

მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე — ციხეში შეიჭრნენ უკვე. აზატ-ხანი ახლა თვითონ გამოვა. ხმალი გადავტეხო? აჰა! (ჩაასობს ხმალს მიწაში) გმირმა სააკაძემ ხმალი გადასტეხა? არა, მე ქარქაშს ვტეხავ!

(ქარქაშს გადასტეხს და გადააგდებს. შემოვარდება ა ზ ა ტ - ხ ა ნ ი თავისი სარდლებით და რამდენიმე მეომრით).

ა ზ ა ტ - ხ ა ნ ი — ერეკლე-ხან, ხმალი გადატეხე? დამრჩი თუ არა?!

მეფე ერეკლე — სცდები, აზატ-ხან, მე გავტეხე მხოლოდ ქარქაში, ხმალი შიშვლად დავიტოვე. შიშველი ხმალი, სიკვდილი მტარვალს! (შეათამაშებს ხმალს და მიუხტება აზატ-ხანს. იგი შეებრძოლება. მაგრამ დაეცემა გადაკვეთილი) ვაქებ, ხმალო, ვინცა გლესა!..
(ყველანი ყიჟინას დაჰკრავენ და გაქცეულ მტერს დაედევნებიან).

ხმები — მოჰკლეს აზატ-ხან! აზატ-ხან მოჰკლეს! მეფე ერეკლემ მოჰკლა! თავს უშველეთ! ჰკა მაგათ!
(შორეული გუგუნი ზარბაზნისა და ბრძოლის რიხი განახლებული. გორაკზე ამოვარდება ნაბდიანი კაცი. მას ბესიკი მოსდევს).

ბესიკ — დამრჩი! (ნაბდის თავი გადაიხსნება და გამოჩნდება პატრი ნიკოლა).

პატრი ნიკოლა — არ მომკლა მე უძლური, უბადრუკი, ქრისტეს მოსავი. გევედრები, ბესიკ! დამიფარე, მიპატრონე, ანას სახელს გაფიცებ!

ბესიკი — აჰ, პატრი ნიკოლა! ანას სახელს... ხმა, კრინტი! ანას სახელის ხსენებას როგორღა ჰბედავ, ქვეწარმავალო.
(პატრი ნიკოლა ჰლამობს გაქცევას. ბესიკი დაასწრებს და დამბაჩას დაახლის. პატრი ნიკოლა გორაკის მიღმა დაეცემა. შორეული ყიჟინა სიმღერის გუგუნად იქცევა)

ბესიკი — ქართლის ცხოვრება, შიშველი ხმალი, ბრძოლის რიხი. გამარჯვების ყიჟინა! (შემოდიან მეფე ერეკლე, სოლომონ, ლევან და თეკლა ბატონიშვილები, დავით სარდალი, საიათნოვა და სხვები. თენდება).

ვაშა, გმირთ გმირო! იდიდე! შვების ისმიან ხმანია!
შენით ზეიმობს სამშობლო, შენით ვართ მძლენი სპანია.

მეფე ერეკლე — ბესიკ, განთიადის სხივი რაღას გვაუწყებს? გაშალე შოთა.

ბესიკი — (გაშლის „ვეფხის ტყაოსნის“ გრძელ ნუსხას).

„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია!“

(ბესიკი სდგას გაშლილი ნუსხით, ბრძოლაგადახდილ მეომრებს ხმლები ჩაუგიათ. ოღონდ მეფე ერეკლე სდგას ხმალშიშველი და უქარქაშოდ. საერთო სიმღერის მედგარი გუგუნი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჟუთელია

შემეცნების მარქსისეული თეორიის ზოგიერთი საკითხი[1]

II. სუბიექტისა და ობიექტის პრობლემა. ცნობიერების საზოგადოებრივი და ისტორიული ხასიათი

საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების პროცესში მჟღავნდება სუბიექტისა და ობიექტის, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ჭეშმარიტი ხასიათი. ამ პროცესში ხორციელდება მათი ერთიანობა და იმავე დროს მთელი ძალით მჟღავნდება ის, რომ ბუნება პირველადი და ობიექტურად მოცემულია. საზოგადოებრივ-მატერიალური წარმოების აღიარებამ ადამიანის შემეცნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლად, მარქსს საშუალება მისცა გადაელახა როგორც იდეალიზმი, ისე მატერიალიზმის ცალმხრივობა და ეს მნიშვნელოვანი პრობლემა სრულიად ახლებურად დაესაბუთებინა.

როგორც ცნობილია, იდეალიზმი, რომელიც პირველადად აღიარებს ცნობიერებას, სულს, შემეცნების სუბიექტად ღებულობს არა რეალურ, ამქვეყნიურ ადამიანს, არამედ „წმინდა", „ხორცით შეურყვნელ" სულიერ არსს — „შეგრძნებას", „მეს", „აბსოლუტურ იდეას" და სხვ. ამასთან ეგრეთწოდებული ობიექტური იდეალიზმი, სუბიექტურისაგან განსხვავებით, ამ სულიერ პირველსაწყისებს მიაწერს ობიექტურ, ზეადამიანურ და ზექვეყნიურ ყოფიერებას და, როგორც ასეთს, მათ აცხადებს მთელი სინამდვილის, მათ შორის ადამიანისა და მისი ცნობიერების შემომქმედად.

მარქსამდელი მატერიალიზმი იდეალიზმის შემეცნების ამ მისტიკურ სუბიექტს მუდამ უპირისპირებდა ფიზიკურად რეალურ ადამიანს, როგორც შემეცნების ნამდვილ სუბიექტს. აზროვნებს და შეიმეცნებს არა აბსტრაქტული მე, არც ცნობიერება საერთოდ ან უსხეულო მსოფლიო იდეა, არამედ ნამდვილი ადამიანი, რომელიც გონებისა და სხეულის რეალურ ერთიანობას წარმოადგენს.[2] ადამიანი, როგორც შემეცნების სუბიექტი, გონებისა და

---

[1] იხ. „მნათობი", № 3, 1943 წ.

[2] ფეიერბახი, რომელიც ფიქრობდა ადამიანის არსის გამოვლინების საშუალებით დაეძლია ჰეგელის ფილოსოფია — იდეალიზმის ეს უმაღლესი სტადია და თეოლოგიის ლოგიკური დასაბუთების „უკანასკნელი დიადი ცდა" და ამით საერთოდ მოეხდინა მთელი ფილოსოფიის გარდაქმნა ახალ საწყისებზე, თავის „მომავლის ფილოსოფიის საფუძვლებში" სწერდა „ახალი ფილოსოფია ამიტომ აცხადებს თავისი შემეცნების პრინციპად, თავის სუბიექტად არა მე-ს, არა აბსოლუტურ, ე. ი. აბსტრაქტულ, სულს, მოკლედ, არა გონებას აბსტრაქტული სახით, არამედ ადამიანის ნამდვილ და მთლიან არსებას. მხოლოდ ადამიანი წარმოადგენს რეალობას, გონების სუბიექტს. აზროვნებს ადამიანი და არა მე, არა გონება". (ფეიერბახი — „მომავლის ფილოსოფიის საფუძვლები", § 50, გვ. 96, 1936 წ., რუს. გამ.).

სხეულის ერთიანობაა. ის, როგორც ფეიერბახი ამბობდა, სუბიექტია თავისთვის და ობიექტია სხვებისთვის. ეს დებულება — და ამას მთელი ძალით უნდა გაესვას ხაზი — მას საშუალებას აძლევდა აგნოსტიცეზმისა და სკეპტიციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოემჟღავნებინა ადექვატური შემეცნების შესაძლებლობის მატერიალური საფუძველი და ამით პრინციპულად დაეცვა ასახვის თეორია, რომელიც ყოველი მატერიალიზმის შემადგენელი ნაწილია.

მაგრამ მარქსამდელი მატერიალიზმი, რომელიც არ იცნობდა წარმოების როლს ცხოვრებაში, ადამიანს განიხილავდა არა როგორც აქტიურ არსებას, არამედ როგორც პასიურ და ბიოლოგიურ არსებას. ამიტომ ადამიანის ცნობიერებას და მის შემეცნებას ის განიხილავდა განვითარების სოციალურ-ისტორიული ასპექტის გარეშე, განიხილავდა, როგორც უბრალო ბუნებრივ მონაცემს. აზროვნების მომქმედი მხარე, წინააღმდეგ მარქსამდელი მატერიალიზმისა, თუმცა აბსტრაქტულად და ყალბ საფუძველზე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, განავითარა იდეალიზმმა, რომელსაც, ჰეგელის სახით, მთელი ისტორიული და საწარმოო პროცესი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც აბსოლუტური იდეის განვითარების სულიერი, თეორიული პროცესი.

მარქსმა და ენგელსმა, რომლებმაც ადამიანის წარმოების საზოგადოებრივ-მატერიალურ პროცესში გამოამჟღავნეს ნამდვილი „ადამიანური მგრძნობელობითი მოქმედება", მთელი სისრულით და ნამდვილად რეალურ ნიადაგზე დაყრდნობით დაასაბუთეს „მომქმედი მხარე", აქტიურობის პრინციპი, მომქმედი ადამიანის პრინციპი. მარქსისა და ენგელსის მიერ დასაბუთებული ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა იყო აქტიურად მ ო მ ქ მ ე დ ი ადამიანის ფილოსოფია, ადამიანისა, რომელიც თავისი საქმით, მოქმედებით ახდენს არსებული სამყაროს რევოლუციურ გარდაქმნას.

მაგრამ ამ მსოფლმხედველობამ უწინარეს ყოვლისა შესცვალა შემეცნების მთელი წინანდელი თეორია და პირველ რიგში, რასაკვირველია, სულ სხვაგვარად დააყენა სუბიექტის ობიექტისადმი, ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულების საკითხი.

მარქსმა შემეცნების სუბიექტად აღიარა რეალური ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში სცხოვრობს და აწარმოებს. შემეცნების სუბიექტი — ადამიანი — საზოგადოებრივ-ისტორიული არსებაა. ამით მარქსმა დასძლია როგორც იდეალიზმი მისი შემეცნების აბსტრაქტულ-სულიერი სუბიექტითურთ, ისე მეჩვრეტელობითი მატერიალიზმიც, რომელიც შემეცნების სუბიექტად იღებდა ადამიანს, როგორც მხოლოდ ბიოლოგიურ არსებას. თავის მეთოდოლოგიურ ნაშრომს „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალს" მარქსი იწყებს შემდეგი სიტყვებით: „გამოსავალი წერტილია, რასაკვირველია, საზოგადოებაში მწარმოებელი ინდივიდუუმები, — მაშასადამე, ინდივიდუუმთა საზოგადოებრივად განსაზღვრული წარმოება. მარტოხელი და განცალკევებული მონადირე და მეთევზე, რომლითაც სმიტი და რიკარდო იწყებენ, მეთვრამეტე საუკუნის ფანტაზიამოკლებულ წარმოდგენას ეკუთვნის... ადამიანი zoon politikon-ია, ამ სიტყვის პირდაპირი აზრით, არა თუ საზოგადოებრივი ცხოველი, არამედ აგრეთვე ისეთი ცხოველი, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლიან განცალკევება. განცალკევებულ ინდივიდუუმთა წარმოება საზოგადოების გარეშე, რასაც, როგორც იშვიათ მოვლენას, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევით უდაბნოში მოხვედრილ განათლებული

ადამიანის მხრივ, რომელსაც უკვე დინამიურად ჰქონდა თავისში საზოგადოებრივი ძალები, ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ერთად მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ინდივიდუუმებს გარეშე.[1])

ცოტაა იმის თქმა, რომ აქ გამოცხადებული პრინციპით გადალახულ იქნა იდეალიზმისა და მჭვრეტელობითი მატერიალიზმის ტრადიციული შეხედულება შემეცნების სუბიექტზე. ამით გადალახული იქნა აგრეთვე მეთოდოლოგიური ატომიზმი და ნატურალიზმი, რაც ასე თუ ისე ახასიათებს მთელ ბურჟუაზიულ ფილოსოფიას. რაკი შემეცნების სუბიექტი არის საზოგადოებრივ-ისტორიული ადამიანი, შაშასადამე, გასაგებია, რომ მისი ცნობიერებაც აგრეთვე საზოგადოებრივი და ისტორიული იქნება. ამ დებულებიდან გამომდინარეობენ უმნიშვნელოვანესი დასკვნები, მაგრამ მათ შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ახლა კი აღვნიშნავთ იმას, რომ მარქსმა შესცვალა წარმოდგენა არა მარტო შემეცნების სუბიექტზე, არამედ შემეცნების ობიექტზედაც.

იდეალიზმი საერთოდ, როგორც ცნობილია, უარჰყოფს მატერიალურ ბუნებას და მის ობიექტურობას. ის, რასაც მატერიალიზმი უწოდებს ბუნებას, მატერიალურ სინამდვილეს და რაც მას მეცნიერული და ფილოსოფიური შემეცნების ობიექტად მიაჩნია, იდეალისტების მტკიცებით, არის ყალბი წარმოდგენა, არა ჭეშმარიტი რეალობა, ღრმა შეცდომა და მიზეზი ყველა უბედურებისა, მოკლედ, ის არის ეშმაკისეული მოვლენა და ბოროტება, რომელიც ფილოსოფიურად გაუქმებულ უნდა იქნას.[2]) ერთნი, მაგალითად, სუბიექტური იდეალისტები — ბერკლიანელები, იუმისტები, იმანენტები, მახისტები და სხვები, ამ „გაუქმებას" იმით ახდენენ, რომ ობიექტურ მატერიალურ ბუნებას აცხადებენ „ჩვენი შეგრძნებების კომპლექსად"; მეორენი, როგორც, მაგალითად, კანტი და კანტიანელები, მას აცხადებენ იმთავითვე შეუცნობლად, „საგნად თავის თავად", და იგი მიაჩნიათ არა თეორიული შემეცნების საგნად, არამედ რწმენის ობიექტად; მესამენი, ობიექტური იდეალისტები, მას აცხადებენ აბსოლუტური იდეის უარყოფად, მის „შეებულად" და სხვაგვარ ყოფიერებად.[3])

ამ მტკიცებათა წინააღმდეგ მუდამ მთელი ძალითა და მონდომებით გამოდიოდნენ მატერიალისტები. ისინი მეტად ნათლად და ღრმად ამჟღავნებდნენ იდეალიზმის ამ ფუნდამენტალური დებულების ანტიმეცნიერულ და მისტიკურ ხასიათს და მის საწინააღმდეგოდ სავსებით დამაჯერებლად ასა-

---

[1]) კ. მარქსი — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", გვ. 3 — 4, 1932 წ.

[2]) „რაკი მატერია განდევნილ იქნება ბუნებიდან, — სწერდა ეპისკოპოსი ბერკლი, — იგი თან წაიღებს უამრავ სკეპტიკურ და უღვთო სისტემას, უამრავ საკამათო და ბუნდოვან კითხვას, რომელიც თვალზე ბისტივით ჰქონდა გადაკრული თეოლოგებსა და ფილოსოფოსებს. მატერია იმდენ უნაყოფო შრომას აკისრებდა ადამიანთა ტომს, რომ თუნდ ის საბუთები, რაც ჩვენ მის წინააღმდეგ წარმოვადგინეთ, საკმაოდ საფუძვლიანად არ იყოს ცნობილი (პირადად მე მათ სრულიად უეჭველად ვთვლი), დარწმუნებული ვარ ჭეშმარიტების, მშვიდობიანობის და სარწმუნოების მეგობრები მოისურვებენ, რომ ისინი საკმარისად იყვნენ აღიარებული" (ბერკლი, ტრაქტატი ადამიანის შემეცნების საფუძვლების შესახებ, § 95. მოგვყავს ლენინიდან: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", გვ. 17, 1934 წ.).

[3]) აბსოლუტური იდეა, ჰეგელის მიხედვით, „სწყვეტს თავის თავიდან თავისუფლად წარავლინოს თავისი თავი ბუნებად" (ჰეგელი, თხზ., ტ. I, § 244, გვ. 344). ჰეგელის აზრით, ბუნება არის „გაუთვითცნობიერებელი აზრის სისტემა", „გაქვავებული ინტელექტი" (იქვე, გვ. 52).

ბუთებდნენ ბუნების პირველადობასა და მატერიალობას. ამ გადამწყვეტ საკითხში მარქსამდელმა მატერიალიზმმა, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერების წინსვლასთან ერთად ვითარდებოდა, ურყევ წარმატებას მიაღწია. უდავოა, რომ მარქსმა და ენგელსმა მთლიანად აითვისეს ძველი წინამორბედი მატერიალიზმის ეს მიღწევა. გარეგანი ბუნების მატერიალობა და პირველადობა, როგორც ყოველი მატერიალიზმის, ისე დიალექტიკური მატერიალიზმის ურყევ და ძირითად პრინციპად რჩება, მაგრამ მარქსმა და ენგელსმა ამ საკითხშიც თავიანთი ახალი სიტყვა სთქვეს.

მათ, როგორც დიალექტიკურმა მატერიალისტებმა, გვიჩვენეს, რომ მატერიალური ბუნება (შემეცნების ობიექტი), რომელიც ყოველგვარი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს თავის ობიექტურ მოცემულობაში, არ არის უცვლელი მეტაფიზიკური არსი, როგორც ამას ფიქრობდნენ მათ დრომდე არსებული მეტაფიზიკური და მჭვრეტელობითი მატერიალისტები. შემეცნების ობიექტი — მატერიალური ბუნება იცვლება, ჯერ ერთი, როგორც დიალექტიკურად განვითარებადი მატერია, წარმოშობს რა ყოფიერების სულ ახალ-ახალ ფორმებს, და, მეორეც, იგი ცვლილებას განიცდის ადამიანის საწარმოო მოქმედების გამო. აკრიტიკებდნენ რა მეტაფიზიკურ და მჭვრეტელობით მატერიალისტს ფეიერბახს, მარქსი და ენგელსი სწერდნენ: „იგი (ფეიერბახი—ა. ქ.) ვერ ხედავს, რომ მისი გარემომცველი გრძნობადი სამყარო სრულიადაც არაა რაღაც უშუალოდ დასაბამიდანვე მოცემული რამ, რომელიც მუდამ თავისი თავის ტოლია, არამედ იგი ინდუსტრიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის პროდუქტია, სახელდობრ იმ აზრით, რომ ის არის ისტორიული პროდუქტი, შედეგი მთელ რიგ თაობათა მოქმედებისა, რომელთაგანაც თითოეული წინამორბედი თაობის მხრებზე იდგა, მის მრეწველობასა და მის ურთიერთობას ანვითარებდა შემდგომ, მის სოციალურ წყობილებას შეცვლილ მოთხოვნილებათა მიხედვით სახეს უცვლიდა. თვით უმარტივესი „გრძნობადი უტყუარობის“ საგნებიც კი მოცემულია მისთვის მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების, მრეწველობისა და სავაჭრო ურთიერთობის მეოხებით. ალუბლის ხე, თითქმის ყველა ხეხილის მსგავსად, როგორც ცნობილია, მხოლოდ რამდენიმე საუკუნის წინათ დაინერგა ჩვენს ზონაში ვ ა ჭ რ ო ბ ი ს მეოხებით და ამიტომ, ფეიერბახის „გრძნობადი უტყუარობისათვის“ მხოლოდ განსაზღვრულ დროში განსაზღვრული საზოგადოების იმ მოქმედების წ ყ ა ლ ო ბ ი თ ა ა მოცემული... ფეიერბახი, მაგალითად, მხოლოდ ფაბრიკებსა და მანქანებს ხედავს მანჩესტერში, სადაც ასი წლის წინათ შეიძლებოდა გვენახა მხოლოდ თვითსართავები და საქსოვი დაზგები, ანდა რომის კამპანიაში იგი პოულობს მხოლოდ საძოვრებსა და ჭაობებს, სადაც ავგუსტეს დროს ის ნახავდა მხოლოდ რომაელი კაპიტალისტების ვენახებსა და ვილებს... ეს მოქმედება, ეს განუწყვეტელი გრძნობადი მუშაობა და შემოქმედება, ეს წარმოება იმდენადაა საფუძველი მთელი გრძნობადი სამყაროსი, რამდენად ეს უკანასკნელი ამჟამად არსებობს, რომ, თუ იგი შესწყდებოდა თუნდაც ერთი წლით, მაშინ ფეიერბახი არა მარტო ბუნების სამყაროში ნახავდა კოლოსალურ ცვლილებას, არამედ სულ მალე ვეღარ ნახავდა აგრეთვე ადამიანთა მთელ სამყაროს და ჭვრეტის თავის საკუთარ უნარს, თვით თავის საკუთარ არსებობასაც კი“.[1])

---

[1]) K. Marx und F. Engels, Die Deutsche Ideologie, გვ. 32 — 33.

იმისათვის, რომ ყოველგვარი არევ-დარევა შეუძლებელი გახადოს, მარქსი და ენგელსი იქვე შენიშნავენ: „რასაკვირველია, ამასთანავე რჩება გარეგანი ბუნების პრიორიტეტი“.

საზოგადოებრივ-მატერიალური წარმოების აღიარება შემეცნების წარმოშობისა და განვითარების საფუძვლად უარჰყოფს სუბიექტის ობიექტისადმი, ადამიანის ბუნებისადმი აბსტრაქტულ დაპირისპირებას, რაც მთელი მარქსამდელი ფილოსოფიის საერთო თვისებაა; ამასთანავე ეს აღიარება გასაღებს იძლევა ადამიანის გონებისა და მისი შემეცნების განვითარების გასაგებად. ადამიანის გონება თავისი განვითარების მიზეზს შეიცავს არა თვით თავის თავში, როგორც ეს ყველა იდეალისტს წარმოუდგენია, არამედ თავის გარეშე, — მატერიალურ წარმოებაში. აზროვნება დამოკიდებულია არა მარტო შინაგან ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აგებულებაზე, არამედ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ობიექტურ საწარმოო გარემოზე, რომელიც თითქოს კითხვას იძლევა და ცნობიერებას აიძულებს მის გადაწყვეტას. ადამიანის გონება, ცნობიერება იცვლებოდა იმის პროპორციულად, რამდენადაც ის სწავლობდა ბუნების შეცვლას, ესე იგი წარმოების განვითარების პროპორციულად. „როგორც ბუნებისმეტყველება, ისე ფილოსოფია, — აღნიშნავდა ენგელსი, — დღემდე სრულიად უგულებელჰყოფდნენ ადამიანის აზროვნებაზე მისი საქმიანობის გავლენის გამოკვლევას. ისინი იცნობენ, ერთის მხრით, მხოლოდ ბუნებას, ხოლო მეორეს მხრით — მხოლოდ აზრს. მაგრამ ადამიანის აზროვნების მეტად არსებითი და უახლოესი საფუძველია სწორედ ადამიანის მიერ ბუნების შეცვლა, და არა მხოლოდ ბუნება, როგორც ასეთი, და ადამიანის გონება ვითარდებოდა იმდენად, რამდენადაც ადამიანი სწავლობდა ბუნების შეცვლას“.[1])

აღიარება იმისა, რომ გონების განვითარების საფუძველი თვით გონებაშია, გარდუვალად იწვევს გონების ამოწურვის აღიარებას, მაშინაც კი, როდესაც აღიარებულია მისი მუდმივი განვითარება. ამის საუკეთესო მაგალითია ჰეგელი.

ადამიანის ცნობიერება, რომელიც მატერიალური წარმოების განვითარებასთან ერთად ყალიბდება და ვითარდება, სხვა არაფერია, თუ არა მისი საზოგადოებრივი მატერიალური ყოფიერების ასახვა. „ცნობიერება (das Bewnsstsein) არასდროს არ შეიძლება სხვა რამე იყოს, — სწერენ მარქსი და ენგელსი, — თუ არ შეცნობილი ყოფიერება (das bewnsste Sein), ადამიანთა ყოფიერება კი არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი“.[2]) როგორც უსახო ცნობიერება არ არსებობს, ისევე არ არსებობს „წმინდა“ და ერთეული ცნობიერება. წარმოების მეოხებით პირველყოფილი ადამიანის ცხოველური ცნობიერება იქცა ადამიანის ცნობიერებად და ის წარმოების განვითარების პროპორციულად ვითარდებოდა. ამიტომ ადამიანის ცნობიერება მუდამ საზოგადოებრივი და ისტორიულია. მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ ადამიანს ცნობიერება „გააჩნია არა თავიდანვე“ „წმინდა ცნობიერების“ სახით და სწერენ: „სულს ტვირთად აწევს წყევლა, რომ იგი „დამძიმებული“ უნდა იყოს მატერიით, რომელიც აქ ჰაერის მოძრავი ფენების, ბგერების, მოკლედ, ენის სახით გამოდის. ენა ისევე ძველია, როგორც

---

[1]) ფ. ენგელსი — „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 185, რუს. გამ.

[2]) K. Marx und F. Engels, Die Deutsche Ideologie, გვ. 15.

ცნობიერება. ენა არის პრაქტიკული, აგრეთვე სხვა ადამიანებისთვისაც არსებული, მაშასადამე, თვით ჩემთვისაც მხოლოდ არსებული ნამდვილი ცნობიერება, და, მსგავსად ცნობიერებისა, ენა წარმოიშვება მხოლოდ სხვა ადამიანებთან კავშირურთიერთობის მოთხოვნილებიდან, აუცილებელი საჭიროებიდან. იქ, სადაც რაიმე ურთიერთობა არსებობს, ის არსებობს ჩემთვის; ცხოველი არაფერთან არაა „ურთიერთობაში" და საერთოდ მოკლებულია „ურთიერთობას". ცხოველისათვის მისი ურთიერთობა სხვასთან არ არსებობს როგორც ურთიერთობა. მაშასადამე, ცნობიერება იმთავითვე უკვე საზოგადოებრივი პროდუქტია და ასეთი რჩება, სანამ საერთოდ ადამიანები არსებობენ".[1])

ჩვენს მიერ ხაზგასმულ დებულებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც იდეალიზმის მთელ შენობას თავდაყირა აყენებს. რაკი ცნობიერება იმთავითვე საზოგადოებრივია, აქედან გამომდინარეობს, ჯერ ერთი, ის, რომ არავითარი „წმინდა" და აბსოლუტური ინდივიდუალური ცნობიერება არ არსებობს. მეორეც, ცნობიერების „მოცემულობა" იმას კი არ მოწმობს, რომ ის არის პირველდაწყებითი და ერთადერთი რეალობა, არამედ, პირიქით, იმას ადასტურებს, რომ ის ბუნებრივი და საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია და მისი არსებობა ჰგულისხმობს ობიექტური სამყაროს — ბუნებისა და საზოგადოების არსებობას, რაც ცნობიერების საფუძველს შეადგენს. ამით, როგორც ვთქვით, იდეალიზმის ფუნდამენტალური პრინციპი და მასზე აგებული მთელი მისი შენობა ინგრევა. მართლაც და, როგორც ცნობილია, იდეალიზმი იმაში მდგომარეობს და იმას ეყრდნობა, რომ „წმინდა" ცნობიერება აღიარებულია პირველადსა და ერთადერთ რეალობად.

ლოგიკურად მე, — ამბობს იდეალისტი, რომელიც ცდილობს მატერიალიზმისადმი დასაპირისპირებლად აჩვენოს თავისი გამოსავალი და განმსაზღვრელი ძირითადი მდგომარეობა, — მოცემული მაქვს მხოლოდ ჩემი ცნობიერება ანუ ჩემი შეგრძნებანი. ცნობიერება თავის თავშივე ადგენს თავის უშუალო უტყუარობას და ჭეშმარიტობას. ეს არის მისი უპირატესობა და ამიტომ ის აღიარებულ უნდა იქნას როგორც უპირველესი და ერთადერთი რეალო-

---

[1]) იქვე, გვ. 19 — 20 (უკანასკნელი წინადადება ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ა. ქ.).

„შრომის საქმიანობა და სული, — სწერდა მარქსი ჯერ კიდევ ადრე, მოსამზადებელ შრომებში „წმინდა ოჯახისათვის", — როგორც თავისი შინაარსით, ისე წარმოშობის წესითაც საზოგადოებრივია: ეს არის საზოგადოებრივი საქმიანობა და საზოგადოებრივი სული... საზოგადოებრივი საქმიანობა და საზოგადოებრივი სული მჟღავნდება არა მარტო უშუალო კოლექტიური საქმიანობისა და უშუალო კოლექტიური სულის ფორმით... არამედ მაშინაც, როდესაც მე ვეწევი სამეცნიერო და სხვა საქმიანობას, — საქმიანობას, რომლის შესრულებაც მე თვით შემიძლიან, სხვებთან უშუალო ურთიერთობის გარეშე, — მე მაინც ვმოქმედებ საზოგადოებრივი წესით, რადგან ვმოქმედებ როგორც ადამიანი. მე არა მხოლოდ მოცემული მაქვს, როგორც საზოგადოებრივი პროდუქტი, მასალა ჩემი საქმიანობისათვის, — მათ შორის თვით ენაც, რომლის საშუალებითაც ვლინდება მოაზროვნის საქმიანობა, — არამედ ჩემი საკუთარი ყოფიერებაც არის საზოგადოებრივი საქმიანობა; ამიტომ იმას, რასაც მე ვაკეთებ ჩემით, მე ვაკეთებ ჩემით საზოგადოებისათვის, შევიცნობ რა ჩემს თავს, როგორც საზოგადოებრივ არსებას" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი — „წმინდა ოჯახი", თხზ., ტ. III, გვ. 623 — 624, რუს. გამ.).

ბა. ცნობიერება მუდამ ერთიანია, ის დროისა და სივრცის გარეშე იმყოფება. სამყარო ცნობიერების შემოქმედებაა.

ცნობიერების, შეგრძნებათა ფარგლებს გარეთ გასვლა, მათი აღიარება გარეგანი მატერიალური სამყაროს გამოხატულებად, მეტაფიზიკაა, — ამაცხრომლად გაიძახიან ბერკლიანელები, იუმისტები, კანტიანელები, ბერგსონიტები, მახისტები და სხვები. თუ მე შევიცნობ რაიმეს, როგორც გარეშე არსებულს, როგორც ობიექტურად მოცემულს, მაშინ, — ამბობენ ისინი, — ისევ და ისევ შევიცნობ მე, შეიცნობს ჩემი ცნობიერებაო. აქედან გამომდინარეობს ყველა სხვა სოფიზმი. რაკი მე მოცემული მაქვს მხოლოდ ჩემი „წმინდა“ ცნობიერება, მხოლოდ ჩემი „წმინდა“ შეგრძნება, მაშასადამე, ყველაფერი, რაც მე წარმომიდგება როგორც ობიექტურად არსებული, არსებობს ჩემი მეოხებით, ჩემი ცნობიერების მეოხებით, როგორც ჩემი ცნობიერების პროექცია ანუ როგორც „ჩემი შეგრძნებების კომპლექსი“. ეს არის სუბიექტური იდეალიზმის გარდუვალი ლოგიკური დასკვნა და ამას სოლიპსიზმი ეწოდება. ეს დასკვნა, მისი აშკარა შეუსაბამობის გამო, არც თუ მთლად მისაღებია თვით ბერკლისთვისაც კი, რომელიც, როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ ამ დასკვნიდან გამომდინარე შედეგები როგორმე თავიდან აეცილებინა, ობიექტური იდეალიზმის მხარეზე გადაბარგებას შეეცადა და დაუშვა ობიექტური არსებობა სულიერი სუბსტანციისა — ღმერთისა, რომელიც ჩვენი შეგრძნებების წყაროდ და მიზეზად გამოაცხადა. ეპისკოპოს ბერკლის, თავისი გამოსავალი და ძირითადი დებულების ბოლომდე ერთგული რომ დარჩენილიყო, „ობიექტური საგნების ბედი“ უნდა გაეზიარებინა ღმერთისთვისაც, ე. ი. ღმერთიც გამოეცხადებინა „ჩემი შეგრძნებების კომპლექსად“. ეს, რასაკვირველია, სრულებით არ ეწყობოდა ეპისკოპოს ბერკლის სულს და კიდეც ამიტომ შეეცადა ის ობიექტური იდეალიზმის მხარეზე გადასვლას. მაგრამ ამან ვერ იხსნა და არც შეეძლო ეხსნა წინააღმდეგობათაგან.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა ბერკლის ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობის საკითხები, თუმცა ისინი მეტად ჭკუის მასწავლებელი არიან, როგორც იდეალიზმის უსაფუძვლობის აშკარა გამოხატულება, არამედ იმის აღნიშვნა, თუ როგორ თავდაყირა აყენებს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფილოსოფია სუბიექტური იდეალიზმისა და მასთან ერთად ყოველგვარი იდეალიზმის ძირითადსა და განმსაზღვრელ პრინციპს. მართალია, ობიექტური იდეალიზმი ცდილობს, ცნობიერების ობიექტივიზაციით თავიდან აიცილოს სოლიპსიზმი, რისთვისაც ცნობიერებას აცხადებს ზექვეყნიერ საწყისად და მთელი სინამდვილის, მათ შორის თვით ადამიანისა და მისი ცნობიერების შემომქმედად, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ეს გარდაქცევა წმინდა მისტიკაა. ის დაუსაბუთებელია და არც შეიძლება დასაბუთებულ იქნას. შემდეგ, ეს ობიექტიზირებული და აბსოლუტიზირებული მსოფლიო სული, როგორც სწორად შენიშნა ფეიერბახმა ჰეგელის მიმართ, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანისაგან განრიდებული და მის მიერ გალმერთებული ცნობიერება.

სუბიექტური და ობიექტური იდეალიზმი — ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა სახეებია და, როგორც ასეთს, მათ უძევთ საერთო საფუძველი — აღიარება ცნობიერების, სულის პირველადობისა ბუნების, მატერიის მიმართ. ამიტომ სუბიექტურ და ობიექტურ იდეალიზმს შორის არ არსებობს გაუვალი და აბსოლუტური განსხვავება.

III. საზოგადოებრივ-მატერიალური პრაქტიკა და ადამიანის შეგრძნება. შეგრძნებანი ობიექტური საგნების სუბიექტური სახეები არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფილოსოფია, ადამიანარემ თავისი ძირითადი წანამძღვარიდან — საზოგადოებრივ-მატერიალური პროცესის ბაზაზე შემეცნების თეორიის დასაბუთებიდან, შეგრძნების სრულიად ახალი თეორია განავითარა. გრძნობადი აღქმა, შეგრძნება, შემეცნების წყარო და საფუძველია. ყოველ შემეცნებას, რაოდენ განყენებულიც არ უნდა იყოს ის, თავის წყაროდ გააჩნია შეგრძნება და ის მის რაციონალურ გადამუშავებას წარმოადგენს. შეგრძნების გარეშე ადამიანს არ შეუძლია რაიმე იცოდეს. შემეცნება შეგრძნებიდან აღმოცენდება. მაგრამ შეგრძნება ადამიანის შემეცნების წყაროა მაშინ, როდესაც ის სოციალურად გაუშუალებულია როგორც საზოგადოებრივი ადამიანის გრძნობა. საზოგადოებრივ-მატერიალური წარმოების პროცესში ყალიბდება ადამიანის შეგრძნებანი, როგორც ადამიანური შეგრძნება და ამ სახით ისინი წარმოადგენენ შემეცნების წყაროს.

ამრიგად, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისათვის შეგრძნებანი წარმოადგენენ ადამიანის ყოველგვარი შემეცნების წყაროს არა მარტო როგორც ორგანიზმის წმინდა ბუნებრივი, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური უნარი — ასახოს გარეშე ბუნების ზემოქმედება, არამედ როგორც სოციალურად გაუშუალებული უნარიც, როგორც საზოგადოებრივი ადამიანის შეგრძნება. რასაკვირველია, შეგრძნება, — და ეს მთელი ძალითა და კატეგორიულობით უნდა აღინიშნოს, — როგორც ორგანიზმის ბიოლოგიური უნარი, აუცილებელი და უსათუოდ საჭირო მატერიალური წანამძღვარია, ურომლისოდაც საერთოდ წარმოუდგენელია რაიმე შემეცნება. ის არის ყოველგვარი შემეცნების მატერიალური საფუძველი. მაგრამ ეს ბიოლოგიური უნარი, საზოგადოებრივ-საწარმოო გაუშუალების მეშვეობით, ადამიანურ (საზოგადოებრივ) უნარად იქცევა და როგორც ასეთი გამოდის ადამიანის შემეცნების წყაროდ.

ამით დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი მკვეთრად უპირდაპირდებიან და ეწინააღმდეგებიან არა მხოლოდ ყოველგვარ იდეალიზმს, არამედ მეტაფიზიკურ და მჭვრეტელობით მატერიალიზმსაც. ლ. ფეიერბახმა ჰეგელის იდეალიზმთან და რაციონალიზმთან ბრძოლაში მთელი ძალით გაუსვა ხაზი გრძნობადი აღქმის, შეგრძნების მნიშვნელობას. მან კიდევაც გააზვიადა მისი როლი, რადგან გონება უნივერსალურ გრძნობად გამოაცხადა. მაგრამ ფეიერბახს, რომელიც მჭვრეტელობითი მატერიალისტი იყო, ესე იგი საზოგადოებრივ-მატერიალური წარმოების როლი არ ესმოდა, არსებითად არ შეეძლო ბოლომდე გაეგო შეგრძნების როლი. წარმოების, კულტურის, ენის და სხვათა გავლენა, ესე იგი, მოკლედ, ყველა ის ფაქტორი, რომლებიც ადამიანის გრძნობებს ადამიანურს ხდიან, მისთვის გაუგებელი დარჩა. ამის შედეგი ის იყო, რომ ფეიერბახმა ვერ შესძლო დაესაბუთებინა შეგრძნებიდან ცნებაზე გადასვლა და ამან გამოიწვია ამ უკანასკნელის როლის, თეორიული აზროვნების როლის არასათანადო შეფასება.

გრძნობადი აღქმა, შეგრძნება, როგორც გარეშე მატერიალური სამყაროს

საგნების ასახვის ბიოლოგიური უნარი, ცხოველებსაც გააჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებდნენ ბუნებაში ორიენტირებას და, მაშასადამე, არსებობას. უფრო მეტიც, მათგან ერთნი უფრო თვალსაჩინულნი არიან, ვიდრე ადამიანი, მეორეებს უფრო მახვილი სმენა აქვთ, მეოთხეებს— ყნოსვა და სხვ. მაგალითად, ძაღლს, მისი უდიდესი ყნოსვის [illegible] ბით, შეუძლიან მიაგნოს არა მარტო მხეცის, არამედ ადამიანის კვალსაც, და ადამიანები, როგორც ცნობილია, წარმატებით იყენებენ ძაღლს ამ მხრივ. ძაღლის მაგალითი ერთეული როდია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებს, ადამიანთან შედარებით, გრძნობის ესა თუ ის ორგანო უფრო სრულყოფილი აქვთ, ისინი თავიანთი მძაფრი გრძნობით გაცილებით ნაკლებ ეფექტს აღწევენ, ვიდრე ადამიანი. ფ. ენგელსი სწერს: „არწივი გაცილებით უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანი, მაგრამ ადამიანის თვალს შეუძლია საგნებში შენიშნოს გაცილებით მეტი, ვიდრე არწივის თვალს. ძაღლს გაცილებით უფრო მახვილი ყნოსვა აქვს, ვიდრე ადამიანს, მაგრამ ის ვერ ანსხვავებს იმ სხვადასხვა სუნის მეასედსაც კი, რომლებიც ადამიანისათვის სხვადასხვა საგნების განსაზღვრულ ნიშნებს წარმოადგენენ“.[1])

რით აიხსნება ადამიანის შეგრძნებათა ეს უპირატესობა არწივისა და ძაღლის, საერთოდ ზოგიერთი სხვა ცხოველის უფრო მძაფრი შეგრძნების წინაშე?

რასაკვირველია, ამის ახსნა არ შეიძლება იმაზე მითითებით, რომ ადამიანს უკეთესი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური აღნაგობის გრძნობის ორგანოები გააჩნია, ვიდრე ცხოველებს. აკი ითქვა, რომ არწივის მხედველობა და ძაღლის ყნოსვა უფრო მახვილია, ვიდრე ადამიანისა. შეიძლება სთქვან, ეს აიხსნება იმით, რომ ადამიანის შეგრძნებებში მუდამ მონაწილეობს შეცნაურების, გააზრების ელემენტებიო. ეს, რასაკვირველია, ასეა. მაგრამ აქ დასმული საკითხის ახსნა არც ამით შეიძლება, რადგან ახსნილ უნდა იქნას თვით შეცნაურება და, მაშასადამე, მისი შეერთებაც შეგრძნებასთან.

ამ პრობლემის ახსნის გასაღები მოცემულია ადამიანის საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობაში. გარეშე მატერიალური სამყაროს თვით აღქმა ხდება საწარმოო პრაქტიკის საშუალებით. უმარტივესი „გრძნობადი უტყუარობის“ საგნებიც კი, მარქსისა და ენგელსის მიხედვით, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ადამიანს მიცემული აქვს „მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების მეოხებით, მრეწველობისა და სავაჭრო ურთიერთობის მეოხებით“. ადამიანი თავისი საწარმოო საქმიანობით სცვლის ბუნების სახეს, ჰქმნის ისტორიულ-კულტურულ გარემოს, „მეორე ბუნებას“, როგორც გორკი ამბობს. ბუნების „გაადამიანურების“ ამ პროცესში ხდება ადამიანის გრძნობათა „გაადამიანურებაც“ და მათი განვითარება. ფ. ენგელსი ზემოთმოყვანილი სიტყვების შემდეგ სწერს: „ხოლო შეხების გრძნობა, რომელიც მაიმუნს ძლივს-ძლივობით გააჩნია უაღრესად უხეში, ჩანასახოვანი ფორმით, გამომუშავდა მხოლოდ თვით ადამიანის ხელის განვითარებასთან ერთად, შრომის მეოხებით“.[2])

საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობის შედეგი — კულტურული გარემო — აყალიბებს თვით გრძნობის თვისებას, აქცევს მას ადამიანურ

---

[1]) ფ. ენგელსი — „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 137 — 138, რუს. გამ.

[2]) იქვე, გვ. 138.

გრძნობად. „მხოლოდ მუსიკა აღვიძებს ადამიანის მუსიკალურ გრძნობას", — ამბობს მარქსი.[1]) ან უფრო ვრცლად: „ხელოვნების საგანი — ასევე ყოველი სხვა პროდუქტი — ხელოვნების შემცნობელ და სიმშვენიერის ... ბობის უნარმქონე საზოგადოებას ჰქმნის".[2])

ეს სოციალური განპირობებულება ჰქმნის განსხვავებას არა მარტო ცხოველებისა და ადამიანის გრძნობებს შორის, არამედ თვით ადამიანთა გრძნობებს შორისაც მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. უეჭველია, რომ თანამედროვე ადამიანის გრძნობები სხვანაირია, უფრო მდიდარია, ვიდრე გრძნობები მისი ველური წინაპრისა, რომელიც ხელუხლებელი ბუნების ულრან ტყეებსა და ღრმა გამოქვაბულებში ბინადრობდა, სხვანაირია მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიურად და ფიზიოლოგიურად მათი გრძნობების ორგანოები, ალბათ, პრინციპულად ნაკლებად შეიცვალა. ადამიანის გრძნობები საზოგადოებრივ-მატერიალური წარმოების განვითარებასთან ერთად და მის პროპორციულად ვითარდებოდა. „...ამიტომ საზოგადოებრივი ადამიანის გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი ა, — სწერს მარქსი, — ვიდრე არასაზოგადოებრივისა; მხოლოდ ადამიანის არსის ობიექტურად განვრცობილი სიმდიდრის მეოხებით (საგნობრივად) მიიღება სიმდიდრე სუბიექტური ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი გრძნობადობისა, მიიღება მუსიკალური ყური, თვალი, რომელსაც შეუძლია გაიგოს ფორმის სილამაზე, — ერთი სიტყვით, ნაწილობრივ პირველად ჩნდება, ნაწილობრივ ვითარდება ადამიანური, დატკბობის უნარის მქონე გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი, გრძნობები, რომლებიც განმტკიცდება როგორც ა დ ა მ ი ა ნ ი ს არსებითი ძალები. არა მარტო ჩვეულებრივი ხუთი გრძნობა, არამედ ეგრეთწოდებული სულიერი გრძნობებიც, პრაქტიკული გრძნობები (ნებისყოფა, სიყვარული და ა. შ.), ერთი სიტყვით, ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი გრძნობა, გრძნობათა ორგანოების ადამიანურობა, წარმოიშობიან მხოლოდ მ ა თ ი საგნების ყოფიერების მეოხებით, გ ა ა დ ა მ ი ა ნ უ რ ებ უ ლ ი ბუნების მეოხებით. ხუთი გრძნობის ჩამოყალიბება, ეს — მთელი მსოფლიო ისტორიის პროდუქტია".[3])

ამრიგად, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფილოსოფია, პრინციპულად სძლევს რა იდეალიზმს, იმავე დროს შემდგომ ავითარებს მის აღმოცენებამდე არსებული მატერიალიზმის პრინციპებს.

შემდეგ, ცნობილია, რომ მარტოკა შეგრძნების აღიარება შემეცნების წყაროდ — და თუნდაც ერთადერთ წყაროდ — არა სპობს განსხვავებას მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. შემეცნების წყაროდ შეგრძნების აღიარებიდან გამომდინარე შეიძლება მისვლა სუბიექტურ იდეალიზმთანაც და მატერიალიზმთანაც. „სოლიპსისტსაც, ესე იგი სუბიექტურ იდეალისტსაც და მატერიალისტსაც შეუძლიათ ჩვენი ცოდნის წყაროდ შეგრძნებანი სცნონ. ბერკლიც და დიდროც ლოკიდან გამოვიდნენ", — აღნიშნავს ლენინი.[4])

მაშასადამე, მთელი საკითხი ისაა, თუ რ ო გ ო რ გვესმის შეგრძნება, რომელიც აღიარებულია შემეცნების წყაროდ. მატერიალიზმი შეგრძნებას

---

[1]) კ. მარქსი — მოსამზადებელი შრომები „წმინდა ოჯახისათვის". კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. III, გვ. 627, რუს. გამ.

[2]) კ. მარქსი — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", გვ. 14, 1932 წ.

[3]) კ. მარქსი — მოსამზადებელი შრომები „წმინდა ოჯახისათვის", კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. III, გვ. 627, რუს. გამ.

[4]) ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", გვ. 118, 1934 წ.

სცნობს ყოველგვარი შემეცნების წყაროდ, როგორც გარეშე მატერიალური სამყაროს ასახვას, სახეს, ასლს. იდეალიზმი, პირიქით, შეგრძნებას აღიარებს შემეცნების წყაროდ, მაგრამ იმავე დროს სრულიად უარჰყოფს მის ყოველგვარ უნარს წარმოადგენდეს გარეშე სამყაროს ასახვა-ასლი.

როგორც ცნობილია, ბერკლი თავისი მთავარი შრომის პირველსავე პარაგრაფში[1]) აღიარებს შეგრძნებას შემეცნების ერთადერთ წყაროდ. მაგრამ ის კატეგორიულად უარჰყოფს შეგრძნების უნარს რაიმე ზომით და რაიმე სახით წარმოადგენდეს გარეშე მატერიალური სამყაროს ასახვას, ასლს, გამოხატულებას. ბერკლის გნოსეოლოგიური არგუმენტები ასახვის თეორიის წინააღმდეგ, რომლებსაც უმნიშვნელო ვარიაციით განუწყვეტლივ იმეორებს ყველა სუბიექტივისტი და აგნოსტიკოსი, შემდეგ სოფიზმში მდგომარეობს: მე მოცემული მაქვს მხოლოდ ჩემი შეგრძნებანი, ისინი არაფრით არ შეიძლება იყვნენ გარეშე მატერიალური საგნების ასახვა, მათი გამოხატულება, რადგან ჩემს შეგრძნებებსა და ნაგულისხმებ მატერიალურ საგნებს შორის საერთო არაფერი არ არის და მათ შორის, როგორც სრულიად სხვადასხვა მოვლენებს შორის, არავითარი მიზეზობრივი კავშირის დამყარება არ შეიძლება.[2])

დ. იუმი ამ იდეალისტური სენსუალიზმის გზით სკეპტიციზმსა და აგნოსტიციზმამდე მიდის. იუმი, რომელმაც შეგრძნება აგრეთვე შემეცნების ერთადერთ წყაროდ და უშუალო მონაცემად აღიარა, უარს ამბობს იმის **აღიარებაზე, რომ შეგრძნება წარმოადგენს** გარეშე სამყაროს გამოხატულებას და რომ მას უნარი აქვს თავის ფარგლებს გასცილდეს. ის აცხადებს: „**გონებას არასოდეს** თავის წინ არა აქვს არავითარი საგნები, გარდა აღქმისა, და მას არაფრით არ შეუძლია რაიმე ცდა მოახდინოს აღქმებსა და ობიექტებს შორის **თანაფარდობის** შესახებ“. აქედან გამომდინარე იუმი გარეშე სამყაროს არსებობისა და შემეცნების საკითხს სთვლის ისეთ საკითხად, რომელიც საერთოდ არ შეიძლება გადაიჭრას, და ამრიგად ის სკეპტიციზმს ეძლევა.

შეგრძნებისადმი უნდობლობას, იმის თქმას, რომ მას არ შეუძლიან გარეშე მატერიალური სამყაროს ასახვაო, გარდუვალად მივყევართ აგნოსტიციზმის წყვდიადში, მაშინაც კი, როდესაც აღიარებულია გარეშე სამყაროს არა მხოლოდ ობიექტური არსებობა, არამედ ეს სამყარო ცხადდება ჩვენი შეგრძნებების მიზეზადაც. ამას ნათლად გვიჩვენებს კანტის ფილოსოფიის

---

[1]) დ. ბერკლი — „ტრაქტატი ადამიანის ცოდნის საწყისების შესახებ“, გვ. 60, 1905 წ., რუს. გამ.

[2]) „თქვენ იტყვით, — ამბობს ბერკლი, — რომ იდეები შეიძლება იმ საგნების ასლი ან გამონაკრთომი (resemblanees) იყოს, რომელნიც გონების გარეშე არსებობენ არამოაზროვნე სუბსტანციაში. მე გიპასუხებთ, შეუძლებელია იდეა სხვა რასმე ჰგავდეს, გარდა იდეისა; ფერი ან ფიგურა სხვას ვერაფერს დაემსგავსება, გარდა მეორე ფერისა, მეორე ფიგურისა... მე ვკითხულობ, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ეს შესაძლებელი ორიგინალები ანუ გარეშე საგნები ავითვისოთ, რომელთა გამოხატულებას ან წარმოდგენას თითქო ჩვენი იდეები შეადგენენ? თუ ჰო, მაშინ ისინიც იდეები ყოფილან და ჩვენ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწიეთ წინ; ხოლო თუ თქვენ იტყვით არაო, მაშინ მე მივმართავ ვისაც გნებავთ და ვკითხავ, არის თუ არა რაიმე აზრი იმის თქმაში, რომ ფერი რაღაცას უხილავს ჰგავს, მაგარი და რბილი ჰგავს ისეთ რამეს, რის შეხებაც შეუძლებელია და სხვ.“ (დ. ბერკლი — „ტრაქტატი ადამიანის ცოდნის საწყისების შესახებ“, § 8. მოგვყავს ლენინიდან: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, გვ. 14 — 15, 1934 წ.).

მაგალითი. კანტი, ბერკლისა და იუმის საწინააღმდეგოდ, არა თუ კატეგორიულად აღიარებს გარეშე საგნების ობიექტურ არსებობას, არამედ ჩვენს ცნობიერებაზე მათ ზემოქმედებას აცხადებს ჩვენი შემეცნების მიზეზად.

„უეჭველია, — სწერს კანტი „წმინდა გონების კრიტიკის“ პირველსავე ფურცლებზე, — მთელი ჩვენი ცოდნა ცდით იწყება; რადგან რა გააღვიძებდა ასამოქმედებლად შემეცნების უნარს, თუ არა ის საგნები, რომლებიც მოქმედებენ (rühren) ჩვენს გრძნობებზე და ნაწილობრივ თავათ ახდენენ წარმოდგენას, ნაწილობრივ აღვიძებენ ჩვენი განსჯის მოქმედებას—შეადაროს ისინი, შეახამოს ან დაჰყოს, და ამრიგად გადაამუშაოს გრძნობითი შთაბეჭდილებების უხეში მასალა საგნების შემეცნებად, რასაც ცდა ეწოდება?“ [1])

მაგრამ კანტი აბსოლუტურად უარჰყოფს გრძნობადი აღქმების უნარს — აცახოს გარეშე საგნები. თუმცა ისინი გარეშე საგნების ზემოქმედებით წარმოიშვნენ, მაგრამ, „როგორც ცა დედამიწიდან“, ისე შორს არიან ამ საგნების ასახვისაგან. ისინი გამოხატავენ არა მათი წარმომშობი საგნების სახეებს, არამედ „მხოლოდ რაღაცის მოვლენას და ჩვენზე რაღაცის მოქმედების წესს“. „სხეულის თვალსაჩინო წარმოდგენა, — სწერს კანტი, — არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაც შეიძლება ეკუთვნოდეს საგნებს თავისთავად; ის გამოხატავს მხოლოდ რაღაცის მოვლენას და ჩვენზე ამ რაღაცის მოქმედების წესს; ჩვენი შემეცნების უნარის ამ ამთვისებლობას ეწოდება გრძნობადობა და ის, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე განსხვავდება თავისთავადი საგნების ცოდნისაგან, თუნდაც რომ ჩვენ მოვლენებს განვიხილავდეთ მათ უკანასკნელ სიღრმემდე“. [2])

როგორ შეიძლება შეგრძნება გარეშე მატერიალური საგნების ასახვა იყოს, ისინი ხომ აბსოლუტურად უცხონი არიან? — კითხულობენ ბერკლიანელები, იუმისტები, კანტიანელები, მახისტები და სხვანი. უარყოფითი პასუხი, რომლის მიღებასაც ისინი ცდილობენ, მათ თავისთავად ნაგულისხმები ჰგონიათ. მაგრამ აქ მთელი ძალითა და სიცხადით მეღავნდება მათი მოძღვრების მთელი იდეალისტური სიყალბე.

ჯერ ერთი, შეგრძნება არ არსებობს მატერიისაგან დამოუკიდებლად და მოწყვეტილად, არამედ, როგორც ეს დამტკიცებულია მეცნიერული ბუნებისმეტყველების მიერ, მისი საფუძველია მატერია და ის მატერიის თვისებას შეადგენს. ის არ არის მატერიაში გარედან შეტანილი, ის მატერიის დიალექტიკური განვითარებისაგან აღმოცენდება. თვით მატერიის შენობის საძირკველში, როგორც ლენინი გვასწავლის, შეიძლება „ვიგულისხმოთ უნარის არსებობა, რომელიც ჰგავს შეგრძნებას“. [3]) განვითარებული ფორმით შეგრძნება და მის საფუძველზე წარმოშობილი ცნობიერება ახასიათებს მაღალ

---

[1]) ი. კანტი — „წმინდა გონების კრიტიკა“, გვ. 24 — 25, რუს. გამ.

„... არ შეიძლება, — სწერდა კანტი ამ შრომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტად გამიჯნულიყო ბერკლისაგან, — ფილოსოფიისათვის და საზოგადო-ადამიანური გონებისათვის სკანდალად არ ეაღიარაოთ ის გარემოება, რომ აუცილებელი ხდება მხოლოდ ვ ი რ წ მ უ ნ ო თ ყოფიერება საგნებისა ჩვენს გარეშე (რომლებისგანაც ჩვენ მაინც ვღებულობთ ცოდნის მთელ მასალას ჩვენი შინაგანი გრძნობისთვისაც კი) და რომ შეუძლებელია რაიმე საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი დაეუპირისპიროთ იმას, ვინც მათი ყოფიერების უარყოფას განიზრახავდა“ (გვ. 21).

[2]) იქვე, გვ. 55.

[3]) ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, გვ. 35, 1934 წ.

და განსაკუთრებული სახის ორგანიზებულ არსებას—ადამიანს და მის ტვინს. ზემოთ ვლაპარაკობდით იმ როლზე, რომელსაც ადამიანის საზოგადოებრივ-საწარმოო მოქმედება ასრულებს შეგრძნებისა და მის საფუძველზე აღმოცენებული შემეცნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ბაბასადამე, უწინარეს ყოვლისა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, არ შეიძლება შეგრძნებისა და აზროვნების „ჩამოცილება მატერიისაგან, თუ არ გსურს უხეში შეცდომა ჩაიდინო“.[1]) მაგრამ სწორედ ამ უხეშ შეცდომას ეყრდნობა ცდები იდეალისტებისა და აგნოსტიკოსებისა, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ შეგრძნებას უნარი არა აქვს იყოს გარეშე მატერიალური სამყაროს ასახვა, ე. ი. ცდილობენ იმთავითვე უარჰყონ ასახვის მატერიალისტური თეორია და თავიანთ დასკვნებთან მივიდნენ. შეგრძნებას და მის ნიადაგზე აღმოცენებულ ადამიანის აზროვნებას იმიტომ აქვს მატერიალური სამყაროს შეცნობის სრული შესაძლებლობა, რომ ისინი მატერიის თვისებას შეადგენენ და, როგორც უკვე ითქვა, განვითარებული ფორმით ახასიათებენ მაღალ და **განსაკუთრებული სახით ორგანიზებულ მატერიას** — ადამიანს და მის ტვინს.[2])

მეორეც, შემეცნების თეორიაში, — გნოსეოლოგიაში, რასაკვირველია, შეიძლება ლაპარაკი იყოს მხოლოდ ადამიანურ, ე. ი. „სუბიექტურ“ შეგრძნებებზე, ვინაიდან, როგორც ლენინი ამბობს, ჩვენ ვმსჯელობდით ადამიანის და არა ქაჯის თვალსაზრისით. მაგრამ მთელი საკითხი ის არის, რომ ეს ადამიანური, სუბიექტური შეგრძნებანი ასახავენ მათს წარმომშობ ობიექტურ მატერიალურ საგნებს. შეგრძნება არა მხოლოდ სუბიექტურია, არამედ ობიექტურიცაა. შეგრძნება, ლენინის შესანიშნავი განსაზღვრით, „არის ობიექტური ქვეყნიერების, ქვეყნიერებისა an und für sich, სუბიექტური საზე“.[3]) შეგრძნების ამ დიალექტიკური ბუნების შეთვისებას უდიდესი თეორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ისე, როგორც არ შეიძლება შეგრძნებათა გარეშე მატერიალურ სამყაროსაგან მოწყვეტა და შემდეგ მათი მეტაფიზიკური დაპირისპირება, ისევე არ შეიძლება მათი გაიგივება ობიექტურ სინამდვილესთან. გრძნობადი წარმოდგენის, შეგრძნების გაიგივება გარეშე სამყაროსთან, აგრეთვე იდეალიზმია, რადგან ის ეყრდნობა იმის უარყოფას, რომ მატერია ცნობიერების, გრძნობადი წარმოდგენის, შეგრძნების მიმართ პირველადია.

მახისტი ბაზაროვი, რომელიც ენგელსის მოძღვრებას ასახვის თეორიის შესახებ სუბიექტური იდეალიზმის სულისკვეთებით ამახინჯებდა, ამტკიცებდა: „გრძნობადი წარმოდგენა **არის** სწორედ ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილე“. ლენინი ამეღავნებდა ბაზაროვს და სწერდა: „იმის თქმა, რომ გრძნობადი წარმოდგენა **არის** სწორედ ჩვენს გარეშე არსებული სინამ-

---

[1]) სტალინი — „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 674, მე-11 გამოცემა, 1939 წ.

[2]) „... მაგრამ თუ... ვიკითხავთ, — სწერს ენგელსი, — რას წარმოადგენენ აზროვნება და შემეცნება და საიდან წარმოსდგებიან ისინი, აღმოვაჩენთ, რომ ისინი ადამიანის ტვინის პროდუქტები არიან და რომ თვით ადამიანიც ბუნების პროდუქტია, რომელიც თავის გარემოში და ამ უკანასკნელთან ერთად განვითარდა. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ადამიანის ტვინის ქმნილებანი, რომელნიც საბოლოო ინსტანციაში ბუნების პროდუქტები არიან, დანარჩენ ბუნებას კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ შეესაბამებიან“. (ფ. ენგელსი — „ანტი-დიურინგი“, გვ. 17, 1933 წ.).

[3]) ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, გვ. 111, 1934 წ.

დვილეო, ნიშნავს დაბრუნებას იუმიზმისა და თვით ბერკლიანობისადმი, რომელიც „კოორდინაციის“ ბურუსშია დაბალული.. ეს ან იდეალისტური ტყუილია ან აგნოსტიკოსის აბსურდია... იმიტომ რომ გრძნობადი წარმოდგენა ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილე არ არის, არამედ მხოლოდ ამ სინამდვილის გამოხატულებაა“.[1])

გრძნობადი აღქმა, შეგრძნება არის არა ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილე, არამედ ამ სინამდვილის სახე, მისი ასახვა. ბუნება, მატერია არსებობდა მაშინაც, როდესაც არავითარი ადამიანი და მისი შეგრძნება არ იყო. შეგრძნება, ცნობიერება მეორადია. ისინი განვითარებული ფორმით ახასიათებენ მაღალ ორგანიზებულ მატერიას და წარმოადგენენ მატერიალური ბუნების ასახვას.

შეგრძნება, როგორც ამბობს ლენინი, „გარეგანი გაღიზიანების გარდაქმნაა ცნობიერების ფაქტად“.[2]) შეგრძნება სუბიექტურია, მაგრამ მისი საფუძველი ობიექტურია. ის, როგორც ითქვა, არის სუბიექტური სახე ობიექტური სამყაროსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ასახავს ისეთ შინაარსს, რომელიც დამოკიდებულია არა სუბიექტზე, დამოკიდებულია არა ადამიანზე, არამედ ობიექტური მატერიალური სამყაროს კუთვნილებას შეადგენს. „ჩვენი შეგრძნებანი, — სწერს ლენინი,—ობიექტურ რეალობას ასახავენ, ე. ი. იმას, რაც კაცობრიობის და ადამიანის შეგრძნების დამოუკიდებლად არსებობს“.[3])

შეგრძნება, ლენინის არაერთგზისი განსაზღვრით, არის „გამოხატულება გარეშე ქვეყნიერებისა“, „სახე გარეშე ქვეყნიერებისა“. შეგრძნებებში ჩვენ მოცემული გვაქვს ობიექტური რეალობა. ეს არის საფუძველი და გასაღები ასახვის მატერიალისტური თეორიისა, რომელიც ბოლოს უღებს ყოველგვარ აგნოსტიციზმს.

ამით ძირფესვიანად ირღვევა სუბიექტური იდეალიზმის ძირითადი გნოსეოლოგიური სოფიზმი (შეგრძნების გადაქცევა ბარიერად, კედლად, რომელიც ჰყოფს ცნობიერებას მატერიისაგან, ადამიანს ბუნებისაგან), რომლის საშუალებითაც სუბიექტური იდეალისტები იქამდე მიდიან, რომ უარჰყოფენ მატერიალური ბუნების ობიექტურ არსებობას, ანდა მას აცხადებენ შეუცნობელ საგნად თავისთავად. რაკი შეგრძნება, როგორც შემეცნების წყარო, მისი წარმომშობი გარეშე მატერიალური საგნების ასახვას, სახეს, ასლს წარმოადგენს, მაშასადამე, გასაგებია, რომ ის არა ჰყოფს ცნობიერებას ყოფიერებისაგან, ადამიანს ბუნებისაგან, არამედ, პირიქით, ერთმანეთთან აერთებს მათ. შეგრძნების აღიარება გარეშე მატერიალური საგნების ასახვად, შემეცნების წყაროდ, ცნობიერებას თავის თავში კი არ ამწყვდევს, არამედ ის მიჰყავს მისი ფარგლების გარეთ, გარეშე სამყაროსაკენ, მისი წარმომშობი მატერიალური საგნებისაკენ და ამ საგნების ობიექტურ და რეალურ არსებობას მოწმობს. გრძნობები, შეგრძნებები, დ. დიდროს მხატვრული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არიან კლავიშები, რომლებსაც ათამაშებს ჩვენი გარემომცველი ბუნება. შეგრძნება არის არა ბარიერი, რომელიც ცნობიერებას ჰყოფს მატერიისაგან, ადამიანს ბუნებისაგან, არამედ, პირიქით, ის გამოდის როგორც

---

[1]) ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, გვ. 105.

[2]) იქვე, გვ. 41.

[3]) იქვე, გვ. 301.

მათი კავშირი, მათი შემაერთებელი ხიდი. ადამიანის გრძნობები, შეგრძნებები, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ვითარდებიან ადამიანის საზოგადოებრივ-საწარმოო მოქმედებაში. ამიტომ არ არსებობს, როგორც ამას სუბიექტური იდეალისტები ფიქრობენ, „წმინდა“ და აბსოლუტურად სუბიექტური შეგრძნებები, გრძნობები. ისინი ისტორიული განვითარების პროდუქტებს წარმოადგენენ და საზოგადოებრივი მოვლენები არიან. ყოველივე ეს ამყარებს სუბიექტური იდეალიზმის ძირითადი თეორიულ-შემეცნებითი სოფიზმის მთელ სიყალბეს იმის შესახებ, რომ „მე ჩემი შეგრძნებანი უშუალოდ მოცემული მაქვს“, აგრეთვე ამ დებულებიდან გამომდინარე დასკვნების სიყალბეს. „ყოველი ბუნებისმეტყველისათვის, რომელიც გზადაბნეული არ არის საპროფესორო ფილოსოფიით, ისევე როგორც ყოველი მატერიალისტისთვის, შეგრძნება მართლაც ცნობიერების უშუალო კავშირია გარეგან ქვეყანასთან, გარეგანი გაღიზიანების გარდაქმნაა ცნობიერების ფაქტად. ყოველი ადამიანი თვითეულ ნაბიჯზე მილიონჯერ დაჰკვირვებია და უკვირდება ამ გარდაქმნას. იდეალისტური ფილოსოფიის სოფიზმი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეგრძნებას სთვლის არა ცნობიერების კავშირად გარეგან ქვეყანასთან, არამედ სატიხრად, კედლად, რომელიც ცნობიერებას გარეგანი ქვეყნიდან ჰყოფს, — არა მოვლენის გარეგან სახედ, არამედ „ერთადერთ არსად“.[1])

იდეალიზმის ამ ძირითადი გნოსეოლოგიური სოფიზმის დანგრევასთან ერთად ინგრევა მთელი მასზე აღმართული შენობაც.

---

[1]) ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, გვ. 41.

შალვა რადიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები

შესავალი

ვასილ ბარნოვის რომანებსა და მოთხრობებს გამოქვეყნებისას არ გამოუწვევია კრიტიკაში შეხედულებათა, აზრთა სხვადასხვაობა, შეჯახება. არც სალიტერატურო და არც საისტორიო კრიტიკა სათანადოდ არ გამოხმაურებია ამ შესანიშნავი მწერლის ნაწარმოებებს, რომელთაც ქართულ ლიტერატურაში განავითარეს და განამტკიცეს შემოქმედების უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ჟანრი — ისტორიული მხატვრული პროზა. მხოლოდ იმ ცალკეულ წერილებსა და მიმოხილვებში, რომლებიც ვ. ბარნოვის სიცოცხლის უკანასკნელ ხანს და გარდაცვალების შემდეგ დაიწერა, იგი დახასიათებულია როგორც „დიდად ორიგინალური მემოქმედი", რომელიც „ფილოსოფიურად ყველაზე უფრო მეტად არის განსწავლული ახალ ქართველ მწერალთა შორის", რომელსაც „ახასიათებს წარსულის განჭვრეტის განსაკუთრებული ნიჭი და ისტორიული დეტალების ცოდნა", რომელსაც „გააჩნია თავისებური პოეტური მეტყველება", რომლის „ოსტატობა ადის მხატვრული პროზის უმაღლეს მწვერვალზე" და რომელიც „მთელი თავისი შემოქმედებით დაკავშირებულია ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლებთან".[1]) ეს სიტყვები მართებულად განსაზღვრავენ ვ. ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხასიათსა და მნიშვნელობას.

მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო ვ. ბარნოვის სალიტერატურო მოღვაწეობა. იგი, როგორც მწერალი, გასაოცარი ენერგიითა და ნიჭით მუშაობდა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. მაშინაც კი, როდესაც ღრმა მოხუცებულობის გამო მას საკუთრივ თვით აღარ შეეძლო წერა, იგი სხვებს უკარნახებდა და ისე ქმნიდა მოთხრობებსა და რომანებს.[2]) მისი ნა-

---

[1]) იხ. გრ. ყიფშიძე — „ვასილ ბარნოვი", შესავალი წერილი-ბიოგრაფია, ვ. ბარნოვის „თხზულებათა" პირველი ტომისა, ტფილისი, 1920 წ. წერა-კითხვის გაზ. გამ.; ფ. მახარაძე — „მცხოვანი მწერალი ვასილ ბარნოვი", გაზ. „კომუნისტი", 1934 წ. № 259; გ. ქიქოძე — „ვასილ ბარნოვი", შესავალი წერილი „ტფილისის აჩრდილებისა", „ქართული წიგნის" გამოცემა, 1929 წ.; გ. ქიქოძე — „ვასილ ბარნოვის ფილოსოფიისათვის", კრებულში — „ნარკვევები", „ფედერაციის" გამოცემა, 1941 წ.; გ. ლეონიძე — „ვასილ ბარნოვი", გაზ. „კომუნისტი", 1934 წ. № 259; შ. რადიანი — „ვასილ ბარნოვი და ისტორიული რომანის პრობლემა", კრებულში — „ლიტერატურული მემკვიდრეობა", სახელგამი, 1936 წ.; ს. ჩიქოვანი — „ვასილ ბარნოვის „ფერად-ფერადის" გამოცემის გამო", შესავალი წერილი „ფერად-ფერადისა", „ფედერაციის" გამოცემა, 1934 წ.; ა. გაწერელია — „ვ. ბარნოვი", კრებულში — „წიგნები და ავტორები", „ფედერაციის" გამოცემა, 1941 წ.

[2]) ს. ბარნაველი — „ვასილ ბარნოვი", „ლიტერატურის მატიანე", 1940 წ. წიგნი 1 — 2, ლიტერატურული მუზეუმის გამოცემა, გვ. 39.

წერები მთლიანად 20 — 25 ტომს შეადგენს. იგი არის მრავალი მოთხრობისა და რომანის და აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული მონოგრაფიის (ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი და სხვ.), ქართული სიტყვიერების ისტორიის (სამი ტომი) ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწერლო მოღვაწეობა ვ. ბ ა რ ნ ო ვ მ ა ლექსებით დაიწყო.[1] უფრო ადრე კი პრესაში გამოქვეყნდა მისი საეთნოგრაფიო ხასიათის წერილები და კორესპონდენციები.[2]

მხატვრული პროზიდან ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1879 წელს სათაურით „პირველი სკრიპკა“ (გადმოკეთებული მოთხრობა)[3] 1893 წელს „კვალში“ გამოქვეყნდა მისი ორიგინალური ისტორიული მოთხრობა „პატარა ლევანი“.[4] ეს ნაწარმოები შეეხება XVI საუკუნის დამლევს. მასში ასახულია სამეგრელოს მემკვიდრის ლევან გიორგის-ძის ტრაგიკული დაღუპვა მოქიშპეთაგან ტახტის დაუფლებისათვის. ამის შემდეგ ბ ა რ ნ ო ვ ი ს მხატვრული ნაწარმოებები შეუწყვეტლივ იბეჭდებოდა ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში („ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „განათლება“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვ.).

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს შემოქმედებაში აღსდგა, განახლდა მხატვრული ლიტერატურის დიდი ფორმები. მისი ნაწარმოებები გამსჭვალულია ფართო ეპიური თვისებებით. XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის, როგორც სპეციფიკური პოეტური ჟანრის, განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს სახელთან. თავისი შესანიშნავი შემოქმედებამან მიუძღვნა ისტორიულ-მხატვრულ პროზას და გამოიმუშავა თავისებური მეთოდი ისტორიის ესთეტიკური ათვისებისათვის. ამ ხასიათის ნაწარმოებებში ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი გამოჩნდა როგორც საქართველოს წარსულის მცოდნე, რომელიც საფუძვლიანად გრძნობს ეპოქის მოვლენებს. იგი ჰქმნის მაღალმხატვრულ და კოლორიტულ ისტორიულ რომანებს. ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ავტორია ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული რომანებისა, როგორიცაა: „ისნის ციხკარი“ (1901 წ.), „სახიფათო სიყვარული“ (1908 წ.), „მიმქრალი შარავანდედი“ (1913 წ.), „ტრფობა წამებული“ (1918 წ.), „ხაზართა სასძლო“ (1919—1922 წ.), „განგების რკალში“ (1923 — 1925 წ.), „არმაზის მსხვრევა“ (1925 წ.), „ნათელმოსილნი“ (1926 წ.), „დედოფალი ბიზანტიისა“ (1927 წ.), „ცოდვა სიჭაბუკისა“ (1928 წ.), „რაინდი სული“ (1928 წ.), „თამარ მრწემი“ (1929 წ.), „პირიმზე“ (1930 წ.), „ისკანდარი“ (1933 წ.). ზოგიერთი ამ ისტორიულ რომანთაგანი ჯერაც არ არის გამოქვეყნებული („პირიმზე“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „ცოდვა სიჭაბუკისა“, „ისკანდარი“, „რაინდი სული“).[5]

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი იხილავს არა მარტო ისტორიულ წარსულს ქართველი ერისას, არამედ იგი სხვადასხვა ნაწარმოებში ეხება აგრეთვე მახლობელი დროის ყოფა-ცხოვრებითს საკითხებსაც. მთელ რიგ მოთხრობებში მან ასახა სოვდაგრების, ოსტატების, ქარგლების, მეწვრილმანეების, გლეხების, ინტელიგენტების სახეები.

---

[1]) „დროება“, 1879 წ. № 149, ლექსი „ქართველ ქალს“. ამ ლექსს დაწერის თარიღად უზის 1875 წ. 29 ივლისი.

[2]) „დროება“, 1878 წ. № 220 — 227.

[3]) „დროება“, 1879 წ. № 147 — 148.

[4]) „კვალი“, 1893 წ. № 2.

[5]) ყველა ეს გამოუქვეყნებელი რომანი დაცულია მწერლის ოჯახში.

აღსანიშნავია, რომ ვ. ბარნოვს არ დაუწერია არცერთი მნიშვნელოვანი არაისტორიული რომანი. მართალია, მას აქვს რომანები, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი ცხოვრების მახლობელი დროისადმი („სევდის საუბარი“ [1]) და სხვ.), მაგრამ დაკვირვებული მკითხველი აშკარად შეამჩნევს, რომ ეს იგი თავის კალაპოტში არ არის. ყველა ის მიღწევა, რაც მას ისტორიული რომანის სფეროში აქვს, თითქმის არა მჟღავნდება თანადროულ თემებზე დაწერილ რომანებში. აქ არ მოჩანს ვ. ბარნოვისათვის დამახასიათებელი მასშტაბი მხატვრული მოვლენების ჩვენებისა, ფართოდ დამუშავებული ფონი და ტიპები. მხოლოდ საქართველოს ისტორიული წარსულის ასახვაში ნათელჰყო ვ. ბარნოვმა თავისი დიდი მხატვრული ნიჭი და ცოდნა, შექმნა რა მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები.

ვ. ბარნოვს, როგორც ისტორიულ რომანისტს, მთლიანად ახასიათებს ის თვისებები, რასაც ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა ისტორიულ თემაზე მომუშავე მხატვრული ნაწარმოების ავტორისაგან: „ღვთითმომადლებულ ნიჭს“, „დიდ ცოდნას ისტორიისა“, „დიდ გონება-გახსნილობას“ და „განათლებას“. [1]) თავის რომანებში ვ. ბარნოვმა ისტორიული წარსული გამოხატა უფრო მეტი მრავალფეროვანებით, ვიდრე მისმა თანამედროვე რომელიმე ქართველმა მწერალმა. ვ. ბარნოვის ისტორიული რომანები წარმოადგენენ ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მოვლენას, როგორც თემატიკური მნიშვნელობით, ისე მხატვრული შესრულებით. წარსულის უშუალო ათვისება, პოეტური ოსტატობა და მდიდარი სიტყვიერი მასალა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებს ამ რომანებს ქართულ ლიტერატურაში.

ვ. ბარნოვის მრავალრიცხოვანი რომანები, რომლებიც საქართველოს შორეული წარსულის მხატვრულ „რეპროდუქციას“ წარმოადგენენ, მოითხოვს სერიოზულ მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას. ეს ნაწარმოებნი მდიდარ მასალას იძლევიან ისტორიული რომანის პრობლემის დასმისა და გადაწყვეტისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული მხატვრული პროზის ჟანრში ვ. ბარნოვი წინ უსწრებს XIX — XX საუკუნის თითქმის ყველა ქართველ მწერალს.

ჩვენი შრომის მიზანია სპეციალური შესწავლა ვ. ბარნოვის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამ ერთი და მთავარი მხარისა. მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ისტორიული რომანის პრობლემა საერთოდ და კერძოდ მისი განვითარება ქართულ ლიტერატურაში.

ისტორიული რომანის განვითარება

ისტორიული წარსულის მოვლენებისა და ადამიანების მხატვრული ასახვა თითქმის ყველა დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის მწერლის განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენდა. ბალზაკი, სტენდალი, ჰიუგო, პუშკინი, გოგოლი, ლ. ტოლსტოი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი,

---

[1]) „გრდემლი“, სალიტერატურო კრებული, ტფილისი, 1916 წ., გვ. 145 — 360.

[2]) ი. ჭავჭავაძე — თხზულებანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, სახელგამი, 1941 წ., გვ. 122.

რომელნიც ასე მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი თავიანთ თანადროულობასთან, განსაკუთრებული ინტერესით ეტანებოდნენ ისტორიას, როგორც მხატვრული შემოქმედების ობიექტს. ამ ნიადაგზე განვითარდა მხატვრული შემოქმედების ისეთი მნიშვნელოვანი და რთული ჟანრი, როგორიც არის ისტორიული რომანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის მანძილზე ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში შეიქმნა მრავალი ისტორიული რომანი. საკმარისია დავასახელოთ ვალტერ სკოტის „აივენგო", „უეევერლი", „კვენტინ დორვარდი", შატობრიანის „მარტვილნი", სტენდალის „პარმის მონასტერი", ბალზაკის „შუანები", ფლობერის „სალამბო", ალფრედ დე ვინის „სენ-მარი", პროსპერ მერიმეს „კარლოს IX დროის ქრონიკები", ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" და „ოთხმოცდაცამეტი", პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი", გოგოლის „ტარას ბულბა", ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა", მანძინის „დანიშნულნი", ერკმანისა და შატრიანის „1789 წლის გლეხკაცის ისტორია", ჰალდოსის „სარაგოსა", ა. ფრანსის „თაისი" და „ღმერთებს წყურიათ", სენკევიჩის „ცეცხლითა და მახვილით", „ვიდრე ხვალ?" და სხვ.; ამ რომანების მნიშვნელობა განსაკუთრებულია როგორც მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში, ისე ისტორიული წარსულის შეცნობის საქმეში (თუმცა თითეული მათგანის სხვადასხვა მოცულობით).

XIX საუკუნის დასაწყისს ევროპულ ლიტერატურაში, უმთავრესად ფრანგულ ლიტერატურაში, მწვავე თეორიული ბრძოლა სწარმოებდა ისტორიული რომანის პრობლემის გარშემო. ამ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნული ჟანრის განვითარებისათვის. ბრძოლის ეს საკითხები მწვავედ დააყენეს რომანტიკოსებმა. ფრანგული რომანტიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ XIX საუკუნის გამოხატულებას ისტორიული რომანი წარმოადგენსო (ბონალდი)[1]. შემთხვევითი როდი იყო, რომ ამ პერიოდში დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ისტორიული რომანი ითვლებოდა ძირითად მხატვრულ ჟანრად. მისი მნიშვნელობა არ განისაზღვრებოდა მარტო ლიტერატურის ფარგლებით. ისტორიულმა რომანმა ძლიერი გავლენა მოახდინა საერთოდ ხელოვნებისა და ესთეტიკური აზროვნების განვითარებაზე, ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე.

ისტორიულ რომანს ხანგრძლივი წარსული აქვს. მის ჩანასახს ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების იმ ნაწარმოებებში ვხედავთ, სადაც დამუშავებულია სიუჟეტები ანტიკური ისტორიიდან. ისტორიული რომანი არსებობდა XVII და XVIII საუკუნეებშიაც. მაგრამ იგი ისტორიულ-მხატვრული ნაწარმოებები იყო მხოლოდ გარეგნულად, თავისი დეკორუმით. ეს იყო მარტოოდენ პიროობითი ისტორიზმი. ისტორია აქ ასრულებდა საერთო — ამორფიული ფონის როლს; მათში არ იყო არავითარი შინაგანი სიმართლე, არ იყო ის, რაც შეა-

---

[1]) ეს დებულება 1829 წელს გაიმეორა ბალზაკმაც. ლატუშის „ფრაგოლეტას" განხილვისას იგი წერდა: „ისტორიულ დრამასა და რომანში ჰპოვა თავისი გამოხატულება XIX საუკუნის საფრანგეთმა და მისმა ლიტერატურამ". ბალზაკის აზრით, მხოლოდ ისტორიულ ჟანრში მეღავნდება „უსაზღვრო წყურვილი ნამდვილი და ძლიერი ენებისა, ფართო აზრი, რომელიც მოიცავს ერთდაიმავე დროს წარსულსა და მომავალს, ღრმა გონიერება და პოეტური წარმოსახვა, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ეპოქის ყველა ნაწარმოები" (იხ. „Oeuvres complètes, Calmann — Lévy, 1872, t. XXII, p. 19).

დგენს ამ ჟანრის სულს, არსს — couleur historique, არ იყო ცოცხალი ადამიანური ხასიათები, როგორც კონკრეტული ისტორიული ეპოქის გამომხატველი, ადამიანთა ბედი იქმნებოდა იზოლირებულად, ისტორიის ბედისაგან დამოუკიდებლად. ამ „ისტორიული“ რომანების ავტორებს არ ეგონათ, ან არ ჰყოფნიდათ ისტორიის ათვისების გრძნობა. შემთხვევითი რიდი იყო ფრანგი მწერალი ქალის, ისტორიული რომანების ავტორის — ჟანლისის აზრი, რომ ზუსტად შეიძლება გამოხატო მხოლოდ შენი დროის ზნეჩვეულებანი.[1]) ამიტომ იყო, რომ ამ ხასიათის „ისტორიულ“ რომანებში მოქმედ პირთა ფსიქოლოგია, ზნეჩვეულება, აზროვნება უფრო იმ ხანას შეეფერებოდა, როდესაც ეს ნაწარმოებნი დაიწერა. ამგვარ რომანებიდან ტიპიურია სკიუდერის „დიდი კიროსი“, მარმონტელის — „ველიზარი“, ფლორიანის — „ჰონზალ კორდუანელი“, კალპრენედის — „კასანდრა“, „კლეოპატრა“, „ფარამონდა“, ჟანლისის — „ჰერცოგინია ლავალიეზი“, „გედის რაინდები“, მეისნერის — „ალკიბიადე“, „ბიანკა კაპელო“, უოლპოლის — „ოტრანტოს კოშკი“. ამ ნაწარმოებებში ისტორიული არაფერია, გარდა რამდენიმე სახელისა. უფრო მეტიც. ეს რომანები სავსებით ანტიისტორიულია, ამ რომანების ავტორებმა არა თუ ისტორია არ იციან, არამედ ისინი ამახინჯებენ იმ მცირე ცნობებსაც კი, რომელნიც მათ მოეპოებათ. სკიუდერს, უოლპოლს, ჟანლისს, მარმონტელს, კალპრენედს და სხვებს სრულიად არ აფიქრებთ, რომ მათი გმირები ოდნავადაც არ ჰგვანან იმ ისტორიულ პირებს, რომელთა სახელებსაც ატარებენ. უდიდესი კანონმდებელი და ბრძენი სოლონი რომანისტის გაბედული კალმის მეოხებით გვევლინება მხოლოდდამხოლოდ რომანიულ-სატრფიალო ამბავის გმირად. ასეთსავე გამიჯნურებულ პირებს წარმოადგენენ იულიოს კეისარი, ალკიბიადე და სხვ. სკიუდერის, მარმონტელის, ფლორიანის, უოლპოლის და კალპრენედის ნაწარმოებები იყო romans d'aventures, რომელშიც მთავარი ადგილი დათმობილი ჰქონდა ზღაპრულ ამბებს, გმირთა ფანტასტიკურ თავგადასავლებს, ხოლო ისტორიული ელემენტი დაყვანილი იყო უბრალო სახელებამდე, რომლითაც სარგებლობდნენ იმისათვის, რომ მკითხველთა შორის გამოეწვიათ მეტი ინტერესი. ამ ხასიათის ნაწარმოებებში ბევრი იყო უხეში ანაქრონიზმი.

სკიუდერს, კალპრენედს და სხვებს არ გააჩნდათ ისტორიის ღრმა, სერიოზული ათვისების გრძნობა. მათ ნაწარმოებებში მხოლოდ მოჩვენებითი ისტორიზმია. ისტორიული სახელები, რომელთაც ისინი თავიანთ გმირებს არქმევდნენ, მათ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ მოქმედება დაეშორებინათ რეალური ცხოვრებისათვის და წარმოედგინათ ისეთ პირობებში, სადაც ჭარბ ფანტაზიას სრული თავისუფლება მიეცემოდა, სადაც მათ შეეძლებოდათ გაეკვანძათ და გაეშალათ ინტრიგები, როგორც მოისურვებდნენ. ეს მწერლები ცუდ სამსახურს უწევდნენ ისტორიას წარსულის გმირების ფსევდოისტორიული გამოხატვით.

რუსულ ლიტერატურაში ისტორიული ბელეტრისტიკის დამწყებად ჩვეულებრივ კარამზინს სთვლიან მისი ორი მოთხრობით: „ნატალია—ბოიარის ასული“ და „მართა—პოსადნიცა“. კარამზინმა შექმნა განსაზღვრული

---

[1]) Mémoires inédits de madame la comtesse de Genlis, Paris, Ladvocat, 1825, t. VIII, p. 181.

ტრადიციები, რომლებიც რუსულ ლიტერატურაში საფუძვლად დაედვა ისტორიულ-მხატვრულ ნაწარმოებებს კარგა ხნის მანძილზე. კარამზინთან ერთად ისტორიული მასალის გამოყენებას ცდილობდა თავის ნაწარმოებებში ნარეჟნი („ბურსაკი", „სლავენური საღამოები" და სხვ.). მაგრამ როგორც კარამზინისა, ისე ნარეჟნის ნაწარმოებნი გვიჩვენებენ მხოლოდ იმას, თუ რამდენად უცხო იყო ისტორიული სინამდვილის გაგება იმ დროის ადამიანებისათვის. კარამზინიც და ნარეჟნიც ფრანგულ კლასიციზმზე აღიზარდნენ. ფრანგული კლასიციზმის მიმდევარი რუსი მწერლები ხშირად მიმართავდნენ ისტორიულ წარსულს: „გმირებად მათ გამოჰყავდათ ხან გოსტომისლი და ვადიმი, ხან რიურიკი, იაროპოლკი, დიმიტრი დონელი ან ცრუდიმიტრი, — მაგრამ ძველი რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ არც ერთ პოემაში, არც ერთ ტრაგედიაში არა თუ არ იყო ისტორიული სიმართლის რაიმე ნასახი, არ იყო ისტორიული კოლორიტიც. თქვენ ხედავთ სხვადასხვა ვნების, სიკეთისა და ბიწიერების მთელ რიგ განყენებულ, გაზვიადებულ გამოხატულებებს, ხან თავისი ვაუკაცობით არაჩვეულებრივ გმირებს, ხან ისეთ საშინელ ბოროტ ადამიანებს, რომ მათი ერთი დანახვისაგან სისხლი გეყინებათ... ცხადია, ისტორიული რომანის განვითარებისათვის ეს სკოლა მეტად უხეირო იყო. ბევრად არ დახმარებია არც ის სანტიმენტალიზმი, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში კარამზინმა შემოიტანა. მართალია, სანტიმენტალიზმის გაჩენის შემდეგ მაღალფარდოვანი სისხლიანი ტრაგედია შესცვალა ცრემლიანმა დრამამ, ხოლო გამოგონილი გმირი ვულკანიური ვნებებით — უბრალო ჩვეულებრივმა მომაკვდავმა, მაგრამ ეს უბრალო მომაკვდავი მეტისმეტად მგრძნობიარე და მტირალა აღმოჩნდა, და თუ თანამედროვე ცხოვრებიდან აღებულ მოთხრობაში, როგორიც არის, მაგალითად, „უბედური ლიზა", გაოცებს მგრძნობელობისა და ცრემლის სიჭარბე, როგორც მეტისმეტად უხამსი და არაბუნებრივი რამ, სამაგიეროდ ისტორიულ გარემოში სანტიმენტალიზმის ეს აუცილებელი ატრიბუტები მთელ რიგ კურიოზებს შეიცავს"...[1]) რუსულ ლიტერატურაში ფრანგული კლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის მიმდევარ მწერლების მიერ ისტორიული სინამდვილის ასახვის ასეთ შეუსაბამობის ნიმუშად სკაბიჩევსკი ასახელებს კარამზინის — „ნატალია ბოიარის ასულს". ეს ნაწარმოები დაშორებულია ისტორიულ ჩარჩოს. მასში არ მოჩანს ისტორიული სინამდვილის შეგრძნობა, ფერები და კოლორიტი. „ნატალია ბოიარის ასულში" შესამჩნევია რეალურ-ისტორიული ფონის სიღარიბე, ცოცხალი ისტორიული ხასიათების უქონლობა, გმირების აბსტრაქტული საბით გამოხატვა, როგორც „იდეების რუპორებისა", ისტორიული წარსულის ჩვენება სანტიმენტალურ იდილიად.

ნამდვილი ისტორიული რომანი არ არსებობდა XIX საუკუნემდე არა მარტო ფრანგულ და რუსულ ლიტერატურაში, არამედ, შეიძლება ითქვას, საერთოდ არც ერთი ხალხის ლიტერატურაში. კლასიკური ფორმა ისტორიული რომანისა შეადგენს მხოლოდ XIX საუკუნის მონაპოვარს.

მხატვრული შემოქმედების ამ ჟანრის განსაკუთრებული განვითარება XIX საუკუნეში გამოიწვია არა მარტო იმან, რომ იგი საინტერესო იყო თავისი სიახლით, ან მიმზიდველი საკითხავად, არამედ უმთავრესად იმან, რომ მას

[1]) А. Скабичевский—Сочинения, т. II, изд. Павленкова, СПБ. 1895 г. стр. 561—562

ჰქონდა ღრმა საფუძველი. XIX საუკუნე ჰქმნის ისტორიული შემეცნების ახალ სულს. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და შემეცნებაში ისტორიზმის იდეა განსაკუთრებით ძლიერდება და მტკიცდება, რაც გამოწვეული იყო საერთო პოლიტიკური მოვლენებით. ამ მოვლენებმა ხელი შეუწყო სხვაგვარი, ახალი, წინა ეპოქებთან შედარებით უფრო ღრმა ისტორიული აზროვნების განმტკიცებას, ისტორიული პროცესების კანონების გაგების მისწრაფებას. ისტორიას დაუწყეს ცქერა არა როგორც ცოდნის ერთ-ერთ სპეციალურ სფეროს, არამედ როგორც „მეცნიერებათა მეცნიერებას", რომელსაც მხოლოდ ერთადერთს შეეძლო საზოგადოებრივი განვითარების ლოგიკისა და კანონზომიერების ახსნა.

1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და მისი შედეგების ვითარებამ, ნაპოლეონის ომებმა ხელი შეუწყო ხალხთა მასებში ნაციონალური აზროვნების ფართოდ გავრცელებას, ინტერესის გამოღვიძებას ისტორიისადმი, მის საფუძვლიანად შეგრძნობას. რევოლუციამ აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში მოაქცია მრავალი ათასეული ადამიანი. ამ ადამიანების თვალწინ ხდებოდა უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივი ცვლილებანი.[1]) ისტორია იქცა ადამიანის პირადი გამოცდილების რეალურ, ხელშესახებ ელემენტად. ეს იყო დრო, როდესაც „მოქალაქის ყოველი მდგომარეობა და ურთიერთობა, — ფრანგი ისტორიკოსის ბ ა რ ა ნ ტ ი ს გამოთქმით, — დამოკიდებული იყო და ეხლაც დამოკიდებულია მისი სამშობლოს, ან თვით მთელი ქვეყნიერების საერთო მოვლენებზე".[2]) ადამიანი იგნებს, რომ ისტორიული კატაკლიზმი, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, თუნდაც არ შეეხებოდეს მის პირად კერას, ბოლოსდაბოლოს, მაინც საგრძნობ გავლენას ახდენს მის ყოფაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, ფსიქოლოგიასა და შეგნებაზე; ადამიანი რწმუნდება, რომ ისტორია ეხმარება მას თანადროულობის საკითხების გარკვევაში.

საკუთარი ქვეყნის ისტორიის შეგრძნობის იდეის განმტკიცებამ და გაგებამ გაიღვიძა არა მარტო საფრანგეთში, არამედ ევროპის მრავალ ხალხში (რუსები, ესპანელები, ბერძნები, იტალიელები და სხვ.). ნაპოლეონის ომებმა ყველგან გამოიწვიეს ნაციონალური გრძნობების ზრდა, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლები ნაპოლეონის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. ხალხთა ეს ბრძოლა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის დაკავშირებული იყო ნაციონალური ისტორიის აღდგენის, დიდი წარსულის მოგონებების აუცილებლობასთან.[3])

წარსულისადმი ასეთი ინტერესის გამოღვიძებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე მეცნიერული ისტორიოგრაფიის განვითარებამ. თუ ისტორიული რომანი თავისთავად ისტორია არ არის, მისი ბედი მაინც მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიულ მეცნიერებასთან და ამ უკანასკნელის განვითარებაზეა დამოკიდებული პირველის ღირსება და სუსტი მხარეც.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ისტორია ხდება ფართო მნიშვნელობის მეცნიერებად; ყალიბდება კვლევა-ძიების მეცნიერული მეთოდები; მტკიც-

---

[1]) Г. Лукач—„Исторический роман", журн. „Литературный критик", 1937 г. № 7, стр. 50—53.

[2]) Histoire des ducs de Bourgogne, tome premier. Paris. 1824; préface, p. IV.

[3]) Г. Лукач—„Исторический роман", журн. „Литературный критик", 1937 г. № 7, стр. 50—53.

დება წყაროების კრიტიკული შესწავლის პრინციპები; აუცილებელი ხდება ისტორიული მოვლენების ღრმა და სისტემატური გაგება და გაანალიზება; ისტორიული მასალების, ძეგლებისა და ქრონიკების გამოქვეყნება, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის განვითარება ქმნის ერთგვარ წინაპირობას ისტორიული რომანის განვითარებისათვის. როგორც ბ ე ლ ი ნ ს კ ი ამბობს, ისტორიამ ახალი მიმართულება მისცა ხელოვნებას.[1]) ისტორია შეიქმნა არა მარტო მეცნიერთა განსაზღვრული წრის სამფლობელოდ, არამედ მას დაუახლოვდნენ და დაუკავშირდნენ აგრეთვე ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებიც. ისტორიზმი შეიჭრა ყველგან — მუსიკაში, მხატვრობაში, ლიტერატურაში.

როგორც ვხედავთ, ისტორიული რომანის კლასიკური ფორმა დაიბადა ორგანიულად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი პროცესების შედეგად, ისტორიულ მოვლენათა შეგრძნობის ტენდენციის გაფართოებისა და გაღრმავების შედეგად. ახალი სული ისტორიული შემეცნებისა საფუძვლად დაედვა ისტორიული რომანის მაღალი, სრულყოფილი ფორმის განმტკიცებას.

*
* *

XIX საუკუნის ისტორიული მხატვრული პროზის განვითარებაში ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ მ ა შეასრულა უდიდესი როლი. მან გაკაფა ახალი გზები ისტორიული აზროვნებისა და ისტორიის მხატვრული გაგების საქმეში. ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ მ ა შექმნა ორიგინალური სახე ისტორიული რომანისა, რომელიც პრინციპიალურად განესხვავებოდა ამ ჟანრის ყველა მანამდე არსებულ ფორმას.

პირველად ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ი ს მეოხებით მიიქცია ისტორიული რომანის ჟანრმა სერიოზული ყურადღება და საპატიო ადგილი დაიჭირა ლიტერატურაში. სხვა მაღალი ჟანრების გვერდით, ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ი არის ისტორიული რომანის კლასიკური ფორმის შემქმნელი.

ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ი იყო ერთ-ერთი სახელოვანი ბეთაურთაგანი იმ ძლიერი მოძრაობისა, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისში გარდაქმნა ევროპული ლიტერატურა. იგი სათავეში უდგას არა მარტო კლასიკურ ისტორიულ რომანს, არამედ საერთოდ რეალისტურ პროზას. მისი მიმდევრები იყვნენ XIX საუკუნის მრავალი მწერალი. ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ი ს გავლენას განიცდიდა ჰ ი უ გ ო, პ უ შ კ ი ნ ი, ს ტ ე ნ დ ა ლ ი, ბ ა ლ ზ ა კ ი და სხვა დიდი მწერლები.

ბ ა ლ ზ ა კ ი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აღტაცებით იხსენიებდა ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ს და უწოდებდა მას ისტორიული რომანის ჟანრის ჰომეროსს[2]), ხოლო თავისი „ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაობაში პირდაპირ აღნიშნავს, რომ იგი თავის ნაწარმოებში მიჰყვება ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ი ს ისტორიული რომანების გზას. „ვალტერ სკოტმა—წერს ბ ა ლ ზ ა კ ი,—

---

[1]) В. Белинский — Собр. сочин. под редакц. В. Спиридонова, ГИЗ, 1926 г., т. XII, стр. 453.

[2]) Oeuvres complètes, Calmann—Lévy, 1872, t. XXIII, p. 742.

ფილოსოფიურ მნიშვნელობამდე აიყვანა ისტორიული რომანი, ჟანრი, რომელიც საუკუნიდან საუკუნემდე წნავს უკვდავ ალმასებს პოეტურ გვირგვინში ქვეყნისა, სადაც განვითარებულია ლიტერატურა. მას შეაქვს ისტორიულ რომანში სული დროისა, იგი აერთიანებს მასში ერთდაიმად [illegible] დიალოგს, პორტრეტს, პეიზაჟს, აღწერას; მას შეაქვს მასში [illegible] და რეალური ელემენტები ეპოპეისა და პოეზიას უფარდებს სადა, ხალხურ და დაბალი ფენების სიტყვებს". [1])

პუშკინი კარგად საზღვრავს, სახელდობრ თუ რაში მდგომარეობს ის სიახლე, თვით შექსპირთან და გოეთესთან შედარებით, რაც გამოავლინა ვალტერ სკოტმა რეალიზმის განვითარების მიმართულებით: „ვ. სკოტის ზეგავლენა საგრძნობია მისი თანამედროვე სიტყვიერების ყველა დარგში. ფრანგ ისტორიკოსთა ახალი სკოლა წარმოიშვა შოტლანდიელი რომანისტის გავლენით. მან უჩვენა მათ სრულიად ახალი წყაროები, რომელთაც ვერ ხედავდნენ მანამდე, მიუხედავად შექსპირისა და გოეთეს მიერ შექმნილი დრამის არსებობისა". [2]) პუშკინი აღნიშნავს, რომ ვალტერ სკოტის რომანებში მას იტაცებს თავისუფალი დამოკიდებულება ისტორიისადმი, უნარი მოვლენების დანახვისა არა მარტო მათი საზეიმო-საპატიო მხრივ, არამედ სრული უშუალობით, ბუნებრივობით და ყოველდღიური ყოფით. [3])

ვალტერ სკოტის ასეთი შეფასება საყოველთაოდ მიღებულია და გავრცელებული. მსგავსი შეხედულებანი აქვთ გამოთქმული ვალტერ სკოტის შესახებ ბაირონს, გოეთეს, ჰიუგოს, სტენდალს, სენ-ბევს, ბელინსკის და სხვ.

ვალტერ სკოტის სახელი და მასთან ერთად მის მიერ შექმნილი ისტორიული რომანის მნიშვნელობა გასცილდა მისი სამშობლოს — ინგლისის ფარგლებს. უკვე XIX საუკუნის ოციანი წლებიდან იგი მწერალია მთელი მსოფლიოსი. რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და სხვა ხალხთა ლიტერატურაში ვალტერ სკოტის სახელი მეტად პოპულარული ხდება და მისი გავლენა ძალზე საგრძნობი.

XIX საუკუნის ოციან წლებში ვალტერ სკოტის მეოხებით ფრანგულ ლიტერატურაში ისტორიული რომანი გადაიქცა გაბატონებულ ჟანრად. [4]) თითქმის ყველა მწერალმა სცადა თავისი ძალა ისტორიული რომანის ჟანრში, მაგრამ იმათგან მხატვრულმა ლიტერატურამ შეინარჩუნა მხოლოდ ჰიუგოს, ალფრედ დე ვინის, ბალზაკის, სტენდალის და მერიმეს ისტორიული რომანი.

XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში რუსულ ლიტერატურაშიც მრავლად ქვეყნდებოდა ისტორიული რომანი. სამი ათეული წლის მანძილზე იგი ხდება თითქმის წამყვანი ლიტერატურული ჟანრი. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1843 წელს ბელინსკი აღნიშნავდა: „ვინ არა წერს ახლა ჩვენში რომანებს,

---

[1]) „La comédie humaine", texte établi et préface par Marcel Bouteron, 1935, p. 6.

[2]) А. Пушкин—Полн. собр. сочин. изд. Акад. наук СССР, Ленинград, 1928 г. т. IX, стр. 68.

[3]) იქვე, გვ. 22.

[4]) L. Petit de Julleville—„Histoire de la langue et de la littérature française", t. VII, 1899, p. 722—724; L. Maigron—„Le roman historique à l'époque romantique". Paris. Champion. 1912.

განსაკუთრებით ისტორიულ რომანებს? წერს მათ ყველა იმიტომ, რომ მას სთვლიან მეტად იოლ საქმედ. არა წერენ მათ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც საერთოდ არაფერს არ წერენ". [1])

რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში ისტორიული რომანი XIX საუკუნეს შევიდა ზაგოსკინის („იური მილოსლავსკი", „როსლავლევი"), ბულგარინის („ცრუდიმიტრი") და ლაჟეჩნიკოვის („უკანასკნელი ნოვიკი, ანუ ლიფლანდიის დაპყრობა პეტრე I დროს", „ყინულის სახლი") სახელით. მაგრამ ვალტერ სკოტის მნიშვნელობა რუსულ ლიტერატურაში არ იქნებოდა შესამჩნევი, რომ ზაგოსკინის, ბულგარინის და ლაჟეჩნიკოვის რომანების გარდა, ისტორიულ რომანს არ მოეცა ა. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი", „დუბროვსკი", „პეტრე დიდის ზანგი", და არ გამხდარიყო აქაც, როგორც ყველა სხვა ქვეყნის ლიტერატურაში, რეალისტური პროზის სათავედ. ვალტერ სკოტის შემოქმედება ბიძგი იყო ა. პუშკინისათვის, რათა მას რუსულ ლიტერატურაში, ისტორიული ჟანრის მხატვრულ პროზაში გაეკაფა და განესაზღვრა ახალი გზა და თვით გამხდარიყო მისი ბრწყინვალე წარმომადგენელი. [2])

ვალტერ სკოტის და მისი რომანების პოპულარობა საქართველომდეც აღწევს. მართალია, ვალტერ სკოტს ქართულ ლიტერატურაში უშუალო მხატვრული გამოძახილი არ უპოვნია, მაგრამ მისი ისტორიული რომანები უცნობი არ იყო ზოგიერთი ქართველი მწერლისათვისაც. 1834 წელს გრიგოლ ორბელიანი პირად წერილში ურჩევს ილია ორბელიანს წაიკითხოს ვალტერ სკოტის ისტორიული რომანები: «...после сих книг позволяется читать романы, но только со времен Вальтера Скотта, т. е. историческое, а до него все вздор и редкий из них достоин чтения. Занимайся рисованьем, а более историею, которая необходима для военного человека». [3]) თუმცა ამ წერილში გრ. ორბელიანი ყველაფერს მართებულად ვერ სჯის იმ მხრივ, რომ ხელალებით უარყოფს ძველი რომანების მნიშვნელობას, მაგრამ მას კარგად ესმის ვალტერ სკოტის ისტორიულ-მხატვრული პროზის ღირსება.

ვალტერ სკოტმა და მისმა რომანებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აგრეთვე ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. წმინდა მხატვრული ამოცანების შესრულებით ვალტერ სკოტმა იმავე დროს გადაწყვიტა ისტორიულ-მეცნიერული ხასიათის ზოგიერთი ამოცანაც. ცნობილი ისტორიკოსი ვილმენი ვალტერ სკოტს უწოდებდა „ისტორიკოსების საერთო მასწავლებელს". XIX საუკუნის პირველი ნახევრის რესტავრაციის პერიოდის ისტორიკოსების სკოლას (ბარანტი, ტიერი, მიშლე, გიზო) საფრანგეთში ისტორიული სქემების გამომუშავებაში დიდად დაეხმარა ვალტერ სკოტის რომანები. მან ამ სკოლის წარმომადგენლები გამსჭვალა იმ აზრით, რომ ისტორია მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს წარსულის ნამდვილ, მართებულ სურათად, როდესაც მკვლევარი ადამიანებსა და მოვლენებს

[1]) В. Белинский—Собр. сочин. под. редакц. Венгерова, том VIII, стр. 232.

[2]) И. Замотин—„Романтизм двадцатых годов XIX стол. в русской литературе", т. II, 1913 г.; П. Сакулин—„Русская литература", ч. II, 1929 г.; Д. Якубович—„Капитанская дочка" и романы Вальтер Скотта", сб. „Пушкин—временник", 1939 г., № 4—5,

[3]) გრ. ორბელიანი — „წერილები", ა. გაწერელიას რედაქციით, ტომი I, სახელგამი, 1936 წ. გვ. 12.

თვით ალაპარაკებს თავისთავზე, არ ჩრდილავს მათ საკუთარი შეხედულებებით, არ აწერს ძველ საზოგადოებას ისეთ აზრებს, გრძნობებსა და მისწრაფებებს, რაც ეკუთვნის საკუთრივ მას (მკვლევარს) ან მის თანამედროვეთ.

ბარანტი პირდაპირ აღიარებს, რომ იგი თავის კვლევა-ძიებაში [illegible] ბაძავ ვალტერ სკოტის მაგალითს, რომელსაც სთვლის ყოველი ისტორიკოსის იდეალად. მისი აზრით, ისტორია და პოეზია მტკიცე ურთიერთ კავშირში იმყოფებიან, ვინაიდან ერთიცა და მეორეც „წარმოდგენებს მიმართავს". [1])

ოგუსტენ ტიერი თავის ისტორიულ გამოკვლევაში „ინგლისის დაპყრობა ნორმანების მიერ" ამბობს, რომ მისი ნაშრომის ძირითადი პრინციპი ეკუთვნის ვალტერ სკოტს და ეს პრინციპი მან გამოსთქვა თავის შესანიშნავ რომანში „აივენგო". ტიერი აღნიშნავს, რომ გენიოსმა ვალტერ სკოტმა ახლებურად გააშუქა ნორმანებისა და საქსების ურთიერთობა ჰასტინგის ბრძოლის შემდეგ, რაც მან გამოიყენა საკუთარ ისტორიულ გამოკვლევაში. [2]) თავის მეორე ნაშრომის („ათი წელი ისტორიულ კვლევა-ძიებისა") წინასიტყვაობაში ტიერი დაწვრილებით აგვიწერს ვალტერ სკოტის რომანების გავლენას ისტორიული მოვლენების გაგებისა და გააზრების საქმეში: „ღრმა მოწიწებით და პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული ამ მწერლისადმი (ე. ი. ვალტერ სკოტისადმი— შ. რ.). პატივისცემა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ვადარებდი მის დიად გაგებას წარსულისას ცნობილი ახალი ისტორიკოსების წვრილმან და უფერულ ერუდიციას. მის შესანიშნავ ქმნილებას „აივენგოს" უდიდესი ენთუზიაზმით შევხვდი. ამ რომანში ვალტერ სკოტმა არწივისებურად მიმოავლო თვალი ეპოქას, რომლის შესწავლაზეც სამი წლის განმავლობაში მიპყრობილი იყო ჩემი გონება... მან მხატვრულად აღბეჭდა სცენა იმ დრამისა, რომლის გამოხატვაზედაც მე ისტორიკოსის მოუთმენლობით ვშრომობდი. საერთო ხასიათი ისტორიული ეპოქისა, სადაც გადაიტანა მან თავისი აღმოჩენის კვანძი და თავისი მოქმედი პირები, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, ეპოქის ზნეჩვეულებანი, მოსახლეობის სხვადასხვა კლასის მაშინდელი ურთიერთობა,— ერთი სიტყვით,— მთელი სინამდვილე, რაც საფუძვლად დაედო „აივენგოს", სავსებით შეესაბამებოდა იმ გეგმებს, რომლებიც მაშინ ჩემს გონებაში ისახებოდა... ვაღიარებ, რომ ჩემი იჭვიანობის პირობებში, რაც მუდამ თანა სდევს ყოველ კეთილსინდისიერად შესრულებულ შრომას, ჩემი სიმტკიცე და რწმენა გაორკეცდა, როცა ჩემმა შეხედულებებმა მიიღეს, თუმცა არა პირდაპირი დადასტურება იმ ადამიანისა, რომელიც მე მიმაჩნია უდიდეს გენიოსად ისტორიული მოვლენების განჭვრეტის სფეროში". [3]) ეს სიტყვები ნათლად მიგვითითებენ ვალტერ სკოტის ისტორიული რომანების უდიდეს შემეცნებითს მნიშვნელობაზე საშუალო საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში. მაგრამ ვალტერ სკოტის დამსახურება მარტო ამით არ განისაზღვრება.

ვალტერ სკოტმა ისტორიული რომანი შეიყვანა ახალ კალაპოტში. ბალზაკი ერთ-ერთ თავის კრიტიკულ სტატიაში ჩამოსთვლის იმ ახალ მხატ-

---

[1]) Histoire des ducs de Bourgogne, tome premier. Paris, 1824; préface. p. V.

[2]) Histoire de la conquête de l'Angleterre par les Normands, I, 1839. p. 9—15.

[3]) Dix ans d'études historiques. 1835, préface. p. XIII—XIV.

ვრულ ნიშნებს, რაც ლიტერატურაში განამტკიცა ვალტერ სკოტმა. ბალზაკის აზრით, ეს ახალი მხატვრული ნიშნები შემდეგია: ზნე-ჩვეულებათა და რეალური პირობების ფართოდ გამოხატვა, მოქმედების დრამატულობა და დიალოგის მნიშვნელობის გაძლიერება.[1] ბალზაკი აღნიშნავს ვალტერ სკოტის მიერ შემოტანილი სიახლის მხოლოდ ერთ ნაწილს, ნამდვილად კი მან გაცილებით უფრო მეტი და მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა ლიტერატურისათვის.

ვალტერ სკოტმა ისტორიული თემა გაანთავისუფლა ფანტასტიკისაგან, ე. წ. „შავი რომანის" (მატიუ ლუისი — „ამბროზიო ანუ ბერი", ანა რადკლიფი — „უდოლფის მისტერიები", „ესლეინისა და დენბენის ციხე-კოშკი", „ტყე" და სხვ.) ელემენტებისაგან. ვალტერ სკოტს უკვე აღარ მოეპოება პირობითი ისტორიზმი, რაც ასე ახასიათებდა XVII — XVIII საუკუნის მწერალთა ნაწარმოებებს. ვალტერ სკოტმა მისცა ისტორიას სასიცოცხლო-რეალური ხასიათი. მისი რომანების საფუძველს სერიოზული სოციალ-პოლიტიკური კოლიზიები წარმოადგენს. ყოველ ნაწარმოებში იგი აღძრავს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემებს. ომებს, სახელმწიფოებრივ ხელშეკრულებებს, დინასტიების დაცემასა და რესტავრაციას მისთვის ისტორიული აზრი ეძლევა იმ გავლენის კვალობაზე, რაც მათ მოახდინეს ცხოვრების საერთო მიმდინარეობაზე, ეპოქის ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებზე.

ვალტერ სკოტის აზრით, ისტორიას უნდა დაეხმაროს არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ფოლკლორი. დოკუმენტებით, გადმოცემებით, ლეგენდებით, ზნე-ჩვეულების შესწავლით იგი ცდილობს აღადგინოს საკუთარი ქვეყნის წარსული, ხალხის ისტორია, „ადგილობრივი კოლორიტი". ამასთან ერთად წარსულის მატერიალური კულტურის — შენობების, ციხე-კოშკების, ნივთების, იარაღისა და სხვ. შესწავლას ვალტერ სკოტისათვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. ეს საშუალებას აძლევდა მას, ასე ვთქვათ, შეზრდოდა მხარის ყოფა-ცხოვრებას, აღედგინა საერთო გარემო და ასწერ ეპოქათა ცხოვრების შინაარსი.

ვალტერ სკოტის რომანების მეოხებით ევროპის ლიტერატურაში პირველად შევიდა ყოფა-ცხოვრება. მისი გაგებით ისტორიის მამოძრავებელ ძალად ხალხი გამოდის. ისტორიის განვითარება დამოკიდებულია ხალხის რეალურ მებრძოლ ძალაზე. მართალია, არა ერთნაირი თანმიმდევრობით იცავს ვალტერ სკოტი ამ დებულებას ყოველთვის, მაგრამ მის თვალსაზრისს მაინც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რათა საზოგადოებრივი განვითარების კანონები პროგრესიულად ყოფილიყო გაგებული.

არა ერთხელ აღუნიშნავთ მკვლევარებს, რომ ვალტერ სკოტს, ისტორიული რომანის ბევრი ფრანგი ავტორისაგან განსხვავებით, არასოდეს არ გამოჰყავს თავისი რომანების უმთავრეს გმირად დიდი ისტორიული პიროვნებანი. მის რომანებში მთავარი მომქმედი პირი ყოველთვის გამოგონილია, არაისტორიულია. ისტორიული პერსონაჟი და ამბები შედიან რომანში თითქოს გვერდიდან, თითქოს შემთხვევით. ისინი გამოჩნდებიან ხოლმე სცენაზე ზოგჯერ რომანის შუა ნაწილიდან, თუმცა მათი ჩრდილი მეფობს მთელი მოქმედების მანძილზე. გამოგონილი პერსონაჟები მჭიდროდ არიან დაკავში-

[1]) Oeuvres complètes, Calmann—Lévy; Paris, 1870, t. XXIII, p. 684—698.

რებულნი ისტორიულ პერსონაჟებთან და ყოველგვარი ინტრიგა, სწორედ ამის გამო, ემორჩილება ისტორიული ამბების მიმდინარეობას.

ხასიათების დახატვა იყო ისტორიული რომანის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემათაგანი, მისი გადაჭრა ერთ-ერთი უდიდესი [illegible] ახასიათებაა ვალტერ სკოტისა. როგორც ვიცით, ლიტერატურული [illegible] მოები წარმოადგენს თვით სინამდვილეს. მაგრამ იგი ხდება მხატვრულ ლიტერატურის მოვლენად მაშინ, როდესაც იძენს განსაზღვრულ ფორმას, როდესაც მკითხველის წინაშე წარსდგება როგორც კონკრეტული მოქმედება ცოცხალი ადამიანებისა, ესე იგი მაშინ, როცა მას მწერალი ანხორციელებს ხასიათებისა და ვითარების სისტემით. ცხოვრებიდან აღებული მასალა მკითხველისათვის მხატვრული ხდება მხოლოდ კონკრეტული ხასიათებისა და მხატვრული სახეების მეშვეობით.

ვალტერ სკოტის რომანების მომქმედ პირთა შორის ისტორიული გმირები უფრო გულმოდგინედ და ღრმად არიან დამუშავებულნი. ეს მოხდა უთუოდ ვალტერ სკოტის ხელთ არსებული მასალების მეოხებით. მემუარებისა, დოკუმენტებისა და ისტორიულ მოღვაწეთა ქცევის საფუძველზე ვალტერ სკოტი იგნებს თავის გმირების მამოძრავებელ მოტივებს, სწვდება მათ ფსიქიკას, ახერხებს აღადგინოს მათი მკვეთრად ჩამონაკვთული სახეები. ვალტერ სკოტმა შექმნა მრავალრიცხოვანი ტიპები, ხასიათები. მან შესძლო წარსული ცხოვრების სისრულით ათვისება. ამ მხრივ იგი გვერდში უდგას შექსპირსა და ბალზაკს.

თავისი რომანებისათვის ვალტერ სკოტი მასალას იღებს უფრო მეტად ინგლისისა და შოტლანდიის ისტორიის იმ პერიოდებიდან, რომელთა დამახასიათებელიც იყო პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივ ნიადაგზე აღმოცენებული კრიზისები („მონასტერი", „აბატი", „აივენგო", „კვენტინ დორვარდი"), რევოლუციური ბრძოლები („ლეგენდა მონტროზის შესახებ", „ვუდსტოკი"), სამოქალაქო ომები („უეკერლი", „მშვენიერი ასული პერტიდან", „რობროი"). ასე რომ თემატიკური თვალსაზრისითაც ვალტერ სკოტის რომანებს ახასიათებს აქტუალობა.

სწორედ ყველა ამ საუცხოო თვისების მეოხებით ვალტერ სკოტის ისტორიული რომანები შეადგენენ ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში.

*
* *

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველა ის ისტორიული რომანი, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში მრავლად გამოქვეყნდა სხვადასხვა ხალხის ლიტერატურაში, თითქოს ყველა შენდებოდა ვალტერ სკოტის მხატვრულ-შემოქმედებითი პრინციპების მიხედვით. დიდად გავრცელებული იყო აგრეთვე რომანტიკოსების კონცეფცია. იგი ეწინააღმდეგებოდა ვალტერ სკოტის შეხედულებებსა და მეთოდს.

ლიტერატურის მკვლევარებს არაერთხელ აღუნიშნავთ რომანტიზმის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანი — წარსულისადმი, ისტორიული სიუჟეტისადმი განსაკუთრებული სიყვარული. ფრანგული ლიტერატურის მკვლევარი მეგრონი ისტორიული რომანის წარმო-

შობა-განვითარებას პირდაპირ რომანტიზმს უკავშირებს. მისი განცხადებით, ფრანგულ ლიტერატურაში „ისტორიული რომანის ბედი უშუალოდ დაკავშირებულია თვით რომანტიზმის ბედთან“.[1]) მისწრაფება ისტორიული რომანისადმი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ისტორიზმისადმი საერთოდ, განისაზღვრებოდა რომანტიკული მსოფლმხედველობისა და რომანტიკული მსოფლათვისების თავისებურებით. რომანტიზმი — მისი რომელი ვარიანტიც გინდათ აიღოთ — არისტოკრატიული, ლიბერალური თუ დემოკრატიული, — განასახიერებდა რეაქციას განათლების ეპოქისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგების წინააღმდეგ. გონების მეფობას, რასაც ხალხს ფრანგი „განმანათლებლები“ ჰპირდებოდნენ, სინამდვილეში მხოლოდ ფულის ძალის გაბატონება მოჰყვა, ხოლო XVIII საუკუნის დასასრულის ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგებს — კაპიტალიზმის გამარჯვება. გულგატეხილობის ატმოსფეროში აღორძინდა პატრიარქალური წარსულის, უმთავრესად საშუალო საუკუნეების პოეტიზირება, რელიგიური მისტიკა და ცხოვრებისაგან განდგომის იდეა. ამიტომ იყო, რომ ისტორიული რომანის ჟანრს განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდნენ რომანტიკოსები.

რომანტიკული ისტორიული რომანის ფორმა ყველაზე უფრო მეტად საფრანგეთში განვითარდა. აქვე ჰპოვა სრული დასაბუთება რომანტიკოსების მხატვრულ-ისტორიულმა კონცეფციამ (შატობრიანი, ალფრედ დე ვინი და სხვ.). რათა ამ კონცეფციის ხასიათი გავითვალისწინოთ, ჩვენ შევეხებით ამ მხრით ყველაზე დამახასიათებელ „მანიფესტს“ — ალფრედ დე ვინის მიერ 1827 წელს დაწერილ სტატიას „ჭეშმარიტება ხელოვნებაში“, რომელიც წინასიტყვაობის სახით წამძღვარებული აქვს მის ისტორიულ რომანს „სენ-მარი“.[2]) ეს რომანი შეეხება მეფე ლუი XIII-ის დროის საფრანგეთს და ასახავს მაშინდელ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ კონფლიქტებსა და შეხლა-შემოხლას.

ალფრედ დე ვინი თავის „მანიფესტში“ ასაბუთებს რომანტიკოსების პოეტიკის პრინციპს — პოეტის ჭეშმარიტების პრიმატს ცხოვრებისა და ისტორიის ჭეშმარიტებასთან შედარებით. იგი აცხადებს, რომ მუზას გააჩნია თავისი ჭეშმარიტება, უფრო მშვენიერი, ვიდრე ისტორიის ჭეშმარიტებაა, და რა საჭიროა ხელოვნება, თუ ის იქნება მხოლოდ სინამდვილის ხელმეორედ განმეორება და შემოწმება? ალფრედ დე ვინი ლაპარაკობს „თავისუფლებაზე“, რომლითაც პოეტის წარმოდგენამ თავის გამაფორმებელ ჩარჩოებში უნდა მოაქციოს საუკუნის ყველა ფიგურა და მათ ქცევას მისცეს მეტი ურთიერთ-კავშირი, ნამდვილ ფაქტებთან შედარებით უპირატესობა მიანიჭოს იმ იდეას, რომლის წარმომადგენლადაც შთამომავლობის თვალში უნდა წარსდგეს თითოეული მათგანი.

ალფრედ დე ვინის აზრით, ისტორიის მოწოდება იმაში მდგომარეობს, რომ შთამომავლობისათვის შეინახოს კეთილისა და ბოროტის მაგალითები. იგი ისტორიულ ფაქტებზე ასე ამბობს: „მათ არასოდეს არა აქვთ თვალსაჩინო და საგრძნობი კავშირი, რომელსაც შეეძლოს ზნეობრივი დასკვნების მოცემა“.[3]) ალფრედ დე ვინის განცხადებით ისტორიული

---

[1]) „Le roman historique à l'époque romantique“. Paris. Champion. 1912. p. V.

[2]) „Cing-Mars ou une conjuration sous Louis XIII“. Paris; Louis Conard. 1922.

[3]) იქვე, გვ. XI.

ფაქტების სუსტი მხარე ის არის, რომ ეს ფაქტები არ აძლევენ მწერალს საკმაო დასაყრდენს ზნეობრივი ჭეშმარიტების გამოსაყვანად. მწერლის ამოცანაა — აღმოაჩინოს უწესრიგოდ ერთმანეთის შემცველ მოვლენებში არსებული მორალურ-ფილოსოფიური აზრი. მოვლენათა ეს შინაგანი აზრი — წარმოადგენს ნამდვილ ჭეშმარიტებას, წინააღმდეგ ემპირიული ჭეშმარიტებისა. რათა ამ უმაღლეს ჭეშმარიტებას მიაღწიო, საჭიროა დაეუფლო ფაქტების ჭეშმარიტებას და შემდეგ ამ ფაქტებიდან გამოიყვანო მისი ფილოსოფიურ-მხატვრული იდეა, ჩამოაყალიბო აზრი, რომელიც უფრო მეტად გამოხატავს ჭეშმარიტებას, ვიდრე უბრალო ისტორიული ემპირიზმი, მშრალი ფაქტოგრაფია. ამის მიხედვით ალფრედ დე ვინი გამოთქვამს იმ მოსაზრებას, რომ მწერალს უფლება აქვს ისტორიული ფაქტები თავისუფლად გადაამუშაოს. მწერლის თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ „ფაქტების ჭეშმარიტება ადგილს უნდა უთმობდეს იმ იდეების ჭეშმარიტებას, რომელთაც თითოეული მათგანი (ე. ი. ისტორიული პიროვნება — შ. რ.) წარმოადგენს შთამომავლობისათვის“.[1]) ავითარებს რა თავის მოსაზრებებს, ალფრედ დე ვინი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლეგენდას გააჩნია არა ნაკლები სიმართლის ხასიათი, ვიდრე ნამდვილ ფაქტს, ვინაიდან ლეგენდა ყოველთვის ააზრიანებს ფაქტს უმაღლესი თვალსაზრისით, სჭვრეტს მის ნამდვილ მნიშვნელობას. სინამდვილის დეფორმირებით ლეგენდა გადააქცევს მას უფრო მაღალ ჭეშმარიტებად. ამიტომ ჭეშმარიტება, რომელსაც ეძებს მწერალი, არის ჭეშმარიტება ფსიქოლოგიური, მორალური და არა ფაქტის უბრალო ჭეშმარიტება. „იდეა — ყველაფერია. საკუთარი სახელი — მხოლოდ მაგალითი და დასაბუთება იდეისა“.[2]) ეს თეორია ამართლებს მასალის ყოველგვარ დამახინჯებას, მხატვრული და ისტორიული ჭეშმარიტების ერთმანეთისაგან დაშორების შესაძლებლობას.

ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ალფრედ დე ვინი პრინციპიალური მოწინააღმდეგეა ისტორიული რომანის ვალტერ სკოტისებური კომპოზიციისა. „მე აგრეთვე ვფიქრობ, რომ არ უნდა მივბაძო იმ უცხოელთ (ე. ი. ვალტერ სკოტს და სხვ. — შ. რ.), — ამბობს ალფრედ დე ვინი, — რომელნიც თავიანთ სურათებში გვიჩვენებენ მთავარ ისტორიულ ფიგურებს მხოლოდ ჰორიზონტზე. მე დავაყენე ჩვენი ისტორიული გმირები წინა პლანზე, გამოვიყვანე ისინი ტრაგედიის მთავარ მომქმედ პირებად“.[3]) მართლაც, ალფრედ დე ვინის მხატვრული პრაქტიკა რომანში „სენ-მარი“ სრულიად ეთანხმება მის თეორიას. მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურები, სახელმწიფო მოღვაწეები (ლუი XIII, რიშელიე, სენ-მარი და სხვ.) წარმოადგენენ მთავარ გმირებს ალფრედ დე ვინის რომანისას. ეს გმირები ასახულნი არიან ძალზე თავისებურად და ზოგ შემთხვევაში ისტორიულ ფაქტებთან შეუთანხმებლად. თუმცა ალფრედ დე ვინიმ, თანახმად მისივე განცხადებისა, თავის ისტორიულ რომანს დიდი მოსამზადებელი მუშაობა წარუმძღვარა, სამას წიგნზე და ხელნაწერზე მეტი შეისწავლა, მაინც თავისი ნაწარმოები აავსო ანაქრონიზმებით, რასაც იგი ამართლებს იმით, რომ ხელოვნება არა მარტო განმმარტებელია ჭეშმარიტებისა, არამედ მისი მოადგილეცაა.

---

[1]) იქვე, გვ. XII.
[2]) იქვე, გვ. XII.
[3]) იქვე, გვ. VI.

ალფრედ დე ვინის ამ მოსაზრებებში გამოიხატა უფრო სრულად სპეციფიკური რომანტიკული ტენდენცია ისტორიული რომანისა. მაგრამ ალფრედ დე ვინიზე ადრეც, 1809 წელს რომანტიკული ისტორიული რომანი შექმნა შატობრიანმა „მარტვილნის“ სახით. თავისი რომან-ეპოპეის სიუჟეტად შატობრიანმა აიღო ეპოქა ქრისტიანობის ბრძოლისა წარმართობასთან. მოქმედება წარმოებს IV-V საუკუნეებში საბერძნეთსა და რომში. ამ ნაწარმოების ფაბულის მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტიან ევდორეს უყვარს წარმართი ციმოდოცეი, რომელსაც მოაქცევს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, თუმცა მასთან ერთად იღუპება რომში, კოლიზეის ასპარეზზე. შატობრიანის მიზანი ამ ნაწარმოებში ის იყო, რომ ეჩვენებინა რამდენად მძაფრი იყო ბრძოლა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის, დაესაბუთებინა ქრისტიანობის უპირატესობა და სიდიადე წარმართობასთან შედარებით.

„მარტვილნში“ მოცემულია წმინდა პეიზაჟური მხატვრობის პრინციპით ასახული ისტორიული წარსული. პეიზაჟი თვითმიზნად აქვს წარმოდგენილი ავტორს. ცოცხალი ადამიანური ხასიათები შეცვლილია განყენებული ფილოსოფიური სქემებით. წარსულის ისტორიულ კანონზომიერებას შატობრიანი აგებს შემთხვევითობაზე, ხშირად ერთმანეთთან შეუთანხმებელი და დაშორებული მოვლენების მიხედვით.

რეაქციულმა რომანტიკულმა ისტორიზმმა არ მისცა შატობრიანს საშუალება წარსული დაენახა სისრულითა და ტიპიური მხარეებით. ეს თვისება ახასიათებს საერთოდ მსგავს პოზიციებზე მდგარ თითქმის ყველა რომანტიკოს მწერალს.

*
* *

ისტორიული რომანის ამოცანაა — მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს წარსული ცხოვრების, შორეული საუკუნეების რეალური ისტორიული მოვლენები და ადამიანები მათი ტიპიური ნიშნებითა და ხასიათებით. ჭეშმარიტი ისტორიული რომანი არის ნაწარმოები, რომელიც ინდივიდუალურ, კერძო მოვლენას ამაღლებს, განაზოგადებს და ისე გვაძლევს ეპოქის შინაარსს, ეპოქის დამახასიათებელ კოლიზიებს; ნამდვილი ისტორიული რომანისათვის აუცილებელია არა მარტო ისტორიული პირებისა და მოვლენების, არამედ ისტორიული გარემოსა და ფსიქოლოგიის მართებული წარმოსახვა.

ისტორიულ რომანს მართებს აღადგინოს ისეთი ინდივიდუალური მოვლენანი, რომლებშიც უშუალოდ და ამავე დროს ტიპიურად გამოიხატა ეპოქის მნიშვნელოვანი ფაქტები, გვიჩვენოს ისეთ პერსონაჟთა სახეები, რომელთა პიროვნული ბედი მჭიდროდ დაკავშირებულია მათ ისტორიულ ბედთან, რომელთა პირადი განცდანი, არა ჰკარგავენ რა თავიანთ ინდივიდუალურ ხასიათს, ამავე დროს ემთხვევიან ისტორიის დიდ მოვლენებს. გმირების ცხოვრების ურთიერთობას ისტორიულ მოვლენებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებში. დობროლიუბოვის აზრით, ისტორიული რომანი წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების უმაღლეს საფეხურს. იგი წერს: „ისტორიული რომანი ჩნდება იმ დროს, როდე-

საც ხალხის შემეცნება მიმართავს თავისი წარსული ცხოვრების მოგონებას, იმავე მიმართულების ზეგავლენით, რომლითაც ვითარდება თვით ისტორიული გამოკვლევები. ამგვარი რომანის მიზანია — გააცოცხლოს მიმატიანის გადმოცემის მკვდარი ასოები, შთაბეროს ცხოველმყოფელი სული მკვდარ ჩონჩხს შერჩეული ფაქტებისა, გააშუქოს პოეტური გოხიერების სხივით ისტორიულად ბნელი ეპოქა, წარმოგვიდგინოს საზოგადოების კერძო შინაგანი ცხოვრება, რომელზედაც ისტორიამ ჩვენ მოგვითხრო მხოლოდ გარეგნული ამბები და ურთიერთობანი. აქედან უკვე ცხადია, თუ რა ახალ საყურადღებო პირობებს უყენებს ისტორიული რომანი თავის ავტორს“ [1])... შემდეგ დობროლიუბოვი აღნიშნავს, რომ ისტორიული რომანის ავტორმა უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნილება: „შეიტანოს ისტორიაში თავისი შენათხზი, მაგრამ ეს შენათხზი დააფუძნოს ისტორიაზე, გამოიყვანოს იგი თვით მოვლენათა მიმდინარეობიდან, უწყვეტად დაუკავშიროს ისტორიული თხრობის ყველა ძაფს და ყველაფერი ეს წარმოადგინოს ისე, რომ მკითხველი ხედავდეს თავის წინაშე, როგორც ცოცხალ პიროვნებებს, რომლებიც მისთვის ნაცნობია ისტორიაში და მათი აქ გამოხატვა პოეზიის მშვენებაა. მათ კერძოყოფით ცხოვრებასა და შინაგან ფარულ ფიქრებსა და ოცნებაში აღდგება წარსული“. [2]) დობროლიუბოვის მოსაზრებებში სწორედ არის გაგებული ისტორიული რომანის დამახასიათებელი ნიშნები.

რით განსხვავდება ისტორიული რომანი არაისტორიულისაგან? თავი რომ დავანებოთ მასალის სხვადასხვაობას, მაშინ მნიშვნელოვან განმასხვავებელ თვისებად ისტორიული რომანისათვის იქნება ის, რომ მასში ფაქტების, სიტუაციების ნაწილი ნამდვილია და მომქმედი პირების განსაზღვრული რაოდენობა წარმოადგენს ისტორიულ პიროვნებებს, რომელთაც ეწოდებათ საკუთარი, ისტორიაში ცნობილი სახელები. რომანი სწორედ ამ ნაწილის მეოხებით ღებულობს ისტორიულის სახელწოდებას.

ისტორიულ რომანში სინამდვილეში არსებული გმირების გვერდით ცხოვრობენ, მოქმედებენ მწერლის მიერ გამოგონილი გმირები. მათი ბედი უკავშირდება, ეჯახება ერთმანეთს მოქმედებაში, ინტრიგის განვითარებაში. ნამდვილი ისტორიული მოვლენები ორგანიულად შესულია მოთხრობის ქარგაში, შეკავშირებულია გამოგონილ ელემენტებთან.

მწერლის დამოკიდებულება ისტორიისადმი არ არის იზოლირებული და სპეციფიკური. ეს არის ორგანიული შემადგენელი მომენტი მისი დამოკიდებულებისა საერთოდ სინამდვილისადმი. ცხადია, ისტორიული რომანი არ არის მეცნიერული გამოკვლევა, არაა სავალდებულო, რომ ისტორიული რომანის ავტორი ყველაფერში აბსოლუტურად და ემპირიულად ისტორიულ დოკუმენტებს დაემორჩილოს. მაგრამ რანაირი თავისუფლებაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული მწერლის ფანტაზიას, მისთვის მაინც სავალდებულოა სწორი, მართებული, ობიექტური დამოკიდებულება ისტორიული სინამდვილისადმი, მისი ძირითადი აზრისადმი. ისტორიკოსი და მწერალი, მუშაობენ რა ერთსადაიმავე მასალაზე, სხვადასხვა გზით მიდიან ეპოქის შესასწავლად, თუმცა საბოლოო ანგარიშში ისტორიული და მხატვრული სიმართლე, ჭეშმარიტება ერთმანეთს უნდა ეთანაბრებოდეს. კარგად წერს ამაზე ბელინ-

[1]) Н. Добролюбов — Полн. собр. сочинений под общ. редакцией П. И. Лебедева—Полянского. Гослитиздат, 1934 г. том I, стр. 530.

[2]) იქვე, გვ. 530.

სკი: „სინამდვილე მშვენიერია თავისთავად, მშვენიერია თავისი არსით, თავისი ელემენტებით, თავისი შინაარსით და არა ფორმით. ამ აზრით სინამდვილე არის ხალასი ოქრო, მაგრამ გაუწმენდავი, მადანისა და მიწის გუნდაში გარეული. მეცნიერება და ხელოვნება წმენდს სინამდვილის ოქროს, აძლევს მას ნატიფ ფორმას. აქედან, ცხადია, რომ მეცნიერება და ხელოვნება კი არ იგონებენ ახალ და უჩვეულო სინამდვილეს, არამედ იმ სინამდვილისაგან, რომელიც იყო, არის და იქნება, ისინი ღებულობენ მზამზარეულ მასალას, მზამზარეულ ელემენტებს, ერთი სიტყვით, მზამზარეულ შინაარსს, აძლევენ მას წესიერ ფორმას თანაბარი ნაწილებით და ჩვენი მხედველობისათვის ყოველი მხრით მისაწვდომ მოცულობაში... მეცნიერება სინამდვილის ფაქტებიდან გამოჰყოფს მათ არსს—იდეას, ხოლო ხელოვნება, იყენებს რა სინამდვილის მასალას, აჰყავს იგი საერთო გვაროვნულ, ტიპიურ მნიშვნელობამდე, ჰქმნის მისგან მწყობრ მთლიანობას"...[1]) ამგვარად, მეცნიერი, აზროვნებს რა საერთო ცნებებით, განაზოგადებს რა ცხოვრების მოვლენებს, სწავლობს რა მის ტიპიურ ნიშნებს, მის კანონებს, ასე თუ ისე შედარებით მაინც ეთიშება ინდივიდუალურს, პირადულს. ხელოვანი პირიქით, ცხოვრების მოვლენებს განაზოგადებს არა საერთო ცნებებად, წარმოდგენებად, არამედ ცოცხალ სახეებად, იგი არ გაურბის ცხოვრების მოვლენების ინდივიდუალურ ნიშნებს; ხელოვნება ყოველთვის ხელს ატანს არსებითს, ტიპიურს, რაც ახასიათებს მრავალ ადამიანს, ამათუიმ მოვლენას და ისე გადაშლის მკითხველის წინაშე ცხოვრების მრავალფეროვნებას.

ცხადია, შესაძლებელია, მეცნიერსაც ახასიათებდეს მხატვრული გამომგონებლობა, აზროვნობდეს იგი ცოცხალი, პოეტური სახეებით. მაგალითად, რესტავრაციის პერიოდის ფრანგი ისტორიკოსები—ტიერი, გიზო, ბარანტი, მიშლე და სხვ. ფლობდნენ ამ თვისებას. მაგრამ კარგად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პრინციპიალურად აზროვნება ცოცხალი, მხატვრული სახეებით არ არის სავალდებულო მეცნიერისათვის, მაშინ, როდესაც ის აუცილებელია, დამახასიათებელია მწერლისათვის; ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მეცნიერი, ისტორიკოსი, რამდენადაც მაღალი არ იყოს მისი შრომის მხატვრული ღირსება, ყოველთვის შეზღუდულია სიუჟეტისა და მომქმედ პირთა შერჩევაში, მისი თემა განსაზღვრულია ისტორიული პროცესით და ისტორიული ამბავი მოთავსებულია შედარებით ვიწრო ჩარჩოებში. ისტორიული რომანის შინაარსიც თუმცა დაკავშირებულია გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან, რომელნიც რამდენადმე განსაზღვრავენ სიუჟეტის შერჩევას, მაგრამ მისი ფაბულა და მომქმედი პირები არ არის წინასწარ შემოფარგლული მხოლოდდამხოლოდ ისტორიული მონაცემებით, მწერლის ფანტაზიას მეტი თავისუფლება და გასაქანი აქვს ყოველთვის მინიჭებული.

საკითხი მწერლის უფლებისა მასალის მიმართ, უფლება რომანისტისა ისტორიის მიმართ — ყოველთვის ძირითადი პრობლემა იყო ისტორიული რომანის ჟანრის განვითარების მთელ მანძილზე. ისტორიისა და შენათხზის ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებისა და ხელოვნების თანაფარდობა იღებს განსაკუთრებულ ფორმას წარსულის ზნე-ჩვეულებათა ასახვის სა-

[1]) В. Белинский—Собр. сочин. под редакц. Иванова—Разумника, лит. издат. отд. Наркомпроса, Петербург, 1919 г. том I, стр. 909—911.

კითხში. რამდენად აქვს უფლება ხელოვანს გარდაქმნას სინამდვილის ობიექტები თავისი მხატვრული ამოცანების გულისათვის? სხვანაირად რომ ვთქვათ, აქვს თუ არა ხელოვანს უფლება აირჩიოს, ტიპიზირებულ ჰყოს, განაზოგადოს და ამით მისაწვდომი და გასაგები გახადოს სინამდვილის ფენომენი, მისცეს მას უფრო მკაფიო გამოხატულება და მეტი დამაჯერებლობა?

ზოგიერთი ფიქრობს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება არსებობდეს ერთად ორი ჭეშმარიტება: ერთი ისტორიული და მეორე მხატვრული. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა! მხატვრულ ნაწარმოებში, სადაც ისტორია ორგანიულად დაკავშირებული არ არის მომქმედ პირთა ხასიათებთან, ანდა სახეები დაშორებულია ისტორიული მოვლენებისაგან, ჩვენ არა გვაქვს არც ისტორია, არც ხელოვნება. უკეთეს შემთხვევაში ასეთი ნაწარმოები მხატვრული სურათებისა და ისტორიული ფაქტების მონტაჟია, სადაც ეს სურათები და ფაქტები უშუალოდ არ არიან შერწყმულნი ერთიან მხატვრულ სისტემად. ისტორიული სიმართლისა და მხატვრული სიმართლის ხელოვნურ დაპირისპირებას ყოველთვის იქამდე მივყევართ, რომ ისტორია რომანში შედის ციტატების სახით და არა როგორც ორგანიული ნაწილი ნაწარმოებისა. მხატვრულ ნაწარმოებში უნდა იყოს ერთი სასიცოცხლო სიმართლე, ჭეშმარიტება, მასში უშუალოდ უნდა ერწყმოდეს ერთმანეთს ისტორიული (ფაქტიური) და მხატვრული (სახეობითი) სიმართლე. არა თანაარსებობა ფაქტებისა და სახეებისა, არამედ ორგანიული მთლიანობა — აი, რა უნდა ახასიათებდეს ასეთ ნაწარმოებს. ისტორიული რომანი ისტორიული მონოგრაფია არ არის, მის კანონს წარმოადგენს არა მშრალი ფაქტის ჭეშმარიტება, არამედ მხატვრულად განზოგადებული ჭეშმარიტება. პედანტური ერთგულება დოკუმენტისადმი მწერალს აქცევს მოსაწყენ მემატიანედ. „მშრალი", ოქმისებრი აღწერა მოვლენებისა, ყოველნაირი ფაქტისა და დეტალის ერთად უსარგებლოდ თავმოყრა, დაბოლოს, ემპირიულად დაშლილი თხრობა — ისტორიულ რომანს გადააქცევდა ქრონიკულ აღწერილობად და არა მხატვრულ ნაწარმოებად. როდესაც ასეთ რომანებს ვკითხულობთ, ძალაუნებურად გვაგონდება ბალზაკის სიტყვები იმაზე, რომ არაფერი არ ამხელს მწერლის უნიჭობას ისე, როგორც უამრავი ფაქტის ერთად თავმოყრა. ცუდი მწერალია, — ამბობს ბალზაკი, — თავის ნაწარმოებს გაავსებს მრავალი ფაქტით და ძალზე ზერელედ განაზოგადებს მათ. ნამდვილი მწერალი კი ცალკეული მოვლენების სახეებში აქსოვს ღრმა სოციალ-ისტორიულ განზოგადებას. ბალზაკი წინააღმდეგია ისტორიული მოვლენების ექსტენსიური სახით გამოხატვისა. თუ მწერალი, — აღნიშნავს იგი ლატუშის მაგალითზე, — ერთ გვერდზე ორას ამბავს იძლევა, ამით ის ამტკიცებს, რომ ან დილეტანტია, ან გრაფომანი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნამდვილი მხატვარი [1]). აღწერებისა და ფაქტების სიზუსტით ასეთ მწერალს სურს მოგვაჩვენოს ვითომდა დამაჯერებელი მხატვრული სახე. როდესაც მკითხველი ამგვარ რომანებს ეცნობა, განიცდის ისეთ გრძნობას, თითქოს იგი ფურცლავდეს „ისტორიული უწყების" დამტვერულ ფურცლებს და არა მხატვრულ ნაწარმოებს. ასეთ ნაწარმოებში მკითხველის ესთეტიკური აღქმა გადაწეულია უკანა პლანზე და მის ნაცვლად წინ წამოწეულია ისეთი მხარეები, რაც არსებითად მოკლებულია მხატვრულ აზრს. მხატვრული სახე არ

[1]) Oeuvres complètes, Calmann—Lévy, 1872, t. XXIII, p. 578.

შეიძლება იყოს მხოლოდ „უსიცოცხლო“ ასლი რეალურ-ისტორიული პიროვნებისა ან მოვლენებისა. ხელოვნება მაღლდება ცხოვრების ცალკეულ მოვლენებზე იმ მხრივ, რომ იგი ასახავს სინამდვილეს არა მის კერძობრივ გამოხატულებაში. ხელოვნების ნაწარმოებისათვის უმთავრესად საჭიროა მხატვრული სიმართლის დაცვა, ვიდრე გარეგნული, მოჩვენებითი ისტორიული სიმართლე. ბ ე ლ ი ნ ს კ ი კითხვაზე, აქვს თუ არა მწერალს უფლება დაამახინჯოს რეალური ისტორიული პიროვნება და მოვლენა, უპასუხებდა — „ჰოსაც და არასაც“.[1]) ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს აზრით, თუ პირველი სრულიად შესაწყნარებელია მეორეხარისხოვანი ისტორიული მოღვაწეების მიმართ, იგი სრულიად უარყოფილ უნდა იქნას დიდი ისტორიული პიროვნებების მიმართ.

მწერლის დამოკიდებულება ისტორიული სინამდვილისადმი პრინციპიალურად ისეთივეა, როგორც ყოველი მწერლისა საერთოდ სინამდვილისადმი. მწერალი განურჩევლად არც თავის თანამედროვე ცხოვრებიდან იღებს მასალას, აქაც ხელმძღვანელობს შერჩევის პრინციპით, ყურადღებას აქცევს მასალის მრავალფეროვანებას და დრამატიზმს, ფაქტების განზოგადოების შესაძლებლობას. ასეთივე მხატვრული შერჩევის უფლება აქვს ისტორიულ მასალაზე მომუშავე მწერალსაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორიული რომანი იქმნება არა ისტორიის პოპულარულად თხრობის გულისათვის, არამედ მას აქვს უმაღლესი მიზანი, რომელიც ამოძრავებს ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს — მისცეს მკითხველს გაღრმავებული წარმოდგენა ცხოვრებაზე. იქ, სადაც არქეოლოგია ჩრდილავს, კლავს შემოქმედებას, უკვე საქმე მხატვრულ ნაწარმოებთან აღარა გვაქვს.

ისტორიული რომანის რაობასა და მასში წარსული მოვლენების ასახვის მეთოდზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ს თავისი ცნობილი რომანის „აივენგოს“ წინასიტყვაობაში. ამ წინასიტყვაობაში ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ი აღძრავს საკითხს ისტორიული რომანის პრინციპიალურ შესაძლებლობაზე და აქვს თუ არა მას ძალა დააინტერესოს თანამედროვე მკითხველი. „ხომ არ მოეჩვენება მკითხველს არადამაჯერებლად რომანში ასახული საშუალო საუკუნეების ზნე-ჩვეულებანი, როცა მისი მოქმედება ხდება მისთვის კარგად ცნობილ და დღეს ცივილიზებულ ქვეყანაში? თუ თქვენ მას აუწერთ მთის შოტლანდიაში არსებულ, პირველყოფილი საზოგადოების ზნე-ჩვეულებას და ხასიათს, ის მზად არის იცნოს, რომ თქვენი მტკიცება მართალია... მაგრამ თუ იგივე პატივცემული პიროვნება ზის თავის მყუდრო დარბაზში, გარემოცული ინგლისური საოჯახო მორთულობის ყველა კეთილმოწყობილობით, ის ბევრად ნაკლები ხალისით იჯერებს, რომ მისი საკუთარი წინაპრები ცხოვრობდნენ სულ სხვა ცხოვრებით; რომ ნახევრად ჩამონგრეული ციხე-კოშკი, რომელიც მისი ფანჯრის წინ გადაშლილი პერსპექტივის ნაწილს შეადგენს, ოდესღაც ეკუთვნოდა ბარონს და ეს ბარონი ბევრ ლაპარაკს არ დაიწყებდა, ისე ჩამოჰკიდებდა მას თავისავე საკუთარ კარებთან; რომ მოჯამაგირეები, რომელნიც უვლიან მის პატარა ფერმას, რამდენიმე საუკუნის წინ მისი მონები იქნებოდნენ და რომ ოდესღაც ფეოდალური ტირანიის ბატონობა ვრცელდებოდა მეზობელ

[1]) В. Белинский—Собр. сочин. под редакцией Иванова—Разумника, лит. издат. отдел Наркомпроса. Петербург, 1919 г. стр. 469.

სოფლებზედაც, სადაც ახლა ვექილი უფრო გავლენიანი პირია, ვიდრე ციხე-კოშკის მფლობელი". [1]) მაინც, — განაგრძობს ვალტერ სკოტი, — ამან არ შეიძლება გამოიწვიოს განსაკუთრებული სიძნელეები. ჩვენი წინაპრების „კერძო ცხოვრება" შეიძლება აღდგენილ იქნას ასეთსავე ზუსტობით, ოღონდ ნაკლებ-ნაკლებ ნაკლებ-ნაკლებ ნაკლებ-ნაკლებ

ამ მსჯელობაში გამოთქმულია ისტორიული მასალის დამუშავების პრინციპი, რომელსაც ვალტერ სკოტი იყენებდა თავის რომანებში. ამ შეხედულებებიდან შესაძლოა ყველაფერში არ დავეთანხმოთ მას, მაგრამ მთავარ მომენტებში იგი სწორ მოსაზრებებს გამოთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიუდგეს მწერალი ისტორიული მასალების დამუშავებას.

მწერალი არ არის ისტორიკოსი, მით უმეტეს მემატიანე. ისტორიკოსისათვის მთავარია — აბსოლუტური სიზუსტე და თანმიმდევრობა მოვლენათა აღნუსხვის დროს, მათი მართებულად დაჯგუფება, მოვლენათა განვითარებისა და, საერთოდ ისტორიული პროცესის ასახვა-შეფასება. ჭეშმარიტი ისტორიკოსი ამავე დროს არ შეიძლება არ იყოს ისტორიის ფილოსოფოსი. მწერალს, თუ კი მას სურს დიდი სახალხო ისტორიული მასშტაბის სურათები დაგვიხატოს, მოეთხოვება არა მარტო ცოდნა ისტორიისა და მისი სიმართლით გამოხატვა, არამედ ამასთანავე მოეთხოვება ფილოსოფიურ-პოეტური მიდგომა, ნამდვილი გაგება ისტორიისა და უნარი მხატვრულ სახეებად გამოხატოს და განაზოგადოს ისტორიული, კონკრეტული ჭეშმარიტება. ისტორიული ფაქტი ისეთია, როგორიც იყო. მწერალი, რამდენადაც იგი ამ ფაქტს ასახავს, ხშირად, თვითონაც ვერ ამჩნევს, ისე შეაქვს ობიექტურ გამოხატვაში სუბიექტური შეფასების ელემენტი. აუცილებლად საჭიროა, რომ სუბიექტური მომენტი არ ეწინააღმდეგებოდეს ობიექტურ ჭეშმარიტებას, ემოციებმა არ უნდა დაამახინჯონ ნაწარმოებში მოცემული ამბავი, აზრი. მწერლის მიზანი უფრო ვრცელია, ვიდრე ისტორიკოსისა. მაგრამ ამაშივე მდგომარეობს სწორედ მთელი ის სიძნელე, რაც ისტორიულ-მხატვრული ნაწარმოების ავტორის წინაშეა აღმართული. ორგანიულობა ჭეშმარიტი იდეისა და სახისა, მათი სრული შერწყმა ჰქმნის ისტორიულ რომანს მაღალმხატვრულ და დამაჯერებელ ნაწარმოებად.

ისტორიული რომანის საფუძვლიანი, სერიოზული შეფასების დროს დიდი ყურადღება ექცევა იმის გათვალისწინებასაც, თუ როგორ არიან მასში წარმოდგენილი ისტორიული მოვლენები და პირები. მთლიანი შეფასება ნაწარმოებისა, ან იმის თქმა, თუ რამდენად მართალია ისტორიული რომანის ავტორი, შეუძლებელია უბმისოდ, თუ ისტორიულ წყაროებთან არ შევაჯერეთ ის.

ისტორიული მხატვრული პროზის ასეთი გაგებით მივუდგებით ჩვენ ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების შესწავლას და განხილვას.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ლიტერატურის მატიანე“

წიგნი მე-3—4, საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის გამოცემა. რედაქტორი გ. ლეონიძე

„ლიტერატურის მატიანეს“ წინამდებარე წიგნი ძირითადად მიძღვნილია აკაკი წერეთლისადმი. იქ მოთავსებულია მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც ეხება პოეტის ბიოგრაფიას. მაგრამ რადგან პოეტის პირადი ცხოვრება დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ ყოფასთან, მოღვაწეობასთან, ეს წმინდა ბიოგრაფიული მასალაც უხვად შეიცავს ისეთ ფაქტებს, რომლებიც ნათელს ჰყოფენ პოეტის საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს.

აკაკი წერეთელი ერთი უპოპულიარესი მწერალია. პოეტი ნამდვილ ხალხურ მგოსნად გადაიქცა, მისი პოეზია ორგანიულად გადავიდა ხალხში და შეერწყა მის ყოფა-ცხოვრებას.

აკაკი წერეთელი უპირველესად დიდი ჰუმანისტი იყო: მისი ხასიათისა და პოეზიის ყველა კეთილშობილური თვისება გამომდინარეობდა უმთავრესად ჰუმანიზმიდან. ამიტომ თავისი მსოფლმხედველობისაგან დამოუკიდებლად ხშირად იგი დადებითად ეხმაურებოდა დიდ პოლიტიკურ მოვლენებს და თანაუგრძნობდა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას. ვერ ვიტყვით, რომ პოეტს ღრმად ჰქონოდეს გაგებული, მაგალითად, 1905 წლის რევოლუციის სოციალ-პოლიტიკური აზრი, მაგრამ ის გარემოება, რომ პოეტმა ერთგვარად მხარი დაუჭირა ამ რევოლუციას და მასში დაინახა კეთილი საწყისები, ცხადჰყოფს იმას, რომ პოეტი მთელი არსებით ხალხთან იყო და თანაუგრძნობდა ხალხის ყოველ ბრძოლას თავის განთავისუფლებისათვის. სამშობლოს დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას აკაკი მჭიდროდ აკავშირებდა ხალხის, გლეხობის სოციალურ თავისუფლებასთან. პოეტი ეტრფოდა ისეთ თავისუფალ სამშობლოს, სადაც არ იარსებებდა ბურჟუაზიულ-ფეოდალური საზოგადოების მიერ მშრომელთა უფლებრივი და მატერიალური შევიწროება, ჩაგვრა. ამაშია აკაკის მსოფლშეგრძნობის, მისი მხატვრული შემოქმედების განსაკუთრებული პროგრესული მხარე.

ამ მხრივ ბევრ საინტერესო მასალას იძლევიან აკაკის თანამედროვეთა მოგონებები.

აკაკი წერეთელს „1905 წლის რევოლუცია ახარებდა“, — ამბობს აკაკის თანამედროვე სხვიტორელი გლეხი. მაგრამ ამბობდა: „არ უნდა ავჩქარდეთ და ძალიან წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ“. რევოლუციის დიდი იმედი ჰქონდა: საქართველო განთავისუფლდებაო (გვ. 17). როცა 1905 წლის რევოლუციას შეეხებოდა თურმე, აკაკი ძალიან სწუხდა, რომ მასში იგი ვერ იღებდა აქტიურ მონაწილეობას (იქვე). აკაკი რომ 1905 წლის რევოლუციაზე სამშობლოსთან ერთად გლეხობის განთავისუფლების იმედსაც ამყარებდა, ეს ნათლად სჩანს მეორე გლეხის მოგონებიდან:

„1905 წელს აკაკი ჩამოვიდა, შეგვყარა ყველანი და გვითხრა: მეზობლებო, მეგობრებო, შვილებო, ნიკოლოზმა პირი იბრუნა, რეაქციამ გაიმარჯვა, მეფე აღარ დაგვზოგავს, მაგრამ არ შეშინდეთ, ჯერჯერობით ფრთხილად იყავით. ერთმანეთი შეინახეთ, ერთმანეთი გაიტანეთ და მტერი ვერაფერს გიზამთო. ძალიან დაარიგა ხალხი და იმედი მისცა, მონობას ადრე თუ გვიან ბოლო მოეღებაო. დიდხანს ელაპარაკა გლეხებს“ (გვ. 34).

აკაკი წერეთელი, როგორც ვიცით, გლეხის ოჯახში იზრდებოდა და მან ბავშვობიდან ძალიან შეიყვარა გლეხობა, რომელიც დღესა და ღამეს დაუღალავ შრომაში ატარებდა. მაგრამ ელემენტარულ, ადამიანურ ცხოვრებას მაინც მოკლებული იყო. აკაკი ცდილობდა არა მარტო ლექსებით გამოსარჩლებოდა გლეხობას, არამედ პირადადაც, სადაც შესაძლებლობა მიეცემოდა, დახმარებოდა, მზრუნველობა გაეწია, ბატონის მხეცური ჩაგვრისაგან დაეცვა იგი. ამის გამო, — მოგვითხრობენ სარეცენზიო კრებულში მოთავსებულ მოგონებათა ავტორები, — ძალიან სძულდათ არისტოკრატიულ წრეებში დიდებული პოეტი. მისი ჩასვლა სხვიტორში არ ესიამოვნებოდათ და იშვიათად თუ თავისთან მიიპატიჟებდნენ. არც აკაკი დაიარებოდა ხალისით ნათესავ თავადებთან. აკაკი რომ სხვიტორში ჩავიდოდა, იქაური გლეხობისათვის ნამდვილი ზეიმი იწყებოდა. პოეტი თავისუფალ დროს უმთავრესად

გლეხებთან ატარებდა, გლეხებიც რაიმე რჩევა-დარიგებისათვის ან [illegible]ბარებისათვის აკაკის მიმართავდნენ ხოლმე. ამიტომ 1905 წელს აკაკის ძალიან ეშინოდა [illegible]ბმე, თავადებმა შეიძლება არეულობით ისარგებლონ და ჩემი მოკვლა მოინდომონო.

„ლიტერატურის მატიანეში“ დაბეჭდილი მოგონებების უმრავლესობა საინტერესოა სწორედ იმ მხრივ, რომ იქ ვხვდებით მასალას, რომელიც გვიხატავს აკაკის გულწრფელ ურთიერთობას გლეხებთან. აკაკი ცდილობდა, რაც შეიძლება ახლო დაკავშირებოდა გლეხებს. ამ მიზნით ხშირად ნათესაურ კავშირსაც ამყარებდა მათთან — უნათლავდა ბავშვებს. „ერთხელ ჩემმა მამამ, — ამბობს სხვიტორელი მცხოვრები, — სთხოვა აკაკის, რომ შვილი მოენათლა. იმ დღეს ძალიან გაავდარდა. რომ გათენდა, მე მოვედი აკაკისთან და ვთხოვე გადმოსულიყო. აკაკიმ მითხრა: ეხლა გზები ატალახებულია, წამოსვლა არა ღირს, უკეთესი იქნება ჩემს სახლში გავმართოთ ნათლობა, ოღონდ გლეხები დამიპატიჟეთო.

მართლაც ერთი ძროხა დავკალით და ბევრი კაი ხალხი დავიპატიჟეთ“.

ეს ფაქტი თავისთავად ბევრს მეტყველებს აკაკისა და გლეხების უშუალო და გულწრფელ ურთიერთობაზე. გლეხებს სწამდათ და დიდად სჯეროდათ, რომ აკაკი იყო არა მათი ბატონი, არამედ დიდი მეგობარი, ნამდვილი მზრუნველი მამა. ზემოთმოყვანილი ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ აკაკიმ შემთხვევით ისარგებლა, ტალახი მოიმიზეზა და გლეხები თავის სახლში დაიპატიჟა. ნათლობა მიზეზი იყო. არსებითად კი აკაკიმ გლეხების წვეულება მოაწყო.

გავყვეთ ფაქტებს:

„აკაკის გლეხობა ძალიან უყვარდა, — ამბობს ერთი მისი ყოფილი ხელზე მოსამსახურე. — როცა თავდახსნაზე იყო საქმე, ჭილაძეები, ვალდებული გლეხები, მივიდნენ მასთან და სთხოვეს, თავი დაგვახსნევინეო. მან უპასუხა, — ჩემთვის ყველა თავდახსნილია, არავის არაფერს არ ვთხოვო. გლეხებმა უთხრეს: ჩვენ ეგ არ გვჭირიაო, ჩვენ გვინდა საბუთები, რომ ამით დამშვიდებული ვიყოთ ან რაც გნებავთ, გადაგვახდევინეთო. აკაკიმ უთხრა, — თქვენ მხოლოდ საბუთის შედგენის საფასური მიეცით და თავისუფალი ხართო და მართლაც გაანთავისუფლა“.

ერთხელ თურმე აკაკის მამამ შინაყმები მიიყვანა და ქვევრებს არეცხინებდა. აკაკი მისულა და გლეხებს გამოლაპარაკებია. გამოუკითხავს — რას გაძლევთ მამაჩემი ამ ქვევრების დარეცხვაშიო. გლეხებს უპასუხნიათ: „ააშენოს ღმერთმა მამის ოჯახი, სამ დღეს მოუნდებით და ოროლ მანეთს მაინც მოგვცემს“, — იგონებს პოეტის თანამედროვე. აკაკის ეს „ასამრჯელო“ მცირედ მოსჩვენებია და გლეხებისათვის უთქვამს: „როცა გაათაოთ, ჩემი უნახავი არ წახვიდეთო“. როცა ქვევრების რეცხვა გაუთავებიათ, ისინი მისულან აკაკისთან. აკაკის კარგი პატივი უცია, ხუთ-ხუთი მანეთი მიუცია და თანაც უთქვამს: „მამაჩემს არაფერი არ უთხრათო, იმისგანაც მიიღეთ, რაც გეკუთვნითო“ (გვ. 42).

როცა 1905 წელს ალიხანოვმა საჩხერე დაარბია და განკარგულება გასცა ყველა გლეხს მებატონისათვის გადაეხადა ორი წლის ნადელი ფულად, აკაკის ქვითრებზე წინასწარ ხელი მოუწერია, ვითომ ფული უკვე მიიღო, სინამდვილეში კი არც ერთ გლეხისათვის არ გადაუხდევინებია არც მაშინ და არც შემდეგ (გვ. 18).

მრავალი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლება აკაკის ცხოვრებიდან. ყველა ამას პოეტი განზრახ კი არ სჩადიოდა, არამედ ბუნებრივად მოდიოდა ისინი მისი კეთილშობილური, ადამიანური ხასიათიდან. აკაკი იყო უაღრესად ნაზი, გულჩვილი, სამართლიანი და კაცთმოყვარე.

„აკაკი ძალიან თავდაბალი იყო, მასთან გულჩვილი, — იგონებს გ. ზამბახიძე. — ჩემი მასთან სამსახურის დროს, თითქმის 15 წლის განმავლობაში მე არ შემხვედრია, რომ აკაკის გული მოსვლოდეს, ბევრი შეხვედრია ძალიან გულდამწყვეტი საქმე, მაგრამ ხელს ჩაიქნევდა და ის იყო მისი პასუხი, სიტყვით არაფერს არ იტყოდა“.

განსაკუთრებით ნაზსა და სათნო გრძნობებს ააშკარავებდა აკაკი, როცა საკითხი ეხებოდა სამშობლოს, თავისი ხალხისა და სხვადასხვა ერის მეგობრობას. ამ საკითხში აკაკი წერეთელი უაღრესად ჯანსაღ შეხედულებას ატარებდა. მის მკერდ ქვეშ დიდი ქართველი პატრიოტის გული სცემდა, მაგრამ ამ სპეტაკი გულის მოძრაობას არასოდეს არ შეხებია შოვინიზმის ჭუჭყი. იგი კარგი და მაღალი წარმოდგენისა იყო ყველა ერზე, უყვარდა საქართველოს მოძმე ხალხები. მას გულწრფელად სწამდა ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის დიდი მომავალი. აკაკი ცარიზმის შეურიგებელი მტერი იყო. მას სძულდა მეფის რუსეთი, მაგრამ იმავე დროს მას უყვარდა რუსი ხალხი და სხვაზე უკეთესად შეეძლო დაენახა უდიდესი განსხვავება რუს ხალხსა და მეფის თვითმპყრობელობას შორის. ამასთან

აკაკი ყოველთვის აფ ...ილებდა თავის ხალხს, დაენახა ეს განსხვავება და უფრო მეტად განემტკიცებინა მეგობ ...ობა დიდ რუს ხალხთან, რადგან მხოლოდ ამ მეგობრობას შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა საქართველოს მომავლისათვის.

ამ მხრივ უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა ვსევოლოდ ჩაგოვეცის მოგონება. ჩაგოვეცი გველაპარაკება იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემაზე, რომელიც ...ულ იყო აკაკი რუსული ლიტერატურისადმი, რუსი ხალხისადმი. აკაკი წერეთელს უამბნია მისთვის თავისი შეხვედრების შესახებ ნეკრასოვთან, კოროჩკინთან, ტურგენევთან, ტოლსტოისთან, შევჩენკოსთან. შემდეგ პოეტს უაღრესად მხურვალე აზრი გამოუთქვამს ხალხთა ურთიერთისადმი სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ:

„მეფეებისა და პოლიციის მოხელეებისადმი მძულვარებამ, — უთქვამს აკაკის, — არ უნდა დაჩრდილოს ხალხთა ურთიერთისადმი სიყვარული და მეგობრობის მისწრაფება. აი ჩვენს წინაშეა სიმბოლო ასეთი კავშირისა, — და მან გაიწვდინა თეთრი, ნაზი ხელი გრიბოედოვის საფლავისაკენ, რომელზედაც მის ახალგაზრდა ქვრივს, ჭავჭავაძის ასულს, აღებეჭდა რამდენიმე ღრმად საგრძნობი და დასახსომი სიტყვები:

ესენი შეაერთა სიყვარულმა... სიყვარული უდიდესი ძალაა, ადამიანთა გამაერთიანებელი. მათი ბედნიერება დღემოკლე იყო. გრიბოედოვი მოჰკლეს და მისი მეუღლე დარჩა ახალგაზრდა ქვრივი... მგონია, ჩვიდმეტ წლისაზე მეტისა არ იქნებოდა. მაგრამ მისი გული უცვლელი გამოდგა პირველი სიყვარულისადმი. დიაღ... ეს არის სიამაყე და პატივი ჩვენი ქართველი ქალისა! იგი სწრაფად აღიგზნება, მაგრამ მთელი თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეიყვარებს ხოლმე. ეს თვისება მე შემინიშნავს განსაკუთრებით უბრალო ხალხში და თაყვანსა ვცემდი მას. ვერც სიღარიბე, ვერც დამონება, ვერც ძალადობა, ვერც სიმდიდრის აღთქმა ვერ ამოგლეჯს ქართველ ქალს გულიდან პირველ სიყვარულს.

მოხუც პოეტს თვალები მოენაბა... იგი დაჯერებით ლაპარაკობდა სიყვარულის შეუვალ ძლიერებაზე.

და რა ბედნიერება იქნება, როდესაც სწორედ ეს უდრეკი ძალა, და არა სხვა რამ ძალა, ეტყვის ხალხთ: მოდით, ხელი გაუწოდოთ ერთმანეთს და დავდვათ კავშირი ჩვენი სიყვარულისა. ეს კავშირი იქნება დღეგრძელი“.

ეს დიადი კავშირი მართლაც დღეგრძელობს.

მოგონებები საინტერესო მასალას იძლევიან აგრეთვე აკაკის მუშაობის შესახებ ლექსებზე. აკაკის ძალიან ჰყვარებია გლეხების გამოკითხვა, მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლა. როცა რომელიმე გლეხს ესაუბრებოდა, თუ მან რამე ზღაპარი ან ლექსი იცოდა, ათქმევინებდა და უბის წიგნაკში ჩაიწერდა (გვ. 16). ბევრი თავისი ნაწარმოები მგოსანს გლეხების ნაამბობის მიხედვით დაუწერია. ასეთია, მაგალითად, „კიკოლას ნაამბობი“. ეს ლექსი ერთი იმდროინდელი ღრმად მოხუცებული გლეხის — კიკოლას ნაამბობის მიხედვით დაუწერია. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ „მატიანეს“ რედაქტორის საყურადღებოდ, რომ მოგონებებში მითითებულია ორ სხვადასხვა კიკოლაზე — ერთი არის კალმახელიძე, მეორე კი ტალახაძე. რედაქციას აუცილებლად უნდა დაედგინა გარკვეულად ერთი რომელიმე მათგანი, მაგრამ ამ ფაქტისათვის მას ყურადღება არ მიუქცევია. ასეთი ლაპსუსი „მატიანეში“ მრავალია. მაგრამ ამაზე ქვევით.

მწერლობაში შრომის მოყვარეობით აკაკი ილიას ჰგავდა. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ლეგენდა აკაკის სიზარმაცის შესახებ. ან კი როგორ შეიძლებოდა ზარმაცი ყოფილიყო მწერალი, რომლის ნაწარმოებნიც რამდენიმე უზარმაზარ ტომს შეადგენენ. ერთი კი აღსანიშნავია: წერისათვის მას განსაზღვრული დრო არა ჰქონია. არა სწერდა სისტემატიურად, გარკვეული რეჟიმით. გართობასა და ქაღალდის თამაშში, მოგზაურობაში ატარებდა ხშირად განუსაზღვრელ დროს, მაგრამ, როცა საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, სცოდნია სრულ თავდავიწყებამდე მისვლა.

„ერთხელ ჩემ ქმარს მოუვიდა პატარა ნაფოტი, — იგონებს ნ. ბაგრატიონი-წერეთლისა, — რომელზედაც ეწერა: ქაღალდი გამითავდა, თავში ბევრი რამ მომდის და მიშველე, ბეჟანმაშინვე ქაღალდი გავუგზავნეთ და მართლაც მთელი კვირა დღე და ღამე წერაში იყო“.

რასაკვირველია, ზარმაც შემომქმედს არ შეეძლო მთელი კვირა დღე და ღამ განუწყვეტლად ეწერა — და ეს ხომ ერთი შემთხვევა არ იყო! აკაკიმ იცოდა გულმოდგინედ დასვენება და გულმოდგინედ შრომა.

„ლიტერატურის მატიანეში“ მოთავსებული მოგონებები ბევრს საინტერესოს შეიცავენ აკაკის ცხოვრების შესასწავლად. მაგრამ მოგონებები არასოდეს არ გადმოგვცემენ წარსულის ამბებს ასპროცენტიანი სიზუსტით. რედაქციას ამ გარემოებისათვის ყურადღება უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიექცია და სრულიად ნედლი, დაუმუშავებელი და დაუზუსტებელი მასალა არ მოთავსებინა. ისეთ მომენტებს მაინც სერიოზულად უნდა მოპყრობოდა რედაქცია, სადაც ავტორები გადაჭარბებულად სარგებლობენ „ფაქტების" თავისებური ანალიზით, ან ცდილობენ ჭეშმარიტებას, რითაც ბუნდოვანება შეაქვთ აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში. ილია ზურაბიშვილის საინტერესოდ დაწერილ მოგონებაში ყველაფერი არ მიგვაჩნია თავის რიგზე. ეს „მოგონება" დაწერილია წინასწარი განზრახვით — რაღაცა გაამართლოს, რაღაცა გააქარწყლოს. ამიტომ ზოგჯერ გვერდს უვლის ფაქტების ლოგიკას და თავის პირადულ დასკვნებს მიმართავს. საინტერესოა მოგონების ის ნაწილი, სადაც ზურაბიშვილი ფაქტებს იყენებს. იქ-კი, სადაც თავის დასკვნებს იძლევა, ის არ არის ყოველთვის მართალი და რადიკალურად ეწინააღმდეგება როგორც ცნობილ ფაქტებს, ისე „მატიანეში" დაბეჭდილ მოგონებათა ძირითად აზრს. აკაკის დიდ პიროვნებას ვერაფერს მიუმატებენ ხელოვნური ამბები. განსაკუთრებით გაზვიადებულად მიგვაჩნია მოგონებაში ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ, თითქოს აკაკი დიდი და დადებითი წარმოდგენისა ყოფილიყოს ვორონცოვზე და მის პოლიტიკაზე (გვ. 91). ზურაბიშვილის (და არა მარტო ზურაბიშვილის) ამ მოსაზრებას აქარწყლებს ასლან მამინოშვილის მოგონება, სადაც გადმოცემულია ვორონცოვთან დაკავშირებული ამბავი აკაკისათვის დამახასიათებელი სტილით.

„დღეს ვიღაც 120 წლის მოხუცი გლეხი მოიყვანეს ჩვენს სასწავლებლის ეზოში. აკაკიმ მოისურვა მასთან საუბარი. გამოჰკითხა ძველი დროის ამბები. ბოლოს ჰკითხა: როგორ მოგწონს ვორონცოვი? გლეხს აკაკი ვინმე დიდი ჩინოვნიკი ეგონა და შეაქო. მაშინ აკაკიმ სამი მანეთი აჩუქა და უთხრა, „ვორონცოვი რომ არ გექო, ხუთი მანეთის ჩუქებას ვაპირებდიო". გლეხი შეკრთა, მაგრამ გვიანღა იყო".

ვგონებ ცხადია, რომ აკაკი ვორონცოვზე არა ყოფილა გაზვიადებული წარმოდგენისა.

არა გვგონია, სავსებით ზუსტად გადმოგვცემდეს აკაკის აზრს დ. თომაშვილი მისი და ი. ევდოშვილის პოეზიის შესახებ. ბევრი რამ არ არის სწორი იმაშიც, რასაც აკაკის მშობლების ოჯახზე გადმოგვცემენ. შევხვდებით იქ ერთმანეთის რადიკალურად საწინააღმდეგო აზრებსაც. ამასთან ზოგი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ აკაკის ერთი და ჰყავდაო, ზოგი ორიო, ზოგი კი — სამიო.

გარდა აკაკიზე დაწერილ მოგონებებისა, „მატიანეში" მოთავსებულია იონა მეუნარგიას დღიურები (პუბლიკაცია ს. ცაიშვილისა), ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) დღიურები (პუბლიკაცია გ. ნათაძისა), ზ. ჭიჭინაძის — ალექსანდრე ყაზბეგი (პუბლიკაცია გ. ლეონიძისა), ნაწყვეტი შიო არაგვისპირელის ავტობიოგრაფიიდან, გ. შარვაშიძის — ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებიდან, აკად. კ. კეკელიძის გამოკვლევა — მცხეთის დოკუმენტი მე-11 საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ, სოლომონ იორდანიშვილის — რუსთაველის ჩვენამდე არ მოღწეული პოემა-რომანის შესახებ, გიორგი ლეონიძის — „ბესიკი", მონოგრაფიის პირველი ნაწილი.

ყველა ეს შრომა საინტერესოდ არის დაწერილი, ბევრ ახალ მასალას იძლევა, მაგრამ აქ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დაწვრილებით შევჩერდეთ მათზე.

„ლიტერატურულ მატიანეს" მე-3—4 წიგნი აუცილებლად საინტერესოა, მაგრამ იქ მოთავსებულ მასალას (მოგონებებს) რედაქცია უფრო მეტი გულისყურით უნდა მოჰკიდებოდა და ლიტერატურულად დაემუშავებინა იგი. ნაკლებად ეტყობა მას რედაქტორული ხელი.

ნ. ბ.

ლეო ქიაჩელი „მოთხრობები“

სახელგამი, 1943 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელის მოთხრობების წიგნში, რომელიც სახელგამმა გამოსცა, შეთავსებულია პატარა მოთხრობები: „მამა და შვილი“, „და-ძმა“ და „კრეისერი „შმიდტი“. აღნიშნულ მოთხრობებიდან პირველი ორი გამოსახავს დიადი სამამულო ომის ეპიზოდებს, ხოლო „კრეისერ „შმიდტის“ სიუჟეტი სამოქალაქო ომის თემატიკას ეხება.

მოთხრობა „მამა და შვილი“ შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი ხალხის საბრძოლო განწყობილებას ფრონტზე და ზურგში. ავტორი მკითხველს სულ რამდენიმე სტრიქონით წარმოუდგენს ბრგე ვაჟკაცს, უკვე ხანდაზმულს, მაგრამ გაუტეხავს. იგი გლეხთა აჯანყებას მეთაურობდა მთაში ცხრაასხუთ წელს. დიდი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მისი ვაჟკაცობის ამბავი მთელმა იმ კუთხემ იცოდა. ეს გმირი ბათაყვა მწერლის მიერ ადრე დახატულ შესანიშნავი რევოლუციონერი გლეხის ტიპს ტარიელ გოლუას მოგვაგონებს. მან თავისი საუკეთესო რევოლუციური თვისებები გადასცა თავის საყვარელ შვილ ჯეგეს, რომელიც დიდი სამამულო ომის გმირი გახდა. ბათაყვა თავმდაბლურად უარჰყოფს თავის როლს შვილის გმირობაში, მაგრამ აშკარაა მამის სულიერი ზეგავლენა ყმაწვილ ვაჟკაცზე.

„აბა, მე საიდან მიეშველებოდი ამ სიშორიდან, შენ თვითონ წარმოიდგინე, — უამბობს იგი ავტორს. — მოჩვენებით კი იქნება მართლა მოეჩვენა, რომ მასთან ვიყავი. იცი, ეს როგორ მოხდებოდა: ჯეგე რომ ომში მიდიოდა, დავარიგე ჩემებურად და ასე ვუთხარი: ბრძოლაში მტრის არ უნდა შეგეშინდეს. მხოლოდ მშიშარა მარცხდება, დამარცხებულს კი სიკვდილი არ ასცდება-მეთქი. ეს იცოდე, ჯეგე, როცა მტერი სიკვდილით გემუქრება, ერთადერთი გზა არსებობს ხსნისა: უნდა აჯობო. არ დაჰყარო იარაღი, სანამ მტერს არ გასტეხ და არ დაიმორჩილებ-მეთქი. ომში ვაჟკაცური გული და ნებისყოფა იმარჯვებს-მეთქი. ესეც ვუთხარი: ჩემი გული ჩაიდგი, შვილო, და თუ გაგიჭირდეს, მომიგონე-მეთქი“.

ასეთი დარიგებით გაემგზავრა ფრონტზე ჯეგე. მას არ ავიწყდებოდა მამის სიტყვები, ხოლო თავისი წინაპრების საგმირო საქმეები აღაფრთოვანებდა მას ბრძოლაში.

მწერალი ამ ნოველაში ხაზს უსვამს მეტად მნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ სცოცხლობს თანამედროვეობაში წინაპართა სახელოვანი ტრადიცია. ქართველი ხალხის სასიქადულო წინაპრები მართლაც გარდაიქცნენ საბჭოთა მეომრების შთამაგონებელ ძალად, მათ გამამხნევებელ და აღმაფრთოვანებელ გმირებად. მათი გმირული ღვაწლით აგზნებულნი საბჭოთა მებრძოლები სჩადიან ისეთ ვაჟკაცურ და გმირულ საქმეებს, რომლებიც უსწორდებიან და სჯარბობენ კიდეც საბჭოთა ხალხების ისტორიაში აღბეჭდილ თავდადებისა და თავგანწირვის იშვიათ მაგალითებს. ავტორი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს, თუ როგორ დაჰყვებოდა მამის სახე ჯეგეს და ამხნევებდა მას მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში.

შვილი დაიჭრა მტრის ტყვიით.

„სიმწარისაგან დაიგმინა სასოწარკვეთილმა ჯეგემ. მისდა მოულოდნელად ამ დაგმინებაში მას საყვარელი მამის სახელი მოესმა. იმავე წამში ჯეგეს ნათლად წარმოუდგა, ვითომ არწივის ფრთებივით გაშლილი დევის მკლავები შემოეკვდნენ მას და დაინახა, თუ როგორ წამოადგა თავს მამა. დაკარწახებული ხელები ხელებში ჩაავლო ჯეგეს და შექანებული ტყვიამფრქვევის ლულა საჭირო ნიშნისაკენ გაუმართა.

— უნდა აჯობო, ჯეგე! — მოესმა ჯეგეს მამის მედგარი შეძახილი.

ჯეგეს არ ახსოვს, რამდენი ხანი ეჭირა მამის ხელებს მისი ხელები და რამდენი ხანი კაკანებდა შეუწყვეტლად მისი ტყვიამფრქვევი.

ჯეგე გამოარკვიეს ნაცნობმა ხმებმა.

— ვაშა, ვაშა! გაიმარჯვე, ჯეგე! გადასავალი ისევ ჩვენს ხელშია!

ეს საბჭოთა მებრძოლები იყვნენ, ამხანაგები. აიტაცეს ჯეგე, ჰაერში შეისროლეს, გმირობა მიულოცეს.

ჯეგე კი გარშემო იცქირებოდა დაბნეული. მას თითქოს უკვირდა, რომ მის ახლო არ იმყოფებოდა ის, ვისაც ეძებდა, და გაუგებრად ლუღლუღებდა დასუსტებული, ჯერ კიდევ ბურუსში გახვეული:

— შამა სად არის? ის იყო, რომ მომეშველა... მე კი არა, მამამ გაიმარჯვა...“

ასეთია ამ მოთხრობის ფინალი.

საინტერესოა ნოველა „და-ძმა“. მზვერავი წითელარმიელი მიტია მოსკალიოვი მტრის ზურგიდან გზას მიიკვლევდა თავის ნაწილისკენ. მას ორ მებრძოლთან ერთად დიდად მნიშ-

ვნელოვანი საბრძოლო ამოცანის შესრულება ჰქონდა დავალებული. ღამით, სიბნელეში მებრძოლებმა ერთმანეთი დაკარგეს. მათ წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ასეთ შემთხვევაში. რაკი ამ ადგილის მკვიდრნი [illegible] ულ მათგანი უნდა ცდილიყო დაუყოვნებლივ თავის სოფლისაკენ გაეკვლია [illegible] ების დახმარებით ადგილობრივი პარტიზანული რაზმი მოენახა და მისი შემწეობით ისევ ნაწილს დაბრუნებოდა — დავალების ზუსტი ამბავი და დაზვერვის შედეგები მიეტანა. მიტიას ნაცნობ პატარა ტბასთან შემოათენდა. აქედან შორს არ იყო მისი სოფელი. დღე მახლობელ ტყეში გაატარა, ხოლო ღამით სოფლის მახლობლად პარტიზანთა რაზმს წააწყდა.

პარტიზანებმა შეაჩერეს. მიტიამ თავისიანები იცნო. მათ შორის იყო მისი დაი ნატაშა. მიტიას დედის ამბის გაგება ეჩქარებოდა. სანამ თავის თავგადასავალს ამხანაგებს უამბობდა, დას შეეკითხა დედასა და სახლკარზე. გოგონამ ნაღვლიანად უპასუხა:

„ნურაფერს მკითხავ, ძმაო, დედაზე, ნურაფერს მკითხავ შენს საყვარელ სახლკარზე. ხომ ხედავ, შურისძიებამ შენს პატარა დაიკოსაც იარაღი აასხმევინა, ვაჟკაცებს გვერდში ამოუყენა, — შურისძიების წმინდა გრძნობამ დაღუპულ დედისათვის და გადაბუგულ სახლკარისათვის, შურისძიების წმინდა გრძნობამ, ძმაო მიტია, უდანაშაულოდ დარბეულ და დალეწილ სამშობლოსათვის“.

ეს ნაწარმოები ომის სასტიკ ეპიზოდებს გვიხატავს. მწერალი თვით პეიზაჟს, ბუნებას ორგანიულად აკავშირებს ადამიანთა განწყობილებასთან. აწიოკებული სოფლები, გვამებით მოფენილი ველები და სავსე ტბები შურისძიების გრძნობით ავსებენ მკითხველს და უფრო ამძაფრებენ მტრისადმი სიძულვილს.

წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე ლეო ქიაჩელის საკმაოდ ცნობილი მოთხრობა „კრეისერი „შმიდტი“ ანუ „ჰაკი აძბა“. ავტორს სურს ამ მოთხრობაში გვიჩვენოს სახელოვანი შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა გმირობა და მამაცობა სამოქალაქო ომში, რომლის გმირული ტრადიცია აღდგენილ იქნა თანამედროვე დიდ სამამულო ომში. მოთხრობის ცენტრს წარმოადგენს კრეისერ „შმიდტის“ მეთაური კუზმა კილგა, რომელსაც მტრებმა მეტსახელად „მრისხანე“ შეარქვეს. საერთოდ მოთხრობაში ნაჩვენებია სამოქალაქო ომის სურათი, კერძოდ, სოხუმის ნავსადგურში ბოლშევიკური კრეისერის „შმიდტის“ შემოსვლა, ვაჟკაცური თავდადება, შეუპოვრობა და მამაცობა რევოლუციის დასაცავად. მოთხრობაში სჩანს შავი ზღვის მეზღვაურთა გმირული სული და ნებისყოფა.

ეს მოთხრობა მრავალმხრივ ეხმაურება თანამედროვეობას.

დ. შამათავა.

Тбилисский филиал ИМЭЛ при ЦК ВКП (б) Библиотека